

114 /
1964/3



მეტეოროლოგია

— 1964 —

12

გნათობი



სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის
და საზოგადოებრივ-კოლმეცნიერების მუშაკთა
კავშირის ორგანო

წელიწადი 41-ე

№ 12

დეკემბერი 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6036

შინაარსი

სიმონ ჩიქოვანი — განჯის დღიური. ლექსები	3
ივანე თარბა — ცნობილი კაცი. რომანი. დასასრული. თარგმანი შ. ა. შიშია ასათიანი-ისა	10
რევაზ მარჯანი — ლექსების ახალი წიგნიდან	75
ვურამ ჩრედიშვილი — ნოველები	76
თამაზ ჭილაძე — ლექსები	91
ოთარ ჩხეიძე — მრავალ აზრან წოდებულ და შვირდანი ჩრედი. თავი რომანიდან	93
რევაზ ამასუყელი — ლექსები	108
ლია ასათიანი — ლექსები	109

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ვიორჯო ციციშვილი — გზა რეალისტური სიზარტლისა და სიუხადისაკენ	110
ხილომონ ხუციშვილი — საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის დაუცხრომელი მკვლევარი	124
ერეკლია ქარედიშვილი — მართალი სახეები და ხასიათები	129
ნიკო შარი — პ. გ. კარაიის შედარებითი ლექსიკონი. შენიშვნები ალ. ლლონტის	135

ვეზისიტაოსნის გარეგანი

დიმიტრი ქუშიშვილი — ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო	140
---	-----

წარსულიდან

შ. ხანთაძე, შ. ზადრიძე — საქართველოს წარსულის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი	170
გრიგოლ ზარდაღიშვილი — გამოჩენილი ქართველი მოგზაურ-კარტოგრაფი	177

წიგნების მიმოხილვა

ვიორჯო გაჩეილაძე — შერშან ლებანიძის ლექსები	182
ა. აბრამიშვილი — ჩუვაშეთის სახალხო პოეტის ლექსები ქართულად	184
ფურხანდ „მნათობის“ 1964 წლის ნომრების შინაარსი	187
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. შალვაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-64 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა
7¹/₄×12¹/₂. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 12185, ტირაჟი 6.100, შეკვეთა 3048.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

სიმონ ჩიქოვანი ბახტის ღლიური

პირველი ნაწილი

ვიპოვე განჯის მყუდრო უბანში
დაუბეჭდავი ლექსების კონა,
შევეხმიანე და საუბარში
წიგნმა ნაცნობი ხმა გამაგონა.

ვიცან და ფიქრი წიგნს მივაშუქე,
სადაც სიცოცხლის ხმა ღაღანებდა,

სად შენი კმუნვა და სიქაბუკე
ღღებებს ანთებდა და აღამებდა.

გადავწერე და ღამე ვათიე,
გადავათეთრე წმინდა პწკარები.
თუ რამ შევეცოდე, შენ შაბატიე,
სულში რეკავენ შენი ზარები.

სიმღერა სინანულისა

ადრე კატინამ
გული გატყინა,
მერმე დაუწნა მერანს ფაფარი.
არ დაგაძინა,
ძიძამ არ ვითხრა ზამთრის ზღაპარი.

ხმები ნარნარი,
როგორც მარმარი,
გულში გაცივდა ცრემლებზე წმინდა,
და ცის კამარით
ერთი ვარსკვლავი შორს
ამობრწყინდა.

დაწვა ღრუბლები,
მტკვარს ეუბნები:
დაგრჩა ჩინარი და ეალერსე,
ნუ მეუბრები,
ჩემს სულს ნუ გაცვლი აწ უარესზე.

დავკარგე გეზი,
ფუტ და ფესვი,
არ შემრჩა შენი ერთი ბარათიც.
მოდო და შესვი
ჩემი უშანკო დარდი მარადი.

ვაპქრა ტაძარი,
დაპქრის ნაცარი,
ცაზე მიბნეულ ზომლს ვეჯიბრები.

ბოლავს გუნდრუკი ნებზე დამწვარი
და სანთლებს ჰგვანან ჩემი ფიქრები.

ცხოვრების ზღვაო,
არ განასხვაო
ღღისა და ღამის ბრუნვა უცვლელი.
გთხოვ, დაახვავო
ვრცელ სასაფლაოს
ცაცხვის ფურცელი.

როგორც ნუგეში,
მშობელ კუთხეში,
ააშრილაღ ყველა საფლავი,
და ჩემს უბეში
ჩასვი ბარტყივით სატრფოს
ვარსკვლავი.

ავს განმარიდე,
არ გავღარიბდე,
არ ჩამომენგარეს მამულში სხვენი.
მრუდე საწუთროს ავხადე რიდე,
ბედს გავურბი და მიმაფრენს ცხენი.

ვით ალიონი,
მომსდევს სიონი,
მივქრი, სირბილში მტკვარს
ვეჯიბრები.
გუმბათს შიგავს ვრცელი ციონი
და ჩამქრალ სანთლებს — ჩემი
ფიქრები.

ქართლში დავკარგე...



ქართლში
დავკარგე...

ქართლში დავკარგე თითქო მიზანი,
მტკვარზე დავტოვე ღრუბლის
ნაჭერი.

განჯას ვეწვიე ერთი ხიზანი,
როგორც ნიზამი, გავხდი განჯელი.

მწამდა წინანდლის ვარდის სინაზე,
სხვამ მოსწყვიტა, და ცრემლები
ვღვარე.

მერმე განჯაში ვარდი შირაზის
ვერ დავფუტრულე და ვერ შევიყვარე.

გავხდი მოხელე, თუ მოთარეშე,
უნდა კოშკი და ხიდი ვაშენო.
ვერსად გავფრინდი განჯის გარეშე
და მე ვტრიალებ განჯის გარშემო.

ვშრომობ და მესმის ყურის ჩხველი,
სახლი მეწვის და მცირე საბძელი.
დაქცნა სირბილში სიყრმის ყვავილი
და ქირვარამში დიდხანს გავძელი.

წესრიგისათვის ხალხი დავრახმე,
ცხენით დავქრევიარ, არ მწამს აქლემი.
და მეჩვენება ნათელ შარაზე
ჩემი ფიქრნი და ჩემი საქმენი.

მოძმეს გავანდე სულის მიზანი,
წრფელი ტრფილით გული დავკერი.
განჯას ვეწვიე, როგორც ხიზანი,
როგორც ნიზამი, გავხდი განჯელი.

დასკილი

გამგე ვარ და ვგევიარ დასჯილს,
მაბარია მთელი კუთხე.
თითქო ვიყო ხანი განჯის
ერთი წიგნის მესაკუთრე.

ვერსად შეესვი წმინდა წყალი,
ბევრჯერ განჯას ვუთხარ აჯა.
შნო და სიყრმის ნაპერწყალი
სამ-ოთხ თვეში დამეხარჯა.

როგორც პურის ძნა ფიწალზე,
მწამდა ჯვარზე ქალის თმები.
ეხლა დავქრი სხვის მიწაზე
და ყურანის ლექსით ვტკბები.

არ სრულდება შრომის ყავლი,
ლამეს ვტეხ და მიხურს შუბლი

და მეხვევა ირგვლივ ჯავრი,
როგორც დაღლილ მუხას მუშლი.

ჩრდილს მაფენენ ქართლის მთები,
თუმცა ეცხოვრობ ზღობ მხარეს.
მეჩვენება, — ცხენზე ვკვდები,
ან სხვის საფლავს მიმბარეს.

მმართველი ვარ, თუ ფარხადი,
ვშრომობ, სატრფო თვალს არ
ნაბავს,

ლამე მესმის მტკვრის ლალადი
და მიყვება ქართლის ამბავს,

სადაც მომხედა მოძმეთ წრეში,
წნელზე მწარე წკიპურტები,
და მგონია, ქართლის მთებში
აწ ვერასდროს მივბრუნდები.

ისევ სინანული

დავტოვე მთის წყარო და ყელი მიშრება,
ფიქრები იფშენება, ნალველმა ჩამლობა.
შრიალებს ლამე და მტკვარს დავევიშრება,
ნეტავი მტკვრის პირას ჩინარად მამყოფა.



დავტოვე მთაწმინდა და ნუშის ნაშენი,
მნათეს დავემგვანე ღამეთა თევამი.
თურმე არ მყოლია თბილისში მაშეელი,
აწ ვის შევიძენდი მწედ ნახიკევანში.

ღილითვე მიჰქნება სიცოცხლის ყვავილი,
მოვახტი ლურჯას და კლდე-ღრეში მოვკურცხლე.
დაღესტნის ხევებში დაფრინავს შამილი,
და მე კი ჭალაში რად უნდა მოვხუცდე.

გზაზე ვით დავეცე და როგორ მოვდუნდე,
ოჯახის უღელმა დაღარა კისერი,
ეგებ ანჩისხატთან ვერასდროს დავბრუნდე,
ვერ ეპოვო თაბორზე ნისლები ცისფერი.

მე მინდა ოცნება ცელივით ავლესო,
მოვთიბო ბალახი და ცრემლით დავნამო,
ეს ჩემი ცხოვრება ყოფილა საღეჭსო
და სიტყვა ყოფილა ჭრილობის მალამო.

გამქრალან, წასულან თბილისის ამქრები,
არ ამკობს ჯამები მტკვრის ნაპირს ქვიშიანს.
მგონია, შარშანდელ თოვლივით გავქრები
და წასვლას თბილისის ქუჩები მიშლიან.

მივდივარ, შორით ჩანს მთაწმინდის თავანი,
სადაც მთას მეგობრად საღამო შევძინე.
სადაც ფიქრს ვუპოვე სავანე მთავარი
და სული კოცონის კვამლივით შევწირე.

დავტოვე თბილისი და შორით ვეველები,
მე ჩამრჩა თვალეზში ფოთლების ჯაჯარი,
და როგორც სანთლებზე უმწეო პეპლები,
გულზე მეჯახება მე ღამე მრავალი.

პირველი გარათი მაიკო ორგანიანიანსადმი მიწერილი

ყველას დავაფიწყდი, მარტო ვარ განჯაში,
ვერ ვპოვე სადავე ატეხილ ვნებათა,
გული გაიწურა ცხოვრების დარჯაკში,
დავკარგე ცისფერი, რაც სიყრმეს ებადა.

შემინდა იჰვი და ჭაობის ცხელება,
მწუხრის ეამს მაწუხებს ვასაკის კრუალი.
შინ ძილი მომტაცეს ჭინვინით ცხენებმა,
და მესმის მტკვრის პირას უღმერთო უარი.



ვინც სანდო მეგონა, ყოფილა მაცდური,
მეც პური არსობის ვერავის ვუბოძე.
დიდ გზაზე მჭირდება მამულის დასტური,
არ მინდა დაფნები მიჯრილი კუბოზე.

ყველას დავაფიწყდი, სიციხით ვიხაშმები,
ხელი მკრა საწუთრომ, ცრემლი დამიღვარა.
ტივზე სათარასთან კიდევ ვივასშმებდი,
ნეტავ მთაწმინდაზე ისევ ამიყვანა.

ყველას დავაფიწყდი, ძვირფასო მაიკო!
ვერ ვგალობ ობოლი მოგვალულ ბაღიაში,
გული გაპოხილი ორ ცალად ვაიყო
და ერთ ცალს დავათრევ უმწეოდ განჯაში.

ცბიერი ყოფილა სატრფო თუ საწუთრო,
ვინც სანდო მეგონა, აღმოჩნდა მაცდური.
ლექსს უნდა ცხოვრება მთლიანად დაუთმო
და ტრფიალს სჭირდება ბუნების დასტური.

დრომ სიყრმის ყვაველი უღმერთოდ გათელა,
გაფრინდა მიმინო ტურფა და ვეჟანი.
ნეტავ, მთაწმინდაზე დილა გამითენა,
რომ კოჯრის ნიავეზე გაჰქრეს კაეშანი.

ვინაა-გეგუშის სიმღერა

აქ ... ერთი ახალი ლექსია, თერამეტი წლის
ქალის ნამშობი... ამ ქალს გონა-ბეგუმ ჰქვია,
ხანის ქალია ძალიან ლამაზი და მარტივანი...
საყოფადი დამწვარი თავისი ქმრისაგან... ძალით
გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი, რომ იცოდეთ,
ერთი კარგი რამანია..."

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიდან.

თათრის ქალი გონა-ბეგუმ
თავის წარსულს მიაშობს თუ
მიგალობს:
ვინ წამართვა ჩომლის ხონჩა,
რად გამთელე, შენ, საწუთროს
გრიგალო.

დამაშორეს მიჯნურს ცირა,
გამათხოვეს, ცრემლი დაშრა უმანკო.
ქმარმა ჭაერით დამამცირა,
ჩემი ცრემლი და გულისთქმა უარყო.

ცისფერთვალა, ზღვის იერით,
ასე მღერის ხმა ნალველში ნალესი.
ღვთისნიერი, ცისიერი,
ბაგე ვარდი და სიცოცხლის ალერსი.

თმა ვით კვარი სანუკვარი,
ეშხითა და ლოცვით შემოგარსული.
ბაღია უხმობს საყუთარი
და ბაღს იქვით ეტყვის თათრის
ასული:

ჩრდილს მიფენდი, ჩემო ბაღავ,
მეძახოდა ყველა შენი კუნჭული.
ჰადრის ჩრდილი შენთან დამრჩა,
მინდა მოსვლა და ჰადართან
ჩურჩული.

მსურს შევადო წიფლის კარი,
მოვიძებნო ცაცხვი ფუტკრის
მთაფლავი,
მაგრამ თუ იქ დამხვდა ქმარი,
შენ გახდები, ბაღავ, ჩემი საფლავი.

მწუხრში ვალობს გონჩა-ბეგუმ,
დაადუმა საამო ხმით ყორანი,
ცხოვრების რთველს ადრე მორჩა,
ვერ განახლდა მაინც სიყრმის
რომანი.

დასეტყვილი აგრე ვალობს,
მწუხრში მოსჩანს, როგორც ვარდი,
მწირვილი
ფრთა-მომტყდარო თათრის ქალო,
გაგფრენია სიყვარულის ფრინველი.

ამღერდა, რომორც ცისკარი

გონჩა-ბეგუმზე წუხილმა
ვერ დაავიწყა კატინა,
ენგურმაც არ გაუღიმა,
ლაშე უცრემლოდ ატირა.

გამოჩნდა დიდი დარბაზი,
იჭვმა უჩხვლიტა ნესტარი,
და დედოფალი ლამაზი
ტყვედ ჰპოვა, როგორც ნესტანი.

თამბაქოს სწევდა, ფიქრობდა,
იყო წვაში და გარჯაში,
ხან ფიქრით ინგურს მიჰქროდა,
ხან ბრუნდებოდა განჯაში.

თითქო სარკმელი დასერა,
მწუხრი ეჩვენა გულწრფელი,
დაჯდა და წიგნი დაწერა,
ტრემლით დანამა ფურცელი.

დასწერა ორი ბარათი,
წყლულს უკაწრავდა კალამი.
აანთო ერთხელ ასანთი
და მელანს ჰგავდა ვარამი.

ნაწერი ჰგავდა ნაღვერდალს,
ფერფელი დაყარა მისხალი,
ადგა და ტკბილად ამღერდა,
როგორც მთის წვერზე ცისკარი.

პირველი გარათი სატრფოსადმი მიწერილი

სწერდა. ციმციმა შენმა თვალებმა,
გულს სხივი კრა და გამიცისფერა.
მასსოვსო ჩემი ჩემი წვალება
და როილთან შენი სიმღერა.

მერმე ლაყვარდის სიღრმე საშვიში,
სულის კრინი და გრძელი წუთები.
მაინც განჯაში როგორ გამიშვი,
დავჭრი და შენ ხმას ვესათუთები.

მწუხრში გბაძავდა ვერხვი შრიალით,
ჩამწვდა და მინდა გზებზე ვირბინო,
წამწამებით და თმის აშრიალით
შეიპყარ ჩემი თეთრი მიმინო.

სტკენით მონუსხე ლაღი სუმბული,
ცისფრად შეღებე თვალი წყლიანი.
შეჯახებია ბულბულს ბულბული,
შეხარბებიათ შენი წკრიალი.

შენებრ ვალობენ ფშანში შაშვები,
დააყურე და ტრემლი ასხურე.
სიმღერით ჩემს სულს ეთამაშები,
როგორც თავის ჩრდილს შენი
საყურე.

შენ ხარ ვენახი, ალაზნის ვაზი,
არც სიციხით ჰკენები და არც სიცივიით.
ბალახში მესმის ჩურჩული ნაზი
და წყლის ჩხრიალში შენი სიცილი.

მუდამ გზაზე ვარ, როგორც დავრიში,
დამჩემდა სევედა და სიმარტოვე.
მარტო განჯაში როგორ გამიშვი,
შეწყვორე მღერა და მიმატოვე.

მე კი ვიგონებ, სიმღერის ეშხით
როგორც არწივებს, ლექსებს
კვებავდი.
აწ შენ ხმას ვეძებ უცხო მზარეში
და მთიებს ვითვლი გათენებამდი.

შენს სავარძელზე ზის პოეზია...



საქრებულო

შენს სავარძელზე ზის პოეზია,
შენს სავარძელზე ზის გაზაფხული,
სულს ვარსკვლავები შემოესია,
ხან მოცახცახე, ხან დაზაფრული.

ხარ მოშრიალე თმით ქალბატონი,
ადრე გშორდება დღე მოყვითალო,
მინდა დაეფურცლო ცის კაბადონი
და ხომლის ფიჩხი შენ მოგიტანო.

იქვი გროვდება, როგორც მზითები,
შინ ნაპერწყვლებმა ღამე დაფერეს,
და მოწყვეტილი შენი თითებით
ჩემი ფიქრები გარეთ დაფრენენ
და ღამით გვანან ციციანთელებს.

შენი თმის ღერი მთვარის ბეწვია,
მინდა თმით მოვწნა ცხოვრების ბუდე.
შენი ფეხის ხმა წამომეწვია,
შემოვბრუნდი და გზა გავიმრუდე.

გზა ცხოვრებისა თვალზე ჩაწვრილია
გზად დამიფინე რბილი ფუჩჩი.
ჩემს ოცნებაში შენ გიცხოვრია,
როგორც თბილისის ვიწრო ქუჩებში,
და მიკვირს რატომ ვერ შემეჩვიე.

შენს სავარძელზე ზის პოეზია,
შენს აივანზე ჩანს ცისარტყელა.
გზაზე იქვები შემომესია,
უნხოდ დამთოკა და დამატყვევა.

მსურს მომეზვიო, როგორც ფათალო,
თმა, ვით მალამო, წყლულებს
წაუცხო.

შენი ყელიდან სტვირი გავთალო
და შეღამება თბილისს ვაუწყო.

ცისფერ თვალეში მთვარის ბეწვია,
ცა გამჭვირვალე და ვარსკვლავები.
ბინდი მღერის ჟამს წამომეწვია
და უღრან ღამის ქსელში გაგები.

წუხელ მესიზმრა

წუხელ მესიზმრა ცისფერი
ცხენი, ცაცხვი და ტაძარი.
შორიდან ძახილს ვისმენდი
და ცხენი ველარ დავძარი.

ვერ დავძარ და ვერც ვიცოცე,
ხელი ვერ დავკარ გავაზე,
და ბინდისფერი სიცოცხლე
გზაზე ვერ გავალამაზე.

ცაცხვმა ჩრდილი ვერ მიბოძა,
ვერც ძველ ტაძარში ვილოცე.

მწუხრმა თმა გადამიკონა,
მერმე დამშალა ლიბოზე.

ვერ ვბოვე გზა და დავშაედი,
წყლულიც ვერ გაფუჩინარე.
მდინარეს გავდა ლაქვარდი
და ვერ გავცურე მდინარე.

უცხენოდ ცისკენ ვილტვოდი,
ცაცხვს შევატოვე სიბერე,
და ბინდისფერი მინდორი
მაინც ვერ გავაცისფერე.

მეორე გარათი მაიკო ორგელიანისადმი

მიწერილი

საყვარელო დაო, ძვირფასო მაიკო!
მართოდ ვარ, მომწყინდა, მომწერე ბარათი!
რას სწუხარ, რა მოხდა, ასეთი რა იყო,
რად ჰქნები ასული სათნო და თვალადი?



რა გამოვიგზავნო, ისე თუ დურაჯი,
ატამი, კაკალი თუ განჯის ყურძენი?
საჩუქრის ძებნაში გამიწყდა ილაჯი
და მეტჯერ ცისიერს ლექსი ვერ ვუძღვენი.

იისფერ აბრეშუმს ვიყიდი საკაბედ,
თუ დროზე განჯაში ფულეები ვიშოვნე.
ცხოვრების მორევი სიტურფით გაკაფე,
დასძლიე იქვი და რაინდის სიშორე.

აწ წვრილად მომწერე თბილისის კორები,
ვინ კმუნავს, ვინ აყვა გართობას წამიერს?
შამილთან საომრად წასულან სწორები
და მტკვართან ჩრდილი წევს მეგობრის მაგიერ.

საყვარელო დაო, ძვირფასო მაიკო!
გულიდან ამომაქვს მჩხველეტავი ქაცვები.
რას სწუხარ, რა მოხდა, ასეთი რა იყო?
ბინდშია მთაწმინდა და შენი ლაწვეები.

მე მყავდა მიმინო, გნოლი თუ კაკაბი,
გამშორდა, გაფრინდა, არ მითხრა ბოდიში.
ოცნება ჭიშკართან ცხენივით დავაბი
და კვირას ვნებვიერობ შუადღემდე ლოგინში.

დავეურებ ბრჭყვიალა, დახეთქილ ბროწეულს,
სადილად ლავაში და ცხელი ფითია.
მე ვგეგვარ განჯაში სასიძოდ მოწვეულს
და სული მიღეულ ჭრაჭივით მინთია.

ძვირფასო მაიკო, საყვარელო დაო!
მე ვიყავ მოყვასის კეთილის მყოფელი,
და ზრუნვა. მგონია, ყოფილა ამაო,
სჯობია სირბილით განვლიო სოფელი!



ივანე თაგბე

ცნობილი კაცი

რომანი

• • •

გვაღვებები დაიწყო. მიწა სრულებით გამოშრა და გახმა. ისე გაფიცდა ყველაფერი, ერთი ნაბერწყალი მთელ ქვეყანას ალში გაახვევდა. სიმიდის ფოთლები ჩამოჰკნა, ჩაის ბუჩქები ისე დაყვითლდა, თითქოს მდუღარე გადაესხას ვინმეს. თამბაქოს რტოებიც კი შეაწუხა ამ თაკარა სიცხეებმა. ხალხმა ცას დაუწყო ყურება, ღრუბლის ერთი ნატამალიც არ ჩანდა ცაზე.

იმ დღესაც ასე იყო. მხოლოდ ნაშუადღევს დაუბერა უცებ გრილმა ნიავმა. ზღვიდან ლეგა ღრუბლები წამოვიდნენ. ჯერ თითო-ოროლა მსხვილი წვეთი დაეცა ცხელ მიწას, მერმე ზევიდან ფარდასავეთ ჩამოეშვა უწყვეტი თქეში. ერთ წუთში მიწა გადასხვადებდა, გამოცოცხლდა, მკვდრებით აღსდგა. აღამიანები წვიმას აღარ მოერიდნენ. გაწუწულები შერბოდნენ სახლებში და ღიმილით წურავდნენ სველ მოსასხამებს.

აღიცამ ეზოში აიდას დაღანდა თვალი. მისი სავაზაფხულო თხელი ტანსაცმელი სულ დასველებულიყო. არნოუს დედა სტუმარს შეეგება. აიბანზე ამოვიდნენ, აღიცაც სველი იყო. ორივეს სიცილი აუტყდა.

— როგორ მიხარია, ამ თქეშმა მოსავალი გადაარჩინა, — ხარობდა აღიცა.

— ეს წვიმა მიწას ყელამდე გააძღებს.

— ასეთ ამინდში რატომ შეწუხდით? — შეეკითხა აღიცა ლეიბას მეუღლეს.

— შეაბრეშუმე ქალები მოვიანახულე. შენთანაც შემოვიარე. ხომ იცი, საქმეა, თუ არ ვნახე არ შემოძლია. ახუცაში ასტანა-ბრივადირმა გამაოცა, წყნარი ახალგაზრდაა, ყველა უსმენს, ყველას მისი რიდი და სიყვარული აქვს. სხვა საქმესთან ერთად აბრეშუმის მოსავალსაც დიდს მოვლიან.

აიდა უცებ შეკრთა, ხომ არ ეწყინება აღიცას ახუცელების ქებაო, გაიფიქრა.

— თქვენსკენ დიდი ხანი არ ვყოფილვარ, დავიგვიანე, — მოიბოდიშა აიდამ.

სააბრეშუმე ფარდულში შევიდნენ. უკვე დიღანში წვებოდა აბრეშუმის კია. ზოგიერთი მათგანი ცახზე შეპორტყებულყო და უკვე პარკს ახვევდა.

— ოქროს ხელები გაქვთ, ქალბატონო აღიცა! წელს ბევრი პარკი იქნება. თქვენს კოლმეურნეობაში, პირდაპირ, არ ვიცი, ვინ ვის სჯობნის, მაგრამ თქვენი მაინც სხვა არის.

აღიცამ ამ ქების გამო უხერხულობა იგრძნო. აიდამ ეს შენიშნა.

„რატომ შვილი არ ჰგავს დედასაო.“ გაიფიქრა უცებ.

— უსადილოდ ვერ გაგიშვებ! — შეეხვეწა აღიცა ლეიბას მეუღლეს.

— თქვენი შეწუხება არ მინდა, მაგრამ არ დაგიშალავ, დანაყრება ნამდვილად მომარჩინდა, ისეთ შიმშილს ვგრძნობ.

აღიცა სამხარეულოში გავიდა, აიდა—

აივანზე. მან წვიმის ღარს ხელი შეუშვირა და პეშვი გაივსო წყლით. ჭკემოთ ბუშტულებივით სკდებოდნენ წვიმის შხეფები. მიწის სუნი იდგა, ახლა უკვე ყველაფერი სიცოცხლით იყო სავსე. ხეები, ყანები, ჩაის ბუჩქები და ბაღები ხალისით უმხერდნენ აიდას თვალბში. ადიცას მთელ სოფელში ვერვინ შეედრებოდა დიასახლისობაში. მას ყოველთვის ყველაფერი თავის ადგილზე ჭონდა. ის სხეებივით როდი დაუწყებდა ძებნას საცერს, სანაყს, ვიბს, თუ ღომის ქვაბს.

ახლა, როცა აივნიდან აიდამ სამზარეულოში მოდუსდუსე ადიცას მოკრა თვალი, თვითონაც გადაწყვიტა მოხმარებოდა ქარმაგ ქალს.

— არც კი იფიქრო, უკვე ყველაფერი მზად არის, სადილის კეთებით ვაგას-ერევიანებთ ხელებს?!

აიდა სკამლოგინზე ჩამოჯდა. ადიცა სულჯუნს სწვავდა. უნებლიედ თავისი ბავშვობა გაახსენდა აიდას. დედამისიც მშვენივრად ამზადებდა ყველაფერს. მათ სახლში შაშხი უყვარდათ. აიდამ აქაც შენიშნა გავამლოლი შაშხი. აიდას ძალიან მოუნდა აქვე, სამზარეულოში ესაუბრათ. სწორედ ეს თხოვა ადიცას, ადიცამ შეატყო, რომ სტუმარს ეს ესიამოვნებოდა, დაყბულდა.

— მწვადს შეგიწვავთ, — შესთავაზა უცებ ადიცამ.

არც ეს იუარა აიდამ.

— გამოგიტყდებით, სწორედ მაგაზე ვიფიქრე ახლა, მხოლოდ მინდა, მე თვითონ შეეწვა შამფურზე.

ადიცას გაეხარდა მისი გულწრფელობა და სახე გაუნათლდა.

აიდამაც მოხერხებულად გაამზადა შამფურზე შაშხი და ნაკვერცხლებს მიუფიცა. ორიოდვე წუთის შემდეგ შეფიცებულმა, გამდნარმა ჭონმა წვეთა დაიწყო ნაკვერცხლებზე. ყოველი წვეთი უცებ ააბრიალებდა ნაკვერცხლებზე ალს და ისეთი სუნი დადგა, რომ მადაზე მკვდარსაც მოიყვანდა. ადიცამ ჭყინტი ყველი და ახალი ხახვიც მოუმატა სუფრას.

ორივენი სიცილით მიუსხდნენ მაგდას. ადიცამ წითელი ლეჩქოე ქაჯაძე ბროლის ჭიქაში და სტუმარმაც არძელა. სტუმარმაც მისი დღეგრძელობის შესვა. ორივენი უფრო მაღაზე მოიყვანა წითელმა ღვინომ.

ადიცამ უნებურად ახსენა არნოუ. იგი უყვებოდა აიდას ისეთ ამბებს, რომლებსაც მხოლოდ ახლობელ ადამიანს ეტყვიან.

— მე ძალზე მაწუხებს მისი ბედი, შეიძლება თქვენც გაიგონეთ, ის ძალღონეს არ იშურებს სოფლისათვის, მაგრამ ამ ბოლო დროს მეგობრებს კარგავს, მას და ხალხს შორის თითქოს ცივი, ყინულოვანი მთა აღიმართა. რალაც გაუგებარი ხდება, მე ეს არ მასვენებს, მაფორიაქებს, ცუდ რამეს მოველი. წინათ მიხაროდა, იმედი მქონდა, ახლა შიში შემეპარა, ავი წინათგრძნობა მიპყრობს.

იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ უყვებოდა აიდას ყველაფერს. აიდა ჩაფიქრებული უსმენდა. ხანდახან ადიცას ფიქრი გაკრავდა, რად ვუყვები ჩემი შვილის ძვირს ამ უცხო ქალსო, მაგრამ დედა გრძნობდა, რომ ეს ქალი ისეთი ადამიანი ჩანდა, ცუდს არ მოუტანდა მის ოჯახს. შეიძლება მისი ქმრის საშუალებით რაიმე ელონათ კიდევ არნოუსათვის. შეიძლება ისეთი რამ ეფიქრათ, რომელიც მას და მის არნოუს ბედნიერებას მოუტანდა.

— ცოლი რომ შეერთო, შეიძლება ყველაფერი სხვანაირად წასულიყო. — ციციც არ დაივიწყა დედის გულმა. ისიც გაიხსენა და თქვა, ასეთი ქალიშვილი თვალსა და ხელშეა გველევა, ის კი დამუხრებელი უცქერის ამასო.

წვიმა უფრო გაძლიერდა, როგორც იტყვიან, ცა ძირს ჩამოვიდა. აიდა ვერსად ვერ წაივლოდა ამ თავსხმაში. უცებ მანქანის ხმა მოისმა. ადიცა შვილს შეეგება. არნოუს ძალზე გაუკვირდა და გულწრფელად გაეხარდა აიდას სტუმრობა. ეს სიხარული ნამდვილად ვერ დამალა ნაურბამ.

— ნეტავი თუ ღირსეულად ეცი-პატივი, — შეეკითხა იგი დედას.

— რასაკვირველია, მას რომ ეკადრება ისეთი პატრივი ვერ ვეცი, შეილო, მაგრამ თვითონ იჩქაროდა და ამიტომ ცოტას დავჯერდით.

— ეს ხომ ჩემი ბრალია, დედი, ნამეტანი დაგტვირთე სხვადასხვა საქმით და რა მეთქმის. მცოდნოდა, ასეთი სტუმარი გვყავდა, მაშინ უფრო სხვანაირად მოვისაზრებდი რასმე.

— დიდი ხანია, არნოუ, ასე მადიანად არ მისადილნია.

— სტუმარი როდის ამაგებს მასპინძლის უყიარაობას. — გაიღიმა ნაურბამ. — ახლა კი ჩემზე იყოს, უშობელი უნდა წამოვაქციო...

— რას ამბობ, არნოუ, ჩვენ ისე სასიამოვნოდ ვისადილეთ, დრო ისე გავატარეთ, რომ უკეთესს ოცნებითაც ვერ ვიფიქრებდი.

— არა, მე ჩემი უნდა გავაყეთო, აიდა.

— მე ამ საღამოს გუდლოუში უნდა ვიქნე. ცაბუ და მე შევიტყვი; ამ საღამოს სოხუმის თეატრის სპექტაკლს უნდა უყუროთ.

— წვიმია, ხომ არ დარჩებოდით... — შეეპატივა ადიცა.

— როგორ გეკადრებათ. საღამოთი სახლში აუცილებლად უნდა ვიყო.

— მაშე კარგი, ჩემი მანქანა ჩავიყვანს გუდლოუში.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ აიდას ნაურბას მანქანა მიაქროლებდა გუდლოუში.

ადიცა აღფრთოვანებით უქებდა შვილს ლეიბას მეუღლეს.

— საყვარელი და წმინდა სულისაა. გულისხმიერი, მოკრძალებული ქალია. დღეს მისმა მოსვლამ სული ჩამიდგა. დე, დიდხანს ცოცხლობდეს მისი ოჯახი.

არნოუს სჯეროდა დედამისის. მან იცოდა, ადიცას გული არასდროს არ სცდებოდა. „ნუთუ მე ვცდები, როცა ადგურსა და აიდას უპატიურად ვეპყრობი, მათზე ცუდს ვფიქრობ, მაშინაც კი, სამსონის სახლში, უხეშად ვეპყრობოდი ორივეს. დღეს კი სულ სხვანაირად მეჩვენა აიდა, რატომ გავჩნდი ასეთი ექვიანი და უნდობი?! ვინ მასწავ-

ლა ყოველივე ეს, ვინ ჩამაწვეთა ასეთი ვერაგული ფიქრები? ელეთუთვიფონ მე ვარ ცუდი კაცი?“ ელვასავეთ მოხვდა ეს ჩუმი, უსიტყვო ფიქრი გულზე.

• • •

აიდას ქმარი სახლში არ დახვდა. სადილი სწრაფად დაამზადა, თბილად შეინახა და ცაბუს დაურეკა.

— აიდა, სად იყავი ამდენხანს, ორი დღეა გირეკავ და ვერ მოგიხელე, — მოისმა ცაბუს ცივი ხმა ტელეფონის მილაკში, — ახალი ამბები მაქვს, ქალო, შენთვის სათქმელი. რომ იცოდე, რა ახალი ამბები ვიცი. აბა თუ მიხვდები, რა უნდა გითხრა?.

აიდამ ბევრი იფიქრა, მაგრამ გუმანიც ვერ აიღო.

— არ მესმის, რატომ გაჩუმდი, ვერ მიხვდი ხომ?

— ვერ მიხვდები, ცაბუ, ვერ მიხვდები.

— იცოდე, ისეთი უცნაური, ახალი და კარგი ამბავი უნდა გითხრა, გაგეხარდება. შეიძლება შეიჩრყე კიდევ სიხარულისაგან, როცა მას ნახავ. ნამდვილად სასწაულია, სასწაული.

— თქვი, ქალო, რა ამბავია ასეთი.

— იცი, რა საქონელია, რა ავეჯია, ჩვენი კი არაა, საზღვარგარეთულია.

აიდამ გაიგონა თუ არა, რომ რაღაც ავეჯზეა ლაპარაკი, გული დაწყდა. მას სრულებით არ აინტერესებდა ასეთი რამეები. ცაბუ კი განზრახ არ ეუბნებოდა, თუ რა ავეჯი იყო ასეთი.

„იქაქანებს და თვითონვე იტყვის.“ — დაასკვნა აიდამ.

ცაბუ კი ტიკტიკებდა და ტიკტიკებდა. მისთვის ტელეფონზე საუბარი და ჭორაობა სასიციოცხოლო მოთხოვნილება გახლდა.

— ეს ისეთი საქონელია, აიდა, რომლის პატრონი მხოლოდ ჩვენი-თანა ხალხი თუ იქნება და ჩვენი მტრებს შურისაგან თვალები დაუბრმავდა კიდევ გილოცავ. დე, ყოველ წელს ასეთი ძვირფასი რამე შეეძინოს ოჯახს. მე ნამდვილად მიხარია შენი ბედნიერება.

მთელ აფხაზეთში ვერ ნახავ ისეთ საწოლებს. ლაქით არის გაპრიალებული, ბრწყინავს, თვალსა სჭრის ადამიანს. ახლა სკამები? სარკეები? ენა ვერ იტყვის მათ სილამაზეს.

— ცაბუ, შენი ქირიმე, გაჩუმდი, ტელეფონზე ასეთ რამეებზე საუბარი სირცხვილიც კი არის.

ცაბუ მაინც ვერ გააჩერა ამ გაფრთხილებამ. იგი ისევ განაგრძობდა:

— სამი საძინებელი ოთახის მოწყობილობა მიიღეს მხოლოდ. საწყობიდან იმ წუთშივე დამირეკეს. მეც გაეფრინდი. იქვე ვუბრძანე მათ, რომ ერთი შენთვის შეენახათ, ერთი ჩემთვის და მესამე, თუ უნდათ, რაიკომის მეორე მდივანს მიართვან ეს მათი საქმეა. ხომ კარგად გავანაწილე, აიდა, გენაცვალე!

აიდას ენა დაემა. მას ვერ მოეხერხებინა ქალის გაჩერება. უხეშობა არ შეიძლებოდა, იწყენდა, გაჩქდებოდა, დაემუჩრებოდა, არა და, აიდას ეჩვენებოდა, მათი საუბარი მთელ რაიონს ესმოდა. თითქოს ახლა ახუცაში, თუ არსა-ულაში, ყანაში, თუ ბაღ-ვენახებში ყოველი გლეხი ისმენდა ცაბუს ტელეფონზე ტიკტიკს. აიდას უკვირდა, სანამ უნდა ენაწილებინა აღმასკომის თავმჯდომარის მეუღლეს ასეთი იშვიათი სავაჭრო საქონელი საწყობებშივე და ან სად ჰქონდა ამდენი ფული, რომ შეეძინა? ახლა ამას ცაბუს ვერ ეტყოდა. ის იმ წუთშივე სამსონს გაანდობდა, რომ ადგური და მისი მეუღლე მათი ოჯახის მტრებია, მათი დაღუპვა უნდათ. მახეებსაც კი უგებენ მათ. ეჰ, განა მარტო ცაბუა ასეთი ქალი. განა კიდევ ცოტა გვყავს ასეთი ადამიანები?!

— გავიგე, ცაბუ, გავიგე, — თავდაქუჩით უთხრა აიდას, — დღეს სპექტაკლზე არ წამოხვეალ? მაღე, თორემ დავაგვიანებთ!

ცაბუ გაჯავრდა. ის ელოდა აიდას დიდ სიხარულს, მისგან დიდ მადლობას, ახლა კი ეს რა გამოვიდა?

— შენ რატომ არ გაგიხარდა, აიდა. მე ისე ვცდილობდი შენთვის მესიამოვნებინა, შენ გაგხარებოდა. ასეა ყოველ-

თვის, შენ გინდა ხალხს კეთილი საქმე გაუკეთო, ისინი კი ზურგს შეგვიბრუნებენ, მადლობის ნაცვლად საყვედურს გეტყვიან.

— გმადლობთ, ცაბუ, გმადლობთ, მაგრამ სად ვიშოვნო, ქალო, ამდენი ფული. ჩვენ სად გვაქვს იმდენი საშუალება, რომ ასე ძვირფასი რამეები შევიძინოთ. ვეცდები... ვნახოთ. მაღე წამოდი, გენაცვალე. ბალთან დაგიცდი. — შეარბილა აიდას საუბარი.

ისინი ბალის შესასვლელთან შეხვდნენ ერთმანეთს. ცაბუმ სცადა ისევ დაეწყოლაპარაკი საწოლი ოთახის მოწყობილობის შესახებ, რომელიც აიდას უნდა შეეძინა და რომლის მსგავსი ცაბუს თვითონაც არ ენახა, მაგრამ შენიშნა, რომ აიდა უხალისოდ მოექცა მის ნათქვამს, ყურადღებაც კი არ მიაქცია, ამიტომ გაიბერა და გაჩუმდა.

აიდა სალაროსთან მივიდა.

— ორი ბილეთი მომეცით.

— ვისთვის გინდა ბილეთები, აიდა?

— როგორ თუ ვისთვის. ჩვენთვის.

ცაბუმ გულწრფელად გაიკვირვა. ნუთუ, აიდა ზუმრობის ხასიათზეა. თუმცა, ალბათ, არც კი იცის, რომ მათ მუდმივი უფასო ბილეთები აქვთ თეატრში. ადგური ახალი მდივანია, შეიძლება მანაც არ იცოდეს, რომ ეს მათ უფასოდ ერგებათ.

— წავიდეთ, ჩვენი ადგილები დავიკავოთ.

— რომელი ადგილები?

— რომელი და ჩვენი კუთვნილი ადგილები. ხომ იცი, ჩვენ ლოქაში ვჭდებით ყოველთვის.

აიდა მიხვდა ყველაფერს, მაგრამ ისევ გაჩუმდა და სიღინჭე არჩია.

— სხვა დროს, ახლა კი პარტერიდან ვუყუროთ, იქედან ჯობს სპექტაკლის ნახვა, ცაბუ.

ცაბუ აღარ შეეკამათა. იგი მიხვდა, რომ აიდა მას ვერაფერს გაუგებდა. ასეთი ცოლი რაიკომის პირველ მდივანს სახელს უტებს! იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ხელმძღვანელი ამხანაგები არ

მოსულან და მაშინ ცაბუ მარტო მჭდარა იმოდენა ლოჯაში.

რა არის აქ ცუდი და დასაძრახი? კანონი კანონია. გეკუთვნის და უნდა მოიხმარო. ცაბუს მის დღეში არ მოსვლია აზრად, რომ სხვა კანონიც არსებობდა ამ ქვეყნად.

მეორე ზარი დარეკეს. აიღამ კონტროლიორს ბილეთი მისცა. ცაბუ უნებლიედ შებრუნდა ლოჯისკენ. მას სხვანაირად არც შეეძლო, ისე იყო მიჩვეული. ამ ლოჯას რაიონშიც „მთავრობის ლოჯას“ ეძახდნენ მცხოვრებლები.

— შენი? პირიმე, აიღა, ლოჯაში დაგვჯდეთ, იქ სჯობია, — ეხვეწებოდა იგი აიღას.

— განა არ სჯობია, ჩვენს ადგილას ვისხდეთ, ვინემ იქ გადმოგვეკიდოთ სასირცხოვრ? — გაიღიმა ისევე აიღამ.

მისი ღიმილი თავისებურად აბსნა ცაბუშ. ლარიბად აცვია და ალბათ ხალხის რცხვენია, — გაიფიქრა მან. იგი სკამზე მორცხვად იჯდა, ხალხის შეხედვის რცხვენოდა. ხანდახან ლოჯას გაბედვდა, ზომ არავინ ზის ჩემს ადგილზეო.

„ხალხი, ალბათ, იმასაც იფიქრებს, სამსონი მოხსნეს სამუშაოდანო“, — ისევე აწვალებდა ფიქრები ცაბუს.

საქეტაკლი დაიწყო. ცაბუ გამოლენჩებული იჯდა პარტერში. ის ნამღვილად გრძნობდა. რომ „თავის ადგილას არ იჯდა“.

* * *

ძალზე დაღლილი დაბრუნდა ადგური შინ. მან ჭერ კიდევე ქუჩიდან შენიშნა, რომ სახლში სიბნელე იყო. „აი და ჭერ კიდევე არ დაბრუნებულა რაიონიდან“, გაიფიქრა მან. სინათლე აანთო. წერილს დახედდა. წაიკითხა. გაიღიმა. გაეხარდა, რომ აიღა ჩამოსულიყო. ადგურ ლეიბა სადილს და ვახშაშს ხშირად ერთად მიირთმევდა, რადგან გვიან უხედებოდა მოსვლა. ახლაც ხელპირი დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა, საქმელი განჯინიდან გამოიტანა და

მაგიდას მიუჯდა. პურობა დაამთავრა. აივანზე გამოვიდა. წვიმის შექმნევა პაერი უფრო სუფთა და სუბტილურად გახდა. ჩვეულების თანახმად ნელა დადიოდა და თან ათას რამეზე ფიქრობდა. განა შეიძლება რაიკომის მდივანმა არ იფიქროს? განა ისეთი საათი, ან თუნდაც წუთი არსებობს ქვეყნად, რომ ფიქრის გარეშე იყოს ადამიანი? ადგურს ეჩვენებოდა, რომ ძილშიაც კი ფიქრებში იყო გართული.

ტალავერში სინათლე ენთო. მთელ ეზოში წყნარი, ცისფერი სინათლე ციმციმებდა. ნაწვიმარი მწვეანე ბალახი შუქზე უფრო ხასხასით ბიბინებდა. ადგურს ყოველ საღამოს ერთი და იგივე საკითხი ჰქონდა ჩაქვილილი თავში. რა იყო საღღესო მთავარი და მტკიცეული საკითხი, რომლის გადაწყვეტა სასწრაფოდ იყო საჭირო. იცოდა ადგურმა. ბრძენ კაცსაც არ შეეძლო ამდენი საკითხის შეუცდომლად გადაწყვეტა. სხვა ადამიანების აზრი იყო საჭირო. მათი შემოკრება იყო აუცილებელი. მარტო მათი მოზიდვა და შემოკრება როდი კმაროდა, მთავარი იყო მათში იმ ცეცხლის და სიყვარულის დანთება. რომლითაც თვითონ ადგურ ლეიბა დაავადებულ. ადამიანებს არ უყვართ ბრძანება, მუქარა, და შიშით რაიმეს ვაკეთება. არ უყვართ, როცა თავს დასძახიან — შენ ეს არ გესმის, შენ ეს ვერ შეიგნე, ამის ცოდნა არ გაქვსო. პირველყოელისა, თვითონ ხელმძღვანელი უნდა იყოს გარკვეული მიზანში. იცოდეს რა უნდა, ღრმად ესმოდეს ესა თუ ის საკითხი. შესწავლილი ჰქონდეს, რა ამოძრავებს და ხელს უშლის ამ საქმეს. სასჯელით კი არ უნდა შეაშინო ადამიანები, მხარში უნდა ამოუდგე და მოეხმარო მათ. მხოლოდ მაშინ შიალწვე საწადელს. ამას წინათ აქტივის პლენუმმა ბევრი რამ გააკეთა. იგი ღრმად და შინაარსიანად ჩატარდა. ყველა კმაყოფილი დარჩა. მათ შორის სამსონ ლოლუაც. იგი თითქოს კალაპოტში ჩაუდგა, თავიდან განიშორა დაქვეითების შიში. თავი დაანება ერთი კოლ-

მეურნეობიდან მეორეში უაზროდ სირბილს. წინათ იმის ცდაში იყო, ოქმები და სრულად შედგენილი დოკუმენტები თან ჰქონოდა. ეშინოდა, ზემდგომი ორგანოებიდან გასინჯვის შემთხვევაში საჭირო ქაღალდები არ დაკლებოდა, ყველაფერი რიგზე ჰქონდა. ამიტომ მისი კანცელარია მეტს სწერდა და დოკუმენტებს აფორმებდა, ვინემ საჭირო საქმეს აკეთებდა. ბოლოს და ბოლოს, რად ღირს ასეთი მუშაობა? იგი მხოლოდ ბიუროკრატის საფარველია, რომ მუდამ მზად ჰქონდეს თავის დასაცავი ქაღალდები. ასეთი ხალხი ურთ რაპეს ფიქრობს: „არაფერზე პასუხი არ ავოს, საჭირო შემთხვევაში ყველაფერი მეთარეს გადააბრალოს“.

ისევ სამსონ ლოლუა გაახსენდა ლეიბას.

„რაიონში ჩემი ჩამოსვლის პირველ დღიდან ყოველ ჩემს ნაბიჯს დაუწყებს ეპქით ყურება და შემოწმება. სამსონი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის. შემძლო საკადრისი პასუხი გამეცა, მისთვის ომი გამომეცხადებინა, მაგრამ ასე არ ივარგებდა. ზოგიერთმა ეს ჩემს სიტყვებზე და შიშს დააბრალა, მე კი სულ სხვა გზა ვარჩიე. კომუნისტის პრინციპული გზა... სწორედ ამ გარემოებამ შეკრიბა ხალხი ჩემს გარშემო. ისინი მიხვდნენ, რომ მე ანგარების გარეშე მოვითხოვ ხელმძღვანელების სიწმინდეს და შრომას. ზოგიერთი ხელმძღვანელი იმით აფასებდა თავის ნამოქმედარს, თუ რამდენი ადამიანი მოხსნა სამუშაოდან, პასუხისგებაში მისცა და გაათუქა. ზოგიერთს გონია, მოსწრებული და ბევრი ლაპარაკი არის საჭირო. ზოგიერთს გონია, ის არის კარგი რაიკომის მდივანი, ვისაც „ხელი არ აუკანკალდება“ სხვადასხვა საქმის გადასაწყვეტად. მე ეს არც ერთი არ მჯერა. შიშნაქამი ადამიანების, არაჯანსაღად მოაზროვნე ხალხის ხელმძღვანელობა ადვილია. ერთს დაუყვირებ, ან დასჯი და საქმე გათავებულა. ან მოხანი იმ ადვილიდან და მეორეს მისთანას დასჯა. მერე რა გა-

მოვა აქედან?! საქმე კი ის არის, ჰკვიანი ადამიანების ხელმძღვანელები ისინი ყველაფერში შენ ზრდი: უნდა გავმორჩილებოდნენ, დამოუკიდებელი აზროვნებისა უნდა იყვნენ, ვაკაცურად ფიქრობდნენ და სწყვეტდნენ საკითხებს. მათ ხვალინდელი დღის უნდა სკეროვდეთ. მიწაზე ფეხაკრებით და ბანცალით კი არ უნდა დაიარებოდნენ, მტყიცედ უნდა მიამიკვებდნენ დასახული მიზნისაკენ. არც ცული ავღრის ეშინოდეთ და არც მზის ცხელი მხურვალეობა უბრუებდეთ გონებას. ხალხის სიყვარული კი მუდამ გულში უნდა ჰქონდეთ შემონახული. ამ სიყვარულს არც ზმაური უყვარს და არც გამხელა. მას მარტო თავდადებული შრომა და სიწმინდე ამაღლებს ყოველთვის. ასეთი ჰკვიანი ადამიანები პრინციპულები არიან, მათ მხოლოდ მოხმარება სჭირდება, პარტიული კომპასის — პარტიულ დადგენილებათა თავის დროზე გახსენება. სხვას თვითონ შესძლებენ, თვითონ გააკეთებენ, ბევრ რაპეს შენ თვითონაც გასწავლიან.

ადგურმა ჰიშკრის ჰრიალი ვერ გაიგონა.

აიდას ხმამ ფიქრები შეაწყვეტინა.

— ვის ესაუბრები, ადგურ?!
— ვარსკვლავებს, ჩემო კარგო, ისინი შენი თვლები შეგონა და...

— უკვე გვიან არის ასეთი სიტყვები, ისინი თავის დროზე არ გითქვამს, ადგურ... — გაიღიმა აიდას.

ადგურმა ხელი მოხვია აიდას და ოთახში შევიდნენ. სანამ აიდა ტანსაცმელს იცვლიდა, ლეიბამ გაზეთების თვალთვრება დაიწყო. კითხვით დაფიქრებული მისი სახე ელნათურის სინათლეზე უფრო ნათელი და მიწვივდილი ეჩვენებოდა აიდას ახლა. იგი ჰმრის საწოლზე ჩამოჯდა. უნდოდა ადგურისათვის ეთქვა, ტელეფონზე ცაბუსთან საუბარი საწოლების შესახებ, მაგრამ გადაიფიქრა, არ ღირს ასეთი უბრალო რამეებით ადგურის შეწუხებაო. იგი ადგა, ჰმრის პერანგის საყელოს დახედა. უკვე გამოსაცვლელ იყო. უთბ

ჩართო. ახლადგარეცხილი პერანგი გადმოიღო. აიღას თავში იმ აზრმაც გაუარა, ქმრისთვის არც ის დაემალა, თუ როგორ მოხვდა იგი არნოუს ოჯახში და რაზე სწუხდა დედამისი. „არა, არ არის საჭირო, უხერხულია მათი ოჯახის საიდუმლოება მესამე პირმაც იცოდეს. თუმცა ქმარია, მაგრამ ქალი ქალს რასაც ეტყვის, მამაკაცებისათვის ყოველთვის როდია მისი ცოდნა საჭირო“.

— ჩაიცვამ ახალ პერანგს, ადგურ?

— შემობრუნდა ქმრისაკენ აიდა.

— ჩაეიცვამ, მამ, ამბანაგო აიდა, — გაიღიმა ადგურმა. იგი მოეხვია მეუღლეს. მოეხვია და ახლო მოისვა. ცოტა ხნის შემდეგ აიდა ქმარს უყვებოდა ოჯახის ამბებზე, შვილზე — ბესლანზე, თავის დედ-მამაზე, მათი ეზოს ვაშლზე, ყურძნის მტევნებზე, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე რის გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია.

* * *

წვიმის შემდეგ დახეტიალი მიწა გაფუცდა და ნაპრალები წაიშალა. გვალვისაგან დამწვარი და დაბრუკული ფოთლები ისევ იმედინად გაიშალნენ. რტოებზე შემკნარი ნაყოფი გამოცოცხლდა და გამოჯანსაღდა. წვიმამ თამბაქოს პლანტაციები გადაარჩინა. ნახევრად დამკნარი და უდროოდ დაყვითლებული ფოთლები გაიშალა და გასწორდა. ისინი მლოცველის ხელეზივით ცისკენ იყენენ მიპყრობილი. ახლა მათ მცხუნვარე მზე სილამაზესაც აძლევდა. ჩაის ბუნჩქების თავზე ნორჩი, სულ ახალთახალი ყლორტები აფეთქდა. ისინი ნიავის ოდნავ რბევაზე თვითონაც სიცოცხლით აღსავსენი თრთოდნენ და მზისკენ ილტვოდნენ.

იასონი ღინჯად მიამიჯებდა ახუცას მინდვრებში. მისი ხნის ადამიანებმა, როცა ისინი მარტოდმარტო რჩებიან ბუნებასთან, არც თუ ისე იშვიათად, თავისთავთან საუბარი იციან.

— ადამიანს თუ ცხოვრება კარგად აქვს მოწყობილი, მას ყველა პატივსაცემს. ასეთ დროს სიამოვნებით ეხმა-

რებიან კიდევ. თუ კი ფეხი შეეშალა, ცხოვრება გაუფუქდა, მშველენდნენ: მარავინ არ არის, ყველანაშენიანებიან, შორი გზიდან მოუვლიან და სავალს განზრახ აიქცევენ, რათა მას არც კი შეხედონ, ეპ, რას იზაპ, ასე იყო და ასე ყოფილა. სახელგანთქმულ ადამიანებთან სტუმრობა ყველას მიუხარია. ბეჩათან კი ძნელია გამოჩენილი კაცის მისვლა. მხოლოდ ნამდვილი კომუნისტები ფიქრობენ სხვანაირად. ასტანას ახლა უნდა მოხმარება. მე არც გამოჩენილი ვარ და არც სახელგანთქმული, მაგრამ ასტანასთვის ყველაფერი უნდა გაეკეთო.

იასონი სიძინდის ყანაში შევიდა. საშოროდო ყანა ადგილადგილ წელამდე წვდებოდა. იქიდან ჩაის პლანტაციაში გადააბიჯა. ბუნჩქებს შორის თეთრი თავსაფრები ფრიალებდა. ისინი თოლიების ფრთებივით ფარფატებდნენ. იასონმა შორიდანვე დააღვა ასტანას თვალი.

— საქმეები, მგონი, კარგად მიდის, ასტან ჩემო!

— არა უშავს, ცუდი პირი არ უჩანს ჩვენს ნაშრომს.

ორივენი საუბარში შეყვნენ. იქვე ჩაიმუხლეს.

სწორედ იმ დროს არნოუ და გერა მანქანის ფანჯრიდან ათვალეობდნენ ყანებს. ერთი გზის მხარეზე გერა იქირობოდა, მეორე მხარეზე — ნაურბა.

— შეჩერდი! — უბრძანა ხუტას არნოუმ.

ორივენი მანქანიდან გამოვიდნენ და ჩაის მკრეფავ ქალიშვილთან მივიდნენ. ეს ანისია იყო.

— ხომ ხედავ, როგორი ნაზი ხელები აქვს ამ გოგონას და რამდენს მუშაობს? ახლა განა იგი ღირსი არ არის, რომ მისი სახელი მთელს აფხაზეთში სადილებლად იქცეს?!

— რასაკვირველია, ნამდვილად ღირსია. ამ ქალიშვილის თითები მისი ნაკრეფი ჩაის წონა ოქრო ღირს. — გერამ ეს ისე თქვა, ეტყობოდა, ძალიან უნდოდა გონებაშეხილობა გამოეჩინა. .

ჩაის ფოთლის მისაღებ წერტზე ბრი-
გადირი კუბტა დახვდათ. შეხედა თუ
არა სტუმრებს, წამოხტა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მობრ-
ძანდით.

— დღეს ცოტა მკრეფავეები ჩანან,
ხომ არ დახოცილან, რა მოხდა?

— მართლაც რომ არ ჩანან, — გაი-
მეორა გერამ.

— გუშინ და დღეს ცოტა დავლარიბ-
დით, ასტანამ წაიყვანა მკრეფავეები.

— შენ კი მის ჩრდილს ეფარები და
კანკალებ ხომ? რას გამოლენჩებულ-
ხარ!

— მე შენთან სადილის შემდეგ ვა-
პირებდი ჩამოსვლას.

— სადილის შემდეგ, ნასალიღვეს,
ახლა ისიც თქვი, ხვალ ჩამოვიდოდი-
თქო, წარმოგიდგენიათ, ის აპირებდა..
ფიჭობდა... ჩაის ბუჩქები განა შენ
ფიჭოს უყურებს და უცდის? სოხუმი-
დან რომ ვინმემ ჩამოიაროს, ფოთოლს
გადაწიფება და გაუხეშება შენიშნოს,
პასუხს ვის მოთხოვენ, მოთხარი ერთი,
შენ თუ ასტანას მოთხოვენ პასუხს?

— რასაკვირველია, თქვენ ავებთ ყვე-
ლაფერზე პასუხს, — უპასუხა გულმარ-
თლად კუბტამ. ის არასდროს არ ღელა-
ვდა და მისი წონასწორობიდან გამოყ-
ვანა ჯერ ვერავის მოეხერხებინა. ამავე
დროს კუბტამ კარგად შეისწავლა, თუ
როგორ უნდა უპასუხოს თავმჯდომარეს
ასეთ შემთხვევაში. უეტესია მოიკაცვო,
მოიხარო, ისე აჩვენო თავი, თითქოს ნა-
მეტანი შეგეშინდა ასეთი მრასხანე თავ-
მჯდომარისა. დე, მან იყვიროს, ხმა ჩაიხ-
რინწოს რამდენიც უნდა, ამის დრო თუ
აქვს. შენ რა დაგაკლდება.

გერაც რაღაცას ბურტყუნებდა თა-
ვისთვის. კუბტა მას არ უსმენდა. მისი
ლაპარაკი ისევე არ აღლევებდა, რო-
გორც მოედანზე მომაბეზრებელი მუ-
სიკით ხამაძლა მყვირალა რადიო.

არნოუს კი გერას წამსისინებელი
სიტყვები გულზე ცეცხლავით ეღებო-
და, კიდევ უფრო ღელავდა, ბრაზდებო-
და, აშხელა კაცი ციბრუტივით ხტუ-
ნავდა.

— ბევრი აღარ უსმენს ჩვენს ბრძ-
ნებებს, თავდაჯერებული გაჩნდნენ მად-
რამ ეს ასე კარგს არავეს... მოუტყნენ
ხერის არავეს დააყრის.

— კი, არაფერი არ გამოუვათ! — ისევე
ჭაიმეორა გერამ.

— ერთი ვნახოთ, როგორი გულადი
ბიჭები გახდით ამ ბოლო დროს! —
ახლა უკვე ბლაოდა არნოუ.

— დიად, დიად, ვნახოთ... ვნახოთ, —
კიდევ ეხოსავით ეხმიაინებოდა გერას
ხმა არნოუს ბლავილს.

— აბა, ახუცაში გავსწიოთ.

— გავსწიოთ!

მანქანა მთის ირემივით გაიჭრა გო-
რაკებზე შეფენილ გზაზე.

სველ გზაზე ნაკვალევი ისე რჩებოდა,
თითქოს არნოუს გულის სიბრაზე მან-
ქანის ბორბლებს აჭერდა მიწაზე და ლა-
რავდა.

— ასტანა... ისევე ასტანა.. მე მას ვუი-
ვენებ.. — კბილების ხრჭილით ამბობ-
და არნოუ და თან ხუტას აჩქარებდა.

ეს უბრალო გაჯავრება როდი იყო. ეს
იყო ის, რომელიც არნოუს ძილს უფრ-
თხობდა. რომ გეკითხათ, ნათლად ვერც
კი გეტყოდათ, თუ რამ შეაჯავრა ასე
ასტანა არნოუ ნაურბას, მაგრამ გუშა-
ნით ხვდებოდა რა თავის სისუსტეს,
შხამს ამ ბრიგადირზე ანთხევდა.

არნოუს ამ დროს თავი იმ გემის კა-
პიტნად წარმოედგინა, რომელსაც მეო-
რე, შეიძლება უფრო მომცრო, მაგრამ
სწრაფმავალი გემი ეწევა. რომ სწრაფ-
მავლის კაპიტანი სულ მალე სწორედ
ამ დიდ გემზე გადმოჯდება და უბელ-
მძღვანელებს მას. ეს დრო შორს როდი
იყო. არნოუ გრძნობდა, რომ ეს წუთე-
ბი თანდათან ახლოვდებოდა, თანდათან
ასტანა მისთვის საშიში მოწინააღმდეგე
ხდებოდა.

ეს დიდი ხანია იცის ნაურბამ. ბო-
ლოსდაბოლოს, მათ ერთად დაამთავრეს
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ორი-
ვემ კოლმეურნეობაში ბრიგადირად
დაიწყო მუშაობა. არნოუ უცებ წავიდა
წინ, აფრინდა, დიდების კვარცხლბეკზე
მოექცა. მას შეეძლო ადამიანების წი-

ნამძღლოლობა. გამბედავი იყო, შრომას არ გაუტბოდა. ბევრ მის მეზობელ კოლმეურნეობას როდი შეუძლია დაიკვებნოს ისეთი სიმდიდრე და წინსვლა, როგორც ეს არნოუს კოლმეურნეობამ შესძლო მისი თავმჯდომარეობის დროს. სხვები ისევ ერთ ადგილას არიან და მიწას სტკეპნიან. ყველაზე ცბელ დღეებშიც უნიათოდ მუშაობენ და ამიტომ გაქირვებულებიც არიან. „კერაზის“ მინდვრები კი ახალი ტექნიკით აივსო, ადამიანებმა სახელი გაითქვეს. სიმდიდრემ ნამდვილად იმატა და დოვლათი უხვი გახდა. ყველაფერი ეს არნოუს ნიჭსა და უნარს უნდა მიეწეროს. ასტანა კი ისევ ბრიგადირად მუშაობდა. იგი დინჯად, ჩაფიქრებით მიპყვებოდა საქმეს. მას არ შეეძლო პატარა რამის დიდ მოვლენად გადაქცევა. საღებავებო არ ყოფნიდა სხვების თვალების ასაბრქვიალებლად. მის ხელში ყველაფერს თავისი ბუნებრივი და ნამდვილი ფერი ქონდა. მას არ შეეძლო მოვლენების გაფერვა და გალამაზება. ხეირიანად სიტყვას ვერ იტყოდა. აზრი მდიდარი ქონდა, სიტყვა კი ძუნწი. მხოლოდ მის ახლოს მომუშავეებმა იცოდნენ, რომ ეს ახალგაზრდა სულ სხვანაირი კაცი იყო. იგი ასჯერ ზომავდა და ერთხელ ჭრიდა. ზვალანდელი დღის საქმეს ხელისგულზე უყურებდა. არც სხვას ეტყოდა ტყუილს და არც ვინმეს გააბედვინებდა მის გაეცურებას. სათქმელს პირდაპირ იტყოდა. ჩრდილი მხოლოდ მზისპირზე დაყვებოდა, ისე კი უჩრდილო კაცო იყო. რა ექნა, თორემ იქაც მოიშორებდა ამ ჩრდილს. აქი თვითონ ხუმრობდა: — ადამიანს მზის გარდა, სხვა ჩრდილი არ უნდა დაყვებოდესო. — აწუხებდა სოფლის ჭირვარაში. გული ტკიოდა და უყვარდა თავისი ხალხი. მან იცოდა, რომ ვენახს და ბაღებს, წვრილფეხ საქონელს, მეფრინველეობას და მეფუტკრეობას, თუკი გულით და სულით მოკიდებდნენ ხელს, ხალხის გამდიდრება შეეძლო. რასაკვირველია, ამას თავის და ხელის განძრევის გარდა, სხვა რამეც სჭირდებოდა. ამისათვის ფული იყო სა-

ჭირო, ფული. „კერაზის“ გამგებობას ამისათვის ყველაფერი შექონდა. ფული წყდებოდა ასტანს, რომ არნოუმ მას ვერ გაუგო. ბრიგადირმა ისიც კი ზუსტად გამოიანგარიშა, რომ თუკი საქმეს ასე წაიყვანდნენ, სოფელი ერთი-ორად გამდიდრდებოდა. ამისთვის ყველაფერი იყო ახუცაში. ერთი ნახეთ, რა მუხნარია, თითო რკო ათ გრამ ქონს მოუმატებს კარგი ჭიშის ღორს. ახლა საბაღახო აღვილები, დღეულები და ნაკადულები ხომ მცურავ ფრინველთათვის წამალია. მალარი ვენახი რას გვიფუჭებს, გასხვლა არ უნდა და შეწამვლა. სწორედ ამ საკითხებს აყენებდა ასტანა თითქმის ყოველ კრებაზე, არნოუს კი სხვა გუჟანი ქონდა. „ამათ უნდათ კოლმეურნეების თავისკენ გადაბირება, ხალხი უნდათ ამიჯანყონ. რასაკვირველია, ისინიც მათი მომხრეა. ისონს კი წონა აქვს, ავტორიტეტული კაცია, სოფლის სანჯოს თავმჯდომარეა. არ გამოგივათ, არც მე ვარ დედინაცვლის გაზრდილი. მეც ვაიცი საიდან მოგიაროთ თავი“. არნოუმ კარგად იცოდა, რომ მაშინდელ ხელმძღვანელობას მხოლოდ მედროვე მაჩვენებლები აწუხებდა და აკმაყოფილებდა. საჭირო იყო ისეთი ციფრები, რომელთაც მხოლოდ დღეისათვის ქონდა მნიშვნელობა. ეს მაჩვენებლები ისეთი უნდა ყოფილიყო, დიდი ხმა და გასაჯვარი ქონოდა, რაიონი გაეოცებინა, სხვა რაიონებს სამავალითოდ გამოდგომოდათ. არნოუს მის დღეში რა უზრუნია დიდი მომავლისთვის. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რაც ხელმძღვანელობას დღეისათვის სჭირდებოდა. არსულაში ჩაი იყო და მთავარი საქმეც ეს გახლდათ. დანარჩენი არნოუს ზედმეტად ეჩვენებოდა. პართალი რომ თქვას კაცმა, არნოუ ნურბას საოცარი ალლო ქონდა. ის იმ წუთშივე ხდებოდა, რა იყო საჭირო, რათა მისი საქმე ქვეყნად გასაშუქრებელიყო, ყველას გასაოცებელი გამზდარიყო. ის ამით თავს აწონებდა და აყვარებდა ხელმძღვანელებს. ისინიც მას პატივისცემით ეპყრობოდნენ. არნოუც მათგან იღებდა მუშაობის

მაგალითს. ის კი არა, მისი მიხვრა-მოხვრა, სიარული თუ ლაპარაკი რომელიც ხელმძღვანელს აგონებდა ყველას. რომ გეკითხათ, რომელსო, ვერ გეტყოდნენ. ეს იმიტომ, რომ ერთისგან ერთ რამეს სესხულობდა, მეორისგან — მეორეს. საერთოდ კი, თავისთავს არ ეყუთვნოდა, ყველაფერი სხვისი ჰქონდა. მას ნამდვილად სწამდა, რომ ასეა საქირო, რომ სხვანაირად არც კი შეიძლება ცხოვრება.

ლაპარაკი მან მართლაც კარგი იყო, დამაჯერებელი, ამაღლებელი, გონიერი. მისი სიტყვები მერდინში გაცრული იყო. ტალახს და ლექსს არ იკიდებდა. ისონი და ასტანა მას ხელს უშლიდნენ სოფლის ერთმართველი ყოფილყო. მან გაუჯავრებლად შოიშორა ისინი თავიდან, ერთი შორეული სოფლია საბჭოს თავმჯდომარედ გადააგზავნა, მეორე — ბრიგადირად. „იყენენ იქ, ქექონ და იმუშაონ. რას დააკლებენ იქიდან ნაურბას ეს ინტრიგანები“. არნოუს წამდა, რომ ასტანა იმ ხროვ და გადაკარგულ უბანში გამგეობის დახმარების გარეშე ვერაფერს გააკეთებდა. ბოლოსდაბოლოს, მას მოწყინდება ასე ეულაჟ უკაცრიელში მუშაობა და არსაუღლადან გაიქცევა, სოფელს მიატოვებსო.

არნოუს რაიონში ულაპარაკოდ უქერდნენ მხარს. რასაც იტყოდა, ხელმძღვანელები დაუფიქრებლად უსრულებდნენ. სამსონ ლოლუა ხომ მაინც ყველაფერში ენდობოდა. სამსონისთვის ნაურბა ისეთი განძი იყო, რომლის გარეშე რაიონს ცხოვრებაც არ შეეძლო. არნოუმაც გადაიღო ხელმძღვანელების ჩვევები. თუ ვინმე გეწინააღმდეგება, არ გემორჩილება, სხვა აზრის არის ამა თუ იმ საკითხზე, უნდა გააძევო, სოფლიდან განდევნო. ასე შერებოდნენ რაიონში, ასე აკეთებდა არნოუც არსაულაში. მაგრამ ახლა კი სულსხვანაირად წაივდა საქმეები. ნაურბა დაიბნა კიდევ. მან ვერ გაიგო, რა მოხდა. შრომით აღნოუ ბევრს შრომობს, გეგმას ასრულებს, ძალასა და ღონეს არ იშურებს სოფლის გამოჩენისათვის; „კერაზი“

სხვა კოლმეურნეობებს კვლავ წინ უსწრებს ყველაფერში, აღგურქულებს; ცი რალაცას უწყობს მას, არ მტხრომს მას არაფერი. ყველაფერს ემვის ქვეშ აყენებს. ასტანამაც ხმა აღიშალა, აღარავის ერიდება, პირდაპირ მოქმედებს და თავისებურად, მის უკითხავად სწყვეტს საკითხებს.

დღესაც რა გახდება. ჩაის მკრეფავები მის უკითხავად გაუშვა იქიდან, სადაც არ შეიძლება ერთი ფურცელიც დარჩეს მოუკრეფავი. იქ ხომ სოხუმიდან მიმავალი ხელმძღვანელები ყოველ საათში ჩაივლიან მანქანებით. რას იტყვიან გაუხეშებულ, მოუკრეფავ ფოთოლს თვალს რომ დაადგამენ. არა; ეს პირდაპირ მისი ავტორიტეტის ფეხქვეშ გათელვია. თუმცა ლეიბა რას დაგადევს მის ავტორიტეტს. მას უკვე ასტანა გამზადებული ჰყავს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ბოლოსდაბოლოს, ცოდნა აქვს მასზე ნაკლები თუ ხალხს არ უყვარს იგი? არნოუმ უკვე კარგად იცის, რომ ასტანას მთელი სოფელი მხარს დაუჭერს. რაიკომი კი ამას სიხარულით შეხვდება. მერე არნოუმ რა უნდა აკეთოს, სად წაივდეს? ასე საქვეყნოდ განთქმული კაცი აგრონომად ხომ არ დაიწყებს მინდორში სირბილს? განა ეს ეკადრება ამდენი დეაწლისა და დიდების შემდეგ? განა ისევ თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი? ისევ დღელამე უნდა ათიოს და ისევ პირველი საფეხურებიდან დაიწყოს სვლა ცხოვრების ამ მიუწლომელ კოშკზე? ეს ფიქრი, რომელიც აღმასხანის ძმის ჭორწინების დღეს ჩაებუდა თავში, ახლაც აწვალვდება. ერთ-ერთი კაცი გერაა, პარტორგანიზაციის მდივანი, რომელიც მას ფეხებზე ეხვევა და ლოკავს. ამიტომ სოფელში მასაც ცუდად უყურებენ, არაფრად აგდებენ. დიდი ხანია პარტორგანიზაციის კრება არც კი მოწვეულა. არცერთი საკითხი არ დასმულა და განხილულა. უკვე რამდენი ხანია, პარტიაში არავინ არ მიუღიათ. ნუთუ, სოფელში არავინაა ისეთი, რომლის მიღება პარტიაში შეიძლებოდა. ნუთუ, ამას

ვინებისა და ლანძღვის ხასიათზე ხარ. ერთხელ არც კი გიციოთავს, თუ რა აწუხებს და სჭირდება ბრიგადის, რით ცხოვრობს და სუნთქავს ბრიგადის თვითული წევრი. ახლაც იმას მაყვდრი, მკრეფავები რისთვის არ გავუშვი სხვის საკრეფში.

— თუ მე მკრეფავებს იქ ვგზავნიდი, ალბათ, ასეც იყო საჭირო. ვანა შენ ჩემზე უკეთ იცი, რომელ უბანზე არიან უფრო მეტად საჭირონი. მე ჩემი თავა და მოსაზრება მაქვს ამხანაგო ასტანა!

— ყველას ერთი თავი აქვს ამ ქვეყნად და ყველა თავისებურად აზროვნებს. ვანა ჩვენი თავი და ფიქრი არაფრად არ ღირს.

— მთავარია, წესრიგიანად ვიყოთ, უფროს უმცროსი ვიცოდეთ, პარტიულ დისციპლინას ვემორჩილებოდეთ.

— პარტიული დისციპლინა ყველასათვის ერთია, ამხანაგო გერა. ის არც ფერით არჩევს ვისმე და არც თანამდებობით. დისციპლინა მხოლოდდამხოლოდ პარტიულ სიმართლეს ემსახურება. სხვა საზომი მისთვის არ არსებობს.

იასონმა ეს გერას უთხრა, მაგრამ არნოუ მიხვდა, ვისაც უნდა გაეგონა იასონის ნათქვამი.

— ბრძენაკობას თავი დიანებუ, იასონ. მე აღამიანებს ძვლიანტყავიანად ვიცნობ. შენიც კარგად მესმის, ცუდად როდი გიცნობ. შენი ფიქრი და ზრახვაც ვიცი. ხომ არ გიკვირს, იასონ, ეს ასე რომ არის?!

— საკვირველი რა არის, არნოუ, ყველამ ვიცი, რომ შენ ახლა ყოველ საქმეში ერთ ფერს ამჩნევ. უფრო შავი გალანდება, ვინემ ნათელი საქმე.

— ტყუილია, ჩემი თვალები ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს. უბედურება ის არის, რომ მე კარგად ვუშხერ, როგორ მახეებს მიგებენ ირგვლივ ჩემი მტრები. იცოდე, იასონ, კარგად ვხედავ ამას, კარგად.

— არნოუ, ნამეტანი დიდკაცად ნუ წარმოიდგენ თავს. არავის აზრად არ მოსდის შენი გაფუჭება. შენ თვითონ მოიშორე ის ბალახ-ბულახი, რომელ-

შიაც იხრჩობი. მხოლოდ შენთვისაა ეს საჭირო.

— არაერთარი ბალახ-ბულახი რეველები არ მახლავს. მე გთხოვთ, ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებთ.

— არა ხარ მართალი, არნოუ, ჩვენ შენი ამხანაგები ვართ და გულგრილად ყოფნა არ ძალგვიძს. ჩვენ ხომ ერთად ვმრომობთ და ვცხოვრობთ. შენ ყოველი ჩვენი სიტყვა მეხის დაცემად გმყენება. ჩვენ გულით გვინდა შენთან ერთად მხარდამხარ ვიმუშაოთ, შენ კოთვალი ეშმაკებისკენ ვაქვს და, ვინ იცის, რას არ გვაბრალებ. — იასონი აღელდა, თავისმა ლაპარაკმა იგი თანდათან თვითონვე გააბრაზა.

— ამხანაგებო! მე კიდევ გეუბნებით, რომ ჩვენ დისციპლინა არ გვაქვს. ხელმძღვანელობას პატივს არა სცემთ. არნოუ ჩვენი მეგობარია, ჩვენი ხელმძღვანელია, ჩვენი უფროსი ამხანაგია. რა კომის ბიუროს წევრია. — ეს სიტყვები გაუბედავად და თვალების ცეცებით თქვა გერამ. ეშინოდა, ვაი თუ არნოუს ისევ არ მოეწონოს ჩემი ნათქვამი.

ახლა კი შეცდა გერა. არნოუს მისი ნათქვამი ჰკუაში დაუჭდა. აბა, თვითონ ხომ ვერ გაახსენებდა მათ, რომ უფროსი და პასუხისმგებელი ამხანაგი იყო.

— შე ვიცი თქვენი ფიქრი და ზრახვა. თქვენ გინდათ შარი მოძლოთ, ჭორები გაავრცელოთ, სახელი გამიტეხოთ და თავმჯდომარის ადგილიდან გადმოამგდოთ.

ამ უკანასკნელმა სიტყვამ თვითონვე არნოუს გაუარა ლახვარივით. ეს უკვე მტრისმტეი იყო. ნაურბა მათ ესეთ ზრალდებამ უყენებდა, თითქოს უკვე რაღაც გჭუფები არსებობდა მის წინააღმდეგ.

— ცუდია, ცუდი ასე ლაპარაკი, ამხანაგებო! დისციპლინა არ გივარგათ, ერთიმეორეს პატივს არა სცემთ. — ისევ ჩაერია გერა.

— ნამეტანი იქაქები, გერა, ნამეტანი. ენაზე სულ დისციპლინა გადევს და თითონ კი არ გესმის შენი ნათქვამი. შენ არნოუს ჩრდილი ხარ. სულ მის ნათქ-

ვამს იმეორებ თუთიყუშვიტ. განა ასე შეშვენის ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანს?! — შეუქაზა ასტანამ გერას და პირდაპირ მოარტყა ნასროლი. გერას კი არა, არნოუს მოხვდა გულბოყვეში. ასეთ გულწრფელ სიტყვებს, კაცმა რომ თქვას არნოე არ მოელოდა. ნაურბას ერთი წამითაც არ უფიქრია სხვა რამე, გარდა იმისა, რომ ეს იასონის ნასწავლები იყო, რომ ასტანა მის გარეშე ამას ვერ იტყოდა. არნოუს როგორც სხვა დროს, ისე უნდოდა მწვავედ გაეცა პასუხი, მაგრამ ენა ჩაუვარდა, გამოლენჩდა, გაყვეყჩდა კაცი. პირველად იგრძნო მან, რომ სადღაც გაწყდა მისი მთავარი ძარღვი. გაიბზარა ის, რისი გამოთვლება უკვე აღარავის აღარ შეეძლო. ერთი რამ მისთვის ცხადი გახდა; ახუცაში იასონთან და ასტანასთან შეხვედრამ ღრმად განუმტკიცა ის აზრი, რომ მათ ვიღაც აქეზებდა მის წინააღმდეგ, რომ მარტო იასონი და ასტანა კი არა, ვიღაც დიდი კაცი ადგა მათ ზურგს უკან. სწორედ ის უხილავი, ჭერჭერობით ბნელში მდგარი კაცი მისი მტრების ბანაკს მეთაურობდა. ენახოთ, ვინ ვის წააქცევსო, გაიფიქრა ინტიმარგატეხილმა არნოე ნაურბამ.

* * *

სამსონ ლოლუა მეტად განიცდიდა ყველაფერს. ის გრძნობდა ქარიზმლის მოახლოებას და გულისფანქვალით ხედებოდა მოსალოდნელ უბედურებას. „ორ ცეცხლშუა ვარ ჩავარდნილი, ორ ცეცხლშუა“, იმეორებდა სამსონი ერთი-დამთავრებულ ფრანსა. არნოე კი სულ სხვანაირად ამბობდა— „ლეიბას უნდა ჩვენთან თავი გაითავისუფლოს, მოგვხსნას, გაგვათახსიროს“.

ამ მხრივ თითქოს სამსონი არ ელოდა რაიმეს. ვერ ამჩნევდა ლეიბას ასეთ სურვილს. არნოე კი სამსონს ყურებში ჩასძახოდა, „ფხიზლად, სამსონ, წინ და უკან ჩვენთვის გამოადგებულა დასაღლები ორმოები. ფრთხილად, ერთი ფეხის გადაბრუნება და გადავიჩნებებით, მოვისპობით“. ასე დაუქინია არნოეს,

ყოველთვის ასე აქეზებს და აგულობს ნაურბა სამსონ ლოლუას უნდა ამ არნოეს, ვერ გაგვტყავს სამსონს. ლეიბას ისეთი სახე და შებლი აქვს, მისი პატრონი გულჩახვეული და ბოროტი არ შეიძლება იყოს. ახლა თვალელები? თითქოს გუშინ დაბადებულ იყოს. ნამდვილად ბავშვის წმინდა და შეურყვანელი გამოხედვა აქვს. თუმცა შეიძლება გამოცდილი ინტრიგანია, შურიანი და ბოღმიანი ადამიანია, მაშინ? მაშინ არნოე მართალი ყოფილა. ლეიბას ვერაფერს ვერ მოუხერხებს, საბუთს არ იძლევა, მკუთთ იქცევა. შეცდომებს ერიდება, თითქოს წმინდა კაცი, ცუდს არაფერს აკეთებს. რა ქნას ასეთ დროს სამსონ ლოლუამ, რა ღონე იხმაროს, ადგური თევზივითაა, ხელს ვერსად ჩაავლებ, ისე მიტოვავს კალმახივით. სიმწვავეს და ჩხუბს ერიდება, შერ კი თითქოს სიზმარში აქნევედ უნითოდ ხელებს, ისე გამოყავს. ბოლოს-დაბოლოს, ხელი მას უნდა შემოკრა კაცმა, ვინც თვითონ მოგიქნევს მარჯვენას. ლეიბასთან კი რა უნდა გააწყოს. სანამ შეხვდა, სურვილი გაქვს ნიღაბი ჩამოხსნა მის თაღლითობას, გააშიშვლო მისი ბოროტი ზრახვები, ახლოს მიხვალ და თითქოს ცივი წყალი გადაგავლეს, ისე გაქრება ყველაფერი. ენაც კი არ მოგიბრუნდება რაიმე ცუდის სათქმელად. ამ მძიმე და მძლევაზე ფიქრებში იყო სამსონი, როცა არნოემ მისი ეზოს ჭინკარი შემოაღო.

— საღამო მშვიდობისა, სამსონ, — მიესალმა არნოე.

— საღამო მშვიდობისა, — უხალისოდ უპასუხა ლოლუამ სტუმარს.

სამსონი ახლა არ შეეგება არნოეს, თუმცა ბოროტი თვალით არ შეუხედავს მისთვის.

— რა ახალი ამბები იცი, არნოე?

— კარგს ვერაფერს გეტყვი, — უცებ დაახალა არნოემ.

— რა მოხდა, კაცო, ქვეყანა ხომ არ გადაბრუნებულა, ცეცხლი ხომ არ გაგვიჩენია და ვიწვით? — ხუმრობა სცადა სამსონმა.

— ვიწვით, ვიბრულებით, ჩემო სამსონ. ასტანა და იასონი ძალზე გათამამდნენ. ისინი აშკარად გამოვიდნენ გერას წინააღმდეგ, როგორც პარტორგანიზაციის მდივნის წინააღმდეგ. მარტო მას რომ ებრძოდნენ, ჯანდაბას მაშინ, ხომ გახსოვს, ვინ აარჩევინა გერა მდივანდ. რასაკვირველია, შენ აარჩევინე. მასხადამე, ვის ებრძვიან ისინი ამჟამად, უსათუოდ შენ გებრძვიან, შენი გაფუჭება უნდათ. ჩემს შესახებ კი ნუ იტყვი! საქვეყნოდ დამცინიან, მასხრად მიგდებენ. მე მაგათ გავუსწორდებოდი, მაგრამ მაგათ ზურგს უკან სხვა კაცი დგას, სხვა კაცი.

არნოუმ ყოველთვის ასე იცოდა სამსონის წაქეზება და გაღიზიანება. ხშირად დაუმორჩილებია მას ამ გზით რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე. ახლაც სამსონი ყურადღებით უსმენდა არნოუს. იგი უკვე დაქვევებული იყო მისი ნალაპარაკების სისწორეში. სადაც გულის სიღრმეში ვერ იკიდებდა ფეხს არნოუ ნაურბას მხურვალე სიტყვები. მისი მტკიცებაც არ ეჩვენებოდა სამსონს დამაჯერებლად და დასაბუთებულად. სამსონი გულგრილად უსწენდა. არნოუმ ეს შენიშნა და გაცეცხლდა:

— მე ვხედავ, ჩემი არ გჯერა, სამსონ-ბატონო. ეს ვერ არის კარგი საქმე. მალე დაიჯერებ და მაშინ გვიან იქნება. მე ჩემი ვალი შევასრულე. ვითხარი და გაგაფრთხილე. აწი თვითონ იცი, როგორც გესურვება, ისე მოიქეცი. როგორც შენი გონება გეტყვის ისე იარე, ძმაო.

— არ ვიცი, არ ვიცი რა ვიღონო და ვითხრა ჩემი კარგო მეგობარო, არნოუ.

— ამით სამსონს ის უნდოდა ეთქვა, რომ წინათ სულ სხვა იყო. მაშინ ჩაგდებოდი მანქანაში, ჩახვიდოდი არსაულში, კრებას მოიწვევდი და საქმეც გათავებული იყო. ან კიდევ გამოიჩნებდი ბიუროზე ორივეს, სამაგალითო ბრალდებას მოუნახვდი, და სამაგალითოდვე დასჯიდი, რა იყო ამაში? გასაკვირველი და ძნელი? არაფერი. ახლა

ეგრე ვერ მოგართევს. ამ დროში ასეთი რამეები აღარ შეიძლება.

სამსონმა არნოუს თვალგამოწყნებულად — გისმენ, ბატონო ჩემო! — თავდახრით და იმედიანი ხმით უთხრა: არნოუმ სამსონს.

— იცი რა უნდა ვითხრა, არნოუ, მოდი საქმეს მოვკიდოთ ხელი. ეს ლაპარაკი კი დავეიფოთ. ხომ არ შევუხვევით უნებლიედ მე და შენ ჩვენთვის უცხო მოსახვევეში. მე ამას უკვე კარგა ხანია ვგრძნობ. დიად, დიად, ჩვენ რაღაც არ გამოგვიდის კარგი საქმე. დავანებოთ თავი ამ ასტანას და იასონს, განა მაგათზე უფრო ცუდი ხალხი ქვეყნად არავინ გამოჩნდა?

არნოუ ტყვიანაკრავით შემობრუნდა და სამსონს ზურგი მიუშვია. მას ახლა აღარ შეეძლო გუშინდელი ახლო მეგობრის თვალდათვალ ყურება. იგი დიდხანს იყო გაჩუმებული, გარინდებული. მისი ფიქრები შორს მიდიოდა. მერმე მკლავები მოხარა, იდაყვები მაგიდას დააბჯინა და თავი საკუთარ ხელებში თითქოს დასამალავად ჩარგო.

„აი სადამდე მივიდა სამსონ ლოლუა“. გაიფიქრა არნოუმ.

უხვმა მოსავალმა ჩაის ყლორტი ზომამზე შეამწიფა. მუშახელი არ ყოფნიდა კოლმეურნეობას. საკირო გახდა ყველა შრომისუნარიანი ჩაის საკრეფად გამოსულიყო.

— შეიძლება მეც რამეში გამოვადგეთ. — თქვა მოხუცმა აბდამ და მწკრივში ჩაულგა მკრეფავებს, იგი მართლაც წაეპოტინა ბუჩქებს, ცოტახანს კიდევ ტეხა და კრიფა ყლორტი, მაგრამ უცებ დაილალა. მუხლმა და გულმა კანკალი დაუწყო. ძაღლონემ უმტყუნა.

აბდას თხოვეს ჩრდილში მოესვენა და მათთვის ხელი არ შეეშალა. ეს მხოლოდ მაშინ შეძლეს, როცა შუადღისას მზემ ისე დააქირა, რომ კარგ ვაეკაცაც ჩრდილს მოაქებინებდა.

— მართალი ბრძანდებით, მე ალბათ ხელს გიშლით. წავალ... მეტი რა ღონე მაქვს.

იგი კაკლის ჩრდილში ქვაზე ჩამოჭდა, ნაბღის ფართოფარფლიანი ქუდი მოიხადა და ახალგაზრდებს დაუწყო ჰკრეტა. იგი ხედავდა, თუ როგორი სისწრაფით, როგორი ლამაზი მიმოხვრით კრეფდა ჩაის ფოთოლს ციცი, მის ახლო ადიცა მიყვებოდა სერგელს, მოშორებით კი თითქოს ხალხისგან განდგომით ანტიცა-გამყიდველი ზღაზვნით ქნევდა ხელებს. აბღამ შენიშნა თუ არა იგი, გულწრფელად წამოიძახა: — ჩემს სიცოცხლეში ამის მსგავსი ზარბაძე არ შემხვედრიაო. მისი სიცოცხლე კი არც ისე მოკლე გახლდათ. აბღამ ვერ შესძლო ტყუილა ჭდომა. დოქი აიღო და წყაროს ცივი წყლით მკრეფავებს დაუწყო გამასპინძლებდა. თაკარა მზის გულზე დილიდან საღამომდე მომუშავე ქალებისთვის წყაროს ცივი წყალი ერთ სიცოცხლედ ღირს. ისინიც მოკრძალებით მადლობას უხდიდნენ ბაბუა აბღას. მოხუცს ნამდვილად, გულით უხაროდა, რომ თავის სოფლის მამურაფო ქალებს სასარგებლოს და სასიამოვნო საქმეს უკეთებდა.

არნოუ დილიდან პლანტაციებში დადიოდა. შუადღისას მან უკვე არსაულაში მიაღწია. მისი აბრეშუმის თეთრი ხალათი ოფლით დასველებულიყო და თითქოს გაშავებულიყო კიდევ. ჩექჩეების მაღალი ყელი ოფლისგანვე წვივებს მიწებებოდა. პლანტაციაში ციცი შენიშნა თუ არა, კაკლის ხისკენ გადაუხვია არნოუმ. კაკალს მოუარა და მეორე ბრინჯადისკენ დააპირა წასვლა. სწორედ ამ დროს შეყოვნდა იგი ერთ ადგილზე. შორიდან მისკენ ქალი მორბოდა. ნაურბამ იცნო ანტიცა. ამ ქორიკანა და მომაბეზრებელ ქალს ახლა ერთი სურვილი ჰქონდა — ციცის არნოუს გვერდით დაეხანა იგი.

„გულზე უნდა გავხეთქო, მაგ სასიკვდილე“. ფიქრობდა ანტიცა და არნოუს მისძახოდა. არნოუ, არნოუ, ერთ წაშს დამიცადე, გენაცვალე, საქმე მაქვს, გადაუღებელი საქმე.

არნოუ მიხვდა ანტიცას ჩანაფიქრს. თითქოს არაფერი არ გაუგონიაო, ისე

აუჩქარა ნაბიჯს. ციცამ უკვე შენიშნა ისინი. ანტიცა ჰაკი ცხენრედ გაჩაბოდა ნაურბასკენ.

— ქვებზე შეიშალე, შე ოჯახდასაქცევო?! თავს მჭრი ხალხში, არა? ახალგაზრდა გაბრუნდი თორემ...

ეს თქვა და არნოუ ჩაის ბუჩქისკენ დაიხარა, თითქოს ყლორტებს სინჯავდა და ათვლიერებდა.

ანტიცა უცებ შეშინდა. არნოუს სახე ადამიანისას არ გავდა. მიხვდა, რომ არნოუს მისი ასეთი საქციელის შემდეგ შეეძლო ყველაფერი ეკადრებინა. იგი გალახული ძალღვივით უკანვე გალასლასდა.

„ვიღაცა ჩადგა ჩემსა და არნოუს შორის. ვიღაცას უნდა ნაურბას დამაშოროს. ციცის ამ ბოლო დროს ახლოსაც არ ეკარება. ახლა, ალბათ, ვიღაც სხვა არის, ახალი ვინმეა. ჩემთვის უცნობი ბოზანდარაა“. ბოღმით ფიქრობდა ანტიცა და კალათს უგულოდ მიათრევდა ჩაის ბუჩქებს შორის.

მაღაზიაში ანტიცამ დანაკლისი ჩუმად დაფარა. ნაწილი ფული მშობლებს წაართვა, ნაწილი ისესხა და ახლა მხოლოდ არნოუსთან დამოკიდებულება აღევლინებდა მას. ნუთუ არნოუ მიატოვებს, გულზე ხელს კრავს. რა არის ამ ქვეყნად უფრო საამაყო და საბედნიერო, ვინემ არნოუ ნაურბას მეუღლეობა. ეპ, როგორ გასკდებიან შურისგან მისი მტრები? როგორ დაჯანის ის მაშინ თავის ტოლებს. არნოუს მანქანაც ყავს, სახლკარიც მდიდრული აქვს და მისი დედა ადიცაც ჭერ კიდევ ახალგაზრდაა. ნაურბას დედას კიდევ კარგა ხანს შეუძლია აკეთოს სადილ-ვახშამი. ანტიცას სწორედ ეს უნდა. ოჯახს ადიცა მოუვლიას. ანტიცა კი განცხრომაში იქნება. რას იზამ, იგი ასე გაიზარდა და ასეთი ფიქრით იყო მისი გონება გამოტენილი. შეიძლედიც კი ვერ დაამთავრა ანტიცამ, როცა დღემამამ ნაირნაირი ტანსაცმელი შეუქერა არც თუ ისე ულამაზო ქალიშვილს. იგი იცვამდა ძალზე გემოვნებით. სწორედ ამან შეაცდინა გამოუცდელი და გულწრფელი ერთი

მთიელი ვაჟკაცი. მან იგი სიხარულით შეირთო და ოჯახში მიიყვანა. ორიოდე დღის შემდეგ ანტიცამ ქმარს განუცხადა: გუდოუში უნდა გადავიდეთ საცხოვრებლად, აქ, სოფელში ცხოვრება აღარ შემძლიაო. ქმარი გაოცდა.

— სად წავიდე, ქალო, მე რომელი იწყინებ ვარ, მიწის მუშაკი ვარ და ჩემს სოფელს ვერ მოვშორდები.

— ქალაქში საშუალო მეტი რა იშოვნება, შე კაცო. ოჯახის მონა კი არ მიბადა გავხდე. გუდოუში კულტურულად ცხოვრობენ, მეც მინდა თვალს წყალი დავაღვივინო, ქვეყნის სინათლეს შევხედო.

ვერ გაუძლო მთიელმა ვაჟმა მის კენესას და ტიტყინს. ბევრი ითმინა რა ბოლოს გაშორდა. კარგა ხანი დაიარებოდა უსაქმოდ გუდოუში ანტიცა და ბოლოს არნოუს საშუალებით სოფლის მღაზიაში მოეწყო გამყიდველად.

იმ დღეს არნოუ ძალზე გააბრაზა მისმა ქტევამ. იქედან წასული ნაურბა გერას შეეჩება პლანტაციას. გერა ხომ მის მოადგილედ ითვლებოდა.

— აბარას იტყვი, გერა! სად ყოფილხარ, ახალი ხომ არაფერია!

— მართალი გითხრა, მთელი ხალხი მონღომებით მუშაობს.

— იასონი ხომ არ გინახავს.

— იასონი ასეთი მუშაობის დროს პლანტაციაში არასდროს არ იქნება, ახლა ის, ალბათ, ახუცაში, სადმე გრილოშია წამოწოლილი თავის ასტანასთან ერთად და ახალ გეგმებს აწყობენ.

არნოუმ არაფერი არ თქვა. მხოლოდ თვალბეჭდით ნაპერწკლები გაუმრავლდა ავი ფიქრსაგან.

იმ დღეს არსაუღლები მალალ ვაზშობამდე კრეფდნენ ჩაის ფოთოლს მთვარის სინათლეზე. ანტიცა უხასიათოდ იყო. ადგილი ვერ მოენახა, ისე დაფორიაჟობდა აქეთ-იქეთ. მღაზიაში შევიდა, კალათი დუქნის კუთხეში მიავლო, ისე გარეთ გამოვიდა და დარაბუბი მიხურა. არნოუს სახლის ფანჯრებიდან მხოლოდ ადიცას ლანდი მოჩანდა. შეილი კი ვერ არსად ჩანდა.

როცა მღაზიას ბოქლომს აღებდა, მაშინ შენიშნა არნოუს ლანდუკნტეცაქი იგი კვალდაკვალ დაედგინა. მისი მხარე მეორე მხარეს გადაიარბინა და გამოეციდა. დაავიანა ანტიცამ. არნოუმ ეზოში შეაწერა.

— არნოუ, არნოუ, -- გამწარებით დაიცივლა ქალმა.

ნაურბას არც კი მოუხედავს. მან ხელისკერით შეაღო სახლის კარები.

— ვინ კიოდა, ნან, ასე გამწარებით? — იციოზა შეშინებულმა ადიცამ.

არნოუმ ხმა არ გასცა დედას. სახეზე კი აღმური ჰქონდა მოდებული.

* * *

კვირა დღე იყო. საკოლმეურნეოსასაწრაფო საქმეები მოილიეს არსაუღლებმა. ახლა საოჯახო საქმეებს მოკიდეს ხელი. ზიზიმ სახლის კარები დაკეტა და ქალაქში გაემგზავრა.

აეტობუსის გაჩერებასთან ციცი შენიშნა.

— საით მიემგზავრები, ციცი?

— გუდოუში მივალ, საყიდლებმაქვს. შენც იქეთ ხომ არ მოდიხარ!

— მე დედასთან მივდივარ, ხომ იცი საავადმყოფოში მიწევს. თუ კარგად დამხვდა, მეც გამოვივლი საყიდლებზე.

— მაპატიე, ზიზი, დამევიწყდა მეკითხა, ხომ უკედ არის ახლა დედათქვენი. პირდაპირ სირცხვილისგან ვიწვი, რომ ამდენხანს ვერ ვინახულე.

— რა ვუყოთ, ოღონდ დედა კარგად იქნებოდეს და მეტი არაფერი მინდა ამ ქვეყნად.

ამ საუბარში აეტობუსიც მოვიდა. ჩასხდნენ და ორივემ ყუარასას სანახავად შეიარეს საავადმყოფოში.

დედას ძალზე ესაიამონა, რომ ზიზი მარტო არ იყო. „არ მიუტოვებიათ ჩემი გოგო, მის გარშემო ხალხია, მოსიყვარულე ხალხი. ფიქრობდა დედა და უხაროდა. ციცი დიდხანს ესაუბრა ყუარასას. ზიზიმ ამით ისარგებლა და დედასთან პირის არიდება ამით გაამართლა. მერმე ციცი მოიმიხეზა, ექტარებაო, და მალე გაშორდა დედას.“

— წადით, შეიღებო, წადით, ციცი გაჩერება ასე დიდხანს არ შეიძლება, — კრუსუნებდა ყუარასა.

საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე ორივენი საყიდლებზე წავიდნენ. სავაჭროები საესე იყო ხალხით. ჩითის საკაბეები იყიდეს და შუადღისათვის ისევ არსაულაში დაბრუნდნენ. ზიზიმ მეგობარი ქალიშვილი სახლში არ გაუშვა.

— ხომ იცო, მარტოდმარტო ვარ. ჩემსას უნდა წამოხვიდე.

ციციმ უარი ველარ უთხრა და ქალიშვილები ზიზისთან შევიდნენ:

დიდხანი არ იყო, რაც ზიზი თავისთვის ვერ ცნობდა. მას მეტად აწუხებდა მარტოდმარტო ყოფნა. წინათ იგი მოკრძალებული იყო, სხვებთან შეხვედრებს ერიდებოდა. ახლა მთელი მისი არსება აღფრთოვანებულიყო. წინანდებური შიში აღარ ჩანდა. მას ეშინოდა ხმაშალა ეთქვა თავისი თავისთვის ამის მიზეზი. ციციც ველარ ცნობდა წინათ მორიდებულსა და მორცხვ გოგონას. დღეს იგი მზის ამოსვლისას ცაში შეფეთქებულ და ამღვრებულ ტოროლასავით ჰაკვებდა. ციცი უფრო დაადონა და შეაწუხა ზიზის ამ ცვლილებამ. ზიზიმ აიკანზე გამოუტანა სკამი და ბალიდან ატმებიც მოაყოლა. ციცი თვალწინ დაკრიფა მწიფე და სურნელოვანი მსხალი. პატარა სუფრაზე საუშმეც დააღაგა. ნამგზავრნი და დამშეულნი გემრთილად შეექცეოდნენ ყველაფერს, ოდესღაც ორივენი ერთ სკოლაში სწავლობდნენ და, ბუნებრივია, სკოლის დღეები გაიხსენეს. ზიზიმ არაოულ ახსენა და სახეზე სიწითლემ გადაუარა. ცოტა ხანი ჩუმად იყო და მერმე, უნებლიედ, ისევ ნაურბა ახსენა ქალიშვილმა. იგი ვერ ამჩნევდა, რომ ყოველ მის ხსენებაზე ციცი ისე ხრიდა თავს, თითქოს ატმებს აკვირდებოდა გულიანად. ბოლოსდაბოლოს, დასამალი რა აქვს ზიზის. ციცი ხომ ენატარტალა გოგო არ არის, იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მთელს სკოლაში თავისი კეთილშობილებით და სიღიწით. ციცი მასზე უფროსი იყო და ზიზიმ ადრე დაამთავრა სკოლა. ის ცუდს

არ ურჩევდა უმცროს ამხანაგს. მაგრამ საიდან დაეწყო არ იცოდე, რატომ ურჩევდა ჩაყვით თლიდა ხილს და მათან მძახუნებდა, როგორ გაეგებინებინა ციცი თავის გულისწადები.

— ციცი, განა ადამიანს შეუძლია ფრინველივით ამაყად იფრინოს ცის ტატნობზე? — მოულოდნელად იკითხა ზიზიმ.

— ძნელია პასუხი, ამის გარდა, მე არც ვიცი, რა გაწუხებს შენ.

— რა მაწუხებს? ეთქვათ, ყველაზე ძლიერი გრძნობა მაწუხებდეს, მაშინ რას იტყოდი, ციცი?

სტუმარი გოგონა გაოცებით შეაჩერდა ზიზის. იგი თითქოს მიხვდა, რაც აწუხებდა ქალიშვილს.

— ყველაზე მეტად რა ახარებს ადამიანს, ციცი? — ისევ ჰკითხა ზიზიმ.

— ვერ გეტყვი. გააჩნია, ვინ არის ის ადამიანი.

— ქალიშვილ ქალს რა ახარებს ყველაზე უფრო ამ ქვეყანად?

ციცი ვერ კიდევ ვერ გაერკვია რას გულისხმობდა ზიზი, მაგრამ გრძნობდა, რაღაც ისეთს იტყოდა ეს გოგონა, ციცი სულს აუფორიაქებდა.

— სიყვარული, სიყვარული ახარებს ქალიშვილს ყველაზე უფრო, — წამოიძახა ზიზიმ. — მე თვითონ დავრწმუნდი, ეს არის ადამიანისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება.

— ეს მართლაც ასეა, მაგრამ სიყვარული, არც თუ ისე იშვიათად, აბრმავებს ადამიანს, სწორ გზას აცდენს. ცხოვრებას უმწარებს.

— ოდესმე ვინმე გყვარებოა, ციცი?

ციციმ ვერ უპასუხა. იმიტომ კი არა, რომ ზიზისა არ სჯეროდა, მას არ უნდოდა თავისი უბედურებით ხანაით გაეფუჭებინა მისთვის. ზიზი შეიძლება ბედნიერი ქალია. შეიძლება ძალზე უყვარს მის გულითადს, რატომ უნდა მოუღრუბლოს თავისი ამბებით ნათელი დღე?

— იყო ერთი კაცი, რომელსაც ჩემს ოცნებაში ველოლიავებოდი. ჩვენს შორის ვიღაცამ უნდობლობა და ეჭვი და

თესა, არა, ეს ალბათ სიყვარული არც კი იყო. — ცაცემ განზრახ აუქცია გვერდი და დამალა სათქმელი. იფიქრა, ამ საკათხზე ზიზიმ კიდევ რაიმე შეკითხვებით არ ამიფორიაქოს ჩემი ისედაც დამწუხრებული ჯუნებო.

ზიზი სულაც არ საკვიროებდა მის პასუხს. იგი თვითონ იყო განწყობილი სალაპარაკოდ. მას ახლა შეეძლო დღე და ღამე ეტრეკტია.

— მე კი ტყვედ ჩაუვარდი სიყვარულს, ვატყობ, რომ ყელამდე ჩავეფარე. — ზიზიმ ეს ისე თქვა, ისე გაუნათდა თვალები: თითქოს ამ დილით მზე მართო მის სახეს მისდგომოდეს. ეტყობა, ძალზე უნდოდა ციცისაც გაეზიარებია მისი დიდი სიხარული. ზიზი ოცნებით უკვე ცის ლაქვარდებში დაფრინავდა, ელოლიავებოდა მის გულის დარს. სახელი კი მაინც ვერ ეთქვა მისი, ვერ გაემხილა ვერავისთვის. ახლაც შიში იპყრობდა მის გახსენებაზე. ახლა კი, როცა ციცი მის აივანზე იჭდა, როგორც ყველა გულწრფელი ადამიანი, რომელსაც უზღვაო ბედნიერება მოსწოლია გულზე, მთელს სამყაროს ნდობას უცხადებს, მით უმეტეს, მისი სკოლის მეგობარს — ციცის. იგი არც კი დაფიქრებულა, ისე ჰკითხა.

— არ იცი ვინ არის?

— შენი რჩეული ცუდი არ იქნება. შენი სიყვარულის ღირსია უთუოდ იგი.

— შენ მას იცნობ, ყოველდღე ხვდები და უყურებ. მხოლოდ ისეთი თვლებით არ უცქერი, როგორითაც მე.

— ვინ არას, ქალო, ვერ იტყვი?

— დაე, ეშმაკებმაც ნუ გაიგოს, შენ უსათუოდ გეტყვი.

ციცის არ მოეწონა ასეთი ჟინიანი ლაპარაკი. იგი რატომღაც შეერთა. —

— უსათუოდ უნდა გითხრა მისი სახელი. იცი ვინ არის? ხომ ვითხარი ყოველდღე უცქერი-მეთქი თვალებში.

ციცი წამოხტა. მთელ სხეულში ელვამ გაჰკრა. იგი გუმანიტ მიხვდა რაღაცას. თითქოს ქარიშხალმა აიტაცა და უფსკრულისკენ გააქანა იგი. სახე მოექცა, თვალებში ცეცხლი გაუღვივდა. იგი

ხელებით დაეყრდნო აივნის რიკულს, ალბათ, იგრძნო რომ წაიქცეოდა.

— ზიზი გაყვიოდა. შიშით ვაჩქარდა.

— რა დაგეშართა, ციცი, გენაცვალე, რა დაგეშართა?

— არაფერი, არაფერი.

ციცი თავუღებლად დაეშვა კიბეებზე. იგი უქანმოუხედავად გარბოდა. ზიზი გაოცებისგან ადგილზე გაშეშდა, სიტყვა ვერ ამოიღო.

• • •

არნოუ აივანზე გამოვიდა. მზე ვერ კიდევ არ ამოსულიყო. მხოლოდ მისი სხაგები შეტოტებულიყო ცის ლაქვარდში. სამზარეულოდან არნოუმ დოქი გამოიტანა, ჰის წყლით აავსო და პირსაბაწში ჩაასხა. იგი სიამოვნებით ისხამდა კისერზე და სახეზე ცივ წყალს, იფეთქებდა მხეფებს გულმკერდზე და ილიმებოდა. ისევ აივანზე ავიდა, დარაიის ხალატის დილის ნიავი ამრიალებდა მის ტანზე.

ადიკამ გაიგონა შვილის ფეხისხმა. იგი სწრაფად ჩავიდა სამზარეულოში და სუფრა გააწყო. მან იცოდა, თუ მანქანა მოვიდოდა, არნოუ უსაუზმოდ გაქრებოდა სახლიდან. ეს კი დედის დარდს ამრავლებდა. არნოუს კი მართლაც გაპარვა უნდოდა. მას ეშინოდა წუხანდელი ლაპარაკი ისევ არ გაგრძელებულიყო. არაფერი არ ეზარებოდა ნაურბს ისე, როგორც საკუთარ მოუწყობელ ცხოვრებაზე დედის ჩივილი. ისედაც ბევრი აქვს საწუხარი არნოუს. ათასი ფიქრი და ბოლმა აწევება. დღეს ის სოხუმში უნდა ჩავიდეს, მხატვრულ თვითშემოქმედებით ოლიმპიადას უნდა დაესწროს. თავისი დარდი ვილაყეებს უნდა გააგებინოს. დე, გაიგონ უფროსმა სოხუმელმა ამხანაგებმა, რომ მას სდევნიან, მახეებს უგებენ, შრომაში ხელს უშლიან. თუ ღმერთი გაწყრა და სოხუმშიაც ვერ გაუგეს, მაშინ თბილისში უნდა წავიდეს. იქაც იცნობენ არსაუღელ არნოუ ნაურბას, იქაც იციან მისი თავდადებისა და შრომის შესახებ. აბა, როგორ, მტრებს თავს ხომ არ დააჯანინებს!

— შემოდი შეილო, ისაუზმე, — მოესმა დედის ხმა. არნოუ ტყუილა შიშობდა. დედას წუხანდელი სათქმელი არ გახსენებია. იგი ჩუმად შეყურებდა შეილს. მანქანის ნიშანიც მოისმა. ხუტა უკვე ჭიშკართან იდგა.

— დედი, მე დღეს სოხუმში მივალ, შეიძლება სამი დღე დამავიანდეს. —

— იარე, შეილო, ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგაკლოს.

ადიკამ შეილი ჭიშკრამდე მიაცილა. არნოუ დადგრემილი მიაბიჭებდა მანქანისკენ.

„კიდევ რაღაც სწევას მის გულს და იტანჯება, რატომ მე არ მოგვედები უშაღ“, ეუბნებოდა თავისთავს ადიკა.

კლუბის წინ მანქანამ სულა შეანელა. უცებ თავი გამოყო გაიმი.

— როგორ არის საქმე? — იკითხა არნოუმ.

— ჩვენ უკვე მზად ვართ. ხვალ დილით სოხუმში გველოდეთ. თუ გავიშარჯვით, გავიხარებთ კიდევც.

— თუ არ გავაშარჯვით, თავი მოგვეჭრება, გაჩი!

— ნუ შიშობთ, — გულისკანკალით უბასუხა გაიმი. ეტყობოდა, მასაც დიდი შიში ჰქონდა დამარცხებისა.

— მე რისი შიში უნდა მქონდეს. შიში შენა და გერამ იკითხეთ, თუ გამარჯვებულები არ დაბრუნდებით. იცოდეთ, არსაულაში თქვენი საცხოვრებელი ადგილი სამუდამოდ მოიშლება. — არნოუს ამ საუბრის დროს ერთი რამ დაავიწყდა. შეჯიბრების დროს სპორტსმენი ან მსახიობი ხელმძღვანელი ამხანაგების ასეთი „დარბეზის“ შემდეგ უფრო ნიჭიერი და საქმის შემსრულებელი როდი ხდება. უფრო ჩლუნგდება, ნიქსა და უნარს კარგავს.

არნოუმ ისე გაიარა გუდოუშდე გზა, რომ ერთი რამ თავიდან არ მოცალებია; შესულიყო თუ არა რაიკომში ლეიბასთან. შეუსვლელია არ ხერხდებოდა. რაიკომის მდივანს უნდა სცოდნოდა ბევრი რამ ისეთი, რომლის ცოდნა აუცილებელია ასეთ დროს. შევიდოდა და იცოდა, ლეიბა ისევ საყვედურებს და-

ყრიდა დაუზოგავად... არა, არნოუმ ისევ პირდაპირ წასვლა არჩიდა, სასტუმროში ბინა აიღო, და ცნობილი კლამენტოვების „კერაზის“ თავმჯდომარე ევლტურის სამინისტროსკენ გაქანდა. აქ იყო ოლიმპიადის მთავარი შტაბი.

მეორე დღეს არსაულელები კლუბთან შეიკრიბნენ. დარბაისელ მოხუცებს ეცვათ შავი ჩოხა-ახალუხი და თეთრი დარაიას ჩაბალახები ეხურათ. ვერცხლის მოსაგადებულ სატეერებზე მარცხენა ხელი დაეჭინათ. ახალგაზრდობას ეროვნული ტანსაცმელი ეცვა. გერას შარვალი რბილ წულამესტში ჩაეტნია და აბრეშუმის ხალათზე თორმეტბალთიანი ტყავის ქამარი ერტყა, თავზე სვანური ნაბღის ქუდი ეხურა. გაჩი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ფეხზე საზღვარგარეთული წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი ეცვა, მოკლე და ვიწრო შარვლის შემოდან ჭრელი ხალათი გადმოეშვა. ხელში ევება ყვითელი პორტფელი ეკავა. გაჩი შფოთავდა, წუხდა, პასუხისმგებელი ადამიანის შთაბეჭდილების მოსახდენად გერას მითითებებს აძლევდა. ხანდახან გზისკენ გააპარებდა თვალს. ადგუას უცდიდა კლუბის გამგისიკ გამოჩნდა.

— აბა, ადგილები დაიკავეთ მანქანებში. — გასცა განკარგულება გაჩამ. ზიზილიპილოებში გამოწყობილი ანტიკა, რომელიც არც მდეროდა, არც ცეკვავდა, მაგრამ ოლიმპიადა უიმისოდ ვერც კი წარმოედგინა, გაჩის მიაღდა.

— დამაჯინე, გაჩი, გენაცვალე, მანქანაში.

გაჩიმ არ იცოდა, ნაურბას სჭირდებოდა თუ არა ანტიკა. უარი მიანიც არ უთხრა და მანქანაზე მიუთითა. იგი ქალწული ქალივით, მანქანა-გარეხით და სიცოლით ჩაჯდა მანქანაში. გაჩი და გერა მსუბუქი მანქანით მიემგზავრებოდნენ. ქარავანი დაიძრა. ახალგაზრდებმა სიმღერა დააგუგუნეს. სოფელი გარეთ გამოეფინა. ყველას გულით უნდოდა, სოხუმიდან არსაულელები გამარჯვებულები დაბრუნებულიყვნენ.

ოლიმპიადის დაწყებამდე არსაულე-

ლები „სოხუმის მთაზე“ ავიდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ვისაც „სოხუმის მთა“ არ უნახავს, მან არ იცის, რა ლამაზია ეს ქალაქი. გაჩი ყოველ წუთში აჩხაკუნებდა ფოტოაპარატს და ჭკუფ-ჭკუფად უღებდა თანასოფლელებს. ეს ადგუას არ მოსწონდა.

— გააჰირა ამ გაჩიმ საქმე, თუ სურათების გადაღებაა, მარტო მე უნდა მხატვრის, მე უნდა მდიოს. რა შუაშაა აქ სოფლელების ჭკუფებად ხატვა და ჩხაურათება?

ანტიცას თავისი შეხედულებები ჰქონდა. იგი ცდილობდა არ დაეგვიანებინა და სახალხო გამოსვლების დროს ჭრელ-ჭრულად გამოწყობილი აუცილებლად გუნდის შუაში გამოჩენილიყო, ყველას ყურადღების საგანი ყოფალიყო. გაჩი მთავარ საკითხად პოლიტსაგანმანათლებლო საქმეს თვლიდა. იგი უკითხავდა და უყვებოდა თანასოფლელებს სოხუმის ისტორიას, აფხაზეთის წარსულს. მას ღრმად სწამდა, რომ მასი განათლების დონე არსაულაში ყველაზე მაღალი იყო, რომ ის მოწოდებულია აღამაღლოს თავისი სოფლის მცხოვრებთა კულტურა, განანათლოს ისე, როგორც თვითონა განათლებული. იგი ამ ამბების მოყოლის დროს ტყუალს სიმართლებში ურევდა, შავს—თეთრში, არსებულს—ფანტატიკურში. ეს ზოგიერთს გულწრფელად მოსწონდა, ზოგიერთი პარიპარად იღებდა მის მონაყოლს და იღიმებოდა. ადგუა თითქოს სულ არ უსმენდა მის საუბრებს. იგი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. „ყურადღების ნიშანწყალსაც კი არ იჩენა ჩემდამით“, ფიქრობდა და გვერდიგვერდ დადიოდა, ახლოს არ ეკარებოდა გაჩის. ანტიცა კი დიდი მცოდნე ქალივით გაჩის ყოველ ფრთიან სიტყვას თავის კანტურით უდასტურებდა, აქაოდა და, მეტ კარგად ვიცი ეს ისტორიული ფაქტობ.

ასე დადიოდა გაჩი მთელი დღე და თან არსაულელები დაყავდა.

საღამოს საზაფხულო თეატრის წინ არნოუს შეხვდა გაჩი. მოალაპარაკეს, გამოსვლის წესი შეიმუშავეს, სოფლე-

ლებს იაიც ახარეს, რომ მთელს აფხაზეთში ვადასცემდნენ რადიოუფრეკმეფე ვამეფე სვლას.

გეზულოქოთქა

ოლიმპიდა დაიწყო. არსაულელების რეგმაც მოაღწია. ჩოხა-ახალუბში გამოწყობილი, ლამაზი და მიზიდველი გაჩი სცენაზე გამოვიდა, ხალხი ტანით შეეგება. მარტლაც ლამაზად იყენენ გამოწყობილი არსაულელები. ახლა სიმღერას არ იტყვიო? დაიწყეს თუ არა, იმ წუთშივე მაყურებელი მოაჯადოვეს.

ადგუას გაჩიმ სულ წინა რაგში უშოვნა ბილეთი. ანტიცამ კი ზედა იარუსის ბილეთიც ძლივძლივობით იშოვნა. მისთვის თავი არაფერს შეიწუხა. არ უყვარდათ მაღაზიის გამგე. მაყურებელი თანდათან დაიპყრო არსაულელების სიმღერებმა. ხმებიც კი ააყოლეს მათ. ხოლო, როცა ცეცხლოვანი ცეკვა დაიწყეს, მთელ დარბაზს ფეხები აუთამაშდა.

ახლა სცენის წინ წამოადგა გაჩი და ხალხს მიმართა:

— არსაულელები, „კერაზის“ კოლმეურნეები ახლა გიჩვენებენ ხალხურ ცეკვას — „შარატინს“, რომელსაც თან მხაჩირები ახლავს: ეს ცეკვა განაახლა და დადგა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, არნოუ ნურბამ.

არნოუს ხსენებაზე ხალხმა ტანის ქარინახალი ატეხა. არნოუც დარბაზულურად, აუჩქარებლად გამოვიდა სცენაზე. ხალხმა ტანს უმჯატა, როცა სახელგანთქმული თავმჯდომარე სცენაზე იხილა. საოცარი ლამაზი მიმოზვრით მივსალმა ხალხს არნოუ. ბევრს მხოლოდ რადიოში მოესმინა, ან ვახეთში წაეკითხა არნოუს შესახებ. თვალდათვალ კი არ ენახათ. იხილეს და მოეწონათ.

არნოუმ ნიშანი მისცა. ცეკვა დაიწყო. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული. აღამიანის სხეულის სიღამაზის ზეიმი. უღამაზესი ქალები და ვაჟკაცება ერთიმეორეს ცვლიდნენ და ხალხს ცეცხლს უკიდებდნენ.

ანტიცა ვერ დგებოდა იარუსზე. სიხარულისგან ცას უწვდიდა ხელებს. უნ-

დოდა ყველას გაეგო, რომ ისიც არსაუ-
ლელი იყო, რომ მასაც ედო წილი ამ
საქმეში.

* * *

იმ საღამოს მთვარე არ ჩანდა. გაჭირ-
ვებით გადაიტანა მსუქანი ტანი ბოსტ-
ნის ალაგებზე და მწყრივებს გახედა. ვერ-
ვინ ვერ მოიგულა, მხოლოდ ლადის სიმ-
ღერა მოესმა ბოსტნის ბოლოდან.

— დიდი ხანია შენ ტყვია გელის, და
ჯერ ვერ მოგწვდა ის დალოცვილი ხა-
ხის გასაბერეტად.

ალმასხანმა ალბათ იფიქრა ეს ისევ
ნაურბას ექადებაო და ჩაილაპარაკა;
თვითონ შენ ხარ ტყვიის ღირსი. იმღე-
რე, იმღერე, კაცი არ ვყოფილვარ, თუ
შენ საქმე არ გიყოფ.

ალმასხანმა შეამჩნია, ღორები მოს-
დებოდნენ ბოსტნის ღობეს. აწვევოდ-
ნენ, ღინგით ცდილობდნენ სარების ძი-
რების მოხელვას.

ალმასხანს თვალები გაუწითლდა.

მან ხელდახელ მოარღვია რამდენიმე
მესერი და ღორებიც ქლოშინით და
ღრუტუნით მოედგნენ ბოსტანს. ალმას-
ხანმა გაიხედა. შენიშნა ლადი უკვე კა-
რავში შესულყო. ღორები კი მართ-
ლაც ღორულად გლეჯდნენ ბოსტანულს.
ბოსტნის მეთვალყურეს არაფერი ესმო-
და. ალმასხანმა ერთი ბოროტად ჩაიცი-
ნა და ლამეში გაუჩინარდა.

მეორე დღეს კოლმეურნეობის კან-
ტორაში არნოუ ნაურბა შეე დღეს აყე-
ნებდა ლადი კვაცბას. ეტყობა, თავმჯ-
დომარე გახარებული იყო. როგორც იქ-
ნა ხელში ჩაუვარდა ლექსების მოხზეე-
ლი, მისი გამზიარებული. არაფერია,
სხვებსაც ეს დღე ვლით. განა კამეჩის
მარქენალ ხარს რქები შერჩება?

— როგორ დაგემართა ეს შენ, ყვე-
ლაფრის მცოდნეს და ყველას მოკრიტო-
კე ვაყვაცს? შენ ხომ სამართლიანი კა-
ცის სახელი გაქვს მთელს სოფელში,
თვითონ ისე მოგაქვს თავი, თითქოს
უცოდველი ვინმე იყო, ეს რა მოხდა,
ბოსტანი დაგვიქციე, დოვლათი გაგვი-

ნადგურე! რას გაჩუმებულხარ ახლა,
რვამეტრჩან ენას რომ უტყუებოდეს და
ატარტარებ, ახლა რხხთვისის ნაწილებს
ხმას?

— მე ახლაც მართალი ვარ, ხომ ატ-
ყობ ვილაცას მსახვრელი ხელი ურევია
შეგ. ეს შურით არის ნაკეთები, ვილ-
ცამ განზრახ გააკეთა. უნდა ვიფიქროთ,
ვიმსჯელოთ. ვინ გვეყავს კოლმეურნეო-
ბაში ასეთი ბოროტი კაცი? შენ მე მა-
გინებ და ჩემი შეშინება ვინდა. თვი-
თონაც იცი, რომ მე ასეთი რამეები ვერ
შემაშინებს, ისიც მოგვხსენება, ლადო
კვაცბა ნემსის ყუნწში ერთხელ არ გამ-
ძვრალა. ერთხელ არ უნდაყავს საკუთარი
თავით მართლი. იცოდე, ვერ შემაშინებ.
უმჯობესია, ვინც ეს გააკეთა, ის მოვნი-
ხოთ, ის გამოვანაშაუროთ.

— სისულელეა, შენ იმასაც იტყვი, ეს
არნოუ გამიკეთაო. გულზე ხელი დაი-
დვეი და თქვი, რომ ასე ფიქრობ, ხომ
ასე გაქვს გააზრებული.

— ვიცოდე, არ დავამალავდი, შენიც
არ შემეშინდებოდა, ეს რომ გამეგო.

— აბა, თქვი, ვინ არის ჩვენს კოლ-
მეურნეობაში ასეთი გათახსირებული და
ვერაგი კაცი. შენ ახლა მზად ხარ შენი
დანაშაული სხვებს გადააბრალო. შენ კი
თვითონ დაგრჩა ბოსტნის ჭიშკარი ღია
და ღორებმაც იდროვეს, ბოსტანი გააო-
ხრეს. დოცლაპია ხარ, დოცლაპია, სხვას
კი ვინდა მეზი დაატეხო.

— მე არასოდეს არ დავადანაშაულებ
უსამართლოდ ვინმეს. ღორებს კი არ
შეეძლოთ მესერი მოერღვიათ, იქ ადო-
მიანის ხელია. სხვაფრივ არ შეიძლება
სარების მოთხრა, მხოლოდ ბოროტ ადა-
მიანს შეუძლია და გააკეთა კიდევ.

— სისულელეა, ვინც ცხენს ვერ მოე-
რევა, ის უნაგირს ამტვრევს, ნათქვამია.
შენც ასე ვინდა. მაგრამ არნოუ ნაურბა
არ მოგცემს უსამართლოდ ხალხის ცი-
ლისწამების საშუალებას. თვითონ ბოს-
ტანს ვერ მოუარა, ახლა მოუნდა სხვებს
საციხედ გაუხადოს საქმე.

— არნოუ, სულელად ნურავის ნუ ჩა-
თვლი. მე ქარაგმებით არ ვლაპარაკობ,

რომ ვიცოდე ვინ გააკეთა, კიდევ ვიტყვი, არავის არ შემეშინდებოდა.

— ეს შენ გვთვლი, ჩვენ სულელებად. ახლა არ გიშვებოდა შენი ლექსები, შენი ფუნაგორიები. კანონი ყველასთვის ერთია, ლექსის ავტორისთვისაც და იმათთვისაც, ვინც სიმღერებს არ თხზავს.

არნოუმ ზარს ხელი დააჭირა. ადგუამ იმ წუთს შემოყო თავი.

— ჩუაზი შემოვიდეს! — მოკლედ ბრძანა მან.

ერთი წუთის შემდეგ კარებში ბულატრის სათვალეები გამოჩნდა.

— მგონი, მე გამომიძახეთ?

— შემოდი. გამოიანგარიშეთ თუ არა, რამდენია ზარალი, რომელიც ლადი კვაცბამ მიაყენა სოფელს?

— კი, ბატონო, დიდი ზარალია, დიდი.

— მაინც რამდენია?

— ბატარა თანხა არ არის. დამნაშავეის შრომადღებების ღირებულება არ ეყოფა ზარალს.

— რას მარჩიელობ, კაცო, „ეყოფა, თუ არა ეყოფა“, შენ თქვი რამდენია გაფუჭებული!

— შენ გესმის თუ არა კვაცბას მიერ რიჭონება, რა დოვლათია გაფუჭებული და გაოხრებული? მთელი წლის მისი ნაშრომი თუ ეყოფა.

— მადლობელი უნდა იყოს თუ მარტო ეს აკმარებთ. ღირებულებას, რასაკვირველია, საამოვნებით გადაიხდის.

— ნება არ გაქვთ. — წამოიძახა ლადიმ. ის მიხვდა; მთელი წლის სარჩოს ართმევდნენ განზრახ.

— სისულელეს როშავ: ვინ დამიშლის, ეს ჩვენი საქმეა და ჩვენვე მოვუვლოთ ამას. განა ქვეყნად ვინმე გაბედავს ამის დაშლას? ასეა ხომ? აბა, ჩუაზ!

ბულატერი იქვე გაჩნდა.

— ზარალი დაუჭვითე შრომადღებობით.

— მესმის, ბატონო!

— აბა, ახლა გასწი და რაც ვითხარი გააკეთე.

არნოუმ იფიქრა ამით გვათავე ლადი კვაცბას საქმეო.

შეცდა არნოუ. ლადის ამბავი ელვა-

საგით მოედო მთელ არსაულას, რადიოსაც გაუჭირდებოდა ასე სწრაფად ამბის გაერცხლება. პირველიდ მოხუცი აბდა მიადგა სახლში. იგი ხომ ღმობლი ბიძა იყო მისი. სწორედ მაშინ გამოვიდა ალაგეზე, როცა არნოუ უკვე გადიოდა ეზოდან.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბიძია აბდა, რამ შეგაწუხათ, ხომ მშვიდობა?

არნოუ მიხვდა, რომ აბდა არ იყო კარგ საქმეზე მისული და ცდილობდა ხელიდან დასძრომოდა ბიძას. აბდა არ ჩქარობდა.

— ისე მოვედი, დად, შენი შეხედვა მომესურვილა.

— რა მოხდა, აბდა ბიძია?

— მოხდა, დად, მოხდა. მოგახსენებთ, აუცილებლად მოგახსენებთ, მე იქეთ უნდა გკითხო, რა დაგიშვა ლადი კვაცბამ, რისთვის დასაჯე, დად, ეს საყვარელი და ნაომარი კაცი?

— ეჰ, მე შეგონა, რალაც დიდი საქმე თუ აქვს-მეთქი. ლადიმ გააფუჭა და დაეჯავთ კიდევ.

— მომისმინე, დად! მე მარტო ბოსტნის საქმეს არ მოგახსენებ, შენ დიდი ხანია მას აღმაცერად უყურებ და შეურაცხყოფ, ახლა კი სულ უსირცხვილოდ იქცევი და თავსაც ირცხვენ. არ არის, დად, ეს ლამაზი, საქმე არ შეისწავლე და კაცს წლის სარჩო წაართვი, რით უნდა კვებოს მან წელს თავისი ჯალაბი, მას ხომ წერილი ცოლ-შვილი ყავს, დად! შენ ხომ არ გგონია, ის აღმასხანაგით მდიდარი კაცი იყოს, დღესვე გამოასწორე შენი შეცდომა, თავს ნუ ირცხვენ ხალხთან, თავს ნუ ირცხვენ, დად!

— სისულელეა, მე უკანონოდ არაფერი გამიკეთებია, აბდა, თქვენ გინდათ ლადის მადლობა ვუთხრა ბოსტნის ჯაქცივისათვის. ამას არ ვიხამ.

— გონს მოდი, არნოუ, შენს ნათქვამ სიტყვებს დაუგვარდი, ხალხს მოვლა უნდა, სოფელს ცუდი არ აფიქრებინო შენზე.

ხალხის ხსენებაზე არნოუს ცეცხლი მოენთო გულზე. მან თავი მაინც შე-

იმაგრა და ცუდი რომ არ ეკადრებინა ბიძისათვის, ეზოდან გავარდა.

— დიერთმა ქნას, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდეს, — ჩაილაპარაკა აბდამ და აღიკვას ოთახს მიმართ. კარგა ხანია არ ენახა და მოხუცს.

ხალხი არ ისვენებდა. ბრიგადების ჩჩეულნი კოლმეურნეობას კანტორაში შეიკრიბნენ. მთელმა სოფელმა აღშფოთება გამოთქვა.

— თუ თქვენ არნოუს არ მოეთათბირებით და თავის სიტყვას უკან არ წაიღებთ, ჩვენ თვითონ მივალთ მასთან და მაშინ ჩვენ ვიღონებთ რასმე.

ხალხმა კარგად იცოდა, რომ კოლმეურნეობის ბატონპატრონი მისი სიერით კრება იყო. სოფელმა გულთან მიიტანა ლადი კვაცბას შეურაცხყოფა. ამ მართალი ვაყვაცის და ნომარის თანასოფელელს უსამართლოდ დასჯა, მოსი ხელალებით გათელვის ცდა. არა, არსაუღელელები ამას ვერავის ვერ აპატიებენ.

უსამართლობას ვერ იტანდა სოფელი. ასე მოდიოდა დასაბამიდან. ასე გახლდათ დღესაც.

ლადი კი ამ დროს ბოსტნის გარშემო ტრიალებდა. მესრები აშკარად ადამიანის ხელით ჩანდა მოთხრილი. ვერ მიმხვდარიყო ლადი, ვის უნდა ჩაედინა ასეთი ვერაგობა, ვინ უნდა ყოფილიყო სოფელში ასეთი მზაკვარი კაცა, ვის რად სჭირდებოდა ასეთი უბედურება. უნებლიედ გაეპარებოდა თვალი აღმასხანის სახლისკენ, მაკრამ ეზოში კაციშვილი არ ჩანდა. ეს უფრო აეჭვებდა მას. ეჩვენებოდა, დემაშავენი ემალებოდნენ, თვალს არიდებდნენ, რატომღაც გუმანი ამ მდიდარი ოჯახისკენ მოუწყევდა. ბოსტანში მსოფსტი და იასონი ჩამოვიდნენ.

— აქ გამოძვრნენ ღორები? — იკითხა იასონმა.

— კი, აქ გამოარღვიეს. მე ხელიც არ მიხლია სარისთვის.

მსოფსტმა დაკვირვებით დაუწყო თვალყურება გარღვეულ ნაღობარს.

— არა, ეს ადამიანის ნამოქმედაა, — დაასვენა მან. უკვირდებოდა ვერ გაარღვევდა. *შეზღოვნიანი*

— ნამდვილად ასეა, — დაუდასტურა იასონმა, — მხოლოდ ვინ გააკეთა ეს ვერაგი საქმე!

— ჩვენ უსათუოდ აღმოვაჩინეთ ავის მქნელს, — გული გაუმაგრა ლადის მსოფსტმა და სარები ისევ თავის ადგილზე ჩაასო.

— რატომ ჩაასვე სარები ისევ, ხალხს ენახა, — როგორ არის ამოკლებილი!

— რაც ჩვენ ენახეთ, ისიც ემარა.

იასონი და მსოფსტი გამგებობიკენ წაივინდნენ. კანტორაში უკვე ხალხი ბლომად შეკრებილიყო. ასტანაც მოსულყო. არნოუს არ ეიონა, არსაუღელელები ასე უცებ თუ შეიკრიბებოდნენ ლადის ფასაცავად. — არა, აქ ლადი არაფერი შეაშია, რაღაც სკა ძაღლის თავია დამარბული! ეჭვიანობდა ნურბა. რა უნდა ექნა, კრება თვითონვე უნდა გაეხსნა და ასეც მოხდა.

არნოუს ლაპარაკი არ აცალეს. მაგრამ მან სიბრაზით ისეთი ბლავილი მოართო, რომ ყველანი გააუშმა. საბოლოოდ გადაწყვიტა მოწინააღმდეგენი აუცილებლად დაეთრგუნა და ჩაეჩუბებინა.

— თქვენ გადააწყვეტით რაეთი კაცის დაცვა, რომელიც კოლმეურნეობას შლის და ანგრევს, რომელიც მის დოვლათს ანიავებს, მის სიბრადრეს ატყვევს. მერე იცით ეს რას ნიშნავს? არა, თქვენ თუ გიფიქრიათ. ამ ამბავს რა შეიძლება მოყვეს? მე თქვენ გეკითხებით, გიფიქრიათ თუ არა?

მსოფსტი დინჯად წამოდგა. არნოუ გაჩუმდა, ხალხიც გაყურდა. მან წყნარად დაიწყო საუბარი. ამ წყნარმა ლაპარაკმა უფრო დააწულწრა გულაუცილებლად არსაუღელელები.

— მე ვფიქრობ, დაიწყო მან, — ლადი კვაცბას არ შეუძლოა ბოსტნის დარაგობა. თქვენ თვითონ დაფიქრდით: ომის გმირი, ინვალიდი კაცი, ავადმყოფი ადამიანი და კიდევ მან უნ-



და იშრომოს და ღამეები ათიოს? ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამის ძალღონე ნამდვილად არა აქვს. განა ჩვენს სოფელში ხალხი გამოიღია, ნუთუ ჩვენა კოლმეურნეობის წევრები ყველა იმე დატვირთულია, რომ მაინცდამაინც ასეთ პირგავლილ და გმარულ კაცს ვეცეთ, მაინცდამაინც ის ვამუშაოთ. რა გვიპირს ასეთი? ეს დიდი სირცხვილია ჩვენი, სოფლის შეურაცხყოფაა, მისი უპატივცემლობა!

— ლაღი კვაცბამ დაძმახურა ის, რომ კოლმეურნეობამ მისთვის იზრუნოს. — არც თუ ისე ხმაძალა დიწყო ასტანამ. — გარდა იმისა, რომ მას საბელმწიფო ეხმარება, კოლმეურნეობაც ვალდებულია მის ოჯახს არაფერი დააკლოს. ის ჩვენი სოფლის გმირია, ჩვენი ხალხის ვეკაცობის გამომხატველია. სირცხვილი არ იქნება მას და მის ოჯახს რაიმე გაუტვირვოს სოფელმა? განა ჩვენს კოლმეურნეობას ასე უტირს, რომ სირცხვილში ჩაიგდოს თავი? ჩვენი სოფელი მდიდარი სოფელია და თუ ლაღს ოჯახს სარჩოს დაუნებნავს, ვინ გვეტყვის უარს, ვინ წავა მასი დადგენილების წინააღმდეგ. რასაცვირფელია, ვერაფერ იხამს ხალხს გარდუვალს!

— მართალი ხარ, მართალი! — წამოიყვარა ერთბაშად ხალხმა. არნოუ მაინც თავის აზრზე იდგა. სწორედ დღეს არ უნდა დაუთმოს არავის, თორემ მისი წაქეცვა იქნება, მისი ავტორიტეტის შერყევა და გაუფქმება იქნება.

— მაშინ მე უნდა დავდგე ბოსტნების დარაჯად; აბა, სხვა ვინ უნდა დავყენოთ ასეთ თანამდებობაზე? — გაცეცხლდა იგი.

— მოვნახავთ მის მადიერ კაცს, მოვნახავთ, — ყოველგვარი მტრობის გარეშე უთხრა ისინი.

— კი ბატონო, მაგრამ დამისახელებთ მაინც ვინ არის ის კურთხეული.

— დავასახელებთ, ნამდვილად დავასახელებთ ოღონდ შენ ჩვენ ყურს

როდი დაგვიგდებ, ჩვენსას არც კი გავიგონებ.

— ვერ დასახელებ, ბატონო! წამასწავარ რატომ ივრიხები იფანის წნელივით.

— მართალი თქვი, არაოუ, ნუთუ აღმასხანს არ შეუძლია ბოსტნის მოწყვესვა, მისი მოვლა. განა ეს ძნელია?

ასეთ წინადადებას არნოუ არ ელოდა, ასეთი რამ მას სრულიად შეუძლებლად მიაჩნდა. განა შეიძლება აღმასხანს დარაჯობა ჰკადრო და ისიც ბოსტნის დარაჯობა?...

— ვერ გეტყვით, ვერ გეტყვით, — თავის უნებლიედ გამოსცრა არნოუ კბილებში.

— რატომ ვერ გვეტყვი? — შეეკითხა ასტანა არნოუს.

— ის ავადმყოფი კაცია.

— ვინ თქვა მისი ავადმყოფობა, ბოსტანიც მისი ეზოს გვერდით არის, მისთვის კარგიც არის ცოტა ხელის განძრევა. დილით სუფთა ჰაერს გადაყლაპავს, სხეულს გაიჯანსაღებს, თორემ ნამეტანი გასუქდა, უსაქმობით მოითენთა. სულ სახლში ზის მოხამთრე დათვივით. ეს კი არ ვარგა, აღამიანს წყენს ერთ ადგილზე ჯდომია.

აღმასხანი ამ დროს მართლაც თავის აივანზე, ტახტზე იწვა, რომელზეც დათვის ტყავი იყო გადაფარებული. იგი მიჩერებოდა მერცხლის ბუდეს. ხედავდა თუ როგორ მოფრინდებოდა ხან ერთი მერცხალი, ხან მეორე, ისინი ქლურტულბდნენ და აღმასხანის გულს ახარებდნენ.

— ეჰ, უბედურო ჩემო თავო, დაბერდი და დაჩაჩინავდი, საღ არის ჩემი ახალგაზრდობა, საღ არის ჩემი სანავარდო ფრთები! თქვენ იფრინეთ, ჩემს ერდოზე დასახლებულნო, ინავარდეთ, იბედნიერეთ და იმრავლეთ. მომავალ წელს როცა იმეც შორეული ქვეყნებიდან მოფრინდებით, ბედნიერება თან ჩამოგვიტანეთ. დოვლათი გვახარეთ, ოჯახის გამდიდრება დაგვაბედეთ. ვისაც ჩვენი ცული უნდა, დე,

უბედურება არ მოცილდეს მის ოჯახს, თვალები დათბროდეს ნაცვერცხალზე გახურებული შამფურით. ცალთვალა დარწმუნოდა, რომ ღმერთმა მისი სახელი დასწევს.

ამ სიტყვებს თავისთვის ჩურჩულებდა აღმასხანი. თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ გამგეობაში ახლა სწორედ მის შესახებ იყო ლაპარაკი.

— ჩვენ შეგვიძლია ვაიძულოთ აღმასხანი, ბოსტანს უდარაჯოს, მის მოვლა-პატრონობაში მოგვეხმაროს. ჩვენი მან ძნელ საქმეს ხომ არ ვვალებთ. ეს მის ძალღონეს არ აღემატება.

— მართალია, სწორია.

— გადავწყვიტეთ, ამხანაგებო? — იცითა მსოუხტმა.

ყველამ ერთბაშად ასწია ხელი. თუმცა არც არავის მოსვლია აზრად კენჭი ეყარათ.

არნოუ არც ისე გიჟი იყო წინააღმდეგობა გაეწია. „ახლა დრო არ არის, ხალხს გადავიციდებ, მოვიციდი, ვნახავ, დაველოდები“.

— კარგი, ბატონებო, კარგი, — ისევ კბილებში გამოსცრა არნოუ. თუმცა ეს სიტყვები მუქარასავით ესმოდა. როცა გამგეობის კანტორა დაცალაურდა, არნოუ დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. იგი დაღვრებით ვაყურებდა ფანჯარაში შემოსულ დამეს. მართა იყო, არცერთი მეგობარი არ ჰყავდა, მხარის დამკვირვებელი არავინ ვაჩნდა. საერთოდ, ჰყავს თუ არა არნოუ ნაურბას მეგობარი და ამხანაგი? თუ ჰყავს, ვინ არის?

• • •

ლიხნის სასახლე. ლიხნის დიდი საჭირითა მოედანი. აქ იყო ოდესღაც აფხაზთა მთავრის შერვაშიძეების ეზო-გარეშო. აქვეა უძველესი ციხე-კოშკის ნანგრევები. ყველაფერს ხავსი გადაჰყვრია, ბალახ-ბულახი გადაფარებია. ძველი ნანგრევებიდან მერცხლების ფივილი თუ მოძმის, მეტი არაფერი.

ლიხნის მოედანი. ეს არის აფხაზი

ხალხის ისტორიული მინდორი თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამ მინდორზე იყრიდებოდნენ მეფისა და თავადების წინააღმდეგ ამხედრებული აფხაზები. ამ მინდორზე იყრიდებოდნენ დღესაც ზეიმის ვადა-სახელოდ.

საბჭოს წინ წითელი დროშა ფრიალებს. მოედნის მისასვლელთან ნახევარმთვარესავით მოხრილი ხის თხელ ფიციარზე წარწერია: „სალამი ცხენოსან-მოჭირთეთა დღევანდელ შეჯიბრის მონაწილეთ.“ დიახ, დღეს მართლად დიდი შეჯიბრია. დასაბამიდან ვიდრე დღემდე, აფხაზეთში ჯირითი იყო უდიდესი სახალხო ზეიმი. მარულა. ასე ეძახიან ცხენჭირითს აფხაზეთში, რომლის გარეშე წარმოუდგენელია აფხაზი კაცის სიცოცხლე და ცხოვრება. ჯირითი იციან ნათელაში, ქორწილში და უბრალო ლხინის დროსაც კი. დიდი საზეიმო დღე კი უმისოდ ხომ არ შედგება.

იმ დღესაც ცა მოწმენდილი და წყნარი იყო. ერთი ღრუბელიც არ მოჩანდა ცაზე. დილის ლაევარდოვანი ცა ლიხნის დიდ მოედანს სარკესავით ეხურა ზემოდან. მზე მთებიდან წამოდგა და მთელს ამ მინდორს ოქროს სხივები ბლუჯა-ბლუჯა დააყარა. ჯერ კიდევ მზე მთებს გადალმა იღვა, როცა არსაულელები საჭირითა მოედანზე გამოსულიყვნენ, საზეიმოდ რთაედნენ მინდორს. სტუმრების მისაღებად ამზადებდნენ მოედანს. ასწლოვანი მოხუცები ეამგადასული ხეების რტოებქვეშ სიღარბი-სლით ყვებოდნენ ამბებს. დღეს სულ სხვა დღე იყო. მთელი აფხაზეთის განთქმული ცხენოსნები იღებდნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას. ახლომახლო სოფლებიდან უკვე მოვიდნენ. ახლა უცხო სტუმრებს ელოდნენ არსაულელები.

სტუმრები მოდიოდნენ მანქანებითაც და ფეხითაც. აფხაზურის და ქართლის გარდა, იქ გაიგონებდით რუსულ და სომხურ სიტყვებსაც. დილის საყურებლად უცხო დამსვენებლებიც

მოსულიყენენ, ჩეხებიც იყენენ, რუმინელები, ბულგარელები, პოლონელები. ვის არ იტაცებს ცხენოსნობა, ეს ულამაზესი და მეტად ვაჟკაცური სპორტი.

დასაბამიდან ასეთი მარტლების დროს ხედებოდნენ უძველესი სისხლის ნათესაეები, მოყვრები და ნაცნობები. აქვე ინასკვებოდა ახალგაზრდებს შორის სიყვარულის უწყვეტი ნასკვი, რომელიც საფუძვლად ედებოდა მათ მომავალ ბედნიერ ცხოვრებას. ცოტა შემთხვევა როდი ყოფილა, როცა ერთი შეხედვით შეპყვარებიათ ერთიგორე ულამაზეს ქალ-ვაჟს. გულზე ცეცხლმოდებულ უცნობ ვაჟს რამდენი წვალეების შემდეგ გაუგია მისი გულის დამკოდავის სახელი და ვინაობა. ხოლო მეორე წელს, სწორედ ჭირითის დღეებში გაუბეღია ცოლქმრობის ფიცი მიეცა რჩეულისათვის. მთელი წელი გულით უტარებია მისი ღიმილი და ცისკარივით თვალები, უტარებია, დაუტანჯია კიდეც. ნამდვილად ასე იყო, ლიხნის მოედანი არაერთი ულამაზესი ქალ-ვაჟის მომავალი ბედის გამსკენელი ადგილი გახლდათ.

კარგებსა და ავტომანქანებზე ტყბილულს, გამაგრილებელ წყლებსა და ნამცხვრებს ყიდდნენ. იქვე, გაშლილ სუფრებზე აფხაზური ღვინოების მიმზიდველი ფერები ლივლიყებდნენ ბოთლებში. ცივად მოხარშული ხორცი და აჭიკა ელაგა, სასიამოვნო ცეცხლს რომ მოუკიდებს გამოუცდელ სტუმარს ენაზე. თეთრ, ფართო ფაიფურის ჯამებზე ალაგია ხაჭაპურები, ათასნაირი ხილუული და ახალგაზრდებს იზიდავს თავისკენ. წიგნის ფარდულებიც გაუმართავთ, ახალი ჟურნალ-გაზეთებიც მოუტანიათ, ცნობილი პოეტები თვითონვე ყიდიან წიგნებს, კითხულობენ ლექსებს და კამათობენ თავიანთ მკითხველებთან.

ტრიბუნაზე საბატოო სტუმრები — მოხუცები და სახელგანთქმული ადამიანები მოჩანან. არნოუც გამოჩნდა. ზიზი და მისი ახლო მეგობრები ცაცხ-

ვის ფართო ჩრდილს შეფარებიათ. მხოლოდ ციცი არ ჩანს არაფერ. „რა გამაზარებს იქვე უნდა იქნებოდა თავისთავს ციცი, — შეიძლება უფრო საწყენი და გულგასახებული ვნახო, ვინემ სასიხარულო.“ ამიტომ მან სახლში დარჩენა გადაწყვიტა.

არნოუ ნაურბას ოჯახში აღიკა უვლიდა და ეფერებოდა სტუმრებს — მებაბრეშუმე ქალებს. ზოგს ჩურჩხელას აწვდიდა, ზოგს მურაბიას წყალს, ზოგს კიდეც ცხელი ხაჭაპურით უმასპინძლებოდა. ხოლო, როცა დრომ მოაღწია, თვითონ გაუძღვა სტუმრებს საჭირთო მოედნისაკენ. ანტიკა მაინც გამოირჩეოდა თავისი ზიზილიპილია ტანსაცმელით. იგი სწორედ იმ ტრიბუნას უვლიდა გარშემო, სადაც მისი გულისმომკველელი არნოუ იდგა.

რაილმასკომის თავმჯდომარემ, სამსონ ლოლუამ, ჭირითი გახსნა. ყველაზე კარგ მოჭირითეს დაავალა სამსონმა დროშის აფრიალება. ისიც თამაშ-თამაშა ცხენით მიუბალოვდა ცაში აზიდულ სვეტს და ცხენიდან გადმოხტა. ცხენი ადგილზე გაიყინა. იგი ახლა ქანდაკებას უფრო პაგვდა, ვინემ ცოცხალ ცხენს; ცხენოსანი სვეტს ქვემოთ დაღვა და აბრეშუმის ყაითანს მოკიდა ხელი. წუთიც და დროშა ფარფატით აცურდა ცის ტატნობზე. მუსიკამ დაიგრაილა, კინოკამერების ტრიალის ხმაც გაისმა.

აიღა თვალებით ეძებდა ცაბუს. ვერსად ვერ დალანდა აიღამ საშაონის მეუღლე. უცებ, როცა ჩვეულებისამებრ ცხენოსნებმა ტრიბუნის წინ საზეიმო ნაბიჯით გაიარეს, აიღამ ცხენოსანთა შორის შენიშნა ის და გაიღიმა, მიხვდა აიღა; ცაბუს აქაც მოენახა თავის გამოჩენის საშუალება. ისიც არ გამოეპარა აიღას, ცაბუმ განზრახ არ დაუცადა მას და უიმიოდ წავიდა დოღზე.

ათკილომეტრიან სარბენ ბილიკზე უკვე გამწკრივებულიყენენ ცხენოსნები. მსაჯულ ერთმა ხელის აქნევამ მხედრები ადგილიდან მოწყვიტა. დოღი დაიწყო. ცხენოსნებმა დაჰკივლეს ბედაურებს. ცხენთა ნატერფალიდან ბო-

ლქვა-ბოლქვად მოწყდა მიწა. შფოთავდნენ ცხენები, ცხენოსნები, მოპაექრენი. აფხაზებს ხმამაღლა პაექრობა უყვარდათ, ისეთივე მღელვარე და სიბზლისამთავამშებელი, ვით დოღზე შეჯიბრი. ცხენები უკვე გაიპართნენ. პირველი წრის შემდეგ სათავეში სულ ყმაწვილი ცხენოსანი მოექცა. ეს მუშნი იყო, გაჩის უმცროსი ძმა.

— ჩვენი ცხენია წინ, სვლას უმატი, — გაძახოდნენ არსაულელები მუშნის ისე ხმამაღლა, რომ მოედანს ქუბილი გაქონდა. მუშნი ცხენზე კი არა, თითქოს დედის ლოგინზე იწვა, მხოლოდ თავის სწრაფი მიხვრა-მოხვრა და ცეცხლოვანი, ბრიალა თვალები ამხელდა მის დაუოკებელ სურვილს და სწრაფვას. დროდადრო იგი გაიხედავდა უკან, ხომ არ დამეწიენო, და ისევე ოღავე მისცემდა სადავეს ცხენს. მუშნი ჯერ კიდევ თავს უშერდა თავის ბედაურს, იგი ცხენის ძალონეს განზრახ ინახავდა. იცოდა ბიჭმა, ჯერ კიდევ არა ერთი წრე ჰქონდა გასარბენი მის საყვარელ ცხენს.

— არ შეზინდე, საყვარელო, ყველაფერი კარგად მიდის, ჩვენ ვერავინ დაგეწევა. — ერთრჩულეობდა მუშნი თავის ბედაურს. ცხენსაც ესმოდა მხედრის. როგორც ისარი, ისე ჩაქროლებდა ტრიბუნებს და მაშინ არნოუ ნაურბა ბავშვივით წამოხტებოდა და რღაცნაირად გაკვივლებდა მუშნის თან ტუჩებს იკუნდა აღელვებისაგან ცაბუ, რომელიც ახლო იჯდა მასთან, ათასნაირ სიტყვებით ამხნევებდა ნაურბას და უღიმოდა. გაჩი წრეს თავიმი ცხენით უვლიდა და დაუპირისპირდებოდა თუ არა ძმას, გაძახებდა: „წყნარად, წყნარად, ცხენი არ დაღალო“; ხანდახან მუშნის სხვა ცხენები წამოეწეოდნენ და მაშინ მუშნი ეშმაკურად გახედავდა მათ, ჰინკასავით აიწნევდა ხელს და მისი ბედაური სწრაფად გამოკვებოდა წინ მოქიშვებებს. უკვე ექვსი წრე განვლეს მხედრებმა.

— ექვსი, — მიიძახა მუშნის გაჩი. მხედარმა ოდნავ მოუშვა სადავე და

მაშინ მოხდა ის, რამაც მთელი მოედანი ააბოხოქრა — მუშნიც, ცხენსაც, ცხენსაც. ხალხს გმინვა აღმზებამს გამაქარდაიბნა, იგი წამოეწია მუშნის და თავის ცხენზე წინ ღაავა, მუშნის ცხენმა გაიბრბინა და მხედარი რაკი არ იგრძნო ზურგზე, გაიერდა. აქ წამოეწია მას გაჩი. მუშნი თვალისდახამხამებაში იხევე თავის ბედაურს მოექცა ზურგზე. მაგრამ უკვე გვიან იყო. მოქიშვებები უკვე კარგა მანძილით გაშორდნენ ჰაბუე მხედარს. არნოუ გახეცებული წამოხტა და მინდერძაკენ გაიწია. აღგურმა არ გაუშვა. ამაომაში მუშნიმ ისევე გამართა თავისი ბედაური.

— ახლა მათრახი არ დაიშურო, არ დაგვლუბო. — ჩასძახა გაჩიმ ძმას.

მუშნიმ არ გაუგონა ძმას. ის მათრახის წინააღმდეგი იყო და არავის არ უსმენდა ასეთ ღროს. მეათე და უკანასკნელი წრე მოხაზეს ცხენოსნებმა. მუშნიმ ქუსლი შემოკრა ცხენს. ცხენი გაფრინდა. ხალხი გაგიჟდა. აირია, მოედანზე ქარიშხალი დადგა. თავს ვერავინ ვეღარ იჭერდა. მხოლოდ აღგურ ლეიბა იღვა დინჯად; მხოლოდ თვალბრს კვესა ამელავნებდა მის მღელვარებას.

ერთი წუთი და მუშნი უკვე მოწინავეს წამოეწია. სულ ცოტა კიდევ და უსათუოდ გაასწრებდა, მაგრამ წინა ცხენი სულ ორიოდე გოჯით დაწინაურდა და ფინიში გადაკვეთა. მთელმა ხალხმა ამოიხბრა. წინა მხედარმა მოასწრო მსაჯისთვის გამარჯვებულის დროშას ტარის გამოგლეჯა ხელიდან.

მეორე აღგილი მუშნიმ დაიკავა.

ყველანი მას ესალმებოდნენ, რადგან ცხენს რომ ის ოხერი ფათერაკი არ შეხვედროდა, არ წაფორხალებულეიყო, რასაკვირველია, დოღში ნამდვილად მუშნი იყო გამარჯვებული.

არნოუმ მკვდარივით დასტოვა ტრიბუნა. ის არ იყო შეჩვეული მეორე კაცობას. არნოუ ნაურბა, სადაც უნდა ყოფილაყო იგი, პირველი კაცი უნდა ყოფილიყო.

დოდის შემდეგ მოხუცებმა აფხაზური ძველთაძველი სპორტული საბის შე-

ჭიბრი გამართეს. აქ გამარჯვებული აბლა ხაგბა გამოვიდა. მან საოცარი ხელოვნებით შეატოტა ორფეხზე ცხენი, იქედან ყალყზე შემდგარი ისე ასკუბა, რომ ჯერ ელვასავით გაეკრა მიწას, ხოლო შემდეგ მწვეარივით გაიწელა და გრივალივით გავარდა ცხენი. ასეთი შეჭიბრის დროს მელავენდება ცხენის მართვის ხელოვნება, ცხენოსნის უდაღესი ოსტატობა. დამთავრდა ბრწყინვალე დღესასწაული.

ზიზი თავის დაქალებთან ერთად არსაულაქენ გაემართა. მოულოდნელად მათ ახლოს არსოუს მანქანამ გაიქროლა. ზიზისთვის თათქოს ვესმეს მოულოდნელად მათთან ეწყვიტოს შიშველ კანკებში, ისე შეპკვილა უცებ. ყველანი გაოცდნენ. ზიზი მიხვდა თავის შეცდომას და ისე შეწუხდა, სირცხვილისაგან თავი ზევით აღარ აუწყვია ისე მივიდა სოფლამდე. ნაურბამ კანტორაში მანქანა გაათავისუფლა და თითონ ზიზას შესახვედრად ფეხდაფეხ წამოვიდა.

• • •

ბაუროს შემდეგ ადგურმა საქაონს და არსოუს თხოვა ცოტახნით დაეჩინოლიყვნენ.

ლებამ ორივე დივანზე დასვა და თვითონ შუაში ჩაჯდა. არსოუს ეჩვენებოდა, რომ იგი შიშველ, გავარჯარებულ კეცზე იჯდა. ადგურმა თითქოს შემთხვევით უთხრა არსოუს.

— ჩვენი მომღერლები და მოცეკვავენა დღეს ოლიმპიადაზე არც თუ ცუდად გამოვიდნენ.

— მართალი ბრძანდებით, არსაულელები კარვად გამოვიდნენ, თქვა არსოუს.

— ნამდვილად, არც არსაულელები გამოსულან ცუდად.— დაადსტურა ადგურმა, ადგური მიხვდა, გაჯავრებულ არსოუს ჩხუბის გუნებაზე იყო. იგი მხოლოდ საბაბს ეძებდა აბლა ამისთვის.

ლოლუა გაჩუმებული იყო. იგი ისევ მორიდებით უცქეროდა არსოუს. მისი სიჩუმე არსოუს ნაურბას უფრო აღშ-

ფოთებდა და წონასწორობიდან გამორყავდა. ადგურმა ცოტა ხნით თავი შეიკავა, გაჩუმდა, მერე კი გულმოდგინედ და გულწრფელად უთხრა არსოუს:

— ვერ დაგიმალავ, არსოუს, დიდი ხანია გაკვირდები. ხანდახან ძალიან ძნელია შენთან საუბარი. ბევრი ვიფიქრე შენი ხალხისადმი ასე უნდობლად მოქცევის შესახებ და არ ვიცი რა გითხრა.

— ყველა მე მაკვირდება და მითვალთვალებს. ამას მეც კარვად ვგრძნობ: ყოველი ჩემი ნაბიჯი იწონება, ყოველი ჩემი სიტყვა უკუღმა ბრუნდება და ითარგმნება. დამძვევენ და ფეხებში მიყურებენ. — მისი კანკალით თქვა არსოუს.

— არსოუს, სულ უფროდაუფრო მიუჯარებელი ზღეძი, რა გითხრა აბლა ადგურმა ასეთი, რომ გეწყინა, — ჩაერია სამსონი.

ამ სიტყვებმა უფრო აღაშფოთა არსოუსი, ვინც ლეიბას საყვედურმა.

— თქვენ გადაგიწყვეტიათ სულელად გამომაცხადოთ და ყველამ ჰკუთა მასწავლოთ ხომ კარგი, ბატონო, ასე იყოს, მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, მოჩხუბარმა ძალღმა უნდა იცოდეს, მერე ძალსაც კბილები აქვს.

ადგური ვერ ააღელვა არსოუს გამომწყვეტა სიტყვამ. იგი ისევ დინჯად და სიღარბიანლით შეუდგა სათქმელის გადმოლაგებას.

— არსოუს, შენ არ ცდილობ თავიდან მოიშორო ისეთი თვისებები, როპლებიც გავინებმა, სახელს გიფუჭებს და ხალხის თვალში ხელმძღვანელი ამხანაგების ავტორიტეტს საეჭვოსა ხდის. შენ დაიჯერე, რომ შენი ბედი მხოლოდამხოლოდ ზემდგომი ამხანაგების ურთიერთობაზე დამოკიდებული გგონია, თუ იმინი შენზე კარგი შეხედულებებსა არიან, ეს კმარა, ხალხი კი შენთვის არაფერს არ ნიშნავს, სოფელი, შენი ფიქრით, ვერც რაიმეს მოვიპატვებს და ვერც რაიმეს დაგაკლებს. არა ზარ მართალი. ეს საბჭოთა ადამიანის ფიქრი და აზრი როდია. ასეთი

შეხედულებები. აუცილებლად თავიდან უნდა ამოვიღო იგი მაგნეა საქმით სათვისაც და, პირველყოვლისა, თვით შენთვისაც.

— თქვენ ყოველთვის იმას მაყვედრით, რომ მე, არნოუ ნაურბა, ჩემს თავს ხალხზე მაღლა ვაყენებ, მათი სიყვარული და პატივისცემა არა მაქვს. აბა ვისთვის ვშრომობ ასე მონდომებით, ვისთვის ვეკლავ თავს. განა სოფელი ჩემი მეთაურობის დროს არ გამდიდრდა? დოვლათი სახლში ხომ არ წამიღია. ქარვასლები არ ამიშენებია, ოქროს ზოდები არ შემიტანია ოჯახში.

— ვიცი, რომ შრომობ, ისიც კარგად ვიცი, რომ შრომის დროს მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობ. ეს ფიქრი ის არის, რომ დიდებია კვარცხლებეზე ახვიდე, დაფნის გვირგვინი დაიდგა თავზე. ნუ დეკავ, ნუ შედავები, ვიცი, რასაც მიპასუხებ. გმირი ის როდია, რომელიც ყველაფერს სწრაფად უარყოფს, რაც არ უნდა დაუჯდეს, დაუფიქრებლად ყოველივეს წინააღმდეგ მიდის. ადამიანი უნდა დაფიქრდეს, ნათქვამი ასწონდასწონოს, ცუდი და კარგი გაარჩიოს და სათანადო დასკვნა გააკეთოს. ვით უმეტეს, შენ ველაპარაკებინა არა მტრები, არამედ შენივე ამხანაგები, ერთად თანშეზრდილები, თანასოფელები. ამავე დროს ისინი, როგორც შენ თითონაც, კომუნისტები არიან. მათ ყურისდადებმა უნდათ, მათ სიტყვას პაჩიარად არ უნდა მოექცე. აი, ხომ გახსოვს, ლადი კვაცბას ისტორია. შენ სხვანაირად მოექციე მას, არსაფელეებმა კი სულ სხვანაირად გადაწყვიტეს ეს საქმე.

არნოუს გულზე მოხვდა კვაცბას ამბავი. ის მიხვდა, რომ ლეიბა აქ უტყუარად მართალი იყო და ენა ჩაუვარდა.

ადგურმა კი კაბინეტში ჩაფიქრებით გაიარა-გამოიარა, იგი, ეტყობოდა, ძალზე შეეწუხებინა ამ საქმეს.

სალამოს კოლმეურნეობა „კერაზ“-ში პარტიული კრება იყო მოწვეული. კომუნისტებმა ლეიბას თხოვეს საშსონ

ლოლუაც თან მოეყვანა. ეტყობოდა, იქაური კომუნისტები სჭაჭაუნდლადუასთან სერიოზულ სატყუარაშტებდნენ. უნდა დაესწროს თუ არა რაიკომის მდივანი ამ კრებას? არა, არ უნდა დაესწროს, დე, მათ გულითა და სულით მოილაპარაკონ უიმისოდ. მის გარეშე. ასე სჯობია.

ადგურმა ურჩია ორივეს — საშსონს და არნოუს — დაფიქრებით მოესპინათ იქაური კომუნისტების საუბარი და განსაღი დასკვნა გამოეტანათ.

— ყველას ათქმევინეთ გულისნადები, თქვენ მათ ნათქვამს სერიოზულად მოეპყარით, — გააფრთხილა მან ორივე.

— მე ორი წუთით სახლში ვავიცილი. — თქვა საშსონმა, როცა დგებოდა.

— ბედნიერ მგზავრობას გიაურვებთ, — გამოემშვიდობა ლეიბა ლოლუას.

არნოუ განზრახ შეჩერდა რაიკომის მდივანთან, რათა ლოლუასთან ერთად არ ემგზავრა. მას ახლა უსიტყვოდ სწამდა, რომ საშსონი მისი მოლაღატე მეგობარი იყო.

ადგური ფიქრებს მიეცა. მას უნდოდა გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა არნოუ ნაურბას მიმართ ასეთი მოფერება. გამოსწორდებოდა თუ არა ასეთი კაცი, დაღებოდა მისგან თუ არა ნაძღვლი კომუნისტი. შეიძლო თუ არა მას ადამიანებისათვის შეეხედა ადამიანურად. ლეიბამ იცოდა, რომ არნოუს ძველთაგანვე ჰქონდა შემუშავებული ადამიანებზე უხეში და მკაცრი აზრი, ისინი, მისი აზრით, უნდა დათრფნო. შიშში იყოლიო, დასაჯო. ტრიბუნიდან ციხისლოვანი სიტყვების თქმა, ადამიანებთან სიმკაცრე და დამსჯელი ზოვიების მიღება. აი, რა ასულდგმულებდა ნაურბას. შეიყოლება თუ არა ასეთი ადამიანი? ასტანაც ხომ მის გვერდით მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ იგი არ ვაფოჭდა, თავისი ხასიათის სიწმინდე არ დაკარგა. ადამიანზე სწორი აზრი შეინარჩუნა. ვნახოთ, მოვსინჯოთ. თუ მიხვდა ნაურბა და სწორ გზაზე და-

დგა, ხომ კარგი. იგი ასტანაზე გაცი-
ლებით ნიჭიერია, ენერგიულია, გაბე-
დულია. სამაგიეროდ თვითდაჭერებუ-
ლია, თავის გარდა, სხვისი არაფერი
სწამს, თვითშეპრობელი კაცია. არაფერი
არ სჯერა. გონია, მის გარდა, სხვას აზ-
როვნების უნარი არ აქვს. სამწუხაროდ
მარტო ნაღრბა როდია ასეთი?!

სამსონი სახლში არ წასულა, იგი
დაბლა უცდიდა არნოუს. მოსწია ერთი
სივარეტი და ისევ აივანზე ავიდა, სა-
დაც არნოე იდგა.

— კაცო, მე შენ გიციდი.

არნოე არც კი შემობრუნდა.

— ის დრო წავიდა, სამსონ, როცა
ჩვენ ერთიმეორეს ვუცდიდით, ახლა
მე ამ ჭკვეყნად არაფერს მელოდება.—ლო-
ლუამ მტკიცედ ჩააგლო ხელი მკლავ-
ში ნაღრბას. არნოემ არ მისცა მკლავი.
სამსონმა ახლა ორივე ხელი მოხვია და
კიბისკენ წამოიყვანა კოლმეურნეობის
თავმჯდომარე.

— არ წამოვალ შენთან, სამსონ.
ოდესღაც შენი სახით მეგობარი მყავდა,
ახლა იგი აღარ მყავს.

სამსონს ეწყინა ეს სიტყვები, მაგ-
რამ ხელი შაინც არ გაუშვა არნოუს.
მიუხედავად ამ სიტყვებისა: არნოეს
სადღაც გუნებაში ესიამოვნა, რომ
რ. ალმასკომის თავმჯდომარემ, სამ-
სონ ლოლუამ არ მიატოვა იგი ასეთ
დროს. მისმა მოფერებამ დააქევა, მაგ-
რამ შაინც არ გაყვა სამსონს და თავის
მანქანას მიაშურა.

— აბა, სახლისკენ მოუსვი, — მია-
ახა მან ხეტას.

ხეტამ იცოდა მისი უფროსის ყოვე-
ლი ჩვევა და მაშინვე მიუხვდა მას.
ერთი წუთის შემდეგ მანქანა გიჟივით
მიჭროდა სოფლის შარაზე. არნოეს
ხელებმა ატყუდა პაპიროსის ზედიზედ
მოწვევის გამო. ხეტამ სვლას უკლო.

— გეძინება თუ რა ღმერთი გაგიწყ-
რა, — შეუყვირა არნოემ ხეტას.

ხეტამ, ჩვეულებისამებრ, წარბიც
კი არ შეათამაშა ისე დინჯად გადააგ-
დო სიჩქარეში მანქანა და გრიგალივით
მიუშვა მოსტალტებულ გზაზე.

საავადმყოფოსთან გაიარეს. აქ ყო-
ველთვის შეაჩერებდა მანქანას ხეტამ
არნოე აუცილებლად ყუარასს მანქანა
ხელებდა და იხევე გასწევედა სოფლად
დღეს ხეტა ვერ მიხვდა უფროსის სა-
წადელს, გეგმებებინა თუ არა მანქანა
საავადმყოფოსთან. მანქანამ ჩაუჭრო-
ლა საავადმყოფოს ქიშკარს.

• • •

გერა გუბაში პარტიულ საქმეებს
აბარებდა მსოფსტ სავანას. გამოირკ-
ვა, რომ მთელი საქმეები ერთ პატარა
რეგულის ყდაში თავისუფლად ეტეო-
და გერას—მხოლოდ კომუნისტების სია,
რაიკომის ბიუროს ორიოდე დადგენი-
ლება და საწვევო. მართალი რომ თქვას
კაცმა, „გერაში“-ს კომუნისტებს არც
კი გააჩნდათ პარტიული ცხოვრება: მათ
მხოლოდ ჩაის კრეფა, გათოხვნა, გასბ-
ვლა, სიმინდის ყანისა და თამბაქოს
მოვლის მეტი თითქოს არაფერი არ
სჭირდებოდათ. თითქოს ამ სოფლის
კომუნისტები ადამიანები კი არა, სხვა
ცხოველები იყვნენ, რომელთაც ადა-
მიანურ ცხოვრებასთან არავითარი კავ-
შირი არ ჰქონდათ. მიზნისა და იდეების
გარეშე ცხოვრობდნენ, ადამიანური
აზროვნებისაგან შორს იყვნენ.

საერთო კრებაზე, სადაც გერამ სა-
ანგარიშო მოხსენება გააკეთა, ხალხი
გალახულივით თავჩაქინდრული იჯდა.
რასაკვირველია, გერამ არ გაუშვა ხე-
ლიდან იმის შესაძლებლობა, მაღალ-
ფარდოვანი სიტყვებით მოეხსენებია
რესპუბლიკის სოფლის მეორეობის
მიღწევები. არანაკლები დაფნის გვირ-
გვინით შეამკო სოფელ არსაულის სი-
დიდრე და დოვლათი, რომელიც არნო-
უს თავმჯდომარეობით და მისი ბრძნუ-
ლი ხელმძღვანელობით იქნა მოპოვებუ-
ლი. სამსონმა და თვით არნოემ კი
მეტად უხერხულად იბრძნეს თავი.
არცერთმა არ იცოდა, საით წასულიყვ-
ნენ, ისე შერცხვათ.

— შეკითხვები თუ არის, ამხანაგე-

ბო! — იციანა მოხსენების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ.

— მინდა შევეკითხო მომხსენებელს.

— იხუტრა ხმაშალლა ერთმა, — რის შესახებ გააკეთა მოხსენება ამხანაგმა გუბაზმა?

ყველას გაელიმა.

— მე შეკითხები? — უტიფრად წამოდგა გერა, — ჰოჰო, უყურეთ ეთი აჰას, ერთი საათი აბა რახე მოუთბრობდი ხალსს? შენ ალბათ არც კი უსმენდი, ან გეძინა კრების დროს!

— კიდევ ხომ არავის გაქვთ შეკითხვები? თუ არ არის ასეთი, მაშინ გადავიდეთ სიტყვებზე. მოხსენება შევავსოთ, განვსაჯოთ, ჩვენი აზრი ვთქვით.

— შესაფაანებელი და განსაჯელი აქ რა არის? მომხსენებელი არც ერთ საკითხს არ შეხებია და სადაოც არაფერი. ყველაფერი კარგად გვექონია. ჩვენ სოფელში საპოთხე შექმნილა. ჩვენ რა გვეთქმის ამის შესახებ?

— შენ გამობრძანებულიყავი და გაგვეთხებია ჩემს მაგივრად მოხსენება, — აუშალლა ხმა გერა გუბაზმა.

— ღმერთო შენით და, ასეთ მოხსენებას შენა გარდა ვერავინ ვერ წავგიკითხავდა.

— სიწღისი არ ეყოფოდათ ამისათვის. — გაჯავრებით თქვა ასტანამ.

— როგორც იტყვიან, ეს მოხსენება კაპიკადაც არ ღირს.

გერამ ხელი ჩაიჭნია, ვითომ შენს ლაპარაკს ფასი არ აქვსო. მაგრამ მისი სიბრძნე ყველამ იცოდა.

სინამდვილეში გერას, მართლაც, არაფერი გაეგებოდა. ვერ გეტყვოდა თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტი სოფლად, რას ნიშნავს პოლიტიკურ-პარტიული განათლება, დისციპლინა და პარტიის წევრებოს დამოკიდებულება სახალხო საქმისადმი. ის ახლაც ვერ მიხვდარიყო რისთვის ედავებოდნენ, რა უნდოდათ მისიან. გულმოსულიც კი იყო არნოლესა და სამსონის ასეთი გაჩუმების გამო.

„ნუთუ არ ესმით, რომ ასტანა და

მისი მეგობრები პარტიული მუშაის ავტორიტეტს ბლაღვენ, შეტყუებულნი და ფეხქვეშ თელავენ“.

სამსონი და ნაურბა კი დამწუხრებულნი იყვნენ. კარგად იცოდნენ, რომ ყველა ეს შეკითხვა მათ უფრო ეხებოდა, ვინემ გერას. ისინი ორივენი ხომ რაიკომის ბიუროს წევრები გაბლდნენ. ორივენი ამ სოფლიდან იყვნენ და ამ სოფლის უშუალო ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ.

ბოლოსდაბოლოს, ისეთი მდიდარ და სახელგანთქმულ კოლმეურნობაში. როგორც „კერაზი“ იყო, პარტორგანიზაციის მდივანი თავის სიმალლეზე უნდა ყოფილიყო. სიტყვა იასონ ამპარმა მოითხოვა, არნოუმ კიდევ მეტად ჩაქინდრა თავი.

ახლა ეს კაცი მხოლოდ მე დამეხსმის თავზე. გამთათხავს და გამაბიაბრუებს, — გაიფიქრა მან. იასონმა კი სულ სხვანაირად დაიწყო სათქმელი.

— ასეთი მოხსენებისათვის გერა გუბაზი როდია დამნაშავე, ამხანაგებო! ამისათვის ყველანი ვაგებთ პასუხს, მხოლოდ ჩვენ ვართ დამნაშავენი. განა ჩვენ არ ავირჩიეთ გუბაზი პარტორგანიზაციის მდივანად? განა ჩვენ არ ჩავაბარეთ მას ასეთი პასუხსაგები საქმე? მერედა რატომ ჩავიდინეთ ეს? ნუთუ ჩვენ არ ვიცოდით, რომ გერა გუბაზი ამ საქმეს ვერ შესძლებდა, რომ იგი არ იყო ღირსი სოფლის პოლიტიკური ხელმძღვანელი ყოფილიყო. რასაკვირველია, ყველამ ვიცოდით. და მაინც ავირჩიეთ. მერემ როგორ ავირჩიეთ, ფარული კენჭისყრით ავირჩიეთ ამხანაგი გერა. ყოველმა ჩვენგანმა ძალდაუტანებლად მისცა მას თავისი ხმა.

უცებ მთელი დარბაზი ახმაურდა. ვერ გაიგებდით, ისინი იასონის მომხრენი იყვნენ თუ წინააღმდეგი, ისე აირივნენ ანაზღად.

— მე გეტყვით, ამხანაგებო, თუ რამ გამოიწვია ეს. ჩვენ პატივი ვეცით ჩვენი სოფლის შვილს სამსონ ლოლუას. ჩვენ არ მოვიწოდეთ იგი ხელუარიელი დაბრუნებულიყო რაიონში, რადგან რა-

იკომმა დაავალა გუბაზის ამ სოფელში პარტორგანიზაციის მდივნად გატარება. არ მოვიდნო მეთ სამსონის შეურაცხყოფა. ჩვენ პარტიული სინდისი ვანაცვალეთ სამსონის ავტორიტეტს. არ გამოვიდა კარგად. თითონ სამსონმა ისარგებლა რა ჩვენი სიყვარულით, პატივისცემით, რაიკომი შეცდომაში შეიყვანა, მან თავისი ბიძაშვილი გუბაზი წარადგინა ამ თანამდებობაზე. რა გააკეთა არნოუმ ამ დროს? მან ცხენივით დაიმორჩილა გუბაზი და, სადაც უნდოდა, იქეთ აკრევენებდა თავს. შეიძლება, გერას, თუ კი ის სოფლის კომუნისტებს დაუგდებდა ყურს, კიდევ რაიმე გაეკეთებინა. მაგრამ, ამხანაგო არნოუ, შენ ამისი საშუალება არ მიეცი. შებორკე კაცი, ჩობის კალთაზე მიიბი, შენს უკან დააწყებინე ჩანჩალი. გუბაზი არც კი დაფიქრებულა იმის შესახებ, თუ რა უნდა ეკეთებინა მას, თავისი მოვალეობა სრულიად დაივიწყა.

სამსონი სულ მოიდრუბლა. იგი რადიკალირ სამკაულებს ხატავდა ფურცელზე. არნოუ კი კედელზე ერთ წერტილს მიჩერებოდა, მაგრამ, რომ გეკითხათ, ვერც იმას გეტყვობდათ თუ რა წერტილი იყო იმ კედელზე მოხატული.

— როგორ მოექცევი შენ, ამხანაგო ნაურბა, ლადი კვაცბას? — ისევ გააგრძელა იასონმა თავისი სიტყვა. დაკრილი, ნაოშარი და ავადმყოფი კაცი აიძულე დღე-ღამე ბოსტანში ეთია, ისედაც დასუსტებული ადამიანი კიდევ უფრო დაავადმყოფე. განა ეს კომუნისტის საქციელია? დიაღ, სამსონიც დამნაშავეა, ვერაც და არნოუც, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ ვართ ყველაფრის პასუხისმგებელი. ჩვენ ვართ დამნაშავენი დღევანდელი მოხსენების ასეთი უნიკათობისა. განა ასეთი მოხსენება უნდა გაეკეთებინა ჩვენი სოფლის პარტორგანიზაციის დღეს? დიდი სირცხვილია ეს ჩვენი, დიდი სირცხვილი!

დარბაზი, ეტყობა, ელოდა კიდევ იტყოდა იასონი რასმეს, მაგრამ იასონი დაჯდა. მაშინ ხალხი ერთხმად აყვირდა:

— მართალია იასონი, მართალია!

იასონმა კამათი გაბსნა. ის ნელა დაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვებზე და დამაჯერებელი იყო. *მამანჩინა* სიტყვამ ყველა გამოაცოცხლა და კრებასაც აზრი მისცა. ახლა ყველას გაახსენდა ის ტკივილი, რომელიც მთელ სოფელს დიდხანია აწვალებდა და აწუხებდა. ყველანი არნოუს წინააღმდეგ ამხედრდნენ. დაუწყეს საყვედურები. არნოუ მზად იყო ყველასთვის სათანადო პასუხი გაეცა. მან სურდა არავინ არ დაეტოვებინა ისე, რომ ბრძოლდე სიტყვით მაინც არ გაეკენწლა. სამსონი თვალებით ანიშნებდა, გაჩუმებულიყო, არაფერი ეთქვა. არნოუმ ფერი დაკარგა, სიბრაზისაგან გაშავდა. აი, ხედავთ, ყველაფერი წყალში გადაუყარეს, ერთი კეთილი სიტყვაც კი არ თქვეს მასზე. მან ხომ მთელი ცხოვრება სოფელს შეაღია, გაამდიდრა და აღამალა იგი. მისი დიდება საქვეყნოდ გამოაჩინა. ახლა მხოლოდ და მხოლოდ საყვედურები და მეტი არაფერი! იასონმა იგრძნო არნოუს განწყობილება. მან აღუღვებით ესროლა არნოუს ადგილიდან:

— ჩვენ ცუდი როდი გვინდა შენთვის. ჩვენ მხოლოდ შენს იმ ნაკლზე ვეუბნებით პირისპირ, რომელიც თან მიგყვება შენი მუშაობის დროს. შენ იმითი უნდა გეშინოდეს, ვინც გელაქცება, კულს გიქნევს და ენით გლოკავს...

არნოუს თითქოს მეხი დასცემოდეს, ისე წამოხტა ზეზე.

— ნუ მაშევიდებ, იასონ, თქვენ თავლათს მაზახმთ, მაპირებთ, ქვეყანაში ყველაზე უკანასკნელ ადამიანად მთვლით. მაგრამ განა ასეთი იყო ჩვენი კოლმეორნობა „ეკრაზი“ ჩემს თავმჯდომარეობამდე?!

— ამას არავინ არ ამბობს, ბევრი კარგი რამ გააკეთე, შენ როგორც კომუნისტი ვალდებული იყავი ასე გემუშავნა, სხვანაირად არ შეიძლებოდა. ამით განსხვავდებოდი შენ სხვა თავმჯდომარეობისაგან.

— მაშინ რატომ მაგინებთ ასე უწყალოდ, რატომ მჭრით თავს და მთათხავთ. გამოდის, მე მგელი ვარ, თქვენ კი

მამა აბრამის ბატონებზეთ უკოდველნი ბრძანდებით?!

— იმითომ, რომ წესრიგი არ გვაქვს. ყველაფერი უკულმა მიდის.— დაიყვირა გერამ.

მთელს დარბაზს სიცილი წასკდა. არნოუსაც კი გაელიმა მის სიტყვებზე. მარტორდმარტო საშინი არ ილიმებოდა. მან იცოდა, ახლა მისთვის სასაცილო არაფერი არ იყო. ნამდვილად ის რყო დამნაშავე, რადგან მან წამოაყენა გუბანი პარტორგანიზაციის მდივანად. ყველა მას მისჩერებოდა. ყველანი ელოდნენ თუ რას იტყოდა რაიადმასკომის თავმჯდომარე. საშინი კი ერიდებოდა ლაპარაკს. ან რა უნდა ეთქვა? ყველაფერი მართალი ითქვა, მაგრამ შეიძლება თუ არა რაიონის ხელმძღვანელმა ახლა, ამათ წინაშე თავი დახაროს, თქვას, ნამდვილად მე ვარ დამნაშავე, მე ვაუწყებ გერას რეკომენდაციით. საერთოდ იგი არსაულაში მეტად იშვიათი სტუმარი იყო. მერე განა შეიძლებოდა რაიკომის ბიუროს წევრი, რაიადმასკომის თავმჯდომარე ერთხელაც არ ყოფილა არსაულაში სოფლის ჰირვარამის გასაგებად. აივე დროს მას კარგად ესმოდა შორიდან არსაულაში ვენახების გაფუჭების ამბავი, წვრილფეხა საქონლის მოუვლულობის შესახებ. საშინმა ისიც კი იცოდა, რომ არნოუ პატივს არ ცემდა არც მეფრინველეობას და არც ფიქრობდა სოფლის მშენებლობის საკითხებზე. ერთი სიტყვით, არნოუ გამედიდურდა, ხალხს ზურგი აქცია. მათ სურვილს და მისწრაფებებს ფეხი დაჰკირა. მან კარგად იცოდა, რომ რასაც ხალხი არნოუს შესახებ საყვედურობდა, მასაც ენებოდა. ხალხს უთქვამს: „ლიტრაჲ, შენ გუბნებიანი, კოკავ, შენ გაიგონეო“. არა, გაჩუმება არ შეიძლება. მან უსათუოდ თავისი საოქმელი უნდა თქვას. საშინი წამოდგა.

— „კერაზის“ პარტორგანიზაციის კრებამ მეტად სასიცოცხლო საკითხები დააყენა ჩვენს წინაშე. უნდა გამოვიტყუდეთ, ჩემთვის ძნელია ამჟამად ლაპა-

რაკი. საპირთა დაფიქრება, სერიოზული დაფიქრება. მე რაფიქრებუროს უკლებლივ მოვასხენებმს ყველაფერს. რაც შეეხება ჩემს მიმართ ნათქვამ სიტყვებს, თავიდან ბოლომდე ყველაფერი მართალია. ყველაფერი სწორია.

უცებ იგი გერამ შეაჩერა. წამოხტა და დაიყვირა:

— მე კი მინც ვფიქრობ, აქ უბატივეცემულოდ ილაპარაკეს რაიადმასკომის თავმჯდომარის შესახებ. ბოლოსდაბოლოს, რაიკომის ბიუროს წევრის შესახებ ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს ხომ ნამდვილად ასეა, ამხანაგო გაბოჩვენ ვინ მოგვცემს ამის უფლებას. ამხანაგი ლოლუა, ჩვენი ორგანიზაციის წევრი ხომ არ არის?

საშინს სახეზე ალი წაევიდა. მან ერთი შეხედვით ჩააგდებინა ენა გერას და კრებამ თხოვა ახალი მდივანი აერჩიათ გერას მაგივრად.

კრებამ, მართლაც, პარტორგანიზაციის მდივანად ისევ მსოუსტ საკანია აირჩია ერთხმად. წარმოიდგინეთ, არნოუსაც მას მისცა ხმა. არნოუმ და საშინმა კლუბი ერთად დასტოვეს. მათ გროვად მისდევდნენ კლუბის მონაწილენი. ისინი ერთიმეორებს არ უყურებდნენ. არნოუს გულს უმძიმებდა ლოლუას გაჩუმება. ბოლოს ვედარ მოითმინა და თავისთვის თქვა:

— ზღაპრული დამეები იცის ჩვენს აფხაზეთში!

მისმა სიტყვამ სხვებს ბიძგი მისცა და ყველამ დაიწყო ამინდზე, ვარსკვლავებზე და ასეთ რამეებზე საუბარი, აქაიქ სახუმარო რალაც თქვეს, გაიციენს, საშინი და არნოუც გამხიარულდნენ. ატანა საშინს მიუახლოვდა.

— ჩვენთან შევიაროთ, საშინ. მთელი ღამე გვიდევს წინ, დავსხდებით, წავისაუბრებთ კიდევ.

ახლა თითქმის მთელი სოფელი დაესია საშინს, ყველა თავისთან ებატივებოდა.

აფხაზი კაცის სული ვერ ითმენს სტუმარი ნაწყენი გაუშვას თავისი სახლიდან თუ სოფლიდან. ლოლუა კი,

რაც არ უნდა იყოს, ამაღამ სტუმარი იყო და სტუმარს კი პატივისცემა უნდოდა. სამსონმა მოიბოდიშა, არნოუს რალაც ურჩია და მერე ყველას გამოემშვიდობა.

ადიკა აფორიაქებული ელოდა შეილის მოსვლას. შეხება თუ არა არნოუს სახეში, ფერი ეცვალა, „შენი ქირი შემეყაროს, ეს რა ფერი გადევს?“ გაიფიქრა მან. შვილიც მიუხვდა დედის თვალებს.

— არაფერი ცუდი არ მომხდარა, ცოტა დავიღალე. წადი და დაიძინე.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუტავს არნოუს.

— მოხდა, როგორ არ მომხდარა! დიდი რამე მოხდა, ნამდვილად დიდი! — ლულულუღებდა იგი მთელი ღამე.

• • •

გერამ პარტიული „საქმეები“ მაგიდაზე დააგდო და არნოუს მოსაცდელ ოთახში შევიდა. ადგუამ უკვე იცოდა წუხანდელი დახურული პარტიული კრების შედეგები. ამიტომ ისეთნაირად დაჭდა, თითქოს გერას ვერც კი ამჩნევდა. გერამ ეს იწყინა, მაგრამ არნოუს პირად მდივანს მაინც ვერაფერი კადრა. მან გახიბ მოგლიჯა თავისი ოთახის კარზე მილუტარსმნული დაფა, რომელზედაც ეწერა „პარტორგანიზაციის მდივანი“, მაგრამ ადგილზე დატოვა „თავმჯდომარის მოადგილე“. იფიქრა, ამ თანამდებობაზე უსათუოდ დასტოვებდნენ. ადგუას გაეღიმა.

„ვერ მოგართვეს ბადრიჯანი,“ გაიფიქრა მან.

სწორედ ამ დროს შემოვიდა საკანია. ადგუა მოკრძალებით მიესალმა ახალ ხელმძღვანელს. გერამ მაგრად ჩამოართვა ხელი მსოუსტს, დაჭდა თავის მაგიდასთან და საკანიას სკამზე მიუთითა. გაკენწვლით კი მაინც გაკენწლა.

— ვერ მოითმინე და საქმეების ჩასაბარებლად მობრძანდი?!

— როგორც ხედავ, ვერ მოვითმინე. რახან მოვსულვარ, საქმეებიც უნდა გა-

მაცნო, ამხანაგო გერა, — გაიღიმა საკანიამ.

— ემ, რას იზამ, რაკი ბიჭი ავირჩიეს, თითონ მიხვდები ყველაფერს. ჩემი სწავლება რად გინდა. აი, მუყაოს ყდები, ქაღალდები იმაშია შენახული.

— მე ქაღალდებზე კი არა, საქმეებზე მინდა გესაუბრო. განა ამქვეყნად ქაღალდებია ყველაფერი?

გერამ არაფერი არ უპასუხა. იგი მაგიდის უკრებში ჩაწედა და თავი ისე ჩაქინდრა, თითქოს სხვა საქმეებით დატვირთულს მისთვის აღარ ეცალა. საკანიამ რკინის ცეცხლგამძლე განჯინის გასაღები გამოართვა, ქაღალდები შიგ დააწყო, დაკეტა და გარეთ გავიდა.

არნოე შემოვიდა. მან ადგუას გაუღიმა, რაც არც თუ ისე ხშირად ხდებოდა მის ცხოვრებაში. ადგუამ შენიშნა. არნოე სუფთად იყო გაპარსული. მას ახალი ხალათი ეცვა, ჩექმები კარგად გაეწმინდა. მხოლოდ ფერი არ ედო სახეზე ჩვეულებრივი. თვალებიც რალაც-ნაირად უფრო ანთებული უჩანდა, ეფრო სხივოსანი და კეთილი. ზარი იარეკა. ადგუამ კარი შეაღო.

— მსოუსტ საკანია არ მოსულა?

— იყო და წავიდა.

— მონახე და მოიყვანე.

ადგუამ აბრეშუმის თავსაფარი მოიხვია თავზე და სწრაფად, ხტუნვა-ხტუნვით, ისე როგორც ეს ბუჩქის ძირას შაშვებმა იციან, გაიქცა ბრძანების შესასრულებლად. მან ეზო გადაიბრინა. ხუტას მანქანაში ჩაუფრინდა და დაიყვირა.

— აბა, გავქუსლოთ, მსოუსტი უნდა მოვინახოთ ამ წუთში!

საკანიას სახლში მივიდნენ და ვერ მოიგულეს, ჩაის პლანტაციებიც მოიარეს, არც იქ დახვდათ, ბოლოს არსაულის ბოლოზე თამბაქოს ფოთლის სამრობი ფარდულები იყო, იქ შიამწყვდიეს მსოუსტი. იგი დამჯდარიყო და სხეებივით ძაფზე აცვამდა თამბაქოს ფოთოლს.

— ღმერთო მომკალი, ვინ გაიგონა

პარტორგანიზაციის მდივანი და თამბაქოს ძაფზე აცმა?!—გაიოცა ადგუამ.

— ცული ამბავი ხომ არაფერია!— იკითხა საკანიამ.

— არნოუს უნდა თქვენი ნახვა.

„აი, იწყება ამბები“ გაიფიქრა მსოუსტმა.

— გადაეცი, სადამოთი შემოვეულო აუცილებლად.

ადგუას მკვდრისფერი დაედო. „როგორ შეიძლება არნოუ გეძახოდეს და სალამოსათვის გადადო იგი“?

— ახლავე მოვიდესო, მანქანით გამომაგზავნა.

— შენ მანქანით წადი, მე კი სალამოს ვენახე არნოუს.

ადგუას კანკალი აუტყდა. ჯერ ასეთი რამ არ გაეგონა. მან უნებლიეთ ხელი სტაცა მსოუსტის ხელს და თამბაქოს ფოთოლივით მიეწება ზედ.

— ნუ გეშინია, ადგუა, არნოუ საყვედურს ვერ გეტყვის, გადაეცი მსოუსტი მალე მოვა-თქო.

გაფითრებული შევიდა არნოუს კაბინეტში ადგუა. მას მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა, რადგან მსოუსტი არ დაემორჩილა არნოუს ბრძანებას, ალბათ, არნოუც მოხსნილი ყოფილაო. შეიძლება ახალმა თავმჯდომარემ სულაც არ ინდომოს პირადი მდივანი და მაშინ, მშვიდობით, ტყბილო სიცოცხლეც, ადგუა ჩაის ფოთლის საკრეფად ან თამბაქოს საშრობში უნდა წავეიდეს! ვაი მაშინ შენ დაბადებას!

— ვერ მონახე მსოუსტი?—იკითხა არნოუმ.

— კი, მოვინახე, მაგრამ ასე თქვა, სალამოს გავეულოო.

ადგუამ იცოდა ასეთ დროს არნოუ მუშტს დაუბრალებნებდა მაგიდაზე, იყვირებდა, ქვეყანას შესძრავდა. ახლა კი ფანჯრისკენ წყნარად შებრუნდა, სიტყვა ხმაშალა არ თქვა.

მხოლოდ, „კარგო“, ჩუმად ჩაილაპარაკა თავისთვის. არა, ეს მოეჩვენა ადგუას. არნოუ ისევ ძველებურად აღელდა. თვალებიდან ცეცხლი ყარა. მან ისევ ჩვეულებრივად დაიყვირა:

სად შეხვდი მსოუსტს?

ადგუას სიცოცხლე მუქმატყე ტანში ჩანი ჩაუდგა. „ყვირის მუქმატყე მუქმატყე-დამე, ისევ თავის ადგილზეა, იგი არავის არ მოუხსნია, არ გადაუყენებიათ“.

— თამბაქოს ფოთოლს კინძავდა გასაშრობად.—უბასუხა კითხვას ადგუამ.—დიდ საშრობ ფარდულთან შეაჩერა ხუტამ მანქანა.

— დაუძახე მსოუსტს, — უთხრა ხუტას არნოუმ. ხუტაც ნელა, როგორც ყოველთვის, აუღელეებლად გადაელო თხრილს და საშრობისკენ წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მსოუსტიც გამოჩნდა. არნოუ ოდნავ აღელდა, მაგრამ არ დაიმჩნია. თავს ძალა დაატანა, ნაძალადევი გაიღიმა კიდეც და საკანიას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— მსოუსტ, რატომ მუშაობას არ იწყებ?—შეეკითხა იგი საკანიას.

— ვმუშაობ, აბა რას ვაქეთებ?!

— სისულელეა. შენ იცი, რასაც გეუბნები. კოლმეურნეობაში ცოტა ხალხი როდია, ვისაც თამბაქოს გაშრობა ევალება, შენ ისევ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხარ კოლმეურნეობისა. ჩვენ შორის თუ რამე მომხდარა წინათ, ის ქარმა წაიღო. ახლა შენ შენი საქმე უნდა აკეთო.

მსოუსტს არ უნდოდა არნოუსთან ცუდად ყოფილიყო, „მაგრამ ხომ არ ფიქრობს ნაურბა, მის მონა-მორჩილად და ლანდალ ვიქცე. ეს არ მოხდება“—გაიფიქრა მან.

— ყანაში მუშაობა სხვებისთვისაა, ამისთვის „კერაზს“ მუშახელი ყოფნის.

— არსად არ უთქვამთ, რომ პარტორგანიზაციის მდივანი ფიზიკურად არ უნდა მუშაობდეს.

— სისულელეა, ასეთ დიდ კოლმეურნეობაში, როგორც ჩვენი „კერაზია“, პარტორგანიზაციის მდივანი მოადგილეც არის.

არნოუს სწორედ ეს აწუხებდა. მან იცოდა, თუკი პარტორგი ამევე დროს მისი მოადგილეც იქნება, მაშინ მას უფლება აქვს, რაც უნდა, ის დაეაღოს თავის მოადგილეს, უბრძანოს კიდეც.

პარტორგანიზაციის მდივანს კი ამას ვერ გაუკეთებს.

— ნუ სწუხარ, არნოუ, მესიმინდების მერგოლურად თუ ვრჩები, პარტიულ მუშაობას ამით არ ჩავადგებ, ხალხში მუშაობა უფრო მომეხმარება. მათ პირვარამს ახლოს გავიგებ. უფრო გულთან მივიტან.

— შენ გგონია, მაგისათვის საშრობ ფარდულში უნდა იქდე და თამბაქო კინძო ძაფზე? ჩემი აზრით, ეს უხერხულად არის.

— რა არის უხერხული, მე ხომ ხალხთან ვიქნები ახლოს?

— ეს კი საკითხავია, ძმაო, საკითხავია...

• • •

მსოფსტთან საუბარმა კიდევ უფრო გაუცივა გული არნოუ ნაურბას. მას თანდათან დაეუფლა ისეთი აზრი, ყველაფერს ცივად, გულაცრუებულად უნდა უყუროო. ბოლოსდაბოლოს, ვინ დაგიმადლებს, ვინ გეტყვის სიყვითლისათვის გულითად მადლობას? არავენ, რაღაც ორიოდ დღას წინ სულ მე მეძახდნენ, მე ვიყავი საპირო. შვილი აბარებს ტექნიკუმში გამოცდებს, აბა, არნოუ, შენ გვიშველე და მოგვეხმარე, სახლი მაქვს შესაკეთებელი თუ ასაშენებელი, ტყე შენ გამომიწერე. ოჯახისთვის სიმინდი გამატანე, მანქანა მათხოვე, ქორწილისთვის ცხენები გვათხოვე. ანტიკას რევიზია დაესხა თავს, არნოუ ნაურბა, შენ ვადაარჩინე! რისთვის და რატომ? გუშინ, როცა მთელი კრება თავს დამესხა, ვინ აღდა და დამიცვა, ვინ გადაამეფარა თავზე?! ეს კი არა, ახლო ნათესავებმაც კი მიტოვეს. არა, გენაცვალე, აწი აღარ მოტყუვდება არნოუ. დღეის იქით ისე ვიცხოვრებ, როგორც სამსონ ლოლუა ცხოვრობს, ჩუმად და წყნარად. თავისთვის. ხელში საყვირს დავიკავე და დავძახებ: „აბა, შეასრულეთ ჩემი ბრძანება, მორჩა და გათავდა“. მე კი დამეები არ მეძინა. ვლევდი, წვიმა წამოვა თუ დარი იქნება?!

ხვალ გამოვლენ თუ არა მკოფიკაციონ სრულად სამუშაოზე? ვაითუ, გეგმა ვერ შევასრულოთ და ქვეყანაში ვიგდებთ ვეთ? რისთვის ვიკლავდი თავს, რისთვის ვიფუქებდი ნერვებს? რას დავეძებდი. დაიკავებდა თუ არა დიღში მუშნი პირველ ადგილს, რომ ჩვენ მომღერალ გუნდს დიდი სიამოვნება ეჩვენებინა სოხუმელებსისათვის! რატომ ვიკლავდი თავს ასეთი რამეებისათვის? პირადი ცხოვრება კი დავივიწყე, ვერაფერი ვერ გავაკეთე, ოჯახის საძირკველი ვერ გავნასკვე. უიმი!.. ზიზი... ზიზი... რაღა ექნა, რა მოუხერხო, როგორ შევხედო თვალბში მას?! ან ყუარასას შეხედვას ვინ გაუძლებს.

იმ ობერ კრების წინ გუდოფდან დაბრუნებულმა არნოუმ ზიზის მიაკითხა, ვითომ ყუარასა ინახულა და უნდოდა ზიზისთვის ეცნობებია დედის მალე დაბრუნება საავადმყოფოდან, სინამდვილეში კი არნოუს სხვა ედო გულში, ბოროტება ედო გულში.

— დედა თუ კარგად დასტოვე? — იკითხა ზიზიმ.

— მალე სრულიად გამოჯანმრთელდება, — თავიც კი არ დაუხრია, ისე იცრუა არნოუ ნაურბამ.

ზიზი გაყუჩდა. თითქოს ბრუ დასხმოდა, ისე კანკალებდა რატომღაც.

— ზიზი, მე შენთან გულწრფელად მოვედი, ნუთუ შენი საკადრისი არა ვარ. აბა თქვი, ცუდი რა ჩამიდენია შენი ოჯახისთვის?

არნოუ ეფიცებოდა, ეხვეწებოდა, თითქოს სალოცავ ხატად თვლიდა ზიზის, ქალს არც კი სჭირდებოდა ამდენი. იგი უკვე მოკაღოებული იყო არნოუს ტყბილი სიტყვებით, რომლებსაც დიდი ხანია ჩაჩინებდა ყურში ნაურბა გამოუცდელ ზიზის. ერთი ხელის შეხება და ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც არნოუს სურდა. რა ემართება ზიზის, ნუთუ ბრმა! ხომ ხედავს, არნოუმ უკვე მუხლებზე დაიჩოქა და ვედრებით გაუწია ხელები? ზიზი მისკენ წაბარბაცდა.

არნოუ წამოხტა და გულში ჩაიკრა ქალიშვილი. მიმინომ კლანჭებში ჩაბღუჯა გაბრუებული მწყერნი...

გათენდა, ზიზიმ გაიღვიძა. წამოხტა, შეკრულა და ბალიშზე დაეშხო. რა მოხდა? მარტო რად არის ზიზი? არნოუ რა იქნა? არა, ეს შეუძლებელია. არნოუ, ალბათ, ხუმრობს და აქვეა სადმე. ემალება, ეთამაშება. ზიზი ეძახის მას. ის კი ხმას არ იღებს. ნუთუ მართლა წავიდა, გაიპარა, თავისი სურვილი შეისრულა და გაქრა? ზიზის ძაბილი უიმედოდ შეერია მთის ნიავს, ახლა რომ გორაკებს უვლის და ესაღბუნება.

სად არის არნოუ?

ღამით, დახუჯა თუ არა თვალები დაღლილმა ზიზიმ, არნოუმ ქურდულად დასტოვა ზიზის ლოგინი.

ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა. სულ ზიზი უნდა ედგას თვალწინ? მე ის მოვაჯადოვე ღელამისისადმი პატივისცემით, მოვუნუსხე ჩემი სიტყვებით. რა ვქნა ახლა? არსაულა უნდა დავტოვო, გადავიხვეწო: ჩემ პირად ცხოვრებაზე უნდა ვიფიქრო. ზიზის ხომ არ შევირთავ ცოლად. არა, უსათუოდ უნდა წავიდე. ეჰ, მუშაობა ვასწავლე ყველას. აწი ადვილია გაკვალულ გზაზე სიარული. ხვალ ზეგ ასტანა მოვა მზამზარეულზე და მედიდურობას დაიწყებს კიდევ. აი, ბეჩაო, რამდენი ქება მიუღია რადიოდან თუ გაზეთების ფურცლებიდან. არნოუ ცირკის არენაზე გასულ ცხენს გავდა. წრეს თოხარიკით უვლიდა და იცოდა, როდის მისცემდა მწრთენელი შაქრის ნატეხს და როდის დაუქრავდნენ მას ტაშს. მისთვის, ისე როგორც ადგილისათვის, მთავარი გუდოუდან თუ სოხუმიდან დარეკილი ზარის ხმა იყო. სადაც მიუთითებდნენ, იქით გარბოდა, იქით მიდიოდა. არის მითითება და შენც ისე უნდა ირბინო, ისე მომართო შენი ცხოვრება; მის გონებას მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელები ეუფლებოდნენ, ისინი იყვნენ მისი ბატონ-პატრონი, მისი სიცოცხლისა და ცხოვრების წარმართველი. ამიტომ არნოუ ნაუბრა მათი სურვილების აღმასრულებლად

გადაიქცა და არა ხალხის მეთაურად. ის კოლმეურნეობა „კერაზე“-ს მმართველი შეიქნა და არა მისი თანამშრომელი უფროსმა ამხანაგებმა ააშენეს ასეთი თავლა. არც სამსონი, არც რაიკომის მდივანი არასოდეს არ დაფიქრებულან არნოუს სულიერ ცხოვრებაში ჩაეხედათ. ნაუბრა ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც თითონ ისინი. არნოუს სწამდა. სწორედ ასე უნდა ეცხოვრა. ისეთი გზით ევლო, როგორც მისი უფროსი—ხელმძღვანელი ამხანაგები ვიდოდნენ. ხალხი? ეს მეორეხარისხოვანი რამ იყო მისთვის. მხოლოდ გუშინდელ კრებაზე იგრძნო ნაუბრამ, რომ მის ცხოვრებაში რაღაც დიდზე დიდი გატყდა და გაფუჭდა. გულში მაინც იმის შესახებ ფიქრობდა, რომ მასზე თავდასხმა ზემდგომი ორგანოებიდან მომდინარეობდა. თუ არა ადგურ ლეება, ყველაფერი ძველბურად დარჩებოდა.

არსაულელები არნოუ ნაუბრას მაინც პატივს ცემდნენ. მოსწონდათ მისი შრომის უნარი, თავდადება, უანგარობა. ხალხმა არ იცოდა, რომ არნოუს სულსხვა რამ ჰქონდა გუნებაში. არნოუს ეგონა, ჯერ გუდოუში გადაიყვანდნენ სამუშაოდ დიდ ადგილზე, მერე კი სოხუმში. მისი კაბინეტი, დიდფანჯრებიანი და ტყავისსავარძლებიანი კაბინეტი. უსათუოდ უახლოეს ხანში სოხუმში იქნებოდა. სასაცილო იქნებოდა მას ამდროს ციცი ან ზიზი ჰყოლოდა ცოლად. ის კი არა, იქ, შეიძლება სირმაც არ მომდგარიყო!

ახლა კი მსოფსტისთან საუბრის შემდეგ, მიხვდა ნაუბრა, რომ დღეიდან ის კოლმეურნეობის ერთმართველი ხელმძღვანელი აღარ იყო. რომ ამიერიდან სულსხვანაირად უნდა ეცხოვრა; სხვანაირად უნდა წარემართა თავისი სამუშაო. გუშინდელი დღის შემდეგ ასტანა, მსოფსტი და იასონი მისი მეთვალყურეები ხლებოდნენ, მათ გარეშე ერთ აგურსაც ვერ გადააბრუნებს არნოუ ნაუბრა. კრებაზე, გადაკრით პირადი ცხოვრების მტკივანი ადგილებიც მიუთითეს, ქარაგმულად ანტიცასაც შეეხ-

ნენ, ერთმა ზიზის დედის მიმართ მისი მეტად გადაჭარბებული თავგამოდება ვაიხსენა. არა, არსაულადან აუცილებლად უნდა წავიდეს არნოუ. წავიდეს, მაგრამ სად? სად პპოვოს ასეთ დროს ნავაყუდარი? ისევ გუდოუ რჩება, მხოლოდ გუდოუ. შემდეგ კი ვნახოთ! ეს აზრები ამ დღით ჩაუძვრა თავში არნოუს და მოსვენება არ მისცა. წუხელ მთელი დამე არ უძინია, ამ დღითაც აფორიაქდა იგი. აივნებიდან, სვეტზე მიყუდებული გააყურებდა ახლა არსაულას და ამ წუთში აღარ უყვარდა თავისი სოფელი. როცა მანქანა ეზოს მიადგა, ხუტასაც მძღვარე თვალებით გადახედა არნოუმ. არც „ვოლგა“ აინტრესებდა ახლა და არც შიგ ჩაფენილი რბილი საფენები.

დედამ საუბზე გაშალა და შეიღს უხმო.

— ამ წუთში, მოვლივარ, დედი, — უპასუხა არნოუმ.

ერთადერთი დედა ახლა ამქვეყნად მისი მზე და მთვარე, მისი ახლობელი აღამიანი.

საუბრეს მაინც პირი ვერ დააკარა. უგუნებობა მოამიზეზა.

— სიკვდილი მირჩევნია ასეთ სიცოცხლეს, განა ამას ველოდი ამ მოხუცებულობაში? რაღა ჩემი ცხოვრება ახლა?!

არნოუს გულმა რეჩხი უყო. მან ვერ აიტანა დედის ასეთი საყვედური. იგი მაგიდას მიუჯდა და ძალისძალით რამდენიმე ლუკმა გადაყლაპა. მერე საჩქაროდ ჩაჯდა მანქანაში და ეზოს გამოორდა. ხუტამ მანქანა კანტორისკენ წაიყვანა.

— გუდოუში! — დაიყვირა არნოუმ, მაგრამ ეს დაყვირება აღარ გავდა ბრძანებას. გუდოუში იგი ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოსაცდელში შევიდა. მდივანმა იცნო თუ არა, შეეგება.

— თავმჯდომარე აქ გახლავთ, მობრძანდით! — არ დააყოვნა საპატიო სტუმარი მდივანმა.

ქალაქის საბუკოს თავმჯდომარემ ტაბალუ ხიშბამ დასტოვა თავისი სკამი და

წინ შემოხვდა საბელგანთქმულ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რეკომის ბიუროს წევრს, რესპუბლიკური ცხოვრების პიროვნებას.

— რისთვის გარჯილხარ, რამ შეგაწუხათ, ძვირფასო სტუმარო?!

— ისე, ტყუილა შემოგვიარე, ხიშბამ მიხვდა, არნოუს დამსწრეების მოერიდა და სიმართლე არ თქვა.

— პაპა, ამ წუთში, ამხანაგო ნაურბა, თქვენ მოსაცდელში მომიტომინეთ ცოტა ხნით, — მიმართა მან მისულ მთხოვნელს, — მალე მოვრჩებით და დაგიძახებთ.

მთხოვნელმა უკმაყოფილოდ გააქინა თავი და გავიდა.

— ხომ კარგად ბრძანდები, არნოუ?! — შეეკითხა მზიარულად ხიშბამ, როდესაც ისინი მარტონი დარჩნენ. მას კარგად ახსოვდა აღმასხან მაანის ოჯახში გამართული ქეიფის ეშხი. პე, აი, მესმის ლხინი, ასეთი ქეიფი კარგა ხანია არ მინახავს, — ვაიხსენა ტაბალუმ ის დღე.

— მე რა მიჭირს, ჯანღონეზე ვარ. თქვენ როგორ გკითხობთ, ბატონო ტაბალუ?

— თავზე რომ ცეცხლი გამიჩნდეს, მისთვისაც აღარ მექნება მოცალეზა, ისეთ დღეში ვარ. ერთი ბინას მთხოვს, მეორე სამოსახლო ეზოს, მესამეს სამუშაო უნდა, მეოთხეს სახლკარის შეკეთება, ასე რომ, ვის ცალია სხვა რამისთვის, მომიჩიქვდა ყველაფერი, არნოუ, მომბეზრდა.

— სისულელეა, ყურადღება არ უნდა მიიქციო არ უნდა აღვლდე ასეთ საქმეებზე, გულთან არ მიიტანო.

— აი, ეს მესმის. სწორედ ასე უნდა მოვიქცე. შენი რჩევა ძვირად მიიღის. მაინც რამ შეგაწუხა, რისთვის მობრძანებულხარ, მე თითონ გეახლებოდი, სადაც მიბრძანებდი, იქ ვაგჩნდებოდი.

არნოუმ თვალბში შეხვდა ტაბალუს.

— ერთი რამე უნდა გკითხო. შეუძლია თუ არა სოფლის მცხოვრებს ქალაქში საეზოვე მიიღოს?

— განა უფრო ბედნიერი შემთხვევა

იქნება, თუკი ეს კაცი სასურველი კაცია? მე მას საუკეთესო ადგილზე მოვეზომებ მიწას.—ხიშბა მიხვდა, რომ არნოუ თავისთვის მოითხოვდა საეზოვეს.

— რას მეტყვი, თუ ეს კაცი ახლა შენ წინ დგას?

— ეჰ, ძვირფასო არნოუ, ღმერთმა გაგახაროს. დღესვე გამოგიყოფ საუკეთესო ეზოს. შერჩეულიცა მაქვს, ამ წუთშივე გაჩვენებ კიდევ.

— ნუ ხუმრობ, ნუთუ დღესვე შეიძლება ასეთი საქმის მოგვარება?

— დრო თუ გაქვს, ახლავ გაჩვენებ.

— თუკი ასეა...—ველარ დაამთავრა არნოუმ სიხარულისგან სათქმელი.

ტაბალუმ ხელი ხელში გაუყარა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ. თავმჯდომარეს ხალხი შემოესია.

— მესამეჯერ მოვედა და ვერ გზახეთ!— აყვირდა ერთი.

— შე, კაი კაცო, კაბინეტში ვიყავი და შემპირდი ახლავე მიგიღებო, ახლა რას მიშვები, — აწუწუნდა მეორე.

— ნუთუ ვერ ხედავთ, ამხანაგებო, რომ კრებაზე დაგვიძახეს. იქ ისეთი საკითხებია გადასაწყვეტი, რომ... — აღარ დაამთავრა ტაბალუმ, ხალხი მისწი-მოსწია და გაძვრა.

ცოტა ხნის შემდეგ ხიშბამ მართლაც უღამაზეს ადგილზე შეაჩერებინა მანქანა მძღოლს. საეზოვე ზედ ზღვის პირზე, ამალღებულ ნაპირზე იყო გადმომდგარი.

— ამ წუთიდან ეს საეზოვე თქვენ სახელზე იქნება ჩაწერილი. გაფორმებით დღესვე გაეფორმებ. სახლი კი ლამაზი უნდა ააშენო, ქალაქი დამიმშენოს, აი, სამაონ ლოლუას სახლი რომ არის, ისეთი უნდა იყოს. თუკი ჩვენ ხომ წინ მივდივართ და, მაშ რომ ავობო, არავის არ ეწყინება. მე, ძმაო, ღმერთმა იცოდეს, ნამდვილად გამახარებ.

გახარებული არნოუ არსაბლასკენ გაქანდა. გულოუს განაპირად ნაურბამ 'იორმა შენიშნა. იგი სატვირთო მანქანასთან იდგა და, ეტყობოდა, მას უცდიდა.

არნოუმ იქით გაუხვია.

— გამარჯობა, სირმა, მანქანა გავოფუქლათ? საით მიბრძანდები?

— ახუცაში მივდივარ, სამწვეტლო კანტორისთვის ასაწყობი ბინები მიგვაქვს. მალე ავაშენებთ, სულ მალე.

— ჩემთან გადმოვჭეკი, შენი მანქანა უკან გამოგვეყება, მძღოლი გზას გაიგნებს სოფლამდე.

— ტყუილა ნუ იგვანებ, არნოუ, მანქანას მალე გააქეთებს მძღოლი და წამოვალთ. მე აქ მიჩრევენია, — ცივად უთხრა სირმამ.

— ნახვამდის, — გაუჭირდა შეურაცხყოფილ არნოუს სიტყვის თქმა.

— ბედნიერ მგზავრობას გისურვებ.

— ახუცაში შევხვდებით. აუცილებლად ამოვალ იქ, — მაინც დააყოლა არნოუმ. აღბათ, ფიქრობდა ახუცაში მისვლის მიზეზი უნდა მქონდესო.

— რასაკვირველია, შევხვდებით, — ისევ ცივადვე უპასუხა სირმამ.

ქვეყნად ისე დიდებული, ჩამაფიქრებელი და ამაღლებელი არა არის რა, როგორც მთებში მზის ჩასვლა. მწვერვალებზე ისევ ბრღლივალებზე სხივები, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ფარდებით ენაცვლებიან ერთიმეორეს. ლივლივებენ ეს ხლები ნახად, მიმზიდველად, მომაჯადოებლად. მერე მზე მოეფარება დასალიერს და მთებიც გაყუჩდებიან, გაცივდებიან, ვეება ჩრდილებად დაეკიდებიან ცისა და მიწის შუა.

არნოუმ ახუცაში იქაბრა. იგი მოუთმენლად ელოდა შეხვედრას.

დღეს მასზე ფიქრმა დაღალა ნაურბა, თვალწინ ედგა სირმას თვალწარბი და მომხიზლავი ტანის რხევა.

— ეს ადგილი თქვენი კანტორისათვის არის ზედგამოჭრილი. გეგონება, თითქოს ღმერთებს აერჩიოს იგი სათქვენოდ. მერე რა ლამაზია, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია მისი შექება. ასეთ ადგილზე შეიძლება ლექსები თავისთავად დაგებადოს თავში. კეშმარტათ უღამაზესი ადგილია.

— ნუთუ თქვენ ლექსებსა სწერთ? — უცებ იკითხა არნოუმ.

— მე ლექსებსა ვწერ? რამ გაფიქრებიათ?

— რატომღაც მჭერა, რომ თქვენი მდიდარი ბუნება ლექსის წერას ვერ გაეცქევა.

— თუმცა თქვენ მართალი ხართ. აი, ჩემი ლექსები, — სირმამ ხელით ანიშნა ცისკენ შეფენილ ზურმუხტოვან გორაკებზე, — აი, ჩემი პოეზია. მართალია, ახლა ისინი შიშვლად დგანან, მაგრამ რამდენი შესანიშნავი ნაგებობა, რამდენი ლამაზი ოდა შეიძლება გაშენდეს მის კალთებზე. ასეთ მიდამოზე ლექსები კი არა, პოემაც დაიწერება.

— პოეტებმა მთის წყაროებიც უნდა აღწერონ, თითოეული მათგანი შესანიშნავი სიმღერაა, წავიდეთ, მე გაჩვენებ ყველაზე უფრო ლამაზად მომღერალ წყაროსთვალს.

— წავიდეთ, — დათანხმდა სირმა.

არნოუ შთაგონებით აღივსო. იგი სიხარულისაგან თავის კანში ვერ ეტეოდა. შეიძლება, ეს მართლაც ამ მშვენიერი ლამაზი გორაკების ბრალი იყო, შეიძლება, მთისგან მოდენილი გამაბრუნებელი ნიავისა. უფრო მეტად კი იმისი, რომ მის გვერდით ახლა ულამაზესი ქალიშვილი სირმა მიაბიჯებდა.

— მართო შრომა როდია ადამიანთა ბედნიერების წყარო, — დაიწყო ნაურბამ, — არის რაღაც უფრო ძლიერი და დიდებული, რაც ადამიანს ძალღონეს უასკეცებს, ამირანის გოლიათური თვისებებით აღავსებს, სიცოცხლეს უფრო ძვირფასსა ხდის. შეუძლებელს შეაძლებინებს.

— თქვენ რა მიგაჩნიათ ასეთ ძალად?

— ეშმაკურად მოკუტა თვალი სირმამ.

— სიყვარული! — დაახალა არნოუმ.

სირმა კარგა ხანია მიხვდა, საით უხვევდა ნაურბა ამ სიტყვებით და როცა არნოუმ კიდევ უფრო უმატა ასეთ ლაპარაკს, წამოროშა ისიც, რომ მას სიყვარული სწევას და ბუგავს, რომ ერთადერთი დარდი მისი ცხოვრებისა

სწორედ გაუმხელებელი სიყვარულია, სირმამ მოულოდნელად მოუჭრა.

— არნოუ, ერთი მითხარო, რატომ „კერაზის“ ხელმძღვანელები არ ფიქრობთ ამ ალპურ საძოვრებზე წერილი ოთხფენის გაშენებას. განა ცხვარი და თხა ცოტა საარგებელს მისცემს ჩვენს სოფელს? ჩაგუ აგრბა დღე-ღამ ამაზე ფიქრობს, აკი გამგეობაშიც დაუსვამს საკითხი.

„მე ალთაზე ვესაუბრებ, ეს ბალთაზე მიყვება ზღაპარს“, — გაიფიქრა თავისთვის არნოუმ.

— ყველას თავისი ნაფიქრალი მოსწონს, სირმა, ჩაგუ აგრბას თხისა და ცხვარის სიყვარული აღლევებს, მე კი სულ სხვა რამის შესახებ ვფიქრობ.

— შეიძლება, ეს ასეც არის, — მხრები აიჩეჩა სირმამ. — მართლა, სულ მინდოდა მეკითხა, ხომ კარგად არის ციცა, დიდი ხანია არ შემხვედრია არსად.

— რომელი ციცის შესახებ მეკითხები? — გაიოცა ნაურბამ.

— ვითომ არ იცნობდეთ, ციცი გუდარბაზე, გეკითხები.

— მე რატომ უნდა ვიცოდეთ მისი აკარგი?

— განა თქვენ აღარ მეგობრობთ?

ელდანაცემი არნოუ უცებ გაჩუმდა, ენა ჩაუვარდა. სირმასაც ეს უნდოდა. მან განზრახ ჩამოუფლო საუბარი ციცის შესახებ. ამას ისიც მიუმატა, რომ არნოუს გამოკითხვა დაუწყო, თუ რომელი წიგნი ჰქონდა წაკითხული. საოცარი რამ გამოირკვა! არნოუ ნაურბას, ცნობილ კაცსა და აგრონომს, რაიკომის ბიუროს წევრს და განთქმული კოლ ეურნეობის თავმჯდომარეს ისეთი წიგნები არ ჰქონდა წაკითხული. რომელთა არცოდნა არაფრით არ შეიძლებოდა.

— უიმე, მზე უკვე ჩაღის, მე კი ისევ აქა ვარ — აფორიაქდა სირმა. — ნახვამდის, უნდა გავიქცე.

— რა მოხდა, საით მიიჩქარით?

— ლაპარაკში გავერთე და საჭირო საქმე კი დამავიწყდა.

— გაგაცილებ.

— არა, თვითონაც კარგად ვიცი სოფ-

ლის გზა. — ქალმა ერთი კი გაიქნია ლამაზი ტანი და დაბლა ბილიკზე დაეშვა. არნოუ სულ დაიბნა. იცოდეს მაინც, რატომ გაუბრძინა მას ამ ბოლო დროს ყველანი. ალბათ, სხვებმა იციან მის შესახებ ის, რაც მან სრულებით არ იცის. ნუთუ მართლა ასეა. მაგრამ დღეს ზომ ტაბაღე ზიშბამ თავისი ხელით მოუზომა უმშვენიერესი საეზოვე ქალაქის შუა ადგილას. მან ზომ ყველაზე უფრო ადრე უნდა იცოდეს, თუ რამე ელის არნოუ ნაურბას. არა, ეს შეუძლებელია. არნოუ მთის მწვერვალებსაიკენ შემოიხრუნდა. ისინი გაუჩივებულნი და მღუშინი იდგნენ ახლა.

• • •

გაჩი არაფერს არ გრძნობდა. მისთვის არნოუ ისევ ისეთ კაცად რჩებოდა, როგორც აქამდე იყო. გაჩის თვალში მას ვერაფერს დაამჩივებდა. ნაურბა ისევ ბრწყინავდა, ისევ სხვებზე მაღლა იდგა, ისევ დიდების მორავეში ცურავდა იმ დღეს, როცა არნოუ სირმას გორაკების კალთებზე, წყაროს პირს ესაუბრებოდა, გაჩი სოფლის მეორე ნაპირზე ადგუას ელოდებოდა. ისიც წყაროსთვალთან იჯდა. მთის ანკარა, ბროლის წვეთები კლდის ფერდობს ესხმოდა და გაჩის სასაამოვნო შეფებით ასველებდა. საუკუნეების მანძილზე გადმოჩქეფს ეს წყაროსთვალს და ახარებს სოფელს: ნეტავ სად არის ამდენი წყალი დაგუბებული, რომ არ ილევა? — ფიქრობდა კლუბის გამგე. მას შუბლს უგრილებდა ზღვის ნიაგი და სასაამოვნოდ უვლიდა ყრუ-ანტელი მთელ ტანში. დიდხანს იცადა გაჩიმ, მერმე წამოდგა და არსაულას გახედა. მის თვალწინ გაწოლილიყო მთელი სოფელი. მისი თვალები უნებლიეთ სახურავებს გაედევნა, აი, თეთრი თუნუქის სახურავი. ეს სახლი ადგუასია. აღმასხან მანის სახლია. დიდი ოდის გარშემო კიდევ დგას კარგა მოზრდილი სამზადი, თავლა და ფარები, ვეება სასიმინდეც იქვეა. ბავაყ მის გვერდითაა — ძროხებისათვის. არაფერი არ აკლია აღ-

მასხანს. ჯერ კიდევ მამა-პაპისაგან, რომლებიც აზნაურებიც იყვნენ და საკმაოდ მოხერხებული გლეხებიც იყვნენ ისე ცუდი მემკვიდრეობა დაირჩენია მას. ძვირფასი ნივთები, განჯინები და სამეფო საწოლები, ბალ-ვენახი, ძველთაძველი, იშვიათი ნაკეთობის ჩინური ფაფურის თეფშები და სასმისები ოჯახის დიდ ვანძს წარმოადგენდა.

აღმასხანი მოხუცებულობაში შესული კაცია, მაგრამ კარგად არის შენახული და ცუდად როდი გამოიყურება. აღმასხანის ბიჭი ადამირი მამასავით ფიზიკურ შრომას გაუბრძის. იგი ვუდლოში მალაზიის გამგედ ჰყავს არნოუს. ეს მალაზია კოლმეურნეობამ გახსნა ხილისა და მწვანეხილის გასასყიდად.

გაჩი არნოუს ნათესავად მიაჩნდა, თუმცა აფხაზეთში, რომ ჩაეძიო, ყველა ოჯახი ერთიმეორის ნათესავი აღმოჩნდება. არნოუც გულწრფელად ასე ექცოდა გაჩის. სწორედ არნოუს იმედი ჰქონდა გაჩის, აღმასხანთან მიშუამდგომლებს სიძეობას, ნაურბას უარს ვერ ეტყვისო. საღლაც ეჭვი მაინც აწუხებდა გაჩის. აი, თუნდაც დღევანდელი ამბავი. რად იგვიანებს ადგუა, ალბათ მამა გუმანით მიხვდა რაიმეს და ვაცეცხლებული უშლის, არ წახვიდე გაჩისთან პაემანზეო. მაგრამ გაჩის ეჭვი არ აღმოჩნდა მართალი. შევლივით ამოხტა თხილებიდან ბილიკზე ადგუა. იგი შოლტივით მოირხეოდა და თან სიცოცხლე მოჰქონდა ვაქისაიკენ. როგორც მთვარე ღრუბლებში ისე — ხან გამოჩნდებოდა თხილნარში, ხან დაიმალებოდა. გაჩი შესახვედრად გაიქცა. დამამალი როდია და, მათი გულები გულწრფელი სურვილებით და მღელვარებით ფეთქავდნენ ახლა. ადგუა კლდის ცხვირზე შემოვდა. ლოყები ბროწეულივით უღვივოდა, თვალები ასი ათას ნაპერწყალს ისროდა. ორივენი გაჩუმებულები იყვნენ. ბოლოს მაინც გაჩიმ დაარღვია სიჩუმე.

— ხედავ, როგორი ლამაზია ჩვენი სოფელი, ზღვას გადახედე, ზღვას!

— ზღვა, მართლაც, ლამაზია გაჩი. — ეს ისე საყვედურით იყო ნათქვამი, რომ

მიმხედარი კაცი გაიგებდა ქალიშვილის ფექტს; „განა ამისთვის ამომიყვანე ამ მთის კალთებზეო“.

გაჩი ახლოს მიუჯდა ადგუას. ამან ვაქს გამბედაობა შემატა.

— ჩვენი ქორწილი აუცილებლად ამ შემოდგომას არ უნდა გადავაცილოთ. — ჩაუჩურჩულა გაჩიმ ადგუას. ადგუას კი როგორ შეეძლო რაიმეზე გულწრფელად ეპასუხნა და თავისებურად არ გაეთამაშნა.

— რას ამბობ, რა დროს ქორწილია, ან ვის ქორწინებაზე ლაპარაკობ. ხომ არ გაგიტედი გაჩი?!

აღუვებულ ადგუა რომ დაემშვიდებინა, გაჩი ძალუმად მოეხვია ქალიშვილს, მოეხვია და გულში ჩაიკრა, რაღა დარჩენოდა ადგუას? გაჩი ხელწამოსაკრავი ბიჭი როდი იყო. იგი არც სილამაზით, არც ენერჯით და, რაც მთავარია, ცოდნით მთელ სოფელში არავის არ ჩამოუდებდა ტოლს. ადგუამ ეს კარგად იცოდა და ამიტომ თავისი ლამაზი თავი გაჩის მკერდზე მიასვენა. მიასვენა და მიუჩრდა. წყაროს წყნარ ლიკლიკში ადგუას ნანასავით ესმოდა გაჩის ჩურჩული მის უღალატო სიყვარულზე, მათ დიდ მომავალზე, განუყოფებელ ბედნიერებაზე და როცა გულგაცხელებული ვაჟკაცი რამდენჯერმე ადგუას ბროწეულისფერ ტუჩებს დაეკონა მაშინ ადგუამაც ვერ შესძლო გრძნობების შეკავება. მანაც კისერზე მოხვია ხელი გაჩის. მოხვია და ისე აკოცა, ვაჟკაცი ორი კვირა ხელს იკიდებდა ნაკოცნ ადვილზე. ხომ არ დამეწვაო.

გათენდა. ადგუას, ბუნებრივია, იმ დამით ცუდად ეძინა. ლოგინიდან ადგათუ არა, სარკეს მიაშურა. სარკეში გაჯერება დაუწყო თავისთავს. ბავშვებით დაიშინა, ენა ვადმოუტედა მის წინ სარკეში მდგარ მისივე ორეულს, მერმე ცხვირზე მოიკიდა ხელი და ზევით ისე აპრიხა, როგორც ამას გაჩი უშვებოდა ხოლმე. მერმე ლოგინზე ჩამოჯდა და თითებით მუხლისთავეებს ზემოთ დოლივით დაიწყო ტკაპუნი. ცოტა ხნის შემდეგ ბალიშის ქვემოდან წიგნი ამო-

იღო და მისი ფურცლებიდან გაჩის სურათი ამოაძვრინა. გაჩი ხანგრძლივად უღიმოდა ადგუას და ამხრნებდა მათ მომავალ ბედნიერებაზე. ქალიშვილი ისევე კარგად დაუცვირდა გაჩის სურათს. კი, ნამდვილად გულწრფელი დიმილით შემოცქერის ადგუას მისი გაჩი. ასეთ ადამიანებს ყოველთვის ბედნიერება მოაქვთ ოჯახში. მერე რანაირი მოსიყვარულე თვალები აქვს, რანაირი მომღიშარი სახე აქვს. ადგუა დატრიალდა, სიცილი აუვარდა, ცეკვა დაიწყო. იგი ახლა უბედნიერესი ქალიშვილი იყო ამ ქვეყნად. ბოლოს სიმღერაც მოაყოლა. სწორედ იმ გუნებაზე იყო. ადამიანებს გმირობას რომ ჩაადენინებს, აღაფრთოვანებს და უნიჭიერეს წიგნებს დააწერინებს, უბრაწყინვალეს სიმღერებს შეათხზვევინებს, საოცარ აღმოჩენებს მოაფიქრებინებს. ეს ისეთ გუნებაზე იყო, როცა ადამიანები მთელი ხმით იძახიან სიცოცხლე ამ ქვეყნად უდიდესი ბედნიერება და სილამაზეათ. დიად, ადგუა ამ დილით ნამდვილად ბედნიერი ქალიშვილი იყო. ბედნიერი იყო როგორც ყოველი ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც უყვარს და რომელიც ნამდვილად უყვართ გულწრფელი და ნათელი სიყვარულით. ადგუას ძალზე აწვალებდა სიყვარულის საიდუმლოება. ის, რომ ამ სიყვარულის შესახებ მხოლოდ მან და გაჩიმ იცოდნენ. უნდოდა იგი მთელ ქვეყანას სცოდნოდა, სოფელს გაეგო და მასავით სიხარული და სიყვარული ეგრძნო. ემღერა მასთან ერთად, ეცეკვა მასთან ერთად. ქალიშვილს სწამდა, ვინც მას უყვარდა, ის აუცილებლად სოფლის რჩეულიც იქნებოდა. ადგუა დედას შეეფეთა კარებში და თავისი სიხარული ვეღარ დამალა. ვახის ლერწივით შემოეხვია დედას, კოცნა დაუწყო... სათქმელის თქმა მაინც ვერ გაბედა. არა, დმერთმა ამოროს ასეთი რამე. განა სიყვარულის გამხელა უნდა? შეიძლება დაიზაფროს ადამიანი ასეთი რამის შიშით.

იგი სასწრაფოდ გაჩნდა სარკესთან, ყველაზე პრელ-პრელი ტანსაცმელი

ამირჩია დღეისთვის და კეკლუცი ნაბიჯებით წავიდა კანტორაში. უცებ, ვაი სიხარულო! გაჩი პირდაპირ მისკენ მოაბიჯებს. საქმროს სახე უღიმის, შუბლი ვახსნილი და განათებული აქვს. დიად, მანაც შეამჩნია — მისკენ მიმავალი საცილო. რა ქნას ახლა ადგუამ, გულდამოს, მოეფეროს და თავი დაიმცროს?! პი. ასეთი რამეები ვერ მიართევს გაჩის, ადგუა მოიღუშა. უდარდელი ნაბიჯით, ვითომ ორი წელი არც კი ენახოს გაჩი, ისე ჩაუარა უცხოსავით.

— გამარჯობა, ადგუა!

— დილა მშვიდობისა, გაჩი! — ქალიშვილის ხმა და მიმოხვრა გულისმომკვლელი იყო ვაჟისათვის. ყველაფრიდან ჩანდა, რომ, რაც გუშინ მათ შორის მოხდა, ის აწი აღარ გამეორდებოდა. ბოლოსდაბოლოს, რკინის გული ხომ არ ჰქონდა გაჩის. ისიც ხომ აღამიანი იყო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — დაქაღნებით და დაცინვით ჩაილაპარაკა ვაჟმა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. გაშორდა, მაგრამ ფიქრი კი უფრო ვერ მოიშორა.

რა დაემართა, რა ქაჯი და ეშმაკი ჩაუფრინდა თავში? — ფიქრობდა გაჩი ადგუას უჩვეულო ქცევის გამო, — რატომ მომეჭკა ასე შეუფერებლად?! იგი გაოგნებული შევიდა კლუბში. არც ადგუა იყო უკეთეს მდგომარეობაში. მას როდი მოეწონა გაჩის ცივად ნათქვამი „მშვიდობით ბრძანდებოდეთ“. განა მას არ შეეძლო ღიმილით გადადგომოდა გზაზე ადგუას, ხელი გაეყარა და გუშინდელივით ტბილი სიტყვა ეთქვა, მიფერებოდა. მან კი ცხვირი ასწია და კარგად არც კი შემოხედა. ქალიშვილი არნოუს კაბინეტში შევიდა, ყვავილების ვაზაში ახალი წყალი ჩაასხა, ფანჯრები გააღო. პირველად კლუბი მოხვდა თვალში და გაშტერდა. უფრო დაიბნა, გაჩის გულცივობის მიზეზი ვერ გაიგო. გუშინ კი რა ერუანტელმომგვრელი სიტყვები ეთქვა: „ქორწილი შემოდგომას არ უნდა გადავაცილოთ“. ნუთუ ამდენი ხანი უნდა იცადოს ადგუამ? მერე როდის მოვა ეს შემოდგომა?! ჯერ სი-

მინდის ტარობები ისევ ჰყინტია, არც კი დაბაზებულა. მათი ნედლეუფუნო და ულვაში ვარდისფერობა მარჯამხდა, ჯერ კიდევ მწვანედ იყურება. ყურძენი არც კი შეთვალულა, ჯერ კიდევ მკვანება და ისრიმ-მაყვლის წვეწისთვის თუ ვარგა მტევნის კუმპალი. ადგუას თვალეზში ნისლი ჩაუდგა. იგი უცებ გადავიდა სასურველ სამყაროში. მოელანდა საქორწინო სუფრა, სასთიობო კარავი. გარკვევით ხედავს თავის ტოლი გოგონების შურით გაბრწყინებულ თვალებს. ესმის მათი კისკისი-უცებ ვილაციის ნაცნობი, ხავერდოვანი ხმა ჩაესმა, გამოფხიზლდა. არნოუ ეზოში შემოსულიყო და მას ეძახდა. არნოუ თავჩაღუნული შევიდა კაბინეტში, ადგუას არც კი შეხედა. ქალიშვილმა ზარს დაუცადა. ზარი კი არ ისმოდა. მან წიგნი აიღო ხელში, გადაშალა. გული ვერ დაუდო. უცებ სამჯერ გაიწყარუნა ზარმა.

— ჩუაზს დაუძახეთ!

თომა ჩუაზი შემოვიდა. შემოვიდა და გოგონა შეკრთა. რა მოხდა! რა დაემართა ამ ბულალტერს. კაბინეტში წელგამართულად, თავაწეულად შევიდა. არც კი უკითხავს, როგორც წინათ იცოდა: „შეიძლება, ბატონო?! წარმოგიდგენიათ, ბულალტერმა ჩუაზმა ჯიქურ შეაღო კარები?!“ პა, ახლა მიხვდა ადგუა. არნოუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აღარ არის აღბათ. ბულალტერი ეშმაკი კაცია. ყველაფერს უწინ გებულობს და იცის. აი, შეხედეთ, ესეც გაუგია, იმიტომ აღარ ერიდება არნოუ ნაურბას?

— მზად არის? — იკითხა არნოუმ და ბულალტერს ხელი მაგრად ჩამოართვა.

ხედავთ, ყველაფერი ნათელია. არნოუს ბულალტერისათვის ხელი მის დღეში არ ჩამოუერთმევიო. წასულა მაგის საქმე...

ბულალტერმა „საქმეები“ ამოიღო და გაშალა. არნოუმ ჩახედა. სამსონ ლოლუას ბრძანებებით „ქერაზი“ სხვა სუსტ კოლმეურნეობებს ეხმარებოდა, სესხს აძლევდა. რაიადმასკომის თავმჯდომარემ არსაულას კოლმეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო ბანკად გადაქცევა. ახლა დადგა დრო, დალატისათვის, მეგობრობის ვატეხისათვის არნოუ ნაურბას სამაგიერო უნდა მიეზღა მისთვის. მან ჩაიფიქრა, ყველა გასესხებული ერთბაშად მოეთხოვა და სამსონი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებია. რაიკომმა თუ კი ეს ამბები ვაიგო, მით უკეთესი. აქ არის სამსონ ლოლუს უკანონო ბრძანებები.

თომა—ბულალტერმა კი თავისებურად ვაიგო არნოუს ქცევა. „ლოლუს ბიძაშვილი ვერა ხომ მოხსნეს, მალე არნოუსაც მოხსნიან. ახლა არნოუს უნდა სამსონს უკბინოს, მაშასადამე, არნოუს ძალღონე გამოცლილი აქვს, დროა მეც ბეჭებში ვავიშართო, თავი კაცურად მაღლა ავწიო მთელი ჩემი სიცოცხლე რომ მის წინ მოკაყული დავიარებოდი“.

თომა, რასაკვირველია ისე იქცეოდა, როგორც ყველა პირფერმა და ქლესა აღამიანმა იცის. ისინი ასეთ დროს ყოველთვის პირველი მიატოვებენ თავიანთ პატრონებს ხოლმე. ხშირად კი ასეთი აღამიანები ვერაგად მახვილს ჩასცემენ ზურგში თავიანთ გუშინდელ ბატონებს.

— რატომ ამდენ ხანს არ შეახსენე ჩვენს მოვალეებს ნასესხები ფულის შემოტანა? — მრისხანედ დაუბრიალა თვალები არნოუმ თომას.

— დღე არ ყოფილა, რომ მათთვის ქაღალდი არ გამეგზავნოს, ჩვენი ვალი არ შემეხსენებინოს. ჰა, ბატონო, ქაღალდი, რაც თქვენ მიბრძანეთ, იმას ვწერდი.

არნოუმ წაიკითხა პირველად გაგზავნილი მიმართვა.

— მე გითხარი დაგეწერა, რომ „მათ რაიკომასკომის დადგენილების საფუძველზე მიიღონ ჩვენგან სესხი“. შენ კი ეს არ დაგიწერია. აბა ახლა კი მოუსვი აქედან.

რამდენი რამ არ იფიქრა თომა ჩუბუმა, მაგრამ როგორც ყველა მფრთხალმა და ლაჩარმა კაცმა, ისევე თავის დაბრა განუშემა არჩიამ მხოლოდ თავისთავი გაამავრა: „უკანასკნელად კიდევ მოგი-

თმენ და შემდეგ მე ვიცი, რასაც დაგმართებო“.

არნოუსი
•••
გეზულირთხეა

ციცი და ზიზი იმ დღის შემდეგ არ შეხვედრიან ერთმანეთს. ციცის გულზე ცეცხლი ედებოდა, რომ ვერავისთვის გაენდო თავისი ზეაშაიდი. სადაც კი ფეხს გადაადგამდა, წინ უფსკრული ელანდებოდა. ეგონა, ყველამ იცოდა ის, რომ არნოუმ გული აიყარა მასზე. რომ იგი მარტოდმარტო იყო ამ ქვეყნად. ზაზის, პირიქით, ეგონა რომ, ბედნიერი ქალია და მისი ბედნიერება ყველას უხარია, ყველას უნდა მიულოცოს ეს დიდი ბედნიერება. ზიზი გაკეკლუცდა, თმების სულ სხვანაირად დახვევა დაიწყო, კაბების ხშირ-ხშირ ცვლას შეეჩვიო. თავის სახეს თვალთვალი დაუწყო. ის კი არა, ღიმილიც სხვანაირად გამოუდიოდა და ლაპარაკიც.

„უუყვარეზარ მას, ცოტა მოუთმენლობა კი გამოიჩინა, მაგრამ ზიზისთვის ცოლობაზე უარი ხომ არ უთქვამს? მაშ რა აქვს სადარდებელი?“

ექიმებმა ყუარასა საავადმყოფოდან გამოწერეს. ზიზიმ დედას ტანსაცმელი მოუტანა. არნოუც თითქმის თავის დროზე მოვიდა, სახლამდე მიაცილა მანქანით და მკლავიც კი შეაშველა მოხუცს, როცა იგი აივანზე აღიოდა. სკამიც თითონვე გამოუტანა და აქლოშინებული, ნაავადმყოფარი ქალი თითონვე დასვა ზედ. მადლიერი ყუარასა სულ ბოდიშში იყო.

— შეგაწუხებ, ნან, შენ რომ არ ყოფილიყავი, თქვენ ჭირს წავიღებდი და ზიზი ობლად დამრჩებოდა.

არსაულაში წყნარი და დიდებული საღამოები იცის. ამ საღამოების ეამს ისეთი კარგი და მშვენიერი ყველაფერი, რომ სიკვდილზე ფიქრი არც კი შეიძლება, არ მოხერხდება. შეიძლება, ამიტომაცაა, რომ აფხაზეთში დიდხანს სძლებენ აღამიანები. ისინი თითქმის ყოველთვის ას წელს გადააცილებენ ხოლმე.

ზიზი ოთახებიდან არ გამოდიოდა. იქ საქმობდა, რადგან ეშინოდა დედამისს

სახეზე არაფერი შეეცყო და მისი არ-
ნოუსთან ახლოსყოფნა არ გამხელილი-
ყო. არნოუს კი თავი რაინდივით ეჭირა.
ვითომც დიდი კეთილშობილების გრძნო-
ბით იყო ამ ოჯახში მოსული და არა-
ვითარი ბოროტი ზრახვა არ ჰქონებო-
დეს გუნებაში.

ყუარასამ ბოლოსდაბოლოს ზიზი
გაიხსენა.

— სად დაიკარგე, გოგო, ეგონებოთ,
თითქოს ხარი დაგეკლას, იმდენს საქმობ
მანდ. იმდენს არახუნებ საინებს და შინ
კი არ გვპატიეობ, ვახშამზე არ ვვეძახი.
აბა, არნოუ, ერთი გავუსინჯოთ კბილი
ზიზის ნახელავს.

რასაკვირველია ყუარასამ კარგად
იყოლა ზიზის ნახელავის მშვენიერი გე-
მო.

— გმადლობთ, მაგრამ მეტად საჩქა-
რო საქმე მაქვს.

— ეს გაუგონარი ამბავი იქნება.
ასეთ შეურაცხყოფას არ მოველით! ზი-
ზი ასე ცდილობდა, სულ ცოტა ხნით გა-
გაჩერებო!

— ზიზი მამაპატიებს. მან იცის, როგო-
რი საქმე მაქვს. სხვა დროს მომიხდება
მისი ნახელავის ვასინჯვა.

ყუარასას უნდოდა სტუმრის გაცილე-
ბა, მაგრამ არნოუმ არ დაანება.

— ნან, ზიზი, ვერ ხედავ, არნოუ რომ
მიდის?

— ეპ, კინალამ არ დამავიწყდა ზიზის-
თან გამომშვიდობება? — ვითომდა შე-
წუხდა არნოუ.

არნოუ უარს როდი იყო აქ დარჩენა-
ზე, მაგრამ არ იყოლა უნდოდა თუ არა
ზიზის დედასთან ერთად მისი აქ ყოფნა.

ყუარასა სულ ლოცვა-კურთხევით
აცილებდა არნოუს, თუმცა არნოუმ უკ-
ვე გადააბიჯა ჭიშკარს და არაფერი აღარ
ესმოდა მოხუცი ქალისა.

ადგური პატივისცემით შეეგება ეზი-
გუს. „აბზანხარას“ თავმჯდომარემ არც
კი იყოლა, თუ რისთვის მიიწვია იგი რა-
იკომის მდივანმა.

— მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ასე-
თი სიტყვებით მოგმართოთ, „თქვენ

ცუდად არ გიმუშავნიანთ! თუ საჭიროა,
სიჭევი, კარგიაო. მეც მასპინძლობა ვამ-
ბობ: „აბზანხარამ“ წყლის წარმოშობულად
იმუშავა. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ „ე-
რაზიდან“ დროშა თქვენ უნდა წამო-
იღოთ. არც ის მინდა, ცნობილი, მოყირ-
ქებული სიტყვა „არ გამედიდდურდეთ-
მეთქი“, გითხრა. კომუნისტებს არ ერი-
დებათ წახალისებისა. ვისაც ეკუთვნის,
ის ნამდვილად უნდა დაასაჩუქრო. დრო-
შა კი ყველაზე მეტი საჩუქარია ამქვეყ-
ნად.

არნოუ თითონაც დაესწრო იმ კრებას,
სადაც გადაწყდა, თუ ვის უნდა შეენახა
საპატიო დროშა. თითონ წინააღმდეგა
იყო დროშის „აბზანხარისთვის“ გადა-
ცემისა.

„განა იმის გამო, რომ მათ შემთხვე-
ვით რამდენიმე კილოგრამი ჩაის ფო-
თოლი მეტი მოკრიფეს, „ეკრასს“ უნდა
წაართვან დროშა? რასაკვირველია,
არა.“

ხელავე გამოგზავნიან იმ დროშას.
ჩვენ როგორმე გავძლებთ უიშისოდ!
ამის ხმამალა თქმა უნდოდა ნაურბას.
მაგრამ თავი შეიკავა. მხოლოდ, როცა
სახლში მივიდა. რატომღაც მამის ფო-
ტოსურათი მოძებნა და ამოიღო. რამდე-
ნი ხანია, არნოუ ნაურბას ამ სურათის-
თვის არ დაუხედა. დღეს კი გულმა მო-
თხოვა და დახედა კიდევ. ამ სურათს
დედამისი პატარა მოვერცხლილ კილო-
ბანში ინახავდა. არნოუს მამა არ უნა-
ხავს. იგი მისი დალუპვის შემდეგ დაიბა-
და. ბაღში, სადაც მამამისი მარხია. მარა-
დიული ცეცხლი ბრიალებს შეუწყვეტ-
ლივ. იქ საფლავის ქვაზე არის მისი სუ-
რათიც. ეს სურათი, რომელიც დედას-
თან ინახება, პატარა სურათია. მამა
ცხენზე ზის და ხელში დროშა უჭირავს.
წარწერა დროშაზე რუსულად და აფხა-
ზურად არის. სურათის ყდაზე აწერია:
„ადიცა, ეს სურათი შეინახე“.

ხელ კი მისი კაბინეტიდან გამოიტა-
ნენ დროშას, რომელიც სხვა ჭილოვებ-

თან ერთად დგას იქ, და სხვას ვადასცემენ.

„სისულელეა, ფუ, რა აზრები მომდის თავში?!“ ახლა მეორე აზრი აედევნა. მამა რას მეტყვოდა, ჩემგან რომ გავგონა, „წითელი დროშის გარეშე გავძლებდიო“. ის ხომ ივანე ნაურბას შვილია. ერთადერთი შვილი. ივანე ნაურბა კი მებრძოლი ვაჟკაცი იყო, კომუნისტი კაცი იყო. განა იგი საბჭოთა დროშისთვის არ დაიღუბა მაშინ? მისთვის წითელი დროშა წმინდათა წმინდა და ბრძოლის სიმბოლო იყო. თუმცა რა ავი ფიქრები დაესია არნოუს!

თუ ეს დროშა წაიღეს, საღაც, მისი მამის, ივანე ნაურბას ნათელ შუბლს ჩრდილი მიადგება, ნამდვილად მიადგება.

განა მარტო არსაულაშია წითელი დროშა, სხვაგან მოვიპოვებთ მას და ველარაგინ წარგვტაცებს ხელიდან. არსაულაში კი ყველაფერი გაათავდა. ყველაფერს ხაზი უნდა გადაეუსვა.

მაშინ კრებაზე ვერაგინ მიხვდა არნოუს მღელვარებას. მხოლოდ ეზიგუმი აიღო გუშანი. მხოლოდ ის მიხვდა, თუ რას ნიშნავდა არნოუ ნაურბასათვის თავმოყვარეობა და პატიოსნება.

ქვეყნად ვერ ნახავ უფრო მომაჯადოებელ რასმე, ვინემ არსაულს მთვარიან ღამეს. მინდორი, ტყე და ბაღები — ზურმუხტოვანი, ბილიკებზე გართხმული მთვარის სხივები კი ისე ციმციმებენ, თითქოს ოქრო დაესხათ ზედ. ჰოდა, სწორედ ამ ოქროს ბილიკზე მისეირნობდნენ იმ საღამოსაც სირმა და ასტანა. ისინი ეს-ეს არის დაბრუნდნენ გუდოულან.

— აი ხედავ, რას ნიშნავს ერთობით შრომა. სახერხი ქარხანა უკვე დაიდგა, მალე ქვისატები დაიწყებს მუშაობას, ვაშენებთ და ვაშენებთ დაუღლელად.

თანდათან იწევდნენ ახუცასკენ, ზევით და ზევით.

— ასტანა, გესმის, წყაროები როგორ ბუტბუტებენ, რას ჩურჩულებენ? არ გიფიქრია ყური მიგეგლო და გავგეგო რას ამბობენ ისინი?

— მის ღღეში არ მიფიქრია მასეთი რამ. ჩვენ სოფლელები ისე ვერთყვებოდით, რომ ასეთ რამეს ვერც ვუგვდებთ.

— მე კი მთელი ღამე შემიძლია აქ ვათიო. — სირმამ სახე სიოსკენ მიაბრუნა, რათა უფრო სიგრილე ეგრძნო.

ასტანამ არაფერი არ თქვა. მისთვის ასეთ რამეებზე ლაპარაკი უცხო იყო. გორაკებზე მთვარიანი ღამით აღტაცება, წყაროთა ელურტულით გაოცება მისი საქმე არ იყო.

— მე ტურისტები როდი ვარ, ამეებმა რომ გამოაცხოს. მე აქ დავიბადე და აქვე უნდა მოვკვდე. ლირია ლირიად დარჩეს და მე ჩემი საქმე მაქვს. მე ამით ვერც სიმინდს მოვიყვან და ვერც ჩაის მოვკრეფ! თუნდა ციტრუსების ან ყურძნის კრეფაში მომეხმარება იგი მე?

სირმას ასე ურჩევნია. იგი უცხო ქალიშვილია ჩვენ სოფელში, ჩვენ მთავარიან მიდამოებში. მისთვის ყველაფერი სხვანაირია და მომაჯადოებელი. მე კი ამ სოფლის ბრიგადირი ვარ, ყველაფერმა ჩემს ხელში უნდა გაიაროს, რა დროს ჩემი ლირიკოსობაა, ეს არ მოხდება. არსაულაში ბევრი ღამაში ქალიშვილია. ციციკ ღამაშია, ზიზიკ, ადგუაც. სირმა კი მაინც სულ სხვაა. მისი სიღამაზე სხვანაირია. სირმას ტანი კალმახით მოქნილია, მისი სახე ანგელოზებსაც კი შესურდება. ხასიათი მტკიცე აქვს, შეუპოვარი. რაც სწამს იმაზე უარს ვერ ათქმევინებ. ღია ხასიათისაა, მომეტებული სოფლური მოკრძალების გარეშე. განათლება დიდ ქალაქში აქვს მიღებული, ინჟინერი ქალია, რაც კარგი აქვს ქალაქს, ყველაფერი მას წამოუღია, შეუთვისებია. ის კი ვინ არის, სოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირია. ასეთები ათასობითაა სოფლად. ალბათ, სირმა უკვე დანიშნულია, საქმრო ეყოლება კიდევ. რასაკვირველია, როცა გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობებს ააშენებს, ისევ უკან, ქალაქში გაბრუნდება სირმა. აქ რა გააჩერებს, ვინ დააბამს?! მან კი, სოფელში ბიჭმა, რა იცის ქალაქში აღზრდილი გოგონას ზნე და ხა-

სიათი. როცა ისინი სოფლად ჩამოდიან, მათ ყველაფერი მოწონთ, ყველაფერს ალტაცებით უყურებენ. ბალსაც შენატრიან და ფოთლებსაც შეღალადებენ, წყაროს ჩურჩულსაც ყურს უგდებენ უაყანის შრიალიც აგვივებთ, უცებ შეხედავენ თუ არა ავტობუსს, იმ წუთში, არც აცხელებენ, არც აცივებენ, შიგ ჩახტებიან და ისევ უკან, ქალაქში გარბიან. მათ იქაურობა მოსწონთ. განათებული ქუჩები ხიბლავთ, ქალაქურად მორთული ადამიანებისკენ ილტვიან, პარკები და თეატრები აინტერესებთ. მე კი, პირიქით, აქეთ მიზიდავს. სოფელი მიყვარს და მენატრება. თბილისსა და სოხუმში ქუჩის ხმაური მღლის, ადამიანთა სიმრავლე მაწუხებს, მათი ჭიკაძე-ჭიკაძისგან ავად ვხდები. ნიგვზის ძირას, მის ჩრდილში მუხლის მორთხმა ქვეყანას მირჩენია. რესტორნებში ხმაურს და ბლავილს განა არ ვზობია სოფლის კარდალაში გაკეთებული ჩაშუშებული ღოში და სულგუნი? მით უმეტეს, ზედ თუ ნამდვილი ჭურის ღვინო დააყოლე. მას ყოველთვის უხარია აბდას წმინდა და პატიოსან თვალეში ჩახედვა, ისაონთან ერთად უთენია ყანა-ბაღებში სიარული, სოფლის გოგონების გულწარმტაცი სიმღერები. ყველაფერი ეს ხიბლავს და სიცოცხლეს ფასს აძლევს.

— მე ყოველთვის უზომოდ მეყვარება არსაულა! — მოესმა სირმას სიტყვები ვაჟს. საოცრებაა! თითონაც სწორედ ამაზე ფიქრობდა ახლა.

— ეს ახლა გეჩვენება. დრო რომ გაივლის, მაშინ სხვანაირად იფიქრებთ.

— სცდებით. ჩემი სული და ხორცი აქ არის ყოველთვის მიჯაჭვული.

— ძნელი სათქმელია, პატივცემულო სირმა! — ჩაიბურღლუნა ასტანამ.

— არ გჯერათ ხომ? თუ გნებავთ, დაენამღვედეთ.

ასტანამ მხრები აიჩეჩა, რა საჭიროა ამაზე დანამღვევაო.

— დიად, გულით მინდა არსაულაში დარჩენა და ცხოვრება. ჩვენ განა ცოტა სამუშაოები გვაქვს სოფელში? სკოლები უნდა ავაშენოთ, საავადმყოფოები ავა-

გოთ, კინოთეატრები, კლუბები, ჩაის ფაბრიკები, გზები თუ ზიდებინ ფქრები და ღვინის ქარხნები. ყველაფერს ამას მშენებელი ინჟინერი სჭირდება. ჩემი ხელობაც, ასტანა, ხომ იცი, რომ ეს არის. სწორედ ამიტომ მინდა აქ ცხოვრება.

— კი მაგრამ, ქმარმა რომ დაგიშლოს.

— ჩემ ქმარსაც ისევე ეყვარება არსაულა, როგორც მე.

„შენს პირს შეაქარი“, — გაიფიქრა ასტანამ და ხმამაღლა დაატანა: — ვინ არის ის სვებედნიერი, ნეტავი?

— აბა, წავიდეთ, — წაიყრუა უკანასკნელი სიტყვები სირმამ.

ისინი ჩაგუ ავიბას სახლში მივიდნენ. სირმა იქ იყო ბინად.

— ღამე ნებისა, ასტანა!

— თქვენც ამასვე გისურვებთ.

სირმამ ჭიშკარი შეაღო და იქედან შემოსძახა:

— ასტანა!

— რა იყო, სირმა?

— ერთი შეხედვით, შენ მთის ირემს ვაგებარ. სწრაფი ხარ, გამჭრიახიცა ხარ. გული კი დათვისა გქონია, სქელი ტყავით ყოფილა დაფარული.

— რა თქვი, ქალო?! — მიხედა მისაბვედრს ასტანა. — მითხარი, რა თქვი, ქალო?

სირმა კი უკვე თვალს მიეფარა.

ასტანა ჭიშკრის რგოლს დაეკიდა და დააყურადა; ისევ ხომ არ მეტყვის თუნდ ერთ სიტყვასო.

„რატომ მითხრა სქელი კანით არის შენი გული დაფარულიო?“ ფიქრობდა გოგნებული ასტანა.

• • •

სწორედ ამ დროს არნოუ, თავისდაუნებურად ფიქრში შესული, ახუცაში ამოსულიყო. რაღაც გაურკვეველი და ჭერ კიდევ უცნობი იზიდავდა მას ახუცისაკენ. იგი დაბნეული უფრო იყო, ათასი რამ ახსენდებოდა: დოღში პირველობის დაკარგვა, დროშის სხვისთვის გადაცემა და, ბოლოს, ზიზის, სიყვარუ-

ლი. არა, სიყვარული კი არა, რაღაც ამის მსგავსი. თორემ განა სოფლის გოგოს, ზიზის, სიყვარული შეიძლება?! არა, იგი სწრაფად უნდა ამოიგდოს გულიდან, სულ დაივიწყოს.

არნოუ ჩაგუ აგრძას სახლს გაუთანასწორდა. ჭიშკართან ვილაც შენიშნა. ნუთუ, მამაკაცია ამ შუალამისას?

— რომელი ხარ?

— შენ თვითონ ვინ ბრძანდები? — ასტანამ იცნო არნოუ და მისკენ წამოვიდა. არნოუ გაოცდა. ვერ წარმოედგინა ასტანას თუ ამ დროს აქ ნახავდა. ეტყობა, აქაც უნდა გადაუღდეს გზაზე. აქ ხომ სირმა ცხოვრობს.

— ჭიშკრის უკან ოცნებობ, ვაეკაცო, — გაკენწლა ასტანა ნაურბამ.

— რატომაც არა, განა ასეთ მშვენიერ ღამეში ოცნება დასაძრახია?

— ალბათ, ლექსებსაც ხმამალა კითხულობდი.

— პირიქით, მე ვუსმენდი ლექსების კითხვას, მე მართლაც მიყვარს ისინი.

— მახსოვს, შენ კიდევ ტექნიკუმამდე სწერდი. მაგრამ ლექსები ცეცხლი როდია, ლექსებზე უფრო ცეცხლოვანი რამ არსებობს ამქვეყნად. მისი ალი თუ მოგედო, შეიძლება სულ დაგანახშიროს და დაგლუპოს კიდევ.

— შენ ყოველთვის შენებურად მსჯელობ.

— მე კი არ ვუღარაჯებდი მესერს. ჰეი, ბეჩაო, ჭიშკარი სულ მოვირყვევია, ისე მოწოლილხარ. იცოდე, სირმას ჩვენ არავინ არ მოგვეცემს. იგი კოლმეურნეთათვის როდი გაუზრდათ, ვერც არსა-უღელი და ვერც ახუცელი გლეხი მის კოცნას ვერ ეღირსება.

— საოცარი კაცი ხარ, არნოუ, შენ ამ საქმეშიაც გინდა შენი წესები და კანონები უკარნახო სხვებს. მე ვფიქრობ, ამ საკითხში უსათუოდ ცდები. ნამდვილად ცდები, — ეს სიტყვები მტკიცედ დააყოლა ასტანამ, რადგან, რატომღაც ამ საუბრის დროს შეიგრძნო სირმას ნათქვამი.

ასტანამ დონიჯი შემოიყარა და პირში

პაპიროსგაყრილმა არნოუს გამოიმწყვედა დაუწყო ყურება.

— ენახოთ, ენახოთ, ამხელა პირველი დირო, — დაეჭაღნა კიდევ არნოუ ნაურბა ასტანას და ზურგი შეაქცია.

• • •

არსაულამ გაიღვიძა. დილის სიჩუმე ნაჯახის ხმამ და სატვირთო მანქანების ხმაურმა დაარღვია. დაიწყო სოფლის საბჭოს და საავადმყოფოს მშენებლობა, გზებზე გარდიგარდმო ხეებს რგავდნენ. ახალგაზრდობა პარკისა და სტადიონის მშენებლობას შეესია. მთელი სოფელი გარეთ იყო. აღამიანს ვერ ნახავდი უჭმად. ყველა ხელდაკაპიწებული შრომობდა.

არნოუს აბა, რა გააჩერებდა. იგი, როგორც ყოველთვის, აღტაცებით მუშაობდა. მისი განკარგულებები სწორი, ვაბედული და საქმიანი იყო. არსაულამ პირველობა უნდა დაიჭიროს გზებისა და სოფლის კეთილმოწყობის საქმეში. სოფლის საბჭოს ახალ შენობის წინ მოასფალტებული, ფართო მოედანი იქნება, მის შუა ადგილას ყვავილების ნარგავებიდან ვეება შადრევანმა უნდა იფეთქოს. მაშინ ნახონ სხვა სოფლის ხელმძღვანელებმა, შურით გასკდნენ, შურით.

იასონი და მსოუსტი სულ სხვანაირად ფიქრობდნენ. მათ ლაღი კვაცბას ეზოში ახალი სახლის მასალები მიზიდეს.

— სოფელმა შენი სახლის აშენება გადაწყვიტა. სახლი პატარა როდი იქნება. მართალი რომ თქვას კაცმა, იგი სამართლიანად დაიმსახურე. — ცალთვალა ლაღიმ ხელი მოისვა ერთადერთი თვალის ქუთუთოზე. მის საღ თვალს ცრემლი დაკიდებოდა.

— მთელ სოფელს უნდა მოეხმაროს. სირმამ უკვე გეგმა მოხაზა. იცი რამოდენა ოდა იქნება? ჩვენ მეფეებს არ დარჩენიათ ისეთი სასახლე.

ახალგაზრდობა ნორჩ ხეებს რგავდა. ადგუაც და გაჩიც იქ იყვნენ. ყველანი პარკს აშენებდნენ. ციცი და ზიზი ერთად მუშაობდნენ. ზიზის სახლს ზევით საოცრად ღამაზი, თითქოს ხელით ნა-

კეთები კლდე იყო გადმომდგარი. კლდის თავზე ბილიკი მიდიოდა. აქ არაერთხელ მოაცილა ზიზი არნოუმ. დღესაც ჩუმად გაიპარა იქითგან ზიზი. ეგონა, არნოუც შეპირებისამებრ მალე ამოვიდოდა, იქვერავინ ვერ დაინახავდა. კლდის თავზე ერთი გაშლილი ნაბდის ხელა მოედანი წიწვით და მაყვალით იყო შემოზარდნილი. ზიზი კანკალით უყურებდა ბილიკს. არნოუ კი იგვიანებდა. უცებ ციცის სახე გაიხსენა ზიზიმ.

— როგორ ვაიქცა საწყალი ჩემი სახლიდან, ალბათ, არნოუმ მოატყუა გოგონა, ვაი, თუ მეც ასე მომელის. მაშინ აქედან უნდა გადავარდე სასიკვდილოდ. აქედან ზრამის ბოლომდე სულიც არ დამყვება, ბოლო მოედება ჩემს ტანჯვას.

უცებ გამოჩნდა არნოუ. ერთი ხელის მოქნევით გაეფანტა ექვი და ავი ფიქრი ქალიშვილს. სახე აელეწა, სილამაზე გაუორკეცდა. მისმა ლამაზმა ტანმა ახლანაპირზე შეგდებულ კალმახივით დაიწყო თრთოლვა.

— გამარჯობა, ზიზი! — ცივად მას ესალმა არნოუ.

ზიზი ადგილიდან არ დაძრულა. შორიდან შემხედვარეს ქალიშვილის ტანი ქანდაკება ეგონებოდა, ისე იყო ერთ ადგილას გაყინული. არნოუც განზე იდგა. ასეთი რამე ქალიშვილს ჯერ არ ახსოვდა. არნოუ შეხედებოდა თუ არა, იმ წუთშივე გულში ჩაიკრავდა ზიზის. მოეფერებოდა, სულისმოთქმას არ აცლიდა. დღეს კი იგი თითქოს უცხო იყო. ისე ჩუმად იდგა.

— საქმეები მქონდა და დროზე ვერ მოვედი, — ბოდიშიც არ მოუხდია, ისე თქვა არნოუმ. ზიზის არ ესმოდა მისი სიტყვები. იგი მხოლოდ გრძნობდა მას.

— არნოუ, სანამ უნდა ვიმალოთ, სანამ მოვერიდოთ ხალხს? — ეს სიტყვები გულიდან ამოუვარდა ზიზის.

— ჰა! რა თქვი? ჰოო... მესმის, მესმის. როცა დრო მოვა ამისი, მე თვითონ გეტყვი.

— ნუთუ, მომეჩვენა, რომ შენ კარგი

და კეთილი კაცი ხარ. ნუთუ, ასეთი ბოროტი ფიქრი გქონდა, როცა დედაჩემს ასე კეთილად მოეპყარე?

— რა მოხდა ასეთი, ზიზი?

— როგორ თუ რა მოხდა. ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს?! — ზიზის ტირილი წასკდა.

— მაინც არ იტყვი, რა გინდა?

— რა მოხდა და მე ხომ... — ველარ დაასრულა, ცრემლები ღვართქათად წასკდა.

— რა გატირებს, შე კაი ქალო, მე ცუდ ხასიათზე ვარ და ამიტომ ვერ გავიგე.

— ნუთუ, შენ ვერ მიმხედარხარ...

— რას უნდა მივხვედ, ზიზი?

— მალე დედა ვიქნები.

არნოუ არ შემკრთალა. მან უცებ იახრა სამოქმედო გეგმა.

— რა იყო, რა მოხდა მერე? განა თანამედროვე ადამიანებს მასეთი რამეების ეშინიათ? რა გატირებს? შენ სხვა თქვი. თორემ მაგ საქმეს ახლა იოლად მოველებოდა თავს.

ზიზი ტანში დაცხრილა. იგი მიხვდა. თუ რაზე ანიშნებდა არნოუ. მკერდი თავისივე ხელეში იახტა. მან იგრძნო ისევ ის პირველი დამე, როცა არნოუსი შეეშინდა, როცა იფიქრა, ნაურბა ჩემს თავისმოჭრას აპირებსო.

— მე, ხომ იცი, ყოველმხრივ მოგეხმარები, — წაიწია მისკენ არნოუ. ეს სიტყვები მენივით დაეცა გოგონას. იგი მოსწყდა და დაღმა დაეშვა.

არნოუ გაშეშდა. მას დიდხანს ესმოდა ბილიკზე ზიზის ფეხების ხმაური.

— დავიღუპე, დავიღუპე, — ჩურჩულებდა ზიზი და უკან მოუხედავად გარბოდა.

ქვემოდან კი დამე და უფსკრული ერთად ამოჰყურებდა ზიზის.

• • •

სირმა სოფლის საბჭოს მშენებლობაზე ამოვიდა. უკვე საღამო იყო. ასტანა იქვე იჯდა. ბრიგადირი ხუროებსა და დურგლებს ესაუბრებოდა.

— შენ კიდევ არ გჯერა, რომ არსა-

ულა ქალაქივით ლამაზი იქნება? — დაცივით უთხრა სირმამ ასტანას.

— მე ძალიან მინდა შენთან ერთად ამის მოწმე გავხდე, — გაბედულად უთხრა ასტანამ და თვალეში შეხედა.

— რა თქვი, მხოლოდ მოწმე გინდა იყო?

— არა, ნეტავი შენთან ერთად მთელი ჩემი სიცოცხლე მაშენებინა ჩემი სოფელი!

— კიდევ რას იტყობი, ბრიგადირო?

— სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ...

— ასტანამ მოიხედა და ახლა შენიშნა, რომ დურგლები და ხუროები უკვე გასცლოდნენ იქაურობას, — მაგრამ ვართუ არა ამისი ღირსი, ეს კიდევ არ ვიცი. — სირმამ მისკენ ნაბიჯი გადმოდგა. მისი თვალეები ურუანტელის მომგვრელ ნაპერწკალს ისროდა, მისი სხეულიდან საოცარი სითბო მოქშოლდა.

— ასტან, — უცებ დაურბილდა ხმა სირმას, — შენ უსათუოდ ღირსი ხარ. ნუთუ წუხელ ვერ მიხვდი, რა გითხარი. ნუთუ ვერ გამიგე?

მისი ხელები უნებლიედ მოხვდა ასტანას ხელებში. მოხვდა და ბრიგადირმა იგი აღარ გაუშვა.

სირმამ ახლოს იგრძნო ვაჟის ცხელი სუნთქვა.

იმ ღამით ისინი დილამდე დადიოდნენ ერთად. ცისკრის შემოსვლამ გაახსენა, რომ მათ გარდა მიწაზე ქვეყანა არსებობდა, მთელი ქვეყანა.

— რა ბედნიერია ჩვენი სოფელი!

• • •

ლამაზი ქალაქია გუდოუ. მიღიხარ კაკლის ხეებით, ლელვებით, კვიპაროსებით, დაფნითა და ევკალიპტებით დაჩრდილულ ქვაფენილზე და ასე გგონია, გუდოუ ამაყობს თავისი თვალწარმტაცი მშვენიერებით. თუ ზღვიდან უბერავს გრილი ნიავი, ყველა ოცი ათასი ხის ფოთლები ჩურჩულებენ და ჭორიკანობენ მოსეირნე ქალაქელებთან და დამსვენებლებთან.

ბაზარი კი გვაოცებს, გვაკვირვებს და

ჩვენს ალტაცებს იწვევს მსხლელების, ვაშლების, ნესვის, ხურმის, ყურძნის ზეგნებით და ღვინის უზარმაზარ სუნიტებით. ყოველ ნაბიჯზე შეხედებით სასადილოს, კაფეს, რესტორანს და სასაუზმეს.

ხოლო ზღვის შესახებ ძნელია ლაპარაკი; პოეტებმა თითქოს ამოწურეს ყველა შედარება. და მაინც არსაულაში ჯობს. იქ მიდის ახლა აიდა. მისი საზრუნავია მეაბრეშუმეები და მათი საქმეები. რაიონმა მთლიანად შეასრულა პროგრამა, როგორც ეს სწორად ზდება მდიდარ და მძლავრ კოლმეურნობათა ხარჯზე. ისინი კი, რომელთაც არ იზრუნეს აბრეშუმზე, უსირცხვილოდ ამოფარნენ სხვათა მაჩვენებლებს. არსაუღელი შრომისმოყვარე მეაბრეშუმეებისაგან აიდა გაემართება ჩამორჩენილებისაკენ და ურჩევს მათ ამ წელს მეორეჯერ გამოიყვანონ აბრეშუმის ქია.

— აიდა, მე მივდივარ, — უთხრა მას ადგურმა და ჭილის ქუდი დაიხურა.

ლეიბას უყვარდა გუდოუში სეირნობა. დღეს მას დათქმულ ადგილზე ელოდება ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ტაპალუ ხიშბა.

შეხედნენ ერთმანეთს და პარკში გაემართნენ. ტაპალუს უყვირდა, ნეტავი რა აინტერესებს ქალაქის პარკში პირველ მდივანსო.

— ვისთვისაა განკუთვნილი ეს პარკი, ამხანაგო ხიშბა? — ჰკითხა ლეიბამ.

— როგორ თუ ვისთვის? ადამიანებისათვის? — შეცბუნებულმა ტაპალუმ უკან მოიხედა, ღმერთმა ნუ ქნას, და პირველმა მდივანმა შეამჩნიოს რომელიმე თავხედი თხა, ან კამეჩიო.

— სწორედ თქვი, ადამიანებისათვის... შეხედე! — ადგურმა დაანახა ნაგავი და მასზე დახვეული ბუზების გროვა. ბილიკები დაუგველი იყო, ყველგან ეყარა პაპიროსის ნამწვავები. — ნუთუ, ასე ძნელია დაიდგას უფრო მეტი ურნა. მერხებიც არაა საკმარის რაოდენობით.

— ვერ მოვასწარიო...

— რა ვერ მოასწარიო? აჲ ნავის აღება და ბილიკების დაგვა? მერხების

შესახებ ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ ილაპარაკეს საქალაქო საბჭოს სესიაზე...

ოფლში გაწურული ხიშბა ბლოკნოტში გამალებით იწერდა რალაცას.

— რას იწერ? გეშინია განა, ვერ დაიმასხოვრებ, რომ საჭიროა მერხების დადგმა და ბუხების გაუქვება? თვითეული დამსვენებელი და მოაგარაკე მთელი წლის შრომის შემდეგ ჩამოდის აქ დასასვენებლად, ჩვენ კი არ ვფიქრობთ მის სიამოვნებაზე. შენ ხომ საბჭოთა ქალაქის მეთაური ხარ!

— ოჰ, ეს ბუხები, ბუხები, — აღშფოთებით გმინავდა ტაბალუ ხიშბა.

და ოი, საშინელებაც, ერთ-ერთ სასადილოსთან ადგურზე ადრე ტაბალუმ შენიშნა ნასუფრალის მთელი ზეინი და ზედ დახვეული ჩასუქებული ბუხები, რომლებიც უდარდელად ბზოდნენ..

ლეიბა ხმამაღლებლად შევიდა სასადილოში. იქ ისეთი შეხუთული ჰაერი, სამზარეულოს მიმე სუნი და საკმაოდ მწკლარტე ოსშივარი იყო გამდგარი, რომ კარგ ვაჟაკს დასცემდა ძირს. ბუხები აქ სულ ხალვათად გრძნობდნენ თავს. ათასობით ცვივოდნენ მოსადილეთა თეფშებში და უმოწყალოდ იხოცებოდნენ შიგ.

— დაჯექ, ტაბალუ, — ადგურმა სკამი მიუჩოჩა ხიშბას.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მიხვდა — ამხანაგ ლეიბას სურდა ესაუბრა.

მაგრამ, ნეტავი რად აირჩია მან ასეთი უბადრუკი სასადილო? ხიშბა ცმუტავდა სკამზე, თითქოს ეკლებზე იჯდა. ტაბალუ შრისხანედ უმზერდა მიმტან ქალებს, მაგრამ ისინი ჯერ არასოდეს შეხვედრიან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, სასადილოებში ის არ სადილობდა.

„სადაა გამგე? სად წავიდა ასე შორს, რომ აქამდე ზრ დაბრუნებულა?“ სასოწარკვეთილი ფიქრობდა ოფლადგაწურული ხიშბა. გამგე რომ მოსულიყო, ხიშბა გაიყვანდა ამხანაგ ლეიბას საუკეთესო ოთახში, სადაც უმასპინძლებოდნენ უფროსებს, გამგეებს, სანქციმებს... იქ ბუხებიც არ იყო, კურკულიც სულ სხვაგვარი, და საკმელებიც სასადილოს

გამგის საგანგებო დაკვეთით შეშროპონდათ.

ბოლოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ერთ მიმტან ქალს:

— დაუძახე გამგეს, გეთაყვა, — უკანასკნელი სიტყვა ხიშბამ წარმოთქვა პირველი მდივნის აქ ყოფნის გამო.

— გამგე არ გახლავთ...

— სად არის, აბა?

— ყოველ დღე ქალაქის საბჭოში დადის, რათა კვებაგეგმობამ ფანჯრებს ბადურები გაუკეთოს და შეაკეთოს ენტილაიცია...

— ჰა-ჰა-ჰა, — ჩაიციხა ხიშბამ, — აი, ახირებული ადამიანი!

ტაბალუმ გადახვდა ადგურს — ხომ არ იციანსო, მაგრამ არა, პირველმა მდივანმა ვერ გაიგო, თუ რა სასაცილო გამგე ყავდა ამ სასადილოს.

— აბა? — მიმართა ლეიბამ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს.

— რას გააწყობ ამ ბუხებთან. ისე მრავალდებიან, საშველი აღარაა.

— ერთი სიტყვით, ბუხები უძლველნი არიან, ხომ გახსოვს, რამდენი კოლო იყო აფხაზეთში? არ ყოფილა ისეთი ოჯახი, სადაც არ ეთარეშნა მალარიას, ახლა კი, აბა, ეძიე კოლო აფხაზეთში.

— ეს მართალია! ზელი არ გაწვდება. ამხანაგო ლეიბა. მერე რამდენი საკითხია გადასაწყვეტი.

— აბა, რა საკითხებია? ჩემი აზრით. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მშრომელთა ყოფაცხოვრების მოგვარება. ასეა ხომ?

— დიახ, ჩვენ ბევრი ნაკლოვანება გვაქვს, მაგრამ ჩვენი პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით...

— გავიგე. რაიონული კომიტეტი შეისწავლის და გაჩვენებს შენ ბუხების მოსპობის საშუალებას? ასეა, ხომ? საინტერესოა, შინაც ამდენი ბუხი გყავს? — ადგურმა ზელი ჩაიქნია და სასადილოდან გავიდა. ორივენი ბაზრისაკენ ემართნენ.

საბედნიეროდ, ბაზარში შედარებით დაცული იყო სანიტარული წესრიგი.

ბაზრის გამგე, ომის ინვალიდი, მარჯვე კაცი აღმოჩნდა, და საშველს არ აძლევდა წესრიგის ყველა დამრღვევს.

— შეხედე, რამდენია აქ სურსათი, ხორცი, ბოსტნეული, ყურძენი, და რა სისუფთავეა, თითქმის არსადაა ბუზი... გზები მოასფალტებულია, რიგები — შეღებილი. გამყიდველებს თეთრ-თეთრი წინსაფრები და სამკლავეები აქვთ, არსად ჰყრია ნაგავი.

— თქვენი ხელმძღვანელობით, — წამოცდა ხიშხას.

— რა საჭიროა ეს ბუზებივით მოსაბურებელი სიტყვები, — უკმაყოფილო კილოთი მიუგო ლეიბამ.

ადგურმა მოისურვა დაეთვალიერებია პლაჟი, სასეირნო კატერთა მისადგომები და გამაგრილებელი სასმელებით მოვაჭრე კიოსკები. სანაპიროზე გავლასა ლეიბამ შენიშნა შემოღობილი ნაკვეთი და სატვირთო მანქანა, რომლიდანაც ხამშენებლო სილასა და ხრეშს ყრიდნენ.

— რა შესანიშნავი ნაკვეთია. ვინ იშენებს აქ სახლს?

„რა ადამიანია? ყველაფერი აინტერესებს“, — გული წაუხდა ხიშხას.

— ეს ნაკვეთი... არნოუსია.

— რომელი არნოუსი?

— ჩვენი არნოუ ნაურბასი.

— ნუთუ სახლს იშენებს?

— დიახ, ამხანაგო ლეიბა. ქალაქის საბჭომ დაუთმო ეს ნაკვეთი.

— ნუთუ დასტოვა არსაულა?

— არ ვიცი, მან ითხოვა...

— განა თქვენ ყველას უთმობთ ნაკვეთს, ვინც მოითხოვს?

— მაგრამ ეს ხომ ამხანაგი არნოუა... ცნობილი პიროვნება.

— ნუთუ, როგორც შენ ამბობ, ცნობილ პიროვნებას შეუძლია კანონის დარღვევა? არნოუ სოფლის მცხოვრებია, არსაულაში მას მშვენიერი სახლი აქვს, თქვენ კი ქალაქში საუცხოო ნაკვეთს აძლევთ. განა გიფიქრია, რას იტყვიან ამომრჩევლები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მთელი წლობით ელიან მიწის მცირე ნაკვეთს სახლის ასაშენებლად? ომის რამდენი გმირი ელის

რიგს, რათა მოიპოვოს სახლის აგების შესაძლებლობა?

ადგურმა გადაჭრა ქუჩა და მძღვანელოვდა სატვირთო მანქანას.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, — მიესალმა ის საძირკველთან მოფუსფუსე მუშებს.

მანქანაზე მდგარი ერთი ახალგაზრდა, რომელიც ხრეშის გადმოყრას მეთაურობდა, მობრუნდა და დაინახა რაიკომის მდივანი. სჯობდა კი, ასეთ ადგილას არ შეხვედროდა მას. ეს იყო გაჩი.

კლუბის გაქეპილი გამგე ყველაფერს მიხვდა — ამ მოულოდნელი დარბაზობისაგან არავითარი სასიამოვნო რომ არ მოელოდა.

ადგურმა შეახსენა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, სასაიდილოს გამგე გელოდებო, და რაიკომისკომში გაემართა.

სამსონ ლოლუას მდივანმა თვალები დააჭყიტა, უბრალო საქმე როდი იყო, თვითონ ამხანაგი ლეიბა მოვიდა ჩვეულებრივი მომსვლელებით. მდივანი ამ დროს უდარდელად ქანაობდა სკამზე... წამსვე წამოხტა.. სკამი ხმაურით წაიქცა, ადგურს გაეცინა, რადგან გოგონას ძალზე დამფრთხალი სახე ჰქონდა. ლეიბამ ხელი გაუწოდა მას და უთხრა: „ვაშარჯობა. დღეს ძალიან ცხელა, არა?“

გოგონას უფრო დაეცა. ადგური ლოლუას კაბინეტში შევიდა. როცა მდივანი გოგონა ოდნავ დაშოშმინდა, გაიფიქრა: „თუ თვითონ პირველი მდივანი მოვიდა აქ, ეს იმას ნიშნავს, ამხანაგ ლოლუას დიდი ავტორიტეტი ჰქონია. ასეთ თავმჯდომარესთან არ დაიკარგები“.

— შენ ნახე, რა საუცხოო ნაკვეთი დაუთმო ჩვენმა ქალაქის საბჭომ არნოუს სახლის ასაშენებლად?

— რაო? რა ნაკვეთი? ეს შეუძლებელია. მე ხომ უნდა მცოდნოდ. ეს რაღაც მონაპორია...

— მონაპორი კი არა და, სამწუხაროდ, ფაქტია. სწორედ ახლა ვიყავი მის ნაკვეთზე. არნოუს უკვე საძირკველი გაუსკვნია.

— როგორ გამოძებნა ეს ამბავი? როგორ არ მაცნობა ეს არსოუმ?

სამსონი წამოდგა და კვლავ დაჯდა. ადგური შეყურებდა დარცხვენის და სახეაღწევილ ლოლუას და ტუჩებს აკმაცუნებდა. ჩანდა, რომ რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა.

ერთი დღის შემდეგ ბიურო ისმენდა არსოუ ნაურბას ანგარიშს კოლმეურნეობა „კერაზში“ თავმჯდომარეობის დროს მისი მუშაობის შესახებ. ამ ანგარიშის შესახებ ის ერთი კვირით ადრე გააფრთხილეს.

სამეურნეო წლის შედეგებს სერიოზული საყვედური არ გამოუწვევია. არსოუს მიუთითეს მხოლოდ ერთ ცოდვებზე — კომუნისტი ნაურბა თვითდამშვიდებს მიეცა და კოლმეურნეობა „კერაზში“ ერთ ადგილს სტეკანისო. მიზეზებს არ შეხებია. ადგური ხმას არ იღებდა. მაგრამ აი, სიტყვა აიღო ნაურბას საუკეთესო მეგობარმა, სამსონ ლოლუამ.

— ის, რომ არსოუ ჰკარგავს არსაულელთა ნდობას, ის, რომ უკანასკნელ ხანს იგი პოლიტიკურად შეუიარაღებელი აღმოჩნდა და უღირსად იქცევა არა მარტო როგორც კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, არამედ ყოფაცხოვრებაშიც; კერძოდ, დაიწყო მეორე სახლის მშენებლობა და ისიც ქალაქში, — ყველაზე უწინ დამნაშავე ვარ მე ბიუროს წევრი, რაიადმასკომის თავმჯდომარე და არსოუს პირადი მეგობარი, რომელიც ხშირად ვყოფილვარ არსაულში. მე ყველაფერი ვიცი, არა ერთხელ მომიცეს სიგნალი. მაგრამ მეგონა, ამხანაგ ნაურბას მიზანში იღებენ ჭორიკანება და მოშურნენი-მეთქი, და ვუფრთხილდებოდი მის სახელს. და არა მარტო მე. მეც კი მომნუსხა და მომიწადინა ვერცხლით შექედოლიმა ყანწმა, რომელიც მას აჩუქა ოლქომის მდივანმა. მაგრამ ეს არ გვაპართლებს.

ლამაზი სიტყვისთვის როდი ვაღიარებ ჩემს დანაშაულს. მე ეს სერიოზულად და ღრმად მოვიფიქრე. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ ამხანაგმა ნაურბამ ანგარიში ჩა-

ბაროს კოლმეურნეობის წევრებს. დაე, პასუხი გასცეს ყველა საკითხზე. ამით, ვის წინაშეც პასუხისმგებელი ვიქნები.

„მორჩა და გათავდა. მოხდა ის, რასაც წინასწარ ვგაჩნობდი, ლეიბამ შეასრულა თავისი განზრახვა, შეებღალა ჩემი სახელი და ეს გააკეთა სამსონის დახმარებით, — ფიქრობდა არსოუ, როცა რაიკომის შენობიდან გადიოდა. — ნეტავი თუ იცის ეს საოლქო კომიტეტმა“.

არსოუ უახლოვდებოდა მანქანის მძიმე ავადმყოფობა გადატანილივით, როცა კაცი ფეხს ძლივძლივობით ადგამს მიწაზე და ხშირხშირად ეხვევა თავბრუ. ხუტას ეძინა, პირი დაეძინა და უღარდელად ხვრინავდა. არსოუმ გააღო მანქანის კარი და აინთო შუქი.

— ნურც გაგვფიქვია! — შეუქანა მან.

ხუტა გამოაღვიძა მხარზე დარტყმამ. მაშინაღორად ჩართო მანქანა და ალმაყერად გადახვდა „პატრონს“.

ყველაფერს მიხვდა.

— სულ უნდა იძინო, არამზადავ?

ასეთი სიტყვა ჯერ არასოდეს არ გაუგონია თავისი მისამართით ხუტას. უნდოდა ეკითხა, რატომ ვარ არამზად, მაგრამ ენა მოიკვინტა. ისიც კი არ უკითხავს, საით წავიდეო.

ორიოდე წუთის შემდეგ მაინც ჰკითხა:

— საითყენ?

— ჯოჯოხეთში, — მიუგო არსოუმ.

ხუტამ არსაულსაკენ გააქანა მანქანა. არსოუ იჯდა. თავი კაბინის კედელზე ჰქონდა მიბჯენილი.

სიბნელეში, პროექტორის შუქზე. აქ-იქ გაიღვებდნენ არსაულს სახლები.

„ამ ეზოების მეპატრონენი ხვალ გამასამართლებენ მე. არცერთს არ გაახსენდება, თუ რა გავაკეთე კარგი, არცერთი არ იტყვის, რომ ჩემი წყალობით გახდნენ ისინი ცნობილი მთელს აფსაზეთში, ცხოვრობენ შეძლებულად და სარგებლობენ პატივისცემით“, ფიქ-



რობდა არნოუ და გაპყურებდა მანქანის ფარებით განათებულ გზის ზოლს.

* * *

არსაულაში დაირხა განსაცვიფრებელი ხმა — რაიკომის მდივანმა, ამხანაგმა ლეიბამ, პირადად ნახა ნაკვეთი, სადაც არნოუ დიდ სახლს იშენებდა. ეს ამბავი გაიშო მოიტანა, თუმცა ეს შეპთხევეა მას სულაც არ ახარებდა. პირაქით, ამ ამბავმა აფორიაქა სოფლის ქალები. ახალი ამბავი სახლიდან სახლში გადადიოდა. ერთმა ქალმა ხელი წამოავლო ვედროს და მიაშურა ქას — ახალი ამბების ამ უტყუარ ადგილს. მეორემ მეზობლისაკენ მოკუცხლა საცერისათვის, მესამეს სასწრაფოდ დასჭირდა ფერადი ძაფი... ახალ ამბავს ისეთი აღმაფრენით გადასცემდნენ ერთმანეთს, თითქოს რაღაც საგანგებო მოვლენააო.

— გაიგეთ? არნოუ გუდოუში გადადის.

— ახალ ადგილზე დაუნიშნავთ.

— მერე, იცი, რა დიდი ადგილია, ღმერთმა გააბედნიეროს.

— კაი ხანია ვიცოდი, განა სოფელში იცხოვრებდა.

— ადიცაც გადაყავს თურმე ქალაქში.

— ნუთუ, არსაულაში დასტოვებს მას.

— ყური მოგყარი, არნოუმ ქალაქელი ქალი დანიშნაო, მეტისმეტად ლამაზია. მე ვნახე.

— შენ გინახავს, მე სახელიც კი ვიცი. მხოლოდ ჩუმად იყავი, — ქალმა მიმოიხედა და ჩაიჩურჩულა: — მას სირმა ჰქვია, აღმასხანის ქალიშვილია.

— უკეთეს ცოლს ვერსად იპოვის.

— ადიცას კარგი რძალი ეყოლება.

ზოგიერთმა ენაჭარტალამ ვერ მოითმინა, საშინაო საქმეებს თავი ანება და ადიცას მიაშურა, პირველად რომ მიელოცნა ეს ბედნიერება.

— მომილოცავს, ადიცა! ბედნიერად და ჭანჭრთვლად გამყოფოს ღმერთმა ახალ სახლში.

— რომელ სახლში?

— გუდოუში. თვითონ რაიკომის მდივანი იყო თქვენს ნაკვეთში. ადიცა თვალდაპყვეტილი შეყურებდა მომლოცვეებს. ვერ გაეგო, რას ლაპარაკობდნენ.

— ეს რა მესმის? დავყრუედი, თუ რა შემართება? ასე რატომ ფიქრობენ ჩვენზე ადამიანები, ვის რა დაუწავით.

მეზობლები და შორებლები ხმას იკმენდნენ, ერთმანეთს ამტყუნებდნენ ასეთი სულსწრაფი დაჭერებისათვის და, როგორც იტყვიან, პირში ჩალაგამოვლებულნი ბრუნდებოდნენ უკან.

* * *

არსაულას თავზე ცა მოიღუშა, შემდეგ მთელ სოფელს სქელი ღრუბელი გადაეფარა. მთებიდან სალუტის ფეიერვერკავით იფეთქა ცეცხლოვანმა მტრედისფერმა ისრებმა. ისმოდა განუწყვეტელი გრუნზუნი. ბოლოს ღრუბლებმა გული გაიხსნეს და კოკისპირულად წამოვიდა ზღვისპირული თბილი წვიმა.

კანტორაში მარტო ადგუა იყო. უკვე ორი დღეა, რაც „კერაზის“ გამგეობაში კაცი არ ქაჭანებდა. არც ერთხელ არ დაურეკავს კედელზე ჩამოკონწილებულ გაპრიალებულ ზარს. მისი დღეილი სტანჯავდა ადგუას. ალბათ, აღარავისთვის ვარ საჭიროო, ფიქრობდა. ზარი ჩვეულებრივად მოქმედებისკენ მოუწოდებდა მას, არნოუს განკარგულებათა გადაცემისას იგი გამგეობის თავმჯდომარის მარჯვენა ხელად გრძნობდა თავს.

ადგუას ესმოდა არნოუს ამბები და ხედებოდა, „კერაზის“ გამგეობაში მისი პარპაშის დღეები დასრულებული იყო. ამას ადასტურებდა დამუნჯებული ზარი. ადგუა პარმალზე გავიდა. წვიმა გაძლიერდა. მოედანზე ძებორციელი არ ჩანდა. ქალს ეგონა, დავყრუედიო. წვიმის ხმაურიც კი აღარ ესმოდა, ისე იყო შეჩქვფებული.

არნოუს კაბინეტში შევარდა და ზარის კნოპს დააჭირა თითი. ჯა, ოი, სი-

ხარულო, — გაისმა ხანგრძლივი, სა-
მური წყრიალი. გამხნევებული თავის
ადგილას დაჯდა.

კიბეზე ვილაყ ამოდიოდა. აბა, ჩქარა
აივანზე! ქვემოთ ჩასძახა:

— გაჩი, შენა ხარ?

— აბა, ვინ იქნება.

— რა ამბები ისმის, ცუდი თუ კარ-
გი?

— არც ისე სახარბიელო.

მოწყენილად შეხვდნენ ერთმანეთს.
ადგუა და გაჩი არ მისალმებთან ერთ
მეორეს, არ გამოუკითხავთ ურთიერ-
თისათვის ჭანჭრთელობის ამბავი. ნაღ-
ვლიანად ჩამოსხდნენ: ადგუა მაგიდას-
თან, გაჩი — მეორე მხარეს, სკამზე.

— სად არის ახლა არნოუ?

— სოხუმში წავიდა, დღესვე უნდა
დაბრუნდეს.

— გაჩი, მითხარი, რა მოხდა მაინც?

გაჩიმ კვლავ გაიმეორა, თუ როგორ
მოვიდა ლეიბა სატვირთო მანქანასთან
და იკითხა: „ვისია მანქანა?“

— და მეტი არაფერი უთქვამს?

— არც ერთი სიტყვა.

— არ გამოგლანძლა?

— ნეტავი გაველანძლე, ან მითითე-
ბა მაინც მოეცა. იცი, რას გეტყვი, ად-
გუა... არნოუს საქმეს „კერაზის“ კრე-
ბაზე განიხილავენ.

საბრალო ადგუას თვალები გაუფა-
რთოვდა.

— ვის მოუვიდა ასეთი აზრი?

— რაიკომს.

— რა დააშავა არნოუმ?

— ეს დიდი ხანია აქვთ განზრახული.
განა ჩვენ ნამდვილი მდივანი გვყავს?
მის მოსვლამდე კი იყო ყველასათვის
პატივსაცემი ადამიანი. ამან კი მითი-
თება მისცა ყველას, ყოველ ფეხის ნა-
ბიჯზე გაეკრიტიკებიათ არნოუ. და აი,
არნოუ გაება მახეში — სახლის შენება
დაიწყო გუდოუში.

— დიდი ამბავი, გუდოუში ყოველი
გამყიდველი იშენებს სახლს.

— არნოუს კი შარი მოსდეს.

— ნუთუ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ
არნოუსთანა, კაცი არსაულში ჩაკვდე-

ბოდა. ის კი არა და, მე და შენაც კი
წავალთ ქალაქში. მამაჩემი ყვეუშენებს
სახლს ჩემი ძმის — ზღამჩინის! ჩაკვთ-
ზე. მე ხომ სირმა არა ვარ, რომელსაც
მოსწონს ახლუცაში ხეტიალი და ვი-
ლაყვიდაცეებისთვის სახლების აშენე-
ბა.

— შესაძლოა, ადგუა, — გაჩი პირ-
მოთხედ შეჰყურებდა გაპარხლებულ
ადგუას.

— ნუთუ, არნოუ თავს ვერ დაი-
ძვრენს? რა ჩაიღინა ისეთი?

— განა კოკა ყოველთვის მოიტანს
წყალს? არნოუც აქვია, რომ არ და-
მსხვრეულოყო, ხანდახან კანონს გვერდს
უვლიდა. ახლა ყველაფერს გაუხსენე-
ბენ; როგორ ყიდულობდა ჭოგს კრასნო-
დარის მხარეში, კარაქს მაღაზიებში, და
დამზადებთა ანგარიშში აბარებდა. ვნა-
ხოთ, რა ამბებს მოიტანს სოხუმთან.

— ცუდი არაფერი მოუვა, სოხუმში
მაგარი შემწეები ჰყავს. სოხუმელი ხელ-
მძღვანელები ჩააჩუმებენ არა მარტო
ასტანსა და იასონს, არამედ ლეიბასაც.
ხომ იცი... ოლქკომის მდივანმა ყანწი
რომ აჩუქა არნოუს.

— ეს ვინ არ იცის!

— თბილისშიც პატივსაცემი სცემენ. ყო-
ველთვის ხოტბას ასხამდნენ დიღ თათ-
ბირებზე.

— რატომ აირჩიეს მსოუხსტი? თვი-
თონ ლოლუამ წამოაყენა მისი კანდიდა-
ტურა...

ეს ორივესთვის სამწუხარო ფაქტი
არავითარ საიმედო პერსპექტივებს არ
იძლეოდა.

— ახლა ნუ მოვეყვებით გოდებასა და
თავში ცემას, თითქოს ვინმე მომკვდარი-
ყოს. თუ არნოუს მზე სამუდამოდ ჩაეს-
ვენება, გუდოუში გადავიდეთ, შენ ლექ-
სებს დაწერ და ცნობილი პოეტი გახდე-
ბი. არსაულში დიდი მეურნეობა გვაქვს,
მამაჩემი ყველაფერს გამოგვიგზავნის.

გაჩი გამხიარულდა, თავისი პოეტობა
არც ისე სახარბიელოდ მიაჩნდა, უფრო
მეტი იმედი ჰქონდა აღმასხანის მეურ-
ნეობისა.

იმ წუთებში არნოუ ოლქკომის მდივ-

ნის კაბინეტში იმყოფებოდა. იგი ალერსიანად და ხალისიანად შეზღვა არნოუს, ისე, როგორც იცოდა წინანდელ, საუკეთესო დღეებში.

ოლქკომის მდივანი იყო სქელ-სქელი, საშუალოზე მაღალი, ქერათმიანი, შეფერკბლილსაფეთქლებიანი, ჰქონდა ზღვისფერი მიმზიდველი თვალები. არნოუს საგარძელი შესთავაზა, თვითონ კი მაგიდასთან დარჩა ფეხზე მდგარი.

— რა არის ახალი არსაულაში, „ქერაზში“? — ჰკითხა მდივანმა.

არნოუმ თავდაპირველად, რაც შეიძლებოდა დამწვიდებით ჩამოუთვალა, თუ რა ზღვებოდა კოლმეურნეობაში. და, თითქოს გაეცრათ შენიშნა, საქმე კიდევ უფრო კარგად იქნებოდა, სხვადასხვა გარემოება რომ არ უშლიდეს ხელს.

— რა გარემოება, რა მიკითხულ-მოკითხულად ლაპარაკობ. ვინ გიმლის ხელს?

— მოუტრნეები. ძალზე ბევრი ვაერცელდა არსაულაში.

— კი, მაგრამ, ვინ არიან ისინი? დასახელებ.

არნოუ ყოყმანობდა, ბელში ატრიალებდა მაგიდიდან აღებულ ფანქარს...

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, აგრეთვე, ისიც ვიცა, რა ზღვა არსაულაში. გამიგონე, არნოუ, მე არა ვარ იმ დასკვნების მომხრე, რასაც ზოგიერთი ამხანაგი იყენებს ასეთ შემთხვევაში. საქმე სრულიადაც არ არის ის, რომ შენ ძლიერ აღრე აგამაღლეს, ძალზე გაქვებდნენ და განებავრებდნენ, ხოტბას გასხამდნენ, გაჭილდობდნენ, თუცა ამათაც შეუძლია ითამაშოს გარკვეული როლი. მაგრამ ზომ ბევრია კომუნისტი, სოციალისტური შრომის ორგზის და სამგზის გმირი. ისინი უშადლესი საბჭოს დებუტატებიც არიან და არა ერთხელ დაუჭილდობიათ ორდენებით, მაგრამ მაინც თავმდაბალი და ყველაფრისადმი გრძნობიარენი დარჩენილან. მათ შორის არიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებიც, აკადემიკოსებიც, მესახტენიც და ხელოვნების მუშაეებიც. პირიქით, რაც უფრო ხშირად აჯილდოებენ მათ, S. „მნათობი“ № 12.

მით უფრო ახლოს მიაქვთ ვულთარ საბელმწიფოს საქმიანობა, ზადუნის საქმიანობა და ზნეობრივად უფრო დამკვიდრებულ სრულყოფილნი ზღვებიან.

ზოგიერთები დაიწყებენ მტკიცებას, ოლქკომი დროულად არ დაეხმარაო, რომ მე, ოლქკომის მდივანმა, როგორც იტყვიან, დროზე არ მოგეცი შემჩნევა. ეს მართალიცაა და არც არის მართალი. პირველ რიგში, შენა ხარ დამნაშავე და მართალიც მხოლოდ შენა ხარ. განა შენთვის ცნობილი არ იყო კომუნისტი ადამიანის სინდისი და პატიოსნება? განა შენ არ მიიღე ვულთარ ახლოს პარტიის გადაწყვეტილებანი, არ დასდე პირობა მათ განსახორციელებლად?

შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, კვიანი, სპეციალური განათლებით, რაიკომის ბიუროს წევრი. განა შენსავით ვინ უნდა გამსჭვალულიყო პარტიის სულისკვეთებით, ღრმად ვინ უნდა ჩაწვდომოდა მის გზაკვალს? ნუთუ, მე უნდა წამეკითხა შენთვის ხმამაღლა პარტიული დოკუმენტები? შენ ვალდებული იყავი, არა მართო თვითონვე გცოდნოდა მათ შესახებ, არამედ ჩაგენერგა ისინი არსაულას რიგითი კომუნისტების შეგებაში. ხოლო თუ ასე არ მოხდა მიზეზი ისაა, რომ ძირითადში შენ ზერეულე მოაზროვნე კომუნისტი ხარ. განა არ მოგისმენია შენი ამხანაგების გამოსვლები პლენუმებზე, კონფერენციებზე? მე ხომ არ ვიყავი ვალდებული თავი გამენებებინა მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმეებისათვის და შენთან პოლიტსაუბრები ჩამეტარებინა. მე მამშვიდებდა, რომ შენ მომხვეჭი და წამლდეთი ადამიანი არ იყავი. თორემ ახლა შენთან არც კი ვილაპარაკებდი.

ზოგიერთები ირონიით გადაუკრავენ სიტყვას — თითქოს ყველაფერში ბრალი მიუძღოდეს ჩემგან ნაჩუქარ ყანწს. დიახ, აფხაზური ტრადიციების მიხედვით ვაჩუქე ის ახალგაზრდა მეგობარს.

ოლქკომის მდივანს არ შეუძლია ყველაფრის ცოდნა, მე არა მაქვს დრო. მოვისმინო მიუთქმა-მოთქმა პარტიის ყო-

ველ წევრზე. კომუნისტი თვალისჩინებით უნდა გაუფრთხილდეს თავის სახელს და ახსოვდეს, რომ იგი ლენინური პარტიის წევრია.

შენ კი როგორ გეჭირა თავი? არავის არ უსმენდი, ღირსების დამცირობად მიგანდა სოფლსაბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა, ისე კი არ იქცეოდი, როგორც გამგეობის თავმჯდომარე, არამედ როგორც ერთპიროვნული უფროსი. ასტანა გეუბნებოდა, ახუცას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, იქ დიდი შესაძლებლობანია დამარხულიყო. კოლმეურნეები მოითხოვდნენ, ხელი მოეციდათ წერალფება საქონლისა და ღორების მოშენებისათვის; მით უფრო, რომ არსაულას ახლოს ალბური სამოვრებია და უღრანი მუხნარაი. შენ ღვთის ანაბარა მიაგდე ზვრები, მებაღეობა, კოლმეურნეობის მშენებლობა და გაგიტაცა სადოღე ცხენთა საჯინბომ. ბოლრ გოვონა ინეინერი სირმა ვახდა საკოლმეურნეო სამშენებლო ორგანიზაციის ინიციატორი. სამაგიეროდ, შენ შეუდექი არსაულადან რევიზორების განდევნას, რომლებიც ამოწმებდნენ შენს ახლობელს, უსაქმურ ანტიკას. საინტერესოა, რას ფიქრობ ადგურ ლეიბაზე?

არნოუ იჯდა თავჩაღუნული; მას უკვირდა, საოლქო კომიტეტმა ყველაფერი რომ იცოდა. მდივნის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ვერ გაბედა. მაგრამ სიმართლემ მოღრიკა და წარმოთქვა:

— მეგონა, ადგური ცდილობდა ჩემი სახელის გატეხას...

— კარგია, რომ პატიოსნად აღიარე ეს. სწორია, რომ შენ მხოლოდდამხოლოდ შენი სახელის შარავენდელი გაწუხებდა. ხოლო, სებათაშორის, მე ვუთხარი ლეიბას, როცა ის არსაულასკენ წამოვიდა, — ყური უგდებ არნოუს, დაეხმარე მას და ნუ აცდენ გზას, როგორც ვიცით, იმ გზიდან თავდადებით უბევეს მოღობული ბილაკებისკენ-მეთქი. ლეიბამ ერთბაშად ვერ გაგართვათ თავი შენ და შენ მეგობარს, სამსონ ლოლუას.

იგი სწავლობდა ყოველ შენს ნაბიჯს, რათა ხელაღებით არ გაენადგურებინე.

იყო არსაულაში, და უცებ და გაუფრთხილებლად კი არა, კარყმედ უფიქრებლად, გულდასმით შეისწავტანა შენი შეცდომები, გამომჟღავნა მათი არსი. შეძლო სამსონ ლოლუას პარტიულ გზაზე დაყენება. ცდილობდა შენს კეთაზე მოყვანას, მაგრამ შენ ცეტი ცხენით ტლინეკეს ისროდი. იწყებ სათადარიგო პოზიციის მოშადება — განიზრახე სასწრაფოდ აგეგო სახლი გუდოუში. აბა, იფიქრე, რას გეტყოდა მამაშენი, რომელიც განდიდებისა და პირადი კეთილდღეობისათვის როდი ფიქრობდა და ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს? შენ ხომ საბჭოთა აფხაზეთისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლის შვილი ხარ.

არნოუ ოფლში იწურებოდა, ჯიბეში ცხვირსახოცი ძებნა და ვერ იპოვა. მდივანმა ყუთიდან ამოიღო სუფთა ცხვირსახოცი და მიაწოდა.

— აღარ გეტყვი მეტ სასტიკ სიტყვებს, რაც შენ დაიშახტრე. რაიკომმა სწორად გადაწყვიტა — პასუხი აგე შენი ამხანაგების წინაშე, მთელი არსაულას წინაშე. შენი ბედი მათ ხელშია.

არნოუ წამოდგა. ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაკეტა. მდივანმა ხელი ჩამოართვა.

არნოუ გამოვიდა ოლქკომიდან, მივიდა დრამატული თეატრის გვერდით მდებარე შადრევენების ანსამბლთან და დიდხანს სუნთქავდა გრილ ნიავს. გულდამძიმებული დაეხეტებოდა სანაპიროზე და ფიქრობდა თავის ბედზე. გადაწყდა: იგი მოითხოვს დატოვონ „კერაზში“ აგრონომად, ან ბრიგადირად. გაიხსენა დედა. იგი მოიწონებდა შეილს გადაწყვეტილებას.

მარტოდადარჩენილი მდივანი დიდხანს სცემდა ბოლთას კაბინეტში; ბევრჯერ მიაღდა ფანჯარას, გაჰყურებდა ფართო ყურეს, მაგრამ ვერ ხედავდა ვერც წარმტაც ზღვას, ვერც იქ მოარიალე გემებს; არ ესმოდა დამსვენებლებით სავსე სანაპიროდან მოდენილი შორეული მუსიკის ხმები.

ყველაფერი, რაც მან არნოუს უთხრა, უეჭველად სწორია და მართალი.

მაგრამ აქ ეს-ეს არის სავარძელში იჭდა არნოუ ნაურბა, მისთვის კარგად ცნობილი, ჭერ კადევ ახალგაზრდა კომუნისტი. იგი დიდი ხანია იცნობს არნოუს, იცის მისი პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების მოყვარულობის ამბები... ნუთუ, საჭირო იყო არნოუს ასე უხვად დაჭიდდებოდა, ასე მოეფიქრებლად მისი აღზევება, როცა კარგად უწყევდნენ ანგარიშს მის მიდრეკილებებს.

„ეკრაზის“ თავმჯდომარის ესოდენ უსაზომოდ განდიდება ხომ არ იყო დიდებისაყენ მისი დაუოკებელი მასწრაფების პარდაპირი წაქეზება?

ამ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა. აი, სად დაიჩრდვა თვითეული ხელმძღვანელის ინდივიდუალური შეფასების პრინციპი. არნოუ ნაურბას ხასიათი მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას. და მსგავსი საუბარი უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

და ოლქოუმის მდივნის გარდა არავის არ შეეძლო დროულად შთაეგონებინა და განემარტა არნოუსთვის მისი მცდარი საქციელი. ეს უნდა აღიაროს მდ ივანმა. იგი დაუბრუნდა მაგიდას და სამახსოვრო წიგნაკში ჩაიხიშნა: „არნოუ ნაურბა“, და დაწერილს ქვეშ ორჯერ გაუსვა ხაზი.

22

შუადღისას გაჩიმ დაამთავრა კლუბის დარბაზის გაფორმება. გულდასმით გაბერტყა წითელი მაუდის სუფრა, დააწყო ზედ ქალაღის სუფთა ეურნალები და წვერწათილი ფანქრები პრეზიდენტისათვის. ადგილზე დადვა თავმჯდომარის ზარი. იატაკი გაკრიალებული იყო, მერხებსა და სკამებს ლაპლაპი გაუდიოდათ.

არსაუღელეები მომცრო ჯგუფებად იკრიბებოდნენ კლუბში. გაჩი თავაზიანად ხედებოდა ყველას გამოუკლებლივ, მიმართავდა სასიამო სიტყვებით და სთხოვდა, დამსხდარიყვნენ. „დღეს, როგორც ჩანს, მარტო არნოუს როდი გაასამართლებენ“, — ღელავდა გაჩი.

ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი და მხრებზე ჩაბალახოვებული მუხტეები ჭერ კლუბის შეყვდლორქსხდუნენ მერხებზე და იგონებდნენ ძველ ამბებს. გაჩი ყველას თავაზიანად ეპყრობოდა, ხშირად უმიზეზოდ ინდიდა ბოდიშს, მიუჩოჩებდა გაზეთებს, ეურნალებს, საფერფლებებს, ხან მოხუცებს და სტრიალებდა თავს და ცდილობდა, ყველანი ესამოვნებინა. ერთი სიტყვით, იგი იქცეოდა, როგორც წინათ, მისთვის მეტად მზიან და კარგად მოსაგონარ დღეებში. არსაუღელეები გულკეთილი და გულისმხიერი აღამინებუ არიან, — მათ ესმოდათ გაჩის მღელვარების მიზეზი და თანაუტყმნობდნენ.

კლუბის გამგე ვერ ისვენებდა, — რადიოლა ჩართო. მოედანზე გამოიჭრა ძველი აფხაზური მელოდიის მომხიბლავი ხმები. გულში ჩამწყვდომმა სიმღერამ ჩააჩუმა მოხუცები. ძველი ხალხური სიმღერები — უსაა ბალადები ოდესღაც ჩაგრულ აფხაზ ხალხზე, მისი ბრძოლებისა და ოცნებების შესახებ.

ადგუა უწინდებურად აღარ დეფარფატებდა აქეთ-იქით, ის წყნარად მიმჯდარიყო კუთხეში, პირველი რიგებიდან მოშორებით.

კლუბში შემოვიდნენ ადგურ ლეიბა და სამსონ ლოლუა, ყველანი წამოდგნენ. ასეთია აფხაზური ზრდილობა — უნდა წამოდგე სტუმრებისა და უფროსთა შემოსვლისას.

— დასხედით, დასხედით, რად წამოდექით...

ადგურმა მისალმების ნიშნად ასწია ხელი და მაშინვე ენერგიულად დაუშვა ძირს, ანიშნა ყველას, დამსხდარიყვნენ. მას მოყვებოდა არნოუ, იგი ვერ იცნეს, ისე ამაყად აღარ გამოაყურებოდა, თვლები აღარ უციმციმებდა და უკვე აღარ ჰკვება სტუმართმოყვარე მასპინძელს. აფხაზები საკუთარ კომენტართა და უდგრომელი მოყვარულები არიან. მერხებზე მსხდომნი მაშინვე აჩურჩულდნენ.

— რა დამართნია არნოუს...

ლები, ლოლუა და არნოუ წინა მერხებზე დასბდნენ.

— თუ ყველანი შეიკრიბებით, შეიძლება კრების გახსნა, — წარმოთქვა ადვოკატი.

— დავიწყოთ, — ძლივს გასაგონად დაეთანხმა არნოუ.

სამაგე ავიდა სკენაზე პრეზიდენტის მაგიდასთან. დარბაზში კვლავ ჩურჩულებდნენ, გამოიხსნა იასონი. არნოუ, ჩვეულებრივ, არ იწვევდა მას კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე. ლეიბამ თავი დახარა და რაღაც უთხრა არნოუს. დარბაზში გაძლიერდა ჩურჩული. ყველას უნდოდა გაეგო, თუ რა უთხრა რაიკომის მდივანმა არნოუს, მით უმეტეს, რომ მან საპაუზოდ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ნეტავი რა უთხრა არნოუს? — ჰკითხა ანტიკას გვერდში მჭლამპა ქალმა.

— შენ, ალბათ, გგონია, რომ ჩემი ყურები ტელეფონითაა შეერთებული არნოუს ყურებთან? — ანტიკამ ქედმალღერად გადახედა მეზობელს და მოშორებით გადაჯდა.

ყველამ შენიშნა — არნოუმ დაძლია თავს და წამოდგა, ლეიბა კვლავ რაღაცას ურჩევდა მას — როგორც ჩანდა, არნოუს აღარ გააჩნდა დამოუკიდებლობა და რაიკომის მდივნის მითითებებით ხელმძღვანელობდა. არნოუმ შეცვლილი, თითქოს სხვისი ხმით წამოაყენა წინადადება, აერჩიათ კრების თავმჯდომარე. გერა გუბაზი ისე წამოხტა, თითქოს მის ქვეშ მერხი აფეთქდაო.

— შემომაქვს წინადადება, არჩეულ იქნას ამხანაგი არნოუ ნატურბა, — ისე წამოიხსროდა მან, თითქოს ეშინოდა ვაი თუ არ მათქმევინონო, და დაჯდა.

მაგრამ მაშინვე წამოდგა: „გთხოვთ, კენჭი უყაროთ ჩემს წინადადებას“.

— იყოს არნოუ. წინააღმდეგი არა ვართ. ამას მნიშვნელობა არა აქვს, — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— კიდევ თუ არის წინადადება? — იკითხა არნოუმ.

— არა — აი, — უპასუხა მთელმა დარბაზმა.

არქონდული

განი, ადგუა, გერა დამჯდომარეობის მფლობელი შეპყრებდნენ მეზობლებს. ანტიკა ხშირით წამოდგა და კვლავ გადაჯდა, ამჯერად, პირველ რიგში. გერამ ფეხი ფეხზე შემოიღო და უსაზომოდ მალა ასწია თავი. არნოუს ერთხმად არჩევამ გააშხნევა მისი ნათესაეები და მეგობრები — მაშასადამე, ჯერ სულ არ იყო დაღუპული ყველაფერი.

თავმჯდომარის წინადადებით კრების მდივნად დაასახელეს ადგუა. ისიც აირჩიეს. ეს კი აღარ მოეწონათ არნოუს ამკარა მტრებს.

— როგორც ჩანს, ყველაფერი ძველებურადვე რჩება, — ხმადამლა წარმოთქვა ვილაცამ.

სამაგლეწილი ადგუა თავის ადგილზე დაჯდა, მარცხენა ხელით თმა შეისწორა და ოქმის წერას შეუდგა.

არნოუმ გამოაქვეყნა დღის წესრიგი — გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობისა და საქციელის განხილვა. მაგრამ არა, ის არაა ამ სიტყვის წარმოთქმის თანხმია. ერთხანს დუმდა, გამომცდელად შეაჩერდა ლეიბას, მის თვალბეჭდში მოწონება ამოიკითხა და ხმაჩაბლუნით წარმოთქვა: სიტყვა ეძლევა რაიკომის მდივანს, ადვოკატ აბასისძეს“.

ლეიბამ, მკაცრი ინტონაციების გარეშე, თანაბრად და დაწვრილებით მოუთხრო კრების მონაწილეებს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია საჭიროება, განეხილათ კოლმეურნეობა „კერაზის“ გამგეობის თავმჯდომარის მუშაობა და საქმიანობა. მანვე აცნობა კრებას, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რაიკომის ბიურომ, რამდენადაც არნოუ პარტიის წევრიაო.

არსაუღელეები ყურადღებით უსმენდნენ. მათ ამხანაგ ლეიბაზე უფრო კარგად იცოდნენ არნოუს ამბავი. მაგრამ მათ იზიდავდა სულ სხვა — რაიკონის ხელმძღვანელები პირველად აყენებდნენ ასე მკაფიოდ საკითხს საერთო კრებაზე. ჩვეულებრივ, ისინი ჩამოდიოდნენ, რათა ყოველგვარი კრიტიკისაგან დაეცვათ სოფლის ხელმძღვანელ

პოსტებზე მათ მიერვე რეკომენდებული აღამიანები.

ადგური ლაპარაკობდა პირდაპირ, ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, არ ზოგავდა არნოუს თავმოყვარობას.

არნოუს ნათესაებებმა და მეგობრებმაც თავი ჩაქინდრეს. ისე გამოვიდა, რომ მისი არჩევა კრების თავმჯდომარედ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. ოდნავ თავაწეული არნოე შეპყურებდა კედელზე ჩამოკიდებულ ლოზუნგის კიდეს. ადგუა არაფერს წერდა, ხელი არ ემორჩილებოდა — განა შეეძლო შეეტანა ოქმში ასეთი სიტყვები არნოუსზე. ავტოკალამი გახურდა მის ცხელ ხელში, და მართლაც შეწყვიტა წერა. ლეიბა სკამზე დაეშვა. დარბაზში ვიღაცამ მკაფიოდ წამოძახა:

— როგორც ბენა, გაბედეს და შექი მოფინეს ცნობილ სახელს, — პასუხად სხვადასხვა კუთხეში ატყუდა ხმაური და გაისმა შეძახილები: „ვინ იყო? რა თქვა?“

— თუ ლაპარაკი გასურს, სიტყვა მოითხოვე.

— ვინ თვითნებობს მანდ?

— სირკხვილია!

არნოე არ ხელმოკლვანელობდა კრებას. იყო თავჩაქინდრული და არავის უსმენდა.

უცერად დუმილი ჩამოვარდა, როგორც ეს ხდება ხოლმე კრებებზე, არავის სურდა პირველი გამოთულიყო. არნოუს არაკეთილისმსურველნი შიშობდნენ, ვაითუ საქმე სხვაგვარად შეტრიალდეს და არნოე თავმჯდომარედ დარჩენოს. ო, მაშინ იგი არ დაიფიცებს თავის გამაზიარებელთ. სჯობს, ჩუმად იყვნენ. ხოლო, როცა არნოე თავდაყირა დაგორდება, ისინი არ დაიშურებენ პანელურიც მიაყოლონ ზედ. ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ და ძრწოდნენ ისინი, ვინც ხოტბას ასხამდნენ არნოუს, ემლიქნელებოდნენ მას და სულთ კი მისი ნოტილე და მოწინააღმდეგენი იყვნენ. ისინი უფრო დუმდნენ, არ შეფეროდნენ პირველთ წარმოეთქვათ სიტყვა.

დუმდა ასტანა, იასონი, მსოუსტი, შაირების ავტორი ლადი კვაცბა. მათ

ხელს არ აძლევდათ, პირველნი გამოსულიყვნენ. ეგონათ, ასე იფიქრებენ, ანუ ბა ჩვენმა საიერებმა გამოაფიქრეს საულაში არაფერი დამალვობდათ.

— ბენებ, ვინმეს უნდა შეკითხვა მოსკეს ნაურბას? — იკითხა ადგურმა.

წარბებმოლულელმა არნოემ კრებას გადახედა.

— მე მინდა ვკითხო, თუ შეიძლება? — წამოდგა აგრაბა ჩაგუ, რომლის სახლში ცხოვრობდა სირმა.

წამსვე გაისმა ხმები: „აბა, თქვი, თუ რამე გასურს!“ ერთი სიტყვით, კრებას თვით მონაწილენი ატარებდნენ. ადგური დუმდა. დაე, აღამიანებმა თამამად იგრძინონ თავი. არა უშავს, თუ იხმარებენ. ხანდახან ტრადიციულ წესებსაც უნდა აღარონ გვერდი.

ჩაგუმ გადაიგრობა თავისი ვრძელი უღვაშები, ბელი გადაიხვა მელორტ თავზე და მიუბრუნდა კრებას:

— კაი ხნის, კაცი ვარ..

— არაა საჭირო ავტაცია, ჩვენც კარგად ვხედავთ.

აფხაზს არ შეუძლია თავი შეიკავოს, რათა ხანდახან არ გაართოს თავისი ამხანაგები ხუმრობით, ანდა საუბრის დროს არ გაკენწლოს თვით. საუკეთესო მეგობარაც კი, მიუხედავად მისდამი უდიდესი პატივისცემისა. სჯობს, დაიღუპო მეგობრისათვის, ვიდრე ხმამალა არ აღნიშნო მისი სასაცილო მხარე. მით უმეტეს, კრებაზე.

— წინათ მწყემსი ვიყავი..

— კიდევ? ჩვენ კი არ ვიცოდით ეს ამბავი! ვგონებ, შენ მირზა აჩბას მოწინავე მწყემსი იყავი, არა?

— დიახ, თავად მირზა აჩბას მწყემსი; ხომ გასსოვთ, რამდენი სული საქონელი გამოყავდათ საძოვარზე.

— მირზა დიღიხანია მოკვდა. რაში გაჯახსენდა აზლა? ხომ არ დაგესიზმრა? — ჩუმად, ჩაგუს სურს თავისი ბიოგრაფია მოგვიყვეს.

— ტყუილად როდი გამახსენდა მირზა აჩბა. მას იმდენი ჯოგი ყავდა..

— დაეხსენ, ბოლოსდაბოლოს, თავა-

დის ჯოგს. რამდენი წელი გავიდა, შენ კი მაინც კულში მოსდევ მას.

— კარგი, დავეხსნები, — თქვა აგრ-ბამ და დაჯდა.

განრისხებით წამოდგა მოხუცი აბდა-ლა, არწივისებური თვალი გადაავლო კრებს და შეარცხვნა ლაზღანდარები.

— სიარცხელია, შეილებო, კაცს ლა-პარაკის ნებას არ ვაძლევთ, ამით შეუ-რაცხოფას ვაყენებთ. მოუსმინეთ მის გულს. ილაპარაკე, ჩაგუ.

აგრბა კვლავ წამოდგა, კვლავ გადაი-გრიბა უღვაშები, გადაიკვა მელოტ თავ-ზე ხელი და ცდილობდა გაეხსენებია, სად შეწყვიტა სიტყვა. ვიღაცამ მოიხაზ-რა:

— შენ შეჩერდი მირზას ჯოგზე...

— სწორია, სწორია ასეა. მირზას ჰყავდა ათას ხუთასი სული საქონელი, ხოლო ჩვენს კოლმეურნეობას რამდენი სული ყავს?

— ჩვენ რატომ გვეკითხები? შეე-კითხე არნოუს.

წამოხტა არნოუს ერთ-ერთი ერთ-გული მეგობარი თარაშ ლაზბა. მკერდზე აუწყრიალდნენ ორდენები და მედლები.

— შენ შეკითხვა გაქვს, თუ სიტყვა ითხოვე? — ჰკითხა თარაშმა ჩაგუს და თან მრისხანედ გადახედა.

თარაშ ლაზბას — მესიჰინდეს, არ-ნოუს ზელმძღვანელობის პირველ წლებ-ში მართლაც თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა სიზინდის მოსავლის აღებისას, მაგრამ უკანაკენელ ხანებში საქმე რამ-დენიმედ სულ სხვაგვარად წარიმართა: არნოუს ეშინოდა სახელის გატეხისა და ლაზბას ნაკვეთს სხვა ყანებიდან შეუშა-ტა სიზინდის მარცვალა. ასეთ ყაჩაღო-ბას ეწუოდა გაჩივ.

— ე-ე, შეილო თარაშ, როგორც ვხედავ, ხმასაც არ ამომადებინებ. ჩამო-გვიკონწილებია გულზე მედლები და პირს მიმუწავ. იცოდე, თუ დიდხანს გააბურე ქვა, გასკდება.

თარაშში მოიბუზა. მეტრამეტად აშ-კარა ჯა მკაფიო იყო ჩაგუს ნართაული და გადაკრული ნათქვამი დაუმსახურე-ბელ მედლებზე.

— რამდენი სული საქონელი გექვავს ჩვენ? — კვლავ დაიწყო ჩაგუმ. არც ერთი კოჭლი თხა. ჩვეთგან ყოველიან ხორცს, ადამიანებს მარტოოდენ ჩაი და თამბაქო ვერ დააკმაყოფილებს. ასეა ხომ?

— ვინაა მერე დამნაშავე?

— არნოუა დამნაშავე. მე მართალს ვამბობ.

არნოუმ, მისდა უნებურად, ძველი ჩვეულების მიხედვით, ნახევარ სიტყვა-ზე შეეჩერებინა გამკრიტიკებელი, ოდ-ნაე გასაგონად წარმოთქვა:

— ახლა მარტო მე ვარ ყველაფერში დამნაშავე.

— შენ კი რა გაწუხებებს, ჩაგუ, კარ-მიდამო საქონლითა გაქვს სავსე, ხომ?

— იმდენი მყავს, რაც წესდებითაა დაწესებული.

— შენ საქონლის გარდა არაფრის დანახვა არ გინდა, — უკვე მკაფიოდ და ხშამალა უთხრა არნოუმ, რომელმაც უფრო თამამად იგრძნო თავი, როცა და-ინახა, კრება თითქოს არ ცდილობს ჩემს გაბიბრუებასო.

მაგრამ არნოუს რეპლიკას შემდეგ ჩაგუ გათამამდა:

— რას გიშლის ხელს საქონელი? ჩვენ შეგვიძლია ვაძოვოთ იგი მდინარე-თა ნაპირებზე, მთის ფერდობებზე, ჰა-ლებში. აბა, რად მოგვცა სახელმწიფომ სამუდამოდ ამდენი მიწაწყალი და სიმ-დიდრე?

— ჩაის თავს ვერ ვართმევთ. „აფხაზხარამ“ გაგვისწრო, შენი გონები-დან კი არ გამოდის თხა და ცხვარი.

გერა გუბაშმა არნოუს სიტყვები თავდაპირველ დაწყების ნიშნად მიიღო.

— თუ მხოლოდ თებზე გინდოდა ლაპარაკი, დაჯექი, ამხანაგო აგრბა. ეს კაი ხანია, გვსმენია და გაგვიგონია.

მაგრამ ჩაგუ ვალში არ დარჩა.

— რად ბრაზობ, გერა? მე ხომ და-წერილი მოხსენება არა მაქვს. ეს შენ გამოდიხარ აქ, დააწყობ მაგიდაზე მთელ თაბახ ქალაღს და ისე ბუტბუტებ, კაცი ვერ გაიგებს, რომელ ენაზე ლაპარაკობ. ჩვენ კი გისმენთ, თუმცა ძალიანაც არ

გვესიამოვნება რეგენებად ჩავთვალოთ თავი, როცა მთელი საათობით...

— სწორია, როცა გერა თავის ქალადღებს კითხულობს, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს კაცი. მას შეუძლია იკითხოს თავისი მოხსენება ზევიდან ქვევით და პირიქით. არაფერი შეიცვლება.

დარბაისელ მოხუცებსაც კი გაეცინათ. და მათ მოიგონეს, თუ რამდენჯერ ჩაეძინათ გერას მოხსენების დროს.

— ახლა კი ერთხელ მაინც მომისმინე, — გაიღიმა ჩაგუმ და მოულოდნელად დაჯდა, აგრძობინა ყველას, ახლა თქვენ განაგრძეთ ჩემი აზრიო. მან გადაიგრიხა უღვაშები, მალლა აიკვებია და მედიდურად გადახედა მეზობლებს, ყველანი აქებდნენ მის მკაცრ პასუხს გუბაზისადმი.

ახლა ხმამალა და უწესრიგოდ აღაპარაკდნენ ყოველი მხრიდან. არსაუღლები ლელავდნენ. — როგორც ჩანს, ყინული დაიძრაო, — წყნარად უთხრა სამსონს ადგურმა. და მართლაც ასე მოხდა; როგორც კი ერთი დაამთავრებდა სათქმელს, იქვე წამოდგებოდა მეორე. და უკვე ტრიბუნაზე გამოსულებმა ყველაფერი დაივიწყეს: ნათესაობა, მეგობრობა, გაწეული დახმარება და ქველმოქმედება... ერთნი — პირში ზრახავდნენ არნოუს და ამათრახებდნენ, სხვებს — მშობლიური მთების მწვერვალებამდე აყავდათ ის... მაგრამ არნოუს დამცველებს რეპლიკებს აყრიდნენ ადგილებიდან... კრება გამგეობის თავმჯდომარეს უმზადებდა მკაცრ საყვედურს. კამათის დასასრულს ისე გამოიყურებოდა არნოე, როგორც უკანასკნელი კაცი მთელს აფხაზეთში. მისმა სახემ დაკარგა ყოველგვარი მიშვიდველობა. თავი ჩაქინდრა და ასე იყო დიდხანს.

ადიკა იჭდა უკანასკნელ რიგში. მეზობელი ქალები არ იცქირებოდნენ მისკენ. მან იცოდა, ადრე თუ გვიან, არნოე წარსდგებოდა სამსჯავროს წინაშე, რომელთაც დაუშსახურებლად და უაზროდ ამცირებდა და ჩაგრადა. ქალს

გული გახეთქაზე ჰქონდა. უნდოდა წამომხტარიყო და ეკივლა: *უფავე ვინებეო*. გეყოფათ. ნუ მომიკლავთ *შვილსაქანა*. უნდოდა სცენაზე აეარდნა, წაეელო მისთვის ხელი და წაეყვანა. ადიკა თავს იმაგრებდა, მას აოკებდა ადამიანთა სამართლიანი სიტყვები, ესმოდა, რომ ისინი გულისტყვივით ლაპარაკობდნენ...

ანტიცამ პირველმა აქცია ზურგი არნოუს, მისი შეხედვაც აღარ უნდოდა. ყუარასა უმწეოდ იმტვრედა ხელებს. მის გვერდით მჯდარი ზიზი თავზარდაცემული იყო, აი, დედაჩემი ვერ მოითმენს, წამოდგება და უსაყვედურებს კრების მონაწილეებს უსულგულობისათვის... და მაშინ ისინი მიხვდებიან, თუ რატომ ლაპარაკობს ასე ყუარასაო.

ზიზის ცივმა ოფლმა დაასხა: წელში გამართული დედამისი ტრიბუნისაკენ დაიძრა. ყუარასამ მოუთხრო კრებას, თუ როგორ გადაარჩინა იგი არნოემ, როგორ ხშირად ნახულობდა საავადმყოფოში. ზიზი მზად იყო ეყვირა: „დედაჩემო, დაჩუმიდი. შენ არაფერი არ იციო“. მაგრამ ყელში რაღაც მოებჯინა, სუნთქვა შეეკრა, ქვემოთ, მუცელში რაღაც მაგარი დაეტაკა და ტყვივითა თავიდან ფეხებამდე დაუარა. ზიზიმ ხელები გაასავსავა და უკან მსხლომთა მუხლებს დაენარცხა.

ყუარასა ქალიშვილისაკენ გაექანა. ქალები დაფაცურდნენ. ზიზის ხელი დასტაცეს და ციმციმ გაიყვანეს გასასვლელისაკენ.

— თავბრუ დაესხა. ვინ გაუძლებს ასეთ დახშულ ჰაერს! — მარტო ციციმ იცოდა და მიხვდა, რაც დაემართა ზიზის. ის როდი უსაყვედურებდა ზიზის, მაგრამ არც ეცოდებოდა იგი. მას ებრალებოდა არნოე, ასეთ ძნელ დროს არნოუს არ გააჩნდა ერთგული მეგობარი.

კრება ლელავდა, დულდა, ჩქეფდა და კვლავ უბრუნდებოდა კალასოტს. არა მარტო არნოე ვახდა იმ დღის გმირი, არსაუღლები არ ინდობდნენ საყუთარ თვითდამშვიდებასა და გულბრთ

ლობას, მათ უკვე გაუსწრეს სხვა კოლმეურნეობებმა, აღანაშაულებდნენ თავიანთ თავს, რომ ნება მისცეს არნოუს გამხდარიყო ერთბაშად ენული ხელმძღვანელი; მაგრად მოხვდა ზარმაცება და სადოლე ცხენის საჯინიბოსაც, რადგან გამგეობის სხდომაზე თვითონვე იყვნენ მისი მომხრე და ამაცხდნენ თავიანთი ცხენებით, რომლებიც ათასობით მანეთი დაჯდა. მოხვდა სამსონ ლოლუასაც, რომელმაც სოფლის მეურნეობის ბანკად აქცია „კერაზი“.

ანტიკამ პირველმა დაასკვნა — არნოუს მზე ჩაესვენაო. ის ოღნავ მიბრუნდა დარბაზისაკენ და უკვე თვალებით ეძებდა არნოუს შემცვლელს და ფიქრობდა, როგორ შევეწყობი მასო.

„ასე მოუხდება არნოუს; მან ისე მომიგლო თავისი სიყვარული, როგორც ძალს მიუტეებენ გამობრულ ძვალს... ჭერ მოხსნან და კი გადაუხზი სამაგიეროს“.

მოხუცი აბბალა მწუხარედ აკანტურებდა თავს. ეცოდებოდა დაი, მარტოხელა შრომისმოყვარე აღიკა. არ ეგონა, თუ ასე სასტიკად დასჯიდნენ არნოუს.

ლადი კვაცბა იჭდა და თავით ყვაობდა დაბაჯნოდა. მას ყველაზე მეტად ავიწროებდა, ამცირებდა და სდევნიდა არნოუს, არ აქცევდა ყურადღებას მის უმწეო მდგომარეობას, პატარა ხელფასს. მაგრამ ლადის სიტყვა არ მოუთხოვია...

კამათი ამოიწურა. დარბაზში კიდევ უფრო შეიხუთა პაერი, ყველანი ფანჯრებისაკენ იყურებოდნენ, მოხუცები ჩურჩულდნენ — მალე გაწვიმდებაო... გაჩიმ სინათლე ჩართო.

სამსონ ლოლუმ რაღაც დასწერა და არნოუს წინ დაუდო. იგი წამოიღვა.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ისმოდა თუ როგორ შრიალებდნენ ფოთლები გარეთ. სეტყვას ამირებდა. არსაულს უახლოვდებოდა შავბნელი ღრუბელი.

არავინ უმზერდა არნოუს. აღიკამ სახეზე თავსაფარი ჩამოიფარა. აღგუიტირებდა, მაგრამ ყველას დასანახავად

წინ იჭდა, გაჩი კუთხეში მიუყუტა, თითქოს იატაკზე რაღაცს ეძებდა...

— აქ რაც ითქვა, სანდოლია და არასამართლიანიც, ყველაფერი ამის შემდეგ. ვთხოვთ გამათავისუფლოთ „კერაზი“ გამგეობის წევრის მოვალეობისაგან... ვგრძნობ, რომ აღარ შემოძლია... — ხმა ჩაუწყდა, — აღარ შემოძლია არსაულაში დარჩენა.

გაისმა რაღაც ჯახანი. ეს ლადი კვაცბა წამოიღვა და იატაკს დაკრა ყვაობდა. იგი თვალებს აბრიალებდა.

— ლადიკა, ამხანაგო ნაურბი, დიკა! არსაულას დატოვება გინდა? გაღაწყვიტე მშობლიური სოფლის დაგდება? ქალაქში გინდა გაიქცე? არა, არნოუს. არსაულა არა გაქვს გასაქცივი... შენი ცხენი უკუღმართია, გადმოგაგლებს, და ისე, რომ ველარ წამოიღებ. მაგრად დაიჭირე აღვირი, დაამოშვინე ცხენი და ძირს ჩამოხტი. დიხა, ჩამოხტი მიწაზე! იმ მიწაზე, რომელზედაც პირველად აიღვი ფეხი. ეს მიწა ყველაფერზე უძვირფასესია ამ ქვეყნად, მან არსოდეს დაივიწყებს აღამიანი. და უფრო მტკიცედ დადექ ამ მიწაზე.

ლადი ჭერ კიდევ არ იყო დამჯდარი, რომ მის გვერდით წამოიღვა ასტანა, რომელსაც მანამდე კრინტი არ დაუძრავს:

— შეურაცხყოფილად ნუ ჩათვლი თავს, არნოუს. ეს არ შეშვენის კომუნისტს. ჩვენ რომ გვძულდა და გვძაგდებოდა სხვაგვარად მოგვეპყრობოდით, არ დავხარჯავდით ამისათვის ამდენ დროს და გულს აღარ გავიხეთქავდით. მე შენი სახელით ვუბნები ყველა შენს გამკრიტიკებელს — „გმადლობთ, ამხანაგებო!“

დარბაზი აქუხდა, აქამდე არც ერთი ორატორისათვის ტაში არ დაუტრავთ.

— მე ვიყავი და ვრჩები შენი ამხანაგი, მე არ შეგაქცევ ზურგს. პირიქით. თავს ხელმეორედ დაბალებულად ჩათვლი, თუ კი გაიგე ჩვენი აღამიანების სულისკვეთება.

— რას ახრჩობთ ამ აღამიანს? რას ჩაიცივდით? — წამოიძახა გერამ.

მოხუცი აბბალა წამოხტა, გუბაზს

ჯობით დაემუქრა და სიტყვა შეაწყვეტინა.

— დაჩუმდი, გერა! შენი ჭკუა ვერ მისწვდება, რასაც ასტანა ლაპარაკობს. ასტანამ ხელის აქნევით დაამშვიდა ფიცხი და სამართლიანი აბდალა და გერას მიუბრუნდა.

— შენ, გერა, არ გაწყენს იმის ცოდნა, რომ არასოდეს არ უნდა აუარო გვერდო შეცდომებს, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი, ასეთია ლენინური პარტიის კანონი. — ასტანა დარბაზს ნოუბრუნდა: — არნოუ უნდა დარჩეს არსაულაში, მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი კოლმეურნეობისათვის, ის ჩვენია.

— მართალია, ასტანა, მართალი! არნოუ არსადაც არ წავა! ამის ნებას არ მივცემთ, — გაისმა ხმები

ნამღვლილი სიტყვა და ელქეტი აგვირგვინდა არსაულას თავზე. აზრიალდა ფანჯრის შინებში, ელვის კაშკაშმა ჩააბნელა ელექტრონის სინათლე.. ასტანა იცდიდა, როცა ჭექა-ქუხილის გრიალი მიწყანარდებოდა და ის კვლავ შეძლებდა ლაპარაკს.

როგორც კი სჩუმე ჩამოვარდა, გერამ ისარგებლა და კვლავ წამოიძახა:

— ახლა სთხოვეთ არნოუს, მანამდე კი როგორ შეურაცხყოფდით!

არნოუს დაუბრუნდა ხმა და დაუძახა გერას:

— დაჩუმდი, ამხანაგო ვუბაზ! — „კერაზის“ უბირო, მდივანს კიდეც რაღაც უნდა ეთქვა. მაგრამ ჭექაქუხილის ძლიერმა გრგვინვამ გააყრუა ყველა.

არნოუ ელოდა. ასტანა დუმდა. და არნოუს თვალები პირველად შეხვდა აქამდე მდუმარე იასონის თვალებს.

„შენია უკანასკნელი სიტყვა, — ამბონდა არნოუს თვალები. — აბა, რას იტყვი?“ იასონი ყველაზე კარგად იცნობდა არსაულელებს, გრძნობდა მათ მიწრაფებებს, ესმოდა მათი განრისხება და არ დაეჭვებულა მათს სულგრძელობაშიც. მათი სამსჯავროს წინაშე წარსდგა არა უბრალო არნოუ ნაურბა, არამედ ივანე ნაურბას შვილი. ისინი არასოდეს დაიფრყებენ მათ, რომლებმაც

თავიანთი სიცოცხლე ხალხს შესწირეს. ხოლო აქედან რამდენიმე წაბეჯზე ლოდვეშ ძევს მისი მამა, რომელიც მკაცრად განსაჯეს ახლა. მაგრამ ის მათია, მათ თვალწინ გაიზარდა.

არნოუ შეიძრა და მტკიცედ წარმოთქვა:

— ამხანაგებო...

არსაულას გადაეკრა ელქეტისა და სეტყვისაგან პირდაპინილი ლურჯი ცა, აგრილდა და სინათლემ იმატა. აღარ ისმოდა მსიფსტის ლიკოკი და მთის ღრიალა ღელეები თითქოს დადუმდნენ ჯადოსნური ღამით მოხიბლულნი.

დადგა ის საათი, როცა სოფლად თვით დაუდგრომელ, ფხიზელ ძაღლებსაც კი სძინავთ.

დაიძინეს მთებმაც და მხოლოდ ძილმორეული ზღვა დუღუნებდა რაღაცას.

არნოუ მიდიოდა მთის ბილიკზე. მიდიოდა ნელნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით, შეუპოვრად, იმ ადამიანებით, რომელსაც ვერ კიდევ ბევრი ძაღლონე და უნარი შესწევს. თითქოს უმთვარო ვარსკვლავებიანი ღამე უფრო მკაფიოდ ანათებდა მის გზას, ვიდრე მზიანი დღე.

არნოუ იმ დაჭირლივით გრძნობდა თავს, რომელსაც ეს ეს არის ამოუღეს ტყვია და გადარჩა ხანგრძლივად მტანჯველი ტყვილისაგან.

მიდიოდა დიდხანს. თანდათან ახლოვდებოდა მსიფსტის ხმაური. მდინარე უჩუჩხულებდა რაღაც შორეულსა და დაუფიწყარს, რამდენი ხანია, არ გაუგონია მას მდინარის ხმა, ყველაფერი ის, რაც აგონებდა ბავშვობას, წინანდელ სიღუბჭიარეს. მაშინ იგი ოცნებობდა, რომ ყოველი დღე აახლოვებდა დიდ, ნამღვილ ცხოვრებასთან.

გვეტი აღარ იყო, რომ მისთვის ესოდენ ახლობელი ხმები არასოდეს არ დადუმებულან, მუდამეამს გაისმოდა სანაპირო მდელითა შორის, ბილიკება შორის. დიან, სწორედ აქედან შეაბიჯა მან ცხოვრებაში.

— ეს მე ვარ... მე, დიან! — სურდა მისთვის ესმინა მსიფსტას, ბილიკებს,

მთებს, მთელ არსაულას. „ღიახ, ღიახ, თქვენ ჩემი თვალები ხართ, თქვენ ჩემი სული ხართ; უთქვენოდ არდილი ვარ, თქვენთანაა ჩემი სული და გული. არასოდეს არ მიგატოვებთ, დავრჩები თქვენთან მუდამ, მრავალყამიერ. მესმის, რომ არ უარმყოფთ მე... გმადლობთ, გმადლობთ!“.

ის შეჩერდა. აი, მათი სახლი. მას ელოდება დედა. და მთელი ღამე ანთებული სინათლე.

მას ეგონა, პირველად ვხედავ ამ სინათლესო. „მაპატიე, დედაჩემო“.

კვლავ წინ წავიდა. ახლა სხვა სინათლე გამოჩნდა. ეს იყო სინათლე მამის საფლავზე. გადააბიჯა ღობეზე. მიუახლოვდა სამარეს. დიდხანს ჩაქეროდა მარმარილოს ღოდში ჩადგმულ მამის სურათს. თეთრ-თეთრ მასრებიანი ჩოხა ეცვა მამას, წელზე სავაზნე ჰქონდა შემორტყმული, ასე პარტიზანობდა იგი „კერაზის“ რაზმში. მამის გამოხედვა მკაცრია, გამომცდეელი... რამდენი ხანია, აქ არ ყოფილა არნოე.

„გელოდებოდი შვილო ჩემო... ღამ-ღამობით გვიან მოდიოდი შინ, მაგრამ მე გიცდიდი, გეძახდი. დგებოდა დილა, მაგრამ შენ არ მოდიოდი ჩემთან. ისე იქცეოდი, თითქოს არ გესმოდა ჩემი ხმა. ვფიქრობდი, შენ გემახსოვრებოდა თუ რას შეეწირე ჩემი სიცოცხლე. მეგონა, შენთვის ყოველთვის ცოცხალი ვიყავი... შენ არ გაიგონე ჩემი ძახილი და სხვების ხმები. გული ცხელმა ტყვიამ გამოგმირა და იგი სხეულზე აღრე გამოცივდა. რამდენი გმირი დაიღუპა, რომ თქვენ აღარ გემუქრებოდეთ მტრები, რომ თქვენ მოიპოვოთ ბედნიერება. მე გაეწირე თავი იმ მიწაწყლის საბედნიეროდ, სადაც ფეხი გიდგია, სადაც ვწევარ მე. შენ გახდი ამ მიწაწყ-

ლის პატრონი, მაგრამ შემდეგ მოწყდი მას. დაბოლოს, შენ გადაწყვეტე ჩემი სისხლით მორწყული მიწის მოტოვება. გახსოვდეს, მიწა შურს იძიებს. არასოდეს არ იქნები ბედნიერი, თუ ყოველ წუთს არ იგრძნობ მის სუნთქვას...“

დიდხანს უსმენდა არნოე მამის ხმას, დიდხანს ხედავდა მის მკაცრ, გამომცდეულ მზერას.

კვლავ მიდიოდა ბილიკით სოფელ-სოფელ.

„მე ვეძებ ადამიანთა გულებისაკენ დაკარგულ გზას, სიმართლის გზას,“ — ნაბიჯებთან ხმაშეწყობით ამბობდა მისი გული.

„იარე! იპოვე იგი, — ესმოდა მამის ხმა — ჩვენი სისხლის ფსაღ დაგანახეთ სწორი გზა, შენ კი აციდი მას. გესმის, არნოე?“

„მესმის, მესმის, მესმის, მამაჩემო! მაპატიე, როგორც მაპატიეს ამხანაგებმა და ხალხმა!“

დიდხანს დახეტიალობდა არნოე სოფლად, ჩადიოდა დაბლობში, აღიოდა ფერდობებზე, კვლავ მიაღებოდა ზღვას, ისევე სტოვებდა ნაპირს...

სეტყვის შემდეგ აგრილებული ჰერი სწმენდა მის სისხლს, იგი უფრო ლაღად და თავისუფლად სუნთქავდა. არა, ეს არ ყოფილა დამბნინდავი უძილობა, პირიქით, იგი კარგად დასვენებული კაცივით გრძნობდა თავს. იმ კაცივით, რომელსაც ძილში გამოეპარა მძიმე, სამწუხარო დრო. გამოფხიზლებისას კი ახალგაზრდული ძაღლივით აღივისო.

გათენდა. არნოე წელში გაიმართა. იგი ზიზის ჰიშკართან იდგა.

ჰიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა.

თარგმანი მამია ასათიანისა



ჩვენს მარხიანი

ღმესმების ახალი წიგნიდან

გავედი, გავეხედე...

გავედი, გავეხედე ეცერს,
ვეწვიე ვერძების შუშპარს,
უშმაზე ბრიალა მზე წვეს
და მზეში ნებვირობს უშმა.

შხარასთან ენგური ბღავის,
უმანკო ყინულებს ლეწავს,
ლატფარზე იელი ჰყვავის
და მზეზე ლივლივებს ზეცა.

ბიბინებს, ლაღანებს მოლი
და სიო ჩურჩულით ვარცხნის,
სატრფოზე ჰუკჰუკებს გნოლი,
გზისპირად მიცინის მარწყვი.

იხრევა თავთავი მწიფე,
ყანაში ქვითქვითებს მწყერი,
ტოტები დახრია წიფელს,
წისქვილთან ჩქრიალებს ჩქერი.

საბძელი, ქორივით რუხი,
გამდგარა განზე და ყვინთავს,

კალოზე ტრიალებს ბული,
ბზე მზეზე ზიმზიმებს ყვითლად.

კვამლი კი ცისაკენ მიქრის,
ნელნელა ბაცდება კვამლი,
ისე ვით საწყალოს ფიქრი
ღმერთისკენ ისწრაფვის მალვით.

ფუტკარი მზეს წუწნის ხარბად
და სკასთან დაღლილი სუნთქავს,
დიდ გზაზე იფრინა. ალბათ,
შინ მოსვლა უხარის ფუტკარს.

გავეხედე მულახის ჭალას —
მწყურვალე ნახირი ბღავის,
მოწყენით დასცქერის ბალახს,
დაეძებს ქატოს და მარილს.

გავედი, გავეხედე ლაღლას
და გული საჯულეს ვერ ძლებს,
მზე რქებზე შეუსვამთ მალლა
თეთნულღზე გაწოლილ ვერძებს.

ეს შენი თვალების ელვას...

უეცრად მოვარდა ავდარი,
დამბალი ღრუბელი ვალდვა.
რატომ ჰგავს პატარა საყდარი
წვიმაში მობუზულ ღალღას?

უმგულში გაბმულა სიმაღ,
კალაში რატომ წვიმს ნეტავ,
ხალდეში შხაპუნობს წვიმა,
მულანში ყველაფერს ვხედავ!

შენამდე შორია, შორი,
ლალჩაში ჩურჩულებს ჩალა,
ჩემს სულში გროვდება თქორი,
გრუხუნებს მულახის ჭალა.

მეც წვიმა უმანკო ცრემლად
დამეცა, დამიწვა ლოყა,
ეს შენი თვალების ელვას
ასეთი ავდარი მოპყვა...

გეგმა რედაქციური

ნოვემბერი

ნათელა

ზამთარსაც აქვს თავისი ვნებები, ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული, ვიდრე წელიწადის სხვა დროებს. მთელი ცხოვრება გადადის შიგნით, შენობებში. ხალხი გარეთ მხოლოდ იმიტომ გამოდის, რომ მეორე ბინაში შევიდეს. იმიტომ არის, რომ ზამთარში გარეთ ყველა ჩქარობს, გარდა თოვლისა, რომელიც დევს უძრავად, გარდა ნაცრისფრად დაბურული ღრუბლებისა, რომლებიც შეუსვენებელი ბარდნისათვის ბრტყელ ფიფქებს. ამ დროს შენობებში ცხელა და ის ფიქრი, რომ გარეთ ცივა, აიძულებს ადამიანებს დიდხანს იგორაონ საწოლებში. ნახევრად შიშველი, მკერდსავე მთიელი ქალები შუადღემდე ფუსფუსებენ ბუხრების წინ, ნელა, ზღაპრით ივარცხნიან თმებს, უკეთებენ შეშას და საათობით იუტრებიან ფანჯრებიდან. ხანდახან ისინი ხედავენ მარხილს. ცხენის დაბერილ ნესტოებს, საიდანაც ნაკადად გამოდის ცხელი ორთქლი. ხედავენ სახელეწილ ვაეებს, რომლებიც არ ზოგავენ ცხენებს. ბუხართან ქლომით გახურებული ქალების სახეები ეხება ცივ ფანჯარას. სიცივე მთელ სხეულს ურბენს, და ქალები უფრო კარგად გრძნობენ საკუთარ სიცხოველს, — მათი მხრები უნებურად იწყებს ძაგძაგს.

რასაკვირველია, ზამთარში ყველგან მუშაობენ. მუშაობა არ წყდება თიანეთის სოფლებშიც; მთელი ზამთარი უნდება შრომით დაღლილი ორგანიზმის დასვენებასა და საგაზაფხულო სამუშაოების მზადებას.

ასობით საქონელი იწველება წელიწადის ამ დროს კოლმეურნეობის ფერმებში. ქალები უვლიან საქონელს და თან, მუშაობის დროს, რძის მზიდავ ვაეებს უთვალთვალებენ. იტენება მათი სხეული ფარული ღრმა ვნებით და სულ პატარა ბიძგი აკლია ამ ვნებას, რომ დაიღვაროს უზარმაზარ სიყვარულად.

შინ თუ გარეთ, მუშა ხალხს ვნებები ერთნაირი აქვს — განსაკუთრებით სოფლებში. ამ კანონს მხოლოდ პოეტი არ ემორჩილება, რადგან პოეტი არასოდეს არ მუშაობს, აქედან გამომდინარე არც ისვენებს არასოდეს. მისი გონება, თუ სხეული ერთნაირად ატაცებულია როგორც დღისით, ისევე ღამე — ძილის დროს, მას ისევე შეუძლია სიყვარული ზამთარში, როგორც გაზაფხულზე და ის თავის სურვილების ნაყოფს ყოველთვის იმკის წელიწადის დროებისა თუ დღის საათების განურჩევლად. ეს შინაგანი დაძაბულობა შემოქმედისა, აიძულებს მის გარშემო მყოფთ ქვეშევსევს ულად აივსონ საკუთარი ფიქრებით, ექვებით, კარგი თუ ცუდი სურვილით ერთმანეთისადმი, შეამჩნიონ თავისი ცხოვრებიდან ის, რასაც არ აქცევდნენ მის მოსვლამდე ყურადღებას. ყველაფერი ეს ხდება თავისთავად, გარემოსა და პოეტის რაიმე გარკვეული ცდის გარეშე.

• • •

ამ მოთხრობას მე ვწერ გიოსა და ნათელას შესახებ. გიოს არასოდეს ლექსი არ დაუწერია, ხოლო ნათელა სულ რვა

წლის მთელი გოგონაა, რომელიც წე-
რას ახლა სწავლობს, მაგრამ იმისათ-
ვის, რომ პოეტი იყო, სრულებით არ
არის აუცილებელი, წერდე.

შემოდგომის ხენის შემდეგ ამოტრი-
ალებული ნიადაგი დაფარული იყო ჭირ-
ხლით, მხოლოდ მთის ჩრდილო ფერდო-
ბებზე იდო თოვლი, მთების შუიდან
მრგვალად მოჩანდა ნაცრისფერი, უღ-
რუბლო ცა. გაყინულ გორახებზე მიდი-
ოდა გიო, ის ღრმად ისუნთქავდა ცივ
ჰაერს და სწორ ხანად უშვებდა თეთრ
ორთქლს. მისი ლოყები, ისეც ალუწი-
ლი, სიცივისაგან უფრო წითლდებოდა.
უნაკლო დილას სუნთქავდა მთელი მისი
სხეულიც. ის გრძნობდა მიწის სუნთ-
ქვას, გრძნობდა ისე, როგორც ეს მხო-
ლოდ ასფალტზე სიარულს დაჩვეულ
კაცს შეუძლია — ჯანსაღად, ახლებუ-
რად, ისე როგორც ბაგაში თივაზე გა-
მოკვებილი საქონელი გრძნობს ვაზაფ-
ხულზე ახლად ამოსული მწვანე ბალახის
გემოს. მთელი მისი სხეული გაჟღენ-
თილი იყო სწორედ ამ ცხოველური,
პირველყოფილი სისავსით და, როდესაც
გონებაში პარალელი გაავლო ქალაქსა
და ამ სოფელს შორის, ცხადად აღიქვა,
რომ მისი გონება მთლიანად ეთანხმე-
ბოდა მის ფიზიკურ მდგომარეობას. ის
მიდიოდა დიდი ნაბიჯებით, კვალიდან
კვალზე მძიმედ აღგამდა ფეხებს. ის
იყო ბედნიერი, რომ მის ფეხქვეშ ნამ-
დვილად მიწა იყო, ის მიაბიჯებდა და
გრძნობდა სრულ ერთიანობას, სისავსეს
გონებასა და სხეულს შორის, ებერებო-
და ფილტვები, უხურდა სახე, წითლად
უღვივოდა მთელი ორგანიზმი. მისი ნაბი-
ჯები ყოველი გორახის უკან დატოვების
შემდეგ უფრო უცნაურად მძიმე, მსუ-
ბუქად მძიმე ხდებოდა, დაკუნთული
მკერდი ადიოდა მაღლა და ყოველგვარ
კონკრეტულობას მოკლებული უფორმო
სიხარული მიწასთან ერთად ეხებოდა
ჰაერსაც, დილის გაურყვენელ, უცოდ-
ველ ჰაერს. ის იყო იმ მდგომარეობაში,
რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია
მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც.
ეს უზომოდ ბუნებრივია ასეთ მდგომა-

რეობაში, რადგან არც ჰაერი ეჩვენება
მას მსუბუქად, არც მიწა, არც თივები
თავი. უბრალოდ, ამ დროს მრგვალად
წონა არა აქვს, სწორედ ეს არის სიმძი-
მე, ოღონდ დიდი, გრძნობადი სიმძიმე,
რომელიც არცერთ ბუნების კანონს არ
ემორჩილება.

— აუ, გიო! დაგვაგვიანდება, — მო-
ისმა გზიდან შოფრის ხმა, მერე საყვი-
რის ყვირილი.

ასეთი შეგრძნებიდან გამოფხიზლების
დროს, ჩვეულებრივ, ნაწყენები რჩებიან
ადამიანები მათზე, ვინც გამოიყვანა ამ
მდგომარეობიდან, ვინც თითქოს უკან
დააბრუნა სინამდვილესთან, მაგრამ გი-
ოს მდგომარეობა არ იყო ფანტასტი-
ური, რადგან ის მიწაზე მყარად მიაბი-
ჯებდა.

— ჰო, ჰო, მოვდივარ! — დაიყვირა
მან და გაიქცა მანქანისაკენ. ყველაფერი
ის, რაც მის გარშემო ხდებოდა უფრო
და უფრო მყარს ხდიდა მის ამილიან-
დელ მდგომარეობას, ის აშბავი კი, რომ
ახლო იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო
დაენახა მისი ალუწილი სახე, ახარებ-
და, — ის ეკუთვნოდა იმ ადამიანებს,
რომელთაც ჩუმიდ უზარიათ, როცა
სხეები ხედავენ მათ სულიერ ვანცდებს
და აქცევენ ყურადღებას. გიოს ამ სურ-
ვილში არ იყო ეგოიზმის წვეთიც კი, და
თუ იყო, მხოლოდ კეთილი.

ის გარბოდა მთელი არსებით, ცდი-
ლობდა მანქანამდე შეენარჩუნებინა თა-
ვისი განწყობილება, მთელი არსებით
ცდილობდა, რომ სხვა ადამიანს დაენახა
ის ამ წამში, რათა ჰაერში ტყუილად არ
გაფანტულიყო მისი გულუბრყვილო
შეჭიდება სამყაროსთან.

შარავზაზე, თხრილთან, გიო წაბორ-
ძიკდა, უკანასკნელ გორახზე გადახტა,
გაიღიმა, თავი დაიქნია და ცხენივით
ჩაიფრუტუნა.

— ჰა? — ჰკითხა დილის სიცივისაგან
აწითლებულმა შოფერმა:

— ჰო, — ქლოშინით უთხრა გიომ და
კაბინაში შეხტა.

— მოეწიოთ, გიო?

— მოიტა.

გამჭვირვალე ჰაერში ფილტვებიდან ამოსულ ორთქლთან ერთად იჭრებოდა პაპიროსის ბოლიც. მერე ამუშავდა მანქანა და ისინი დაქანდნენ შარავზით, კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმი-საყენ.

— ერთიც დააყვირე. — თვალი ჩაუკრა გიომ შოფერს.

— შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ორი იყოს! — აპყვა მძღოლიც. ახლა მისი თვალბოც აბრწყინდნენ, მის საკუთარ შეგრძნებას თითქოს გზა გაუხსნა გიოს განწყობილებამ.

ჰაერში კვილივით გაიჭრა საყვირის ხმა. მანქანა მიჰქროდა. გიოსთვის არ იყო ახლა ოდროზოდრო, არ იყო დიდი და პატარა სიჩქარე, იყო მხოლოდ ის გზა, რომელიც მან წუხელს აქვთ ქალაქიდან სოფლამდე გამოიარა. ის მიძინებული სევდა, რომ ქალაქი დიდი ხნით დატოვა, უფრო კარგად მოქმედებდა მასზე.

გიომ მიდიოდა სოფელში, განაწილების ადგილას. მან რამდენიმე თვის წინ დაამთავრა ზოოვეტინიტატუტის ვეტერინალური ფაკულტეტი. ერთი შეხედვით, ეს პროზაული პროფესია სულ არ შეეფერებოდა მის ბუნებას, მაგრამ საიდან ვასკნით ჩვენ, რომ ადამიანის ნამდვილ ბუნებას რამე აქვს საერთო პროფესიასთან? ხალხი იყოფა თავისი ალგუნებადობის ხარისხის მიხედვით (თუნდაც სხვისი თვალისათვის სრულიად შეუმჩნეველის) და ეს არის თავისთავად ყველაზე დიდი ნიჭი, რომელიც მაღლა დგას ნებისყოფაზე, შრომის უნარზე, გამოგონებაზე. თუნდაც უბრალო, ზარმაცი მჭედელი დაჭილდობეული ამ უპირველესი ღირსებით, ხარისხობრივად მაღლა დგას შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანზეც კი, რადგან კმარა პირველს დაემატოს მეორის განათლება, რომ იქცეს ტალანტად, რადგან მას აქვს უკვე ძირი, და საკმაოდ მყარიც, ხოლო განათლებულთ ის არა აქვთ. მისი შოვნა კი არსად არ შეიძლება.

ჩვეულებრივ, დიდი ალგუნებადობის,

თუნდაც არასაკმაოდ, ან სრულიად განუხათლებელი ადამიანებმა უკვე იმპრობენ ხოლმე სხვა ადამიანთა უსურველუბას და ქვეშევსენულად იმ წრის ყურადღების ცენტრში არიან, რომელიც გარს არტყიათ... ასეთი ადამიანები ირგვლივ მყოფთა ქცევის საზომად და გულახდილი შედარების ობიექტად იქცევიან.

ასეთი ადამიანი იყო ვეტეკიმი გიომ, რომელიც განაწილების ადგილზე მიდიოდა. ძნელია იმის თქმა, იცოდა თუ არა მან თავისი ასეთი ხასიათის შესახებ რამე. ის უბრალოდ, ფიზიკურად გრძნობდა, რომ ყველა მის გარშემო მყოფისთვის უნდა გადაედო თავისი ამალღებული განწყობილება. ამ წამში რომ დაენახა მოწყენილი, გულგატეხილი ადამიანი, ვერაფრით ვერ გაიგებდა იმ კაცის თუნდაც კანონიერ უკუხეობებას. ეს იყო მისი უდიდესი ეგოიზმი.

— მანქანა მოიშალა. — თქვა შოფერმა.

— რას ამბობ? — გაუკვირდა გიომ. ის უცებ ჩამოხტა კაბინიდან, შოფერს არც კი აცალა ხუფის ახდა და მოტორს დაუწყო ჩხიკინი.

— შენ წადი, მე გავეაკეთებ, მოგეწევი. — საქმიანად აიძირა შოფერი; გიოს გაუხარდა, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოვიდა.

— კარგი, როგორც გინდა. მე ამ გზით ვივლი ფერმამდე. შეგიძლია, უკან წახვიდე. თუმცა, არა, არა, ამოდი, ჭერ არ წახვიდე. — შეუსვენებლივ მიაყარა, ბოლოს თვალი ჩაუკრა და გზას დაადგა.

მანქანა მათ ხრამში გაუფუქდათ, ამ ადგილს ჭირხლი განსაკუთრებით მოსდებოდა; ახლადამოსული მზის სხივები ხრამის თავზე გადადიოდა და უფრო უდაბურ, ნაცრისფერ შეხედულებას აძლევდა ამ ჩაეარდნილ მიდამოს. გიომ ნელა აღიოდა აღმართზე. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ უფრო და უფრო ნათდებოდა გარემო: ის თითქოს უცებ ამოხტა რუხი ხრამიდან, როცა მის წინ მრავალფერად აბრწყვილდა მთის ძირამდე გაშლილი დაჭირბლული ველი. მან იგრძნო უამრავი ჰაერი და უფრო უამ-

რავი ფერები. ის იღვავ, სულ ბუნდოვნად ხედავდა თვალისმომკრელი სხივებისაგან დაბრმავებული მისი ცრემლით სავსე თვალები; ძლივს არჩევდა მთის კალთაზე ჯერ კიდევ ბინდში მდგარ მეძროხეობის ფერმის გრძელ შენობებს. სულ მარტო მიდიოდა უზარმაზარ მინდვრებს შუა. ფერმის შენობები თითქოს უფრო ბურუსში წავიდნენ. მანქანა შოფერთან ერთად უკან დარჩა და თითქოს ახლა მიხვდა, რომ ის მარტო იყო, რომ არც მიწას, არც ჰაერს არ შეეძლო შეეცვალა მისთვის ადამიანი, ცოცხალი, მოლაპარაკე ადამიანი. უცებ საშინლად მოუნდა ლაპარაკი. „მე, გიო“... — თქვა მან. ხმა გაიფანტა. უცებ გაჰქრა და მას ბავშვივით შეეშინდა რაღაცა უცნობის. თბილად კაელიმა და თითქოს დაირღვა მისი აწეული განწყობილება. ამ სიბოში ჩაუბნდა უზარმაზარი, უნაპირო სევდა, შურიანი სევდა, სევდა მზისადმი, რომელიც ასე ახლოს იყო მიწასთან და ასე ათბობდა. ღრუბლის ნაფლეთიც კი არ იღვავ მათ შუა. მან იგრძნო თავისი შურის გულუბრყვილობა, და ამ ახალი შეგრძნებით აღელვებული შედგა, ხელით მოიწმინდა მსხვილი, სავსე ცრემლები.

გარეგნულად დაწყნარდა, ისევ დაუბრუნდა ვაქკატური იერი, რომელიც ღამე ხიფათიანი მგზავრობის დროს ჰქონდა. ფეხით გასინჯა მიწა და მყარი ნაბიჯებით წავიდა ფერმისაკენ. ახლა ის უკვე ფლობდა თავის თავს, იცოდა, რომ მივიდოდა ხალხთან, როგორც საქმის კაცი, მივილინებული მათთან სამუშაოდ, მათ დასახმარებლად.

• • •

ბინდში იღვიძებს ხოლმე სოფელი, ხოლო ბინადართა შორის ყველაზე ადრე იღვიძებენ საქონლის მომვლენი და მენახირეები. მათ გაღვიძებას წინ უსწრებს ომის ინვალიდის — ღამის ყარაულის — დასაძინებლად წასვლა.

ახლაც ვერ მოასწრო ღამით თოვლში გათოშილმა მოხუცმა, ცალფეხა ნიკამ,

თივამი გამართულ საწოლში შეძრომა თავის ცალსულთანან ერთად, რომ მთელი ფერმა ახმაურდა. აბზალუნ მონახები, აბლავედნენ, გაისმა ხბორების ძახილი. აათამაშეს ერთმანეთის გაყოლებით გრძელ ბაგებში ჩაბმულმა სავსე ცურები. გამოჩნდნენ მკერდსავსე მწველავი ქალები, რომელთაც დიდრონი, თეთრი ვედროები ეჭირათ ხელში. რძისფერი ობშვიარი აუვიდათ მწველავებს. ჯიქნების სრვისისაგან წამოუწითლდათ ლოყები, ერთმა გაიღიმა, მეორემ გაიციინა, ატყდა ლაპარაკი, ჩხრიალით ჩადიოდა ნაწველი რძე ვედროებში. ჯიქანდაცილილმა ძროხებმა ლაშები ამოძრავეს და ცოხნა დაიწყეს. მზიდავებმა პირველი სავსე ვედროები გააბნენინეს სეპარატორისაკენ. გაისმა პირველი ხუმრობა.

— შენ რა, დილა მშვიდობისა არ იცი?

— კარგი სიტყვა გამარჯობას ჯობია, ხო იცი.

— ი, მთქმელი მაინც იყოს.

— ერთი მიუშვი, კიდევ რას იტყვის.

— მე რომ კარგი მთქმელი ვიყო, თქვენთან მზიდავად კი არ დამაყენებდნენ.

— ხი, ხი.

— აჰა, ვედრო, ესეც წაიღე!

— აუ, ნათღება, თავი ამოყო!

— აუ, დღეს მზემ მოგვასწრო!

— აუ, აგვასწრო, აგვასწრო!

აღარ შეეძლო ძროხების წველა ბებერ სანდუას, მაინც არ შორდებოდა ფერმას; მისი ქმარი დიდი ხანია უკვე შინ იჭდა პენსიაზე გასული, განთავისუფლებული საკოლმეურნეო შრომისაგან. უქმად ატარებდა თავის უკანასკნელ დღეებს. მხოლოდ მოხუცი ქალები, კაცებისაგან განსხვავებით, არასოდეს პენსიაზე არ გადიან, შვილების შემდეგ შვილიშვილებს ზრდიან, ზოგჯერ მეოთხე თაობასაც აწევენ თავისი ხელით მოქსოვილ წინდებს, ეხმარებიან ახალგაზრდა დედებს ბავშვების გაზრდაში. სანდუასაც ორი შვილიშვილი უბარა:

ნათელა, რვა წლის წითელლოყება გოგო და ოთხი წლის გიორგი.

ინათა თუ არა, ნათელა გარეთ გავარდა პირის დასაბანად, ბებომ ნახევრად მძინარე გიორგი თრევით გამოიყვანა და სატირლად მომზადებულ ბავშვს უთხრა:

— აგე, უყურე, მზე ამოდის.

მთის უყინდან მზე ამოდიოდა, პირველი სხივი ბავშვის გარშემო დადებულ თივას დააცხრა, მერე უკან გადაიწია ხეცს გადაღმა; მსოლოდ მთაში შეფენილი ოთხი უზარმაზარი ზვინი და მათ შორის დარჩენილი პატარა ქოხი იდგა საწყლად, ისევ ჩრდილში. სანდუამ ზურგი შეაქცია მზეს. მაშინვე ხსიათოვნო სითბო იგრძნო და ქსოვას შეუდგა. მზეს მიფიცებულნი პატარა ბიჭი თავისთვის უაზროდ იდგა. აქედან მოჩანდა მთელი ველი. ამ ველზე მოდიოდა გიო.

ფერმასთან მისულს მანქანა მიეწია. მოტორის ხმაზე უფროსი მწველაევი გამოვიდა და მიესალმა ახლად მოსულებს.

— მე თქვენთან ვეტექიმად ვარ გამოგზავნილი, — მისალმების შემდეგ თქვა გიომ.

— აა! — თქვა ქალმა და ფერმისაკენ მიიხედა, — ეს არის ჩვენი საძროხე. ახლა წველაა.

— წველაა. — უაზროდ თქვა გიომ, რალაც უცნაურად შეხედა ყველაფერს ერთად, იმდენად უაზროდ, რომ ვერც კი წარმოედგინა რა იყო წველა.

— წველა?! — ჩაუკრა მან შოფერს თვალი, რომელიც ისევ მანქანას უჩხიკინებდა.

— გამარჯობათ, ბაბო, წველაა? — ჰკითხა მან სანდუას.

— იცოცხლე, შვილო, იცოცხლე, წველაა, მაშა, დილის წველა. — ეტყობოდა სანდუასაც ძალიან მოენატრა ლაპარაკი და საუბრის გავრძელებაც უნდოდა, მაგრამ უფროსმა შეაწყვეტინა:

— არ შემოხვალთ ახლა, თქვენი სახელი?

— გიო.

— გიო?

— ჰო, გიო.

— გიორგი?

— ჰო, გიორგი.

— აი, გიორგი, ეს არის ჩვენი ფერმა. — ისინი შიგ შევიდნენ. მანქანას მზე მიდიოდა; ვიწრო გრძელ შენობაში ორ მწკრივად ება ძროხები. ყოველი მხრიდან ისმოდა სიცილი, ლაპარაკი, გამოჩნდა თუ არა უცხო კაცი, ყველა უცებ გაჩუმდა. ეს სიჩუმე იმდენად შესაძინევი იყო, რომ რამოდენიმე ძროხამ ცოხნას თავი დაანება, აქა-იქ ბღავილიც გაისმა, მერე ყველაფერი მიჩუმდა და მხოლოდ ცოხნის ხმა და რძის ჩხრიალი ისმოდა. ატმოსფერო ჩამოგუბდა და თითქოს წივანე ადუღებული ახალი დოს არომატს შეუერთდა. შენობაში ცხელოდა, გაყინულმა გიომ უცებ იგრძნო ეს ცვლილება, მოეშვა, აიღეწა და რალაცა დიდი, მშობლიური სითბო იგრძნო მთელმა მისმა სხეულმა; მწველაევი ქალების ხელების მოძრაობისას ნახევრადშიშველი მხრებიც ირზეოდნენ და მალე მთელი ის არომატი შეუერთდა კაცის, გაყინული ქანსალი. კაცის სუნთქვას, რომელიც თბებოდა. მისი ნაბიჯები შეიშარბნენ. ჭიშინი ცხენივით კანქების მალა აწევით დაიწყო ფეხების გადადგმა; მისივე ადრე მოფიქრებული სერიოზულობა ორჯერ გაიზარდა, ძროხების ცოხნასა და რძის ჩხრიალს რიტმულად შეუერთდა მისი ნაბიჯების ხმა. ამ ხმას ფიცრის იატაკი ბანს აძლევდა. გიო მგქანიკურად პასუხობდა უფროსს მწველაეს, მერე დაეთხოვა, გარეთ გამოვიდა ისეთივე ჭიშინი ნაბიჯებით. მის ზურგს უკან გაისმა ჩურჩული, მერე ხმამალალი ლაპარაკი. მხოლოდ ერთი ძროხის ჭიქნებთან ჩამუხლული ქალი განაგრძობდა ჩუმად მუშაობას. გიოს ისე მოეჩვენა, თითქოს მას თავი განზრახ ჩაეღუნა, რათა უცხო ქაბუცისათვის ყურადღება არ მიექცია. მისი დიდი ხელები მთლიანად ფარავდნენ ჭიქნებს, სრესდნენ და უშვებდნენ რძეს. კმაყოფილი ძროხა ვნებიანად განაგრძობდა ცოხნას. გიომ გაუღიმა მწველაეებს, ქალს ყურებამდე გაეხა ტუჩები, ველურად გამოხედა ვეტექიმს. „რა უშნო ქალია და მაინც ქალია“, გაიფიქრა გიომ.



მას უნდოდა გაჩერებულიყო, ელაპარაკა ქალთან, ელაპარაკა ბევრი, ეთქვა თითქმის ყველაფერი, რაც ბოლო საათებში იგრძნო. გარეგნულად კი მხოლოდ ღიმილი დაუტოვა ქალს და გარეთ გამოვიდა.

მზიანმა სიცივემ უცებ გაუფრთხო უძილო ღამისაგან დატოვებული მოთენთილობა, რომელსაც ბავებში ყოფნის დროს ფიზიკური შემართებით ფარავდა. ის იღვა და პირდაპირ უყურებდა მზეს თვალებში.

— ი, — მოესმა გვერდიდან ხმა.

— გამარჯობათ, ბებო. — მეორეთ მისვალმა ის სანდუას.

— ისევ გაეიმარჯოს, შვილო, — განგებ ბებრული ამოხეხნეშით თქვა სანდუამ. ისე მის რიხიან გარეგნობას ეტყობოდა, რომ სულ არ ჰქონდა სახეწეშად საქმე.

გიომ უცებ იგრძნო იგივე სურვილი, რაც წელან, მინდორში—უდიდესი სურვილი ვინმესთან ლაპარაკისა, სულერთი იყო რაზე.

მან პირველად დატოვა ასე დიდხინით ქალაქი. აუარებელი ნაცნობ-მეგობარი და შეგრძნებამ ისე იმოქმედა, რომ გავლილი ერთი ღამე მთელ წლად მოეჩვენა, ერთ წლად, რომლის განმავლობაშიაც ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს და ისევ შეეცოდა მას ამ უცხო მხარეში თავისი თავი. საერთოდ, მშობლიური ადგილიდან დაშორებისას ყველაზე ძნელია პირველი დღე, პირველი კვირა, განსაკუთრებით ისეთი შთაბეჭდილებიანი ბუნების კაცისათვის, როგორც გიომ იყო. მან იმდენი ახალი რამ შეამჩნია ამ ხნის განმავლობაში, რომ არ შეეძლო არ ეთქვა. დრო უსაზღვროდ დიდად იქცა, თითქოს იღვა და არ იძვროდა... ამიტომ სიამოვნებით მოეპოტინა ერთადერთ უსაქმო ქალს, რომელიც როგორც ეტყობოდა, მზად იყო მასთან სალაპარაკოდ. კიდევ იყო რაღაც, რამაც მიიზიდა ამ მოხუც ქალთან სალაპარაკოდ. ეს იყო პატარა ბიჭი, რომელიც უხმოდ იღვა და უაზროდ უყურებდა ველს. ამავე დროს პატარა ბავშვზე ლაპარაკი ყველაზე მოხერხებული, სასურველი თემა ჩანდა.

პირაქი ყველაზე მოხერხებული, სასურველი თემა ჩანდა.

— ჰო, — თქვა უხერხულად დიმიტრი გიომ და წარმოუდგენლად ბავშვური, მორცხვი სახე მიიღო. უცებ მოეშვა და მთლიანად დაკარგა კონტროლი თავის თავზე. ბებერმა შეამჩნია ეს ცვლილება, ისე რომ არც აუხედავს მისკენ, ამ ცვლილებამ სოფლელ ქალს გარკვეული სითამამე, უპირატესობაც კი მისცა, ის თითქოს გრძნობდა, რომ ეს ქალაქელი ქაბუცი მასთან ლაპარაკს დაიწყებდა. თანაც უეჭველად შვილიშვილზე.

— აი, მამა ომში დაეღუპა...

— ამ ბავშვს? — უაზროდ იკითხა გიომ და რატომღაც გაწითლდა თავისი უმწეობისაგან.

— აი, აი, ხედავ, ბიჭო, პირი რომ არ დაიბანე, ძია რას ამბობს, კუჭყიანი რომ ხარ, ხედავ? — უცებ გამოიყენა თავის სასარგებლოდ გიოსთან ლაპარაკი ბებიამ.

— ჰო, — უნებურად გაიღიმა გიომ და ბავშვს დახედა.

ბიჭი მთლიანად მისცემოდა თავის ფიქრს, ყურადღებას არ აქცევდა დედაკაცისა და უცხო კაცის საუბარს, ვერა გრძნობდა — რა ხდებოდა მის გარშემო. მშვიდად უყურებდა ველს, მუგულუბივით მოუჩანდა სახეს, მკერივი ლოყები, ჩალისფერი თმა-ქოჩორი თითქმის თვალებამდე ეყარა, გრძელი წამწამები ერთხელაც არ დაუხამხამებია, ისე დინჯად ახედა მისკენ ოდნავ დახრილ გიოს და ისევ მინდორში გადაიტანა მზერა. გიომ უცხად აიღეწა. ისევ იფეთქა მასში კარგის შემჩნევის ზიდმა უნარმა, თითქოს მეტოქეც კი იგრძნო ამ მართლაც მშვენიერ ოთხი წლის ბავშვში, რომელსაც ასე ღირსეულად ეჭირა თავი. ახლა ის უცვე თვალს ველარ ამორებდა პატარას, რომლის მთიულური ჯილა თვალები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მას. გიომ გადაწვიტა უყურადღებობითვე გადაეხადა მისთვის, მაგრამ მაშინვე გაიღიმა თავის სისულელეზე და ახლა უცვე სიამოვნებით დაუწყო

მოხუცს ლაპარაკი. პირველი კითხვა ბუნებრივი გამოუვიდა.

— რა ჰქვია?

— ბავშვმა ნელა აპხედა გიოს.

— გიორგი ჰქვია, გიორგი, აი, მამა ფრონტზე მოუკლეს, პირიკ კი არ დაუბანია, სულ აეე შიბრიყვეებს, სანამ დედამისი წველას მორჩებოდეს.

გიომ უცებ გადაათვალიერა გონებაში მწველაკი ქალები, უფრო სწორად მათი მხრები, რომლის სიმკვრივითაც უნდოდა დაედგინა რომელი იყო ბავშვის დედა. დედაბერი თითქოს უკოხხავად ხედებოდა გიოს ფიჭვებს და ყველაფერზე პასუხობდა:

— აი, აქეთ, კარებთან რომ წველის. საწყალს ქმარი დაელუბა, ეს კი პირს არ იბანს, ასე მაწვალებს.

გიოს უცებ წარმოუდგა თვალწინ მთიელი ქალის დიდი, უშნო პირი და გახევებული თმები, იმ ქალისა, რომელმაც გაუღიმა. ბებერმა ისევ იმ უტყუარი ინტუიციით განაგრძო.

— ამ ღრეში შრომა აუშნოებს ჩვენს ქალებს, ბალები კი სულ მრგვლები, ლამაზები არიან. აი, პირს რომ იბანდნენ!

მზე უფრო მალლა აიწია. უთოვლო ზამთარში სასიამოვნოდ დათბა. გიომ ბავშვს უყურებდა შურით, ცდილობდა მოეგონებინა, როგორი იყო თვითონ პატარაობაში. მერე პირდაპირ სხაპასხუპით დაიწყო მისი ქება.

— რა კარგი ბიჭია, რა თმა აქვს, რა მშვენიერი წამწამები! აი, ბებო, ასეთი ბავშვი იშვიათია, რა ღონიერი იქნება, ყოჩად ბიჭო, იერიც ასეთი უნდა, ჯიდა, ვაჟკაცური!..

რაც უცრო მეტს ლაპარაკობდა, უფრო იტაცებდა ბავშვის ქება. უცნაურად გრძნობდა, ლამაზად უნდა ელაპარაკა. აზრით ხედავდა, რომ მოხუცის ზურგს ამოფარებული ვიღაცა თვალს არ აშორებდა, მის ყოველ სიტყვას სუნთქვა-შეკრული უგდებდა ყურს. ალბათ, არც ამოისუნთქავდა, სანამ ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ამ პატარა გოგოს სილუეტი გიომ წელანვე შეამჩნია, მაგრამ რა-

ტომლაც ყურადღება ვერ მიაქცია. ახლა კი აღარ შეიძლებოდა არ დაეხახა. გიომ ბიჭის ქებას განაგრძობდა. თას თვალს ვერ აშორებდა გოგოს, რომელიც ბებოს კალთას მოშორებოდა და ასეთეული თვალებით უყურებდა მას. გიომ მოეჩვენა — საკმარისი იყო არ შეემჩნია ეს გოგო, რომ სამუდამოდ დაიკარგებოდა მისი ანთებული მხერა, მხერა, რომელიც ამ წამში უეჭველად უნდა დაენახა ვინმეს; გოგონა ავსებული იყო დაუძლეველი სურვილით — გაეყო პატარა ბიჭის ქება. უცებ სადღაც გაჰქრა პატარა ბიჭი, გიოს ჯერ გაუკვირდა, რომ ეს გოგო აქამდე ვერ შეამჩნია, შემდეგ ფიჭვი გაეყინა, გაოგნებული იდგა. გოგონა თვალეში უყურებდა დამთელი არსებით სთხოვდა შეემჩნია. გიომ აიწურა, კაცის ჯიშმა იფეთქა მის სხეულში, ყურები აუწყია, თვალეში ცეცხლით აუთამამდა. უცებ ჯიშინი ცხენით შეისუნთქა და ისეთივე თვალეებით შეხედა გოგონას, როგორც ის უყურებდა გიოს. აღარ იყო არავინ მათ გარშემო. დილანდელი სურვილები, უცნაური ნატურა იმისა, რომ გიომ ვინმეს ენახა; ისეთი ანთებული და განუმეორებელი, ახლა გაასკეცებით ამოძრავდა მის გულში. გოგომ უკვე იგრძნო, რომ მთლიანად მიიქცია ამ კაცის ყურადღება, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდა, არ სჯეროდა, სანამ ვაჟი ამას არ გაიგებდა. ხმას კი შეეძლო ის დაეფრთხო. გიომ გრძნობდა ამას და ჩუმად იყო, მაგრამ მეორე სურვილი — ეთქვა რაღაცა, თანაც სწორედ ამ დროს, როდესაც ყველაზე მეტსა გრძნობდა, ისე ძლიერად მოაწვა გულზე, რომ უნებურად გაიწია გოგონასაკენ. მერე უცებ მოაშორა თვალეები და ბებიაშის, რომელიც ქსოვას განაგრძობდა, უთხრა:

— რა კარგი გოგოა, რა ლამაზი გოგოა.

ეს იყო უფროსი კაცის ტონი, რომელიც აქებს პატარა ბავშვს, რაც სულ არ შეიფერებოდა მის გრძნობას ამ წამში. მას ათასჯერ მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ... გოგონასათვის ეს სიტყვე-

ბი სრულიად საკმარისი გამოდგა, ის დარწმუნდა, რომ შეამჩნიეს და შეაქეს; ის წმინდა ქალური ინტუიციით მიტრიალდა, მერე აჩქარებული ნაბიჯით, ნაწნავების რხევით წავიდა ბაგების ბოლოს, თივებისაკენ. გიო წამოწითლდა, ჯერ ეწყინა, მერე ადგილზე შეტკადა. ყელი დაჭიმა, კბილები გაუცილებლად დაკრიჭა და მოხუცს ჰკითხა:

— რა ჰქვია?

— ამის დაა, ეგ თითონ იბანს პირს, ნათელა ჰქვია.

— თითონ იბანს?

— ჰო. თითონ.

— ჰო, მაშ დიდი ყოფილა უკვე. — რატომღაც დაჭირდა გიოს ამ სიტყვების თქმა. გულში რამდენჯერმე გაიმეორა: „ნათელა დიდი ყოფილა“.

უცებ გაქრა მისი წელანდელი ფიქრები ქალაქზე, აღარაფერი არ დარჩა მისი წარსულიდან, ჯერ კიდევ თავისთვისვე გაუგებრად მან აქ პირველივე დილას ნახა ახალი სამყარო.

ის იყო ძალიან პატიოსანი ბიჭი, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ის, რაც ამ წამში მოხდა, ის, რაც ამ გოგონამაც იგრძნო, რომ იგრძნო, ეს კი უეჭველი იყო, არ იყო მხოლოდ დიდისაგან პატარის შემჩნევა, ან უბრალო ცნობის-მოყვარეობა, მაგრამ ის არ იყო არც სიყვარული, როგორც შეიძლება ჩვეულებრივ მომწიფებული ქალისადმი, ეს იყო სულ სხვა რაღაც, ალბათ, ის რაც შეეფერებოდა გიოს დილანდელ განწყობილებას, როცა საგნები კარგავენ წონას და კაცს შეუძლია პაერთან შეერთება.

შემდეგ წამში გიო უკვე აჩქარებული ნაბიჯებით მიდიოდა იქით, საითაც გოგონა მიიმალა. გადაახტა პატარა თხრილს, პირდაპირ გადათელა წაქეული ზვინი და შედგა. უცებ შერტყვა თავისი საჭკიელის, უფრო სწორად, გაიღვიძა დიდი კაცის უცნაურმა თავმოყვარეობამ: „თუ ყველაფერი მართალია, თუ მართალია ეს სიხარული, ის გოგო თვითონ მოვა“. მერე შეტრიალდა, ახლა მის შეგრძნებას ყოველი მხრიდან

ათასი თვალი უყურებდა, ის იღვრა მთელი თავისი კაცური შესაძლებლობის უმაღლეს დონეზე, არაფერი მანამ არ იყო გადაჭარბებული, ისეთი, რაც არ შეეფერებოდა მის ნამდვილ ბუნებას, სიხარული მატებდა მშვენიებას მის გარეგნობას. გიომ მცოდნეს თვალთ გადახედვა მინდვრებს, მერე თივა გასინჯა და ისევ უკან დაბრუნდა. ის ოდნავ შეკრთა, როცა უცებ ჩართული მოტორის ხმა მოესმა, მერე გაეცინა, ალბათ იმიტომ, რომ მთელი ამ დღის განმავლობაში თავს სულელად გრძნობდა, რასაც ხელს კი არ უშლიდა, პირიქით აღრმავებდა თავის თავში. ახლაც ისე შეკრთა მანქანის ხმაზე, თითქოს პირველად გაიგონა.

— ჰა, როგორ არის? — ჰკითხა შოფერს ოდნავ აგლებულად.

— მორჩა.

— მორჩა? მაშ წავიდე თ სოფელში.

— დაჯე.

— ახლავე.

გიო აჰიანურებდა, ის დარწმუნებული იყო, რომ გოგო შემოუვლიდა ფერმას და მეორე მხრიდან მოვიდოდა მის სანახავად, ამიტომ აღროვა, ფერმაში შევიდა მთავარი მწველავი ქალის სანახავად, გამოჰკითხა, რა ადგილას ჯობდა სოფელში დაბინავება.

— აბიათარებთან ჯობია, სოფლის თავში, მთელი დღე მარტოა სახლი, დედა აქ არის, სახლში მარტო მოხუცი კაცია. არა, მარო?

მარო წამოდგა და ისევ გაიღვიძა, როგორც დილით. ეს იყო ნათელასი და გიორგის დედა.

— ჩემი სახელით უთხარით, მამაჩემია მარტო იქ, დაბინავდით, საღამოს მეც მოვალ, აბიათარია ჩვენი გვარი.

— აბიათარი. — „ა“-ზე ინტონაციით, მაგრამ თქვა გიომ. მერე ვარეთ გამოვიდა.

— საით? — ჰკითხა შოფერმა.

— აბიათარებთან, სახლში. — ხმა-მალლა თქვა გიომ და კაბინაში შეხტა. გვარის გაგონებაზე კედელს ამოფარებული გოგონა გამოვარდა, მაგრამ მან-

ქანა უკვე დაიძრა და გიომ წამით მოკ-
კრა თვალი. „თმები ნამდვილად ახლად
დავარცხნილი ჰქონდა, ნაწნავები მალ-
ლა აწეული“. — სიხარულით თქვა
გულში.

— შოიკა, ეგ აბიათარები სად არიან?
— ივითხა შოფერმა.

— არ ვიცი, სოფლის თავში მდგა-
რან, — უპასუხა გიომ და ორივემ გა-
იციინა სხვადასხვანაირად და სხვადა-
დასხვა რამეზე.

• • •

შეპყრობილივით იყო დილიდანვე
ნათელა. მან პირველმა დაინახა სხვა-
ნაირი კაცი, რომელიც მინდორში მო-
დიოდა და შემდეგ თვალი არ მოუშო-
რებია მისთვის. ის ჯერ კიდევ ძალიან
პატარა იყო, რომ რაიმე ანალიზი გაე-
კეთებინა თავისი სურვილებისათვის,
ამიტომ ბაგებში შესულ გიოს წმინდა
ბავშვური ცნობისმოყვარობით ათვა-
ლიერებდა ფანჯრიდან. მერე ბებიას
ამოეფარა და მათ ლაპარაკს ისმენდა.
ეს კაცი აშკარად სხვანაირად იყო ჩა-
მული, მისგან ნათქვამი სიტყვებიც
სხვანაირად ისმოდა. შეიძლება, სად-
ღაც, ნათელას გონებაში გაერთიანდნენ
ტყეში მონადირე მეფის ზღაპარი და
გიომ. ეს ზღაპარი თვალის გახელიდან
იციის ყველა ბავშვმა, თავისთავზე აღი-
ქვამს, უცდის შემთხვევას, ეძებს და აი,
მიუხედავად იმისა, რომ ნათელას ეჭ-
ვიც კი არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის
გულში, მან იცოდა, რომ იბოვა ის. ის
იღვა მის გვერდით, ელაპარაკებოდა
მის ბებიას. რა იცოდა ბებია, ვისთან
ჰქონდა საქმე, ვინ იღვა მის წინ.

ხოლო როცა გიომ შეამჩნია მისი
ძმა, დაუწყო ქება, ნათელამ ღრმად
ჩაისუნთქა, მთლიანად გაივსო მისი
ბავშვური ფანტაზია „მის სანახევად
მოსული კაცი“. იმდენად დიდი იყო
ნათელას სურვილი, შეემჩნია იმ კაცს,
რომელიც აქებდა მის ძმას, რომ როცა
წამწამებზე დაიწყო ლაპარაკი, მეტი
ვეღარ მოითმინა და წინ გამოვიდა.

სწორედ ამ წუთში შეამჩნია გიომაც
ნათელა. როცა ნათელას დააწყნარა,
რომ შეამჩნიეს, შერაცხვა, სანახევად შე-
მოუარა და იქიდან ხელდავდა, როგორ
გაპყვა უკან გიომ. მერე სწრაფად მიი-
ბინა ფანჯარასთან და ნელა, ახლად შე-
ძენილი ღირსებით დაიწყო თმების ვა-
რცხნა. მოუარა სანახევად და გაიქცა შე-
სასველელისაკენ. სწორედ ამ დროს
თქვა გიომ, ხმამაღლა მისი გვარი. ნა-
თელას სიხარულმა უმაღლეს საფეხურს
მიადწია. „მამ ის იცხოვრებს ჩვენთან“,
— გაუბრინა თავში, თივის ზვისს შე-
მოურბინა და სირბილით დაეშვა ხე-
ში, საიდანაც მოკლევით, ნახნავ მინ-
დორზე გადასვლით, შეექლო მიესწრო
მანქანისათვის.

ნათელა გარბოდა უზარმაზარ მთებ-
შუა ჩამოწოლილ შავ მინდორზე. მზეს
უკვე გაედნო დილანდელი ქირსლი,
დიდ ძლიერ გარემოში სულ ერთი
ბეწვა მოჩანდა მისი შეპყრობილი სხე-
ული. ის ხელდავდა მანქანას, რომელიც
გაცილებით ნელა მოძრაობდა მასთან
შედარებით. მისი გული ივსებოდა
უსაზღვრო სიხარულით, რომ იქ იმ
კაცს მიუსწრებდა, ჩუმიდ ჩაუსაფრდე-
ბოდა სხვენში.

სირბილში უცებ გაარჩია, რომ მან-
ქანა თითქოს შეჩერდა, მერე ისევ და-
იძრა. ოღონდ ახლა ის კაცი აღარ იჯ-
და, რადგან ის გამალებული ნაბიჯით
მიდიოდა მისკენ. ნათელა უმოძრაოდ
დაესო შუა მინდორში, მხოლოდ მის-
კენ მიმავალ სხეულს ხელდავდა. მერე
გაარჩია ის კაცი, უცებ მიტრიალდა და
გაიქცა, სუნთქვა ეკვროდა, გულს აღარ
შეექლო მეტი სირბილი, თავი უბრუო-
და, ყური გაევისო ხმებით. თითქოს მას
მისდევდნენ კაცები, ცხენები, მანქა-
ნა; უზარმაზარი გადახნული მინდვრის
შუაგულში ის ჩაიკეცა და უძლურები-
საგან ატირდა დიდი, სავსე ცრემლე-
ბით, ამ ცრემლებს ემატებოდა იმ სი-
ხარულის შეგრძნება, რომ „ის“ ნელა
უახლოვდებოდა. იმ დროს, როცა გიომ
მასთან მივიდა, ნათელა ტიროდა გულ-
ამომჟღარი, მინებებული თავის ცრემ-

ლებს, მისი პატარა მხრები თრთოდნენ, თხელი თითები იჭერდნენ თვალებზე მოწოლილ ცრემლებს. გოგონამ ვერ იგრძნო, როგორ აიყვანა ხელში გიომ და როგორ წაივლია მინდვრის ბოლოსაკენ.

გიოს ნაბიჯები გაიზარდა, არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი და თბილი მკერდი, როგორც ახლა, როცა პატარა ნათელა აღზობდა მას უხმო ცრემლებით. ეს იყო წამები, როცა არცერთი მათგანი აღარა ფიქრობდა არაფერზე. გიომ მიდიოდა ფართე დიდი ნაბიჯებით გორაბიდან გორაბზე, ნათელა კი ტირილით, თავჩარგული კაცის უზარმაზარ მკერდში.

უკვე საღამოედებოდა, მკვიდრო ღრუბლები მოიკრიფა ცის თავზე, მერე დინჯად დაიწყო თოვა.

— აქ ისეთი დიდი თოვლი იცის, ისეთი დიდი! სულ ფარავს ამ სახლებს, — ნათელამ ხელი შეუშვირა ფიფქებს, რომელიც დაეკეპისთანავე გაუღინა თითებზე. — თქვენში არ იცის?

— ჩვენშიც იცის.

— გუშინ რომ მოსულიყრ გზაზე თოვლი, შენი მანქანა გამოივლიდა?

— გამოივლიდა.

— არ ჩაიფლობოდი?

— ჩავიფლობოდი.

— ეჰ, შენ ვერც წყალში ჩახვედი გუშინლამ, ვერც მანქანა ამოიყვანე.

გიოს გაეღიმა.

მან უბრალოდ, თავისი მოქმედების გაუზიარებლად უამბო ნათელას წუხანდელი მგზავრობის ამბავი — ყველაფერი მოფერს მიაწერა როგორც ჩანდა, ნათელას გულში სწყინდა, რომ გიომ ვაჟაყობა არ გამოიჩინა ხევიდან მანქანის გამოტანისას და აი უკვე შესამედ უხსენა... ეს აშკარად მოქმედებდა გიოს თავმოყვარეობაზე.

— აი, ძალი რომ გეცეს რას იზამ?

— უცებ ჰკითხა ნათელამ.

— დავაზრჩობ. — გადაწყვეტით თქვა გიომ, მათ ლაპარაკში ახლა სრულებით აღარ იგრძნობოდა ასაკის სხვაობა. არც იყო თითქოს რაიმე განსხ-

ვადება მათ ცოდნასა ან გამოცდილებაში; უბრალოდ, ორი სავსოდ სერიოზული ადამიანი ლაპარაკობდა სისულელებს, მაგრამ ვინ იცის, რა არის სისულელე? ისინი ამაზე არ ფიქრობდნენ, მხოლოდ გიოს ახსენებოდა ხანდახან, რომ თვითონ დიდი იყო და უკვირდა, ნათელა შესახებდად ასე პატარა რატომ ჩანსო.

ნათელა კი არ ისვენებდა:

— ქალაქლებს ძაღლისა ეშინიათ.

— ვისა, ქალაქლებს? მე არ მეშინია.

— მაშ, აბა, მიდი ახლო ვანოანთ ძაღლთან.

— სად არის?

— აგერ: მიხვალ?

— მივალ.

გიომ დაიძრა ეზოს კართან მდგარი უზარმაზარი ქოფაკისაკენ.

— გიო! — დაუძახა ნათელამ.

გიომ ყურს უგდებდა. მას უნდოდა ნათელასთვის, და შეიძლება თავის თავისთვისაც დაემტკიცებინა, რომ ძაღლისა არ ეშინოდა. ქოფაკი ჯერ გაირინდა, ჯერ ვერ მიხვდა, როგორ შეიძლებოდა მისკენ ასე თამამად წასვლა, შემდეგ უცებ, პირდაპირ, გაუფრთხილებლად გამოქანდა გიოსკენ. იმავე წამში ნათელა დაიხარა და ქვას დასტაცა ხელი, მაგრამ სროლა ვერ მოასწრო. ძალი ხელში ეცა გიოს. გიომ ძაღლს მთელი ძალით ამოარტყა ყბაში მეორე ხელი და უკან გააგდო, იმავე წამში მივარდნილმა ნათელამ ქვა ესროლა ქოფაკს, რომელიც ჩვეულებით გამოუდგა ნასროლს.

— ნახე, რა ყოჩადი, ვარ! — იხუმრა გიომ.

ნათელამ წელზე შემოხვეული თავსაფარი შემოიხსნა, უხმოდ მოუწმინდა სისხლიანი ხელი და შეხვევა დაუწყო.

— არ მინდა შეხვევა, — ბავშვივით თქვა გიომ.

— ასე ამბობს ხოლმე გიორგი, — უცებ მიამსგავსა ნათელამ გიოსი და თავისი ძმის ბავშვური სიგიჟეტი.

აკივდა. თოვლმა უფრო ხშირად და-

იწყობ ბარდნა, მათ ნაბიჯს მოუჩქარეს. ვარშემო თეთრი, თოვლიანი ღამე ჩამოწვა. საშინლად დაღლილები იყვნენ ამდენი სიარულით, ნათელას სახლამდე მთელი ველი იყო გასაფლელი.

— დაიღალე, გიო? — ხელი მოჰკიდა და ნაკბენ მტევანზე ნათელამ.

— მე, ნათელა?

— მე არ დავიღალე.

— არც მე დავიღალე, — მხრები შეარხია გიომ.

— მე დავიღალე.

— მეც დავიღალე.

— აქი თქვი, არ დავდლიღვარო!

— შენი შემრცხვა.

— ჩემი?

— ჰო, შენი, შენ ჩემზე პატარა ხარ.

— შენ ჩემზე დიდი ხარ და უფრო არ უნდა დაღლილიყავი, არა?

— ჰო, ნათელა.

— გიო!

— რა?

— აი, იქ, ხევთან, თივით საესე ქობია.

— თივით საესე ქობი?

— ჰო, თივით საესე, ჩვენები ყოველთვის მანდ ისვენებენ, როცა ტყიდან ბრუნდებიან.

— გინდა ჩვენც დავისვენოთ, ნათელა?

— მე არ დავდლიღვარ, არ მინდა.

— მე დავიღალე.

— მეც დავიღალე, გიო, დავისვენოთ.

მათ ნელა შეაღეს თივით გამოტენილი ქობის კარი.

— ბუუ! — დაიძახა ნათელამ და ორივეს გაეცინათ.

გიო მიწვა თივანზე, საშინელ დაღლილობას გრძნობდა წინა ღამის უძილო, რამდენჯერმე სცადა თავის აწევა, მაგრამ სითბომ თავისი გაიტანა, მას ესმოდა ნათელას შეუჩერებელი ტიკ-ტიკი ეშმაკებზე, ქობზე, ტყეზე, დიდ ძროხაზე, რომელიც ყველაზე მეტს იწველის; უკვე შემდეგ, როცა დაიძინა, იგრძნო, როგორ აიღო მისი ნატყენი ხელი ვიდაცამ ხელში. ის იყო ძალიან,

ძალიან მადლობელი. ეს იყო მის ცხოვრებაში საუკეთესო სიზმარი, შემდეგ მისი ხელის მტევანზე თვე-ღამე-ღამე ადამიანმა, თბილ სიზმარზე უფრო თბილი სუნთქვა იგრძნო მისმა სხეულმა, მაგრამ ის იყო ძალიან დაღლილი და ეძინა. ეს სიზმარი გრძელდებოდა დილაამდე.

დილით, როცა გიოს გაეღვიძა, ქობში აღარავინ იყო. მან ღიმილით დახედა იმ ადგილს, სადაც ნათელა იწვა, მერე წამოდგა. კარებზე უფორმო ასოებით ეწერა: „სკოლაში წავედი“, რაღაც დიდი, თბილი სევდა მოაწვა გიოს, ცრემლები ახრჩობდნენ ამხელა ვაჟაკს. ის დაიხარა და თავისი დიდი თითებით აიღო პატარა კირის ნატყენი, რომლითაც ის ორი სიტყვა დაეწერათ. მერე თავი გაიქნია, ჯანსაღად შეათამაშა მხრები, გაიღიმა, ისე როგორც ყოველთვის, როცა თავში რაიმე აზრი მოუვიდოდა და კარებს მიაწერა: „სამსახურში წავედი.“

ძლივს გააღო თოვლით საესე კარები. ვარშემო იღვრა ნაცრისფერი ღლე და ისევ შეუსვენებლივ ბარდნიდა. კარებიდან მოჩანდა სოფლისაკენ მიმავალი პატარა ნაფეხურები, რომელთაც დიდი ფართე ფიფქები აუღლილებლად ფარავდნენ. გიომ ჯერ ერთ ნაკვალევში ჩაღვა თავისი უზარმაზარი ფეხი, მერე მეორე ნაკვალევში, თოვლმა დაიჭრიალა. გიოს გაეცინა. ისეთი პატარა ნაბიჯების გადადგმა მოუხდა. თავი გაიქნია, სიამოვნებით ამოუშვა ფილტვებიდან დაგუბებული ჰაერი და დიდი, ძლიერი ნაბიჯებით გაემართა თოვლიან მინდორზე, მეძროხეობის ფერმისაკენ.

წინ სულ ახალი, ფართე ნაფეხურები ჩნდებოდნენ, ხოლო უკან დინჯი, აუჩქარებელი ფიფქები ფარავდნენ ამ დიდ ნაფეხურებსაც, ისევე როგორც დაფარეს პატარა, გაუბედავი ნაბიჯებისგან დატოვებული ნაფეხურები.

იღვა ზამთარი და მოდიოდა თოვლი.

წინ კი ჩანდა, როგორ ფუსფუსებდნენ სეპარატორისაკენ მიმავალი მწველავი ქალები.

კოლა და მანო



- მარია.
- ტარიელი.
- აი, ახლა უკვე ნაცნობები ხართ.
- თქვა ვასიკომ.
- ძალიან სასიამოვნოა.
- მეც მოხარული ვარ, თქვენთან ერთი საქმე მქონდა, უკვე დიდი ხანია.
- რა საქმე? — გულუბრყვილოდ იკითხა მარია.

ოპერის ფოიეში ზარის ხმა გაისმა. მრავალრიცხოვანი საზოგადოება დარბაზისაკენ გაემართა. ვასიკომ მარიკასა და ტარიელს ხელი გაუყარა. ამფითეატრისაკენ გასწიეს. დიდი ხვევრდის ფარდა უმოძრაოდ ეკიდა, თეატრი მეორე მოქმედების დაწყების წინ გუგუნებდა.

- ადგილები დაიკავეს.
- რა საქმე გაქვთ, მითხარით რა? — ბავშვური ცნობისმოყვარეობით გაიმეორა მარია.
- ახლა არა, შესვენებაზე, ბევრი მქვს სალაპარაკო.

დიდი სინათლეები ჩაქრა. ახლა მხოლოდ ჩუმი შრიალილა ისმოდა. დირიჟორმა თავისი ადგილი დაიკავა. მერე ჯობით გამაფრთხილებელი მოძრაობა გააკეთა. დარბაზი გაირინდა. გაისმა ბალეტ „ღონ კიხიტის“ მეორე მოქმედების აკორდები. მარიკამ პატარა სათეატრო ჭოგრიტი მოიმარჯვა: სცენაზე თითისწვევებზე შემდგარი ქალთა ჯგუფი გამოვიდა, მოპირდაპირე მხრიდან მეორე ჯგუფი გამოემართა. კულისების სიღრმიდან ვაქები გადმოემუნენ. სრულდებოდა ესპანური ნაციონალური ცეკვა. აი, გამოჩნდა ფუნდუკის მფლობელი, თავისი სახუმარო ნომრის შესრულება დაიწყო! ამ დროს გაისმა საყვირის ხმა, რაც რაინდთა შოახლოებას მოასწავებდა. მოცეკვავეები მიაჩირდნენ შემოსასვლელს.

თითისწვევებზე შემდგარ ლამაზ გონას აღვირისათვის ხელი ჩაეწვო და ფუნდუკისკენ მიფრინავდა. მთელ სცენას ამაყად გადმოხედა როსინანტ-

ზე შჯდარმა ესპანელმა დიდლაგო დონ კიხიტამ. ცხენი ამ ახმახის ქვეშ წელში გაღუნულიყო. გაოცებული პირუტყვი ნაბიჯს ველარ დგამდა. სახედრიდან ჩამომხტარი პანსა ცეკვით მოიჭრა როსინანტთან და ძალით წაათრია ფუნდუკისაკენ. დარბაზში ჩუმმა სიცილმა გაიარა.

შეშინებული ცხენი უმოძრაოდ იდგა.

აი, ჩამოვიდა მისი მხედარი უზარმაზარი რაინდული უნაგირიდან და საერთო ფერხულში ჩაება.

უცებ დარბაზი ახარხარდა, ვილაცამ მეოთხე აივნიდან ტაში დაუკრა; მსახიობებმა მალულად გადახედეს ერთმანეთს, მერე მათაც დაიწყეს სიცილი; ცეკვა არ შეწყვეტილა. „ფუნდუკის მსახურმა“ ცეკვით მოგავა და გაიტანა უწმინდურებანი დარბაზიდან... დაბნეული ცხენი ძლივს გაიყვანეს. მას უკან სახედარი გაჰყვა, რომელსაც თავი გაცილებით კარგად ეჭირა.

ორივენი ბნელი ჩასასვლელით უკან ბალში ჩაიყვანეს.

— რა ელირსა, ვანო, შენს კოლას. — დაიწყო თუშუტქუღიანმა წყნეთელმა გლეხმა.

— კოლა ცხენი მაინც არის, შენი ვირი თქვი, შენა.

ორივემ გაიციინა, მერე წყნეთელმა პაპიროსი მოთხოვა მელინეიკეს.

გააბოლეს.

— ეგე, კაცო, მოჰყავთ კიდეცა. — თქვა ვანომ.

თეატრის მუშაკმა ორივეს ფული ჩაუღო და საჭონელი ჩააბარა.

— ასე, მაშ შაბათს მოიყვანო.

— შაბათსა?

— ჰო, შაბათს.

— კარგი, — თქვა ვანომ.

— ჯანი გაეარდეს. — თქვა კოტემ.

ვანომ ცხენს შეკაზმვა დაუწყო და იქვე მდგარ ლინეიკაში შეაბა. პირუტყვი ცოტა წელში გაიშალა. დაიფრუტუნა კიდეც. ნელი ჩორთით გავიდა

ქუჩაში. ესამოვნა მოყინული ჰაერის შესუნთქვა და კისერი გაიგრძელა და-საკიხინებლად, მაგრამ პატრონმა მოქაჩა აღვირს და გააჩერა. ლინეიკაში შემბულმა გზაჯვარედინზე ანთებული წითელი სინათლე ვერ შენიშნა. ისე დაიძრნენ; ახლა გზა აღმართს მიყვებოდა. ცხენმა თავლის სიახლოვე იგრძნო და ნაბიჯს უმატა, ცოტა მუხლი დალა-ტობდა მხოლოდ.

— დრ, დრ, კოლა! — დაიძახა ვა-ნომ, კოფოდან ჩამოვიდა და აღვირს ხელი გაუშვა. კოლა გაჩერდა. ალაყა-ფის კარები ჭრიალით გაიღო. ცხენმა ლინეიკა ეზოში შეიტანა. მერე პატ-რონმა ხამუთი მოხადა. ახლა თოფრაკი გადაჰკიდეს კისერზე და ჩარდახის ქვეშ შეიყვანეს პირუტყვი. კოლამ უმ-ადოდ დაიწყო თივის ღეჭვა.

ციოდა.

ბალანი აებურძვნა. ჩარდახის ქვეშ უფრო ღრმად შეიწია. ცოტა ხნის შემ-დეგ ჰამას თავი მიანება და თვალები მილულა.

ციოდა.

— ცივა, ცივა, დედაკაცო, ცეცხლს ვერ დაანთებ? — ბუზღუნით თქვა ოთახში შესულმა ვანომ.

— თბილოდეს რა, ვანა ის არის.

— რა ის, დედაკაცო, ცივა-მეთქი.

— როდის მოიტანე რო შეშა. —

მოქნარებიოთა თქვა მისმა მუღლემ ვარომ და მეორე გვერდზე გავაზრუნ-და.

„სად ვიშოვო შეშა?“ გაიფიქრა ვა-ნომ, მერე კიდობნიდან ერთნახადარყი-ანი ბოთლი ამოიღო და მოიყუდა. სა-წოლზე ჩამოჯდა. შემდეგ ისე მოიყუ-და.

ვათბა.

„რად მინდა შეშა“, — გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა.

ჩარდახის ქვეშ ცხენი თვლემდა. ვა-ნომ ვარსკვლავებს ახედა. ციმციმებდ-ნენ.

სიცივეზე არაყმა დაარტყა. დათვრა. ნელა შემოუარა ჩარდახს, მერე შიგ შევიდა, კოლას ხელი მოხვია კისერზე და ნესტოებზე კოცნა დაუპირა, მაგრამ თოფრაკმა არ გაუშვა.

ცხენი სიამოვნებით შეიშმუშნა. პატ-რონმა გაათბო. ჯერ უკანა ფეხები აა-თამაშა, წინითაც მოსინჯა მიწა. ვა-ნომ თოფრაკი მოხსნა და ლაშებში აკოცა. არაყი უფრო მოეკიდა.

— ვენაცვალე, არტისტიც არის. — თქვა და სახლისაკენ გაემართა.

მარტო დარჩენილმა კოლამ თავის-თვის ჩაიხიხინა, თვალები დაალო.

შუალამეს სიცივემ ისე მოიმატა.

ციოდა.

კიდეჲ პარბი

1

სასაფლაოზე დილით ადრე ავედით. დირექტორმა წელში მოხრილი, ახმახი, ცალთვალა მესაფლავე გაგვაცოლა. ნაწ-ვიმარზე ატალახებულ თიხაში ფეხი იფლობოდა. ბიძაჩემს ორჯერ დარჩა შიგ კალოში. მესაფლავემ ხევში ჩაგვი-ყვანა და ადგილი მოზომა.

— ზევით ვერ მოხერხდება? — იკი-თხა ბიძაჩემმა.

— არა, კაცო.

— შენი ჭირიმე, ზევით მომიხერხე.

— სადა, კაცო?

— ცენტრში...

მესაფლავემ გამოთხრილი თვალი უფრო მოჰუტა. მეორე უფრო და-აკვიტა.

— არ შეიძლება, — თქვა მან.

— მომიხერხე როგორმე, — თქვა ბი-ძაჩემმა.

— პოდა, ჩვენზე იყოს, — ჩავერიე მე. ბიძაჩემმა ჯიბეში ფული ჩაუღო. წა-ვედით ცენტრისაკენ. აღმართზე სიარუ-ლი ჭირდა და ფეხიც უფრო ღრმად იფლობოდა.

საფლავეს შორის დატოვებულ გზა-ზე ცალთვალამ ორი მეტრი სიგანისა და

ორნახევარი სიგრძის ადგილი გადაზომა.

— დაუმატე ერთი მეტრიც, — უთხრა ბიძაჩემმა და კიდევ ჩაუღო ფული.

გახარებული დაგბრუნდით. ბიძაჩემი ამაყად შევიდა შინ.

დერეფანი სავსე იყო ხალხით.

— სად იყავით ამდენ ხანს?

— რა ქენით?

— ვიშოვეთ.

— სად?

— რა ადგილას?

— ცენტრში.

— კიდევ კარგი...

— რამდენი?

— ორნახევარი — სამნახევარზე...

— კიდევ კარგი!

2

ანეტამ საბანი გადაიხადა.

კოტემ კარები გამოაღო.

შუშაბანიდან ოდნავ შემოვიდა სიგრილე.

— ცხვირსახოცები ხომ არ დავიწყებია? — ხრიალითა თქვა ანეტამ და თვალები მილულა. მერე ექთანმა ნემსი გაუკეთა.

— ამალამ არაფერი უჭირს, — თქვა მან, — დილაზე ისევ ამოვალ.

— საცაა გათენდება. — კოტემ საათს დახედა.

— ვახტანგ, — ანეტამ საწოლის თავთან მჯდარ ვაჟს მაჯაზე ხელი მოკიდა.

— რა, დედა? — ვახტანგმა შუბლზე აკოცა.

— შეილო, ცხვირსახოცები ხომ არ დავიწყებია?

— არა, დედა.

— ხო იცი, ბიჭო, ეციება იქ, თბილი ქუდიც ჩადე. — ანეტამ ისევ მილულა თვალები.

ვახტანგი ხშირად დადიოდა მივლინებაში. შინ დარჩენილი დედა შიშით ელოდა მის ჩამოსვლას. ავადმყოფს ეგონა, შეილი ვერ ჩამომისწრებსო. ახლაც, ცუდის მოლოდინში, არ უნდოდა უჯვოდ დარჩენა. გული მისდიოდა.

ისევ გააღვიძეს ექთანი. ქაფურის ახალმა ნემსმა მოაბრუნა. „ნეტა არ წავიდეს, ახლა კი ველარ მომისწრებს“.

ფიქრობდა დედა, მერე თვალები გაახილა და ჩიფჩიფითა თქვა:

— შეილო, კალოშებიც წავიდეს, ლაფი იცის იქით.

ისევ გაჩუმდა, ახლა იწვა და ფიქრობდა ცხვირსახოცებზე; თავისი თვალით დაინახა, რძალი აუთოვებდა. მხოლოდ ახალა მოაგონდა, რომ თითქოს ერთი ცოტა დაქმუქნული იყო.

— ვახტანგ, ცხვირსახოცები ხო არ დაკუქულა ჩაწყობისას — ისე ჩუმად თქვა, რომ ვერავინ გაიგო. ვაჟმა მხოლოდ თავი დაუქნია და გაუღიმა, დედას ახლა ჰალსტუხები მოაგონდა. „ტყუილა არ მიიქვს წითელწინწკლებიანი, კოტემ რო ჩამოუტანა რუსეთიდან“, — გაუელვა თავში. შემდეგ პერანგებზე გადაიტანა ფიქრი, წუხდა გულში, რომ საყულოები თვითონ ვერ დაუუთოვა. ხელი ისევ მოკიდა მის მაჯას. შეილი დაიხარა.

— ვახტანგ, — მხოლოდ ტუჩებსლა ამოძრავებდა ავადმყოფი, — ვახტანგ, იქ თეთრი პერანგი ჩაიკვი და შავი ჰალსტუხი გაიკეთე, თეთრწინწკლებიანი.

— კარგი, დედა, — თქვა ვაჟმა.

„ნეტა არ წავიდეს... ნეტა, ველარ ჩამომისწრებს?“ — ფიქრობდა დედა.

— არ წავალ, დედა, — მოესმა ბურანში, მერე თვალების გახელა სცადა.

— წყნარად იწეკი, მე ვრჩები, უკვე დავურეკე სალაროში — მოესმა ისევ.

— წადი, არ დარჩე, იცოდე, მე კარგად ვიქნები. — ძლივს დაიმორჩილა ხმა. მერე სისუსტე იგრძნო. იგრძნო, რომ მართლა ცუდად იყო. „ვახტანგი არასოდეს დარჩენილა ჩემი გულისათვის, რაც ავად ვარ. ალბათ, ახლა“... კიდევ უფრო დასუსტდა. ფიქრებს თავს ველარ უბამდა. ბურუსში გაეხვია.

ჩაეძინა.

— ძინავს, — თქვა კოტემ.

— ჰო, ჩაეძინა, — დაადასტურა ვახტანგმა.

— ეძინოს, — ისევ თქვა კოტემ. მერე საწოლის თავს ხელი მოკიდა და ნელა წამოდგა. ვახტანგი მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად. ოდნავ, სულ ოდ-



ნავ ინათა. როცა ავადმყოფს გამოედვი-
და. დაწოლილს სუნთქვა ეკვროდა.
ძლივს წამოიწია, მაგრამ უღონოდ და-
ეშვა ისევ. „კიდევ კარგი, ვახტანგი
დარჩა“, გაიფიქრა და გული შეუღონ-
და. თავისით მოვიდა გონს. წამოიწია
როგორც იყო, წამოჯდა, თვალებს ვერ
ახელდა. — „კიდევ კარგი, ვახტანგი დარ-
ჩა, ვახტანგი“, უხმოდ თქვა ბოლოს,
ძალა მოიკრიბა და ამოიძახა:

— კოტე, კოტე...

შეუღლე უცებ წამოხტა.

ანეტა ესვენა დიდ საწოლზე და თავი
გვერდზე ჰქონდა მოქცეული.

მთელმა ოჯახმა გაიღვიძა.

— კიდევ კარგი, არ წავედი, — ნა-
წყვეტ-ნაწყვეტად თქვა ვახტანგმა და
ქვითინი განაგრძო.

— აბა, კიდევ კარგი, კიდევ კარგი, —
კოტემ თავში წაიშინა დასუსტებული
ხელები.

თენღებოდა.

გათენდა.

ამოვიდა მზე.

მიდიოდა დღე.

მოდიოდა ხალხი.

— ვახტანგი ხო არ წასულა? — იკი-
თხა ნათელამ.

— არა, არა, — კოტემ სლუკუნი გა-
ნაგრძო.


— კიდევ კარგი, — ნათელამ ცრემლე-
ბი ცხვირსახოცით შეიმშრალა.

— ლეო, — განაგრძო მანვე, — გა-
იგე, თურმე ვახტანგს დღეისათვის ჰქო-
ნია ბილეთი.

— მერე?

— გულმა უგრძნო და არ წავიდა.

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი, — ლეომ
მიცვალეზულის ფეხებთან ყვავილი გა-
ასწორა.



თამაზ ჭილაძე

ღ ე ქ ს ე ბ ი

• • •

ღრუბლებში სძინავთ თუქის
ზარბაზნებს
და უცახცახებთ ალევებს კისრები.
შიდის და აფრთხობს ცის სიზარმაცეს
და ქრება ქორი ფოლადისფერი.

ქრება ზაფხულიც... და ქარი მალე
ტყეებს წამოშლის ოქროდ
მოთოვილს,
ხავსიან ქაში, ვით მკრთალი მთვარე,
ყვითლად ჩამჰქანარა მუხის ფოთოლა.

მ ზ ე

ფუტკრის სკასავით ბზუოდა რთველი,
ალაზნის ქალა, მზე აღმაცერი...
და მოტყუებულ ბავშვივით წრფელი
კრემლით ვტიროდი და მწვავდა
კრემლი.

და მე მეგონა, მზე გამოძერწეს
ჩემი სხეულის მხურვალე თიხით.

ბზუოდა რთველი... ქარი ფურცლავდა
დღეს — გაბრუებულს მზით და
გრილოთი...

ქარს მიჰყვებოდნენ სადღაც ძეწნები,
ბრმეებივით ჩუმად, იქით და იქით...

და ბედნიერი ვაყავი, თუმცა
ბავშვის მღუღარე კრემლით
ვტიროდი.

ძ ა ხ ი ლ ი

მე არ გეძახდი... რატომ იფიქრე,
რატომ გეგონა, რომ მე გეძახდი?
მე ვაგროვებდი ახალწლის ფიფქებს
და თოვლით უხმო ძახილს
ვეძერწავდი.

ქალაქის თავზე თეთრი ცა იდგა,
ვარსკვლავით თვალეზამოკორტნილი...
და გათოშილი, შიშველი სიტყვა
ყინულზე ეგდო, ნაძვის ტოტვივით.

მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი

მატარებელი მიქრის ბნელში,
ფხიზელი რკინა
ანათებს,
კივის
და სადგურებს აღვიძებს წამით.
ვის შეუძლია შეაჩეროს დროის
დინება,
ვინ დამიბრუნებს თოვლს,
რომლითაც სულში ბრწყინავდი.

მთვარე ანათებს ცისფერ მიწას,
ქვებს და მავთულებს,
ძილი ამართლებს ამ სიჩუმეს,
ყველაფერს სძინავს.
მატარებელი მიქრის ბნელში,
ანათებს რკინა,
და კივის რკინა,
დასიზმრებულ თოვლივით ცივი...

ზ ა ვ ხ უ ლ ი



ერეკლესული
მკვრდისაფესქანა
ქალი,

ვილაცა უკრავს შუალამისას,
ცაში ცახცახებს მავთულის ბადე
და ბილიარდის ბურთივით მძიმე,
ბადეში გდია ყვითელი მთვარე.

ვილაცა ისევ ჭიუტად უკრავს,
რატომ მგონია, რომ მე მეძახის?

ვით ძილგამტყდარიც მკვრდისაფესქანა
მიხეთქებია ღობეს ჭერამი.

ვილაცა ისევ ჭიუტად უკრავს...
მუსიკა... მთვარე... ღობე... ჭერამი...
ვილაცა უკრავს შუალამისას,
ასე მგონია, არ მაქვს უფლება,
არ მაქვს უფლება — არ მოვუსმინო...

შ უ ძ უ რ ა

საღღაც ქალაქის იქით, წყვილიადში,
როგორც ციკლოპი, ცხოვრობს
შუქურა.

ანძებს და აფრებს,
ჯაჭვებს და ლოდებს
არწვევს ცახცახა, ყვითელი ხელით.

ხან განათებს ზღვის პირას უცებ
ორს — სიყვარულით ავსებულ
სხეულს —
ციცხლწაქიდებულ ზვინივით ლამაზს.

ხან მოაჯირზე დაყრდნობილ მოხუცს,
მის მძიმე ხელებს,
უძინარ თვალებს.

რა ეჩვენება ბებერ მეზღვაურს?
— მაღალი გემი და თოლიები...

და ხელს გაუწვდის შუქურას კაცი
და მერე ნელა გაქრება ბნელში.

საღღაც შორს, ქარში გადაზნექილი,
გაბერილ მკერდით მიიწვევს გემი...

კ რ ა მ ვ ი

ნუთუ პირველად დღეს ამეზილა
თვალი, დღეს ვნახე ეს სილამაზე!
დაიგრუხუნა მთებში მეხივით
გულმა —
ავარდა ალი არაგვზე.

ყური მივუგდე — ეს რა ხმებია,
არაგვია თუ სისხლის თქრიალი!

ცას ზედაზენი შესახლებია
ჩუმი, შემკრთალი და ფიქრიალი.

და მე ვივარძენი, დრო როგორ გარბის,
მინდა გავიქცე და გზა მოვუჭრა,
ჩამოწყვეტია საკინძე აპრილს
და კორფლიანი ძუძუ მოუჩანს.

ს ი ზ მ ა რ ი

კედელზე დიდი დათვი ეხატა
და ბავშვს ეძინა... ბავშვის სიზმარი
იყო ტყითა და დათვებით სავეს.
ბავშვს უხაროდა!

იწვა ბალახში
და უყურებდა ფიჭვის კენწეროს.

და იქვე აბლოს, ცისარტყელებში
იჯდა დედა და ჩონგურს უკრავდა...

მთარ ჩხიძე

მრავალ პრიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ

კვლავ მყუდროება დამდგარიყო მის სენაქში, მყუდროება და შთაგონება. სილარიბე, მყუდროება და შთაგონება.

მეტსაც აღარაფერს ინდომებდა, სადაც შთაგონება ახლდა, აღარაფერს მოისაკლისებდა, მაგრამ ქართველი მწერალი თუ ხელოვანი კარებს ვერ შეიკეტავდა, ვერ გაგულცივდებოდა, ვერ გაუქმებდებოდა, ვერც უდროობას მოიმიზებებდა, ვერც უდოვლათობასა, ვერც წინაპართა სახელს შეარცხვენდა-გულისხმიერებითა და პურადობით განთქმულიყვნენ ბარნაველები: ხელმოკლე ნათესავეები თავს ეხვიენენ პაპა იაკობს, ახსოვს; დღეობას ემგვანებოდა პაპა იაკობის სადილ-სამხარი. პაპა იაკობი ყველას ასდიოდა, მტერთაც ასდიოდა, მოყვარეთაცა, მხნეობაში ბაღალი არა ჰყავდა, გაბედულობით არსენაც შეუფიქრიანებია. მას მერე მტერიც მომრავლებულა, ნეთესავნიცა. ის დიდი იმედი იმის სახელოვან შვილიშვილზე გადმოსულა, მაგრამ იმდენი მხნეობა და გამბედაობა თუ გადმოჰყოლია, დოვლათი აღარ გადმოჰყოლია, ხოლო პურადმა გულადსა სამი გაფრენით აჯობაო.

პაპა იაკობიც ნაჯობნი გამოდიოდა, ის უფრო ამაყად უსწორდებოდა მტრებსა, ნათესავეებშიც ამაყად ტრიალებდა, ეამაყებოდა შვილებსაცა,—დაგზარდეთ, დაგავაჟაკეთ, გზაზე დაგაყენეთ, ჩემისთანად ვის დაუზრდია შვილები ქალაქს აქეთაო. იმისოდენი, შვილიშვილის ოდენი რომ შესძლებოდა, მაშინ გენახათ იმისი სიამაყე, იმისოდენად რომ გაეთქვა სახელი, მაშინ გე-

ნახათ, როგორ გამოიდებდა თავსა! ხოლო ეს ფიქრებს მისცემია, ყველას ვერ გასწვდენია და დამორცხვებულა, ყოველდღიურ ზრუნვაში აუარებელი დრო დაუკარგავს, მაინც ვერ გასწვდენია, შეწუხებულა და დამორცხვებულა. ამ ფიქრს ვერავის გაუმხელდა, შვილებსაც ვერა, ვერ ეტყოდა, რომ უკეთესად უნდა დაეზარდნა, უზრუნველად უნდა ჰყოლოდა. თუმცა რა მოაკლო, — მადლობა ღმერთსა, კარგად დაიზარდნენ, ტანიც დაისრულეს, განათლებაც მიიღეს, გაჭირვების გადატანაც მოუხერხდებოდათ. ესეც ნუგეში გახლდათ, გაჭირვებას გადაიტანეთ; ჰო, რაც უნდა იყოს, კარგად დაიზარდნენ, მაგრამ აბა თუ შეეძლო პაპა იაკობივით გაამაყებოდა თავის შვილებსა... პაპებს სხვა სითამამე ჰქონდათ, შვილიშვილებს მეტი შესძლებოდათ, მაგრამ რა ქმნილიყო ის სითამამე ის რაღაც მადლი, სიტყვაში ჩაუტყვევლი, სიტყვით გამოუთქმელი?

ბევრჯერ აშლია ასეთი კითხვანი, აშლია და მიუფუჩეჩებია, მორყვია; სიმორცხვესა თუ ნაღვლიანობასაც მორყვია სიმტყიცითა, შეუპოვრობითა. მაგრამ სიბერე იმითაცა ყოფილა ცუდი, სიმტყიცეც მიღეულა, შეუპოვრობაცა, გული უფრო მგრძნობიარე გამხდარა, აჩვილებულა. ოღონდ იქ, გულის კუნჭულში, იმედიც შენახულა: ოცტომეულის გეგმისათვის რომ მიუწერია, შემოსავალი თანაბრად გაიყონ ჩემმა შვილებმაო, ეს გადაჰქცევია იმედად; თავის მართლებაც გამოდიოდა, რაღაცა მაინც მოგიბოვეთ, ცარიელზე არ დაგტრყვითო. ასეთი გახვლავაც იცოდა ნაღველ-

* თავი რომანიდან „რომანი და ისტორია“.

მა, განხად გადააქცევდა ნაყოფს მალა-
ლი შთავონებისა, საფასად აქცევდა,
წააქებდა: სხვანაირად თუ იცხოვრე-
ბდი, ფული უნდა მოგვევო, ესეც ხომ
ფულიაო... ჰო, თავს იმართლებდა,
არავინ ამტყუნებდა, მაინც იმართლებდა
თავსა.

იცოდა, ცამდის მართალი იყო, მაინც
სასამართლოს გადასცა თავი, სამჯავრო
მოიწყო, სამჯავრო ისეთი, სადაც თვი-
თონვე იყო ყველაფერი, ბრალდებუ-
ლიც, ბრალმდებელიც, დამცველიც,
მსაჯულიც. უფრო მკაცრი სასამარ-
თლო არცა ყოფილა, არც იქნებოდა იქ
სამოსამართლო ხელოვნება ვერ გამოდ-
გებოდა, ერთი მეორეს ვერ წაუვიდო-
და, ვერ აუქცევდა, ვერ დაუსხლტებო-
და. და ახალგაზრდობისას ორატორულ
ხელოვნებაზე რომ ფიქრობდა, იურის-
ტობა რომ მოენდომებინა აქ გამოსცა-
და თავი; გამოსცადა და დაიდასტურა,
დიდებული ბრალმდებელი იქნებოდა,
დამცველიც დიდებული, მსაჯულიც დი-
დებული მოუსყიდავი, მტკიცე, დაუ-
თმობელი. ოღონდ ეს არის და რაც
არის, ეს არის: განაჩენმა ააფორიაქა, —
არადირს იყავი ოჯახისაო. ასე მიუსაჯეს
და ველარაფერი აწამა, ველარც საბო-
ლოო სიტყვა სთქვა, ველარც შებრალე-
ბა ითხოვა, თვალიც ველარავის გაუსწო-
რა დღის სინათლესაც ველარ გაუსწორა
თვალი. მრულოდნელიყო, გაუთვალის-
წინებელი, ეგონა დახვრეტას, კატორ-
ლას ან რაღაც ამგვარებს მომისჯიანო,
ასე ხდებოდა სასამართლოში, ასე ხდე-
ბოდა, ასედაც შემზადებულიყო, საბო-
ლოო სიტყვაც ამ აზრით აეგო, — ღირსი
ვარ დაე, დავისაყო; ასე არ მოხდა და
ელდა ეცა, იმდენი მაინც მოისაზრა, ნე-
ბა ითხოვა კასაციისა. ითხოვა და მის-
ცეს. იმანაც მაშინვე უმალღეს სამს-
ჯავროში, ხელოვნების სამსჯავროში გა-
დაიტანა საჩივარი. „წოდებული“ დას-
წერა, როგორც კასაცია და ბედი მიან-
დო უმალღეს მსაჯულსა, უმალღესსა,
უმალღესთა უმალღესსა.

იქ გამართლეს..

გუგუნას აებედითად დატრიალებუ-
ლი ცხოვრება იმისი გამართლება იყო.
„წოდებულში“ გუგუნა დაირქვა, გუ-
გუნა დაირქვა და თავისი სახე მისცა,
აღავსო თავისი ფიქრითა, მერე ცხოვრე-
ბის ცდუნებათა გზაზე შეაყენა და გაპ-
ხედა შორიდანა: ერთი ვნახოთ, რა დაე-
მართება ანუ რა მომივიდოდა, მე თვი-
თონვე, ნებისყოფა რომ არა მყოფნო-
დაო. ამიტომ ყველაფერი მისცა გუგუ-
ნას, ყველაფერი მიანიჭა თავისი, გარდა
ნებისყოფისა. ნებისყოფა ჰპოვოს, თვი-
თონვე გამოიწრთოს ნივთიერ ნდომას-
თან ჰიდილშიო.

ჰპოვოსო, და ჰპოვებდა, თავდაპირ-
ველად დაივიწყა ქვეყნად ყოველი, ბუ-
ნებას მიეცა, ბუნებას შეერთო, შეუ-
ნივთდა, განს გაუდგა ადამიანსა და დი-
დი ფიქრით ბუნებისაგან დაჯილდოვე-
ბული, ღრმა განცდებით დაჯილდოვე-
ბული, აღივსო უაღრესი წარმოსახვითა,
უაღრესი შთაბეჭდილებითა, უაღრესი-
თა, უმალღესითა. მოესმა ძახილი ზეცი-
ური, იხმო ზეცამა, ხელოვნებისათვის
იხმო. იმანაც გადასდო თავი. ცხოვრება
თავისკენ ეწეოდა, ყოველდღიური
შრომისაკენ მოუწოდებდა, ისეთივე
შრომისაკენა, ყველანი რომ ეწეოდნენ:
მკლავი გაესარჯა, მოეხნა, მოეთესა,
ტყეში ევლო, დოვლათი შეეტანა ოჯახ-
ში. ტყე-ღრეში დადიოდა, თოფი გაედო
მხარზე, ოღონდ დასაბეჯნად თუ იყე-
ნებდა, ნადირს არ ესვროდა, ნანადირე-
ვი არ მოჰქონდა; მდინარეს გადასცქე-
როდა, გადასდგომოდა მღელვარე მო-
რევისა, მაგრამ თევზის დაჭერა არ აფი-
ქრდებოდა; ველ-მინდორსა სერავდა,
ხოლო ზენა თუ თესვა არც აგონდებო-
და, მაინც ყველაზე გვიანა ბრუნდებო-
და სახლში, ყველაზე დაღლილი ბრუნ-
დებოდა და ყველა იმაზე იციროდა. იცი-
ნოდა მთელი სოფელი, მეზობლები, ში-
ნაურებიც იციროდნენ, ბრაზობდნენ კი-
დეც შინაურები, ბრაზობდნენ და აბრა-
ზებდნენ, ძალას ატანდნენ, იმუშევრო,
ხელი ვასძარიო.

იმათ არ ესმოდათ ამისი, ამას გაეგე-
ბოდა იმათი: ერთი ღონიერი ვაჟაკი

შრომას შეუფასებულად, დოვლათს შემატებდა. მაგრამ მეტად მცირე იქნებოდა, იმასთან შედარებით, რაც განეზრახა, რისთვისაც გადაედო თავი, რისთვისაც მოწოდებულიყო: ის დიდი შრომა უნდა დაეხატა, ადამიანის ბუნებრივი თავისუფლება უნდა ექადაგა, ქვეყნის გამოხსნისათვის უნდა აღნთო ეს შრომითა და გაჭირვებით გათანგული ხალხი. იმათ არ ესმოდათ, ამან იცოდა და ყველაფერს იტანდა, დაციენვასაც, ხელმოკლეობასაც, პირველ მარცხსაც დიდ სარბიელზე, სარბიელზე ლიტერატურისა.

პირველ გამარჯვებასაც დინჯად შეეგება. ზეშთაგონებულს, ღრმად დაჭრებულს რომ შეჰქვეყნის, ისე შეეგება. ხალხის აღტაცებას ამაყად შეხვდა, ისევე ამაყადა, როგორც ხვდებოდა ადრე დაციენვასა შრომობდა, იღწოდა ამაყი და თავდადებული, აღასრულებდა მოწოდებასა, იქნებოდა რჩეული წოდებულთა შორის, უამრავთა მოკეთე და მოჭირახულე აღსკებული ბუნების ძალითა, ბუნების ნიჭითა, სიხალასითა, უანგარობითა. ამას უნდა გაფრთხილებოდა, ბეწვის ხიდზე ამით გავიდოდა. ბეწვის ხიდიც იქვე გახლდათ,—ხალხი რომ აღტაცებულიყო, გარს შემოჰხვეოდა, ზრუნვით და ღელვით შემოჰხვეოდა, — ბეწვის ხიდიც ის იყო, მახეცა, — ნივთიერი ზრახვანი წამოეფინა, დიდი მორევსაკენ დაეთრია, ცხოვრებას რომ ოწოდებენ. იმ მორევისკენა. მორევი ადრევე შეჰყვარებოდა, დიდ მორევს გადასცქეროდა, კლდეთა შორის მომწყვდეულ, აქაფებულ მდინარეს გადასცქეროდა, იქ დაეხადა მალაღი ფიქრები, შთაგონებაც იქიდან აეწყო. მაგრამ ეს სხვა იყო, სხვა მორევი გახლდათ, ნივთიერი კმაყოფილების მორევი გახლდათ, აღსასრული ფიქრთა მალაღთა, აღსასრული სიამაყისა, სათავე პატივმოყვარეობისა; ოღონდ ნივთიერი უზრუნველყოფა ხომ იმისათვის მომდომებია, დრო მეტი მომეცეს, დავეხსნა ლეკმაპურის ძიებასა, მთელის არსებით მივეცე დიად ხელოვნებას, მა-

ღალ შთაგონებასაო,—თავს ინუგეშებდა თუ თავს იმართლებდა; მიუხედავად ასეთი ცხოვრებაო, ამასაც დაუტრთველანუ სჩადიხარო, ჩასძახოდა კეთილი სული, არსება მშვენიერი. ნათელი არსება, ვინც შთააგონა სიყვარული ბუნებისა, ვინც გამოარჩია, ვინც მოუწოდა, ემსახურე ნათელს, ებრძოლე ბნელსაო, არა შესცოდო, არა გადასცდევო. მაგრამ ველარ გასქრა იმ დამახილმა, საღდაც ვილაცა ხარხარებდა, ჩემი არისო. სატანა ხარხარებდა. ანგელოზთან ერთად სატანაც ამგზავრებოდა გუგუნას, აქამდის ანგელოზისა იყო, ამიერიდან სატანამ დაითრია, მოჰხვია ხელი, ჩაიხუტა და გაიტაცა.

გუგუნაც დარჩა სატანას. სატანამაც მიუზლო მისაზღველი, არ დააყოვნა, სიმდიდრე მოეხვეჭა, მისცა სასახლე, ბრწყინვალე სამუშაო ოთახი. ჰო, ბრწყინვალედ მოუერთო სამუშაო ოთახი, ოღონდ რიდასთვისა, წერა რომ აღარ შეეძლო, რიდასთვისა? ჰა? აღარ შეეძლო, ველარა სწერდა, თუ სწერდა, უხეიროს, ტვინს იქყლეტდა, აღარაფერი გამოდიოდა. სხვებისა შურდა, პატივმოყვარეობა ახრჩობდა; აღარ იყო საშველი, არას არგოდა არცა შური, არცა გაბოროტება, არცა პატივმოყვარეობა; დაკარგულიყო სიხალისე და უანგარობა, ბუნების სიბალაღე დაკარგულიყო, გარდასულიყო, გადაღუპულიყო შთაგონება იმ ქამინდელი, როცა სავსებით სავსე იყო ბუნებით, გარდასულიყო, ნიჭი დაშრეტოდა.

მიხვდა. შეძრწუნდა. ეგონა, ქალაქის ბრალიაო, გაექცა ქალაქს, მაგრამ ბუნება სოფელიც როდი ყოფილიყო, სხვა რალაცა, სიწმინდე ყოფილიყო, უანგარობა ყოფილიყო, სიკეთე ყოფილიყო, სიკეთე და სიყვარული; დაკარგოდა და ველარც ტყე-ღრეში ეპოვნა სიმშვიდე, ველარ ეცნო იგივე ველები, იგივე კოშკები, იგივე მთები, აღქაფებული მდინარე იგივე, ტინს შეხლილი, შეზავებული; ამას ვერ ეცნო, ვერც იმათ ეც-

ნოთ: საშიშრად ქმნილიყვნენ, ავი ბედი განეშაღებინათ; განეშაღებინათ და აღსრულდა: მორევს ჩაეხვია, საჩქევს ჩაეხვია, საჩქევის პირს ჰპოვეს გაგუდული. ცხოვრების მორევში დამხრჩვალყო, არ მიეღო მორევს პოეზიისა, მშვენიერებისა, ამაყი სულის თავისუფლებისა, არ მიეღო, დაღუპულიყო.

შვილები იხმო და განუცხადა, დაიღუპაო. შვილებს გაუკვირდათ, პირველად იხილეს გახარებული თავისი გმირის დაღუპვით. თვალები უბრწყინავდა, ბოლთასა სცემდა, იცინოდა, თითებს ატყაცუნებდა: — დაიღუპა, გუგუნა დაიღუპა!.. — იმეორებდა და დუღუნებდა, — ნივთიერ უზრუნველყოფას სხვა სიცოცხლე უნდა. პოეზიას სხვა, ერთი კაცი ორივეს ერთად ვერ მოერევა, ვერ აიტანს, ვერ გადაურჩება. მიწიერი ცდუნებანი უნდა დაითმინოს წოდებულმა, მრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ, რჩეული და ითმენს, რჩეული აიტანს, ჯვარს ეცმევა და მიანი აიტანს, ვაჟანტავს ბნელსა, გამოიხსნის სიკეთესა დიდებულ თავისუფლებისა და მშვენიერებისა. გუგუნა დაეცა, გესმით, დაეცა! არა ვყოფილვარ უღირსი ჩემი ოჯახისა, არა!.. აგერა ოცი ტომი, აგერა ჩემი ლამპარი, იმ სინაკლულის საბადლოც არის, აიღეთ, გაიძლოლეთ, გაჰყევით მართალ გზაზედა! — და იდგა ლამპარივითა, დიდ შუქათ იდგა დიდ უღელტეხილზე წარსულისა და მომავლისა. გამართლებულიყო უმაღლეს სამსჯავროში, ხელოვნების სამსჯავროში გამართლებულიყო, გახარებულყო, შვილებს ახარებდა.

შვილებს ვერ გაეგოთ, თუ რა მომხდარიყო, რა გადაეტანა, ვერ გაეგოთ და მხრებს იჩეჩნდნენ ვაჟები, ლამის ატირებულებიყვნენ ქალიშვილები. ნინა გამიგებდაო, ფიქრობდა, ნინა არ გადამცემდა სამსჯავროსაო. მაგრამ ნინა გარდაცვლილიყო და ქალიშვილები სატირლად რომ იღუშებოდნენ, ეს დედის გლოვაც იყო. იმისავეით უმაღლ, უთქმელად რომ ვერ მიუხედებოდნენ, ვერ მიუხედებოდნენ, ვერც თანაუგრძობ-

დნენ იმისავეითა. სხვა მაღლი ჰქონდა განსვენებულსა, სხვა გრძობა ჰქონდა, გრძობა შვილებისათვისაც. დედის გრძობა, მაღლი თან წაეღო. ან ისიც იქვე დაეტოვებინა, მაგრამ დრო უნდოდა იმის მიგნებას, დროც უნდოდა, დიდი გამოცდაც ცხოვრებისა. არა ვყოფილვარ უღირსი ჩემი ოჯახისაო, რომ ესმოდათ, ვერც მიმხედარიყვნენ, ვერც პასუხი მოეხერხებინათ. დედა მიუგებდა, არც ათქმევინებდა, ისე მიუგებდა, უთქმელადვე მიუგებდა. თვალებს დაატარებდნენ, თვალები აღვსებოდათ ცრემლითა, ისევე, მაშას რომ აღვსებოდა, სახეც ისევე უცინოდათ, დიდი შუქი ადგათ, განათებულყოყვნენ დიდი შუქითა:

„აფრიალდა საიდუმლო ფარდა უჩინო და გამოჩნდნენ სახეები, მოქმედებები: მოცურავდნენ, მოცეკვავდნენ, მოიმღეროდნენ; ფრთიან სიტყვას შესტყორცნიდნენ... ვაივლიდა ყვავილოვან ველის ნაწვრეთი, მიმოაფენდა ვაზაფხულის სუნნელებსა. და შორით-შორს ხუშუში ტყე, ლაევარდ ცამდინ ატყორცნილი მძლავრი ხეები. პირდაპირად სულდგმულთ გუნდები. ჰაერთ ზვირთებზედ მოცურავდნენ თეთრფრთა ნავეები და შიგ მსხდომნი მშვენიერნი ილიმებოდნენ. გადისხნა სურათის ჩარჩო და გადმოვიდა... მოცურავს მისკენ ყვავილებით გარშემორტყმული. დიდრონი თვალნი მდორე ცეცხლით გაშუქებულნი. თმა — მარაო მშვენიერი, ტევრად გაშლილი. ცივ ღიმილად გაყოფილი პირის ნაყოფი. მისი ხმა არის:

„— მოველ, მოვფრინდი: ვერ გავსძელი თქვენ უნახავად!

— „მოხვედ, კეთილო?! ჩაგვაშავა შენ განშორებამ. მო, მომეახლე! — შევედრა ცოცხალ აჩრდილსა.

„და ხელნი მისკენ გაიწოდა შესაგებებლად. განქრა ჩვენება: ფარდა თუ რამ ჩამოუშვა გონების თვალთ წინ, დაჩრა.. ისე გულდაღებლი. დასხვპილი ტოტებივით ჩამოყარა მუხლზედ მკლავები. ჩააშტერდა ქალის სურათსა. უძრავად იყო იგი სახე, შეჰმხეროდა და-

ღონებულ თვალებით... ის სურათი მაინც მარად მას უყურებდა: იმისთვის თუ ცოცხლობდნენ ხატზედ თვალები.

„— თუ ჩამქვინა, არა, თვალი არ ჩამიხუტავს; ყველაფერი ნამდვილად ვნახე...“

„და ვერა სწამდა, რომ ნანახი ზმანება იყო.“

„— ნამდვილ მეჩვენა! პაეროვან ხორცშესხმული სანახაობა, სწორედ მოვიდა! თვალი დაგვკრა ჩემმა ტრფობამ სამარადისომ, ჩემმა სევდამ უნელბელ უქარვებელმა...“

„და გაიხსენა მიჯნურის აღთქმა:“

„— შევევედრები დიდ შემოქმედს, ხეწნით მოვუღობო უჯულო გულს თვით ბედისწერას და მოვალ თქვენთან, საყვარელნო, მოგველანებით!“

და აღასრულა, მოველინა, გამოცეხადა მღელვარ წუთებში, ხატად მოვადი, მოვიდა თავისი სახითა, თორემ ისე სულ მასთან იყო განუყრელად, განუშორებლად: რომ მიიცივალა, თვალები თვითონ დაუხუტა და თითებზე შერჩა უკანასკნელი სითბო, ნაშთი იგი ძვირფასი სიცოცხლისა, შერჩა და აღარც მოსცილებია, იქა ცხოვრობდა, იმის მარჯვენაზე, ძნელიც იყო და კარგიც იყო: განშორებას ადვილებდა, ამძიმებდა ურვას განშორებისა. ან არც განშორებულ იყვნენ, არ დარღვეულიყო სულთა კავშირი, ერთქმნილიყვნენ და აღარრას შეეძლო გათიშვა ერთქმნილთა, აღარრასა, თვით სიკვდილსაც აღარ შეეძლო. ხორცს თუ შორეოდა სიკვდილი, სულს ვერა, სულთა კავშირი ვერ მოესპო, ვერ განეგლიჯა. გაუგებენ ეს ბაღლები? — გაუგებენ, მერე გაუგებენ! ახლა კი უკვირო, ვერც იმ მღელვარებისას მიუხედავად, ვერც ამ თრთოლისასა.

წამოწეკო, ეუბნებიან, რალაცას ჩურჩილებენ, ექიმი თუ უნდა მოიხმონ. დაე იჩურჩილონ, გადასწევიტონ უიძოსოდა, უიძისობას უნდა მიეჩვიონ, აქედანვე უნდა მიეჩვიონ:

ასე აადღეღა „წოდებულმა“, ოღონდ ეს არაფერი, კიდევ სხვა იყო მოსალო-

დნელი, თუმცა მოსალოდნელი რა სათქმელია, — მოულოდნელე გაუგებლეს წინებელი.

ჯერ სიხარული განაცდევინა „წოდებულმა“: დაამთავრა თუ არა ეურნალ „ჩვენი მეცნიერებიდან“ მიმართეს, — ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ნომერსა ვებუდავთ და თქვენს გამოხმურებას სიამოვნებით შევეგებებითო. მაშინვე „წოდებულს“ მისწავდა. დასაწყისში ბევრი აღტაცებული სურათი დაეხატა, აღტაცების დიალოგი გადმოეცა, ზეცით მოვლენილი მშვენიერისა და ჭეშმარიტი შემომქმედის დიალოგი; ივანე ჯავახიშვილს მოუხდებოდა: „იღვაწდით მარად! გახსენით ბნელთა საკვირველთაგან ყოველი ქმნილება, თვით უკუნი ნივთიერება; ნათელ ჰქმენთ იგი! უაღრესად ნათებული ცნობიერება! საცნაურ ჰქმენით ყოველ არსში ნათელი ძალა, შემომქმედი სიყვარული ყოველ ძლიერი!“ — მოუხდებოდა, ის ხარბარიც სატანისა, ჯურღმულებიდან რომ გაიხსნა, მოუხდებოდა, ამოარჩია და გაუგზავნა. მაშინვე დაბუტდეს. პირველი შემთხვევა გახლდათ, პირველი და ერთადერთი იმის ცხოვრებაში. სხვა ნაწერები ხომ წლობით ეწყო, ზოგი დიდხნის მერე დაბუტდილიყო, ზოგი ჭერაც სტამბას ელოდა, „წოდებული“ უკვე დაიბუტდა, ნაწყვეტად, მაგრამ მაინც გამოჩნდა, გაიღეღა: „მაღე დადგება ევეთი დრო ჩვენი ქვეყნისთვის?“ — უკვდავების თვალთ წინაშე ძალიან მაღე, მოკვდავთათვის მეტად გვიან, მრავალხანთ შემდეგ. უტეხი ბრძოლა იმ დიდებულ მომავლისათვის! და შენც ამ ქვეყნად...“ — „მე მშვენიერო?“ — „განგებისაგან წოდებულხარ ამ ნათელ ბრძოლად; ეს შემართება ბედისაგან დაგვისრებიან... არ დაიბზარო...“ ვითომც სრულად დაბუტდილიყოს, ესეც არ იყოს, თითქოს ივანესთვის დაეწეროს, ეამებოდა, მოეხერხდა, მადლობა ეძღვნა ქართველთა წარსულის დიდებული მკვლევარისათვის. ბევრჯერ გახარებულა იმისი მინაკვლევებითა, ბევრიც გამოუყენებია; მადლობა მიუძღვნა და

ეამებოდა, უხაროდა. ასე ორმაგად გამოადგა „წოდებულის“. ჯერ გაახარა. მერე...

მეგობრები შეუჩინდნენ, ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე გადაიხადეო. ათი წლის წინათაც ასევე შეუჩინდნენ და დაიყაბულეს, ახლა ვერა, ველარ დაითანხმეს. რაღა არ უთხრეს: სულიერად გაგამხნევებსო, ნიკთერადაც წამოგეშველებათ; მაინც ვერ იქნა, ვერ დაითანხმეს. სულიერი მხნეობა, ათას წელსაც რომ ვიცოცხლო მეყოფათ, მარადისობისათვის ათასი წელიც მხოლოდ წამია და წამის მხნეობა ყოველთვის მექნებაო; ხალხს ველარას დაევალებულვებ. მაშინაც დიდად დამავალესა; ვერც წარუდგები ხალხსა, დავბერდი, მოგტყდი, რაღა საყურებელი ვარო... ხალხის გეპოვნებას ერიდებოდა მომდერალი მშვენიერებისა; თუ არ დაგიშლიათ, აგერა „წოდებულის“, დაბეჭდეთ და ეგ იქნება ჩემი იუბილეო.

ეგრე დაასკვნა და, რომ ველარ გადაათქმევიანეს, წაიღეს „წოდებულის“ თედო საბოკიამ და ალექსანდრე აბაშელმა, „ნ...ს“ სარედაქციო კოლეგიის წევრებს შეავედრეს, ეხვეწნენ, ემუდარნენ, ჭირიმოსტამეს და დაიყოლიეს. დავბეჭდავთო. გაიხარეს და გაახარეს. ეს სიხარულიც „წოდებულისა“ გახლდათ. გუგუნას ბედმა, სავალალო ბედმა ეს მერამდენედ გაახარა ავტორი... საკასაციო საჩივარით დასწერა, თავიც გამოიხსნა ბრალდებისაგანა, ხელოვანის სიხარულიც განიცადა. შესცდა გუგუნა შესცდა და შეეცოდა, შეეცოდა და შეუყვარდა, შეუყვარდა და დაენანა. ამიტომაც ელოდა მღელვარებითა, ახალგაზრდა მწერალივით ელოდა, თითქოს პირველი დასტამბული უნდა იხილოსო. იმ განცდით აიღო ჟურნალი ხელში და სათათურთან ვარსკვლავი რომ იჭდა, ჯერ იმ ვარსკვლავს ჩაჰყვა ბოლოში: „იბეჭდება დამსახურებული მწერლის ვასილ ბარნოვის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო“. — ეს მოსდევდა იმ ვარსკვლავსა. ახლა იმას ნუ გავყვებით თუ რა საჭირო იყო ასეთი

შენიშვნა; მხოლოდ ეს არის ^{ქვესტონა} „დამსახურებულს“ ჩაჰყვედა ^{წოდებულისა} და ჩაიღია: არტისტივით ^{გამოცემის} მწვენივითო. მერე საგულდაგულოდ ჩაჭდა სავარძელში, მოიშართა ვუგუნას ბედის გასაგებადა, ვითომც უცხო მკითხველიაო. მოიშართა წინასწარ ჩაპტკარაი, მაგრამ პირველი წინადადების წაკითხვისთანავე პირკატა უცა:

„ძლიერ მდინარეს ლაღად მოეკალა ტყით მოსილი სიმაღლე“ — მოეკალა იგი? — წამოიძახა და წამოიქრა: მოე... — უნდა გაემეორებინა შეშფოთებულსა, ველარც გაიმეორა. შევლები ეცნენ, დასვეს, დაამშვიდეს, აუხსნეს, კორექტორის შეცდომა იქნებაო. დაამშვიდეს, თუცა ვერც დაამშვიდეს: — კორექტორისა? — როგორც იყენა მოიბრუნა, — ნუთუ შეიძლება ასეთი კორექტორი? ვერაფერი მიუგეს ახრას მიუგებდნენ: ავტორი სწერდა, — „ძლიერ მდინარეს ლაღად მოეგკალა ტყით მოსილი სიმაღლე“, ჟურნალში დაბეჭდათ, — „ძლიერ მდინარეს ლაღად მოეკალა ტყით მოსილი სიმაღლე“, ნუთუ მართლა შეიძლებოდა? თუცა, ალბათ, შეიძლებოდა, ჰო, შეიძლებოდა, თანაც არცთუ კორექტორის ბრალი უნდა ყოფილიყო, კორექტორი ამდენს ვერ შესცდებოდა: პირველი სტრიქონისავით მოეკალათ მთელი ნაწარმოები, მართლაც მოეკალათ და იგი დაბეჭდათ. ამაზე აბა რაღა ეთქმოდათ შეილებსა, — სანუგეშო სიტყვა ვერ ეპოვნათ, მხოლოდ მხრებს იჩეჩნდნენ, იმას კი ნუგეში უნდოდა. ლელავდა მოხუცი, უჩვეულოდა ლელავდა: — ეს ქალათობაა! ქალათობაა! — იმეორებდა გაფიცებული. მაშინ თედო საბოკია იხმეს, თუ დაამშვიდებს, ისეც ის დაამშვიდებსო. ჟურნალიც იმან მიუტანა, მოსვლაც არ დაუყოვნებია, არც თბილი სიტყვები მოუსაკლიაებია, ახალი ანგდოტებიც მოიტანა, მოსწონებოდა, იცინოდა, ისე ჰყვებოდა; თვითონ იცინოდა, ლამაც ვერ მოჰგვარა ვასოსა, შეშფოთება ვერ გაუნელა, სამაგიეროდ თვითონ გამოვლია ის საგანგებოდ მოგ-



ერილი ხალისი, იმ მოკალეს ბურღოში გამოეხვია და, ისეთი ბოლთა ასტეხა, ძაგძავე დაიწყო იატაკმა, აქანკალდა კედლებიცა. პროტესტი უნდა განაცხადოთ, დაასკვნა. ახლავე, ამ წუთშიო, დაუდასტურა ვაჟომა და საშინაო ხალათი გადაიძრო. შენ ნუ შეწუხდები, მე წავალ, მე განვეუცხადებო, — კალთა დაუპირა თედომა. არა, მე თვითონო, — თქვა და ველარაჟინ გადაათქმევინა.

ან რას ელოდებოდნენ, ისეთი რა განეზრახა, — ნაწარმოები გაესწორებინათ, გაესწორებინათ თუ დაემახინჯებინათ, სულერთია, მწერალს არ მოსწონებოდა, აღშფოთებულაყო. პროტესტის გამოსაცხადებლად მიდიოდა, — ეს იყო და ესა, მწერლის უფლებას, თავის უფლებას იცავდა. პრისხანება იქამდისაც არ გაჰყვებოდა, რომ შეხვდებოდა დამნაშავეთა, ემანდ სინდისის ქვეჩამ არ შეაწუხოთო, თვითონვე დაუწევდა ხმასა, მორიდებით ეტყოდა, დარცხვენით ეტყოდა, — მეწყინა, ვწუხვარ, ნულარ გამეორდება ასეო. ეს იქნებოდა შინ მღელვარედ დათქმული პროტესტი; ან თუნდაც ისევე პრისხანედ გაემეორებინა, მერე და რაო, — ისინი დასტკობოდნენ, ბოდიში მოეხადათ, ესეც ბოდიშს მოიხდიდა, ინანებდა, ხმას რად აგუწიეო, იბინიც გაივიორებდნენ ბოდიშსა, ესეცა, გამოემშვიდობებოდა და ამითი მოთაფლებოდა ყველაფერი. ის ყველას მოუყვებოდა მომიბოდიშესო და კმაყოფილი იქნებოდა, ცოტა ხმას აგუწიეო, ამასაც დასძენდა უკმაყოფილოდ, მკაცრად არ უნდა გამომეთქვაო, ისედაც ხომ მიმხვდარიყვნენ თავიანთ შეცდომასაო, — მძიმეა საყვედური მონაწიეთათვისა, ვწუხვარო.

ასე იქნებოდა, ასე კეთილად, ასე სათნოდ. მაგრამ როდი მოხდა ასე. სარედაქციო კოლეგიაში მწერლები არ შედიოდნენ. რედაქტორიც არ გახლდათ მწერალი, სხვა საქმეს განაგებდა, უფრო დიდ საქმეს განაგებდა და ჟურნალზედაც ედო ხელი. სწორი ეგონა, რასაც აკეთებდა, შენიშვნებს არ იყო ჩვეული. ამიტომაც ძნელია გადმოიცეს თუ რო-

გორ გაიკვირვა, ის ორი აღაპიანი თვის რომ წაადგა და განაცხადე რჩევემწეროდროულადა, პროტესტს იგაცხადებდა უფრო გაბედულნი აღარც ეგულდებოდა, სხვაგვარი გაბედულება არც მოხერხდებოდა თუ არა დონკიხოტური. და მართლაც დონკიხოტისა და სანჩო პასაგაით წასდგომოდნენ თავსა: ერთი მაღალი, უკვე მხრებში მოხრილი, მაგრამ მაინც მაღალი, მეორე დაბალი, გამხდარი, სუსტი, მაგრამ მაინც დაბალი. ერთი რომ უფრო გამხდარი, უფრო აწოწილი ყოფილიყო, და ისე სანდომიანი, დიდებული სახე არა ჰქონოდა, მეორეს დაბაბი და ღიბი გამოჰბოდა, ეგონებოდა, ნამდვილად ისინი მოსულან, საუკუნეები ვადმოულახავთ, გამოჰცხადებინ შებზომარჯვებულნი და პასუხსა მთოვენო. ზარისაკენ წაუვიდა ხელი. გაიღიმა, დაეხსნა ზარსა, დაბრძანდითო, სთხოვა. პროტესტს ვაცხადებთო, ისევე შესძახეს, სკამისათვის არც დაუხედიათ.

— გაასწორეს... დაგეხმარენ... მაღლობა გეთქმით...

— გაასწორეს?!

— გაასწორეს!..

— რა გაასწორეს, „წოდებულნი“?!

— „წოდებულნი“...

— განა „წოდებულს“ გასწორება უნდოდა?!

— გასწორება ყველაფერს უნდა.

— მხატვრულ კმნილებასაცა?!

— ყველაფერსა!

— და მერე სტილი?!

— რა არის სტილი?! სტილი ერთი იქნება, ერთი, საერთო, ერთ მტკიცე ნებაში მოქცეული.

— მაშინ ლიტერატურა...

— ამაღლებდა!

— რა აამაღლებს თუ ერთია?! ამაღლება სტილთა მრავალფეროვნება იყო...

— და აღარ არის, წარსულს ჩაბარდა.

თედოს ფიცხელი პასუხი შოადგა ეხაზე, ოლონდ ჯერ ვასოს შეხვდა, გამაშხნოსო, მაგრამ იმას აღარაფრის თავი ჰქონდა, აღარც სიტყვისა, აღარც

დგომისა, არც დაჯდომისა. გაასწორესო, — გაოცებულმა რომ იკითხა, მერე აღარაფერი უთქვამს, კანკალი აუვარდა, მაგიდას დააბჯინა ხელები, ხელებს დააწვა, არ წავიქცეო. ხელები მაინცა კანკალებდა, არყევდა სხეულსა. სახეც მორღვეოდა, ტუჩები მორღვეოდა, თითქოს თქმა უნდაო, მაგრამ არა, აღარაფერი უნდოდა, აფუტცნოდა აზრიც, სხეულიც. ჰო, ფიცხელი პასუხი მოადგა თედოსა, ოღონდ არ დასცალდა, ეცა ვასოს, ხელი მოჰხვია, კარისაკენ წაიყვანა. მოიცადეთ, მოგეშველებიანო. გვადლობთო, მიუგო მკაცრად, ფეხი ჰკრა კარსა, გავიდა, გაიყვანა. ვეება კაცი გაიყვანა პატარა კაცმა, განრისხებულყო და ძალა მისცემოდა, — მრინხანება ღონიერიყო.

ვასოს ელდა სცემოდა: გაასწორესო?!—იმეორებდა, ტუჩები რომ დაიმორჩილა, რა მითხრა იმ უღვთომა, იმ ურჯულომა... გაასწორესო... — იმეორებდა და ემტერებოდა ხელები. თედომ ეტლი იხმო. მარტომ ვერ ჩასვა. მეეტლე მიეშველა. რუსთაველის გამზირი ჩაიქროლა ეტლმა. ნელო, ამბობდა, ნელო და აფეთქებულ თვალებს აცუცებდა გამზირის ყოველ კუნჭულს, თითქოსა გრძნობდა, მორჩა, ეს არის, აქეთ ჩავლა აღარ მიწერიყო.

იმ დღის შემდეგ აღარც უნახავთ გამზირზე ჩავლილი. შუადღისას იცოდა, ცისმარა დღე ჩაივლიდა ხოლმე რუსთაველის გამზირზე, დინჯად, დარბაისულად, მოხდენილად ჩაივლიდა ხოლმე. თავისებური, მოხდენილი სიარული სჩვეოდაო. ძნელია ითქვას თუ რა ანიჭებდა მოხდენილობას, მომხიბლაობასა: სიღინჯე, შინაგანი სისპეტაკე, სულიერი სიწმინდე თუ განსაკუთრებული ანაგობა სხეულისა. ახალგაზრდობაში ლამაზი ვაჟკაცი ვახლდათ, მოხუცობაშიც ლამაზი იყო, განსხვავებული, გადასხვაფერებელი, მაინც მომხიბლავი, დიდებული, დიადი, ზვიადი. მიდიოდა, ვითარცა შუქი, ვითარცა სინათლე, მიდიოდა და უნებლიედა ჩერდებოდნენ შემხვდურნი,

უკან მომდევნი ნაბიჯს შეანელებდნენ. ნაცნობნი თავს უკრავდნენ, უცნობნიც უკრავდნენ თავსა, ეთამყვანებოდნენ. ისიცა ჰხრიდა თავსა მოხდენილად, თავდაბლურად, ამჟამად. რალაც საოცრად შეზავებულყო მასში უზომო თავდაბლობა და დიდი სიამაყე, შეზავებულყო, შეწუნლყო, შენივთებულყო, ადამიანის სიყვარული მადლად დასდებოდა, სიყვარული და სიხარული, — სიხარულით გაშუქებულიყო, იმ შუქში მიდიოდა.

შეჰხაროდნენ და უხაროდა, ხალხი უხაროდა, ლამაზი სახეები ხიზლავდა, მიაჩერდებოდა ლამაზ სახეებს; ძლიერი გამოხედვა აღაფრთოვანებდა, მიაჩერდებოდა ძლიერთა, თავისი რომანებიდან გადმოსულნი ეგონენ, თავის გმირებში ეგონა თავი. მიდიოდა და თან მიჰყვებოდნენ, წინაც ეგებებოდნენ, შენაკადი ქუჩებიდანაც ჩამოდიოდნენ, ამოდიოდნენ, დიოდნენ, დიოდნენ. გამოაკლდებოდა იმ დინებას ძლიერი სახეები, ლამაზი სახეები, თითქოს გმირები დაეკარგნენო, შეშფოთდებოდა, მაგრამ მიდიოდა ისევ დინჯად, დარბაისლურად მოხდენილად, მიდიოდა რუსთაველის გამზირზე, ცისმარე დღე მისერირობდა, ხოლო იმ დღის შემდეგ მორჩა, დამთავრდა, ლოგინად ჩაეარდა, მოაკლდა გამზირსა, გამზირი მოაკლდა.

მანგლისაც მოაკლდა... თელავიდან რაც წამოსულიყო, იქ აღიოდა ყოველ ზაფხულსა. იქ ისვენებდა, იქა ზაფხულობდა მისი ოჯახი. თვითონ იქაც შრომობდა. შრომა ან სხვაგან სად მოჰკლებოდა, მაგრამ იქ სხვა იყო, სამსახურისაგან მოკლილი, მოწაფეებისაგან მოკლილი, დიდი ქალაქის ორომტრიალს გამოშორებული დახარბებულივით შეესეოდა ქალაღლებსა, შეესეოდა და სწერდა, სწერდა. სწერდა თავაულებლადა, ფიქრობდა და სწერდა. სხვა ხევი და ბარაქა ჰქონდა იქაურ ფიქრსა. იქაურ ნაწერსა. ლურჯი მთები და ზეცის ტატნობი ერთმანეთს შეერწყმოდა, იმისი ფიქრიც იქ გაიკიდებოდა

ლურჯი მთებიდან ლურჯ უსაზღვრო-
ბამდისა, მარადისობის საიდუმლოს ჩა-
ეჭვიდებოდა და ბრუნავდა, ბრუნავდა
დედაშიწასთან ერთად, ბრუნავდა მზე-
ში, ლივლივებდა მარადის შუქში. ზე-
ნაარსი იქ ახლოს იყო, ახლოს იყო
ღმერთთა სამყოფელი. აღქაჯნიც იქ
იყვნენ, დასწიოდნენ ნაკადულებსა,
ტყეში ხარხარებდნენ, მღვიმეებში
ბღვინავდნენ, ბღვინავდნენ ადამიან-
ის სულის დასაუფლებლად. ადამიანი
მალა მიიწევდა, დიდი შუქსა, დიდი
სინათლისკენა. უკუნიც იცოდა, უკუნი
ღამეც მოიცავდა იქაობასა და, სული
რომ დაიბნეოდა, მთიდან მთაზე გადა-
დიოდა ხარხარი სატანისა, მთიდან მთა-
ზე გადაიქროლებდა, ნაკვალევი ელავ-
და მთიდან მთამდისა. იქიდან მკაფიოდ
ღაინახებოდა ეს მარადიული ჰიდილი
სიკეთისა და სიავისა, სინათლისა და
უკუნისა, ღაინახებოდა და ჰხედავდა,
ფიქრობდა, სწერდა, ჰხატავდა, კაცო-
ბრიობის ბედსა ჰხატავდა, მთელი კა-
ცობრიობისა, ერთი ერის მაგალითო-
თა. იქა ფიქრობდა ფიქრს დახარბებუ-
ლივითა, იქა სწერდა წერას დანატრე-
ბულივითა.

იქ ერჩინა.. მაგრამ აყრა უძნელდე-
ბოდა. ვიდრე ბარგი ჩალადებოდა, ვი-
დრე ეტლი დაიძვრებოდა, ბუზლუნებ-
და, მიზეზიანობდა: ვერადა ვერ გას-
ცილდა ადამიანი ველურობასაო, ეს
აყრა-დაყრა ეს ადგილმონაცვლეობა
ატავიზმია და სხვა არაფერი დაერქმი-
სო; მეჯოგეებივითა მოვითაბარებობ,
ჯოვი მაინცა გვყავდესო; ბუზლუნებდა
და ფუსფუსებდა, თქვენ წადით, მე
დავრჩები, მარტო დავრჩებიო. მაგრამ
არ იყო მარტო დამრჩენი, რომ ფუს-
ფუსებდა, იმიტომაცა ფუსფუსებდა,
ემანდ მართლა არ წამივიდნენ, მართლა
მარტო არ დამტოვონო. სიმარტოვე
ყველაფერს ერჩინა ამ ქვეყნადა, ოლ-
ონდ ისე, რომ თვალი არ მოეცილებინა
თავისი ოჯახისათვისა. ისინი მთებისკენ
მიიწევდნენ, ისიც მისდევდა ბუზლუნი-
თა. მხოლოდ იმიტომ რომ აყრა ეძნე-

ლებოდა, თორემ იქ ერჩინა, ათასწულ
ერჩინა, იმიტომაცა ფუსფუსებდა: იქ
რომ ერჩინა: ფიქრობდა და ხატავდა
სწერდა ზევიანადა და განა ილუნბო-
და, უფრო მხნევედებოდა, ძალა ემატე-
ბოდა. დაბრუნებისას ისევე ბუზლუნებ-
და, ჩანთაში ჰყრიდა მოუთავებელ ნა-
წერებსა, მოუთავებელ ფიქრებსა და
მიზეზიანობდა. ისე აღარა ფუსფუსებ-
და, თბაღისიდან წამოსვლისას რომ
იცოდა, ნელნელა ირჯებოდა. ყველანი
მზად იყვნენ, ის ისევე რაღაცას დატ-
რიალებდა, მიეშველებოდნენ, ჩაბარ-
გებდნენ, მეეტლე წამოჰკრეფდა სა-
დავეებსა, ის სადღაც მიეფარებოდა, რა-
ღაცა დარჩენოდა, რაღაცას დაეძებდა,
გარს უვლიდა ფიქვებსა, მიწას ჩასჩე-
რებოდა, ფრთხილად დააცურებდა
ფეხსა, ყვავილი არ ჩამესრისოსო. რა
დაგკარგვიო, მისძახოდნენ, ჩვენ ვი-
პოვნითო, აიხედედუნენ, დაჰყებოდ-
ნენ, დაეძებდნენ, გაიფანტებოდნენ, შე-
მოიბრუნდნენ ვერ უპოვნიდნენ. ფიქ-
რები დარჩენოდა, ფიქრებს დაეძებდა,
რას უპოვნიდნენ. ჭალაქს არ მისდევდ-
ნენ ფიქრები, ემუდარებოდა წამომყე-
ვითო. ისინი ურჩობდნენ, მაინც იმორ-
ჩილებდა ვედრებითა. არ აცდიდნენ,
ჩქარაო. მეეტლე აქებებდა ცხენებსა,
ვითომ ცხენები ვერ ისვენებენო, ვი-
თომდა რაო, ძლივს ვიკავებო.

ეტლში ნინა იჯდა, ეტლი ტოკავდა,
ირწეოდა, ისიც ირწეოდა, თვალები
მიენახა, ღიმი დასთამაშებდა სახეზე;
იცოდა, რასაც დაეძებდა, იცოდა, ასე
ადვილად ვერ იპოვნიდა, მაგრამ გულს
ხომ მოიჯერებდა და ელოდა თუ რო-
დის მოიჯერებდა გულსა, ღიმილით
ულოდა. მეეტლესაც არ ამშვიდებდა.
გაქანდებოდა ეტლი. მეეტლე ვითომ
რის ვაივაგლახით შეაჩერებდა ალავარ-
დნილ ცხენებსა, ვითომ ალავარდნი-
ლებსა. შვილები გაეკიდებოდნენ, მამა-
საც მისძახოდნენ, მალეო, ჩქარაო. ის
ისევე ფიქრებს ედავებოდა, წამომყევი-
თო, ამდენ შრომას არ დაეღალა, უფრო
გამხნევებულიყო, ფერიც დასდებოდა

ტყისა, მთებისა, მზისა, სისაღისა, ძალღვნიებისა.

ახლაც გაამხნევებდა მანგლისის მთები, გამოაცოცხლებდა, გამოაჯანსაღებდა ტყე გაახარებდა, გაახარებდა ფერდობები ყვავილოვანი. ოღონდ დათანხმებულიყო. ცოტა მიზეზიანი გახდა. აღარ შეეძლო, აყრას, გამგზავრებას არ იყაბულებდა. ნელნელა შეაპარეს. შეუჩნდნენ. დაიყოლიეს.

და მართლაც ვასტრა ზეცამ მანგლისისა, ლურჯმა მთებმა, მსუყე ტყეებმა, გამოაცოცხლა, ძალა შეჰმატა. თუმცა არ დაუგდო ხელების კანკალი, მაგრამ ტუჩები დაუცხრო, ცოტათი შინაც დაუცხრო, ესეც კარგი იყო, სიტყვების გამოთქმა უხერხდებოდა; მკაფიოდ ამბობდა და შემოისხა ქალიშვილები... ნაწარმოები დაიწყო. ძნელი იყო ასე, სხვებს რომ უკარნახებდა, თვითონვე რომ აღარ ჰქმნიდა. თითქოს ეჩვეოდა, ვერც ეჩვეოდა, ვერც მიეჩვეოდა. შემოქმედების დუმილი დარღვეულიყო. ფიქრებში, სახეებში ჩაყარგვა აღარა ხერხდებოდა. კალამი თვითონ აღარ ეპყრა, პატარა კალამი, — ეს საოცარი საქრთველი, აღმმართველი უდიდესი ქმნილებებისა, უღიადეს ქანდაკებთა; თვითონ ვეღარ ეპყრა, სხვებისათვის მიენდო, სხვებს უკარნახებდა; სად ამოეღო მეტი სიღრმე, სად აღევსოთ შექითა; უკარნახებდა, მაგრამ რატომღაც ისე არ გამოდიოდა, როგორც უნდოდა, ისე ვერა სთლიდნენ სხვანი. ხელი მიუწევდა, უნდოდა წაერთმია, გამოეტაცნა, ხაზი მოეგლო ერთის გაკვრითა, შექი დაენტო ერთის მოსმითა; უნდოდა, ოღონდ ხელი არა მორჩილებოდა, კანკალებდა ნაცადი მარჯვენა, კალამიც გაურბოდა, ქალაღლიცა. წარმოსახვა ისევე ძლიერი ჰქონდა, ბევრი სიუჟეტი მოსწონდა, მოიწევდა გასაცოცხლებლად, უნდა გაეცოცხლებინა, უნდა შესჩვევოდა უჩვეულოსა, უნდა შესჩვეოდა და ეჩვევოდა. ოღონდ იმედოვნებდა, დაცხრება მარჯვენა, მალე დაცხრებო. ეჭიმები შთააგონებდნენ, ანუგეშებდნენ მახლობელნი; შთა-

გონებდნენ და იჭერებდა, უნდოდა რწმენით მორეოდა დაუღვევლეს სხეულსა. მარჯვენა ხელი მჭიდრდებოდა, სხვა არაფერი უნდოდა, სხვა აღარაფერი.

დავიმორჩილებო, იმეორებდა გამხნევებული... ჯერ სიარული შესძლო, ისე, სხვათა დაუხმარებლად, ახლოს რომ მისდევდნენ, ეგ არაფერი, აღარავის ეყრდნობოდა, — ხელს რომ წაატანდნენ, მოიცილებდა თავაზიანად. მარტოც გაიპარა, წყაროშლის ჩავიდა.

იქ უყვარდა ხოლმე... აიღებდა სურსა და ბილიკს დაადგებოდა, წერით რომ დაიღებოდა. ფიქრი როცა შემოეღეოდა; იმ წვრილ ბილიკზე, ისევე წვრილად წამოუფიქროდა ფიქრი, მერე წყაროსავით ამოჩუხჩუხდებოდა; გამოეშურებოდა, იქიდან ჩქარი ნაბიჯით წამოვიდოდა, მალე უნდა დაეფრქვია ქალღმერთი და. იმდენი სიჩქარე აღარ შეეძლო. შინაც გაიპარა, სურას წაატანა ხელი და გაჰყვა ბილიკსა.

ღამღამობითაც უვლია იმ წყაროზე. მთვარეზე სხვანაირად ელავდა წყალი, გარემოც სხვანაირ სურათებს გამოსცემდა. ალქიც იხილა წყაროს თავზე. გადაიხარხარა ალქმა და ტყეს მისცა თავი. მისდია, მოუხშო. არ გაუგონა: ვერც დაეწია, გამობრუნდა, ლოდზე ჩამოჯდა წყაროსთანა და გადავიდა ალქთა სამყაროში. მიერთო ფიქრებს ბავშვობის ხანისა. განა არ იცოდა, ალქი რომ არ იყო, გონწერყვეული ქალი რომ გახლდათ, — როგორ არ იცოდა, კარგადაც იცნობდა, მაგრამ არ უნდოდა ამისი გახსენება, იქ უნდოდა, წარმართულ ფიქრებში ყოფნა უნდოდა. იქიდან უნდა განეჭვრიტა უახლესი ფალოსოფიური ცნებანი თუ თეორიები. იქიდან ყველაფერი სხვანაირი იყო, უფრო ნათელი, სავსე შექითა.

იქ ალქი აღარ დახვედრა, ფიქრები უახვდა, იგივე ფიქრები. მაგრამ მალე მიაგნეს, ფიქრი წარუტყვეთეს. ტყეში თითქოს ახარხარდნენ ალქნი: ეგაც შენაო, ეგაც შენაო...

ზოგჯერ უფრო ძლიერადა გუგუნებ-

და ტყე, ზოგჯერ სდუმდა, კეთილი სული მოიცავდა, მიაყურებდა. აფორიაქებული ტყეც უყვარდა, დადუმებულიცა, ღრმად შევიდოდა, უბილიყოდ შევიდოდა ტყეში, ხავსმოდებულ ხეს მიეყრდნობოდა, უღრეს სიყურეს, უმადლეს მღუმარებას მიერქმეოდა. ახლაც იგივე მღუმარება ეწეოდა. აღარ უშვებდნენ. არა,—უშვებდნენ, ოღონდ თან მიჰყევდნენ, ხოლო სხვებთან ერთად მღუმარებას ველარ მისწვდებოდა, ვერ მიერქმეოდა იმა დიადსა, მარადიულსა, სათავეს ფიქრთა. ჰო, თან მიჰყევდნენ... ტყისპირი ყვავილებით მოქარგულიყო. მზე დახრილიყო, მზე ლივლივებდა ველის ყვავილებში, მზე ლივლივებდა და მზის სხივები აფერადებულყო. ირხეოდა სხივები, ნანაობდა, ბიბინებდა, სიო არხევდა, სიოც აფერადებულყო ათასფერადა? ათასფერი იყო, ფერადფერ იყო, ერთფერ იყო სიოცა, სხივებიცა, მიწაცა, ყვავილთაგან იყო, ოღონდ ყვავილნი სხვებს შენივთებოდნენ, შერწყმოდნენ ნიავსა, დედამიწა მზისთვის შეებათ, თან მოჰყოლოდნენ უდასაბამო სრბოლასა; თანმიჰყოლოდნენ თანმიჰქროდნენ შეჰხაროდნენ უქნობ მშვენიერებას, შეჰხაროდნენ მინდვრის ასულსა. დახტოდა ასული, დაქრიალებდა, ალად ავიდოდა ზევით და ზევითა, ლაქეარდ კამარებში აიჭრებოდა, მიილეოდა, მიმერთალდებოდა, მალე ისევ ჩამოიჭროლებდა, ისევ ყვავილებს მოედებოდა:—დახტე თვალები, თვალები დახტე!..—ქიტე შესძახებდა და ყვავილებში წაემხობოდა. მაშინ პატარები იყვნენ, ახლა მოხუცდნენ, ისე იოლად ველარც წაემხობოდნენ, ველარც წამოხტებოდნენ, მოტყდნენ, დაადგნენ გარდაგების გზას. ყვავილთა ასული იმადვე დარჩენილა, ისევ მშვენიერია, ისევ მომხიბლავა, ისევ ეწევა მოხუცი იყოს, მაინც ეწევა, იქით ეწევა, აღთქმათა მხარისკენა, მარადიული სიცოცხლისკენა.

ჰო, მკვირცხლად ველარ წაემხობოდა ქიტე, თვალებს მაინც დახტავდა.

იქაც ასევე იქნება აბიბინებული ველი, ყვავილებში ენება სალოცავი კოპალესი. ქიტე დეკანოზი იქნება უფროდელა გარდაცვლილა დიდხანია, თავისი დღით როდი, ცეცხლში გამოშწვარა, თითქოს ახდენია წყევლა ზაქარიასი, მძინარე გამოშწვარა, ცეცხლი მოსდებია იმის ქონსა გაღვიძებაც ვერ მოუსწრია, ისე გამოშწვარა. შერე ქიტეს უტვირთნია დეკანოზობა შეჰხმია, სალოცავისა, ისიც მღვდელს შეჰხმია, რათქმუნდა, სხვა მღვდელსა, იმავე გზებითა, იმავე მრისხანებითა: გადმოდგებოდა სახეგანაცრებული,—მე გმირი კოპალე ორ!..—გუგუნებდა. ყვავილთა ასული ისევე დაქრიალებდა, ისევე ქორფა, ისევე ცინცხალი, ისევე სხარტი, ხოლო ქიტემ ვინ იცის, უკვე დახუჭა თვალი, საბოლოოდ, სამუდამოდ. აღარ გაუგია, აღარაფერი იცის. ჰა?..

დახუჭა თუ ისევა გრგვინავს: მე გმირი კოპალე ორ!..—ქალიშვილებმაც არ იციან, ვაყები აღუთქვამენ, გავიგებთო. გაიგონ. ოღონდ ამას გაგება არც უნდა, ან ვერც გაუგებენ: ელაგს, დაქრიალებს, მიმოქრის ასული ყვავილთა, მინდვრის ასული, ყვავილებზე დარბის მჩატე ტერფებითა, ისე, დარბის, არც იზნიქებიან ნაზი ყვავილნი, დარბის და აქეზებს, გამომეკიდეო, აკი გინდოდა, დაგეჭირეო? დამიჭირეო, დამიჭირეო...

აბა თუ ვერაო!.. შესძახა და ჩამოიცილა ხელები ქალიშვილთა, ისევ მიატანეს, კვლავ ჩამოიცილა, მოიწურა, დაიძაბა, თითქოს უნდა ისკუბოსო, თითქოს ფრიალოს უნდა გადაეელოსო; დაიძაბა და წაირბინა, სირბილით გაჰყვნენ ქალიშვილებიცა, ხელები გაეწვდინათ, არ წაიქცეს, მივეშველოთო. არ წაქცეულა, მინდვრის ასული ეწეოდა, რა წაქცევდა? ყვავილებში მიტუხტუხებდა, ყვავილები ეხვეოდა კანჭებზე, ყვავილები და სხივები ერთად ეხვეოდა, ერთფერად, ათასფერად, ფერადფერადა, ეშხით აენთო სიცოცხლისა, სილამაზისა, სიკეთისა, სიყვარულისა, სიცოცხლის სიყვარულისა, რაც სიბერისას ესოდენ მკვეთრი ყოფილა, ბავშვობი-

სასაც მეტად მკვეთრი ყოფილა, ოღონდ შეუცნობელი ყოფილა, მით უფრო ლალიცა ყოფილა, მით უფრო აღმტაცო. მაშინ მართლაც შეეძლო დაეჭირა მინდვრის ასული, ჭიტეს რომ გაეშვა, დაიჭერდა ალბათ, დაიჭერდა, ახლა რაღა,—მისდევს, მაგრამ ვერ მიჰყოლია, ის იქ დაჰქრის, ლაყვარლში დაჰქრის, ჩამოვა უცებ, ჩამოიჭროლებს, შემოურბენს, გარსმოეცლება და ავა ისევე სხვივთა კიბეზე, აიჭროლებს, ჩამოიჭროლებს,—რა უყავ ღონე, ის სიმკვირცხლე სად ჩალიეო, ხომ აღარა შიშობ, გამოწყვეიო...

მისდევდა, ხარობდა, არა სწყინდა, რომ ვერ დაეჭირა, ვერც დაიჭერდა, იცოდა და აღარა სწყინდა, უხაროდა, მხოლოდ უხაროდა, სირბილი შეეძლო, ისევე შეეძლო. მართალია წამოეწივნენ ქალიშვილები, მაგრამ მერე რაო, ყვავილთა ასულის ტოლნი იყვნენ, ყვავილთა ასულივით მიხტოდნენ მდგლოზე. მერე ჩამორჩნენ, ერთიმეორეს წაულაპარაკეს და შეჩერდნენ. მიხვდნენ, სიმართლევ რომ უნდოდა, მართო დასტოვეს.

აღარ მირბოდა, აღარ მიცუხტუხებდა, მხოლოდ თვალს არ აშორებდა მინდვრის ასულსა. ნელა ვიდოდა, დაიხრებოდა, ჰკრეფდა ყვავილთა. ბევრი მოჰკრიფა, შეკონა თაიგულად. დიდებული რომ თაიგული გამოვიდა, ბაბუციმ რომ იცოდა, ისეთი, ბაბუციმ გაუელვა თვალთა წინა, ბაბუციმ მიაჩეჩა ის თაიგული,—ბილიკს დაადექი, ტყეში შედიო, ჩაუჩურჩულა და მიიშალა, ყვავილებში მიჰქრა, მიილია. მიიშალა მინვრის ასულიცა. ის ტყეს შეერთო. არც იქ შეჰყვნენ ქალიშვილები. სხივნი შეჰყვნენ, ღრმად შეჰყვნენ ტყეში სხივნი დახრილი მზისა.

იქ დიდხანს დაჰყო, შეშინდნენ, შეფიქრიანდნენ იმისი ქალიშვილები, ტყეს მიიტანეს, უნდა მოეძებნათ... მალე შენიშნეს, ბილიკს მოჰყვებოდა, მოდიოდა გაბადრული, გახარებული, აღტაცებული. დიდხანია აღარ ენახათ ასე აღტაცებული, რა მომხდარიყო, რა

იყო მიზეზი?—ეს ყვავილები, ეს ტყე მდუმარი, ეს ლურჯი მფიქვრე მფიქვრე რაღაცა, სხვა რაღაცა, დღეს მდუმარე უღებრივი? ალბათ იდუმალი რამ სასწაულებრივიო,—ფიქრეს ქალიშვილებმა,—დედაჩვენს თუ შეჰხვდა, იქ ტყის გულში თუ გამოიხმო, განმართოდნენ და მოიგონეს თავიანთი ახალგაზრდობაო, პირველი შეხვედრის ეპიზოდიგონეს: ის ზევიდან ალუბლის კუნწულსებს რომ ჰყრიდა, ეს ქვემოდან ჯობით რომ ეტანებოდა კუნწულსებსა. სხვები რომ კისკისებდნენ და აქეზებდნენ, აბა თუ მარჯვედ გამოსდებ კაცსაო. ის მაღლა იციწოდა, ესენი დაბლა, ყვავილნარი ხარობდა, ხარობდა ბალი. ალუბლის ტოტები გადმოხრალი ყვავილებზედა.—მოიგონეს და გარინდნენ ნეტარებით. მერე გამოემშვიდობა, წავიდა. შვილებისათვის დაუტოვა კეთილი სურვილები, დედაშვილური, სასიყვარულო. ეს სურვილები მოჰქონდა გაბადრულსა, აღტაცებულსა. ასე გაიფიქრეს ქალიშვილებმა და ვინ უწყის, სწორადაც მიიტანეს გუმანი. მაგრამ მაინც ძნელი სათქმელია თუ რა განიცადა, რა ფიქრებით აღივსო მდუმარებაში, სიმართლევში, უღრანის გულში.

ჰო, სათქმელად ძნელია, ჩანაწერებში კვალი არა სჩანს, თვითონ ზომ აღარა სწერდა, — უკარნახებდა თავის ქალიშვილებსა, თავისიანებს უკარნახებდა, მაგრამ სულერთია, აღარ გააჩნდა სიმართლევე შემომქმედისა და ვერ გამოტყდებოდა. სხვა რაღა ყოფილა შემომქმედება სიმართლვის გარდა? მიღგონიც თავის ქალიშვილებს უკარნახებდა „დაკარგულ სამოთხესა“, მაგრამ იმას სხვა ბედი სწეოდა, — დაბრმავებულიყო, ვეღარაფერსა ჰხედავდა, ვერავისა ჰხედავდა, კვლავ მართო იყო შემომქმედი, თავის ფიქრთა და წარმოსახვათა ანაბარა დარჩენილიყო. ხოლო ეს ჰხედავდა, თვალის შუქი მომატებოდა. მხოლოდ ხელები არ ანებებდნენ სიმართლევსა. შეებრძოლებოდა მოკანკალე ხელებსა, შვილებს დაითხოვდა, შეებრძოლებოდა და ვერ დასძლეოდა.

ისევ მოიხმობდა შეილებსა. მიმივ გამ-
ხდარაიყო ხვედარი ხელოვანისა, უფ-
როც დაუშვიმდა, ტუჩებიც ვეღარ დაი-
მორჩილა, კარნახიც აღარ შეეძლო; მა-
შინ ის დრო გაუხდა სანატრელი, კარ-
ნახი რომ უხერხდებოდა.

ეს სხვაგვარი ტრაგედია ვახლავთ
შემოქმედისა. ის ცნობილია, შთაგონე-
ბა რომ დაეწირებდა, ჯანით სალია, ბუ-
ღას დაეჭიდებდა; ღონე ერჩის, მაგრამ
კალამს ვეღარ მორევი, სიტყვა ვეღარ
უპოვნია, აზრი თუ სახე ვეღარ ამოიუ-
ტანია აბურღული გონებიდანა, ჰო,
ცნობილია, ბევრსა სწევია ასეთი ბე-
დი, თვითონაც ასეთივე ტრაგედია გად-
მოსცა „წოდებულთა“. ისიც მომხდა-
რა, უეცრად რომ დაღუპულა მწერალი
თუ ხელოვანი, ფათერაკს რომ გადაჰ-
ყოლია ან სენს მოუსპია, უეცრად, მო-
ულოდნელად, დაკემულა და დაკარ-
გულა ვინ იცის რა ნაწარმოები; ჰო,
ცნობილია, ბევრს დამართნია ასე, ბევ-
რსაც აღუწერია ასეთი ტრაგედია. მაგ-
რამ ეს სხვა იყო, მომხდართა თუ აღ-
წერილთაგან განსხვავებული, უცნაუ-
რი, განუმეორებელი: აზრი სალი ჰქონ-
და, წარმოსახვა უსაზღვრო, შთაგონე-
ბა კვლავ ჰეშმარიტი, ოღონდ აღარ ემ-
ორჩილებოდა აღარცა ხელი, აღარცა
ტუჩები, ვეღარც დაწერა, ვეღარც გა-
მოეთქვა, — როგორღა შეეთხზა, რო-
გორღა შეექმნა და რომ არ შეექმნა,
როგორ ეცოცხლა? ეს სულ სხვა იყო,
ეს ტრაგედია არც დაწერილა.

და კანკალებდა ტუჩები, ხელები კან-
კალებდა დაუმცხრალად: — შეჭხეთ,
ცეცავენ, როგორღა ცეცავენ! — იტყო-
და ხოლმე. უნდოდა ეხუმრა, ისეთ კი-
ლოზე იტყოდა ხოლმე, ტაში!.. — და
ტაშიც უნდა დაეკრა ხუმრობითა მაგ-
რამ სატაშოდაც აღარა ნებდებოდა ხე-
ლები. ტაშიც ათარ გამოდიოდა და კან-
კალებდა... ზამთარში უფრო აუტანე-
ლი იყო, თითქოს სიცივის ბრალიაო,
თითქოს დაცხრებოდა კანკალი, ღუმე-
ლი რომ აგუზგუზებულყო, ბუხარი
რომ აღუღღღებულყო. მაგრამ, ჰო,
მაგრამ გასჭირებოდა ისევე, შეშისათ-

ვის ფული ვეღარ მოენარჩუნებინა;
აღარც არაფერი გადარჩენდებოდა მასრე-
ბის გარდა, ხოლო მასრეგნებდა მასრეგ-
ბოდა, ყველა მოგონებათა საყრებუ-
ლოდ გადაენახა, ახალგაზრდობის მო-
გონებათა.

ცივი ზამთარი დამდგარიყო, ცივი და
მკაცრი. სციოდა და კანკალებდა. ვეღარ
გაუძლეს ქალიშვილებმა, მასრები გაა-
პარეს. საღამოთი ბუხარი აღუღღღდეს
და მართლაც უშველეს, თითქოს უშვე-
ლეს, გაინაბა, გაუჩნდა ბებერი ძვლები.
საიდან? — იკითხა. ქალიშვილებმა
თვალი მოარიდეს. მისვდა, გაიღიმა და
შიეფიცხა ცეცხლსა. ცეცხლმაც იცოდა
მოგონებანი. შეშა ტაკუნებდა აღი
ადიოდა, ქანაობდა, ქანაობდა შემთბარი
ხელებიცა და კედელზე ათასგვარი რამ
ინახებოდა. ასევე იყო კურდღელსა
ქონში. ბიჭები აქეთ იქიდან ამოუსხდე-
ბოდნენ კურდღელსა, ის შუაცეცხლის
აღზე თითებსა ხელანჯავდა და ჭერში
ლანდები დაბორიალებდნენ. ქაჯები
არიან, კოპალე მოეჭრებათ და მუსრს
გაავლებსო, — ამბობდა კურდღელი,
ამას გარკვევით ამბობდა და გაურკვე-
ველსაცა ბურტყუნებდა, შერე დაიგრ-
გვინებდა, აჰა, კოპალე მოგვევლინაო,
დაიგრგვინებდა და ქაჯებიც გადაიკარ-
გებოდნენ ან გაიყუჩებოდნენ ერთია-
ნადა. კურდღელსა ხარხარებდა, შეშინე-
ბული ბიჭები ფერდებზე ეკროდნენ,
ისიც გულდაგულა ჰხვევდა ხელებსა,
კოპალესათვის შეეწირა, ხატის მსახუ-
რებადა ზრდიდა; ზრდიდა და გაზრდი-
და, იმისები იყვნენ, კოპალესი იყვნენ.
კარს მოადგებოდნენ, ზაქარია კითხუ-
ლობს ვასიკოსაო, მანდ ხომ არ არისო.
აქ არის და აქ იქნებაო, აჰა, წაიყვანოს.
მაგრამ მაინც აქ იქნებაო, კოპალესია.
კოპალესიაო. ვასიკოს შინ წასვლა არ
უნდოდა, ჭიტიც დაბლა ეწყოდა, მოი-
ცადე, ჯერ აღრეაო. მაგრამ კიდევ სხვა
მეზობელი მოადგებოდა კარსა, ჩქა-
რაო, ზაქარია ბრახობსო. კურდღელსა
ისევ აღზე დახვლანჯავდა თითებსა და
იცინოდა. ვასიკოს ჭერზე დარჩებოდა-
თვალი. მიჰყავდათ და ჭერზე რჩებო-

და თვალი... ასე ქანაობდა ალი, ასევე აპქონდა ლანდები კერზედა. ქაჩები და-რბოდნენ, დაბორილებდნენ, — აჰა, კობალე გამოჩნდებოდა და გამუსრავ-და ქაჩებსა. ჰო, ცეცხლმაც იცოდა მო-გონებანი.

თედოც ცეცხლთანვე მიუჭდებოდა და სიტყვათა განმარტებებს აზუსტებდა, — ვასილის მოთხრობათა კრებულის გა-მოცემა გადაეწყვიტათ. იმ კრებულ-სთვის აღგენდა ლექსიკონსა. ლექსიკო-ნსაო? — და მოგონებათა მირინდები-დან ამოვიდოდა, — ჩემი წიგნისთეი-სა?! განა ჩემ წიგნს ლექსიკონი უნდა?! უნდაო, მოუჭრიდა თედოი, არ აკამა-თებდა, არ ეკამათებოდა. თავსაც არ აიღებდა, კითხულობდა და ეკითხებო-და. დამიდასტურე, ხომ სწორეა განმარ-ტებულიო. სწორე არისო, დაუდასტუ-რებდა და თვალს გაუშტერებდა ცეცხ-ლსა, ვერ გაეგო რა მომხდარიყო, ნუ-თუ ასე ჩამორჩენილიყო მკითხველი, ნუთუ ენა დაეიწყებოდა, თავისი ენა, ენა აკენისა, ენა მშობლისა, ნუთუ მარ-თლა დაეიწყებოდა?! ან ეგების მკითხ-ველი არც იყო ბრალეული, თვითონვე ღრმად შეიჭრა ენის არსობაში, სათა-ვეებამდის აჰყვა, ღრმად განიცადა. მთლიანობაში განიცადა, მოშალა საუ-კუნეთა თუ ეპოქათა საზღვრები, განა-ძო უცხოური ზეგავლენანი, მანე და უსახური ჩამოაცილა. დახვეწა, დასწ-მინდა, აამალა, ენა აამალა და ვეღარ შესწვდენია მკითხველი?! ენა აამალა და მკითხველი ვერა?! არა, არც ეს უნ-და, იყოს, არ უნდა იყოს!.. განა ყოვე-ლთვის მკითხველთან არ იყო, განა ყო-ველთვის ერთად არ იყვნენ? იმისი ლექსიკა ცოცხალი მტყველებიდან მოდიოდა, ისე ლაპარაკობდნენ გლეხე-ბი და ხელოსნები, ისე მტყველებდნენ თავდა-ზნაურნი, ცოტადნავ ვაჭრებ-სა და უცხოეთში განსწავლულებს აღ-რეოდათ სიტყვაპასუხი, მაგრამ ისინიც თანდათანობით მორჩილებდობდნენ დე-და ძარღვსა, დედა ენასა. ბევრი რამ ძველი წიგნებიდანაც გამოეზიდა, ოლ-ონდ ისეთი, ლიტერატურას რომ დაჰკა-

რგოდა, ხოლო დიალექტებში ისევე ცოცხლობდა. ეგება სწორედნე უკერ დაიცვა წონასწორობა, შეტემა მისიან გაიტაცა ძველი ლიტერატურის მკვეთ-რმა, ხატოვანმა, სრულქმნილმა თქმე-მა? ვთქვათ, ეგრე იყოს, დიალექტებს ხომ უფარდებდა? მაგრამ ეს მაშინ, მწერლობისათვის რომ იარაღდებოდა, დიდი ქმნილებისათვის რომ ემზადებო-და, მერე სიტყვასთან ბრძოლის ასპა-რები მაგიდაზე გადმოვიდა და ვინ უწყის მას შემდეგ როგორ დაირღვა საუ-კუნის დასასრულისას ჯერკიდევ ღონი-ერი დიალექტები?

მით უკეთესი, იმის ნაწერებში რომ შემონახულან, გადარჩენილან, მკითხ-ველი გაიხსენებს და იმასთან იქნება. კვლავ ერთად იქნებიან, ერთად ივლიან, მხოლოდ გამოიცეს ის ნაწერები, გამო-ვიდეს ოცტომეული. და ოცტომეუ-ლის გეგმისაკენ გაქცეოდა თვალი-მანამდის კრებული გამოდის — „ფე-რად-ფერადი“, თედოს იმისთვის უნდა ლექსიკონი, თედოს ლექსიკონები უყ-ვარს, შეადგინოს, მოიკლას სურვილი. ლექსიკონი იმისთვის მუსიკაა, გარდა-სულ დროთა მელოდიებია, უყვარს ტებობა იმ მელოდიებთა, უყვარს და დასტკბეს; დასტკბეს, აჰა, დაუდასტუ-რებს და მიეშველება. რომ უფრო დახ-ვეწოს განმარტებანი. ეს კრებული ძე-გლად უნდა, სამკაულადა პქონდეს! თე-დოს ლექსიკონიკა, ნინას ძეგლად უნ-და, ნინას გრაფიურა უნდა დაერთოს, თავისიკა და ნინასიკა, ერთადა, ისეთ-ნაირად, განუყრელ მეგობრობას რომ გამოხატავდეს, სულთა კავშირს გამოხ-ატავდეს, მარადიულსა, დროსა თუ სე-ვრცეში მოურვეელსა, დაუძლეველსა: „სულთა კავშირი“ უნდა შევიდეს კრე-ბულში, „ალუჩით“ დაიწყოს და მოთა-ვდეს „სოლთა კავშირითა“, ის განთი-ადია, ეს მწუხრი, მზის ერთი მოვლაა ამთ შორისა; საუკუნეც თუ წამი ყო-ფილა მარადისისთვის, მზის ერთი მოვ-ლა რაღა იქნება? რა ნაწილს მოიცავს ერთი წამისა? მზეს დრო არა აქვს, ის შუქია, სინათლეა, სინათლე არის თვით

მარადისი: მზის ერთი მოვლა თუ მრავალი იგივეა, უთვალავი მოჩვენებაა, გამოთვლის სურველი ნიშანია კაცთა უსუსურობისა, დიდი სინათლე ერთად ერთია, ერთადერთი მშობელია სიცოცხლისა, აღმტაცია, ვითარცა წყარო სიცოცხლისა, საშიშარია, რამეთუ იმასვე ახლავს სიცოცხლე სიცოცხლისა; აღმტაცია და საშიშარი, აღტაცება და შიში ღმერთია, დიდი სინათლევ ღმერთად იწამა, გაჩნდა თუ არა გონება ქვეყანა და, მაშინ გონებაც გონიერი იყო. ერთია იგი დიდი სინათლე, ერთადერთია, ერთი შემოვლაც იგივე იქნება, რათქმაუნდა ერთი იქნება „აღუჩადან“ „სულთა კავშირამდისა“.


ციხარტყელა თუ მოეხატება უდასა, ისიც გამონაკართომი იქნება დიდი სინათლისა, სიმბოლო იქნება მოჩვენებათა, წარმოდგენათა, წარმოსახვათა, ვინ იცის ხელოვნების სიმბოლოც იყოს,

ყოველშემთხვევაში „ფერად-ფერადს“ შეეფერება, ციხარტყელას ფერებზე მთელი ვლება. ციხარტყელა მარათნაქმისა მთიშლება ერთი კუნძულიდანა, იქ ხელი იქნება, ხელი ნინასი, იმ ხელს ებურობა მარაო-ციხარტყელა; ეს იქნება ძეგლი ნინასი...

თედო ისევ ეკითხებოდა, ხელიც შეიხო, იგრძნო, ჩაესმა, გარინდებას მაინც ვერ დააღწია თავი.

შემა ტყაცუნებდა, ალი ქანაობდა, იმათი ლანდებიც ქანაობდა კედელზე. ფიქრიც ქანაობდა ლანდებსა თუ მოჩვენებებში.

ისხდნენ, მღუმარედ ისხდნენ, დაბორილებდნენ ფიქრთა ლანდებში, ფიქრთა ლანდებში წააწყდებოდნენ ერთმეორესა, ჩაიციებდნენ, წამოიწვედნენ, მუგუზლებს შეასწორებდნენ და წაპყვებოდნენ ისევ ფიქრებსა.



ჩვენს ახალსაბავსო

წერილი ბაიას

ბაია,
ჩემო კარგო ბაია,
შენ შორს ხარ ახლა,
და ჩემი სული მფარველივით
შენ თანვე გახლავს.
ამ სიშორეზე
მარტო თქვენი ხსენებით ვთბები.
და მესიზმრება
საქართველოს ცისფერი მთები.
ან რაც იქნება,
ან რაც იყო,
ანდა რაც არი,
— შენა ხარ ჩემი სამლოცველო.
ჩემი ტაძარი

სიყვარულისგან
თუ არ დარჩა ერთი მისხალი,
— ერთი მითხარი,
უშენობა აბა რით არი!?.
შენ ხელში შეგვრჩა
გაზაფხული
ჩიტის ბარტყივით,
და გაკვირვება
ასე მკაცრი, ასე მარტივი.
ბაია,
ჩემო კარგო ბაია,
შენ შორს ხარ ახლა,
და ჩემი ფიქრი უწმინდესი
სვეტივით გახლავს.

თ რ ვ ლ ი

თოვლივით თეთრი
თოვლში დგას ცხენი
და ხარბად სუნთქავს კრიალა
ზამთარს,....
და მე მაქვს ახლა ისეთი განცდა
თითქოს ეს ფერი სულია შენი.
დიდი ხანია,
დიდი ხანია
არ გამოგცვლია ასე იერი,
მე კი ეს თოვლი არ მიხარია
და არც ამ ზამთრით ვარ ბედნიერი.
ირგვლივ თოვლია
და მაღალ ფიჭვებს
სითეთრე შავი ნახშირით ხატავს,
და ჩემში იწვევს
უცნაურ იჭვებს
თოვლი

და სულის სიღრმემდე ატანს.
შენ ვიყვარს თოვლი
ისევე, როგორც
მე მიყვარს ფიქრი აგვისტოს ზღვაზე.
ამ წუთში შენ ხარ პატარა გოგო
და არაფერზე არ ფიქრობ სხვაზე.
გარეთ ღამეა
და ვარსკვლავების მომწვეანო შეუჭბე
ბრჭყვიალებს თოვლი,
და დახრილ გზაზე წვრილი ზარებით
მიღის მარხილი და რჩება ზოლი...
— დიდი ხანია,
დიდი ხანია,
არ გამოგცვლია ასე იერი,
მე კი ეს თოვლი არ მიხარია
და მხოლოდ შენით ვარ ბედნიერი.

ლია ასათიანი

ღმქსებო

• • •

მე ამ ლექსებში ამომხდება
პატარა სული
მე ხომ ქალი ვარ;
ლექსთან ნათევი ღამის შემდეგ
მთლად ფერმკრთალი ვარ.
მე ხომ ქალი ვარ,

მაგრამ განა ოდნავ მზდალი ვარ?
მე მიყვარს ლექსი რომ მომერევა;
ის ხომ ჩემია, ჩემი ღონეა.
ბუნებავ დიდო! ეს რა ძალა
მოგიგონია.

ქ ა რ თ ლ ი

საყდრის ქვებისგან წყარო,
ჭირკვი, ღარი და ღელე,
დაძარღვებული ხელი,
მზისფერი თუნგი მზეზე,
თიხაზე თიხის კოკა,
ბატების ფრთების შხაპი,

მზის ვებერთელა აბი,
შარა გაბმული თოკად,
კალო, კვერი და ხარი,
კვლავ დაძარღვული ხელი,
კუნთებმაგარი მხარი,
წყარო, ღარი და ღელე.

ღ მ გ ე

ჩვენ ავაშენეთ ოთხი კედელი,
რომ ქარისაგან
დავიცვათ თავი,
სახლს რად აგებენ,
არ ვიცი, სხვაგან,
ჩვენ კი დავხურეთ
მას სახურავი,
რომ ცივმა წვიმამ
არ დაგვაწვიმოს.
ჩვენ დავუტოვეთ
კედლებს სარკმელი,
რომ სახლში მზემაც
შემოჰყოს ხელი.
ჩვენ სახლს ბალი აქვს
ირგვლივ ბაღს ღობე.
ვინც კი ამ ბაღში
ერთხელ შემოვა,
ჩვენ შემოგვნატრის.
მეც მიყვარს ბალი,
ხავერდი ატმის,
ვაზი, ლელვებზე გადახლართული

ანაპერწყლება მოწიფულ შინდის.
თონე ქართული
და
ქა
წყლის სარკით.
მაგრამ, მე უფრო
მიზიდავს ველი,
ფართო ველები,
ტყეები ვრცელი.
ზღვა ცის კიდისკენ
დადევნებული
და მოთენთილი
უშედგობით.
მეც მომწონს ჩემი
ხასხასა ბალი
შეკრული ღობით,
რომლებიც გვანან
მიწიდან ტახის
ამოჩრილ ეშვეტს,
და მაინც უფრო
მომწონს ცხოვრება
ღობის გარეშე.

ბიოგრაფიული მონაცემები

მზა რედაქტორი სიბერძინა და სიცხადისაქენ

ორმოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მიხეილ მრეველიშვილი ქართული მწერლობის საბიუროზე გამოჩნდა. პირველი ცნობა მისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოქვეყნდა, როცა ახალგაზრდა მწერალი ოცი წლის კაბუჯი იყო.

თუმცა მ. მრეველიშვილმა კალამი პირველად დრამაში მოისინჯა. მისი სამწერლო დებიუტი მაინც ბელეტრისტიკასთანაა დაკავშირებული.

1925 წელს მ. მრეველიშვილმა მხატვრულ პროზაშიც სცადა ბედი და სულ მალე ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. პირველ შემოქმედებით წარმატებებს მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მ. მრეველიშვილს ამ დროისათვის საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონოდა დაგროვილი.

1926 წელს მრეველიშვილი ბეჭდავს თავის პირველ დიდ ნაწარმოებს რომანს „ინონ“, რომელმაც ქართულ ლიტერატურულ წრეებში დიდი შთქმამოთქმა გამოიწვია და მკითხველთა ცხოველი ინტერესის საგანი გახდა. იმ პერიოდის თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მწერალი რომანის ავტორს დიდ მომავალს უქადავდა და ლიტერატურული ახალთაობის ერთ ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენლად თვლიდა. დიდი ქართველი ბელეტრისტი მ. ჯავახიშვილი მალე შეფასებას აძლევდა ახალგაზრდა პროზაიკოსის ამ ნაწარმოებს.

1927 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მ. მრეველიშვილის მეორე ნაწარმოები — მოთხრობა „ობობა“, რომელშიც თითქოს ერთმანეთს ებრძვის ორი სრულიად საპირისპირო საწყისი — რეალისტური და მოდერნისტული პროზის ტენდენციები. ეს მოთხრობა ისევე როგორც მისი მომყოლი ნაწარმოებები „სემიდა“ და „ხავსმოდებული ნაფიტები“ ავტორის ძიებებზე მეტყველებს, სწორედ ამ ხანებში ყალიბდება ავტორის ორიგინალური სტილი, წერის თავისებური მანერა, სიუჟეტურ-კომპოზიციური წყობის თავისებურება.

1928 წელს მ. მრეველიშვილი ჟურნალ „არიფონში“ აქვეყნებს მოთხრობა „სემიდას“, რომელიც უცხოურ სინამდვილეზე იყო აგებული. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მრეველიშვილის შემოქმედებაში რეალისტური და მოდერნისტული ტენდენციების თანაარსებობის მსგავსად, შეინიშნება ერთგვარი ჭიდილი ნაციონალურ თემატიკასა და ეროვნულ გარკვეულობას მოკლებულ ნაწარმოებებს შორის, და ეს არც გასაკვირია, რადგან მოდერნისტული ტენდენციები ვერ ეგუებოდნენ ნაციონალური სინამდვილის რეალისტურ ბუნებას და „უეროვნო“, კოსმოპოლიტურ სამყაროსკენ ეწეოდნენ მწერალს. ასე, მაგალითად, „ინონში“ მეტად მჭრალად მოჩანს ეროვნული გარემო და, მხოლოდ ნაწილობრივ იგრძნობა ეროვნული ხასიათები. „სემიდასა“ და



განსაკუთრებით „ხავსმოდებულ ნაფთებში“ ეს მომენტი კიდევ უფრო მიჩქმალულია, ხოლო „ობობაში“ ეროვნული გარკვეულობის ავალი კიდევ უფრო ნაკლებად მოჩანს. ეროვნული ხასიათი და ეროვნული გარემო მ. მრევლიშვილის შემოქმედებაში მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც მწერალი რეალისტური შემოქმედების ერთგულ მიმდევრად იქცა. პირველად, ეს მკვლევრება მოთხრობაში „შიში“. სწორედ ამ მოთხრობამ მისცა დასაწყისი ნაციონალურ ხასიათებს მ. მრევლიშვილის შემოქმედებაში.

თუ გაითვალისწინებთ პირველი მხატვრული ნაწარმოების „ინონის“ გამოქვეყნების დროს (1926 წ.), რომანში დასმული პრობლემა, ეპოქის ლოკალი, სიუჟეტური ქარგა და, საერთოდ, მთელი მისი მხატვრული აქსესუარი, ერთი შეხედვით, რაღაც ანაქრონისტულ შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა ავტორის სკეპსისი და შინაგანი იდუმალების ჰამსუნისებური სიუჟეტური გამოყენება ამ ნაწარმოებს იმდენად ლიტერატურული პროცესის მაგისტრალური ხაზისაგან როგორღაც განზე აყენებდა და გარდასულ ლიტერატურულ ეპოქას უფრო უკავშირდებოდა, ვიდრე თანამედროვეობას. „ინონის“ სტილში მოღერანისტული ლიტერატურის ელემენტის და დეკადენტური სკოლებისათვის ნიშნული კარბი მგრძობელობაც შეიმჩნეოდა.

მაგრამ იდეური ჩანაფაქრის ბუნდოვანების, ლიტერატურული ვაგლენისადმი ხარკის ვაღების და ეპოქის აქტუალურ პრობლემატისაგან ერთგვარი განზე განდგომის მიუხედავად, ამ ნაწარმოებში აშკარად გამოჩნდა მოაზროვნე მწერალი, თავისებური კუთხიდან სინამდვილის ჰერკეტის საკუთარი ხელწერით და უდავო მხატვრული ნიჭიერებით. მწერალი, რომელიც თითქმის გაურბის იმ ხანის ანაჩქერებულ დღეთა დინამიკის ზედაპირულ ჩვენებას, რომელსაც შესაძლოა მცდარად, მაგრამ მაინც თავისებურად ესმის საკითხები, საკუთარი ხი-

ლვები აწუხებს, და რომელიც ყოველნაირად ცდილობს გაეთიშოს მხატვრულ რეტს.

დამწყები მწერლისათვის ბევრი რამ იყო იმხანად უცნობი და გაურკვეველი-მისი იდეური პოზიცია ვერ კიდევ მოუნახავია, ხოლო შემოქმედებითი მეთოდი — დაუდგენელი. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ავტორს ესმის ქართული სიტყვის მაღლი, ჩინებულად ფლობს ენის სტიქიას, შესწევს მხატვრული ძერწვის უნარი, აქვს ექსპრესიულობა, კომპოზიციის გრძნობა, შეუმცდარი მხატვრული ალლო. დახვეწილი გემოვნება, ხასიათების შიგნიდან გახსნის უნარა, ნაზი ლირიზმი, დაკვირვებული მახვილი თვალი, — ერთი სიტყვით, ყველა ის ატრიბუტი, რაც აუცილებელია მხატვრობისათვის. აქვე გამოჩნდა პირველად ის თვისება, რომელიც შემდეგ მ. მრევლიშვილის მხატვრული ხელწერის მოუცილებელ ნიშნად იქცა — მოვლენათა რომანტიზაციის უნარი, ამ ნაწარმოებში თავი იჩინა მწერლის სტილის კიდევ ერთმა თავისებურებამ: სიუჟეტური ხაზის ორიგინალური „გრეხვისკენ“ და გართულებულ კომპოზიციისაკენ სწრაფვამ, რამაც შემდგომ წლებში კიდევ მეტი განვითარება ჰპოვა.

„ინონი“ თავისი იდეური ჩანაფაქრით, მხატვრული შესრულებით, მთელი თავისი ავ-კარგით ოციანი წლების ქართული პროზის საგულისხმო და საყურადღებო ქმნილებაა. იყო დრო, როცა ჩვენ მეტისმეტად გამოვშიგნეთ, „შევაღამაზეთ“, არსებითად, კი გავალარიბეთ საბჭოთა ლიტერატურის ისტორია და მოგვეთეთ ყოველივე ის, რაც ოდნავ მაინც განსხვავდებოდა მეტისმეტად ორტოდოქსალურად გაგებული სოციალისტური რეალიზმისაგან. ასეთი „პურისტული“ შეუწყნარებლობის შედეგად ოციანი წლების ქართულ მწერლობის სურათი ცალმხრივი გამოდგა და სხვადასხვა სტილების, სკოლების, ტენდენციების ბრძოლამ თავისი ფაქტიური, ე. ი. მასალობრივი დადასტურება დაკარგა. „ინონი“ ერთი ნაწარმოებთაგანია, ურო-

მლისოდ ვერ დაიწერება ოციანი წლების ქართული საბჭოთა პროზის მართალი ისტორია.

ავტორი „ინონს“ უცნაურ ამბავთა კრებულს უწოდებს. ეს ვრცელი ნაწარმოები მისი მოზრდილი მოცულობისა და ავტორისეული კვალიფიკაციის მიუხედავად, ვერ მიეკუთვნება წმინდა რომანის ტიპს, იგი უფრო ვრცელი მოთხრობაა. „ინონი“ თოთხმეტი ამბისაგან შედგება. მაგრამ ცალკეული თავები („ამბებია“) არ ატარებენ ფრაგმენტულ ხასიათს, რადგან მოქმედების ხასიათითაც, მოქმედი პირებითაც უწყვეტად უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთ მთლიან დასრულებულ სიუჟეტს გვაძლევენ. თავისთავად, თვითვე ამბავში უცნაური თითქმის არაფერია. უცნაურობის შთაბეჭდილება იქმნება ასახაზავი საგნისადმი მწერლის თავისებური მიდგომით, თავისებური დამოკიდებულებით. ავტორი იდუმალების სამოსში ახვევს, რაღაც ნართაული მნიშვნელობით გადმოგვცემს ამბავს და სურათებს. მისი თხრობის მანერა (აზრის ორპოფულ-ნახევრული, ანდა გადაკრული თქმა) თითქოსდა რაღაცაზე მინიშნება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ისწრაფვის — მკითხველში მეტი ინტერესი აღძრას და საიდუმლოების ბურუსით მოცულ უცნაურ ამბავთა რკალში მოგაქციოს. უნდა ითქვას, რომ რეალისტური სახეების და დეტალების მიუხედავად, იგი ამას ახერხებს კიდევ, „ინონში“ ჰამსუნის მისტერიების გავლენის კვალიც მოჩანს.

საქართველოს ერთ პროვინციულ ქალაქს ვილაც უცნაური ადამიანი ესტუმრება და საუკეთესო სასტუმროში გაჩერდება. უცნობის ჩამოსვლისთანავე ქალაქში ათასი ჰორი დაიბრუნება. უცნობი ქალაქისთავს, თავად შარვაშიძეს, ესტუმრება და თავს დანიელ ჯაკობიად გაცნობს. ჯაკობია გარეგნულად ამაყი, უტყვი, თავდარწმუნებული და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი ჩანს. ვინ არის ჯაკობია, კონსპირირებული იატაკქვეშე-

ლი რევოლუციონერი, ავანტიურისტი, პროვოკატორი, თუ უცნაურობის მთავარი უბედის მაძიებელი? ამასვე მოთხრობის ფინალამდე ვერაფერს ვიგებთ. ქალაქის თავის ქალიშვილის, — ნაბინას დახმარებით ჯაკობია მალაროების უფროს ზედამხედველად მოეწყობა. იგი მაშინვე გაშლის საიდუმლო მუშაობას მალაროელთა შორის. მუშები მას შეიყვარებენ და დიდ პატივს სცემენ. თავის მხრივ ჯაკობია დიდი გულისხმიერებით ეპყრობა მუშებს, ასწავლის და რაზმავს მათ.

ყოველივე ამას ავტორი თითქოს სხვათაშორის მოგვითხრობს. ავტორი როგორღაც მეტად ნიუანსურად, გაკვრითი შტრიხებით გვაცნობს პერსონაჟებსაც და სიტუაციებსაც. ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვიგებთ, რომ ჯაკობია დარიბი გლენის შვილია. მას ცხოვრების მძიმე გზა გაუვლია და მრავალიც უწვალნია. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის რადიკალურად განწყობილი სტუდენტი გამხდარა და რაღაც მაღალი მიზნებისათვის უბრძოლია. ამ ბრძოლას მისთვის არაერთი ტკივილი, ტანჯვა და განსაცდელი მიუყენებია. დანიელ ჯაკობიამ თან ჩამოიყვანა რაღაც უცნაური და ასევე საიდუმლოებით მოცული სულიერი, „ინონი“, რომელიც მას გაგიჟებით უყვარს. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ინონი მაიმუნია, რომლითაც მას თითქმის მთელი ქვეყანა შემოუვლია. ჯაკობია გონიერივით ელაპარაკება მაიმუნს. და თავის ზრახვებს ანდობს. ინონთან „საუბრის“ დროს ჯაკობია იხსნის თავის ჩვეულებრივ ნიღაბს და მტკიცე, თავდარწმუნებული, გარკვეული მიზნების მოტრფილად ადამიანის მაგიერ, რაღაც ავადმყოფურ, ნერვოსტენიულ და გორბულ პიროვნებად წარმოგვიდგება. მას ქეჭნიან კომპარები, დაუქაყოფილებელი სურვილები და რაღაც საბედისწერო ცოდვები.

დანიელმა მარტო მუშების კი არა ულამაზესი ქალის გულიც დაიმორჩილა: ნაბინას თავდავიწყებით შეუყვარდა იგი. მაგრამ რისთვის მოიპოვა დანი-

ელმა ეს ორი გამარჯვება მუშებსა და შერვაშიძის ასულზე? ამაზე პასუხს ავტორი ფინალისათვის ინახავს. ნაბინა მონურ შორჩილებას გრძნობს დანიელი-სადმი. ეს უკანასკნელი კი საზოგადოებრივი აქტიობისაკენ მოუწოდებს მას და შინაგანი გარდაქმნის აუცილებლობას უქადაგებს. ჯაკობია დაითანხმებს ნაბინას გაეცნოს ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებას. დანიელი ქალს გაჭირვებულთაქოხებში დაატარებს. ფუფუნებაში ვაზრდილ ასულს თვალწინ წარმოუდგება მთელი საშინელება ჩაგრულთა ყოფისა. დანიელი განზრახ ამშობინებს ზოგიერთ დეკლასირებულს თავის წარსულს, რათა ასეთი მოგონებებით შეივისოს ნაბინას მიერ ცხადად ნახული სურათები მსაგბის დუხჭირი ცხოვრებისა და არა-აღამიანური ჩაგვრისა. ერთი ასეთი ჩართული ეპიზოდი, — მჭედელ ბაჩოს თავ-გადასავალი, დიდი ექსპრესიითა და მამხილებელი ძალით გამოირჩევა. იგი თითქოს აფართოებს მთლიანად ნაწარმოების სოციალურ ჩარჩოებს.

დანიელ ჯაკობია რაღაც ნარევი ფხიზელი რეალისტიკისა და მოფატალისტო მისტიკოსისა, დემონიური არსებისა და მებრძოლი ჰუმანისტისა, მიზანდასახული მებრძოლისა და ეჭვით დაღრღნილი სექპტიკოსისა, ნებისყოფიანი ადამიანისა და უხერხემლო ინტელიგენტისა. იგი ისევე, როგორც იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურისათვის ნაცნობი სახე-ხასიათები, ჩივის მოღლილ სისხლზე, ვადაგვარებულ წინაპრებზე, დაბერებულ რასაზე. შერვაშიძის ქალიშვილისაგან ჯაკობია მოითხოვს ჩაგრულთა რიგებში ჩადგომას, მათი მძიმე ხვედრის გაზიარებას, მათ დარაზმვას უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაბინა დათანხმდება ჯაკობიას წინადადებაზე და მართლაც აქტიურად ჩაებმება რევოლუციურ მუშაობაში. იგი ესწრება ფარულ კრებებს და აგიტაციას ეწევა. მუშათა კლასთან ერთობა, ჩაგრულთა შორის ყოფნა, მათზე ზრუნვა და ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მთლიანად გარდაქმნის თავადის ქალს.

მუშათა რევოლუციური ორგანიზაცია მზრის უფროსის მოკვლას გადაწყვეტს. დანიელ ჯაკობიას წინადადებით ამ ძნელ საქმეს ნაბინა შერვაშიძეს და ანდრეი სილინს დააყისრებენ. სილინს — რუსეთიდან გადმოხვეწილ მუშას, უციცს, მაგრამ კეთილსა და მამაც ჰაბუკს ღვთაებასავით უყვარს ნაბინა. ალბათ, ამიტომ შეარჩია ჯაკობიამ ეს წყვილი, რომ ნაბინა გამამხნეველ ძალად მოეკლინოს სილინს. ნაბინა დააბნია, საგონებელში ჩააგდო მოულოდნელმა და საშინელმა დავალებამ. იგი მთლად აფორიაქდა და წონასწორობა დაკარგა. მასში უეცრად იღვიძებს დაუძლეველი სქესობრივი ენის დანიელისადმი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ დანიელს დაკარგული აქვს მამაკაცური ძალა. ეს ამბავი კიდევ უფრო გაახლებს ნაბინას. მასში პათოლოგიური მგრძობებლობა, დაუძლეველი ავზორცობა იღვიძებს და იგი დანიელის დასასჯელად სულიერად ღატაკ მაგრამ ფიზიკურად ძლიერ სილინს დაენებდება, რომელსაც ორიოდვე წუთის წინ ღორსა და პირუტყვს უწოდებდა.

უნდა ითქვას, რომ ნაბინას სექსუალური თავაშეებულობის სცენა მეტად ხელოვნურია. აქ მწერალმა დეკადენტური ლიტერატურის ზეგავლენით გარეგნულად ექსპრესიული, მაგრამ ყალბი და დაუჯერებელი სიტუაცია შექმნა (ასეთივე დაუჯერებლად მოჩანს სცენა დანიელის ნებაყოფლობითი ტანჯვა-გვემისა, როცა იგი ერთ ახმაზ ოფიცერს თავს აცემინებს და შემდეგ კი ტყე-ღრეში გაიხვეწება და მშვიერ-მწყურვალად დაძრწის). ავტორი ზოგჯერ ძალად დრამატიზებულ და ფსევდორომანტიულ სამოსში ხვევს ჯაკობიას განცდებს. ჯაკობია სულით ხორცამდე შეძრწუნებულია ამ ფაქტით. ნახევრადშეშლილი დანიელი ნაბინას მამას მიადგება. მათი საუბრიდან ვგებულობთ, რომ დანიელ ჯაკობია საიდუმლო პოლიციის აგენტია, რომელიც მთავრობის დავალებით ვილაკ პირს ეძებს. ცნადი ხდება, რომ ჯაკობიამ გასცა ის მუშები, რომლებიც მან იატაკქვეშეთში შემოიკრიბა. მათთან

ერთად მან ვასცა ნაბინაც, რომელიც მან რევოლუციურ მუშაობაში ჩაითრია. შესაძლოა, ნაბინას წინააღმდეგ ჯაყოზიას შურისძიება ამოქმედდებდა. რადგან ნაბინამ შეარცხვინა მისი კაცობა და მის თვალწინ სხვას დანებდა. ასეა თუ ისე ადამიანი, რომელიც მკითხველს თავდადებულ რევოლუციონერად მიაჩნდა, საზოგადოებრივ გამცემი აღმოჩნდება. მოთხრობა მოულოდნელად მთავრდება: სასტუმროში დაბრუნებულ დანიელს ინიონი დაახრჩობს. ეტყობა, ჯაყოზიას სულიერმა აშლილობამ წონასწორობიდან გამოიყვანა მაიმუნი და პატრონის წინააღმდეგ გაახელა. „დაობლებული“ ინიონი ჯაყოზიას ტანისამოსს გადაიცვამს, ქუჩაში გავა და იმავე გზით გაემართება სადგურისაკენ, რომლითაც დანიელთან ერთად მოვიდა.

ავტორის რემარკა გვაცნობს, რომ ამ უცნაური ამბისათვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან ქუჩებში სამხედრო ორკესტრი ჰქუხდა და საბრძოლო ისტერიით მოცული პატრიოტული ექსტაზით გაბრუნებული მოქალაქეები სამშობლოს დამცველებს პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ისტუმრებდნენ.

რა სიმბოლიცა იმალება ამ მეტად დაუჯერებელ ფინალში? ალბათ, ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ ზოგიერთი ადამიანის არსობა, ცივილიზაციის მიუხედავად, ისევე მაიმუნის არსობად დარჩა, რომ დანიელისთანა პიროვნებები კვლავ მაიმუნურ სახეს უბრუნდებიან. სკეპტიკოსთა ეს მოძველებული დებულება მაშინაც საკმაოდ გაცვეთილი იყო, და მხოლოდ ამის თქმისთვის არ „დამშვრალა“ ავტორი. მის სიმბოლურ ფინალში ორი მომენტი მოჩანს: ვარდასული ეროვნული ტკივილებისადმი დაგვიანებული გამოხმაურება და ანტისაომარი განწყობილება. პირველი, საქართველოს ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრის გახსენებამ გამოიწვია. ავტორი თითქოს გვეუბნება, რომ დანიელისთანა დებარადირებულ და მაიმუნურ ინსტინქტებამდე დასულ ადამიანებს ხალხის

მონური ყოფა შობს. რომ დანიელისთანა ადამიანების გაჩენა ქვეყნის მუშაობაში მყოფი ხალხის მარტოობაზე ხევდრი და ტრაგედია, ამავე დროს, ფინალური სურათის პათოსი — ანტი-ხალხური ომების კრიტიკაა; ადამიანის ტანისამოსში გადაცმული მაიმუნი არაფრით არ განსხვავდება მაიმუნად ქცეულ იმ ადამიანთაგან, რომელიც ცრუ პატრიოტული გრძობით გაბრუნებულნი ერთმანეთის საელეტად ხელებს იკაპიწებენ და იმპერიალისტურ ომის ფრონტებზე უიუნიო მიემგზავრებიან.

„ინონი“ ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ახლის ძიების ერთი კონკრეტული ნიმუშია. მწერალი გრძობდა, რომ ახალი ცხოვრების ასახვისათვის საჭირო იყო ახალი ფორმა, ტრადიციული გამომსახველობითი ხერხების თამამი გადასინჯვა. მართალია, შემდგომ წლებში მ. მრევლი-შვილმა ახლის ძიება სულ სხვა გზით წაიმართა და დააკავშირა იგი არაკლასიკური ტრადიციების პირწმინდა უარყოფასთან, არამედ ამ ტრადიციების შემოქმედებით განვითარებასთან, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესთან მათ შეგუება-შეხმატკბილებასთან, ეროვნული ძირების ორიგინალურ გამოყენებასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, „ინონში“ გამოძვლავნებული ბუნტარული პროტესტი წერის მოძველებული მანერისადმი — მეტად სიმბოლური და საყურადღებო მოვლენაა ოციანი წლების ქართული ბელეტრისტიკის ისტორიაში.

1927 წელს მ. მრევლი-შვილმა დაწერა მოთხრობა „ობობა“. ეს მოთხრობა, ნიჟიერი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუდღეობელი შემოქმედებითი ინტელექტის დაძაბულ ძიებებზე გეტყველებს. ჩანს, რომ ავტორი არა მარტო ეძებს თემას, არამედ ცდილობს გამომსახველობითი ხერხებისა და ორიგინალური სტილის შერჩევა-გამომუშავებასაც. სიუჟეტის და ხასიათების რეალისტურობის მიუხედა-

ვად, მთლიანად მოთხრობა იმპრესიონისტულ იერს ატარებს. ავტორი ისეთი რაკურსით აშუქებს საგნებსა და მოვლენებს, თითქოს განზრახ გაურბის „სრულ“ რეალისტურობას. მაგრამ ავტორის განზრახვის მიუხედავად მასალა, რომელზედაც იგი წერს, ხასიათები, რომელთა სულის ხვეულებში გარკვევაც მას სურს, თავისი არსით რეალისტურია, და ამიტომ მოთხრობაში ცხადად შეიძინევა ორი ელემენტის ბრძოლა—რეალისტურისა (რომელიც შინაგანად მოსდგამს ავტორს) და მოდერნისტულ-დეკადენტური სტაილისა, რომელშიც ავტორს თავისი მასალის „გახვევა“ სურს.

მოთხრობის მხატვრული ყოვლიანობა ეკლექტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მასში ასოციაციურად იგრავობა სხვადასხვა ლიტერატურული შაბლონარეობის მწერალთა გავლენის კვალი. კერძოდ მ. ჯავახიშვილის ჰუმანიზმის (კურკას, ან ჩანჩურასანაირ ცხოვრების, გლეხთა ბედის ჩვენებით) და დეკადენტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ე. წ. „სიმახინჯის ესთეტიკისა“. აქაა პათოლოგიურობის ჩვენებით გატაცებაც, ოსკარ უაილდისებური პარადოქსალურობაც, ურბანისტული ასოციაციებიც. ლუმპენ-პროლეტარიატის ასახვის პიუგოსებური რეჟინისცენიკები და რუსული ლიტერატურისათვის კარგად ნაცნობი დეკლასირებულ ადამიანთა ფსიქოანალიზიც. ამასთან ერთად, „ობობაში“, ისევე, როგორც „ინონში“, შეინიშნება კომპოზიციური სტრუქტურის განზრახვი გრეხა და დამაინტერესებელი სიუჟეტისაკენ სწრაფვაც. ავტორი ერიდება სადა, თანმიმდევრულ თხრობას და ბევრ რამეს უთქმელად ტოვებს. გეგონება, სიუჟეტური ქარგის ინტერპოლირებას (შევსებას) მკითხველს ანდობსო.

ადამიანის მკვლევლობისათვის საპყრობილეში ჩასმული გაბრიელ შაბურა თავისი გასამართლების ამბავს

იგონებს. მოგონების გორგალს თხნდათან იხსნება და მკითხველს უახლოვნივს მიმდევრულად ეცნობას ტრანსპარენტურად ცხოვრებას, იგებს იმ მიზეზებს, რომელთაც გაბრიელი ციხეში მდებარეობის მიზეზად მიიყვანეს. ტუსადი აშკარა სიძულვილითაა განწყობილი ბურჟუაზიული მართლმსაჯულების ფარისევლური კანონიერებისადმი. ნაადრევად დაობლებულ გაბრიელს მძიმე და უსინათლო ბავშვობა ჰქონდა. ჯერ კიდევ ნორჩი ყრმა იყო, როცა შიმშილია ლუკმა პურის საქებრად კარში გამოაგდო და ქუჩის გერი გახადა. განაწამები ბავშვი მოხეტიალე აკრობატმა შეივრდომა, და მას შემდეგ მაწანწალა კლოუნი და საოცრად მახინჯი შაბურა სამუდამოდ დაძმობლდნენ. ქუჩა-ქუჩა ხეტიალით, ტაკიმასხარობით ისინი პურის ფულს აგროვებდნენ და ბედის კმაყოფილნი იყვნენ. თავისი საშინელი სიმახინჯით შაბურა პიუგოს კვაზიმოდოს გეგონებს. ისევე, როგორც კვაზიმოდო, შაბურაც მოკრძალებული, პატროსანი და წმინდა ბუნების ადამიანია. ცხოვრების ქუჩქმავერ წაბილწა იგი. ქუჩის აკრობატმა მეტსახელად „ციგან გოგიაში“ თავისი გულთბილი მოქცევით კიდევ უფრო სათნო და მოყვარული გახადა შაბურა და მას ჯერაც განუცდელი მშობლიური სითბო აგრძნობინა.

შემდგომში მოთხრობის სიუჟეტი აჩქარებული ტემპით ვითარდება. მოხუცი გოგია ჯამბაზი უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება და იღუპება. ხელმეორედ დაობლებული და სასოწარკვეთილებამდე მისული შაბურა თავის მოკვლას გადაწყვეტს, მაგრამ წყალში გადავარდნას ვილაც უცნობი ქალი დაასწრებს. შაბურა გონს მოეგება და ქალს გადაარჩენს. კეთილშობილი ბუნების გაბრიელს შეუყვარდება მის მიერ გადარჩენილი კობტა ალა, რომელსაც შეივრდომებს და მარჩენლად გაუხდება. ქალს კი მხატვარი თემური უყვარს. ალას

პყავს სულით ავადმყოფი ძმა — ჯუნო, რომელსაც მუდამეჟმს უზარმაზარი მწვანე ობობა ეზმანება. იგი სულ იმის ცდაშია, რომ ალა ობობასაგან დაიცვას. მხატვარი შეიტყობს ამ ამბავს და უცნაური სიუჟეტით გატაცებული დახატავს ალას, ვაბმულს ობობას ქსელში. როცა ჯუნო ამ საშინელ სურათს დაინახავს, უსაზღვროდ აღელდება და მხატვარს დააღრჩობს. მაგრამ გულმოწყალე შაბურა მკვლელობას დაიბრალებს, რათა ალას ძმა სასჯელისაგან იხსნას. შაბურას ვაასამართლებენ და სიკვდილს მიუხედავად, მსჯავრდადებული გაბრიელი საპატიმროში კიდევ ერთხელ იგონებს მთელ თავის წარსულს, და სწორედ ეს მოგონებაა „ობობას“ ზემოდგადმოცემული სიუჟეტი.

როგორც ვხედავთ, ავტორი საკმაოდ უცნაურ სიუჟეტს თხზავს, თუმცა არარეალური და ირაციონალური მასში არაფერია. სიუჟეტის ნაკლები ცხოვრებისეულობის მიუხედავად, მწერალმა შთამბეჭდავად გვიჩვენა ფსიქოლოგიურად სწორად მოხაზული ხასიათებიც და ძველი ყოფის ამსახველი სურათებიც, დაბეჩავებულ ადამიანთა მართალი პორტრეტებით. ქართული თვალსაზრისით „ობობა“ უფრო ნოველის ტიპს უახლოვდება (მოქმედ პირთა სიმცირით, დასრულებული საინტერესო ამბით, ლაკონიურობით) და სათავეს უდებს მ. მრევლი-შვილის ნოველების იმ ციკლს, რომელიც მან მრავალი წლის შემდეგ შექმნა. ექსპრესიულმა გამოკვეთილობამ, სურათის შთამბეჭდაობამ და მძაფრად დრამატიზების უნარმა, როგორც მრევლი-შვილის პროზის ნიშანდობლივმა მხარეებმა, აქაც გარკვევით იჩინეს თავი.

„ინონსა“ და „ობობასთან“ შედარებით „სემიდა“ (1928 წ.) თავისი მხატვრული ფორმითაც უფრო რეალისტური ნაწარმოებია, სადა, მართალი თხრობით, ბუნებრივი ხასიათებით, დამაჯერებელი სიუჟეტით და მკვეთ-

რი იდეური მიზანდასახულებით. მაგრამ ეს ნაწარმოები დაწერილი უცხოურ მასალაზე, შექმნილია ერთმწერლის პირადი დაკვირვების შედეგად, არამედ ლიტერატურულ წყაროთა მეშვეობით, ამიტომ იგი ერთგვარად მოკლებულია ორიგინალურ სიახლეს. მაგრამ ამასთან ერთად, „სემიდა“ ფრიად საყურადღებო მოვლენაა: ეს ის ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა პრიზაში, რომელიც საქართველოსაგან მიტაცებულ მიწა-წყალზე ქართველთა ცხოვრებას ასახავს და მათი ჩაგვრა-შევიწროების მხილვას ისახავს მიზნად.

მოქმედება იშლება საქართველოსაგან მიტაცებულ მიწა-წყალზე. მთებშია მიყუჟული პატარა დაბის მედუქნეს მოხუც ნიზამის ყავს გასათხოვარი ქალი — სემიდა, რომელიც განთქმულია თავისი სილამაზით. ქალს ქართველი ვაჟაკი ჭემალი უყვარს, ჭემალი ღარიბი, მაგრამ პატიოსანი და მოხდენილი ახალგაზრდაა. სემიდაზე თვალი უჭირავს მდიდარ ვაჭარს ომარ ბეგს, რომელმაც მევაშის ქსელში გააბა მოხუცი ნიზამი, და საკმარისია მცირე საბაბი, რათა ვერაგმა ომარ ბეგმა გააკოტროს და მათხოვრად აქციოს სახსარმოკლებული მოხუცი. გაიძვერა ვაჭარი შესძლებს მოხუცის მოტეხვას, ხოლო სემიდას დანიშნულს, — ჭემალს სტამბოლში გაგზავნის და იქ ვერაგულად დააპატიმრებინებს. მამაცი და შეუპოვარი სემიდა ომარ ბეგის იერიშებს იგერიებს. განრისხებული ბეგი გააკოტრებს ნიზამის და სახლიდან გაძევებასაც უქადის. მამის მუდარით მოტეხილი ქალი თანხმდება ომარ-ბეგის ცოლობაზე, მაგრამ ქორწინების ღამეს გაიპარება და თან ბეგისაგან ნაჩუქარ სამკაულებს წაიღებს, რათა ჭემალი პატიმრობიდან გამოისყიდოს. ზამთრის უგზოობაში ქალს გეზი შეეცვლება, და უფსკრულში გადაიჩეხება. ასე ტრაგიკულად მთავრდება

ეს მოთხრობა, რომელიც თურქეთის დატაკი მოსახლეობის ტრაგიკულ ყოფას გვისურათებს.

მოთხრობა ყურადღებას იქცევს ნათელი სტილით, მეტყველი სურათებით, ძარღვიანი, ხატოვანი ენით, ოსტატურად დრამატიზებული სახეებით და კარგად დაპერილი აღმოსავლური კოლორიტით. ამ ნაწარმოებით ავტორი კიდევ უფრო დაუახლოვდა რეალისტური ლიტერატურის შემოქმედებით საფუძველს და გეზი აიღო ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებისაკენ. ამ მხრივ, „სემიდა“, „შიშის“ უშუალო წინამორბედი.

1929 წელს ეურნალ „მნათობში“ ქვეყნდება მისი ახალი მოთხრობა „ხავსმოდებული ნაფოტები“.

ამ მეტყველი და აშკარად ტენდენციური სათაურით (რომელშიც ავტორის შემფასებლური პოზიცია მოჩანს) მან მონათლა ამბავი განადგურებულ კლასთა იმჟამინდელი ცხოვრებისა. ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა ოდესღაც პრივილეგიური წოდების ადამიანები, რომელნიც ქარიშხალმა ძირფესვიანად მოთხარა და რომელნიც თუმცა, სიძულვილით არიან საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გამსუვალული, მაგრამ რევოლუციის გამარჯვებამ ჩაკლა მათში აქტიური ბრძოლის უნარი და დეკლასირებულ, სულიერად და ფიზიკურად გადაგვარებულ სუბიექტებად აქცია. ეს გასაცოდავებული და ზნედაცემული პიროვნებები, მართლაც არიან ხავსმოკიდებული და აშშორებული ნაფოტები, განახლების ტალღის მიერ ცხოვრებისაგან შორს გარიყული.

მ. მრეველიშვილის ეს მოთხრობა სადღაც ეხმაურება ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეების“ თემაზე აგებულ ნოველებს, მიუხედავად იმისა, რომ დროის ლოკალი მათში სულ სხვადასხვაა. აქაც იგივე სიმწირის და დაცემა-გაფერანების სურათია დახატული, მაგრამ თუ პირველ შემთხვე-

ვაში მკითხველში სევდა და სინანული ისადგურებს, მეორეში კი ძველი ნგრევა იმ დადებით მოკლევადიან მომენტება, რომელიც აუცილებელია ცხოვრების განახლების, მისი გაუმჯობესების და შშორიანი, ხავსმოკიდებული სინამდვილისაგან განთავისუფლებისათვის.

ქალაქის განაპირას, რკინიგზის დარაჯის დანგრეულ ჯიხურში ცხოვრობს დატაკი და უთვისტომო მოხუცი, გამვლელებმა მას ბარაი-იაბური შეაჩვენეს. ამ მოთხოვრად ქცეული ადამიანის მოგონებები კომშარს ემგვანება. ამ მოგონებებიდან ვიგებთ, რომ იგი არის მეფის რუსეთის ყოფილი მინისტრი — გრაფი ემანუილ გარბო. სიზმარივით გაიქროლა მისმა ბედნიერმა ცხოვრებამ, ესოდენ მდიდარმა სიხარულითა და ზეიმით. ოდესღაც გაზულუქებული და გაამპარტავებული არისტოკრატი, რევოლუციის დროს, უცხოეთში გახიზნული და ულუკმპუროდ დარჩენილი გაქირვებას ვერ აიტანს და ვიღაც გარყვნილ სტამბოლელ ბეგს თავის მცირეწლოვან შვილსაც კი მიჰყიდის. ავტორი დიდი ექსპრესიითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვახედებს ამ ნაკაცარის წაბილწულ სულში, რომელშიც ძველი ცხოვრებიდან გადმოსული ჩვევები უფრო მტკიცედაა ფესვადგებული. ვიდრე ადამიანურობისა და პატიოსნების თვისებები. ღამურასავით ამოძვრება ზოლმე ნამინისტრალი გრაფი თავის ჯურღმულიდან, რომ ქალაქის მეორე მხარეს, ნესტიან სარდაფში მცხოვრები ყოფილი კნენა იბილოს და დახეულ მაზარაში გახვეული ყოფილი მწერლის საზოგადოებაში ორიოდ წუთი გაატაროს. ადამიანს, რომელმაც საკუთარი შვილი საროსკიპოში გაყიდა, სტუმრად უსაჩუქროდ მისვლისა ერიდება; იგი ქაშვეთის ეკლესიაში დასვენებულ მიცვალებულს ეუბოდან თაიგულს აართმევს, რათა ყოფილ კნენას მიართვას! მიხუც

ერაფს სტამბოლში გაყიდული შვილი უბრუნდება. იგი ჯანგატეხილი, სულეორად გამოფიტული ადამიანია, თუმცა მამამისზე უფრო სწორად ერკვევა სიტუაციაში. მან იცის, რომ ახალი ცხოვრება დაუმარცხებელია. მას აქვს სურვილი შრომისა და საბჭოთა სინამდვილესთან შერიგებისა. იგი დაუნდობლად ამხელს მამასაც და მის გადაგვარებულ კლასსაც. მამას უნდა შვილი ბრძოლის იარაღად გამოიყენოს. როცა დააწყებდა, რომ იგი მებრძოლად აღარ ივარგებს, ხიდიდან გადააგდებს მას, თვითონ კი გიჟდება. ასეთია ფინალი ამ მოთხრობისა, რომელიც ზოგიერთი მისი პასაჟის ხელოვნურობის მიუხედავად გამოირჩევა მძაფრი საღებავებით, საინტერესო სიუჟეტით, მკაფიო და ექსპრესიული სახეებით.

ეს ნაწარმოები ერთი ყველაზე შთაბეჭედავი სურათია „ნაკაპართა“ ყოფისა ოციანი წლების ქართულ მწერლობაში. პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მოტივაციის სისრულით, მას, „ობობასთან“ ერთად ახალი ელემენტი შეაქვს მიხ. მრეველიშვილის შემოქმედებითი ევოლუციის პროცესში. თავისი ამ მოთხრობებით მწერალი ამთავრებს თემას, რომელიც ოციანი წლების ნახევარში ტრადიციულად იქცა ქართული მწერლობისათვის. თემას ექსპლოატატორული კლასების განადგურებისა, ძველი ცხოვრების რღვევისა და ოდესღაც პრივილეგიებულ წოდებათა ნარჩენების სასიკვდილო აგონიისა.

მ. მრეველიშვილის მკვეთრი შემოქმედებითი ევოლუცია, მისი მტკიცე დაახლოება თანამედროვეობის თემასთან ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოხდა. ეს ახალი ეტაპი მ. მრეველიშვილის შემოქმედებით მუშაობაში იწყება 1932 წლიდან, როცა იგი წერდა მოთხრობას „შიში“. მწერლისათვის ეს მოთხრობა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვების პირველი ნიმუშია. „შიში“ ცხადყოფდა,

რომ მწერალი ახალი იდეურ-მხატვრული ამოცანების გადაწყვეტისკენ ისწრაფოდა და თავის სამწეველურ მანერას მიაწვდიდა სოციალისტური სინამდვილის მხატვრული ასახვის სამსახურში აყენებდა. თუ მრეველიშვილის აღრინდელი ნაწარმოებები შემამხადებელ საფეხურს წარმოადგენდნენ და ახალგაზრდა მწერლის ძიების ხანას გამოხატავდნენ, „შიში“ იწყება მ. მრეველიშვილის როგორც საბჭოთა მწერლის ნამდვილი შემოქმედებითი აღმავლობა.

ამ მოთხრობაში მწერალი შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომელნიც თემატურად იმდროინდელი ქართული მწერლობის სასიცოცხლო პრობლემებს წარმოადგენდნენ. ესაა ახალი საბჭოთა ხასიათის ფორმირების, საბჭოთა ადამიანის შრომისაღმის ახლებური დამოკიდებულების და საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ასახვა. „შიში“ სწორედ ამ პრობლემების რკალში ტრიალებს. მიხ. მრეველიშვილი დამამახსოვრებლად გვიჩვენებს, როგორ აყვითლდნენ უნდა ადამიანს, როგორ ამდიდრებს მის სულიერ სამყაროს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა, რა გარდამქმნელი ძალა აქვს კოლექტივთან მჭიდრო ურთიერთობას, რაოდენ ცხოველყოფელია ხალხთან ურღვევი კავშირი და რა მორალურ კმაყოფილებას იწვევს ადამიანში ხალხის სასიკეთო, უანგარო საქმიანობა.

კახეთის ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — გვარად არტანელი, ავტორიტეტული და მკოდნე მეთაურია. ამ გამოცდილ ორგანიზატორს ყველა პატივსაცემს. ამასთან, არტანელი საოცრად გულჩათხრობილი ადამიანია და წარბს არავის უხსნის. ბევრს უყვირს თავმჯდომარის იდუმალი დარდი და ვანდგომილება, და ამას მისი ხასიათის უცნაურობით ხსნიან. ერთ დღეს კოლმეურნეობას საშეფო ორგანიზაციის მე-

თაურები ესტუმრებიან. დელეგაციას ხელმძღვანელობს დიდი საწარმოს პარტიბუროს მდივანი ხვადარელი. რომლის დანახვა ლაფათურელ თავმჯდომარეს მოსვენებას დაუკარგავს და მის ბედსაც სულ სხვაგვარად შეატრიალებს. თურმე, არტანელი, ღარიბი, კახელი გლეხი, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ლუკმა-პურის ძიებაში ქართლში მოხვედრილა. ერთ-ერთ მემამულეს მოსწონებია საზრიანი და ენერგული ქაბუკი და მოურავად დაუყენებია. არტანელი თავადის ქონების ერთგული დამცველი გამხდარა და ვინ იცის, რამდენი გლეხის ოჯახი დაუწყოებია, რამდენისათვის წაურთმევია უკანასკნელი სარჩო-საბადებელი. რევოლუციის შემდეგ არტანელი კვლავ კახეთში გადაბარგებულა და იქ როგორც გამოცდილი ადამიანი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ. აი, ამ ხნიდან იგრძნო მან შიში და გულდაგულ იწყო წარსულის მალვა, მაგრამ ხვადარელში თავმჯდომარე ერთ იმ ღარიბ-ღატაკთაგანს შეიცნობს, რომელიც მას, ციციანთ მოურავად ყოფნისას არაერთხელ გაუწამებია ღალითა და გადასახადით. ამიტომაც აფორიაქდა ლაფათურელი თავმჯდომარე შეფების დანახვისას. ბოლოს იგი დროს დაიგულღებს, ძალას მოიკრეფს და ხვადარელს თავის აღსარებას ეტყვის: „სოფლის სიკეთემ გამოიტაცა... მეც დამათვასეს, მერე კი გვიან იყო. სირცხვილი მკლავდა, კრიჭას მიკრავდა“. კომუნისტმა ხვადარელმა ხელი არა ჰკრა არტანელს. პირიქით, სწორ გზაზე დააყენა: ურჩია ხალხს განდობოდა. თავმჯდომარემ სითამამე იგრძნო; მან კოლმეურნეობასა და რაკომს თავისი წარსული დაუფარავად აუწყა. ხალხმა გულთბილობა გამოიჩინა კარგი მუშაკისადმი, რომელმაც თავისი შრომით წარსული გამოისყიდა. მართალია, იგი თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ კოლმეურნეობაში დატოვეს და მუშაობის სა-

შუალება მისცეს. სწორედ ამას ნატრობდა არტანელი. თანასოფლელთაგან შეწყყნარებული იგი, მთლად გადუხალისდა, წელში გაიმართა, გულიდან მძიმე მქენჯნავი ლოდი მოსწყდა. „და მთელი არსება რალაც გამოუცნობი სიხარულით აუვსო“.

„შიში“ საკოლმეურნეო ცხოვრების ერთი უბნის რეალისტური სურათია. მოთხრობაში ვხვდავთ საბჭოთა ადამიანების ცოცხალ, მართალ სახეებს, დამაჯერებელ სიუჟეტს, დახვეწილ რეალისტურ სტილს. თუ მრეკლიშვილის პირველ მოთხრობებში იშვიათად ვხვდებოდით ბუნების სურათებს, პოეტობირებულ პეიზაჟებს, რაც ესოდენ ნიშნეულია მისი შემდგომდროინდელი შემოქმედებისათვის, ამ მოთხრობაში მოცემულია ოსტატურად დახატული სურათები ალაზნის ველისა, კახეთის ხვადარელი ხოდაბუნებისა, საკოლმეურნეო ზვრებისა, მსუქანი შემოდგომისა. ასეთივე ევოლუცია განიცადეს მწერლის მხატვრულმა დეტალებმაც. თუ ადრეულ მოთხრობებში ისინი აბსტრაქტულად და სილუეტურად მოჩანდნენ, ახლა ყოველმა მათგანმა თავისი სახე მიიღო, სათანადო განათებით, ბუნებრივი რაკურსით და გარკვეული დანიშნულებით. მკვეთრი და ნათელი გახდა ეროვნული კოლორიტიც. თუ მრეკლიშვილის ადრეულ ნაწარმოებებში მოქმედება ხშირად ეროვნულად ნაკლებგარკვეულ გარემოში მიმდინარეობდა და პერსონაჟებიც უპირატესად დენაციონალიზებული, ან არაქართველი ეროვნებისანი იყვნენ, აქ უკვე ქართველი ადამიანების მართალ სახეებს ვხვდებით, ნამდვილი ეროვნული სპეციფიკით და ნაციონალური ხასიათის მთელი თავისებურებებით. ცვლილება შეიმჩნევა აღწერილ ადამიანთა სოციალურ და ფსიქო-ფიზიკურ მონაცემებშიც. დეკლასირებულ, ან განადგურებულ კლასის გადაგვარებულ წარმომადგენელთა ნაცვლად, პათოლოგიური და მახინჯი არსებების ნაცვლად, აქ

მოქმედებენ ჯანსაღი, სრულყოფილი პიროვნებები თანამედროვე ადამიანთა ტიპური ნიშანთვისებებით, მაღალი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი თვითშეგნებით. ავტორი წარმატებით მიმართავს მხატვრული ხასიათებისა და მდგომარეობების ტიპიზაციას, რაც მისი მეთოდის გარდაქმნაზე მიგვიჩივებს. აქვე ვხვდებით წერის ინდივიდუალური მანერის, მრეველიშვილის ორიგინალური სტილის იმ ნიშნებსაც, რომელნიც ასე მკვეთრად გამოვლინდნენ მისი გვიანდელი ხანის ნაწარმოებებში, კერძოდ, მასალის რომანტიზაციის უნარსა და ხასიათთა დრამატიზების თვისებას.

მართალია, მოთხრობას ჯერ კიდევ მოსდგამს ზოგიერთი ნაკლოვანება, (სათანადოდ არ ჩანს კოლმეურნეთა მასა, გეხვდება აღწერითი ხასიათის ფრაგმენტები, შემდორებული თხრობით და სენტიმენტალური აღფრთოვანებით, განსაკუთრებით საკოლმეურნეო დოვლათის აღწერის დროს), მაგრამ ყოველივე ეს არაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ „შიში“ დაწერილია 1932-33 წელს, როცა ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატურას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაო გამოცდილება საბჭოთა ხასიათების ჩვენების საქმეში. ჩვენი მწერლები მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ დაუფლებულნი ადამიანური არსობის უმთავრესი გამოვლინების — შრომის ჩვენებას და შრომით პროცესების ასახვას, მაშინ საკოლმეურნეო მოძრაობა ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე იმყოფებოდა, და მწერლებს არ გააჩნდათ არც მისი სპეციფიკის ღრმა ცოდნა და არც პერსპექტივების ნათელი ჰერეტიკა. მიუხედავად ამისა, მიხ. მრეველიშვილმა კარგად შესძლო საკოლმეურნეო ცხოვრების დიდი მიმზიდველობითი ძალით ჩვენება და სოციალისტური შრომის პათოსის გადმოცემა.

1944 წელს, თითქმის ათწლიანი სიჩუმის შემდეგ, გახეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა მ.

მრეველიშვილის მოთხრობა „ქოროს ზარნიშოანი ხანჯალი“, ერთმდღეობისა-მამულო ომის თემას ეხებოდა და დაიწყო დან იწყება მის. მრეველიშვილის შემოქმედებით მოღვაწეობის მეორე პერიოდი, აღბეჭდილი თვალსაჩინო იდეურ-მხატვრული მიღწევებით და შემოქმედებითი წარმატებებით.

1946 წელს მ. მრეველიშვილმა დაწერა და გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა „ხარატანთ კერა“.

„ხარატანთ კერა“ მ. მრეველიშვილის საუკეთესო მხატვრული ქმნილებაა. ეს ჰუმანიტად მაღალიდევური და მაღალმხატვრული ნაწარმოები არა მარტო მისი ავტორის, არამედ მთელი ომის შემდგომი ქართული პროზის სასიხარულო მიღწევა და თვალსაჩინო მონაპოვარია. მისი სრულყოფილობა, ისევე როგორც შინაარსობრივი და ფორმისეული თავისებურებანი, მდიდარ მასალას იძლევა ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზისათვის, მაგრამ წერილის მოცულობა გვაიძულებს შევიზღუდოთ მხოლოდ ზოგადი შეფასებით, მით უმეტეს, რომ მ. მრეველიშვილის ეს ნაწარმოები არა ერთი კრიტიკული წერილისათუ ნარკვევის ობიექტი ვახდა, რის შედეგადაც ფართოდ იქნა განხილული და ერთხმად აღიარებული თანამედროვე ქართული ბელეტრისტიკის უდავო შენაძენად.

პირველი, რაც თვალში გვეცემა ამ ნაწარმოების კითხვის დაწყებიდანვე, ესაა მასში ასახული ხასიათების და სიტუაციების დიდი ცხოვრებისეული სიმართლე. განზოგადებულებასთან ერთად (განზოგადებულება კი ამ ვრცელი მოთხრობის პერსონაჟებს ფართო ეროვნულ და სოციალურ წარმომადგენლობას ანიჭებს), ისინი განირჩევიან მდიდარი ინდივიდუალური თავისებურებებით, განუყოფელი საკუთარი სახით. ასეთივე მართალი და ღრმავაროვანია დრამატიზმით აღსაყვანი სიუჟეტური მდგომარეობანი, რომელნიც არა მარტო გადმოგვცემენ რეალური ცხოვრების

დინამიკას, მის პათოსს და განმსაზღვრელ მოვლენებს ომის შემდგომი ქართული სოფლის ყოფისა, არამედ ქმნიან მოხერხებულ არეს პერსონაჟთა სამოქმედოდ, მათი შინაბუნების გამოსავლინებლად. სიუჟეტური ქარგისა და ხასიათების შინაბუნების სრული შეთანხმებულობა — მხატვრული სიმართლისა და დამაჯერებლობის ბეჭედს ასევე მთელ თხზულებას და იძლევა მდიდარ შესაძლებლობას მოქმედ პირთა განცდების, მათი ქცევისა და მოქმედების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირებისათვის. ფსიქოლოგიური დახასიათების სისრულე კი ზრდის შთაბეჭდობას, ამასთან ისე, რომ სრულიად არ ამცირებს ნაწარმოების შინაგან დინამიურობას, არ ანელებს თხრობის ტემპს, არ აკინებს მის დამაინტერესებლობას. სწრაფადღენადი სიუჟეტის შერწყმა ხასიათთა ფსიქოლოგიურ წამახვილებულობასთან — პროზაიკოსის ოსტატობის უტყუარი საბუთია. განზოგადებისა და ინდივიდუალიზაციის უნარი კი მოვლენათა და სახეთა ტიპიზირების სანაქებო თვისებაზე მიუთითებს. სწორედ ამას ეყრდნობა ის დიდი სიმართლე, რომელიც ამ ნაწარმოებს მოსდგამს.

„ხარატანთ კერა“ მაღალი მხატვრულობით არის აღბეჭდილი, ნაწარმოებში ვერ შეხედებით ამბის სადავემიშვებულ ვადმოცემას, მშრალ ეპიურ მომთხრობელობას. ყოველი ფრაგმენტი, სიუჟეტის ყოველი რგოლი სახეობრიობით, ქვეტექსტურობით და სიმბოლურობით გამოირჩევა. ყოველი დეტალი თავის ადგილზეა. აქ არაფერია ზედმეტი, ან ხაზგასმულად წინწამოწეული. მომჭირნობა ფერებში, სიძუნწე მხატვრულ აქსესუარში, თავდაქერილობა სიტყვიერ მასალაში, ხვარეილობა განცდაში — ასეთია მწერლის მიერ თავიდანვე აღებული გეზი, რომელიც არსად არ ირღვევა და არც ერთხელ არა მრუდდება. ეს ნაწარმოები კომპოზიციურადაც უადრესად შეკრული და მწყაზარია. კომპოზიციური მთლიანობა ისევე,

როგორც სიუჟეტის დამაინტერესებლობა და შინაარსობრივი ტივედობა მის მაღალმხატვრულობის ეტეხ მოქმედებაშია. „ხარატანთ კერა“ ძლიერი ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. ეს კოლორიტი არ მომდინარეობს მხოლოდ ენობრივი ქსოვილიდან, არამედ, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, თვით ასახულ ხასიათთა ნაციონალური სპეციფიკურობიდან. პერსონაჟთა უმრავლესობა ნაციონალური ხასიათის სრული გარკვეულობით, დასამახსოვრებელი ეროვნული შეფერადებულობით გამოირჩევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის რომანტიული ელფერი, რაც ესოდენ დამახასიათებელია მ. მრეველიშვილის სხვა თხზულებებისათვისაც, და, განსაკუთრებით, ამ მოთხრობისათვის.

ძლიერ და აქტიურ ეროვნულ კოლორიტს უწყვეტად უკავშირდება ის ხალასი ხალხურობა, რომელიც საბჭოთალიტერატურის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ პრინციპს წარმოადგენს და რომელმაც ამ ნაწარმოებში მეტად დასამახსოვრებელი და სრულყოფილი პრაქტიკული რეალიზაცია პპოვა. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ „ხარატანთ კერას“ ყოველი სახე და დეტალი ქეშმარიტი ხალხურობითაა გაქღნითილი.

რაც შეეხება „ხარატანთ კერას“ ენასა და სტილს, ამ მხრივ, იგი დახვეწილი და მიშვიდველია. ნამდვილი ძარღვიანობა, მოქნილობა და გამომსახველობა, სალაპარაკო ენის უშრეტი რესურსების უნარიანი გამოყენება, ენის სტიქიის სრულყოფილი ცოდნა, მისი სიწმინდე და სიკამკამე ამ ნაწარმოების ენასა და სტილს საინტერესო მოვლენად აქცევს.

„თბილისურ ნოველებს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მ. მრეველიშვილის შემოქმედებაში. მცირე ფორმის ნაწარმოებთა ეს ციკლი ფრიად საყურადღებოა თანამედროვე ქართული ლიტერატურული პრაქტიკისათვის, კერძოდ,

ჩვენი პროზის მხატვრულ-სტილური მრავალფეროვნების ზრდისათვის. „თბილისური ნოველები“ სრულიად სხვადასხვა თემაზე შექმნილ და სხვადასხვა მიზანდასახულობის ნაწარმოებებად გვევლინება. ერთ ციკლად მათ აერთიანებს არა გამჭოლი იდეურ-თემატური კონცეფცია, არამედ სტილური თავისებურებანი. ავტორმა მიზნად დაისახა ძველი ქართული პროზის ტრადიციებზე დაყრდნობით, განსაკუთრებით კი სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკების ლაქონური სტილის გათანადროვლებამოდერნიზების გზით, — მხატვრული თხრობის დინამიური, ლაპიდარული, მოქნილი და მეტყველი ფორმის შემუშავება. ავტორი ისწრაფვის ფრაზის მარტივი, სადა და ნათელი კონსტრუქციებისაკენ, რომლებშიც ორგანულად იქნება შესამებული მდიდარი ქართული იდიომატიკა, განუმეორებელი ეროვნული კოლორიტი და თანამედროვე ენის მდიდარი ლექსიკა. მწერალი ისწრაფვის არა ენის არქაიზაციისაკენ, ძველი ნორმებისადმი დაბრუნებისაკენ, ძველი კონსტრუქციების კოპირებისაკენ, (რაც ერთგვარი ემოციური ეფექტის მიუხედავად, საბოლოო ანგარიშში მარცხსათვისაა განწირული), არამედ ძველი ქართული მხატვრული პროზის სანაქებო თვისებების აღდგენისაკენ, — სისადავისა, ვასაგებითობისა, ძარღვიანობისა და გამომსახველობისაკენ.

ამრიგად, „თბილისურ ნოველებში“ მის. მრველიწილი ორიგინალური გზით მიდის და მისი ცდებიც არაერთი დაკვირვებისათვის იძლევა მასალას. მართალია ციკლი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია, ამიტომ რაიმე კატეგორიული მსჯელობა ნაადრევია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მწერლის მიერ აღებული გეზი მრავალ საინტერესო შედეგს გვიქადის და კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების კონკრეტულ ფაქტად გვევლინება.

„თბილისური ნოველების“ ციკლი ეჭვს დამოუკიდებელი ნოველისაგან შედგება.

ზოგიერთ მათგანს ნოველს მხოლოდ პირობითად თუ შეერქმევა, რადგან დასაჯავ არა გვაქვს ამ თანრისათვის სიუჟეტური გამოკვეთილობა, და ეტიუდური ელემენტაც მათში ფრიალ მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ასეთია მაგალითად „კობტა ბიჭი და მინანქრის ლარნაკი“). მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ნოველაში მკაფიოდ მოჩანს ხალხურობის ღრმა შეგრძნება, ძველი იგავ-არაკებისათვის ნიშნული სისადავით, ლაქონურობით და მხატვრულ-სტილური ორიგინალობა. პირველ ნოველაში გადმოცემულია ოქრომჭედლის შეგირდის, კობტას ამბავი. ნიჭიერი ყმაწვილი შთაგონებული მუშაობით დიდი ოსტატის სახელს მოიხვეჭს და განსაკვირებელ ლარნაკს შექმნის. კითხულობ ამ თხზულებას და გსურს, ხალხურ შემოქმედებას ისეთი ნიჭიერი გამგრძელებელი მოველინონ, როგორც კობტა. ავტორისეული იდეის თანახმად, არცერთი ხალხური ტრადიცია, არ უნდა დაიკარგოს უკვალოდ, რათა ყოველი მათგანი ახალი დროისა და ამოცანების სამსახურში ჩადგეს; თვით ეს ნოველაც ძველი პროზის კარგი ტრადიციების ასალ ამღერებად გვევლინება.

ფილოსოფიური სიღრმით გამოირჩევა დედაბაზრი ნოველისა „ქალი, იასამანი და კატა“, რომელშიც ადამიანური ბუნების და მისწრაფებების ძალაა ცხადყოფილი. ამ ნოველაში ისევე, როგორც შესანიშნავად დაწერილ „აქიმსა და ხუროში“, კიდევ უფრო გამოკრისტალდა „თბილისური ნოველების“ ლაპიდარული და სპეციფიკური სტილი. ამ უკანასკნელში საოცარი სიმახვილითა და ორიგინალობით, ამასთან წმინდა მხატვრული ხერხებითა და ქვეტექსტური სახეებით ნაჩვენებია ის სიივე, რომელიც კაცთათვის გაყოყლოჩინებას და გაამპარტავნებას მოაქვს. ეს ორგვერდიანი ნაწარმოები ხელოვანთა თავმდაბლობის, ხალხთან მათი ერთობის და სულიერი უბიწოების ნამდვილ მხატვრულ ქადაგებად გვევლინება. „თბილისური ნოვე-


ლები“ მახვილი დიდაქტიკითაც გამოირჩევა. მაგრამ ეს დიდაქტიკა არაა ავტოციურად მყვირალა და რეზონერული. იგი ორგანულად ერწყმის ნაწარმოების იდეას. ასეთია, მაგალითად, „ორი მესვეურისა და თავთუხის ამბავი“, „ქოსა და აქოსა“ და სხვა. აი, როგორი სახეობრიობითაა გახსნილი ერთ-ერთი ნოველის იდეა: „ხორბალში სარეველა ერევა და სარეველაში ხორბალი არა“, ამიტომ „სიკეთე სთესე და არ შეგეშინდეს, თუ რამ სიბოროტე შეერიოს შენი სიკეთის ყანას. სიბოროტეს კი ნუ იქმ, რადგან სიბოროტის ყანას სიკეთე არ შეერევა, როგორც სარეველას ხორბლის თავთავი“. მდიდარი სიმბოლიკით და მიმზიდველი ლირიზმით გამოირჩევა „მებადური და ფეიქარი ქალი“, რომელშიც ნაჩვენებია ის ზიანი, რომელიც სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობაზე მეშინაობის, პატივმოყვარეობის და სიხარბის გამარჯვებას მოჰყვება ხოლმე.

ცხადია, ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია მწერლის ყველა ნაწარმოების ვახსილვა,¹ მაგრამ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას მ. მრეველიშვილის ისეთ შესანიშნავ მოთხრობაზე, როგორცაა „საფრთხობელა“. დეე, რამდენადმე კულმოკვეცილი, დაუთავრებელი გვეჩვენებოდეს იგი, დეე, აქა-იქ ავტორის თვითნებობის კვალიც ჩანდეს (აქედან გამომდინარე მცირეოდენი ხელოვნურობით) — მიუხედავად ყველა ამ ხიჩისა, „საფრთხობელა“ მ. მრეველიშვილის უმშვენიერესი ქმნილებაა. საოცარი რეალისტურობით და დამაჯერებლობით, სანაქებო მხატვრული ექსპრესიით, უდიდესი შთამბეჭდავი ძალითაა

გადმოკვეთილი საქართველოს პროგრესულ კლასებში მცხოვრებ ყოფილად ნათელიერთმიმართებასა და ბედში ნათლად იკითხება ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი, თანამედროვე ადამიანის არა ერთი ტიპობრივი თვისება და მოჩანს ის ღრმავალიანი პროცესი, რასაც ახლის ძველთან ბრძოლას უწოდებენ.

მ. მრეველიშვილის მიერ განვილილი სამწერლო გზისათვის ერთი თვალთ გადავლება კი ნათლად ცხადყოფს მისი შემოქმედებითი ევოლუციის გეზსა და მიმართულებას. ესაა თანამიმდევრული დაახლოვება სოციალისტური რეალიზმის მეთოდთან. მოდერნისტულ გატაცებებს და დეკადენტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმის ხელახალი გამოყენების ცდებს, რაც მ. მრეველიშვილის ადრეული პერიოდის ზოგიერთ ნაწარმოებში შეინიშნებოდა, ოცდაათიანი წლების პირველი მესამედიდან ენაცლება მტკიცე სწრაფვა რეალისტური შემოქმედებისადმი. ეს ლტოლვა სინამდვილის ამსახველობისადმი, მხატვრული სიმაართლისადმი მოჩანს თემის შერჩევაშიც, მხატვრული ხასიათების ეროვნულ წარმომადგენლებშიც, ნაციონალური ყოფით დაინტერესებაშიც, სიუჟეტურ-კომპოზიციური მომენტების გზრდილ სისადაეშიც, იდეურ-შინაარსობრივი მხარის მეტ გასაგებობაშიც და ავტორისეული სტილის, მისი მხატვრული ენის კიდევ უფრო მაღალ დახვეწილობაშიც. მ. მრეველიშვილის პროზა ერთ-ერთი მეტყველი მაგალითია იმ უმნიშვნელოვანესი პროცესისა, რასაც ქართველ მწერალთა შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებას ვუწოდებთ და იმ იდეურ-მხატვრული წინსვლისა, რაც ამ პროცესს შედეგად მოჰყვა.

¹ ვერ განვიხილავთ აგრეთვე „მნათობის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულ რომანს „საბედისწერო მოსახვევი“.



სოლომონ ხუციშვილი

საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის დაუცხრომელი მკვლევარი

(სიმონ ხუნდაძის დაბადების 70 წლისთავის გამო)

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საკითხების შესწავლა და ამ ისტორიისათვის საჭირო მასალის --- ქართული პრესის, პუბლიცისტიკის, მხატვრული ლიტერატურის დამუშავებაში სიმონ ხუნდაძეს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. სამწუხაროა მეტად, რომ ენერგიულმა და მრავლისმცოდნე მეცნიერმა ახალგაზრდობაში დაასრულა თავისი სიცოცხლე, იგი 38 წლისა გარდაიცვალა 1933 წელს. ს. ხუნდაძეს სულ ათიოდე წელიწადი მოუხდა ემუშავა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის შესწავლის ასპარეზზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა ღრმა კვალი დასტოვა ქართულ საზოგადოებრივ-მცოდნეობაში. ს. ხუნდაძემ საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაში დიდი ხარვეზი შეავსო, რომლის ამოვსება 900-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ აღრვევ შეწყდა. ს. ხუნდაძეს მოღვაწეობა ახალ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, ახალ ეპოქაში მოუხდა, მას მეცნიერულად გამართული მსოფლმხედველობა გააჩნდა იმისთვის, რომ თვალი გაესწორებინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების დიდი წარმომადგენლებისათვის და მართებულ შეფასება მოეცა ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობისა.

ს. ხუნდაძემ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის კვლევას ხელი მიჰყო ოციანი წლების მეორე ნახევრიდან. როგორც მისი 1927

წელს გამოცემული წიგნი „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“ გვანიშნებს, მკვლევარს მისწინვე მართებული გზა აუღია მასალის მონახვა-დაგროვებისა. ს. ხუნდაძეს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია საზოგადოებათმცოდნეობისა და ლიტერატურისმცოდნეობის თავისი თანამედროვე მდგომარეობისათვის; ამიტომაც მისპირველი ნაბიჯები შეიძლება ობიექტურობით არ იყო აღბეჭდილი, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა ხელს მკვლევარს დაენახა ისტორიის ფაქტის არსი და მოეცა მისი ინტერპრეტაცია.

მეტად რთული იყო ის დრო, როცა ს. ხუნდაძე შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას. უნდა ითქვას, რომ იმ ათიოდე წლის განმავლობაში, ვიდრე მკვლევარი ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა, მას არ ჰქონდა ისეთი მომენტი, რომ გულდამშვიდებით ყოფილიყო. ერთერთ ნაშრომში, — „ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი“ — რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა, სათანადო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ თუ მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით იგი ამბობდა, რომ ი. ჭავჭავაძე ბატონყმობას ებრძოდა. „ასეთი არის ჩემი შეხედულება, — დაასკვნია ს. ხუნდაძე, — ი. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებაზე. მთლიანი მონოგრაფია ი. ჭავჭავაძის შესახებ მე ჯერჯერობით არ გამომიქვეყნებია. ჩემი შეხედულებანი ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაბნეულია სხვადა-

სხვა ჩემ ნაწერებში, მაგრამ ეს გარემოება არავის არ აძლევს უფლებას ასე უმოწყალოდ ამბინჯოს იგი და საზოგადოებას, ნაცვლად ჩემი შეხედულებისა, თავისი ავადმყოფი და გათავებდებული ფანტაზიის ნაყოფი მიაწოდოს“. ს. ხუნდაძე ამტკიცებდა — ილია ქავჭავაძე 60-იან წლებში დემოკრატიულ იდეებს ემსახურებოდაო, ამის დაცვა მას აწეული, ნერვული ტონით უხდებოდა.

ს. ხუნდაძემ თავის პირველ ნაშრომს, რომლითაც მან შეაღო კარი კულტურული-ლიტერატურულ მემკვიდრეობისა, კონსპექტური ნარკვევი უწოდა. იგი გვიჩვენებდა მკვლევარის მიერ მეტად სერიოზული მუშაობის დაწყებას. მან, მართლაც, თავის კონსპექტური კურსის მიხედვით განავითარა XIX საუკუნის ქართული აზროვნების კვლევა. ამ დიდ და რთულ პროცესში იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა მასალის საფუძვლიან შესწავლას, აკვირდებოდა საზოგადოების განვითარების გზებს, ეძებდა რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შემხებ ადგილებს და აგებდა მწყობრ შეხედულებას გასული საუკუნის შესახებ. ს. ხუნდაძეს შემდეგ მოუხდა თავისი კონსპექტური ნაშრომის ზოგიერთი პუნქტისა თუ პარაგრაფის შეცვლა, მაგრამ ეს იყო შედეგი მეცნიერული დაკვირვებისა, სიმართლის ძიებისა, რასაც შეიძლება ადრე გამოთქმული მოსაზრებანი და დებულებანი მსხვერპლად შესწირვოდა. ს. ხუნდაძეს სქოლასტიკური აზრის გაფეტიშება არ სჩვეოდა.

კონსპექტური ნარკვევის მიხედვით XIX საუკუნის აზროვნებაში ს. ხუნდაძე თავადაზნაურული ინტელიგენციის, ქართული ლიბერალიზმის, ნაროდნიკული და მარქსისტული შეხედულებების შრეებს ასხვავებდა. მომდევნო წლებში მკვლევარმა გადააფასა თავისი შეხედულებანი და საფუძველი შექმნა ქართული მარქსისტული საზოგადოებათმცოდნეობისა და ლიტერატურის-მცოდნეობისათვის.

1927 წელს ს. ხუნდაძემ დაბეჭდა ორი წიგნი „სოციალისტური ინტელექტუალისა საქართველოში“. მარკვევლად ამქარჩ. ჯორჯაძის ნაწერების შემდეგ და მათთან შედარებით, შეუდარებლად ვრცლად და მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით განიხილა მეტად დიდი მასალა, რომლის არსებობა ბევრისათვის უცნობი იყო.

სოციალისტური იდეების გაჩენის ისტორიას საქართველოში ს. ხუნდაძე იწყებდა 60-იანი წლებიდან. წინააღმდეგ წინა ნაშრომში მოცემული კვალიფიკაციისა, ახლა ახალი ტერმინებით შემოვიდა იგი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში (რადიკალურ-დემოკრატიული, სოციალისტური მიმართულებანი, ნაცვლად ქართული ლიბერალიზმისა.) ს. ხუნდაძემ ამ ნაშრომით აღადგინა ისტორიული სინამდვილე, დაკავშირებით საქართველოში სოციალისტური მიმდინარეობის წარმოშობასთან; ამასთან, ძირითად მეცნიერულ მეთოდად წარსულის შესწავლის საქმეში მან მიიღო ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი და თითოეული მოვლენა შეაფასა იმდენად, რამდენადაც ისინი თავის დროს პრაქტიკულად მოწინავენი იყვნენ. ამგვარი მეთოდოლოგიური საზომით შეუდგა იგი საქართველოში სოციალისტური იდეების გავრცელების განხილვას და შექმნა ღრმადინარსიანი ნაშრომი, რომელშიც სხვაგვარად იქნა გაშუქებული თაობათა დავალი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ორტომიანი გამოცემის მიზანი მეცნიერულ-პრაქტიკული იყო, ავტორი სწავლობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური აზროვნების ისტორიულ განვითარებას და ეყრდნობოდა მტკიცედ ჩამოყალიბებულ მარქსისტული კვლევის მეთოდს.

როცა ს. ხუნდაძე 1926 წლიდან უნივერსიტეტში შეუდგა „სოციალისმის ისტორიის“ კურსის კითხვას, მაშინვე დაებადა აზრი საქართველოში სოციალისტური იდეების გავრცელების ისტორიის შექმნისა, მაგრამ შეუძლებელი

იქნებოდა მკითხველთათვის არ მიეწოდებინა ცნობები რუსეთში ამ იდეების გავრცელების თაობაზე. საერთოდ, ქართველ 60-იანელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და პირველი სოციალისტების იდეების გენეზისისათვის აუცილებელი იყო რუსული სოციალიზმის პირველწყაროების გაცნობა. ამას ემსახურება ს. ხუნდაძის ნაშრომები „ღევ ტოლსტოი და სოციალიზმი“ (1929 წ.) და „ნ. გ. ჩერნიშევსკი“ (იმავე წელს). ამ უკანასკნელის გამო ს. ხუნდაძე წერდა: „ქართული საზოგადოებისათვის ნ. ჩერნიშევსკის აზროვნებისა და მოღვაწეობის გაცნობა ორი მხრით არის საინტერესო: ჩერნიშევსკი საინტერესოა, როგორც მეცნიერი და რევოლუციონერი-სოციალისტი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის სოციალისტური აზროვნების განვითარების საქმეში; მეორე მხრივ— ჩერნიშევსკის იდეური გავლენით ჩამოყალიბდა მე-60 წლებში ახალი მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურასა და ინტელიგენციაში“, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო ს. ხუნდაძის ცალკე დაბეჭდილი ნაშრომი (ქუჩნალი „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № 12) — „ნ. გ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია“. ეს იყო პირველი პუბლიკაცია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა ჩერნიშევსკისა და მისი „სოვრემენიკის“ გამომხაურებაზე საქართველოში, ამასთან, ქართველი ინტელიგენციის როლისა და მიზნის მართებულად გამოხატვაზე.

ქართული საზოგადოებრივ აზროვნების მასალების სიღრმეში შესვლამ ს. ხუნდაძე მიაახლოვა მოაზროვნეთა შემოქმედებას, რომლის შესწავლა და მონოგრაფიული დამუშავება უნდა ყოფილიყო თავანკარი მასალა და საფუძველი როგორც აზროვნების ისტორიისა, ისე მისი სხვადასხვა დარგის შესწავლისა. მკვლევარის წინაშე მთელი სისავსით დადგა საკითხი მონოგრაფიების შექმნისა. და ბევრ შეეპიდა ამ დი-

დად საპატიო და მძიმე საქმეს. ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიულ-საუკუნე—მეცხრამეტე, მეცხრამეტე ეპოქა იყო. ეს არის დრო ფეოდალური სტრუქტურის თანდათანობითი დაშლისა, ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროების ლიკვიდაციისა, მათი ერთ დიდ სახელმწიფო ორგანიზმში მოქცევა-გათქვეფისა, ბურჟუაზიული ურთიერთობის თანდათანობითი აღმავლობისა და მისი გადაზრდისა კაპიტალისტურ წარმოებაში. ქართველი ხალხის ეროვნული ვითარება და სოციალური მდგომარეობა, ეკონომიური ყოფა მრავალ ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებათა წყარო იყო. ქართული აზროვნება, როგორც ანარქული ხალხის მრავალნაირად დახლართული ყოფისა, საინტერესო მიმართება იქცა მეცნიერული კვლევებისათვის, ს. ხუნდაძემ სწორედ ეს დაისახა მიზნად. მაგრამ ერთი როგორ შესძლებდა ყველაფრის გაყვებას! ამიტომაც იგი ფიქრობდა სკოლის შექმნაზე, მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას საპატიო და გადაუდებელი მოღვაწეობისაკენ.

ს. ხუნდაძემ პირველად მიმართა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლას. იგი საყურადღებო აღმოჩნდა, რადგან დ. ყიფიანი „მე-19 საუკუნის ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ისტორიულ ფიგურას წარმოადგენს“, მან მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში ჯაილაშქრა დონდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ორ მთავარ მომენტს შორის იყო მოქცეული რთული და წინააღმდეგობით აღბეჭდილი მოღვაწეობა ყიფიანისა. 1930 წელს ს. ხუნდაძემ გამოსცა წინასიტყვაობითა და შენიშვნებით დ. ყიფიანის მოგონებები, როგორც ძვირფასი მასალა ქართველი საზოგადოების ისტორიისა. ამასთან ერთად იგი მუშაობდა ვრცელ მონოგრაფიაზე, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ — 1936 წელს დაიბეჭდა.

ს. ხუნდაძემ მუშაობის ვრცელად

პროგრამა დაისახა. მას სურდა აეწია მეტად დიდი სიმძიმე ქართული აზროვნებისა, რომლის უმთავრესი ფიგურა ილია ჭავჭავაძე იყო. ამ დიდი ადამიანის შესახებ ს. ხუნდაძე თანდათან კრებდა მასალას, ამუშავებდა კიდევ ნოსოგრაფიას, აგროვებდა წერილობით საბუთებს, აწერინებდა მოვონებებს ამბავთა და ადამიანთა მომსწრებს, აგროვებდა მოღვაწეთა პარად მიმოწყარას, აღგენდა ბიბლიოგრაფიას... ამიტომაც ეჩვენება საოცრად ადამიანს — როგორ მოასწრო მან არამხოლოდ მასალათა შეკრება არა მხოლოდ ქართული პრესის გაცნობა, არამედ ვრცელი მეცნიერული გამოკვლევების შექმნა და ყველაფერი ამის შეთავსება საზოგადოებრივ-პედაგოგიურ და საეურნალო მუშაობასთან. ამირანის ღონე და შესაძლებლობა გამოიჩინა ს. ხუნდაძემ სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ღა სწორედ ამან დაფერფლა ნაადრევად!

1931 წელს ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველი ტომი, რომელშიც თავი მოუყარა 1865-1868 წლების მის მემკვიდრეობას. ეს ტომი იყო შესანიშნავი დასაწყისი ქართული პუბლიცისტიკის პუბლიკაციისა. ქართული კლასიკური მწერლობის გრიფით დაიწყო ს. ხუნდაძემ ეს საშვილიშვილო საქმე. ნ. ნიკოლაძის თხზულებების რჩეული ნაწერები მას განზრახული ჰქონდა 6 ტომად, რომელთაგან მხოლოდ ორი ტომის დაბეჭდვა მოასწრო. ამ ტომებს მან წარუშმდვარა გამოკვლევა ნ. ნიკოლაძის აზროვნება-მსოფლმხედველობაზე. ვრცელი და რთული მოღვაწეობა და აზროვნება პუბლიცისტიკისა. ხუნდაძემ წუობისად განიხილა და წარმოადგინა მისი სოციალური მსოფლმხედველობა, შეხედულებანი აგრარულ საკითხზე, საბანკო პოლიტიკაზე, თვითმართველობასა და ერობაზე, მისი ეკონომიური პროგრამა და პოლიტიკური შეხედულებანი.

1931 წელსვე ს. ხუნდაძემ ვრცელი წინასიტყვაობით გამოაქვეყნა გიორგი

წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი. ამ ტომშიც მთელი გვეგმის მიხედვით ს. ხუნდაძე განზრახული ჰქონია 15-ტომიანი გამოცემა გ. წერეთლის ლიტერატურულ-პუბლიცისტიკური მემკვიდრეობისა. განზრახულიდან მხოლოდ პირველი ტომი დაბეჭდა მკვლევარმა, მორიგი ტომების მასალები ზოგი შეკრული და ზოგი დაუღაგებელი დარჩა მის სამუშაო მაგიდაზე.

„დღეს, როდესაც გაცხოველდა ინტერესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი, — წერდა ს. ხუნდაძე გ. წერეთლის თხზულებათა პირველი ტომისათვის წამძვრებულ სარედაქტორო წერილში. — როდესაც ქართველი კლასიკოსების შესწავლა წმინდა მარქსისტული სოციალოგიის თვალსაზრისით მორიგ ამოცანად გადაიქცა ჩვენი კულტურული ბრძოლის ფრონტზე — ბუნებრივად დაიბადა ჩვენში ინტერესი გ. წერეთლის ნაწერების და მისი მოღვაწეობის შესწავლისა“. გ. წერეთელი, მართლაც, ნაკლებად შესწავლილი მწერალი იყო, ვინა თხზულებების ცოტად თუ ბევრად სრული კრებული არ არსებობდა (ასეა ჯერჯერობით დღესაც). ს. ხუნდაძის წამოწყება იყო მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა. გ. წერეთლის თხზულებათა ტომს მან დაურთო ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნები, რომლებშიც ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების გადაუდებელი საკითხები იყო გაშუქებული.

1932 წელს ს. ხუნდაძემ გამოსცა ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის ორი ტომი განზრახული საზომიდან. ეს გამოცემა საფუძვლად დაედო შემდეგ გამოცემებს, რადგან იგი იყო სრული, ჰქონდა მეცნიერულად დადგენილი ტექსტი მნიშვნელოვანი შენიშვნებით. ს. ხუნდაძეს გამოცემისთვის ჩვეულებრივ გამოკვლევა არ დაურთავს, თუმცა ე. ნინოშვილზე მას ცოტად რე გამოქვეყნებული ჰქონდა წერილები „ქართულ მწერლობაში“, „რევო-

ლუციის მატინეში“, გაზ. „კომუნისტ-ში“. ამ გამოცემამ გაასწორა ბევრი უხეში შეცდომა წინა გამოცემებისა და უზრუნველყო ავტორისეული ტექსტის სინამდვილე. ე. ნინოშვილის თხზულებათა მესამე ტომი, მისგან მომზადებული გამოსაცემად, 1935 წელს დაიბეჭდა. მისთვის ს. ხუნდაძეს განზრახული ჰქონია პუბლიცისტური წერილები და სხვადასხვა საბუთები. თუ როგორი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა მან ნინოშვილის თხზულებების გამოსაცემად (სხვათა შორის, ყველასათვის საყურადღებო), ჩანს შემდეგიდან: „ეგნატეს ყველა ნაწერებისა და კერძო წერილების შეგროვების მიზნით ჩვენ ხელმეორედ გადავსინჯეთ 80-იან წლებიდან მოყოლებული ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი, საცენზურო კომიტეტის არქივი, საქართველოს მუზეუმის სათანადო ფონდები, ქუთაისის მუზეუმი, ცალკე მოღვაწეთა და პირთა არქივები (გ. წერეთლის, ან. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის, სიმ. ქუმბურძის და სხვ), სპეციალურად ვაგზავნა კაცი გურიაში ნაცნობ-მეგობრებსა და ოჯახებში მასალების შესაკრებად, დავკითხეთ ეგნატეს ზოგიერთ მეგობარ-ნაცნობს და სხვა“.

ს. ხუნდაძე, ამრიგად, პარალელურად მუშაობდა ისეთ დიდ გამოცემებზე, როგორც იყო ნიკოლაძის, წერეთლის, ნინოშვილის თხზულებები, იკვლევდა მათ შემოქმედებას, წერდა სოლიდურ მონოგრაფიას ყიფიანზე, აქვეყნებდა ილ. ჭავჭავაძის, სერგეი მესხის და სხვათა წერილებს შენიშვნებით, წერდა ზომიერების, დავით კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ბოსლეველის, სანდრო შანიშვილის, ვალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა მიმოხილვებს; ჟურნალ „მნათობში“ დაარსებულ

სერიაში „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“ ბეჭდვდა კომენტარებულ საბუთებს, ანალიზს უკეთებდა აკაკი წერეთლის შემოქმედებასა და აზროვნებას, ანტონ ფურცელაძის მოღვაწეობას. ამას ემატება უნივერსიტეტში ლექციების კითხვა... აი, ს. ხუნდაძის სამუშაო დღე. მას უხდებოდა არა მხოლოდ მეცნიერული კვლევა და რედაქტორული მუშაობა, არამედ პირველადი, შავი საქმიანობა არქივებში, მუზეუმებში, პრესაში ძებნა მასალისა, ვაწარმოებელი ძიება...

მეტად სამწუხაროა, რომ ს. ხუნდაძეს არ დასცალდა რომელიმე მისგან წამოწყებული სამუშაოს ბოლომდე მიტანა. მაგრამ მან როგორც მოქალაქემ, მკვლევარმა, მეცნიერმა, რედაქტორმა-გამომცემელმა ბევრს გაუადვილა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის სარბიელზე მუშაობა. ს. ხუნდაძე ცხოველ მონაწილეობას იღებდა თავის თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებასა და საქმიანობაში. მას შინაარსიანი ანალიზი აქვს მოცემული ს. შანიშვილის, გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისა. ეს იმას ადასტურებს, რომ ს. ხუნდაძე ფართო აზროვნების მკვლევარ-მეცნიერი იყო. მხედველობიდან არ უნდა გამოვარჩეს ისიც, რომ ს. ხუნდაძე რედაქტორობდა ზოგიერთ გაზეთს 1921-1923 წლებში, ხოლო 1928-1930 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალის „ქართული მწერლობის“ მთავარი რედაქტორი იყო.

ამრიგად გვეხატება მაღალი სახე სიმონ ხუნდაძისა, მრავალმხრივი მოღვაწისა და მეცნიერ-მასწავლებლისა რომელმაც ქართული კულტურის სამახერპლოზე მიიტანა თავისი გულწრფელი შრომა, ტვირთი და სიცოცხლე.

აკანთა ქარაიზი

მართალი სახეები და ხასიათები

გერცელ ბააზოვის დაბადების 60 წლისთავის გამო

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ განვითარების რთული გზა გაიარა მთელი პირველი ათეული წლის მანძილზე დაძაბული ბრძოლა სწარმოებდა წარსულის გადმონაშთებთან — ფორმალისტურ-დეკადენტურ, მემარჯვენე და ნიჰილისტურ მიმართულებებთან. ამ მძაფრჭიდილსა და დაუცხრომელ შემოქმედებითს დღეიღამში, რაც ასე დამახასიათებელი იყო ოცინი წლებისათვის, ღირებულებათა გადაფასება და ახალი შემოქმედებითი პრინციპების გამოკვეთვა ხდებოდა, კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციების ათვისებასთან ერთად თანამედროვე რეალიზმის უვალე გზებიც იკაფებოდა. ახალი იდეებს გაცილებით იოლად ითვისებდა და განახლებულ ლიტერატურულ ცხოვრებაში სიყვარულითა და გატაცებით ემბეზროდა შემოქმედებითი ახალგაზრდობა, რომელსაც წარსულის ტვირთი ნაკლებად ამძიმებდა და ჩვენი დიდებული დღეების რომანტიკით იყო შთაგონებული. გერცელ ბააზოვი ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა.

გერცელ ბააზოვი დაიბადა 1904 წელს, ქ. ონში, რაბინის ოჯახში. მას მამას — დავითს ფართო სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ქართველ ებრაელთა საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დავითი დადავდა აფასებდა სწავლის როლს. თუ ქართველ ებრაელთა მასა სალოცავთან გახსნილი პირველდაწყებითი ებრაული სასწავლებლით კმაყოფილდებოდა და სარწმუნოებით იძულებულ კარჩაკეტილ

ცხოვრებას ეწეოდა, შვილებს ქართულ სასწავლებლებში იშვიათად აძლევდა, რაბინი თვითონ არღვევდა ამ „რჯულით გამტყიცებულ ჩვევას“ და ცდილობდა თავისი შვილებისათვის ფართო სამოქალაქო განათლება მიეცა.

გერცელ ბააზოვმა ქ. ონში მიიღო პირველდაწყებითი სწავლა და იქვე შევიდა იგი ოთხკლასიან საერო სასწავლებელში. 1922 წელს თბილისში გადმოვიდა და ჰუმანიტარულ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა. 1927 წელს მან თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ერთ ხანს თავისი პროფესიის მიხედვით დაიწყო მუშაობა. შემდეგ კი მთლიანად შემოქმედებითს ცხოვრებას მიეცა.

სამწერლო სარბიელზე გერცელ ბააზოვი მოწაფეობის წლებში გამოვიდა; ონის ოთხკლასიან სასწავლებელში და თბილისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში სწავლის დროს მისი ლექსება, მოთხრობები და წერილები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, მაგრამ მისმა ამ პირველმა ნაწარმოებებმა ვერ მიიქცია ვერც მკითხველას და ვერც ლიტერატურული საზოგადოებრივობის ყურადღება, რადგან მათ თავისთავადობა და ჰუმანიტარული მხატვრული მადლი აკლდა, ის უფრო ნიჭიერი ემაწვილას ლიტერატურულ ვარჯიშს ჰგავდა. ვიდრე მომწიფებული გონების ნაყოფს. დამწყები ავტორის ქმნილებები მოკლებული იყო მკაფიო და კონკრეტულ მიზანსწრაფვას. იმ ხანათ ონის მოსწავლეთა ერთი ნაწილი „ცისფერყანწელთა“ გაგლენას

განიცდა და ამ გავლენას ვერც ახალ-გაზრდა გერცელი ასცდა; ცხოვრებაში მისთვის ჭერ კიდევ ბევრი რამ გაუცნობიერებელი იყო, ინტუიციით იკვლევდა გზას და ადვილად აპყვა ცდუნებას. ამას ის ატმოსფეროც უწყობდა ხელს, რომელშიც გერცელი იზრდებოდა.

მცდარი ლიტერატურული ილუზიები თბილისშიაც გადმოჰყვა. ამ ხანებში ვერც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულმა ლექსებმა და მოთხრობებმა, ვერც ძველი ებრაულიდან თარგმნილმა „გალობათა გალობამ“ მას მწერლის სახელი ვერ მოუპოვა; ამ პერიოდის მის ნაწარმოებებში არც ჰემსარიტა ოსტატობა ჩანდა და არც დამოუკიდებელი მხატვრული თვალი. მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, როცა გონებრივ სიმწიფეში შევიდა და ცხოვრებისეულ მოვლენებს საკუთარი თვალით დაუწყო ყურება, სწრაფად განთავისუფლდა ყალბი ცდუნებისაგან და ნათელი შემოქმედებითი თვალსაზრისი და ესთეტიკური იდეალი შეიმუშავა.

გერცელ ბაზოვის შემოქმედებაში ღრმესანიშნავი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა 1929 წელს გამოქვეყნებული პიესა „დილუემარი“. აქედან დაიწყო მისი ნამდვილი მწერლობის საბრძელზე გამოსვლისა და შემოქმედებითი აღმავლობის ხანა. „დილუემარი“ არ არის ორიგინალური ნაწარმოები. იგი გერცელმა პოლონელი ებრაელი მწერლის ბენ-აბრაამის მისტერია „ძველ კოშკიდან“ გადმოაკეთა, მაგრამ გადმოაკეთა შემოქმედებითად, ამ სიტყვას ფართო გაგებით. დედანი ქართველი მწერლისათვის მხოლოდ შთაგონების პირველწყაროდ იქცა, მხოლოდ ნაწილობრივ შეინარჩუნა სიუჟეტური სქემა და ზოგიერთი მოტივი, ბევრი რამ შესცვალა მთავარ პერსონაჟთა ურთიერთობის ქარგაშიც. ერთი სიტყვით, აქ უკვე გამოჩნდა დამოუკიდებლად მოაზროვნე მხატვარი, რომელიც ცდილობდა ეპოეა საკუთარი პოეტური ხელწერაც და შემოქმედებითი იდეალიც აქ გამოჩნდა პირველად ის დაუცხრომელი მოქალაქე-

ბრივი პათოსი, უშუალობა და შთაგონებული მღვდლვარება, რომელიც ალბერტ დილია გერცელ ბაზოვის შემოქმედება. ბ. ელენტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ყოველივე ის, რაც თავისებური შეიტანა გ. ბაზოვი ამ პიესაში, რითაც მან გაამდიდრა და, უკეთ რომ ეთქვათ, შეცვალა და გარდაქმნა ბენ-აბრაამის ცნობილი მისტერია, მომდინარეობს სწორედ საბჭოთა მწერლის მსოფლმხედველობისაგან, რომელსაც ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდა ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატთა აბსოლუტური უმრავლესობა“.

ცრუმორწმუნეობის მაშხილებელი, მაგრამ უიმედობითა და გულგატეხილობით გამსჭვალული ალევგორიულ-სიმბოლური ნაწარმოები გერცელ ბაზოვი მძაფრ სოციალურ დრამად აქცია, მასში რეალისტური ელემენტები შეიტანა და თავისი დროისათვის მეტად აქტუალური ელერა მისცა. პიესის ცენტრში მან ადამიანი მოაქცია და ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის აღტოლვა დაგვიხატა. „დილუემარი“ მთლიანად ვერ განთავისუფლდებოდა პირველწყაროს განყენებულობისაგან, მაგრამ ქართველმა მწერალმა გაამახვილა პიესის იდეის კონკრეტული მისამართი და იდეური ხასიათი. თუ ბენ-აბრაამის „ძველ კოშკში“ გმირები ფანატიკური რწმენის მსხვერპლი ხდებიან, კერძოდ მისი მთავარი გმირი, ხალხის ტანჯვითა და ტკივილებით შეწუხებული ექიმი რიზაელი გამოსავალს ვერ პოულობს, ხალხს ტკივილები ვერ დაუცხრო, შეგბავ ვერ მოუტანა, მისი ოცნების ხუხულა უაზროდ დაიღუპა, გერცელ ბაზოვის პიესის მთავარმა გმირმა — დილუემარმა ხალხს ტანჯვა-წამებისაგან გამოსავალს მიაგნო, მშრომელთა თავისუფლებისათვის ბრძოლის სწორი გზა იპოვა. იგი დარწმუნდა, რომ მისი საყვარელი მასწავლებლას რიზაელის გზა ფუჭი და უნაყოფო იყო, რომ კაცობრიობის უკე-

ციალური უსამართლობის წინააღმდეგ და თავის ბედი თვითონ გამოეჭედათ.

გერცელ ბაზოვმა ძალიან კარგად იცოდა ებრაელის ზნე-ჩვეულება, ხასიათი, მისი ბუნება, ინტერესთა სფერო და ყოველივე ეს იშვიათი სამართლით გადმოგვცა. მის მიერ დახატულ სურათებში, ხასიათებსა და სახეებში გასაოცარი უშუალობა იგრძნობა. ყოველივე იმაზე, რასაც მწერალი აღწერს, შეიძლება მანამდე წარმოდგენაც არ გქონდეთ, მაგრამ როდესაც წაიკითხავთ, ისე მოგეჩვენებათ, თითქოს ნამდვილად გინახავთ და განგიცდიათ. ადამიანები ძალიან მართლნი და თქვენივე ძალიან ნაცნობები არიან. რატომ ხდება ასე? იმიტომ კი არა, რომ მწერალი ნატურას ფერს არ უცვლის, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ნატურალისტურ შტრიხებს გაურბის და ცდილობს თავისი გმირები დაგვიხატოს უაღრესად დამახასიათებელი თვისებებით, მოუნახოს ისეთი ზოგადი ნიშნები, რომლებიც გმირს არც თავის ეროვნულ კუთვნილებას დაუკარგავს და არც საყოველთაოდ ადამიანურ თვისებებს.

გერცელ ბაზოვს გამახვილებული სოციალურა ხილვა ჰქონდა. ადამიანთა ურთიერთობას იგი კლასობრივი თვალსაზრისით განიხილავდა და არასოდეს არ ღალატობდა ჰუმანიტარული ინტერნაციონალურ შეგნებას. იმიტომ იყო, რომ თავისი ხალხის მიმართ გამოხატული დიდი გულსტკივილი და თანაგრძნობა მხოლოდ ებრაელის განცდად როდი მოჩანდა. მას იმდენად საყოველთაო ფერებს აძლევდა, რომ ყველა მკითხველისა და მასურებლის უშუალო განცდად იქცეოდა. გერცელ ბაზოვისათვის უცხო იყო თემისადმი ეგზოტაური დამოკიდებულება და სწორედ ამით აღწევდა იმას, რომ ზედმიწევნით „ებრაელის“ განცდები ყველასათვის მახლობელი და უშუალო ხდებოდა; რამდენადაც მწერალი კარგად იცნობდა ებრაელის ყოფასა და ხასიათის თავისებურებას, იმდენად თავისუფლად ფლობდა

მისი სულიერი ცხოვრების განზოგადების ხელოვნებას.

ეროვნული
გონიერებისა

• • •

ჰუმანიტარული ხელოვნების ძალა მუდამ იმაში შედგება, რომ იგი შლის ლოკალურ გამოიშველ ზღუდეებს და თავისი გმირის განცდებს საყოველთაოდ ადამიანურ განცდებად აქცევს. როდესაც „ურიელ აკოსტას“ საოცარ სოციალურ და სარწმუნოებრივ ფანატიზმს უყურებთ, როცა აკოსტასა და ივლითის შემხარავ გულისტკივილს და მშფოთვარე ფიქრთა დენას ადევნებთ თვალს, თქვენ ერთი წუთითაც არ გახსენდებით, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნიან ისინი, მათთან ერთად შფოთავთ. მათთან ერთად გდით ცრემლი, მათთან ერთად გტკივთ გული, მათი ფიქრებისა და განცდების მოზიარე ხდებით. ასევე ხდება მაშინაც, როცა ოტელოსა და დეზდემონას, იაგოსა და კასიოს უყურებთ, თქვენს სულს შეაკრთობს ბოროტებისა და სიკეთის ქიდილი, ადამიანის ბედი, ყველაფერი დანარჩენი თქვენი გულისა და გონების მიღმა რჩება.

ეს მაგალითები, რასაკვირველია, იმიტომ როდი მოვიტანეთ, რომ იგივეობის ნიშანი ვეძიოთ გერცელ ბაზოვისა და ამ გენიალურ ქმნილებებს შორის. არა. შედარება ყოველთვის კოჭლობს და, ამ შემთხვევაში, შეიძლება ორივე ფეხითაც, მაგრამ ამ შედარებით ჩვენ გვინდოდა მხოლოდ საგნის არსებითი მხარისათვის გაგვესვა ხაზი. — ადამიანურა ყველასათვის ერთნაირად გასაგებია და მახლობელი!

ამას გერცელ ბაზოვი შეგნებულად აღწევდა როცა ფართო ორიგინალურ ტილოებს ჰქმნიდა, მას უკვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ესთეტიკური პრინციპები. მთელა თავისი შეგნებით იგი თანამედროვე მწერალი იყო და მისი შემოქმედების თემასაც თანაჟედროვეობა შეადგენდა, რადგან მხოლოდ თანამედროვეობაში ხდება თავისი იდეალების განხორციელებას. მთელი მისი სწრაფვა იქითკენ მიემართებოდა, რომ, რაც შეიძლება სრულყოფი-

ლად აესახა ცხოვრება, დაეხატა თავისი დროის ისეთი ადამიანები, რომლებსაც ხალხის ბედა, ხალხის მომავალი აწუხებდათ და მისი კეთილდღეობისათვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ. მწერლის ნაწარმოებებს ეს ადამიანური შფოთვა და მღელვარება აძლევდა მომხიბვლელობასა და და შთაგონების ძალას.

გერცელ ბაზოვის შემოქმედების ერთი უპირატესი თავისებურება სწორედ ცხოვრების სიმაართლე იყო; თითქოს ეს არც შეიძლება რომელიმე მწერლის თავისებურებად მივიჩნიოთ, რადგან ყოველი რეალისტი მწერალი ცხოვრების ფაქტებს ემყარება და ცხოვრების სინამდვილეს ასახავს, მაგრამ რეალიზმის ეს სტილობრივი თავისებურება ბაზოვისათვის განსაკუთრებული ძალის მქონე კანონი იყო. იგი ყოველთვის იმაზე წერდა, რაც ყველაზე კარგად იცოდა; ლალი მხატვრული ფანტაზიის ბატონს გამოგონებული თითქმის არაფერი ჰქონდა. მის მხატვრულ ფანტაზიას ცხოვრების ფაქტები ჰკვებავდა. რასაკვირველია ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, იგი ემპირულად დოკუმენტალისტი ყოფილიყო. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ნატურალიზმი მისთვის უცხო და მიუღებელი იყო, თუმცა მისი პერსონაჟები და ის სიტუაციები, რომლებშიც ეს პერსონაჟები მოქმედებენ, იმდენად ცოცხალი და მართალია, რომ ძნელად გამოარჩევთ ცხოვრებისეულს მწერლისეულისაგან. და ეს სავესებით ვასაგებია, რადგან ბაზოვის მოთხრობებისა და პიესების მხატვრულ კოლიზიას, მათს შინაგან დრამას, ქართველ ებრაელთა ცხოვრების სინამდვილე ჰკვებავდა, და ეს სინამდვილე კი გერცელ ბაზოვმა ძალიან კარგად, და, შეიძლება ითქვას, ყველაზე კარგად იცოდა. აი, სწორედ ეს დრმა და ყოველმხრივი ცოდნა მშობლიური ხალხის ცხოვრებისა, მოგიყვანთ განცვიფრებაში, როდესაც მის მოთხრობებსა და პიესებს კითხულობთ. მოთხრობები: „გელათის ქუჩის დასასრული“, „შემართის უკანასკნელი სიტყვა“, პიესა „მუნ-

ჯები ალაპარაკდნენ“, — შემდეგ რომანი „ტრილოგიის პირველი წიგნი „ფეთხანი“, რომელიც მწერალმა უკანასკნელად გამოაქვეყნა, იმდენად სრულყოფილად და დამახასიათებლად ასახავენ ქართველი ებრაელების ცხოვრების თავისებურებას, რომ ამ ხალხის უახლესი ისტორიის მხატვრულ მატრიანებად დარჩნენ. ამ ნაწარმოებებში ახალი სამყარო გადაიშალა არა მარტო ქართველი, არამედ თვით ებრაელი მკითხველისათვისაც, რადგანაც მანამდე არავის არ უთქვამს ასეთი გაბედული სიმაართლე ებრაელი ხალხის სოციალურ სინამდვილეზე. ამ ნაწარმოებებში მხილებულია მარტო ექსპლოატატორული კლასები კი არა, სარწმუნოებაც, რომელიც ოპიუმებით ამრუებდა მშრომელ ებრაელს და სულ იმას ჩასჩიჩინებდა, რომ ღარიბიც და მდიდარიც — ორივე ღმერთმა გააჩინაო, და ღარიბმა და გაჭირვებულმა მოთმინებით უნდა აიტანოს ამქვეყნიური ტანჯვა-წამებაო. მწერალმა ებრაელთა ცხოვრების რეალისტური სურათებით მკითხველს დამაჯერებლად უჩვენა ფაქტებს მიღმა დამალული ის კლასობრივი დიფერენციაცია, რომელიც მდიდარ ვაჭრებსა და ღარიბ ებრაელობას ერთმანეთისაგან სთიშავდა, და უთხრა, რომ მათი ინტერესების შერიგება შეუძლებელია.

მწერალი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ „ფაქტების“ კონსტატაციით და თავისი ხალხის ბედი, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლა რევოლუციასთან, სოციალიზმის გამარჯვებასთან, ქართველი ხალხის შემოქმედებითს შრომასთან დააკავშირა. მისი ებრაელი გმირები ახალი ცხოვრების ფერხულში ებმებიან და ქართველებთან ერთად, მათთან ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან. მწერალი კარგად იმარჯვებს კლასობრივ თვალსაზრისს და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებს. იგი ერთნაირი სიძულვილით ხატავს ებრაელ და ქართველ ვაჭრებს და ერთნაირი სიყვარულით მოსავეს ქართველ და ებრაელ მშრომლებს. მწერალი კარგად ამჩნევდა, რომ სარ-

წმუნობებით თავზემოხვეული ებრაელთა კარჩაეტილობა ცხოვრების ზემოქმედებით თანდათან ირღვეოდა, თანდათან ფართოვდებოდა ქართველი და ებრაელი ხალხების ცოცხალი შემოქმედებითი ურთიერთობა, რომ ებრაელთა ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩაიგბა ქართველ რევოლუციონერებთან ერთო ბრძოლაში სოციალური უკუღმობის შემსუთავი ბორკილების დასამსხვრევად. არსებითად ამ თემას ეძღვნება მისი ოპტიმისტური ტრაგედია „იცკა რაიენაშვილი“.

გერცელ ბააზოვის ნაწარმოებები, რომელ თემასაც არ უნდა ეხებოდნენ ისინი, ცალმხრივობით არ ხასიათდება, ცალმხრივობას მან თავიდანვე გამოუცხადა ბრძოლა, როცა „გელათის ქუჩის დასასრულს“ დადებითი გმირები — ებრაელი ნათანელი და ქართველი ლევანი აამხედრა ერთ-ერთი წარმოდგენის წინააღმდეგ, რომელშიც ერთადერთი ებრაელი იყო გამოყვანილი და ისიც მოღალატე, ჟანდარმერიის ჯაშუში. საბჭოთა მწერლის ინტერნაციონალური შეგნება, სწორი იდეური და მხატვრული თვალსაზრისი საშუალებას აძლევს გერცელ ბააზოვს ყოველთვის მართლად გააშუქოს ცხოვრებას მოვლენები, შეუმცდარად განსჭვრიტოს მისი განვითარების პერსპექტივა.

გერცელ ბააზოვი ნაადრევად გამოკლდა ჩვენი მწერლობის რიგებიდან დაიღუპა თავისი შემოქმედებითი ძალეების ზრდისა და გაფურჩქვნის ხანაში. ახალგაზრდა მწერალი დაუკმაყოფილებლობის ენით იყო შეპყრობილი. გზაბლავდათ მისი მუღმივი და განუწყვეტელი ძიების პათოსი. იგი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, ყოველთვის ცდილობდა კიდევ უფრო სრულეყო და დაეხვეწა გამოსახვის საშუალებები. ადვილად შეამჩნევდით, რომ იგი, როგორც მოაზროვნე და ხელოვანი, სწრაფად იზრდებოდა; რაც პირველ ნაწარმოებში უკვე დასრულებულად მიაჩნდა, მეორეში აღარ აკმაყოფილებდა, მესამეში კიდევ უფრო წინ მიდიოდა და ოსტატობის მწვერვალების დასაპყრობად მიისწრაფოდა. და თუ მან ვერ მოასწრო თავისი მხატვრული ოსტატობა ყოველმხრივად სრულეყო, ამის მიზეზი მის ტრაგიკულ ბიოგრაფიაში უნდა ვეძიოთ. ის კი, რის შექმნაც 33 წლისამ შესძლო, დიდია და მნიშვნელოვანი.

გერცელ ბააზოვმა ქართულ მწერლობაში თვალსაჩინო კვალი გააგლო, თავისი ადგილი მტკიცედ დაიმკვიდრა და მის სახელს ყოველი თაობა მაღლიერბცის გრძნობით მოიხსენიებს.

3. გ. ჰარაიას შედარებითი ლექსიკონი

ქართული მესიტყვეობის ყველა დარგში, ენის მეცნიერებაში, მწერლობის შესწავლასა და თვით ისტორიულ-არქეოლოგიურ მოძღვრებაშიც ამაჟამად უმთავრეს საკითხს შეადგენს ქართული ენის ვინაობა, არა თუ მისი გვარტომობის წარმომდინარეობა, ეს უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩაირიცხოს, არამედ მისი ისტორიული პიროვნების ზრდის, განვითარებისა და აწინდელი სიმდიდრის საბუთებზე აგებული დასურათება. ენა მექანიკური მოვლენა არ გახლავს, არც შედარებით ადვილად შესასწავლი ორგანული არსება. მეცნიერული, მკაფიოდ და სავსებით განსაზღვრების ურჩი, იგი რთული რამ ხმაშესხმული წარმოშობაა ნივთიერი და სულიერი კაცობრივი მთლიანობის, მისი წარსულის და, თუ ენა ცოცხალია, მასზე მოსაუბრე ერის აწმყოს და, გასაოცრად ნუ მიიჩნევთ, ნიშანი მომავლისაც. წარსული ცხოვრების უტყუარი და უჩინებულესი ძეგლი და იმავე დროს მომავალი ცხოვრების გამომქანდაკებელი უძლიერესი იარაღი. რომელიმე ერის ისტორიკოსს და თვით ნივთიერ სიძველეთა მკვლევარს ჩვენ ვერ ვენდობით ვერც ერთი წარსულის შესახებ ზოგადი საკითხის გამოკვლევაში, უეჭვოდ და გულსაგსედ ვერ მივიღებთ მის მეცნიერულ დასკვნას, თუ მას კუთვნილი ენის სიღრმეში არ ჩაუხედავს და მასში

გამომჭირავ ეროვნულ სულიერების მრავალკეცად დაუწყებელი ნაღვალის ხანების დაგვარად არ შეუწავლია. რაღა თქმა უნდა, რომ ძველი მწერლობის შეგნებულ მემატიანეს და ენის მეცნიერს კიდევ უფრო ესაჭიროება, ზედმიწევნით გამოირკვიოს ეროვნების ამ სულიერი სახსრის ისტორიული წინმსვლელობა. ასეთი მაღალი საგნის ოდესმელა მისაწვეად უმტკიცეს საფესურს, ურომლისოდ ზეადსვლა შეუძლებელია, შეადგენს საკამათო ენის, მჭიდროთ მონათესავე ენებისა და კილოების შესწავლა, მასალის კანონიერი შეგროვება და მათი მეცნიერული დახასიათება. მეცნიერულ გამოკვლევას თავი მივანებოთ, მარტო მასალის მოგროვებასაც ვერ აუვალთ, იმდენად თვალუწვდომია ჩვენი მონათესავე ენების კილოკავების სივრცე და სიღრმე, და თან მათზე აჩქარებულ ზრუნვას გვაიძულებს ის გარემოება, რომ იგინი, განსაკუთრებით ასეთი ენები, როგორც სვანური, მეგრული და ქანური, დღითიდღე ქრებიან და გვეკარგება მომავალი მეცნიერებისათვის უძვირფასესი განძი, რომლის არა თუ შესასწავლად გვაკლია რიგიანად მომზადებული პირები, თვით უბრალო შეკრებაც ვერ მოგვიხერხებია, იქნებ ბევრს ვერც მოგვიფიქრია.

ცხადია, რომ ავით დროს ისეთი შრომის ხელყოფა, როგორიც დაუწყია 3. გ. ჰარაიას, დიად დიდის პატივისცემითა და ფინანსით მისაგებებელია. ადრეც ცნობილი იყო ხსენებული მოღვაწე თავისი ცდით მეგობრივი ენის შესახებ და ახალი შრომა „ქართულისა

აკადემიკოს ნ. ა. მარის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ვებუდავთ მის გამოქვეყნებულ რეცენზიას.

ბუბლაკია და შენიშენები ეკუთვნის პროფ. ალ. ლ. ონტს. რედ.

და მეგრულის შედარებითი ლექსიკონი“, ნაწილი პირველი (თოთხმეტობდ რვეული „ა“-ნიდან სიტყვამდე „იჯრა“), ნათლად მოწმობს მისი ღვიძლი ენის ღრმა პრაქტიკულ ცოდნას და თან გულწრფელ მეცნიერულ მიდრეკილებას და თვალსაჩინვე შრომისმოყვარეობას. უკეთეს ჩვენი უსახსრო მეცნიერება ვერ მოიხვეჭს აგეთი ბუნებით მდიდრად შეზღუდვილი პიროვნების თანამშრომლობას, ან სრულებით დაკარგავს მას, ბრალი უნდა დაედვას იმ საზოგადოებას, რომლის წიაღში განყენებულ ცოდნისადმი ლტოლვიით აღფრთოვანებული სულიერ-მადლშემოსილი წევრები შესაფერ საკვებს ვერ პოულობენ თავისი ნიჭის განსავითარებლად და გზას ვერ იკვლევენ თავისი ცოდნის შესამუშავებლად და უნაყოფოდ იშთვებიან. ჩვენ ხელს არ ვაფარებთ მას, რომ პ. ჭარაიას ესაჭიროება როგორც ნივთიერი დახმარება, აგრეთვე ზნეობრივი ხელის შეწყობა, ნამდვილი მეთოდების წყაროზე დაწაფება, რათა მან შეიტანოს მისი ნიჭის თანაბარი კერძი მეცნიერებაში. არც იმას ვტოვებთ აღუნიშვნელად, რომ უკეთეს დაწყებული გზით განავრცოდ და ამითავრა პ. ჭარაიამ თავისი ვრცელი შრომა, შიგადაშიგ ბევრი რამ აღმოჩნდებ, რაც წინ აღუდგება მეცნიერულ მოთხოვნილებათ თეორიის მხრით და მატერიალურ ცოდნასაც. ხელად ვიკმარებთ ძირითად შენიშვნას:

ა) ქართულისა და მეგრულის ლექსიკონის შესადგენად პ. ჭარაიას აულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი და ანბან-ანბან გაყოლილ თარგმნის ყოველს, ხსენებულ შრომაში ანუსხულ ქართულს, ხშირად მსოლოდ გაქართულებულს ან დღემდის არც კი გაქართულებულს, დღემდის ისევ უცხოოდ დარჩენილს, უცხო ენებისაგან ნასესხებ სიტყვებს. ლექსიკონის აგრე საქმის აწყობა დიდად უადვილებს შემდგენელს შრომას, მაგრამ მეტისმეტად ამცირებს თვით თხზულების ღირსებას. ერთი, რომ თხზულებაში იძულებით იჭრება ისეთი

მასალა, რომელსაც არავითარი საპატრიოტო საფუძველი არ აქვს, ქართულ-მეგრულ ლექსიკონში ადგილს იჭერდეს. მეორე, და ეს ხომ უმძიმესია, ამ სახით სიტყვების მკონავს უნებლიეთ ეკარგება მტკიცე ნიადაგი, თავისი ღვიძლი ენის ცოდნა, და უნებლიეთ უფრო ცნობილი ქართული სიტყვების განმეორებას უნდება იგი, ვიდრე მეგრული ენის სიმდიდრის სავსებით გამოქვეყნებასა და თავისებურების დაუჩრდილავ გამოხატვას. კმარა ერთი მაგალითი. დასაწყისში მოყვანილია ქართული „ზმნათ თავსართი“ „ა“-ნი, რომელსაც მეგრულში ავტორი უფარდებს „ე“-ნს. იმას აღარ ვეხები, რომ არსით ჩანს, მასალის დალაგება არ ვაუწყებს, ფონეტიკურ ნიადაგზე უდრიან ეგ ბგერანი ერთმანეთს, თუ თვითელი ფორმის განსხვავებულ წარმოებაზე. სავალალოა თვით მასალის ნაკლულევაენება: სრულებით არ არის აღნიშნული, რომ ქართულს ზოგ თავსართ „ა“ ზმნაში, სახელდობრ მე-4 გვერდში (нарпак) მეგრულად უდრის ნამდვილი თობალ-კაინური (ივერიულ-ქანური) ექვივალენტი, ესე იგი ბგერა „ო“-ნი. საქმისადმი ამ შემცდარი

1 ზოგან ვერ ვაუტყებია პ. ჭარაია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს, რომ სრულებით დაეიწყებია თავისი მიზანი. მაგალითად, ვინ იფიქრებს, რომ შემდგვი სიტყვები და აბსინაიც „ქართულ-მეგრულ“ ლექსიკონიდან არის ამოღებული (იხ. თავისი ხელნაწერი, ა. ე.):

- „აზატება — თავისუფლება“.
- „აზეაება — ვადიდვლება“.
- „აზიზი — ნაზი, სათუთი“.
- „აიაზმა — ნაერთობი წყალი, აიაზმა“.
- „აია — ღმერთი“.
- „აიაფაფის კარი — ქიშკარი“.
- „აილბათ — აილბათ, ვება“.
- „აილერბანი — თავაზიანი“.
- „აილუბალი — ქვიშა“.
- „აშირი — შთავარი, უხეცვის, ამირბარი“.
- „აზღაოსანი — მხედართ უფროსი“ და სხვ.

აქ „მეგრული“ რა შვაშია?! რა ხელი აქვს ამ მასალას „ქართულ-მეგრულ“ ლექსიკონში. მე არ მგონია, რომ ამ სიტყვების აბსინა მეგრული ვნით შეუძლებელი იყოს, სხვა რომ არ ვთქვათ, „აია“ („აია“) სიტყვის აბსინაზე „ლორონი“ რატომ არ მოიხსენა ავტორმა.

დამართების მოყენებული ვნება ნამეტარი ზვიადდება იმიტომ, რომ ქართული ენა ლიტერატურის მექონია და მწიგნობრივი, ქართული სასაუბროც მწერლობის უმეშვეო გავლენის ქვეშ ხელოვნებით შემუშავებულია და დაწინაურებული, და თვით დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი განსაკუთრებით მწერლობით ენაზე არის მიჩენილი (ხალხური ცოცხალი სიტყვები და თქმანი ასობითა და ათასობით აკლია), მეგრული ენა კი უმწერლობო ენა არის, მრავალ საუკუნეთ განმავლობაში იგი მხოლოდ ბუნებრივად ზრდილა და ერთი კუთხის მხოლოდდა სახალხო ენაა.

ბ) ქართულისა და მეგრულის ლექსიკონის მეცნიერულად შემდგენელს უსათუოდ ქართული ენის ისტორიული ცოდნა შექენილი უნდა ჰქონდეს, მან უნდა იცოდეს თანამედროვე თეორია მის წარმოდგმის შესახებ და მონათესავე ენებთან განწყობილების ვითარება, მას შეთვისებული ჰქონდეს უნდა ამ რეალურ ფუძეზე აშენებული გრამატიკა და უნდა შეესწავლოს ქართულ ბგერათცვლილების კანონთაგან უმთავრესნი მიიწც. ამ მოთხოვნილებათ წარმოდგენილი ლექსიკონის მთხველი ვერ აკმაყოფილებს. ჩვენი მოთხოვნილება უმართებულო სიმკაცრეთ ვერ ჩაგვეთვლება, განსაკუთრებით, როცა ავტორს თავისი ნაშრომისათვის სათაურშივე სახელად უწოდებია „შედარებითი ლექსიკონი“. „შედარებითი ლექსიკონის“ სა-

ფუძვლად სჭირია შეთანისთანებულ ენების თეორიული და მკვეყმასაღის ისტორიული ცოდნა. ამ მხრეზე ქართია არა თუ სხვაზე უფრო დაქვეითებულია. ჩვენ ვამოწმებთ მხოლოდ მოვლენას, რომელს შედეგად მოსდევს ლექსიკონის სხვადასხვა ნაკლულევანება.

ერთ წუნს კერძოდ იმასაც დავადებთ, რომ ზ. ჰარაია არ ნიშნავს აუცილებლად ერთი და იმავე მეგრული სიტყვის სხვადასხვა ადგილობრივ სახეს, ხოლო როდესაც მოჰყავს ორი თუ რამოდენიმე სახე, არ გვაუწყებს, თუ რომელ ადგილს ან კუთხეს ეკუთვნის ან უნდა ეკუთვნოდეს თვითეული მათგანი.

მიუხედავად შემუშავების ნაკლულევანებისა, ზ. ჰარაიას შრომას როგორც სიტყვების კრებულს, სადაც უკვე მოთავსებულია მეგრული ენის ჰუმი, მაგრამ თვალსაჩინოდ მრავალგვარი, მდიდარი და მეცნიერებისათვის უსაჭიროესი მასალა, მე ვრაცხ ძვირფას საგანძურად ქართული ენის მკვლევარისათვის, საზოგადოდ იაფეტურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის, და ამიტომ „ქართული და მეგრულის შედარებითი ლექსიკონის“ წარმოდგენილი ნაწილიც ღირსად მიმაჩნია თავადის გრიგოლ დადიანის პრემიით დაჯილდოებისა. სასურველია, რომ მის შემდგენელს დასცალდეს ასეთი ღიდი საქმის დამთავრება.

1910. 3. 9.

შენიშვნები

ნიკო შარის რეცენზია პეტრე ჰარაიას ქართულ-მეგრულ შედარებით ლექსიკონზე ქვეყნდება პირველად არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით.

რეცენზია დაწერილია ნახევარსაუკუნეზე მეტი წნის წინათ, მაგრამ ახლაც ინტერესით იკითხება და მასში გამოთქმულ აზრებს ამჟამადაც მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

პეტრე ჰარაია (1861—1919) ქართული ელტურის დაულაღვი მოჭირნახულე იყო. სახელი გაითქვა როგორც მწერალმა, პედაგოგმა, საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ქართულური ენების მკვლევარმა წლების განმავ-

ლობაში სწავლობდა იგი ქართველურ ენათა ბგერით სისტემას, გრამატიკულ სტრუქტურას, ურთიერთობას აფხაზურთან. ჯერ კიდევ აღრინდელმა ნაშრომმა — „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ (ტურნ. „მოამბე“, 1895—1896 წწ.) და შემდეგ საუბრადღებო გამოკლევაში — „Об отношении ахвазского языка к яфетическим“, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1912 წელს აკად. ნ. შარის რედაქციით და წინასიტყვიანობით, ზ. ჰარაიას ფართოდ გუთქვეს სახელი. მკითხველთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მისმა „ადედიანის ზოგიერთი

სიტუაციის განმარტებამ* (ქუთაისი, 1910 წ.) და ცალკე სტატიებში, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა მაშინდელ ეურნალ-გაზეთებში ქართულსა და რუსულ ენებზე.

3. ჰარაიას ენათმეცნიერულ კვლევა-ძიების თეალორის ადვენება ნიკო მარის და მის მასალებს სახელოვანი მეცნიერი მუდამ ნდობით ეკიდებოდა.

დიდი დრო და ენერჯია მოახმარა პ. ჰარაიამ ქართულურ ენათა შესწავლას. მისი ენათმეცნიერული შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, რომლის გამოცემა, სამწუხაროდ, მას არ დასცადა.

ხსენებული ლექსიკონი მეტად საინტერესო და ორიგინალური ნაშრომია, შეიცავს ორ — ქართულ-მეგრულსა (გვ. 1—477) და მეგრულ-ქართულს (გვ. 1—232)—ნაწილს. ორივე ნაწილს ალგა-ალგ ერთეის აფხაზური პარალელები. ავტორის ნაშრომი საბოლოოდ გაუცხრილავს, გამოსაკვებად მოემზადება და 1918 წელს ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის ჩაუბარებია დასაბეჭდავად. ამჟამად ლექსიკონის დედანი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქვეყლის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 1716).

ავტორი ეურნობა მდიდარსა და მრავალფეროვან ფაქტებს. შესადაარებლად იშველიებს სანდო მასალა. ლექსიკონის ერთიანი ვარჯიშის შესავალი, რომელშიაც დადგენილია ქართულ-მეგრულის ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური შესატყვისობანი. მომოგებული და ვანალიზებულია ძვირფასი მასალა. გასწორებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გაპარული ფაქტობრივი შეცდომები და ცალკე, საერთო ენობრივ პროცესზეც წარმოდგენილია უპიველად ანგარიშგასაწევი დასკვნები. პ. ჰარაიას ამ ნაშრომს, ალ. ცაგარის, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის გამოკვლევების შემდეგ, პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის. სამწუხაროდ, ავტორის დაჯივრებებში ასახვა ვერ იპოვა არათუ ქართულური ენებისადმი მიძღვნილ საერთო ლიტერატურაში, არამედ ამ ენათა სპეციალურ შედარებით ლექსიკონებშიაც. პ. ჰარაიას ნაშრომს, მიუხედავად მოძველებისა, ამჟამაც არ დაუვარგავს მნიშვნელობა და მისი გამოცემა მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა მეცნიერებაში.

ლექსიკონში გამოყენებულია იმ დროს არსებული სპეციალური ლიტერატურა ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე, პირველ რიგში, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის გრამატიკული ნაშრომები. ავტორი, ამასთან ერთად, სარგებლობ-

და ამ მეცნიერთა კონსულტაციებითა და რიგ-ვა-დარგებებითაც. ლექსიკონის შესავალში პ. ჰარაია წერს: „პირველად შედგენილია ვერცაჲ აქედ. ნ. მარის, მოსკოვანში იწილნა და ი. ყიფშიძის, განსაკუთრებით პირველს, რომელმაც თავისი ღრმა ცოდნითა და გამოცდილებით შესაძლებელყო ამ შრომის დამთავრება ასე თუ ისე“ (ხელნაწ., გვ. XVI). მასალების ადგილზე შეკრება-შეყვრებაში ავტორისათვის დახმარება აღმოუჩენია არ. ხვიციას, ი. გობეჩიასა და ნ. ი. ხუბუტიას, რომელთაც ის გულითად მადლობას უძღვინა (ხელნაწ., გვ. XVI—XVII).

აქ ნიკო მარის სახელის ასე გულბობილად მოხსენება შემოხვევითი არ არის. ნ. მარის იყო პ. ჰარაიას ნამდვილი მასწავლებელი და მთავარი კონსულტანტი, რომლის დახმარებითაც შესძლო შედარებითი ლექსიკონის დამთავრება.

პ. ჰარაია შედარებით ლექსიკონს ადგენდა იმ დროს, როდესაც ქართული ლექსიკონი სრულიად შეუსწავლელი იყო, მეცნიერებაში ვაცხოველებული კამათი წარმოებდა ქართული ენის ზოგად ბუნებისა და სხვა ენათა ოჯახთან ნათესაობის საკითხებზე. გამოთქმული იყო ბევრი, ერთუბრთის საპირისპირო და გამოპირცხავი, პიოთეზა, დაუდგენელი იყო ტერმინოლოგია, ძირითადი ფაქტები, პ. ჰარაიას, როგორც უფრო მოხალისე მეცნიერს, ცხადია, არ მოეთხოვებოდა შედარებითი ლინგვისტური ძიებები ნორმების შეკარვად დაცვა, მაგრამ მისი ნაშრომი ამ მხრივაც არა თუ ჩამოეწარაგება, გვერდში უდევს იმდროინდელ ენათმეცნიერულ შეტევებს. ეს უნათუოდ ნიკო მარისა და პ. ჰარაიას საერთო თანამშრომლობის შედეგია. როგორც ჩანს, ამ საერთო თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პ. ჰარაიას ლექსიკონი, მაგრამ, ბუნებრივია, ყველა ნაკლის თავიდან აცილება ვერ მოხერხებულა და არც შეიძლებოდა მოხერხებულყო.

პ. ჰარაიას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ლექსიკონი ნაწილ-ნაწილ წარუდგენია და საზოგადოებასაც იგი ასევე ნაწილ-ნაწილ განუბილავს. ლექსიკონის პირველი ნაწილი (ა-ნიდან ო-გრამდის) 1910 წელს შესამოწმებლად გაუგზავნათ ნიკო მარისათვის. არქივში დაცულია ნიკო მარის რეცენზია, რომელიც 1910 წლის 9 მარტითა დათარიღებული და, ეტყობა, მამინევა წარდგენილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ნ. მარმა მოიწონა პ. ჰარაიას „თვალსაჩინოდ მრავალგვარი, მდიდარი და მეცნიერებისათვის უსაკუთრესი მასალა“ და მთლიანად ლექსიკონი მიიხსნა „ძვირფას საგანძურად ქართული ენის მკვლევარისათვის, საზოგადოდ იაფდურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის“. ამავე დროს

გაეცთა ორი უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის შენიშვნა. პირველი შენიშვნა ეხება ახალი მასალის სიმკირესა და მასალის საერთოდ გაცხრილობას, სამწერლობო ენისა და „სახალხო ენის“ სპეციფიკურ თავისებურებათა უგულვებელყოფას: „უწებლივთ უფრო ცნობილი ქართული სიტყვების განმეორებას უნდებია იგი, ვიდრე მეგრული ენის სიმდიდრის საესებით გამოქვეყნებასა და თავისებურების დაუზრდილად გამოხატებასო“. „საეილალო თვით მასალის ნაკლოვანებაცო“... მეორე შენიშვნა კი ეძღვნება შესადარებელ ენათა ფაქტების ისტორიის გათვალისწინებლობას: „ჩვენი მოთხოვნილება უმართებულო სიმკაცრეთ ვერ ჩავეთვლება, ვანსაკუთრებით, როცა ავტორს თავისი ნაშრომისათვის სათაურშივე სახელად უწოდებია „შედარებითი ლექსიკონი“. „შედარებითი ლექსიკონს საფუძვლად სჭირია შეთანისთანებული ენების თეორიული და მათი მასალის ისტორიული ცოდნაო“. ორივე შენიშვნას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ანალოგიურ მოთხოვნებს შეცნირება დღესაც ასევე შეაკერად უყენებს ენობრივი ფაქტების შედარებითის კვლევა-ძიებას.

ლექსიკონის პირველი ნაწილი წარმოდგენილი იყო გრიგოლ დიდიანის სახელობის პრემიაზე, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო შარას დასკვნებს. მეცნიერობა პირუთვნელად აღნიშნა ლექსიკონის სერვიოზული ნაკლი, მაგრამ მთლიანად ნაშრომს გულწრფელად მიესალმა და დაბეჭდვითი განაცხადა: „ქართული და მეგრულის შედარებითი ლექ-

სიკონის“ წარმოდგენილი ნაწილიც დიდად მისწინა თავადის გრიგოლ დიდიანის მემორიალური დაწესებულებისა. სასურველია, ზრუნა მისი მემორიალური დასცალდეს ასეთი დიდი საქმის დამთავრებაში“.

ნიკო შარას რეცენზიის კილო და ტონი მოწმობს მაღალ მეცნიერულ მოთხოვნილებას, ნაკლოვანებებთან და შეცდომებთან შეურიგებლობას, მაგრამ ამავე დროს გეანგენებს მიუღლომელ გულისხმიერებას, სათუთ ადამიანობას. ამ დასკვნას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ლექსიკონის შეფასებისათვის, არამედ პ. შარაიას მთელი შემდგომი კვლევა-ძიების ხალისის კიდევ უფრო გაცხოველებისათვის საერთოდ. და „შედარებითი ლექსიკონის“ უკანასკნელი ვარიანტიც გეანგენებს, რომ ავტორის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებია ნ. შარის შენიშვნები და მნიშვნელოვნად გადაუმუშავებია თავისი ნაშრომი.

ნიკო შარის რეცენზია აქამდე უცნობი იყო და ინახებოდა საქართველოს სსრ ცენტრალური (საქ. № 2048, ფურც. 13-15). ამ ათიოდე წლის წინათ ნ. შარის ავტოგრაფის პირი, ჩვენი თხოვნით, გადმოიღო დოც. ზ. კიკნაძემ და თავაზიანად გადმოგვცა. ტექსტი აქ ქვეყნდება უცვლელად. დედანში რეცენზიის ასეთი სათაური აქვს: „ქართულისა და მეგრულის შედარებითი ლექსიკონი, ნაწილი პირველი, ბ. შ. გ. შარაიას თხზულება“. ნ. შარის ქართული სტილი ხელუხლებელია, ოღონე შეცვლილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის მართლწერა.

ა. ლ. ლონგი

ლითვანი ქვეყნის

ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო

(მოქმედების განვითარების ადგილი)

ვეფხისტყაოსნის მოქმედების განვითარების განსაზღვრა მრავალმხრივია აუცილებელი და საჭირო. ჯერ ერთი, ეს აუცილებელია ეპოპის კომპოზიციის დახასიათებისათვის და განსაზღვრისათვის, რადგან, მოქმედების განვითარების ადგილი, მოქმედების განვითარების დროსთან ერთად კომპოზიციის ერთერთი კომპონენტია.

მეორე მხრივ, ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს რაობის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს ვაგვითვალისწინოთ შოთა რუსთაველის გეოგრაფიული თვალთახედვა და ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროს გეოგრაფიაზე მეთორმეტე საუკუნის საქართველოში.

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, ვეფხისტყაოსანი ხომ მხატვრული ნაწარმოებია, შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფი და რამდენად მართებულია მასში რეალური გეოგრაფიული გარემოს ძიება.

ამ შეხედულებას დღესაც ჰყავს დამცველები, ამიტომ ჩვენ მოგვიხდება რამოდენიმე მაგალითის მოტანა იმის ნათელსაყოფად, რომ პოეტური ქმნილებები, და არა მარტო პოეტური ქმნილებები, არამედ ძველი მითები და ლეგენდებიც კი, საკმარის მასალას იძლევიან ამა თუ იმ ნაწარმოების რეალური გეოგრაფიული გარემოს დასადგენად და უძველეს დროს არსებული გეოგრაფიული ცოდნის წარმოსადგენად.

ამ მხრივ ფრიად ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული მრავალ მეცნიერ-გეოგრაფოსს. შათ შორის პროფესორ ბ. ბოდნარსკის, გამორჩენილ გერმანელ მეცლევარს რიხარდ ხენიგს² და ჰენრიხ შლიმანს. ამ უკანასკნელმა საოცარი აღმოჩენები გააკეთა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მან თავისი არქეოლოგიური გათხრებით დამტკიცა, რომ ის, რაც ზღაპრად და მითად ითვლებოდა, რასაც ჰომეროსის პოეტურ ფანტაზიას მიაწერდნენ, სინამდვილესთან მჭიდრო კავშირში იყო. შლიმანს სჯეროდა, რომ ჰომეროსის ფანტაზიას რეალური ფესვები აქვს და, ყველა მეცნიერის აზრის საწინააღმდეგოდ, აღმოაჩინა ტროადა, რომელიც მანამდე პოეტური ფანტაზიის ნაყოფი ეგონათ.

პროფ. მ. ბოდნარსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძველი ბერძენი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებში შემონახულ გეოგრაფიულ ცნობებს და მათი მიხედვით იმ გეოგრაფიულ თვალთახედვას, რომელიც ჰქონდათ ანტიკურ სამყაროში. ასე, მაგალითად, პროფ. მ. ბოდნარსკი ვერგილიუსის (70 წ. ჩვენ წელთ აღრცხ.) „ენეიდის“ შესახებ წერს: «Географические сведения. со-

¹ Проф. М. С. Боднарский, Античная география, М. 1953 г.

² Рихард Хениг, Неведомые земли, том I, II, III, IV, М. 1963 г.

общаемые «Энеидой» отражают уровень представлений об устройстве земли, современных Вергилию высших слоев римского общества»¹. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოდნარსკი ანტიკურ ლიტერატურის სხვა ძეგლებში შემონახულ გეოგრაფიულ ცნობებს.

რისხარდ ხენიგი ცნობილ მითს აროგონავტების ლაშქრობის შესახებ განიხილავს, როგორც ბერძნების მიერ შავი ზღვის აღმოჩენის სიმბოლოს. ის ცვლილებები, რომლებიც ამ მითმა პეისიოდის, აპოლონ როდოსელის და სხვათა პოეტურ ქმნილებებში განიცადა, ასახავს ძველი ბერძნების გეოგრაფიული წარმოდგენების იმ ცვლილებებს, რომლებიც საუწყუნების მანძილზე ხდებოდა. „ოდისეაში“ მოცემული აღწერილობების მიხედვით გეოგრაფოსებმა და, მათ შორის, ხერენმა და ჰუმბოლდტმა დაადგინეს, რომ ჰომეროსის მიერ ნახსენები მითიური კუნძული ოგიგია, (სადაც ცხოვრობდა ნიმფა კალიფსო, რომელმაც ძალით გააჩერა თავისთან ოდისეესი) და რომელსაც ჰომეროსი უწოდებდა „ევრცელი ზღვის ჰიბს“, არის კუნძული მადეირა. რისხარდ ხენიგი ამის შესახებ წერს: «Что же касается того, что под островом Огигия понималась Мадейра, то это толкование было одобрено еще Хереном и Гумбольдтом. Такое толкование неоднократно подтверждалось географическими, историческими данными. Оно представляется весьма правдоподобным. Действительно, мы вряд ли можем отказаться от предположений, что певец «Одиссеи» за 700 лет до нашей эры имел некоторые сведения о прекрасных островах на западе»².

ასევე, რეალური გეოგრაფიული წერტილი იგულისხმებოდა, აქამდე ფანტასტიკურად ცნობილ ჰომეროსის ატლანტის სახელით, რომელიც მოხსენებული ჰქონდათ აგრეთვე პეისიოდეს,

ოვიდიუსს და სხვა ანტიკურ პოეტებს. ახლა საბოლოოდ დადგენილია რომ მითიური მთა ატლანტი—ესაა ატლანტიკი დეტეიდე, რომელიც მდებარეობს კუნძულ ტენერიფზე. ეს მთა, მართლაც, ისევე, როგორც ჰომეროსს აქვს აღწერილი, პირდაპირ ზღვიდანაა ამოზიდული 3710 მეტრ სიმაღლეზე.

ასევე პიგმეები, რომლებიც ჰომეროსს „ილიადის“ მესამე სიმღერის 3-7 სტროფებში ყავს მოხსენებული, ისეთი პოეტური ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა, რომელსაც მტკიცე კავშირი აქვს რეალურად არსებულ ჯუჯა ხალხთან. ეს ხალხი ცხოვრობდა შორეულ სამხრეთში, ნილოსის დიდი ჰაობების რაიონში³. ეს ის პიგმეებია, რომლებიც გოეთესაც აქვს მოხსენებული თავის „ვალპურგის ღამეში“.

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი: დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, კერძოდ, „სალზინობელში“ ლაპარაკია ოთხვარსკვლავზე, რომლებიც არ ჩანან ჩრდილოეთის ცაზე.

მეცნიერებმა გამოაკვივეს, რომ დანტეს მიერ „სალზინობელში“ აღწერილი ვარსკვლავები წარმოადგენს სამხრეთ ჯვრის თანავარსკვლავედს. უფრო მეტიც, „სალზინობელის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ დანტემ კარგად იცოდა პრეცესიაც. იგი ამბობს, რომ სამხრეთ ჯვრის თანავარსკვლავედრ, ოდესღაც ხმელთაშუა ზღვის ცაზეც კი ჩანდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მხატვრული ნაწარმოებები, მიუხედავად მათში მოცემული პოეტური ფანტაზიის დიდი ხედრითი წონისა, რეალურ სამყაროსთან, კერძოდ, რეალურ გეოგრაფიულ გარემოსთან უშუალო კავშირში იმყოფება და მათი საშუალებით ბერძნებმა ამ რეალური გეოგრაფიული გარემოს დადგინა. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამა თუ იმ პოეტის გეოგრაფიულ თვალთახედვაზე.

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსან-

¹ Проф. М. С. Воднарский. Античная география, М. 1953 г., стр. 116.

² Рихард Хенниг. «Неведомые земли», М. 1961 г., см. 69.

³ Рихард Хенниг. «Неведомые земли», гл. 358-363.

ნიც ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიაც პოეტური ფანტაზია მჭიდრო კავშირშია რეალურად არსებულ სამყაროს გეოგრაფიასთან და იძლევა დიდ მასალას გენიალური პოეტის გეოგრაფიული პორტრეტის დასადგენად.

ჭვემთ ხვენ შევეცდებით გავარკვიოთ ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო და დავადგინოთ, რუსთაველის გეოგრაფიული თვალთახედვა. ცხადია, ჩვენ არ ვაცხადებთ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზიას, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა პატარა წვლილი მაინც იქნება ვეფხისტყაოსნის კვლევის საქმეში.

ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს შესახებ რუსთაველის მკვლევართა შორის აზრთა დადი სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთ ჯგუფს ვეფხისტყაოსნის მოქმედების განვითარების ასპარეზად მხოლოდამხოლოდ თამარ მეფისდროინდელი საქართველოს ტერიტორია მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ისინი ქაჩეთის ციხის ანალოგიას საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში არსებულ ციხეებში ხედავენ, ან კიდევ ამბობენ, რომ ინდოეთის შვიდ სამთავროდ საქართველო არის ნაგულისხმევიო. ვეფხისტყაოსნის მოქმედების ადგილის საქართველოს და მის გარშემო მდებარე სახელმწიფოებით შემოფარგვის თეორიის დამკველი მ. ჯანაშვილი იყო.

მოსე ჯანაშვილის მიერ ანალოგიების მოძებნის ცდა კეთილი განზრახვით და პატრიოტული გრძნობითაა ნაკარნახევი. ამით იგი ცდილობდა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობა დაემტკიცებია იმათთვის, ვინც შოთას უკვდავ ქმნილებას სპარსულიდან ნათარგმანებად აცხადებდა. მაგრამ მის მიერ საქართველოს სინამდვილეში გამოძებნილ ისტორიულ-გეოგრაფიული პარალელებს საერთო არაფერი აქვთ იმ გარემოსთან, რომელშიც მოქმედება უხდებათ ვეფხისტყაოსნის გმირებს. მეორე მხრივ, რუსთაველის მიერ აღწერილი ქვეყნების სურათი არა

თუ არ ემთხვევა მ. ჯანაშვილის მიერ შეთხზულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „მ. ჯანაშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, რომელსაც ის ერთგვარ ქრონოლოგიურ საფუძვლებსაც უძებნის, არის თვითნებობა, დამყარებული „აღბად“ და „უნდა იყოს“-ზე და არავითარ ანალოგიას და პარალელს არ შეიცავს.“¹

ზოგი უფრო შორსაც კი მიდის და მულღაზნაზარს, გულანშაროს შავის ზღვის სანაპირო ქართულ ქალაქებში ხედავს. მათი აზრით, რუსთაველი ინდოეთის, არაბეთის, ზვარაზმეთის, ხატაეთის სახელწოდების ქვეშ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს გულისხმობდა.

მკვლევართა მეორე ჯგუფი თვლის სარწმუნოდ რუსთაველის მიერ დასახელებულ ქვეყნებს და ცდილობს დაადგინოს ვეფხისტყაოსნის გმირთა მოგზაურობის მარშრუტები. ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. სვანიძის საკმაოდ მოზრდილი შრომა „ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული“² და ლ. მარტაშვილის „Географический кругозор Шота Руставели“³. დასახელებული მკვლევარები თვლიან, რომ რუსთაველი არაბეთის, ინდოეთის, ხატაეთის, ზვარაზმეთის ქვეშ სხვას არაფერს არ გულისხმობდა, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ.

რა შეიძლება ითქვას იმ თეორიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ვითომც რუსთაველმა თავისი ეპოპის მოქმედების გარემო მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მოაქცია?

პირველი, რაც ამ თეორიის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ეს არის სულ სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბები. ინდო-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 172. თბილისი.

² А. С., Историко-географические основы «Барсовой кожи», 1936, Тифлис.

³ Известия Госуд. геогр. общества. Л. — ОН.ТИ, 1938, М. т. LXX, вып. 2

ეთის, არაბეთის, ხვარაზმეთის, ზღვათა სამეფოს ტერიტორია ერთად აღებული კი არა, ცალ-ცალკეც კი მრავალჯერ აღემატება საქართველოს ტერიტორიას და ცხადია, მისი საქართველოს საზღვრებს შიგნით მოქცევა უაზრობაა და ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება. მეორეც, ის მანძილები, რომლებსაც ვეფხისტყაოსნის გმირები ჰფარავენ, სრულებით არ შეესაბამება საქართველოს მასშტაბებს. მართალია, რუსთაველი თავის ეპოპეაში მანძილის სიგრძევს საზომებს არ იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ, ზუსტად მიგვითითებს იმ დროზე, რომელიც ამა თუ იმ გმირს დაჰქირდა ერთი პუნქტიდან მეორეში გადასასვლელად. ასე, მაგალითად, ავთანდილი, ფრიდონი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი არაბეთიდან ინდოეთამდე მისვლას სამ თვეს მოუწოდნენ. თუ ისინი დღეში, საშუალოდ, 35-40 კილომეტრს გადიოდნენ, გამოდის, რომ მათ დაფარეს 3600 კილომეტრი. ან კიდევ, ავთანდილმა ტარიელის გამოქვამულიდან მულღაზანზარამდე 80 დღე იარა, ხოლო მულღაზანზარიდან იმ ადგილამდე, სადაც ის ვაჭრებს შეხვდა, 100 დღე. ამრიგად, გამოდის, რომ მან საშუალოდ 7000 კილომეტრზე მეტი გაიარა. ცხადია, რომ ეს მასშტაბები საქართველოს ტერიტორიას არ შეეფარდება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ჰიპოთეზების ავტორებს ამოძრავებდათ ფრიად კეთილშობილური პატრიოტული გრძნობა, როგორმე დაეცვათ ქართველი ერის საუნჯე იმათგან, ვინც ვეფხისტყაოსანს სპარსულიდან თარგმანებად აცხადებდა, საქართველოს სინამდვილისგან მოწყვეტილად განიხილავდა. ამის შედეგად წარმოიშვა ვეფხისტყაოსნის გმირებისათვის თამარ მეფისდროინდელ საქართველოში ანალოგიების მოძებნის ცნობილი თეორია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თუ ტარიელი ან დავით სოსლანი იყო, ან დემნა ბა-

გრატიონი, ხოლო ნესტან-დარეჯანი — თამარ მეფე, მოქმედებაც უნდა შესაბამისად ექცეოდათ ფარგლებში განჭვთაობის კონცეფციის. რუსთაველის მიერ არაბეთში, ინდოეთში, ხატაეთში, ხვარაზმეთში და სხვაგან მოქმედების გადატანა, სრულიადაც არ ნიშნავს მის საქართველოს სინამდვილისაგან მოწყვეტას, ან იმას, რომ ვეფხისტყაოსანი თარგმანია და არა ორიგინალური ნაწარმოები. ისტორიულ პიროვნებებსა და ვეფხისტყაოსნის გმირებს შორის ანალოგიის დამყარებისა და მოქმედების განვითარების საქართველოს საზღვრებში მოქცევის გარეშეც რუსთაველის ვეფხისტყაოსანი დიდ ძალ მასალას იძლევა იმ ორგანული კავშირის ნათელსაყოფად, რომელიც თამარ მეფის ეპოქასა და შოთას უკვდავ ქმნილებას შორის არსებობს, და იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ თამარ მეფის ეპოქამ ბოვია თავისი ასახვა რუსთაველის ეპიურ ტილოზე.

უფრო სწორ გზას ადგანან ის მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ ვეფხისტყაოსნის მოქმედების განვითარება იმ ქვეყნებში დაინახონ, რომლებიც თვით შოთას აქვს დასახელებული. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგალითად, ალ. სვანიძე თვლიდა, რომ ქაჩეთად შოთა რუსთაველი გიბრალტარს გულისხმობდა, გულანშაროს სახით ვენეცია აქვს აღწერილი, ხოლო მულღაზანზარი ტრაპიზონია. ამრიგად, ა. სვანიძის აზრით, ნესტან-დარეჯანი ინდოეთიდან ზღვით წაიყვანეს ტიგროსისა და ეფრატის შესართავამდე, შემდეგ ამ მდინარით გაატარეს შავი ზღვისაკენ. ხმელეთით მივიდნენ ტრაპიზონამდე ანუ მულღაზანზარამდე. ტრაპიზონიდან ზღვით მიადრწეს ვენეციამდე. ვენეციიდან გაქცეული ნესტანი ქაჩებში შეიპყრეს და გიბრალტარის ციხეში დაამწყვდიეს. ტარიელის გამოქვამული, იმავე ა. სვანიძის აზრით, ბელუჯისტანში ან

ანტი მარუაშვილის მიხედვით, ტარიელის გამოქვაბული მდებარეობდა აბისინიაში. უდაბნო, რომელიც ავთანდილმა გაიარა ტარიელის გამოქვაბულამდე, მკვლევარის აზრით, ნუბიის უდაბნოა, ხოლო მთა, რომელზეც იგი ავიდა, აბისინიის და ზემო ეგვიპტის საზღვარზე მდებარე მაღალი მთაგრებილია.

მულაზანზარი ლ. მარუაშვილის შრომაში გაიგივებულია აფრიკის სანაპიროზე მდებარე იმ ქალაქთან, რომელიც ამჟამად ზანზიბარის სახელწოდებას ატარებს. ხოლო, რაც შეეხება გულანშაროს, „იძულებული ვართ გვაიგივოთ ან მადაგასკართან ან მოზამბიკთან“, — წერს მარუაშვილი. ქაჯეთი, მკვლევარის აზრით, შეესაბამება ზანგების რომელიღაც სახელმწიფოს, მდებარე საზღვრით აფრიკის მატერიკის აღმოსავლეთ ნაპირთან.

საბოლოოდ ლ. მარუაშვილის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის გმირების მარშრუტების მიმართულება შემდეგ სახეს ღებულობს:

დასავლეთ ინდოეთიდან ნავით გამგზავრებული ნესტან-დარეჯანი გადასერავს ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ზანზიბარის მიმართულებით. აქედან ინდოეთის დედოფალი მიჰყავთ შავ მონებს მადაგასკარისაკენ (ან მოზამბიკისაკენ). ამ მარშრუტის პირველ ნაწილს იმეორებს ტარიელი. ყველაზე რთულია ავთანდილის მოგზაურობის მარშრუტი. არაბეთიდან გასული ავთანდილი სუეცის ყელის გავლით მივიდა ეგვიპტეში, გადასერა ნუბია და აბისინია, ინდოეთის ოკეანის სომალის ნაპირით მივიდა ის ზანზიბარში, გემით იცურა მადაგასკარამდე (ან მოზამბიკამდე).

1. სიმართლეს არ შეეფერება ლ. მარუაშვილის ღებულება ტარიელის გამოქვაბულის აბისინიის ტერიტორიაზე მდებარეობის შესახებ, რადგან ვეფხისტყაოსნის მიხედვით იგი ხატაეთის საზღვრების ახლოს იმყოფებოდა. სად ხატაეთი და სად აბისინია?

2. მიახლოებითაც არ ემთხვევა ერთ 10. „მნათობი“, № 12.

მანეთს მანძილის სიდიდე, რომელიც არსებობს ფრიდონის სატახტო ქალაქსა და გულანშაროს შორის ვეფხისტყაოსნისა და ლ. მარუაშვილის ჰიპოთეზის მიხედვით. ლ. მარუაშვილის მიერ დადგენილი მარშრუტის სიგრძე, რომელიც გააკეთა ავთანდილმა მულაზანზარიდან გულანშარომდე, არ აღემატება 1000 კილომეტრს, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში 4000 კილომეტრზე მეტია, თუ დღეში იგი საშუალოდ 40 კილომეტრს გადიოდა.

3. ექვს იწვევს აგრეთვე ლ. მარუაშვილის ვარაუდი იმის შესახებ, რომ შავმა მონებმა ნესტან-დარეჯანთან ერთად, ინდოეთიდან ზანზიბარამდე ინდოეთის ოკეანის შუაგული გადასერეს. ეს მით უმეტეს არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, რომ შოთა რუსთაველის დროს ნაოსნობა უმთავრესად ზღვის სანაპიროების გასწვრივ სწარმოებდა.

კიდევ მრავალი შეუსაბამობის გამოვლენა შეიძლებოდა ლ. მარუაშვილის ჰიპოთეზიდან, მაგრამ ნათქვამიც ცხადყოფს ამ ჰიპოთეზის უმართებულობას.

ამრიგად, ვერც ალ. სვანიძის დასავლეთის ვარიანტი და ვერც ლ. მარუაშვილის სამხრეთის ვარიანტი ვერ ასახავს სწორად შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ სარჩულს. ამის გარდა, ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს შესახებ თავისი მოსაზრება აქვთ გამოთქმული ზ. ავალიშვილს და კ. ჭიჭინაძეს. ზ. ავალიშვილს, როგორც თვითონ ამბობს, აინტერესებს „პოემის ზოგიერთი გეოგრაფიული სქემა“,¹ და იგი, მართლაც, საკმაოდ ზოგად ხაზებში განიხილავს ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ გარემოს.

ზურაბ ავალიშვილის აზრით, „რუსთაველის ხატაეთი ესრედ წოდებულ აღმოსავლეთ ანუ „ჩინურ“ თურქესტანს ნიშნავს... ხატაეთი ალბად იგივეა, რაც ფირდოუსის ხატა, khata — თურანის ქვეყანაა. ინდოეთისაგან დიდი

1. ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 88.

მთებით გაყოფილი, ის შუა-აზიის ნაწილია, რომელშიაც ირანის, ჩინეთის და ინდოსტანის გავლენათა ნაშთი მრავალნი არიან და რომლის უდაბნოებშია და ქალაქებშია ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიიბჟრეს.¹

ინდოეთის შესახებ ზ. ავალიშვილი შემდეგი განცხადებით კმაყოფილდება: „საყოფადღებოა, რომ ეს ტარიელის სამშობლო უფრო ზღვისკენ მიმართული ქვეყნის შთაბეჭდილებას ახდენს“.² ასევე არაფრის მთქმელია ზ. ავალიშვილისეული ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილი სხვა გეოგრაფიული უნებების განსაზღვრა. მაგალითად, ტარიელის გამოქვაბულის ადგილმდებარეობას მკვლევარი ასე განსაზღვრავს: „ხოლო ტარიელის „გაჭრის“ მთავარი ადგილი, ე. ი. კლდეებში გამოთხრილი ქვაბები უფრო არაბეთისკენ მდებარეობდა“. აირიქით, ფრიდონის პატარა სამეფო, გულანშარო, თვით ქაჯეთიც უფრო ინდოეთის მიდამოებში უნდა წარმოვინდგინოთ“.³

თავისი ეს ზოგადი დებულებები ზ. ავალიშვილს არა აქვს გამაგრებული არც ვეფხისტყაოსნის კონკრეტული განხილვით, არც ფაქტიური გეოგრაფიული მასალით. ეს საკვირველიც არ არის, რადგან იგი ასეთ მასალას ვერც ხედავს ვეფხისტყაოსანში. ზ. ავალიშვილი წერს: „ვ. ტ-ისთანა პოეზიის ნაწარმოებში გეოგრაფიის და ისტორიის ფაქტები უშუალოდ არ იქნებიან გადმოცემულნი. აქ „სიმართლე“ არც მოსალოდნელია.“⁴ თავისთავად ცხადია, რომ ასეთი არასწორი შეხედულება, საერთოდ, გამორიცხავს ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული სარჩელს რაიმე კვლევას.

მართალია, კ. ჭიჭინაძეს სპეციალურად არა აქვს დამუშავებული ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული ვარემოს საკითხები, მაგრამ აყადემიკოს კ. კეკელიძისთან

ქვემოთ კამათის დროს იგი მიიხრება ტებოდა ზოგიერთ პრობლემებზე.⁵

კ. ჭიჭინაძის ვარაუდით, „მხამდსაგოცებში გამოქვაბული დატოვეს, და ტარიელმა ავთანდილი ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ სანაპიროზე გაიყვანა, სწორედ იქ, სადაც სპარსეთის ყურე იწყება. ჩვენი აზრით, კ. ჭიჭინაძე დაახლოებით ახლანდელი ბენდერ-აბასის მიდამოებს უნდა გულისხმობდეს. აქედან, — ამბობს მკვლევარი, — ზღვის სანაპიროს გასწვრივ დასავლეთით უნდა მდებარეობდეს ტარიელის ქვაბი, ხოლო აღმოსავლეთით ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ვიდრე ინდოეთამდე მივიდოდეთ, იმყოფება ზღვათა სამეფო და გულანშარო. გულანშაროდან ჩრდილოეთით კი ქაჯთა სამეფო. კ. ჭიჭინაძე იმასაც კი ამბობს, რომ ზღვათა სამეფო თავისი აღმოსავლეთის საზღვრით უშუალოდ ემიჯნება ინდოეთს დასავლეთიდან. იგი წერს: „გულანშარო, იმის ჩრდილოეთით მდებარე ქაჯეთი და ორივეს აღმოსავლეთით გადაჭიმული ინდოეთი ერთმანეთის მეზობელი ქვეყნებია“¹. ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული ვარემოს ასეთი წარმოდგენა არ შეესაბამება იმ მანძილებს, რომლებსაც გადიან რუსთაველის გმირები. ცნობილია, რომ ტარიელის გამოქვაბულიდან წასულმა ავთანდილმა, ვიდრე გულანშარომდე მიადგებოდა, ჯერ 80 დღე იარა, შემდეგ 100 და მერე კიდევ გემით იმგზავრა. მარტონის გზა, რომელიც ავთანდილმა ცხენით იარა, ვიდრე ვაჭართა ქარავანს შეხვდებოდა, შეიდი ათას კილომეტრზე მეტს შეადგენს. ეს მარშრუტი კი თითქმის შეიღწეოდა მეტია იმ მანძილზე, რომელსაც კ. ჭიჭინაძე წარმოგვიდგენდა. რადგან იმ ადგილიდან, სადაც ინდოეთის ოკეანე სპარსეთის ყურეს ქმნის, ინდოეთის საზღვრამდე მხოლოდ ათასი კილომეტრია.

ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ კ. ჭიჭინაძის მიხედვით, ზღვათა სამეფო და ქაჯეთი კონტინენტალური ქვეყნებია,

¹ კ. ჭიჭინაძე, რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 155.

¹ იქვე, გვ. 89—90.

² იქვე, გვ. 90.

³ იქვე, გვ. 94.

⁴ იქვე, გვ. 94.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით კი კუნძულზე მდებარეობენ: „წმინდისა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიბია“.

ეს სტრიქონი კ. ტვიინაძესაც სწორად არა აქვს გაგებული. იგი წერს: „დავარმა უბრძანა მათ: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიბია“, რომ იქ მან წმინდა (ე. ი. უმარილო) წყალი ვერ ნახოსო.“

საქმე იმაშია, რომ ამ სტრიქონში ის კი არ არის ნათქვამი, ისეთ ადგილს მიეყვანათ, სადაც საერთოდ, არ იქნებოდა სახმარი წყალი, არამედ სადაც ეს წყალი არის, მაგრამ არასდროს არ იყინება. ადამიანის ისეთ ადგილს მიეყვანა, სადაც მტკნარი ანუ უმარილო წყალი არ არის, რამდენიმე დღის შემდეგ ამ ადამიანის სიკვდილს მოასწავებს და განა იმისათვის, რათა ადამიანი უწყლობით მოკლა, საქმროა მისი ასე შორს წაყვანა? ამას, ცხადია, რუსთაველი ვერ გაიფიქრებდა და ვერც დასწერდა.

ამრიგად, ამ სტრიქონში ხაზგასმული არაა სასმელი წყლის არარსებობა, არამედ ის, რომ იქ მუდმივი სიცხეა და წყალი არასდროს არ იყინება.

ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული საზღვრის განსაზღვრის და დადგენის დროს მკვლევარს დიდი სიძნელეები ხვდება. პირველი სიძნელე ისაა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს და გეოგრაფიული წერტილის სახელწოდებები არ არის აღნიშნული არც ერთ რუკაზე და არც რაიმე ისტორიული ცნობა არსებობს მათ შესახებ. ასეთია ზღვათა სამეფო, სატახტო ქალაქ გულანშაროთი, ფრიდონის სამეფო და მულაზანზარი. არ ვიცით, რა იგულისხმება „ზღვის ჭიბის“ ცნების ქვეშ და დედამიწის რომელ გეოგრაფიულ წერტილში იმყოფება იგი. უცნობია აგრეთვე ქაჯთა სამეფო და ქაჯეთის ციხის ადგილსამყოფელი; იგივე ითქმის დევთა გამოქვაბულების შესახებ. შესაძლოა, ისინი თავის დროზე რეალურად არსებობდნენ, ან ისტორიულ გადმოცემებში რაიმე ცნობები იყო შემონახული მათ შესახებ, მაგრამ დროთა ვითარების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ასეთი მაგალითები ზომ მრავალია ისტორიაში. აგრეთვე შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ რუკებში სახელმწიფოებმა და ქვეყნებმა ფიქტური წერტილები რუსთაველის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მათ რეალურად არსებულის მრავალი ნიშანი აქვთ, რადგან რუსთაველმა ისინი დაუკავშირა რეალურად არსებულ ისეთ სახელმწიფოებს, როგორცაა არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ბაღდადი, ეგვიპტე და საქმაოდ ზუსტად განსაზღვრა მათი ადგილმდებარეობა ამა თუ იმ ცნობილ სახელმწიფოს მიმართ, მოგვცა ცნობები მათი ფიზიკური გეოგრაფიის შესახებ. ამიტომ, რადგან ეს გეოგრაფიული ცნობები სივრცეში და დროში არიან განლაგებული, გინდაც ისინი პოეტურა ფანტაზიის ნაყოფი იყვნენ, მათში შოთა რუსთაველი რომელიმე რეალურად არსებულ გეოგრაფიულ ადგილს გულისხმობდა და აღწერდა.

აქედან გამომდინარე მკვლევარის წინაშე მათი კოორდინატების განსაზღვრის აუცილებლობა დგება. მით უმეტეს, რომ ასეთი განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა ცნობები იმ მანძილის შესახებ, რომლითაც ისინი დაშორებული არიან ცნობილი გეოგრაფიული პუნქტებისაგან.

მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე სიძნელე. საქმე ისაა, რომ ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი საუკუნის ინდოეთა, არაბეთი, ხვარაზმი და ხატაეთი აქვს მხედველობაში რუსთაველს. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში მთელი სამეფოები, სახელმწიფოები და იმპერიები იქმნებოდნენ და იშლებოდნენ, ზოგი მათგანი მთლად აღიგავა მიწის პირიდან. განსაკუთრებით ძნელი ხდება მათი ისტორიის აღდგენა მონღოლთა შემოსევის შემდეგ. რუსთაველს კი შეეძლო ნებისმიერ ინდოეთში, არაბეთში და ხვარაზმში გადაეტანა თავისი ეპოპეის მოქმედების ასპარეზი, დაწყებული უძველესი დროიდან, მეთორმეტე საუკუნის ბოლომდე.

იმათ წინაშე, ვისაც სურს განსაზღვ-

როს ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული სარჩული, კიდევ ერთი სიძნელე იჩენს თავს. ჩვენ, სამწუხაროდ, აქამდე არ გვაქვს საბოლოოდ დადგენილი ვეფხისტყაოსნის ტექსტი.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული სარჩულის გამოსარკვევად და მოქმედების განვითარების ასპარეზის დასადგენად, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ეპოპეის გმირების მარშრუტების მიმართულებისა და მანძილების შესწავლა და გამოვლენა თვით ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე, მეორე — იმის მიახლოებითი განსაზღვრა, თუ რომელი საუკუნის სახელმწიფოები აქვს მხედველობაში რუსთაველს. ამის შემდეგ ვეფხისტყაოსანში აღნიშნული მარშრუტების გადმოტანა და აღნიშვნა დაახლოებით მეთავე საუკუნის აზიის რუკაზე ჩვენთვის უკვე ცნობილი სახელმწიფოების გათვალისწინებით სასურველ შედეგს მოგვცემს და ნათლად წარმოგვიდგენს შოთას დიდებული ქმნილების გეოგრაფიულ გარემოს. ეს არის ერთადერთი გზა, რომელმაც შეიძლება ქვეშარბიტებამდე მიგვიყვანოს.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ვეფხისტყაოსნის გმირების მარშრუტები დროის იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ეპოპეაშია მოცემული რუსთაველის მიერ.

დავიწყოთ ავთანდილის მარშრუტით, რადგან იგი ყველაზე გრძელია და თითქმის ყველა დანარჩენი გმირების მარშრუტებს შეიცავს.

იმის შემდეგ, რაც არაბეთის მეფე როსტევანმა და მისმა სპასპეტმა ავთანდილმა ნადირობის დროს უცხო მოყმე ნახეს, ერთი წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ოთხ მხრივ გაგზავნილი კაცნი ამაოდ ეძებდნენ უცხო მოყმეს. როგორც ტექსტიდან ირკვევა, როსტევანის კაცნი ტარიელს ეძებდნენ ხმელეთზე და არა ზღვაზე.

„მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით“ — ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. ტარიელს ეძებდნენ არაბეთის და არაბეთთან ვასალურ

დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნების ტერიტორიაზე. ეს იმ რწმუნებასთანაა, რომელიც თინათინმა ბაქინ-მცხეთის-კა:

114. „მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ,
მეფეთა ზედა მფლობელი.
შორს არის თქვენი საზღვარი,
ბრძანება-პითობრობელი,
გაგზავნე კაცნი ყოველგან მისთა
ამბეთა მცნობელი...“

ტარიელის ხმელეთზე ძებნა უდავოდ აწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან იგი მათ ცხენით ნახეს, ცხენით ზღვაში ხომ არ შეტურდებოდა! როსტევანის კაცნი ხელცარიელნი დაბრუნდნენ, მაგრამ თინათინმა გადაწყვიტა განეგრძო უცხო მოყმის ძებნა და ეს მძიმე საქმე ავთანდილს დაევა. ავთანდილს სამი წელი აქვს მიცემული უცხო მოყმის ამბის გასაგებად. იგი ისევ ხმელეთზე აწარმოებს ტარიელის ძებნას, მხოლოდ უკვე არაბეთის სამეფოს საზღვრებს გარეთ. ეს იქიდან ჩანს, რომ არაბეთის სატახტო ქალაქიდან წამოსულმა ავთანდილმა ერთი თვე იარა, რათა საზღვარზე მდებარე თავის სამფლობელო ქალაქამდის მისულიყო. იქ მან სამი დღე დაჰყო, შემდეგ კი დასტოვა არაბეთის საზღვრები და მოყმეს ძებნა სხვა ქვეყნებში დაიწყო:

„ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახლით
გარდაიარა,
დაავდო მზღვარი არაბთა, სხვათ
მზღვართა არე იარა“.

ორი წელიწადი და ცხრა თვე უშედეგოდ ეძებდა ავთანდილი უცხო მოყმეს. თუ რა ქვეყნები მოიარა მან ამ დროის განმავლობაში, ამის შესახებ ვეფხისტყაოსანში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ხმელეთზე არაბეთის საზღვრებს იქით ყველა ქვეყანა მოიარა, სადაც კი აღამიანები სახლობდნენ. როდესაც სამი თვეა დარჩა ავთანდილს, იგი მეტად უდაბურ ადგილას მოხვდა:

„მოხვდა რასმე ქვეყანას, უგემურსა მეტად
მქისსა,
თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას
შვილსა აღამისსა...“

ხორკლიანი¹. ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონი თავის კომენტარებში წერს: „მქისი — უსწორ-მასწორო, უწრფელო, ხორკლიერი“². ვახტანგ მეექვსეც თავის კომენტარებში იგივეს იმეორებს, რასაც სულხან-საბა ორბელიანი:

„მიხვდა რასმე: მქისი დამშხალული გინა ხორკლიანი“³.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქვეყანა, რომელშიაც მოხვდა ავთანდილი, იყო უდაბნო, რომელსაც ერთი თვის სავალი სიგრძე ჰქონდა, ანუ დაახლოებით, 1,000 კილომეტრი. ავთანდილმა ეს უდაბნო ერთი კიდიდან მეორე კიდემდე გაიარა.

ახლა ისმის კითხვა, დედამიწის რომელ კუთხეში შეიძლება იყოს ეს უდაბნო და რომელია ის?

ჩვენს პლანეტაზე ცნობილია შემდეგი დიდი უდაბნოები: ყიზილყუმი, ყარაყუმი, საჰარა, არაბეთის უდაბნო, ირანის უდაბნო, ტაკლა-მაკანი, ამერიკაში დიდი ბასეინი, ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში — დიდი ქვიშიანი უდაბნო ვიქტორია. ჩამოთვლილი უდაბნოებიდან უნდა გამოირიცხოს ამერიკის და ავსტრალიის უდაბნოები, რადგან რუსთაველის დროს მათ ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. როგორც ცნობილია, ავთანდილი იქ ვერ მოხვდებოდა, რადგან იგი ხმელეთზე ეძებდა ტარიელს და ზღვაში არ შესულა. ასევე უნდა გამოირიცხოს არაბეთის უდაბნო, რადგან ავთანდილი ტარიელს არაბეთს საზღვრებს გარეთ ეძებდა.

ამრიგად, ვერჩება შემდეგი უდაბნოები, სადაც ავთანდილი შეიძლება შეხვედროდა ტარიელს: საჰარა, რომელიც აფრიკაში მდებარეობს, ტაკლა-მაკანი, რომელიც ცენტრალურ აზიაში ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფება, დეშთე-ქევერი (მარილიანი უდაბნო) ახლანდელი ირანის ტერიტორიაზე და ყიზილყუმი

და ყარაყუმი, რომლებიც სტაჰოთა თურქმენეთში არიან. ამთვან აფრიკის უდაბნო საჰარა და ჩინეთის ტერიტორიაზე მყოფი ტაკლა-მაკანი ახლაც უნდა გამოვირცხოთ, რადგან უდაბნო, რომელიც ავთანდილმა გაიარა ხატაეთიდან, არც თუ ისე შორს უნდა მდებარეობდეს.

როდესაც ავთანდილმა უდაბნო გაიარა, მან სამი ძმანი ნახა. ერთ-ერთ მათგანს ტარიელმა თავი მათრახით გაუხეთქა. მათი ნათქვამიდან ირკვევა, რომ ისინი ხატაეთის ტერიტორიაზე მდებარე დიდი ციხე-ქალაქის მფლობელები არიან. მათ გაიგეს, რომ აქ კარგი სანადირო ადგილებია და ამ უცხო მხარეში მთელი თვეა ნადირობენ. აქედან ცხადი ხდება, რომ ეს უდაბნო აფრიკაში არ იქნებოდა. რადგან წარმოუდგენელია, რომ ისინი სანადიროდ ხატაეთიდან აფრიკაში წამოსულიყვნენ. მეორე მხრივ, ეს უდაბნო არ შეიძლება იყოს ჩინეთის უდაბნო ტაკლა-მაკანი, რადგან ეს სამი ძმა ხატაეთის ტერიტორიის გარეთ იმყოფებიან, მაშასადამე, უდაბნოც ჩინეთის საზღვრებს გარეთ იმყოფება.

ამრიგად, იმ უდაბნოდან, რომელიც გაიარა ავთანდილმა და რომლის მახლობლაც დევთა გამოქვაბულები შეიძლება ყოფილიყო, არის ირანის უდაბნო დეშთე-ქევერი (მარილიანი უდაბნო), ყიზილყუმი და ყარაყუმი. ამ სამიდან ერთ-ერთში უნდა იყოს ტარიელის სადგომი.

ამ ამოცანის გადაჭრაში ჩვენ დაგვეხმარა, ადგილმდებარეობის საკმაოდ ზუსტი აღწერილობა, რომელიც მოცემულია ვეფხისტყაოსანში. ავთანდილმა ერთი თვე იარა უდაბნოში. ესე იგი გაიარა დაახლოებით ათასი კილომეტრა, ყიზილყუმის და ყარაყუმის უდაბნოების სიგრძეც დაახლოებით, ამდენივეა. როდესაც ავთანდილმა გადასერა უდაბნო, მიადგა მალალ და დიდ მთას, წვერზე ავიდა და იქიდან დაინახა შვიდი დღის სავალი მინდორი, მთის ძირას წყალი, მაგრამ ისეთი, რომელზედაც გადასასვლელად ხიდი არ იყო საჭირო.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსკონი, ტფ. 1928, გვ. 233.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, ვანშატება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბ. 1960, 23 გვ.

³ ვახტანგ მეექვსე, შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, კომენტარები, გვ. ტივ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მდინარე იყო უზბოის დამშრალი კალაპოტი, ხოლო მთა, რომელზედაც იდგა ავთანდილი, დიდი ბალხანის ქედი. აქედან, დაახლოებით, ორი დღის სავალზე იმყოფება უძველესი ნაქალაქარი დევ-ქალა. ეს არის ციკლოპური უზარმაზარი ქვებისაგან შემდგარი ციხე-სიმაგრე, მისი ნანგრევები დღესაც არიან თურქმენეთის ტერიტორიაზე. დევ-ქალას მახლობლად ოდესღაც საქარაუნო გზა გადიოდა. სწორედ ეს დევ-ქალა უნდა იყოს ის დევთა გამოქვაბულები, სადაც ცხოვრობდნენ ტარიელი და ასმათი.

როგორც ცნობილია, ტარიელმა და ავთანდილმა გამოქვაბულში ერთად ერთი ღამე დაჰყვეს. ტარიელმა თავისი თავგადასავალი უამბო და დილით ავთანდილი არაბეთისაკენ შემობრუნდა. ავთანდილი შეჰპირდა ტარიელს არაბეთიდან უკან ორ თვეში დაბრუნებას. მანძილი, რომელიც არის დევ-ქალასა და მექას შორის, შეესატყვისება იმ დროში გავლილ მანძილს, რომელიც აქვს ავთანდილს არაბეთში უკან დასაბრუნებლად. ორი თვე, რომელიც ჰქონდა ავთანდილს, საეპარისია, დაახლოებით, ორი ათასი კილომეტრის ვასავლელად. ცხადია, ერთ თვეში ორი ათასი კილომეტრის გავლა ჩვეულებრივი სიარულით შეუძლებელია. ეს ეტყობა, მხედველობაში ჰქონდა რუსთაველს, როდესაც მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთამდე ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მიდიოდა.

672. „მისმან ფიცხლად სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა“.

არაბეთის ტერიტორიაზეც ავთანდილი სამჯერ უფრო სწრაფად მგზავრობს: „ფიცხლად წავიდა, სავალი სამ დღე ვლო დღისა ათისა“. — წერს რუსთაველი.

ამ ფიცხლად სიარულის წყალობით ავთანდილმა შესძლო ოთხი ათასზე მეტი კილომეტრის გავლა, რამოდენიმე ხანი არაბეთშიც დაჰყო და დროზე დაბრუნდა ტარიელის გამოქვაბულებში. ამრიგად, მანძილი ტარიელის გამოქვაბუ-

ლებიდან არაბეთამდე ზუსტად ემთხვევა იმ მანძილს, რომელიც არის ძველი ხვარაზმის ტერიტორიაზე მდებარე დევ-ქალასა და მექას შორის, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჩვენი ჰიპოთეზა ტარიელის გამოქვაბულის ადგილსამყოფელის შესახებ სწორია.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ავთანდილი მეორედ ტოვებდა არაბეთს ტარიელის საშველად, გამგზავრების წინ ვეზირთან საუბარში ახსენებს ამუდარიას.

აი, ეს ადგილიც:

„აჲ ვაზირო, მავა პირსა ვული კრული ვით მოვთმინდეს?
რკინა, ჩემი მონაცვალე, ხაშს
გაცივლდეს, არ გატინდეს,
ვერ გარღვიხდი ცრემლთა მისთა,
ჯეონიცა თვალთა მდინდეს,
მომეხმარე, ნუთუ ჩემგან მოხმარება შენცა გინდეს“.

ამ სტროფში ნახმარია სიტყვა „ჯეონი“, რაც ნიშნავს მდინარე ამუ-დარიას. პროფ. იუსტინე აბულაძის აზრით, ეს სიტყვა ნიშნავდა შემდეგს: ჯეონი, 794,3 მდინარე ოქსუსი, ამუ-დარია, სამოთხის მდინარე, დიდი მდინარე“.¹

ამრიგად, 743 სტროფის მესამე სტრიქონი შემდეგ აზრს იღებს: „მე რომ თვალთაგან, ამბობს ავთანდილი, იმდენივე ცრემლი მედინოს, რამდენიც ამუ-დარიაში წყალია, იმდენს ვერ დავეღვრი, რამდენიც ტარიელს დაუღვრია“. ეს დიდებული შედარება ორმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, ირკვევა, რომ ავთანდილმა კარგად იცოდა ისეთი მდინარის არსებობის შესახებ, როგორც ამუ-დარია, და ისე კარგად იცნობს მას, რომ შედარებისთვისაც კი იყენებს.

მეორე, არაა შემთხვევითი, რომ ავთანდილი შედარებისთვის იხსენებს ამუ-დარიას და არა სხვა რომელიმე დიდ, წყალმრავალ მდინარეს. და იხსენებს სწორედ იმ მომენტში, როდესაც იგი ემზადებოდა ტარიელის გამოქვაბულისკენ წასასვლელად. ეს კიდევ ერთ-

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სოხელგამი, 1937, გვ. 399.

ხელ ადასტურებს ჩვენს პიპოთეზას იმის შესახებ, რომ ტარიელის გამოქვაბულში მდინარე ამუ-დარაის მიდამოებში იმყოფებოდა, სწორედ იქ, სადაც ჯეკალა იყო. ამიტომ ვასაგებია, თუ რატომ გაიხსენა ავთანდილმა ამუ-დარა და არა ნალოსი ანდა ტიგროსი ან ეფრათი, თუმცა ეს მდინარეები არაბეთთან უფრო ახლოს არიან და ავთანდილს, როგორც არაბს, პირველ რიგში ისინი უნდა გახსენებოდა. მაგრამ რადგან მისი გულისყური მიპყრობილი იყო ტარიელის გამოქვაბულისკენ, მას სწორედ ის მდინარე გაახსენდა, რომელიც ტარიელის ადგილ-სამყოფელთან ახლო იყო.

ეს ფაქტი აგრეთვე იმის დადასტურებაცაა, რომ შოთა რუსთაველი ისე კარგად იცნობდა მდინარე ამუ-დარას, მის წყალსისავეს, რომ მას მხატვრული შედარებისათვისაც მიმართავდა.

ახლა განვიხილოთ ავთანდილის მეორე მარშრუტი — ტარიელის გამოქვაბულებიდან ფრიდონის სატახტო ქალაქ მულღაზანზარამდე და იქიდან ზღვათა სამეფოს დედაქალაქ გულან-შარამდე.

როგორც ცნობილია, ავთანდილმა მომავლადე ტარიელი როგორც იყო, მოასულიერა და გამოქვაბულში მოიყვანა. ერთი დამე ტარიელმა და ავთანდილმა ერთად გაათიეს გამოქვაბულში, როდესაც გათენდა, ავთანდილმა სთხოვა, ერთი წელი მოეცადა მისთვის, რადგან იმედი ჰქონდა ამ დროის განმავლობაში ნესტანის პოვნისა. ეტყობა, ეს ამბავი ხდებოდა მისში, ვარდობის თვეში. შემდეგ ავთანდილი და ტარიელი ეთხოვებიან ერთმანეთს. ტარიელი ასწავლის ავთანდილს, თუ რა გზით უნდა იაროს, რომ მულღაზანზარამდე მივიდეს:

„ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა
ფრიდონის გზისასა,
მართ გაგონა, რაც ოდენ შეეძლო
ძალსა თქმისასა:
„აღმოსავლეთე წადიო, პირსა იარე
ზღვისასა,
თუ მნახო, ჩემი უამბე, გკითხავს
ამბავსა მისისასა.“

პირველ ორ სტრიქონში რუსთაველი ამბობს, რომ ტარიელმა საკმაოდ უბუნდოვნად, არეულად, მაგრამ მართლაც სწავლა, თუ როგორ უნდა მიეღწია ავთანდილს იმ ადგილამდე, საიდანაც იწყებოდა მულღაზანზარის გზა, ანუ „მხარე ფრიდონის გზისა“. კონკრეტულად, თუ რა ორიენტირები დაუსახელა ტარიელმა, ამის შესახებ რუსთაველი, როგორც ვხედავთ, არაფერს ამბობს. შემდეგ ორ სტრიქონში კი ამ გრძელი გზის უკანასკნელ მონაკვეთზეა ლაპარაკი, რომელზედაც საერთო ხაზებში იყო თქმული, ესე იგი, თუ როგორ უნდა ეარა ავთანდილს ზღვის პირამდე ტარიელის გამოქვაბულიდან, ნათქვამია საერთო ხაზებში, შემდეგ კი კონკრეტული მითითება გვაქვს — ზღვის პირს უნდა ვაპყლოდა აღმოსავლეთის მიმართულებით.

989-ე სტროფში გადმოცემულია, თუ როგორ იარა ავთანდილმა მულღაზანზარამდე. აი, ეს სტროფი:

„უმა მტირალი სამოცდათ დღე ზღვისა
პირსა მივა გზასა,
შორით ნახნა, მენავენი, მოდიოდეს
შვიან ზღვასა,
მოიკადა, ჰკითხა: ვინ ხართ, თქვენ
ამისა გნუეე თქმასა.
ეს სამეფო ვისი არის, ან მპირთილობს
ვისსა მნასა?“

ეს სტროფი ასე შეიძლება იქნას გაგებული:

სამოცდაათი დღის სიარულის შემდეგ მტირალი ავთანდილი მივიდა ზღვის სანაპირო გზამდე. აქედან მან თვალი მოჰკრა ზღვაში მიმავალ ნავს და ა. შ.

სიტყვა „მივა“ ამ კონტექსტში ნახმა-რია „მივიდა“-ს მნიშვნელობით. სამოცდაათი დღის განმავლობაში ავთანდილმა, ეტყობა, უკაცრიელი ადგილებით იარა და, საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილს, დრო ჰქონდა „ეტირა“. მაშინ ეს სტროფი ასეთ აზრობრივ გამოხატულებას შიილებს:

„სამოცდაათი დღის ტირილისა და წვალუბის შემდეგ ყმა ანუ ავთანდილმა მიადგინა იმ გზამდე, რომელიც ზღვის სანაპირს მიჰყვებოდა.“

რომ აქ სიტყვა „მივა“ ნახშირია „მივიდას“ აზრით, ამაზე ლაპარაკობს ამ სტროფის მეორე სტრიქონში ნახშირი სიტყვა „ნახა“. „მივიდა“ — „ნახა“ — შეთანხმებულია ერთმანეთთან, ხოლო „მივა“ ანუ „მიდის“ — „ნახას“ მნიშვნელობით არ ეთანხმება.

წარმოუდგენელია, რომ სამოცდაათი დღის განმავლობაში ავთანდილმა ზღვის ნაპირ-ნაპირ იარა და მხოლოდ ერთხელ ნახა მენავენი. როგორც ცნობილია, ზღვის სანაპიროები თითქმის ყველგან დასახლებულია და წარმოუდგენელია, რომ ავთანდილმა 2,000 კილომეტრზე მეტი იარა ისე, რომ მენავენი არსად შეხვდა, მით უმეტეს, რომ იმ დროს ნაოსნობა ზღვის ნაპირ-ნაპირ წარმოებდა. მენავეების ნახვის ამბავი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სამოცდაათი დღე ავთანდილი ზღვისგან მოშორებით ვიდოდა და მხოლოდ მესამოცდაათე დღეს მიიღწია ზღვის ნაპირამდე და იქ მან მენავეებიც ნახა. იმის შემდეგ, რაც მენავეებმა ასწავლეს გზა მულაზანხარს მიმავალი, ავთანდილი დაუბრუნდა ზღვის სანაპიროს გზას და ათი დღე ზღვის ნაპირ-ნაპირ იარა, როგორც ეს ტარიელმაც ასწავლა თავის დროზე.

ამრიგად, ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

ტარიელის გამოქვაბულიდან წამოსულმა ავთანდილმა სამოცდაათი დღე იარა, ვიდრე ზღვის ნაპირამდე მიიღწია, ვიდრე მივიდა იმ ადგილამდე, საიდანაც მულაზანხარამდე მიმავალი გზა მიდიოდა ზღვის ნაპირ-ნაპირ.

დევექალადან სამოცდაათი დღის სავალზე მდებარეობს სპარსეთის ყურე ან კიდევ არაბეთის ზღვა. ავთანდილმა გვერდი აუარა ირანის დიდ მლაშე უდაბნოს და საქარავნო გზით, რომელიც დევექალადან თეირანზე, ისპაჰანზე და შირაზზე გადიოდა, მიიღწია სპარსეთის ყურის სანაპიროს იმ წერტილს, რომელიც ორმუზიდან ორი დღის სავალზე მდებარეობს, 350-400 კილომეტრითაა დაშორებული ორმუზიდან. ეტ-

ყობა, იმ დროს აქ გადიოდა რომელიღაც თურქული სახელმწიფოს, რომელიც, რადგანაც 970-ე სტროფში ნიქიტასელობთ: „აქამდე ზღვარი თურქთაა, მომზღვრება ფრიდონ მზღვრებითა“, ამრიგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მულაზანხარის სახით შოთა რუსთაველს ორმუზი ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო კუნძული კოშმი არის ის კუნძული, რომლის გულისთვისაც ფრიდონს და მის ბიძაშვილებს შეტაკება მოუხდათ.

ფრიდონმა აჩვენა ზღვის ნაპირზე ის ადგილი, სადაც მან ზანგი მონების მიერ ნავით მოყვანილი ნესტან-დარეჯანი ნახა. რადგან ვეფხისტყაოსანში ნათქვამია, რომ „ქალაქი ვავლეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღვისასა“, საფიქრბეულია, რომ ფრიდონი და ავთანდილი გასცდნენ ორმუზის უბის ნაპირებს და ოკეანის სანაპიროზე გავიდნენ. აქ ავთანდილი დაემშვიდობა ფრიდონს და ოთხი მონის თანხლებით ნესტან-დარეჯანის საქებნელად გაემართა. ასი დღის განმავლობაში ავთანდილმა ზღვის ნაპირ-ნაპირ იარა. მეასე დღეს მას წინ ქედი დახვდა, ქედზე რომ გავიდა, ზღვის ნაპირზე დაბანაკებული ვაჭრები დაინახა, რომლებმაც ავთანდილს თავისი გასაჭირი უამბეს. ვაჭრებს ზღვის ნაპირზე ეპოვათ ცოცხალ-მკვდარი ეგვიპტელი ვაჭარი, რომელიც შემთხვევით გადაუტრია მეკობრებს, მის ხომალდს რომ დაესხნენ თავს.

ახლა შევეცადოთ მოვნახოთ, თუ რომელ გეოგრაფიულ წერტილს შეესაბამება ის ადგილი, სადაც ავთანდილი ქარავანს წააწყდა.

დიდი ზღვა, რომლის სანაპიროზე ავთანდილი ფრიდონს გამოემშვიდობა, შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ინდოეთის ოკეანე. აქედან ავთანდილი ხმელეთით ასი დღის განმავლობაში მიდიოდა ჯერ ახლანდელი პაკისტანის და შემდეგ ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე. ორმუზიდან ავთანდილი უსათუოდ აღმოსავლეთით უნდა წასულიყო, რადგან „დიდი ზღვა“ ანუ ოკეანე ორმუზიდან მხოლოდ აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო დასავ-

ლეთით, როგორც ცნობილია, სპარსეთის ყურეა. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის მანძილიც, რომელიც ავთანდილმა ზღვის სანაპიროზე გაიარა. ას დღეში ქარავანი საშუალოდ 3.500 კილომეტრს გადის. ორმუზიდან ინდოეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ სანაპირომდეც, დაახლოებით, 3500 კილომეტრია. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდოეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში არის კარდამონის მთები, რომლის კალთები ზღვის ნაპირამდე აღწევს. ავთანდილი, როდესაც ინდოეთის ნახევარკუნძულის ნაპირს მიჰყვებოდა, სწორედ ამ მთებს გადაადგა და იქიდან შემოაღნიშნული ქარავანი დაინახა. ეს ადგილი კუნძულ ცეილონის პირდაპირ მდებარეობს და იქ უწინ უძველესი საქარავნო გზა გადიოდა. ამ გზაზე იყრიდნენ თავს ვაჭრები, სწორედ ეგვიპტიდან და ბაღდადიდან მომავალნი; აქ იყო ერთგვარი ტვირთის გადასატანი პუნქტი. ამ ნავსადგურიდან დიდი გემებით ვაჭრები მიდიოდნენ სუმატრასა და მალაკის ნახევარკუნძულისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნავსადგურის მახლობლად, რომელიც ახლანდელი კომორინის მიდამოებში მდებარეობდა, ზღეებში ძალზე იყო გავრცელებული მეკობრეობა. ამრიგად, ორმუზიდან წამოსული ავთანდილი ჰფარავს 3500 კილომეტრს და ას დღეში აღწევს თანამედროვე კომორინამდე. აქედან ავთანდილი ვაჭრებთან ერთად ჯდება ხომალდში და „ზღვათა სამეფოს“ დედაქალაქ გულანშაროს მიდის.

ახლა ისმის კითხვა — რომელი სახელმწიფო იგულისხმება ზღვათა სამეფოს სახელწოდებაში?

ვეფხისტყაოსანში ზღვათა სამეფოს და მისი სატახტო ქალაქის — გულანშაროს შესახებ შემდეგი ცნობებია შემონახული:

1. „ზღვათა სამეფო“ კუნძულებზე მდებარეობს და რაღაც დიდ არქიპელაგს წარმოადგენს, რომლის შემოვლას თითქმის ერთი წელიწადი უნდა. („ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლი-

თა“). ზღვათა სამეფო რომ კუნძულებზე მდებარეობს, ამაზე მისი სახელწოდების გარდა, ისიც ლაპარაკობს, რომ ვეფხისტყაოსანის გმირები იქ მხოლოდ საზღვაო გზით ხვდებიან და იქიდანაც უსათუოდ ხომალდით მოემგზავრებიან.

2. „ზღვათა სამეფო“ ეკვატორულ წყლებში მდებარეობს, რადგან იქ მუდმივი ზაფხული იცის.

3. გულანშარო სავაჭრო ქალაქია, სადაც მრავალი სავაჭრო გზები იყრიან თავს.

ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ საფიქრებელი ხდება, რომ „ზღვათა სამეფოს“ ქვეშ რუსთაველი გულისხმობდა მალაის არქიპელაგს — სუმატრასა და მის მახლობლად მდებარე კუნძულებს, რადგან მათ შორის ბევრი რამ არის ნიშანდობლივი:

1. „ზღვათა სამეფოს“ ტერიტორია 10 თვის სავალზეა გადაჭიმული, მალაის არქიპელაგიც თავისი სიგრძით ძალზე დიდია. იმდენად დიდია, რომ მარტო კუნძულ ბორნეოს (კალიმანტანი) იმდენივე ტერიტორია აქვს, რაც საფრანგეთსა და იტალიას, ერთად აღებული. ხოლო კუნძული სუმატრა თავისი სიგრძით დაიკავებდა სივრცეს ლენინგრადიდან სევასტოპოლამდე. მისი ფართობი პირინეის ნახევარკუნძულის ფართობის ტოლია. მალაის არქიპელაგს კი უკავია უზარმაზარი სივრცე, ეკვატორის ორივე მხარეს ჩრდილოეთით 7 გრადუსი, ხოლო სამხრეთით 10 გრადუსი. ძველი სამყაროსათვის ცნობილ ქვეყნებს შორის სხვა არქიპელაგი, ან კუნძული არ არსებობს, რომლის ტერიტორიაც ათი თვის სავალზე ანუ 10.000 კილომეტრზე იყოს გადაჭიმული. ასეთი მხოლოდ მალაის არქიპელაგი შეიძლება იყოს.

2. ისე, როგორც გულანშაროში, სუმატრაზეც მუდმივი ზაფხულია, იგი მდიდარია მუდამ მწვანე ტროპიკული ტყეებით.

3. „ზღვათა სამეფო“ სავაჭრო სახელმწიფოდ, ხოლო გულანშარო დიდ სავაჭრო ნავსადგურადაა წარმოდგენილი ვეფხისტყაოსანში. სუმატრაზეც

ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში, როდესაც ვენეცია მიგდებულ სოფელს წარმოადგენდა, შეიქმნა ძლიერი ზღვათა სამეფო შრივიჯაია, რომელსაც აღებ-მიცემობა ჰქონდა ძველი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან. შრივიჯაიის სამეფოში იყო მსოფლიოს უდიდესი ნავსადგური. იგი მდებარეობდა იქ, სადაც ახლა იმყოფება ქალაქი პალემბანგი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სუმატრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მუსის შესართავთან იყო ნავსადგური, საეპრო ქალაქი, რომელიც ვეფსიტაჟონის გულანშაროს სახელით იგულისხმება. ცნობილია, რომ ამ ნავსადგურში მოჰქონდათ თავისი საქონელი ვაჭრებს ბალდადიდან, ეგვიპტოდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან, არაბეთიდან, ჩინეთიდან, ერთი სიტყვით, თავს იყრიდნენ „მგზვარნი ყოველგნით მავალინი“.¹

3. აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: მალაქის სრუტეზე გადიოდა აზიის დიდი საზღვაო გზა, მატერიალიდან შრივიჯაიამდე, აქ ნაოსნობისათვის საუცხოო პირობები არსებობდა იმის წყალობით, რომ მუდმივად მუსონები უბერავდა. ნაოსნობისთვის ამ ხელსაყრელ პირობებს ხაზს უსვამს რუსთაველი თავის ეპოპეაში.

1060. „მუნთ წავიდეს, იარეს, არ თერი
ხანსა ზმილიან,
მიხედეს ტაროსსა ამოსა, ნილად
ამოდ ვლილიან“.

4. ფატმან-ხათუნის გარეგნობის აღწერის დროს რუსთაველი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მისი სახის ფერს: „ნაკვთად კარგი, შავგვრემანი, პირმსუქანი, არ პირ-ხმელი“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ავთანდილი არაბი იყო, ხოლო ტარიელი ინდოელი, მათი სახის ფერიც თოვლივით თეთრი არ შეიძლება ყოფილიყო, და მათთან შედარებით, თუ ფატმანი უფრო შავი იყო, ისე შავი, რომ ამის განსაკუთრებით აღნიშვნა დასჭირდა რუსთაველს,

მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ნეგროიდული რასის რომელიმე ტომის წარმომადგენელი იყო. როგორც ცნობილია, სუმატრაზე, ბორნეოზე და საერთოდ, მალაის კუნძულებზე ნეგრიტოსები ძირეულ მოსახლეობას წარმოადგენენ. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ გულანშაროს ქვეშ რუსთაველი გულისხმობდა რომელიმე ნავსადგურს, მდებარეს კუნძულ სუმატრაზე, ახლანდელი პალემბანგის მიდამოებში.

5. სუმატრაზეც, როგორც იმ კუნძულზე, სადაც გულანშარო იყო, ორი სახელმწიფო არსებობდა. მსოფლიო ისტორიის მეორე ტომში ვკითხულობთ, რომ „შრივიჯაიის სამეფო მდებარეობდა კუნძულ სუმატრის აღმოსავლეთით დაბლობ ნაწილში, უშუალოდ მალაქის პირდაპირ. შრივიჯაიის სატახტო ქალაქი იყო პალემბანგი. კუნძულს დასავლეთ, მთიან ნაწილში იყო მეორე სახელმწიფო, რომლის სატახტო ქალაქი პასოსი ანუ პასი იყო“.¹

შესაძლებელია, სწორედ ეს მეორე სახელმწიფო ჰქონდა მხედველობაში რუსთაველს, როდესაც იგი ვეფსიტაჟონისაში ქაჯთა სამეფოს აღწერდა.

ახლა ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა, რომ ეს გზა შრივიჯაიამდე სკოდნოდა ავთანდილს და საერთოდ, სინამდვილეში იყო ასეთი გზა თუ არა?

კითხვაზე დადებით პასუხს ვპოულობთ გეოგრაფიულ და ისტორიულ ლიტერატურაში. აი, რა სწერია მსოფლიო ისტორიის მესამე ტომში:

„საზღვაო ვაჭრობის განვითარებას შემდეგ ტიგრისა და ევფრატს შორის მოქცეულ მიწა-წყალზე სპარსეთის ყურის სანაპირომდე დიდ აყვავებას მიღწევს ქალაქმა-პორტებმა. იმის გამო, რომ დიდი ზომადღები მოუხერხებელი იყვნენ სპარსეთის ყურეში სანაოსნოდ, ამიტომ არაბები ნაპირ-ნაპირ მიცურავდნენ პატარა ხომალდებით კურამამდე, რომელიც ინდოეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, ხოლო კურამში გადა-

¹ Всемирная история, том III, Госполитиздат, 33. 297—298.

¹ Всемирная история, Госполитиздат, III, 1957, 33. 298.

სხდებოდნენ ხოლმე დიდ გემებზე, რის შედეგად კურამი პირველხარისხოვან ტვირთგადასაცლელ წერტილად გადაიქცა. მეორე ტვირთგადასაცლელ პუნქტად იქცა პალემბანგი (შემდეგდროინდელი სახელწოდება) — შრივიჯაიის სამეფოს მთავარი ქალაქი კუნძულ სუმატრაზე.¹

თითქმის ამავე მარშრუტით მიდის არაბი ავთანდილი მულაზანზარიდან ნესტან-დარეჯანის საქებნელად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან მულაზანზარიდან ნავით კი არ იმგზავრა, არამედ ხმელეთით, ინდოეთის კარდამონის მთაგრეხილზე გადავიდა და კურაში მივიდა. სწორედ იქ ნახა სუმატრისკენ მიმავალი ვაჭრები და მათთან ერთად გულანშაროში, ანუ ახლანდელ პალემბანგში მივიდა ხომალდით.

ავთანდილმა გაიგო ნესტან-დარეჯანის ამბავი და უმალ უკან გამობრუნდა, რათა ტარიელს უამბოს ყველაფერი და მის გამოსახსნელად წამოიყვანოს. ვეფხისტყაოსანში ავთანდილის მარშრუტის შესახებ გულანშაროდან ტარიელის გამოქვაბულამდე ძალზე ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ის, რაც ნათქვამია, მაინც იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ავთანდილი ერთ წელიწადს მოუწინააღმდეგავად გზის გავლას ტარიელის გამოქვაბულიდან გულანშარომდე და გულანშაროდან ტარიელის გამოქვაბულამდე, მან იქით და აქეთ დაახლოებით 14,000 კილომეტრი გაიარა. აქედან ოთხმოცი დღე მულაზანზარამდე იარა, მულაზანზარში რამდენიმე დღე დაჰყო ფრიდონთან, შემდეგ 100 დღეში ზღვის პირით კურამამდე მივიდა. თუ რამდენი დღე იარა ზღვით კურამიდან კუნძულ სუმატრაზე მდებარე გულანშარომდე, არაფერია ვეფხისტყაოსანში ნათქვამი. მაგრამ თუ ამ ორ წერტილს შორის მანძილს გავითვალისწინებთ, რომელიც დაახლოებით 3,000 კილომეტრს უდრის, იგი ხომალდით 20 დღეს მოუწინებოდ.

ამრიგად, ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან გულანშარომდე დაახლოებით, 200 დღეში მივიდა. ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან მისისის შუა რიკებში გამოვიდა, მასშალამდე, გულანშაროში იგი, დაახლოებით, 7 თვის შემდეგ, ანუ დეკემბრის ბოლოს მივიდა. იანვრის დასაწყისში ავთანდილი გემზე დაჯდა და კონტინენტზე გამოვიდა.

როგორც ცნობილია, ავთანდილი გულანშაროდან ტარიელის გამოქვაბულში სხვა უფრო მოკლე გზით დაბრუნდა. აქედან კეთდება სრულიად ლოგიკური დასკვნა — დაბრუნებისას ავთანდილმა ნაკლები მანძილი დაფარა, ვიდრე გულანშარომდე მისვლისას. ესე იგი, იმ ერთი წლიდან, რომელიც მას ჰქონდა გათვალისწინებული ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად, დროის მეტი ნაწილი გულანშარომდე მისვლაში დახარჯა და დარჩა მხოლოდ ხუთ თვემდე. ამითვეა გამოწყვეული ის, რომ ავთანდილმა უკან დაბრუნებისას ფრიდონიც კი ვერ იხახულა და მის სახელმწიფოს გვერდი აუარა.

გულანშაროდან ფრიდონის მონები ავთანდილის წერილით მულაზანზარში იმავე გზით ბრუნდებიან, რა გზითაც მათ ავთანდილთან ერთად მულაზანზარიდან გულანშარომდე იარეს. ეს ავთანდილის სიტყვებიდან ნათლად ჩანს:

„უბრძანა: წადით, წადით, გზა წავლეთ მისევ არისა“.

აღსანიშნავია, რომ გულანშაროდან ავთანდილი ნავით სხვა მხარეს წავიდა, ვიდრე ფრიდონის მონები: „მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა.“ მართალია, ვეფხისტყაოსანში არ არის ნაჩვენები, თუ რა მხარეს წავიდა ავთანდილი, მაგრამ სუმატრიდან უმოკლესი გზა ტარიელის გამოქვაბულამდე ანუ დევექალამდე შეიძლება მხოლოდ ერთი ყოფილიყო. კერძოდ, ავთანდილმა ნავით გაიარა ანდამანის ზღვა, ბენგალის ყურე და სადღაც, კალკუტის მიდამოებში გადმოვიდა ნაპირზე, შემდეგ

¹ Всемирная история, III, гл. 298.

კი ხმელეთით განაგრძო გზა. ესე იგი აეთანდილმა ნავით გაიარა 3,000 კილომეტრი, რასაც დასჭირდებოდა, დაახლოებით, 20-30 დღე. ამრიგად, მარტის პირველ რიცხვებში იგი მდინარე განგის სათავეებისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. აეთანდილისათვის ეს გზა უცხო იყო და ამავე დროს ძნელად სავალი:

1330. „ტარიელისკენ იარა მან გზანი
საწყინარენი,
უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე
არენი,
სადაცა ნახის, დახოცის ლომ-ვეფხნი
მოშაშხნარენი“.

აქედან ჩანს, რომ აეთანდილს პირდაპირი გეზი ჰქონდა აღებული ტარიელის გამოქვაბულისაკენ და უგზობობას არ ერიდებოდა. კალკუტიდან პირდაპირი გზით დევ-ქალამდე 2,000 კილომეტრზე მეტია. ისე რომ, აეთანდილს, დაახლოებით, სამ თვემდე უნდა ეარა. ეს რომ ასეა, 1328-ე და 1329-ე სტროფებიდანაც ჩანს, რომლებშიც ზაფხულის მოახლოებაზეა ლაპარაკი.

1328. „მოწურულ იყო ზაფხული, ქვეყნით
ამოსლუა მწენისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო შათის
პაემანისა,
ებრის ცვალემა მზისაგან, შექდომა
სარატანისა,
სულთქნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან
ხანისა“.

1329. „აგრავინდა ცა და ღრუბელნი
ცროდეს ბროლისა ცვართთა,
ვარდთა აცოცა ბავითა, მითვე ვარდისა
დართითა,
უბრძანა: „გოჭურტ თვალითა,
გულ-ტკბილად შემხედვართთა,
მისად სანაცელოდ მოვილხვენ
თქვენთანა საუბართითა“.

ამ სტროფებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ გზაზაფხულის ბოლო იყო, ის დრო, როდესაც დედამიწა მწვანით შემოსვას იწყებდა. და როდესაც აეთანდილმა პირველი ყვავილები ნახა, ძალზე გაიხარა, რადგან, დიდი ხანია, ისინი არ უნახავს. აქედან ცხადი ხდება, რომ გულანშაროდან წამოსვლის შემდეგ კარგა ხანია გასული და აეთანდილს ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოეთისკენ უვლია და ისეთ ზონაში მოხვედრილა, სადაც უკვე ზამთარი იყო. მართლაც, თუ იგი

იანვარში სუმატრიდან წამოვიდა, სადაც მუდმივი ზაფხულია, და ყუველთვის ყვავილები ყვავიან, მაშინ უკვე ტიბეტს მიაღწევდა, სადაც მას ზამთარი დახედებოდა და ყვავილებს, ცხადია, ვერ ნახავდა. ხოლო აპრილში მან უკვე პირველი ქუხილის ხმა გაიგო და წვიმაც წამოვიდა, ივნისში კი უკვე გამოქვაბულებს მიაღწია.

ამრიგად, აეთანდილი გულანშაროდან (სუმატრა) ზღვით ახლანდელი კალკუტის მიდამოებამდე მივიდა, გადაიარა ტიბეტი, ახლანდელი უზბეკეთის საზღვარზე გაიარა და ივნისში დევ-ქალაში ანუ ტარიელის გამოქვაბულებში მივიდა. ეს მარშრუტი, ამრიგად, 5,000 კილომეტრს შეადგენს, რაც თითქმის სამი ათასი კილომეტრით ნაკლებია იმ გზაზე, რომელიც ვადიოდა: მულღაზანზარზე და რომლითაც ტარიელის გამოქვაბულიდან გულანშარომდე პირველად იარა აეთანდილმა.

ნესტან-დარეჯანის მიერ განვლილი გზა

ტარიელმა ნესტან-დარეჯანის კარნახით სასიძორო მოკლა. ფარსადანმა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, განრისხდა და თავის დას დავარს, რომელიც ნესტან-დარეჯანს აღმზრდელად ჰყავდა მიჩენილი, სიკვდილით დაემუქრა. სასოწარკვეთილმა დავარმა ნესტანზე ჭავრი იმით იყარა, რომ თავის ორ მონას უბრძანა, ნესტან-დარეჯანი გადაეკარგათ იქ, სადაც „ზღვისა კიპია“, რათა იგი ველარავის ეპოვნა.

581. „მან უთხრა: „წადით, დაკარგეთ
მუნ, სადა ზღვისა კიპია,
წმინდისა წყალი ვერ ნახოს
მყინვარე, ვერცა, ლიპია.
მათ გაეხარნეს, ხმა-მალლად იყვილეს:
იპი, იპია“.

ამ სტროფიდან ნათლად ჩანს, რომ ნესტან-დარეჯანი ისეთ ადგილას უნდა წაიყვანონ, რომ იგი ვერავინ იპოვოს („დაკარგეთ“). ასეთი კუნძული, ცხადია, სადაც შორს ზღვაში უნდა ყოფილიყო, დაშორებული ისეთი ადგილებიდან, სადაც გაცხოველებული სანაოსნო მიმოსვლა იყო. ასეთი გადაკარ-

გული და მიუწვდომელი კუნძულები მხოლოდ ორგან შეიძლება ყოფილიყო ან ინდოეთის ოკეანის ან წყნარ ანუ დიდი ოკეანის ეკვატორულ წყლებში. რომ ეს კუნძული ეკვატორის მახლობლად უნდა ყოფილიყო, ამას ჩვენ გვაფიქრებინებს მოტანილი სტროფის მეორე სტრიქონი. სულხან-საბა ორბელიანი იქ ნახმარ სიტყვა „ლიპს“ შემდეგნაირად განმარტავს:

„გზანი ანუ ადგილნი თოვლითა ნაღნობითა თუ მოიყინა, ლიპი არს“¹. ან კიდევ: „ლიპი მთელი ადგილი გაყინული (ნ. ყინული)“². ამრიგად, ახალქართულზე ეს სტრიქონი შემდეგნაირად წაიკითხება: წადით და ისეთ ადგილს გადაკარგეთ ნესტან-დარეჯანი, სადაც ზღვის ჭიპია, რომ მან ვერ ნახოს გაყინული ცივი წმინდა წყალი და ვერც ყინულით დაფარული ადგილები“. ცხადია, რომ ასეთი კუნძული, სადაც ყინვა და სიცივე არასოდეს არ იცის, მხოლოდ ეკვატორულ წყლებშია.

მაგრამ ეკვატორული წყლები ძალიან დიდ სივრცეს მოიცავენ და იქ უამრავი კუნძულია განლაგებული. ისმის კითხვა — ეკვატორის რომელი წერტილი იგულისხმება ვეფხისტყაოსანში „ზღვის ჭიპის“ ქვეშ?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დავარი ოდესღაც ქაჯეთში იყო გათხოვილი, დაქვრივების შემდეგ ინდოეთში დაბრუნდა და მას მონებიც ქაჯეთიდან ჰყავდა წამოყვანილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ზღვის ჭიპი“ ქაჯთა სამეფოს მიმართულებით და მის იქით მდებარეობდა. მაგრამ არამც და არამც არ შეიძლება ქაჯეთისა და „ზღვის ჭიპის“ გაიგივება, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადის. მაგალითად, ალ. სვანიძის აზრით, ქაჯეთი არის ესპანეთის მეორიტიანია, ქაჯეთის ციხე კი გიბრალტარი და რაც სრულიად დაუშვებელია, ვითომ დავარმა თავის ორ მო-

ნას დაავალა ნესტან-დარეჯანის სწორედ ქაჯეთის სამეფოში — ესპანეთის მავრატანიაში მიყვანა და გიბრალტარის ანუ ქაჯეთის ციხეში დამწყვდევა. ეს ჰიპოთეზა აგებულია 581-ე სტროფის მეორე სტრიქონის არასწორ გაგებაზე და, საერთოდ, გაუგებრობის შედეგია. ალ. სვანიძეს სიტყვები: „წმინდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე ვერცა ლიპია“ — ესმის ასე: «Чтобы она потеряла возможность изведать прохладу и влагу»¹ чистой воды. სიტყვა „ლიპი“ ალ. სვანიძეს გაუგია, როგორც „ნორტიო“ («влага»). ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტება, რომლის მიხედვით „ლიპი“ არის მთლიანი ყინულით დაფარული ადგილი.

ამრიგად, ამ სტროფში ისეთ ადგილზე კი არ არის ლაპარაკი, სადაც წმინდა წყალი არ არის, არამედ ისეთ ადგილზე, სადაც წყალი არ იყინება, ე. ი. ტროპიკულ ზონაზე. სიტყვა „ლიპის“ ამ არასწორი გაგებიდან გამომდინარე, ალ. სვანიძე აკეთებდა მცდარ დასკვნას:

«Итак, Руставели прекрасно знал об отсутствии природной питьевой воды в Гибралтаре. После этого становится понятными слова Давар о том, чтобы Дареджану лишили возможности видеть чистую воду»².

ასევე არასწორად აქვს გაგებული ეს ადგილი შ. ნუცუბიძესაც. მან „წმინდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე ვერცა ლიპია“, — თარგმნა ასე: Где б, ей был родник неведом, ни замерзнувший, ни талый»³.

როგორც ვხედავთ, ნუცუბიძის თარგმანის მიხედვით, ზღვის ჭიპი ისეთი ადგილია, სადაც წყაროს წყალი არ არის, რაც ვეფხისტყაოსანის ტექსტის დამახინჯებას წარმოადგენს, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ სტროფში ლაპარაკია არა წყაროს წყლის, არამედ სი-

¹ А. С. Историко-географические основы «Барсовой кожи». Тифлис, 1936, გვ. 32.

² იქვე, გვ. 33.

³ Ш. Руставели, «Витязь в тигровой шкуре», перевод Ш. Нучубидзе, гв. 145.

¹ სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტფ. 1928. გვ. 385.

² იქვე, გვ. 187.

ცივის და ყინულის არარსებობაზე. ზღვის ჭიბი და ქაჯეთი რომ სხვადასხვა გეოგრაფიული წერტილებია, ამაზე სხვა ფაქტებიც ლაპარაკობენ. ასე, მაგალითად, დეარის ბრძანებიდან ნათლად ჩანს, რომ ნესტანი იქ უნდა დაპყრონ, სადაც „ზღვისა ჭიბია“, არსად არაა ნათქვამი, რომ ნესტანი ქაჯეთში უნდა წაეყვანათ. შემდეგ, თუ „ზღვის ჭიბი“ და ქაჯეთი ერთიდაიგივე გეოგრაფიული ცნებაა, ამის შესახებ ტარიელსაც ეცოდინებოდა და იგი პირდაპირ ქაჯეთში დაუწყებდა ძებნას ნესტან-დარეჯანს. მით უმეტეს, რომ ქაჯეთი საკმაოდ ცნობილი სახელმწიფო ჩანს ვეფხისტყაოსნის მიხედვით — ქაჯეთში ერთხელ ფრიდონიც კი ყოფილა. ამას გარდა, დევებსაც კი სცოდნიათ ქაჯეთის არსებობის შესახებ. „ზღვის ჭიბი“ სადაც დაშორებით მდებარეობს სავაჭრო გზებიდან, დიდი სახელმწიფოებიდან. ასე რომ, იქ გადაკარგული კაცი პოვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ქაჯეთი კი ათიოდე დღის სავალზეა ისეთი სავაჭრო ნავსადგურიდან, როგორიც გულანშარია და ესაზღვრება ზღვათა სამეფოს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქაჯეთი და ზღვის ჭიბი სხვადასხვა გეოგრაფიული წერტილებია და ეს უკანასკნელი სადაც შორს ზღვის შუაგულში მდებარეობს, ისეთ ადგილას, სადაც მისვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს და სადამდისაც გზა შეიძლება მხოლოდ ქაჯებმა იციან.

„ზღვის ჭიბის“ შესატყვისი გეოგრაფიული წერტილის მონახვა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ნესტან-დარეჯანი იქამდის ვერ მიიყვანეს, მაგრამ იმის დადგენა კი შესაძლებელია, თუ რა მხარეს, დედამიწის რომელ წერტილში მდებარეობდა იგი.

ვეფხისტყაოსანში ნესტან-დარეჯანის მარშრუტის შესახებ შემდეგი ცნობები მოიპოვება. როდესაც შავმა მონებმა დეარის ბრძანება მიიღეს, მათ ნესტან-დარეჯანი კილობანში ჩასვეს და ზღვის ნაპირისკენ წაიყვანეს. შემდეგ ნესტან-დარეჯანის კილობანი ნავზე დადგეს და

ზღვაში შეცურდნენ. ინდოეთიდან წამოსული ნავი, რომლითაც ნესტან-დარეჯანი მიჰყავდათ, პირველად ვეფხისტყაოსნის სამეფოს ზღვის სანაპიროზე გამოჩნდა. ვეფხისტყაოსანში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ეს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს იყო ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ამას გარდა, რუსთაველი არაფერს ამბობს იმის შესახებაც თუ კერძოდ, რა ადგილას ნახა ეს ნავი ფრიდონმა. ერთი ცხადია, რომ ეს ადგილი ფრიდონის სატახტო ქალაქ მულლანშარიდან 150-200 კილომეტრით მაინც იქნებოდა დაშორებული. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ სანადირო ადგილები დედაქალაქიდან 150 კილომეტრით მაინც იქნებოდა დაშორებული. თუ მულლანშარის ქვეშ რუსთაველი ძველ ხორმუხს გულისხმობდა, მაშინ ფრიდონს ნესტან-დარეჯანის ნავი უნდა ენახა იქ, სადაც ხორმუხის სრუტე თავდება და ომანის ყურე იწყება, ხორმუხის აღმოსავლეთით 150-200 კილომეტრის დაშორებით.

აქ უნებურად წამოიჭრება საკითხი თუ ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის მიმართულებით მიჰყავდათ, მაშინ შავ მონებს ნავი სამხრეთისაკენ უნდა წაეყვანათ (ქაჯეთი ჩვენი განსაზღვრით სუმატრაზე მდებარეობს). ისინი კი ინდოეთის დასავლეთით როგორ აღმოჩნდნენ? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი არსებობს. ამ მანევრით დეარის მონებმა მოსალოდნელ მდევარს გზა-კვალი აუბნიეს. მართლაც, ტარიელმა შეიტყო თუ არა ასმათისგან ნესტან-დარეჯანის გატაცების ამბავი, მაშინვე დაედევნა. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ ტარიელი:

586. „შევე ფიცილად შევეკაზმე,
ცხენსა შევეე შეკაზმული,
ას-სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა
თანა ზან-ღაზმული,
წამოყე და წამოვედით, კართა
გარე დარაზმული,
ზღვის პირს მიველ, ნავი დამხვდა,
მენავემან მნახა ზმული...

587: ნავსა ჩაეცე, ზღვასა შეეცე,
ზღვასა შიგა ვავალავდი,
არსით ნავი მომავალი უნახავად არ

დავაგდი,
მოველოდი, არა მესმა, შმაგი
უფრო ვავეშმაგდი,
რომე სრულად მომიძულვა,
ღმერთსა თურე ასრე ვსძავდი.

როგორც ამ სტროფებიდან ჩანს, ტარიელს არც ერთი წუთი არ დაუტარავას. იგი ზღვაში შესულა და ისეთი პოზიცია დაუკავებია, რომ არც ერთი ნავი არ გაპარვოდა გაუჩხრეკავი. ესე იგი, ტარიელმა სამხრეთისაკენ მიმავალ ნავებს გზა გადაუჭრა, წინ დაუხეზდა. ტარიელი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ნესტანის ნავს ხელთ იგდებდა. ამ იმედით იგი „ზღვასა შიგან გაალავდი“ და ლოდინი დაუწყო ნავის გამოჩენას. დავარის მონებს ზემოაღნიშნული ცრუ მანევრი რომ არ გაეკეთებიათ, ტარიელი მათ უსათუოდ ხელთ იგდებდა. ამრიგად, დავარის მონებმა ჯერ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი, შემდეგ შემობრუნდნენ და, როდესაც გზა უკვე თავისუფალი იყო, გულანშაროსკენ, „ზღვის კიბისკენ“ გაემართნენ. როგორც ცნობილია, შემდეგ ნესტან-დარეჯანი ფატმანმა გულანშაროში ნახა და დავარის მონებს წაართვა. ამრიგად, ნესტან-დარეჯანი გულანშაროში ანუ სუმატრაზე მდებარე ნავსადგურ პალემბანგში აღმოჩნდა. სუმატრაზე ორი სახელმწიფო არსებობდა ისევე, როგორც ვეფხისტყაოსანში.

ცნობილია, რომ სუმატრაზე ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებობდა ორი სახელმწიფო ჯამბუდვიპრა და ჯაია. პირველს ეკავა კუნძულის ჩრდილო-დასავლეთი მთიანი ნაწილი, ხოლო მეორეს — სამხრეთ-აღმოსავლეთი. ვეფხისტყაოსანის მიხედვითაც კუნძულზე, სადაც ნესტან-დარეჯანი მოხვდა, არსებობდა ზღვათა სამეფო, რომლის დედაქალაქი გულანშარო იყო, ხოლო მეორე სამეფო ქაჭეთი, რომელსაც კუნძულის კლოვანის, მთიანი ნაწილი ჰქონდა გამაგრებული.

გულანშაროდან (ახლანდელი პალემბანგი) ნესტან-დარეჯანმა იმის შემდეგ,

რაც ზღვათა მეფეს გაეპარა, გეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ აიწიო. ნესტან-დარეჯანი ამოცანა რომელიც ნესტან-დარეჯანის წინაშე გაქცევის შემდეგ წამოიჭრა, ეს იყო — ზღვათა სამეფოს ტერიტორიიდან გასვლა, რომ იგი ხელმეორედ არ შეეპყროთ. როგორც ვიცით, ნესტან-დარეჯანმა პირველი ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა — ზღვათა სამეფოებლოს საზღვრებს გასცდა და მინდორ-მინდორ მიდიოდა (სუმატრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მართლაც, ვაკეა). მაგრამ აქ იგი სამეფობროდ მოხეტიალე ქაჯთა თავადის რომაქის რაზმს წააწყდა. რადგან ვეფხისტყაოსანში არის მითითება იმის შესახებ, რომ ქაჯნი კლდოვან მხარეში ცხოვრობდნენ, „მინდობიან კლდესა სალსა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნესტანი სუმატრის დასავლეთ ნაწილში მდებარე მთებში წაიყვანეს, სადაც მათ ციხე ჰქონდათ.

როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანი დავარის მონებმა ვერ მიიყვანეს „ზღვის კიბამდე“, ხოლო ნესტან-დარეჯანმა ვერ შესძლო მეორე ამოცანის განხორციელება — იგი ვერ დაბრუნდა ინდოეთში, რადგან ქაჯებმა გზაზედ შეიპყრეს.

ამრიგად, ნესტან-დარეჯანის მარშრუტი ჩვენ შემდეგნაირად გვესახება: ახლანდელი ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთიდან ნესტან-დარეჯანი ნავით მიიყვანეს ფრიდონის სამეფოს ზღვის სანაპიროსთან, დაახლოებით იქ, სადაც თავდება ორმუზის სრუტე და იწყება ომანის ყურე. აქედან დავარის მონებმა ნესტანი ზღვით სამხრეთ ინდოეთის სანაპიროებისაკენ წამოიყვანეს, გადაცურეს არაბეთის ზღვა, მალაქის სრუტე და პალემბანგში მივიდნენ. პალემბანგში ნესტან-დარეჯანი ხელთ იგდო ზღვათა სამეფოს მეფემ. პალემბანგიდან გამოპარული ნესტანი კუნძულ სუმატრის აღმოსავლეთით მდებარე დაბლობით მიდის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. გზაში იგი შეიპყრო ქაჯთა სამეფოს თავადმა რომაქმა და კუნძულ სუ-

მატრის ჩრდილო-დასავლეთ მთიან ნაწილში მდებარე ქაჯეთის ციხეში მიიყვანა და დაამწყვდია.

ვეფხისტყაოსანში არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც აგრეთვე ჩვენი ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მხედველობაში გვაქვს ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოსხნის, შემდეგ ზღვათა მეფესთან შეხვედრის ეპიზოდი. ტარიელი, ფრიდონი და ნესტან-დარეჯანი სამშობლოში დაბრუნებას ისწრაფვიან და თუ ისინი გულანშაროში შეივლიან, მაშინ გზა გაუგრძელდებათ (1427, 2 „ზღვათა ქალაქსა დაპართეს, თუცა გზა მუნით გრძელა“.) ამიტომ ტარიელი ზღვათა მეფისადმი მიწერილ წერილში სთხოვს, რომ იგი მის შესახებდრად წამოვიდეს: „მე ვისწრაფი, ვერ გიახელ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე.“ და მართლაც, ზღვათა მეფე გულანშაროდან ათი დღის სავალზე შეხვდა ტარიელსა და მის ძმადწოდებულს. აქედან შეიძლება კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ქაჯეთი კუნძულ სუმატრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იმყოფებოდა და თუ რუსთაველის გმირები ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოსხნის შემდეგ გულანშაროში ანუ პალემბანგში, რომელიც სუმატრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, დაბრუნდებოდნენ, ამით გზას გაიგრძელებდნენ, რადგან მათ გზა ჩრდილო-დასავლეთისკენ, ძველი ხორმუზის მიმართულებით ჰქონდათ.

ტარიელის მარშრუტები

ტარიელის მარშრუტების განსაზღვრა ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან შოთა რუსთაველი მათ შესახებ საკმაოდ მცირე ცნობებს იძლევა, მაგრამ მისი საერთო ხაზებში წარმოდგენის შესაძლებლობა მაინც არსებობს.

უპირველეს ყოვლისა გამოვარკვიოთ, თუ რა გზა გაიარა ტარიელმა ინდოეთიდან დევთა გამოქვაბულებამდე და სად იმყოფებოდა იმ რვა წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა ნეს-

ტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრამდე.

როგორც კი ასმათმა ტარიელს ნესტან-დარეჯანის გატაცების ამბავი აცნობა, იგი მაშინვე 160 ცხენოსნით უკან დაედევნა. ვეფხისტყაოსანში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მანძილი გაიარა ტარიელმა ცხენით ზღვის ნაპირამდე, საიდანაც იგი თავის თანმხლებ მოყმეებთან ერთად ნაევებში ჩაჯდა და ზღვაში გავიდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ არც თუ ისე დიდი მანძილი დაფარა ხმელეთით. ეს მანძილი იმდენად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, რომ რუსთაველმა ზედმეტად ჩათვალა დაწერილებით მის შესახებ ლაპარაკი.

შემდეგ ვეფხისტყაოსანში ნათქვამია, რომ ტარიელი „ზღვასა შინა გაალაგდა“, ე. ი. ზღვაში ისეთი პოზიციები დაიკავა, რომ ინდოეთიდან მომავალი არც ერთი ნავი გაუჩხრეკავი არ დაუტოვებია. ეტყობა, „ზღვასა შინა“ დამკვიდრებული ტარიელი კარგა ხანს ელოდა ნესტან-დარეჯანის ნავს, რადგან 587-ე სტროფში ვკითხულობთ:

„ნავსა ჩავევ, ზღვასა შვევ, ზღვასა შიგან გავალაგდი;
 არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავადდი;
 მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გავეშვადლი.
 რომე სრულად მომიძულვა, ღმერთისა თუჩე ასრე ვსძავდი“.

მართალია, აქ არაფერია ნათქვამი, თუ რომელ წყლებში იმყოფებოდა თავისი ნაევებით ტარიელი და ელოდა ნესტანის ნავის გამოჩენას, მაგრამ ერთი ცხადია, რომ მან ის საზღვაო გზები შეჰკრა, რომლებიც ინდოეთიდან ოკეანის შუაგულისკენ ანუ ჰიპისაკენ მიემართებოდა. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ტარიელი თავდაპირველად არაბეთის ზღვების წყლებში იმყოფებოდა. ერთი წლის განმავლობაში ტარიელი ზღვიდან ნაპირზე არ გადმოსულა. ამ ხნის განმავლობაში მან, ეტყობა, დიდი სიძნელეები გადაიტანა, რადგან მისი თანმხლები 160 კაციდან მხოლოდ ორი მო-

ნა და ასმათილა შერჩა. ერთი წლის განმავლობაში „ზღვა-ზღვა ცურვა“ იმის მათწყებელია, რომ ტარიელმა ოკეანის დიდი სიერცეები გადასერა. მთელი წლის განმავლობაში ზღვაში ყოფნის შემდეგ ტარიელს ნესტანის პოვნის იმედი დაეკარგა და იგი ზღვის ნაპირზე, ესე იგი კონტინენტზე გამოვიდა.

ახლა შევეცადოთ დავადგინოთ, თუ რომელი ზღვის ნაპირზე გამოვიდა ტარიელი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ტარიელი თავის თანზღლებ პირებთან ერთად, ჰერ ინდოეთის გარშემო ცურავდა არაბეთის ზღვაში, შემდეგ ეკვატორული წყლების ზონაში ინდოეთის ოკეანესა და შეიძლება, წყნარ ოკეანეშიც. ერთი ცხადია, რომ ტარიელი ინდოეთის სანაპიროზე არ გამოსულა, რადგან იგი ვერ შესდგამდა ფხს იმ მიწა-წყალზე, რომელიც დაკავშირებული იყო მისი სატრფოს სახელთან. უნესტანოდ ინდოეთში გამოჩენა ტარიელისა წარმოუდგენელია და დაუშვებელი. შემდეგ, ვეფხისტყაოსანში არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, საიდანაც ჩანს, რომ ტარიელი ინდოეთის სანაპიროზე არ გასულა. 589-ე სტროფში ვკითხულობთ:

„ზღვა-ზღვა ცურვა მომწყინა,
მით გამოველ ზღვისა პირსა,
გული სრულად გამოიხეცდა,
არ ვუსმენდი არც ვაზირსა“.

როგორც ვხედავთ, ტარიელი ყურს არ უდგებს ვეზირის რჩევას. ვეზირი კი, სავარაუდოა, ურჩევდა ტარიელს სამშობლოში დაბრუნებას და ქვეყნის საქმეების გაძლოლას. როგორც ვიცით, ასეთსავე რჩევას აძლევს შემდგომში ტარიელს ნესტანიც. ამრიგად, რადგან ტარიელმა უარყო ვეზირის რჩევა, იგი ინდოეთის სანაპიროზე კი არ გადმოსულა, არამედ რომელიღაც სხვა ქვეყნის მიწა-წყალზე.

ტარიელი ვერ გადმოვიდოდა ტრაპეზუნდში, როგორც ამას ალ. სვანიძე ფიქრობს, რადგან შავ ზღვაში ტარიელს არაფერი ესაქმებოდა და თანაც, იგი

ინდოეთიდან იქ ვერ მოხვდებოდა, თუ ხმელეთს არ გაივლიდა. ტექსტიდან ჩანს, რომ ერთი წლის განმავლობაში ტარიელი მუდმივად ზღვაში იმყოფებოდა და კონტინენტზე გადმოვიდა თუ არა, მაშინვე მულღაზანზარში მოხვდა.

ავთანდილის მარშრუტების განსაზღვრის დროს ჩვენ დავადგინეთ, რომ ფრიდონის სამეფო და სატახტო ქალაქი — მულღაზანზარი სპარსეთის ყურის ნაპირებზე მდებარეობენ. იქ ტარიელის მოხვედრა ადგილი წარმოსადგენია და სრულიად კანონზომიერი, რადგან ნავსადგურები და ნაპირს მისადგომი ადგილები ყურეებში უფრო გვხვდება. ტარიელს კი, როგორც ვიცით, ზღვა-ზღვა ცურვა მოსწყინდა და ნაპირზე გადასვლა მოუნდა.

ვეფხისტყაოსანში არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი დაჰყო ტარიელმა ფრიდონთან, მაგრამ ერთ წლამდე უნდა ვივარაუდოთ. ერთი სიტყვით, ტარიელმა მულღაზანზარში იმდენი დრო დაჰყო, რამდენიც საჭირო იყო იმისთვის, რომ ფრიდონის მენავეებს იმ ეპოქისთვის ცნობილი ყველა ნავსადგური მოეცლოთ.

ახლა ისმის კითხვა, რა შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ტარიელი დევქალაში მოხვედრილიყო, რომელიც ჩვენ ავთანდილის მარშრუტის განსაზღვრისას ტარიელის გამოქვეპულება უმიზნით?

იმის შემდეგ, რაც ფრიდონის მიერ გაგზავნილი მენავენი ხელცარიელი დაბრუნდნენ, ტარიელმა დატოვა მულღაზანზარი. ერთხანს მან კიდევ ძებნა ნესტან-დარეჯანის და რაკი მის კვალს ვერ მიაგნო, სასოწარკვეთილი ისეთ ადგილებში გადაიხეწა, სადაც კაცის ჰაჭანება არ იყო. „მაგრა დავყარენ არენი მეკაცრიელთა თემთანი“ — ამბობს ტარიელი. ასეთი უკაცრიელი ადგილია სწორედ ის მიდამო, სადაც დევქალა მდებარეობს. სრულიად დასაშვებია, რომ ტარიელმა სწორედ ეს უდაბური ადგი-

ლები ამოიჩნია თავის ადგილსამყოფე-
ლად.

ტარიელის მარშრუტების დასადგე-
ნად კიდევ ერთი საკითხია გადასაწყვე-
ტი: როდის და როგორ მოხვდა ტარიე-
ლი არაბეთში, როდესაც იგი როსტეგან-
მა და ავთანდილმა ნახეს.

ცხადია, რომ ტარიელი არაბეთ-
ში მოხვდა იმ პერიოდში, როდესაც მას
ნესტან-დარეჯანის პოვნის იმედი სრუ-
ლიად დაკარგული ჰქონდა და დევთა
გამოქვაბულში ცხოვრობდა ასმათთან
ერთად. ამ აზრის სასარგებლოდ ლაპა-
რაკობს თუნდაც ის, რომ ტარიელი იმ
დროს ფრიდონის ცხენზე იჯდა. აგრეთ-
ვე მას თან არ ახლდნენ მონები. რო-
გორც ვიცით, უკანასკნელი ორი მონა
დევებთან ბრძოლაში დაეღუპა ტარი-
ელს. მაშასადამე, ტარიელს მოსწყენია
გამოქვაბულში ყოფნა და ველად გაქ-
რილს არაბეთამდე მიუღწევია. ეს ყვე-
ლაფერი ასეა, მხოლოდ ეჭვს იწვევს ერ-
თი გარემოება. ვეფხისტყაოსნის მიხედ-
ვით, ტარიელის გამოქვაბულები ერთი
თვის სავალზე იმყოფება არაბეთის
საზღვრებიდან. დევ-ქალაც, რომელიც
ჩვენ ტარიელის გამოქვაბულებად მი-
ვიჩინეთ, დაახლოებით, ერთი თვის სა-
ვალით არის დაშორებული არაბეთი-
დან. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ტა-
რიელს ასმათი ორი თვის მარტო მიე-
ტოვებია გამოქვაბულებში. ერთი შე-
ხედვით, აქ თითქოს გარკვეულ შეუსა-
ბამობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს შე-
უსაბამობა ადვილად ქარწყლდება, თუ
მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ
ტარიელის ცხენისათვის არ არსებობ-
და მანძილის ჩვეულებრივი საზომები.
ფრიდონისეული მითითური ცხენი ქარის
სისწრაფით დაჰქროდა და ერთი თვა-
ლის დახამხამებაში შეეძლო უზარმაზა-
რი სივრცის გადალახვა.

**ბარიელის, ავთანდილის, ფრიდონის და
ნესტან-დარეჯანის ერთობლივი გარზობი
აქვეთის ციხის აღების შედეგად**

იმის შემდეგ, რაც დავადგინეთ ვე-
ფხისტყაოსნის გმირების — ავთანდი-

ლის, ნესტან-დარეჯანის, ტარიელის
მარშრუტები და გამოვარკვეეთ დევთა
გამოქვაბულების, მულაჩან-მარსხი-
ლანშაროს, ქაჭეთის ციხის ადგილმდე-
ბარეობა, დიდ სიძნელეს აღარ წარმო-
ადგენს იმ მარშრუტის გათვალისწინება,
რომელიც სამმა ძმადნაფიცმა გაიარა
ნესტანის გამოხსნის შემდეგ თავ-თავის
სამეფომდე. ის გზა, რომელიც ქაჭეთი-
დან უკან დაბრუნებისას გაიარეს, თი-
თქმის მთლიანად ემთხვევა ავთანდილის
ცნობილ მარშრუტს, თუ მხედველობა-
ში არ მივიღებთ პატარა-პატარა გადა-
ხვევებს.

ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონ-
მა ნესტან-დარეჯანი ქაჭეთის ციხიდან
გამოიხსნეს. ახლა მათი საზრუნავი თავ-
თავიანთ სამეფოებში დაუყოვნებლივ
დაბრუნება იყო. ქაჭეთის ციხე კუნძულ
სუმატრის მთიან ჩრდილოეთ-აღმოსავ-
ლეთ ნაწილში მდებარეობდა, ხოლო
ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქი და
საეპრო ნავსადგური ამავე კუნძულის
სამხრეთ-დასავლეთ დაბლობ მხარეში.
თუ გავითვალისწინებთ, რომ ვეფხის-
ტყაოსნის გმირებს გემით უნდა გაეა-
რათ არაბეთის ზღვა, მის ჩრდილოეთ
სანაპირომდე მიეღწეათ და ხმელეთზე
გამოსულიყვნენ ძველი ხორმუხის რაი-
ონში, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ
არ შეიარეს მათ გულანშაროში. ამით
მათ გზა გაუგრძელდებოდათ. ამრიგად,
ტარიელმა, ავთანდილმა, ფრიდონმა და
ნესტან-დარეჯანმა ქაჭთა მთიანი სამე-
ფოდან ანუ სუმატრის ჩრდილო და-
სავლეთიდან მალაქის სრუტის სანაპი-
როსაკენ აიღეს გზი. ამ სრუტის ერთ-
ერთ ნავსადგურში, რომელიც მდებარე-
ობდა გულანშაროდან ანუ პალემბანგი-
დან ჩრდილოეთით, ძმად-ნაფიცები შე-
ხედნენ მათ შესახვედრად წამოსულ
ზღვათა მეფეს და ფატმანს. ათი დღე
სრულიად საკმარისი იყო იმისათვის,
რომ ზღვათა მეფეს პალემბანგიდან მა-
ლაქის სრუტემდე არსებული 450 კილო-
მეტრი დაეფარა.

ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ზღვა-

თა მეფემ ქორწილი გადაუხადა და სამ-
გზავროდ წავი მისცა:

„მეფემან წავი-ბოძალი მოკახმა
ზღვისა კიდესა,
გამოვმართა ტარიელ, გამოვრღნი ცრემლთა
ღვრიდესა“.

ბოძალით ძმადნაფიცებმა გაიარეს
შალაკის სრუტე, ინდოეთის ოკეანით
მივიდნენ ცვილონამდე, აქედან გადაქ-
რეს არაბეთის ზღვა და ხმელეთზე გად-
მოვიდნენ იქ, სადაც ფრიდონის სამე-
ფო იწყებოდა ომანის ყურის სანაპი-
როზე. რომ ძმადნაფიცებმა არა ერთი
ზღვა გადაკურეს, ამაზე მეტყველებს
1448-ე სტროფის პირველი სტრიქონი:
„გამოვლნეს ზღვანი სამთავე, ერთგან
ძმად შენაფიცართა“. როგორც ვხე-
დავთ, აქ „ზღვა“ მრავლობით რიცხვ-
შია, რაც იმას მოწმობს, რომ ძმადნაფი-
ცებმა რამდენიმე ზღვა გადალახეს. შე-
მდეგ ნესტან-დარეჯანი კუბოში ჩასვეს
და ხმელეთით ზღვის ნაპირ-ნაპირ მიმა-
ვლი გზით მულაზანზარისაკენ ანუ
ძველი ხორმუზისაკენ გაემართნენ.

აქ ისმის კითხვა, რატომ აიღეს ძმად-
ნაფიცებმა ძველი ხორმუზისაკენ გეზი
და არა ინდოეთისაკენ. იგი ხომ სუმატ-
რიდან უფრო ახლოს მდებარეობდა. ამ
კითხვაზე სრულიად ნათელი პასუხი არ-
სებობს თვით ვეფხისტყაოსანში. ტა-
რიელის და ნესტანის ინდოეთში დაბ-
რუნება შეუძლებელი იყო მრავალრი-
ცხოვანი ლაშქარის მხარ-დაჭერის გა-
რეშე. ტარიელმა კარგად იცოდა, რომ
მისი ქვეყანა მტრების ზელში იყო და
მათი განდევნა მხოლოდ ფრიდონი-
სა ან ავთანდილის სპათა დახმარე-
ბით თუ მოხერხდებოდა. როგორც ვი-
ციტ, ეს ასეც მოხდა: ტარიელი 80,000-
იანი ლაშქრის თანხლებით დაბრუნდა
თავის სამეფოში.

მულაზანზარიდან ძმად-ნაფიცები
ნესტანისა და ასმათის თანხლებით ჯერ
ტარიელის გამოქვაბულში (დევ-ქალა-
ში) მიდიან, ხოლო იქიდან არაბეთში.
რამდენად გამართლებულია ვეფხის-
ტყაოსნის გმირების ჯერ გამოქვაბულებ-
ში მისვლა, შემდეგ არაბეთში და ბო-
ლოს, ინდოეთში? მათ ხომ შეეძლოთ

ფრიდონის ლაშქარი წაეყვანათ და ჯერ
ინდოეთში მისულიყვნენ, ეჭვით ვერძღეს,
რომ მულაზანზარი (დევლა-ხორმუზი)
ინდოეთსა და არაბეთს შუა მდებარე-
ობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ტარიე-
ლი დავალებული იყო ავთანდილისა და
ფრიდონისაკენ და უნდოდა სამაგიერო
მიეზღო მათთვის. ამით აიხსნება ის,
რომ მულაზანზარიდან წამოსული ტა-
რიელი ჯერ დევთა გამოქვაბულებში
მივიდა, იქ დაგროვილი უთვალავი სიმ-
დიდრე ფრიდონს გადასცა და ამით მის
წინაშე ვალი მოიხადა. ეს კარგად ჩანს
ტარიელის სიტყვებიდან:

1,500. „ფრიდონს უთხრა: „ვალი თქვენი
ჩემგან ძნელად ვარღიხდების,
მაგრა თქმულა: „ქარვის შქნელი კაცი
ბოლოდ არ წახდების“.
აჲ საკურტლე რაზომიცა აჲ ძეს და აჲ
იდების,
შენი იყოს, ყველაკა, შენ წაიღე, ვითა
გხვდების“.

ახლა გამოვარკვიოთ, როგორი იყო
ვეფხისტყაოსნის გმირების მარშრუტი
მულაზანზარიდან ტარიელის გამოქვა-
ბულამდე?

იგი ბევრით არაფრით განსხვავ-
დებოდა ავთანდილის მარშრუტისა-
გან, რომელმაც იგივე მანძილი გაიარა,
მხოლოდ ტარიელის გამოქვაბულ-
ლიდან მულაზანზარამდე. ავთანდილის
ამ მარშრუტზე ჩვენ ზემოთ გვექონდა
საუბარი. მაგრამ აქ კიდევ მოგვიხდება
მისი გახსენება და შედარებითი ანალი-
ზის მოხდენა, რაც საშუალებას მოგვ-
ცემს ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ
ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა.
მულაზანზარიდან ტარიელის გამოქვა-
ბულამდე ვეფხისტყაოსნის გმირების
მიერ განვლილი გზის შესახებ ეპოპეაში
შემდეგი ცნობა მოგვეპოვება:

1494. „იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე
არონინებდეს;
მინადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა
მიადინებდეს;
სადაცა დახდის ქვეყანა, მკურეტილთა
მოაღინებდეს,
მოგვებნიან, სძლნობდიან, აქებდეს, არ
აგინებდეს.“

1495. მას ჰგეანდეს, თუცა სამყაროს მზე
 უქდა შუა მთავართა;
 იარნეს დღენი მრავალი ლაღთა,
 ბრძნად მოუბარეთა.
 შიგან მათ დიდთა მინდორთა,
 უოღუნით კაც-მოუშვებარეთა,
 საღ უოფილოჲ ტარიელ, მიჰხედეს მის
 კლდისა არეთა“.

როგორც ვხედავთ, ამ მარშრუტის შესახებ რუსთაველს საკმაოდ ცოტა რამ აქვს ნათქვამი, მაგრამ ესეც საკმარისია ზოგიერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად:

1. მულაზანზარიდან ძმადნაფიცებმა ხმელეთით მრავალი დღის განმავლობაში იარეს, სავარაუდოა 80 დღემდე, ისევე როგორც ავთანდილმა ტარიელის გამოქვაბულიდან მულაზანზარამდე.

2. თავდაპირველად მათი გზა დასახლებულ ადგილებში გადიოდა და მათ რამოდენიმე სახელმწიფო გაიარეს, ხოლო შემდეგ დაუსახლებელი დიდი მინდორი ანუ უდაბნო გადალახეს, ის მხარე, სადაც ტარიელის გამოქვაბული მდებარეობდა.

3. ამ მარშრუტის აღწერისას რუსთაველი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ გმირები ზღვის ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, და მით უმეტეს, არ ჩანს, რომ ტარიელის გამოქვაბული ზღვის სანაპიროდან ერთი დღის სავალზე იყოს; პირიქით, ირკვევა, რომ მრავალი დღის განმავლობაში იარეს და მათ ირგვლივ დიდი მინდორი ანუ უდაბნო იყო.

ამრიგად, ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ის სტროფები, რომლებშიც ნათქვამია, რომ გამოქვაბულიდან წამოსული ტარიელი და ავთანდილი ერთ დღეში ზღვის ნაპირამდე მივიდნენ, სინამდვილეს არ შეეფერება და ინტერპოლატორის ნაცოდვილარია. აქ ვინმემ შეიძლება თქვას, რომ სამმა ძმადნაფიცმა მულაზანზარიდან ტარიელის გამოქვაბულამდე სხვა გზით იარა, ვიდრე ავთანდილმა ტარიელის გამოქვაბულიდან მულაზანზარამდე. მაგრამ ასეთი დაშვების საშუალებას არ იძლევა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რადგან მასში

ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ან არადა, რატომ უნდა წასულყვენიერ ძმადნაფიცები სხვა გზით, ისეთი გზით, რომელიც ავთანდილისათვის უცნობი იყო? უფრო მიზანშეწონილია, რომ მათ იმ გზით იარეს, რომელიც ავთანდილისათვის უკვე ნაცნობი იყო.

ამრიგად, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი და ასმათი მულაზანზარიდან ტარიელის გამოქვაბულამდე იმავე გზით წავიდნენ, რა გზითაც ავთანდილმა იარა ტარიელის გამოქვაბულიდან მულაზანზარამდე. ეს იყო სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა ძველი ხორმუზიდან ისპაჰანზე გავლით დევ-ქალამდე და შემდეგ ხვარაზმეთის ურგენჩამდე, ხოლო იქიდან ჩრდილოეთ ჩინეთამდე.

ტარიელის გამოქვაბულიდან ანუ დევ-ქალადან ვეფხისტყაოსნის გმირები არაბეთში დაბრუნდნენ. ამ მარშრუტის შესახებ შოთა რუსთაველი შემდეგს ამბობს:

„მიხედეს არაბთა საზღვართა, რა ვლეს
 მრავალი ხანება“.

აქაც, როგორც ვხედავთ, რუსთაველი არ აზუსტებს, თუ რამდენი ხანი იარეს მისმა გმირებმა ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთის საზღვრებამდე. ეს დაზუსტება არც იყო აუცილებელი, რადგან ცნობილია, რომ ეს გზა ავთანდილმა ერთ თვეში გაიარა. ძმადნაფიცები ახლაც, დაახლოებით იმდენ დროს მოანდომებენ. როგორც ვხედავთ, ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ტარიელის გამოქვაბულში შევლით არაბეთამდე მიმავალი გზა გაიგარქელეს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული. ტარიელს უნდოდა დევთა გამოქვაბულებში დაგროვილი სიმდიდრე მადლობის ნიშნად ფრიდონისათვის გადაეცა. ამიტომ მათმა გზამ სწორი ხაზის მაკვივრად სამკუთხედის ორი გვერდის სახე მიიღო.

ახლა რჩება განსახილველი კიდევ ერთი და უკანასკნელი მარშრუტი — ვეფხისტყაოსნის გმირების არაბეთიდან

ინდოეთში წასვლა და ავთანდილისა და ფრიდონის თავ-თავის სამეფოში დაბრუნება.

ამ მარშრუტის განსაზღვრა დიდ ზიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან არაბეთიც და ინდოეთიც ასე თუ ისე ცნობილი გეოგრაფიული ცნებებია. შეიძლება, ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ამ მარშრუტის შესახებ რუსთაველი მხოლოდ ორ გარემოებას უსვამს ხაზს. უპირველეს ყოვლისა, იგი აღნიშნავს, რომ ძმადნაფიცებმა სამი თვე მოანდომეს გზას არაბეთიდან ინდოეთამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ, დაახლოებით, 3,000 კილომეტრამდე გაიარეს. მედინადან ახლანდელ ყარაჩამდე, მართლაც, 3,000 კილომეტრამდეა. ისე რომ, რუსთაველის გაზომილება ზუსტად ემთხვევა იმ მანძილს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს.

მეორე, რასაც ხაზს უსვამს რუსთაველი, არის შემდეგი გარემოება: იმის შემდეგ, რაც ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოეთში გამეფდნენ, ავთანდილი და ფრიდონი უკან გამობრუნდნენ. მათ ერთ ხანს ერთად იარეს. შემდეგ მათი გზები გაიყარა, ფრიდონმა თავის ქვეყანას მიაშურა, ხოლო ავთანდილმა გზა განაგრძო და ბოლოს მშვიდობით მიაღწია არაბეთამდე.

1661. „ერთგან ფრიდონ და ავთანდილი
იარნეს დღენი მცირენი;
გზამან გაყარნა, წავიდეს თავის-თავ
ანატირენი;
კარგად მოუხდეს მათ მათნი საქმენი
დანაპირენი.
ავთანდილ მისდა არაბეთს, ნახნა-არ
ცუდნი ქირენი“.

ამ სტროფში ორ საინტერესო დეტალთან გვაქვს საქმე:

1. ავთანდილმა და ფრიდონმა ერთად მხოლოდ რამდენიმე დღე იარეს, შემდეგ კი მათი გზები გაიყო. ეს დეტალი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ რუსთაველი მულღაზანზარში ძველ ხორმულს გულისხმობდა, ხოლო ფრიდონის სამეფო ქერმანი უნდა ყოფილიყო. ფრიდონმა და ავთანდილმა ერთად 250-300 კილომეტრი გაიარეს, რაც სრუ-

ლიად სწორად გადმოგვცემს იმ მანძილის სიგრძეს, რომლითაც ქერმანამდე შორებულ იყო ინდოეთს.

2. საყურადღებოა მეორე დეტალიც. ფრიდონის სამშობლო უფრო ახლოა ინდოეთიდან, ვიდრე არაბეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ავთანდილი ინდოეთიდან არაბეთში მიდიოდა, ხოლო ფრიდონის სატახტო ქალაქი მულღაზანზარი ზღვის პირზე მდებარეობდა, მაშინ ექვემდებარება შეიძლება ითქვას, რომ მულღაზანზარი სპარსეთის ყურის სანაპირო ქალაქია.

რომ მულღაზანზარი სადღაც ინდოეთსა და არაბეთს შორის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, მხედველობიდან გამორჩა ლ. მარტაშვილს. მან უდავოდ უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც თავის გამოკვლევაში¹ მულღაზანზარს მადგასკარის მახლობლად აფრიკის სანაპიროზე მიუჩინა ადგილი და იგი მოხამბიკთან გააიგივა.

ამავე მოტივით მცდარად უნდა მივიჩნიოთ ალ. სვანიძის ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვით გაიგივებულია ტრაპიზონი და მულღაზანზარი. ტრაპიზონი რომ ფრიდონის სამეფოს სატახტო ქალაქი მულღაზანზარი იყოს, მაშინ ინდოეთიდან წამოსული ავთანდილი და ფრიდონი ცოტა ხანს კი არ ივლიდნენ ერთად („იარნეს დღენი მცირენი“), არამედ დიდი ხნის განმავლობაში საერთო გზა ექნებოდათ და, რაც მთავარია, ჯერ ავთანდილი გაუხვევდა არაბეთსაკენ, ფრიდონი კი მის შემდეგ მივიდოდა სამშობლოში.

იმის შემდეგ, რაც დავადგინეთ ვეფხისტყაოსნის გმირების მარშრუტები, შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ზოგადი დასკვნის გაკეთება უკვდავი შოთას ნაწარმოების გეოგრაფიული სარჩულის რაობის შესახებ:

1. ვეფხისტყაოსნის მოქმედება გაშლილია უზარმაზარ ტერიტორიაზე, რო-

¹ Известия государственного географического общества, т. LXX, вып. 2, 1938, Л. И. Маруашвили. Географический кружок Шота Руставели, зб. 173—175.

მელიც მოიცავს ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე არსებული აზიის თითქმის ყველა ქვეყანას, რომლებიც იმ დროს მსოფლიო ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

2. იმ სახელმწიფოთა ნაწილი, რომელთა ტერიტორიაზეც გადატანილია ეფხისტყაოსნის მოქმედება, ეპოქაში წარმოდგენილია საკუთარი სახელებით. მათ რიცხვს ეკუთვნიან ძველ დროში და ახლაც საკმაოდ საყოველთაოდ ცნობილი ისეთი ქვეყნები, როგორცაა არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ეგვიპტე, ქალაქი ბაღდადი.

3. საყოველთაოდ ცნობილი ქვეყნების გარდა, ეფხისტყაოსნის მოქმედება გაშლილია ისეთი ქვეყნების ტერიტორიაზეც, რომელთა სახელებიც არ არის ცნობილი გეოგრაფიულ ლიტერატურაში და არ არის აღნიშნული არც ერთ რუქაზე. მათ რიცხვს ეკუთვნიან ზღვათა სამეფო და მისი სატახტო ქალაქი გულანშარო, ქაჯთა სამეფო და მის ფარგლებში მდებარე ქაჯეთის ციხე, ფრიდონის სამეფო ზღვის სანაპირო ქალაქ მულაზანზარით და დევთა გამოქვაბულები, რომელშიც ცხოვრობდა სამშობლოდან გადახვეწილი ტარიელი.

აღნიშნული ტერიტორიების სახელწოდებები მთლიანად რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს, მაგრამ მათი სახით დიდ პოეტს წარმოდგენილი ჰქონდა კონკრეტული გეოგრაფიული გარემო. ამ სახელწოდებებში იგულისხმება ესა თუ ის ქვეყანა, მხარე ან ქალაქი, რომლებიც ამა თუ იმ სახით არსებობდნენ დედამიწის ზურგზე. ჩვენ ვცადეთ აზიის კონტინენტზე, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის წყლებში მათი შესატყვისი გეოგრაფიული ადგილების მონახვა და მათი მდებარეობის განსაზღვრა.

4. ზღვათა სამეფოში იგულისხმება კუნძულ სუმატრაზე მდებარე ძლიერი ზღვათა სამეფო ჯაია, რომლის მმართველობაში იყო თითქმის მთელი უზარმაზარი მალაის არქიპელაგი, ხოლო გულანშაროდ კი იგულისხმება ახ-

ლანდელი პალემბანგი, უკვე V-VII საუკუნეებში განთქმული საგანძურის ნაგებობები, სადაც თავს რყობდნენ ვაჭარები აზიის ყველა ქვეყნიდან — არაბეთიდან, ეგვიპტიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, კავკასიიდან და, ვინ ჩამოთვლის, კიდევ საიდან.

5. ამავე კუნძულ სუმატრაზე მდებარეობდა მეორე სახელმწიფო ჯამბუდვიპა, რომელსაც კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ მთიანი ნაწილი ეკავა. ქაჯთა სამეფოს სახელწოდებაში რუსთაველს ეს ქვეყანა ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო ქაჯეთის ციხე ჯამბუდვიპას მთიან ნაწილში მდებარეობდა.

6. ფრიდონის სამეფოდ შოთა რუსთაველი გულისხმობდა ქერმანს, ხოლო მულაზანზარის სახით აღწერილი აქვს სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქინავსადგური ძველი ხორამუზი. რაც შეეხება კუნძულს, რომლის გულისთვისაც ფრიდონს უთანხმოება მოუვიდა ბიძასთან და ბიძაშვილებთან, უნდა იყოს ერთ-ერთი კუნძული, რომელიც სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ ნაპირებთან მდებარეობს. ეს შეიძლება ყოფილიყო ან კუნძული კაშმი, ან კუნძული ხორამუზი, რომელიც ძველი ხორამუზის მახლობლად იმყოფება.

7. გამოქვაბულები, რომლებიც ტარიელმა დევებს წაართვა, მდებარეობს ახლანდელი თურქმენეთის სსრ ტერიტორიაზე, მდინარე უზბოის აღმოსავლეთით ორი დღის სავალზე, იქ, სადაც ახლაც დევე-ქალას ციკლოპური ხასიათის კლდეებით ნაგები ქალაქის ნანგრევებია. სწორედ ამ დევე-ქალას გულისხმობდა რუსთაველი, როდესაც ტარიელის გამოქვაბულებზე ლაპარაკობდა, ხოლო „მდინარე არად სანდომი ხიდისა“ — არის მდინარე უზბოის დამშრალი კალაპოტი. უდაბნო, რომელიც გარს ეკრა ტარიელის გამოქვაბულს, არის ყარაყუმების ცნობილი უდაბნო.

8. „ზღვის ქიში“, სადაც დავარის მონებს უნდა გადაეკარგათ ნესტანდარეჯანი, შოთა რუსთაველი გულისხ-

მობდა წყნარი ოკეანის ეკვატორულ წყლებში მდებარე რომელიღაც კუნძულს, შესაძლებელია, ახლანდელი პოლინეზიის აღდგომის კუნძულს.

9. ვეფხისტყაოსნის მოქმედება თუმცა გაშლილია არაბეთში, ინდოეთში, ხეარაზმში, მალაის არქიპელაგის სახელმწიფოში — ქერმანში, მაგრამ შოთა რუსთაველმა მხოლოდ მათი ტერიტორია გამოიყენა. ვეფხისტყაოსანში აღწერილ ამბებს არაფერი არა აქვს საერთო ამ სახელწოდების ხალხების ცხოვრებასა და ისტორიასთან, რუსთაველს მხოლოდ მათი ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემები აინტერესებს. უყურადღებოდაა დატოვებული ამ ხალხების ადამ-წესები, რელიგია, რასობრივი და ენობრივი სხვაობა.

ამრიგად, რუსთაველმა თავისი ნაწარმოების მოქმედება უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშალა და ამ მხრივ შეუდარებელ პომეროსსაც კი აჯობა. უბადლო პოეტი რუსთაველი თავისი დროის დიდი ერუდიციის მქონე გეოგრაფიკ იყო. საქმარისია ითქვას, რომ ის გეოგრაფიული სამყარო, რომელიც ევროპელმა მოგზაურებმა მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში გაიცნეს, რუსთაველისათვის უკვე მეთორმეტე საუკუნეში იყო ცნობილი. შოთა რუსთაველს კარგად უნდა სცოდნოდა არაბი, ჩინელი მოგზაურებისა და მალაის განთქმული მეზღვაურების რუკები, აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერილობანი და ეგებ, თვითონაც თავისი დროის გამოჩენილი მოგზაური იყო.

ამაზე ნათლად მეტყველებს ის მარშრუტები, რომლებითაც ვეფხისტყაოსნის გმირებმა იარეს და რომლებიც ნიშანდობლივად აქვს აღწერილი შოთა რუსთაველს.

ვეფხისტყაოსნის გმირების სახმელეთო მარშრუტები თითქმის მთლიანად შეესაბამება აბრეშუმის დიდ გზას. ეს ამკარა ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავთანდილი ტარიელის ქვაბებიდან ანუ დევექალადან ახლანდელი სპარსეთის გავლით მულღანზარამდე ანუ

ხორმუზამდე მივიდა. ხოლო როდესაც ავთანდილი გულანშაროდან ანუ ახლანდელი პალემზანგიდან გუზაფირქანურის გადაცურვის შემდეგ განგის შესართავთან ხმელეთზე გადმოვიდა, მან იარა ასევე ცნობილი აბრეშუმის დიდი გზით და ტარიელის ქვაბებამდე ანუ დევექალამდე მივიდა.

აბრეშუმის დიდი გზაც ხომ იქ იწყება, სადაც მდინარე განგი ჩადის ბენგალის ყურეში, გადასჭრის ახლანდელ ჩრდილოეთ ჩინეთს, მიადწევს სამარყანდამდე და ურგენჩამდე, შემდეგ ჩაუვლის კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს, პირს იბრუნებს სამხრეთისაკენ და ახლანდელი ირანის გავლით აღწევს სპარსეთის ყურეს, იქ, სადაც ტიგროსის და ეფრატის შესართავია.

მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ ეს გზა სცოდნოდა შოთა რუსთაველს? ამ გზების შესახებ ევროპელებმა ხომ მხოლოდ მარკო პოლოს მოგზაურობის შემდეგ გაიცნეს? საქმე იმაშია, რომ აბრეშუმის დიდი გზა აზიელებისათვის ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იყო ცნობილი. ხოლო შუა საუკუნეების გარიტრაჟზე არაბ და ინდოელ ვაჭრებს ეს გზა უკვე კარგად ჰქონდათ გატყვნილი. აი რაა წერს ამის შესახებ ცნობილი გეოგრაფოსი რიხარდ ხენიგი: „იმ საუკუნეებში, რომლებიც უსწრებდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს, არაბების გეოგრაფია გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა ვიდრე ევროპელ ხალხთა უმრავლესობისა. მარკო პოლომდე არავის ევროპაში არ ჰქონდა ისეთი ფართო გეოგრაფიული ცოდნა, როგორიც ჰქონდათ იბნ-ხორდადბეხს, მასუდის და, განსაკუთრებით, დიდ იდრისის. მინორსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მარკო პოლომდე 300 წლით ადრე მუსულმანებს ჰქონდათ ფრიალ ზუსტი აღწერილობანი ქვეყნების, ხალხების, გზების და საქონლის, რომლებსაც შეხვდებოდა კაცი იმ ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმული იყო ესპანეთიდან და მარკო-

დან დაწყებული ჩინეთისა და ტიბეტის მიღმა მდებარე მიწებამდე¹

მეთორმეტე საუკუნის საქართველოს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ქმნდა როგორც არაბეთთან, ისე ინდოეთთან და საერთოდ აზიის ქვეყნებთან. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ რუსთაველს კარგად სცოდნოდა არაბი, ინდოელი და ჩინელი მოგზაურების და გეოგრაფოსების შრომები, რომ იმდროინდელ საქართველოში აზიის გზები კარგად იცოდნენ, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველმა აზნაურმა რაფიელ დანიბეგაშვილმაც მე-18 საუკუნეში ძირითადში გაიმეორა ის მარშრუტი, რომელიც თავის დროზე გაიარა ავთანდილმა. ეს იმას მოწმობს, რომ ქართველებმა, მიუხედავად მონღოლების შემოსევის შემდეგ დამღვარი ცუდი დროებისა, მაინც შემოინახეს ძველი გზების ცოდნა.

საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მეთხუთმეტე საუკუნეში რუსმა ვაჭარმა ათანასე ნიკიტინმაც პორტუგალიელებზე ადრე იმოგზაურა ინდოეთში. მისი მარშრუტიც ნაწილობრივ ემთხვევა ავთანდილის მარშრუტს.

რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის გმირების საზღვაო მარშრუტებს, ისინი შეესაბამებიან სამხრეთ აზიის დიდ სანაოსნო გზებსა და მუსონების დიდ გზას, რომლებიც აგრეთვე ძველთაგან იყო ცნობილი აზიის მკვიდრთათვის.

ვეფხისტყაოსნის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავთანდილმა კომორინის კონცხის ერთ-ერთი სავაჭრო ნავსადგურიდან გადაცურა ინდოეთის ოკეანის ჩრდილო ნაწილი, გაიარა მალაკის სრუტე და სუმატრის ერთ-ერთ სავაჭრო ნავსადგურში გადმოვიდა, იმ ადგილას, სადაც ახლანდელი პალემბანგია. აქედან მან ისევ გაიარა მალაკის სრუტე, ბენგალიის ყურე და გადა-

ვიდა ნაპირზე იმ ადგილას, სადაც ვაჭარი უერთდება ოკეანეს. ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად ხორმუზიდან წამოსულმა ძმადნაფიცებმა გადასცურეს არაბეთის ზღვა, შემოუარეს ინდოსტანის ნახევარკუნძულს, ინდოეთის ოკეანის ჩრდილო ნაწილის გავლით მივიდნენ კუნძულ სუმატრამდე. ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის შემდეგ ამავე გზით უკან გამობრუნდნენ და ხორმუზის მახლობლად სპარსეთის ყურის ერთ-ერთ ნავსადგურში გადმოვიდნენ.

ეს მარშრუტები სხვა არაფერია თუ არა სამხრეთ აზიის ცნობილი დიდი სანაოსნო გზა, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ მუსონების დიდ გზას. მერვე და განსაკუთრებით IX და X საუკუნეების არაბ და ირანელ ვაჭრებსა და გეოგრაფოსებს აღწერილი აქვთ სამხრეთ აზიური მუსონური გზა. ისინი არაბეთიდან სპარსეთის ყურის გავლით შემოუვლიდნენ ხოლმე ინდოსტანის ნახევარკუნძულს და თავისი საქონელი მიჰქონდათ ცეილონის, მალაკის, სუმატრის, იავის, ბორნეოს ბაზრებზე; აქ ამ კუნძულების ნავსადგურებში თავს იყრიდნენ ვაჭრები, ჩინეთიდან, კორეიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტიდან და საბერძნეთიდან.

ჯერ კიდევ პტოლემემ, ხოლო შუა საუკუნეების გამოჩენილმა არაბმა გეოგრაფოსებმა—მასუდიმ და იდრისმა კარგად იცოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დიდი საზღვაო გზა და თავის შრომებში დაწვრილებით აღწერეს იგი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსანში აღწერილი მარშრუტები მეცხრე-მეათე საუკუნეებში წარმოადგენდა საყოველთაოდ ცნობილ გზებს, რომელთა საშუალებით გაცხოველებული მიმოსვლა სწარმოებდა აზიის ქვეყნებს შორის.

¹ Рихард Хенинг, Неведомые земли, т. II, стр. 210.

მ. ხანთაძე, მ. ბერიძე

საქართველოს წარსულის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ისტორიოგრაფიამ გამოავლინა არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი; სწორედ მათმა მოღვაწეობამ შეამზადა ნიადაგი ჩვენში მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩასახვა-განვითარებისათვის, ჩვენი წარსულის ნამდვილი მეცნიერული სურათის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის. ამ ისტორიკოსთა შრომებში დაგროვილია პირველხარისხოვანი, კრიტიკულად განხილული და გაცხრილული მასალები, დადგენილია მრავალი საყურადღებო ფაქტი, შექმნილია საიმედო დოკუმენტური ბაზა მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის. ამასთან ერთად, ამ ისტორიკოსთა ნააზრევში გამოთქმულია მრავალი ისეთი დებულება თუ მოსაზრება, რომლებიც კრიტიკულად ათვისებული და გაზიარებული იქნა მარქსისტული ისტორიოგრაფიის მიერ.

ქართველ ისტორიკოსთა ამ პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ნიჭიერი ისტორიკოსი თედო (თედორე) დავითის ძე ჟორდანიძე.

თ. ჟორდანიძე სამოღვაწეო ასპარეზზე მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში მთელი სისრულით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმისა და რეაქციის მძლავრი შემოტევის წინააღმდეგ. ბრძოლის მედ-

როშენი — ილ. ჭავჭავაძე აკ. წერეთელი და სხვანი, ერთ-ერთ იარაღად ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულსა და კულტურულ მემკვიდრეობას იყენებდნენ. ქართული ისტორიოგრაფია მხარში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეოლოგიას. მათ მჭიდრო კავშირს საფუძველი ჩაუყარეს დიდმა ილიამ, დიმიტრი ბაქრაძემ და სხვებმა. შემდეგ ეს ტრადიცია გააგრძელეს თ. ჟორდანიძემ, ე. თაყაიშვილმა, მ. ჭანაშვილმა, ს. გორგაძემ...

წარსულის მეცნიერული ცოდნა კი წარმოდგენილი იყო საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლა-შეფასების გარეშე. თითქმის მთელი მე-19 საუკუნე (განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან) ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმოდგენდა უპირატესად კრიტიკული წყაროთმცოდნეობის განვითარების ხანას, სრულიად აუცილებელს ქართველი ხალხის მეცნიერული ისტორიის შექმნის გზაზე. ფეოდალური ურთიერთობის წიაღიდან გამომავალ ქართველ საზოგადოებას თავის წარსულზე მკაცრი მეცნიერული კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული და შემოწმებული ცოდნა ესაჭიროებოდა. დიმიტრი ბაქრაძემ მხოლოდ თავისი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის მიწურულში სცადა შეექმნა ქართველი ხალხის ისტორია (1889 წ.); სცადა, თუმცა, სერიოზულ

დო საზოგადოება, იმ ვართავაგავა, ფილიპე გოგინაიშვილი, სერგი გორგაძე, კორნელი კეკელიძე და სხვანი, რომელთაც თავისი მასწავლებლის პატივისცემა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნეს.

თანამედროვენი განსაკუთრებით აფასებდნენ თედოს დეაშელს ქართული ენის სწავლებისა და მისი უფლებების აღდგენის საქმეში. წლების მანძილზე სემინარიაში ქართული ენა არასავალდებულო საგნად ითვლებოდა და მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იყო. ენერგიული ბრძოლით თედომ მიაღწია იმას, რომ ქართულ ენას სემინარიაში სათანადო ყურადღება დაეთმო, დაარსდა საგანგებო საშტატო ერთეული — ქართული სიტყვიერებისა და ისტორიის კათედრა, რომლის მუშაობასაც თავიდანვე თ. ჟორდანიას წარმართავდა. 1889 წ. თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა „ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი)“. თედო ჟორდანიას წყალობით ქართული ენისა და მწერლობის სწავლება სემინარიაში მალალ დონეზე დადგა. და ეს იმ დროს, როცა ცარიზმის შოვინისტური რეჟიმი არა მარტო სემინარიებში, არამედ ყველგან დაუნდობლად დევნიდა ქართველობის მცირე გამოვლინებასაც კი.

ამვე პერიოდში, ნაყოფიერ პედაგოგურ მოღვაწეობასთან ერთად, თედო ჟორდანიამ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო თავისი მეცნიერული კვლევები ბირველი შედეგების გამოქვეყნებად. სამსახურიდან თავისუფალ დროს იგი ანდომებდა წიგნთსაცავებსა და ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი საბუთების, ხელნაწერებისა თუ ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას.

ქართულ სიძველეთა შეკრება და შესწავლა იმ დროს ფართო საზოგადოებრივ საქმედ იყო ქცეული და მას ხელმძღვანელობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის წიგნთსაცავი უკვე რამდენიმე ასეულ ძველ ხელნაწერ წიგნსა და საბუთს შეიცავდა. 1880 წლი-

დან თ. ჟორდანიას ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო. უბრალოდ აგრეთვე საკატალოგო კომისიის წევრი (1885 წ. შეიქმნა), რომელსაც ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა ევალებოდა. თედომ აღწერა კიდევ წ. კ. გ. საზოგადოების ქართული ხელნაწერების კოლექცია. ამ აღწერას იგი არაერთგან უთითებს თავის „ქრონიკეში“. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს ნაშრომი ჭერჭერობით არ ვიცით სად იბოვება.

1888 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის საეკლესიო მუზეუმში, რომლის გამგედაც დაინიშნა თ. ჟორდანიას. 1889 წლიდან თედო აირჩიეს საარქეოლოგო საბჭოს წევრად. საეკლესიო მუზეუმის ქართული ხელნაწერები აღწერილი იქნა თ. ჟორდანიას მიერ. ეს აღწერა 1902 წ. გამოქვეყნდა ორ ნაწილად. მასში აღწერილი იყო 800 ერთეული. შედეგ ეს საქმე ვააგრძელა მ. ჯანაშვილმა, რომელსაც ეკუთვნის ამ აღწერილობის მესამე ტომი.

ამ პერიოდში თ. ჟორდანიამ შექმნა თავისი ნაშრომების უდიდესი ნაწილი. გამოაქვეყნა ისინი და მკვიდრად მოიკრდა ფეხი ეროვნული ისტორიული მეცნიერების ავანსცენაზე.

მაგრამ 1896 წლიდან მისი მუშაობა შეფერხდა. ამ დროიდან სამსახურებრივი ხაზით თედო ჟორდანიას „დააწინაურეს“ და გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ეპარქიულ მეთვალყურედ. „ჩინოვნიკის“ მხიმი შრომით დატვირთულ თედოს ქალიან შეეზღუდა მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობა და თავისი საყვარელი საქმიანობისაგან იგი ფაქტიურად მოწყვეტილი აღმოჩნდა. ამას დაერთო ისიც, რომ 1900-იან წლებში თედოს მოუხდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის შენარჩუნებისათვის მხიმი ბრძოლების გადატანა, რაც მისთვის, როგორც ოფიციალური პირისათვის, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამ ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ წინააღმდეგ ცნობილი რუსი-

ფიკტორების — ინოვაციისა და ვოსტორგოვის — სურვილისა, სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება შენარჩუნებული იქნა, მაშინ, როცა განათლების სამინისტროს სკოლებში ამ საგნის სწავლება თითქმის სრულიად იქნა შეწყვეტილი.

მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა სადაო გაზადა თ. ჟორდანიას პოზიციები და საქმიანობა ამ პერიოდში, დასწამა მას ქართული ენის დაცვის საქმეში პასიურობა, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. თ. ჟორდანიას ტაქტიანი ნაბიჯი ამ მიმართულებით გაუგებარი აღმოჩნდა მათთვის. ამ ბრალდებამ დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა მკვლევარს და მას დიდი ხნით აღებინა ხელი მეცნიერულ მუშაობაზე. მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში აიმაღლა ხმა ქართველი ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა ამ უსამართლო მსჯავრის წინააღმდეგ. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა რიგი წერილებისა, რომლებიც აღადგენდნენ სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენისათვის ბრძოლის ნამდვილ ისტორიას და აღნიშნავდნენ თ. ჟორდანიას ღვაწლს ამ მამულიშვილურ საქმეში.

ასეთმა გამოსვლებმა გაამხნევა ჩვენი ისტორიკოსი. 1911 წელს თედო ჟორდანიამ თავი დაანება სამსახურს, დასახლდა კასპში და მეცნიერულ მუშაობას დაუბრუნდა, მაგრამ მისი ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ იყო შელახული და მან ვეღარ შესძლო ამ საქმიანობის გაგრძელება. თედო გარდაიცვალა 1916 წლის 22 ოქტომბერს.

პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი ნეტროლოგები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდა თ. ჟორდანიას დამსახურებას ქართული მწერლობისა და ისტორიის შესწავლის საქმეში; მათი ავტორები გამოთქვამდნენ სინანულს იმ გაუგებრობათა გამო, რომელთაც ხანგრძლივად ჩამოაცილეს სწავლული მეცნიერების ასპარეზს; წ. კ. გ. სახოგადოების გამგეობის ინიციატივით თ. ჟორდანიას

დაკრძალეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ერეკლეშვილი

თ. ჟორდანიას მეცნიერულ მოღვაწეობა უმთავრესად ქართული წყაროს-მკოდნეობის დარგში მიმდინარეობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი პირველხარისხოვანი საბუთის, ეპიგრაფიკული ძეგლის, ნარატიული წყაროსა და ქრონიკალური ცნობის გამოქვეყნება, კრიტიკული განხილვა და შეფასება. მისი უმთავრესი ნაშრომები: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა“ (გამოქვეყნდა ორ ტომად, I ტომი დაიბეჭდა 1893 წელს, II ტომი — 1897 წ.); „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვახანის ქვაბთა“ (1896); «Завещание царя Давида Возобновителя, данное Шно-Мгвинской лавре в 1123 г.» (1895); К материалам по истории Грузии XI—XII вв. (1895). «Пять грузинских исторических хроник», «Хроника абхазских царей» (1902); ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“ (1903). და სხვ.

ამ ნაშრომებში გამოქვეყნებულია ქართული მწერლობისა და ისტორიის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, არსენ კათალიკოზის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, რუის-ურბნისის 1103 წლის კრების ძეგლის-წერა, ეფრემ მცირეს — „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ და სხვ.

ამ მასალების შეკრებას თ. ჟორდანიას გარკვეული მიზანდასახულებით აწარმოებდა. მისი სურვილი იყო შეეცხო, შეემოწმებია და შეეფასებია „ქართლის ცხოვრების“ ცნობები, გამოერკვია ამ ძეგლის ღირსება-ნაკლოვანებები.

თედოს აზრით, „ქართლის ცხოვრებას“ რამდენიმე სერიოზული ხარვეზი გააჩნდა: იგი ღარიბი იყო ქრონოლოგიური ცნობებით, მას ახასიათებდა ანაქრონიზმები, შინაგანი წინააღმდეგო-

ბანი, მასში თითქმის არ მოიპოვებოდა ცნობები ჩვენი ხალხის „შინაგანი ცხოვრების“ შესახებ. თ. ჟორდანიას მიერ შეკრებილ მასალებს უნდა შეეხებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ეს ხარვეზი და, უნდა ითქვას, მან ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მისი „ქრონიკები“ საამისოდ შეიცავდა დიდად მასალას, ამოკრეფილს სხვადასხვა ხელნაწერიდან, საბუთებიდან, მინაწერებიდან. თავის კომენტარებში თედო მრავალ გონება-მახვილურ დაკვირვებას და დასკვნას იძლეოდა, აზუსტებდა საქართველოს ისტორიის ამათუბი მოვლენის ქრონოლოგიას, იძლეოდა გენეალოგიურ ტაბულებს და სხ. თედოს ეს ნაშრომი დღესაც სამაგიდო წიგნია ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ პირთათვის. მასში მრავალი ისეთი საბუთია გამოქვეყნებული, რომლებიც შემდეგში ვერ გადაურჩა ეამთა სიავებს და აღარ შემოინახა. თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ საგრძნობლად წასწია წინ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა შევსება-შეფასებისა და კრიტიკული განხილვის საქმე.

„ქართლის ცხოვრების“ რაობისა და ღირსება-ნაყოფიანების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო მე-19 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მკვლევართა წარმოდგენა ქართველი ხალხის წარსულზე ძირითადად ამ ძეგლს ეყრდნობოდა. არაერთხელ იყო შემთხვევა, როცა რეაქციულ და შოვინისტურ წრეებს ეპაქვემ დაუყენებიათ ამ ძეგლის სანდოობა, მისი მეცნიერული მნიშვნელობა. ამ ძეგლის დამცირება ქართველი ერის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა იყო და გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები (ილ. ჭავჭავაძე, დიმ. ბაქრაძე და სხ.) თავგამოდებით იცავდნენ ჩვენი ხალხის ამ ისტორიულ საუნჯეს. 1883 წ. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობის უარყოფით გამოვიდა პეტერბურგელი პროფ. ქ. პატკანოვი. მას დაუყოვნებლივ უპასუხა დიმ. ბაქრაძემ. შემდეგში ქ. პატკანოვის შეხედულებათა კრიტიკა თ. ჟორდანიამაც მოგვცა.

ერთადერთი გზა „ქართლის ცხოვრების“ დაცვისა იყო მისი კრიტიკულ-მეცნიერული შესწავლა და შეფასება. თავისი „ქრონიკების“ I ტომის შესავალი და ზოგი სხვა ნაშრომი თ. ჟორდანიამ სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა. „ქრონიკების“ შესავალში თ. ჟორდანიამ იკვლევდა „ქართლის ცხოვრების“ წყაროებს, მის შემადგენელ ნაწილებს, ამ ძეგლის შედგენის ისტორიას...

თ. ჟორდანიას აზრით, „ქართლის ცხოვრების“, როგორც ქართულ ისტორიულ მატრიანთა კრებულის, შედგენა X საუკუნემდე დაუწყიათ. X საუკუნეში კი მასში შეუტანიათ წმინდა ნინოს ცხოვრება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვარიანტით. შემდეგ ძეგლის ეს ნაწილი ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ XII საუკუნეში შედგენილი მეტაფრასით შეუცვლიათ. XI საუკუნეში (ბრა უგვიანეს 1076 წლისა) კრებულში, თედოს აზრით, სუმბატის ქრონიკაც შეიტანეს.¹

მომდევნო საუკუნეებში „ქართლის ცხოვრება“ თანდათანობით ივსებოდა თანამედროვეთა მიერ დაწერილი თხზულებებით (დავითის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსი, XIV საუკუნის ანონიმური ავტორი და სხ.).

თ. ჟორდანიამ ცდლობდა „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილების გამოკვლევას და დახასიათებას; ამ მხრივაც მან ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა. განსაკუთრებით კარგად ჰქონდა მას შესწავლილი დავითისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებები. „შემდეგში რომ ამ ორ თხზულებას იგი კვლავ უფრო ღრმად და გულმოდგინედ ჩაჰკვირვებოდა,—წერს აკად. ივ. ჭავჭავაძე, — იქნებ საუცხოო და უნაკლო გამოკვლევა შეექმნა. მაგრამ ავტორს ამ საკითხებისათვის მერე ხელი აღარ უხლია“.

ასევე საინტერესო დაკვირვებები მოეპოვება თედოს ე. წ. ეამთაადმწერლის თხზულებაზე, რომელსაც იგი ჭაყელ-

¹ „ქართლის ცხოვრების“ ანაბეული ნუსხის აღმოჩენამ (1913 წ.) ეს აზრი არ დაადასტურა.

თა საგვარეულო მატრიანედ მიიჩნევა და მის ავტორად ვარძიელ ბერს ასახელებდა.

თედოს მიერ „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლის გზით ჩატარებულ მუშაობას აკად. ივ. ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა. „...არსებითი შეცდომებისა და მრავალ სხვა ნაკლისა მიუხედავად ჩვენთვის ცხადია, რომ თ. ყორდანიას მიერ 1892 წ. გამოქვეყნებული შრომა „ქრონიკები“, წ. I, განსაკუთრებით მისი „წინასიტყვაობა“ მაშინ თვალსაჩინო მოვლენა იყო და ამ წიგნმა ბევრის მხრით დააწინაურა მკვლევართა აზრი ქართლის ცხოვრებისა და ძველ ქართულ მატრიანეების შესახებ. შემდეგში რომ თვით ავტორსაც ეს კვლევის საგანი არ მიეტოვებინა და ხელმეორედ, ამასთანვე უფრო მკაცრი სამეცნიერო მეთოდების საშუალებით, მეორეგზის გულდასმით განეხილა და მუშაობაც განეგრძო, მაშინ შესაძლებელია ბევრი რამ უკვე გამოჩვენებული ყოფილიყო“.

ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ თ. ყორდანიას წყაროთმცოდნეობითმა შრომებმა და პუბლიკაციებმა დიდი როლი ითამაშეს ქართული კრიტიკული, მეცნიერული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბების საქმეში და ამ მხრივ მისი დიდი დამსახურება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამის გარდა, თ. ყორდანიას დაწერილი აქვს ცალკეული საყურადღებო გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ამოთუმი საკითხზე. ზოგ მათგანს დღესაც არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა.

ამ გამოკვლევებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია თედოს ცნობილი ნაშრომი—„დავით გურამიშვილი და მისი დრო“ (1882), სადაც ვერცაღაა განხილული მე-18 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის თავგადასავალი. საისტორიო წყაროების საფუძველზე თედო ყორდანიას დაწერილებით მოგვითხრობდა გურამიშვილის ტრაგიკულ ბედზე, მის უცხო მხარეში ყოფნასა და მძიმე განცდებზე.

დიდი მეცნიერული ღირებულებისა იყო თედო ყორდანიას მეორე ნაშრო-

მიც. «Антоний I — католикос Грузии и архиепископ Владимирский» (ქართულად: რომელიც მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ კათალიკოსისა და მეცნიერის ანტონ პირველის მოღვაწეობას).

დასახელებულ ნარკვევებში კონკრეტული ამბის თხრობა იშლებოდა ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ფართო ფონზე. ისე რომ, ისტორიულ პირთა თავგადასავალი მკვიდროდ იყო დაკავშირებული მათ „დროსთან“.

კონკრეტული მოვლენის ფართო ისტორიულ ფონზე ჩვენების მეთოდით იყო დაწერილი თედო ყორდანიას ისეთი გამოკვლევებიც, როგორცაა: „მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეხელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში“, „მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა“... და სხვა.

თავისი დროისათვის ეს გამოკვლევები დაწერილი იყო არა მარტო დიდი ცოდნით, არამედ ლამაზი ლიტერატურული ფორმითაც, რაც საზოგადოების თვალში კიდევ უფრო ზრდიდა მათ ღირებულებას. თედო ყორდანიას ამ ნაშრომებს მოწონებით შეეგებენ საქართველოში, ზოლო მის გამოკვლევას ანტონ კათალიკოსზე რუსეთშიც კი დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

თედო ყორდანიას სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია მისი «Абхазские Католикосы (1894); «Краткие сведения об автокефалии грузинской церкви» (1905); „შემოსევა არაბებისა საქართველოში...“ და სხვ.

თავისი დროისათვის ეს გამოკვლევები ყოველთვის ერთნაირ დონეზე არ იყო შესრულებული, მაგრამ რევოლუციამდელი ქართული საისტორიო აზროვნების მაშინდელ ფონზე უდავოდ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენენ; დასახელებული ნაშრომები დღესაც კი იწვევენ ისტორიოგრაფიულ ინტერესს.

თედო ყორდანიას ბოლო ნაშრომებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მისი გამოკვლევა „ბატონყმობა საქართვე-

ლოში“, რომელიც 1915 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ქართლში“.

ეს ნაშრომი დაიწერა ს. ავალიანის წიგნის — «Крестьянский вопрос в Закавказье»-ს გამოსვლასთან დაკავშირებით. აქ თედო ქორდანიას აკრიტიკებდა ავალიანის აზრს, თითქოს გლეხთა ცხოვრება საქართველოში უფრო მძიმე პირობებში იყო რუსეთთან შეერთებამდე და ამტკიცებდა: „ქართველი გლეხობა არათუ უუფლებო იყო, არამედ მთელს ევროპის ხალხებში ქართული ბატონყმობა ერთადერთს მაგალითს წარმოგვიდგენს ისეთის სოციალურის წყობილებისას, სადაც განხორციელებულია წოდებათა ბატონყმური კავშირი სიყვარულზე და ორსავე მხრის სარგებლობაზე, ნებაყოფლობაზე“... ხოლო რუსის მთავრობამ „გააკრებოსტინია“ გლეხობა და ეს გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ქართული ბატონყმობა. აქვე თედო ვრცლად იძლეოდა თავის შეხედულებას ქართული ბატონყმობის შესახებ.

ამ ნაშრომში თედო ქორდანიას ცდებოდა. მისი შეხედულება არ იყო სწორი, ვინაიდან, როგორც ჩვენი ისტორიის ჩადრმავებულმა შესწავლამ ცხადყო. ფეოდალურ საქართველოში საზოგადოებრივი შინაური თანხმობა სრულიადაც არ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, თედო ქორდანიას გამოთქვამდა საყურადღებო აზრებს, რომ „აზნაურობა და თავადობა საქართველოში პრინციპულად მოხელეობაზე ამყარებულია და არა გვარიშვილობაზე, ოღონდ თვით ცხოვრებამ თანდათან გვარიშვილობიდან მოხელეობა ისე ადვილად ვერ მოაშორა, რადგან ერთხელ მოხელედ წამოყენებულ გვარში არ გამოილია მოხელეები... მოხელეობა ქმნიდა გვარიშვილობას და არა წინაუკმო“.

იმ დროს ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების შესწავლაში ამგვარი აზრი დაუმკვიდრებელ სიახლეს წარმოადგენდა, ასეთ პირობებში კი მისი ღირებულება უფრო მატულობდა.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში თედო ქორდანიას ოცნებობდა საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსის დაწერაზე. მისი ახლობლების მოგონებებიდან ჩანს, რომ ამ ისტორიაზე მუშაობის დაწყებას იგი ახლო მომავლისათვის ფიქრობდა, მაგრამ ისტორიკოსს სიკვდილმა არ აცალა ამ განზრახვის განხორციელება. სხვათაგან ერთად თედო ქორდანიას გამოუცემელი დარჩა „ქრონიკების“ მესამე ტომი, რომელიც შეიცავს საინტერესო ისტორიულ მასალებს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის შესახებ.

გეოგრაფიული აზროვნების საქართველოში

გამოჩენილი ქართველი მოგზაურ-კარტოგრაფი

(200 წელი ტომთე გაბაშვილის გარდაცვალებიდან)

გეოგრაფიულ აზროვნებას საქართველოში თავისი საკმაოდ მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველი ქართული წყაროები და ძველები დიდი რაოდენობით შეიცავენ გეოგრაფიულ ცნობებს, რაც ჩვენი წინაპრების ფართო გეოგრაფიული პოზიციონირების მიჩვენებელია.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ძველ საქართველოში იყო გარკვეული პროფესიის ადამიანები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ადგილის მცოდნეთა, ქვეყნისზომელთა და ადგილის აღწერათა სახელწოდებით. ამ ტერმინს ხშირად გამოიყენებენ ქართველი მეცნიერები პეტრიწი («ქვეყნის მზომელობა»). ამ პროფესიის ადამიანთა ამოცანა იყო საკუთარი და მიმდებარე ქვეყნების შესწავლა. მოსახლეობის აღწერა, გზების ცოდნა და განსაკუთრებით თავდაცვითი ნაგებობებისათვის საჭირო ადგილების შერჩევა. სულხან-საბა ორბელიანი თქვეყნის მზომელი არის გეომეტრი, როგორც წესი სასწავლებელში ასწავლიდნენ მიწის აღწერისა და მზომელობის (ან ქვეყნის მზომელობის), სადაც გარკვეულ გეოგრაფიულ ცოდნას დაუბუღებდნენ. ამ მიზნით ქართველები ძველთაგანვე ბევრს მოგზაურობდნენ უცხო ქვეყნებში როგორც განათლების მისაღებად, ისე «წმიდა ადგილთა» მოსახილველად და მოსალოცად. ამ მოგზაურობათა მიზანს ქვეყნების გეოგრაფიული აღწერა არ შეადგენდა. მაგრამ მათ ნაშრომში მრავალ ვხვდებით გეოგრაფიული ხასიათის მასალებს. დაწყებული შუა საუკუნეებიდან «მიმოსლვა-მოგზაურობანი» ჩვეულებრივი ამბავი გახდა (შეადარეთ რუსულ хожденіе-ს), ასეთ ნაწარმოებთა ციკლს შეეუთვნებოდა ქართული ანტიკური ძეგლები, «ღვთისმშობლის მიმოსლვა», ქართულ ორიგინალურ ძეგლებში — «შუშანიის წამება», «აბოს წამება», სასულაურთა რომანებში — «სიბრძნე ბალავარისა», «ცხოვრება მარიამისა» და სხვ.

სამოგზაურო ლიტერატურაში, ქართულ გეოგრაფიულ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მოგზაურ-მეცნიერ 12. «მნათობი», № 12.

რების—სულხან-საბა ორბელიანის, იონა გუდგავანიშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის, გრიგოლ ბატონიშვილის, რაფიელ დანიბეგაშვილისა და ტომთე გაბაშვილის ნაშრომებს.

• • •

ტომთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საგანგებო შესწავლის საგანი უკანასკნელ წლებამდე არ ყოფილა. ტომთეს ცხოვრებასა და საქმიანობას ნაწილობრივ ეხებოდნენ იონა ბატონიშვილი («კალმასობა», ტ. II), პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1862 წელს გამოაქვეყნა მისი ნაშრომი «მოხილვა წმიდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტომთესაგან», მაგრამ ბიოგრაფიული ცნობები ხშირად არ არის ზუსტი. ტ. გაბაშვილის თხზულების მოკლე ანალიზი და შეფასება მოგვცა ა. ხახანაშვილმა, ლ. მელიქსეძემ და კ. კეკელიძემ.¹

ტომთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საფუძვლიანად გამოიკვლია აკად. ს. ყანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ელ. მეტრეველმა, რომელმაც 1956 წელს ტომთეს «მიმოსლვის» ტექსტი მოამზადა და გამოსცა, დაურთო ლექსიკონი, საძიებელი და, რაც მთავარია, მოგვცა გაბაშვილის შემოქმედების სრული და საინტერესო გამოკვლევა.

ტომთეს ცხოვრების ადრინდელი პერიოდის შესახებ არაფერია ცნობილი. 1729 წლამდე იმერეთში გადასვლამდე, ბერად აღკვეცილი ტომთე მოღვაწეობდა გარეყას უდაბნოში (კახეთი). დაახლოებით 1730 წელს ტომთე იმერეთში გადავიდა, ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აყრობებს და იმერეთის მეფე ალექსან-

¹ Очерки по истории груз. словесности, т. I.
2. სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8, 1940.
3. აკად. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ. 1951, გვ. 328-333.

დრე II კარზე აქტიურად ჩაება სახელმწიფოებრივ და საეკლესიო საქმეებში.

თავისი მოგზაურობის თარიღი ცნობით „მოსლავაშივე“ აღნიშნავს: „ხოლო წელთ 1755, ოდეს განაგებდა საქართველოთა ცხებულე ქრისტეს მოყვარე მეფე თეიმურაზ და პირმშო სახელოვანი ძე მათი ღმთისმსახური მეფე საქართველოთა უფალი ირაკლი, მიმხსენებულ ვიქმენ მეფობისა მათისა და ვიქმენ მუნთი და მათ მიერითა საბოძერითა და ქართითა — განმტკიცებისათვის უცხოებად შორმგზავრობისა ჩემისა—ქმსაყოფელი აღვიღეთ და მოვიწინით სამცხეს, ქალაქსა ახალციხეს...“.

1738 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრე V ტიპოთე რუსეთში დიპლომატიური მიზით გაგზავნა. რა იყო ამ ელჩობის მიზანი? როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დამდევიდან დასავლეთ საქართველოში ძლიერდება ოსმალეთის გავლენა. ოსმალებმა ხელთ იგდეს ფოთი, ბათუმი, ციხისძირი, სოხუმი, დანჯრიცს რუხის ციხე და თინათან ზღვობდა ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანება. ალექსანდრე V წერილიც კი გაუგზავნა პეტრე I დახმარების აღმოჩენის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ალექსანდრე V ქსნის ერისთავს შანშუსთან ერთად შეიმუშავა სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გეგმა და შანშუ ერისთავი ტიპოთე გაბაშვილთან ერთად მოსკოვს მიავლინა. ტიპოთემ რუსეთის დედოფალს ანა იოანეს ასულს ალექსანდრე V მიერ გაგზავნილი რუკა და წერილი გადასცა. წერალებში იმერეთა მეფე აღწერს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას. რომ წერილს მართლა ახლდა რუკა, ეს თვით ტექსტიდანაც ჩანს. „ჩვენა ზღვის გზები და მათი ნათ-საყუდელები და თათართა ცხებები დაგვიხატეს და გვიახლენია, ან რაც ჩვენ ქვეყანაში ქანია, ვერცხლისა, და ოქროსი, თუ სხეია მრავალფერისა კალისა, სპილენძისა, ტყვიისა, რკინისა, სამრეივი ქვინიკი მომირთმევია“.¹

რუკის შინაარსიდან ჩანს (ზომი 84 X 78, მასშტაბი 1:150.000), რომ იგი სპეციალურად სამხედრო მიზნებისათვისაა შედგენილი. აკად. მ. ბროსეს აზრით, რუკა შედგენილია 1737 წელს.² მასზე რელიეფურადაა გამოსახული (ქართულ და რუსულ ენებზე) დასავლეთ საქართველოს უმთავრესი მთები, მყენარეული საფარი, პიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები, წიაღისეული სიმდიდრეების საბადოები, განსაკუთრებით კი ციხე-სიმაგრეები და სადაზვერუო კომუნიკაციები, რამდენადაც

რუკას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, მასზე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ოსმალთა ხელში მყოფი ციხე-სიმაგრეების გეგმებს, ვის ხელშია ციხე, არის თუ არა გზა მარგებელი (მეციხოვნეთა რაოდენობა), მოსასვლელი გზები, მაგალითად, აი, აღწერის რამდენიმე ნიმუში:

„ქუთაისის ციხე. თათარნი დგანან. ხუთასი კაცი ღვას“.

„ეგრისის ციხე და სა(სახლე). ვერცხლის ლითონი, ღიალ, კარგი და რკინის ქანი მრავალი. ახლად აღშენებული მეფისა ალექსანდრესაგან. აქამდის მოდიდო ნაფი ამოვა ღერძის“.

„სოხუმის ციხე, ქართულად აყუ ჰქვიან. ორთულიანი ფაშა ხის. 1723 ამ ქოცს დაშენეს თათართ. სამოცი თოფი ძეს დიდი, ასი კაცი“.

„ქ. ფოთის ციხე ქართულად. ძველად ქალაქი უოფილა. ფასუს ქვიან. ორთულიანი ფაშა ხის. 1723 ქოცს დაშენეს თათართა. ორმოცდაათი თოფი ძეს დიდი, ორასი კაცი ღვას“.

გარდა სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობებისა, რუკაზე დატანილია აგრეთვე საერო ნაგებობანი და ტაძრები; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს ჰქონდა გარკვეული ინტერესი ქართული ხეროთმომღვრული ძეგლებისადმი და ხატვის კარგი უნარაც გააჩნდა (რუკაზე დატანილია 160-მდე გეოგრაფიული სახელწოდება).

რუკის დატვირთა და ჩანაწერი მასალა ხანტერებს ისტორიულ, გეოგრაფიულ, გეოლოგიურ და ხეროთმომღვრულ ცნობებს იძლევა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს შესახებ. აშეამად ამ რუკასთან დაკავშირებით ორი რამ აჩნს ხანტერებს:

1. მრავალშრიტი და მდიდარი მასალის შემცველი სამხედრო რუკა მოქმედს, რომ მისი ავტორი ერთნაირად კარგად იყო გაეცნობურებული როგორც გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, ასევე ქვეყნის სამხედროსა და პოლიტიკურ საკითხებში;

2. ავტორი სამხედრო რუკაზე მუშაობის დროს არ იფარგლებოდა მარტო კარტოგრაფიული მიზნებით. მას აინტერესებდა და იზიდავდა ქართული ხეროთმომღვრების ძეგლებიც. ის მათ უყურებდა არა როგორც ტოპოგრაფი მხოლოდ, არამედ როგორც ხერო და მხატვარიც. ამიტომაც, რომ რუკაზე დატანილია არა მარტო სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობათა გეგმები და სურათები, არამედ ნახატები (ხშირად საკმაოდ დეტალურად დამუშავებული) ისეთი შენობებისა, რომელთაც სამხედრო რუკისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ“.¹

¹ Перепишка на иностранных языках грузинских царей с российскими государями. СПб. 1861. გვ. LXXX—LXXXI.

² ამ რუკას გაცვრით შეეხნენ პროფ. ილ. ცაგარელი და პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

¹ ტიპოთე გაბაშვილი — მიმოხლვა, თბ., 1956, გვ. 89.

ტ. გაბაშვილი გველინება როგორც ერთერთი საუკეთესო კარტოგრაფი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტიმოთე ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, ადგენდა რუკებს. როგორც ცნობილია, ვახუშტი თავისი რუკები შეადგინა მოსკოვში (I ატლასი—1735 წ., II ატლასი—1744 წ.), ტიმოთემ კი თავისი რუკა შეადგინა იმერეთში 1737 წ. მასხალაზე ისინი ერთსა და იმავე პერიოდში ეწეოდნენ თავიანთ კარტოგრაფიულ მოღვაწეობას და ერთი და იგივე წყაროებით სარგებლობდნენ.

რა წყაროებით სარგებლობდა ტიმოთე გაბაშვილი დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის რუკის შედგენისას? ვახუშტის შინაშენით საქართველოში მანამდე წარმოებდა „ადგილთა აღწერანი“, მაგრამ მხოლოდ „მცირედი, არა ყურადღებით“.

ქართული გეოგრაფიისა და განსაკუთრებით კარტოგრაფიის განვითარების მოსაზრუნ პერიოდად უნდა ჩაითვალოს ქართული კვლევების დიდი მოამავის ვახტანგ VI თაოსნობით შექმნილი „სწავლელ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. ამ კომისიამ შეკრება XIV—XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული, გენეალოგიური და გეოგრაფიული ბასიათის საბუთები და ძეგლები, ჩაატარა ისტორიული კრებულის „ქართლის ცხოვრების“ ჩედაქცია და შეადგინა მისი გავრცელება XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. „სწავლელ კაცთა“ მასალებმა გზა გაუკაფეს სულხან-საბა ორბელიანს, ვახუშტის, ტიმოთე გაბაშვილსა და მეცნიერებს ქართული კარტოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის.

ცხადია, ტიმოთეს მიერ შედგენილი რუკა კარტოგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანდ ჩამორჩება ვახუშტი ბატონიშვილის რუკებს, მაგრამ მან გარკვეული როლი შეასრულა იმდროინდელი რუკების მმართველობისათვის დასავლეთ საქართველოს გაცნობის საქმეში. ტიმოთეს რუკის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მივიითობეს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსათვის იგი საფრანგეთში გატანათ და საზღვაო დეპარტამენტისათვის გადაეცათ. სწორედ ამ ნახა ეს რუკა მოგზაურმა (ერთ ბანს საფრანგეთის კონსულმა თბილისში) გაგმა, რომელმაც რუკის სქემა და მთავარი დასახლებული პუნქტები თავისი მოგზაურობის აღწერაში მოათავსა.

აღნიშნულ რუკას შეეხო მარი ბოსაუც, ხოლო ალ. ცვაჩავაძეს ეს რუკა („ლიხთ-იმერეთის რუკა“) უნახავს რუსეთის მთავარი შტაბის სამხედრო არქივში. აკად. ევ. ჯავახიშვილმა ეს რუკა გამოიყენა თავის ნაშრომში „ქალაქები და საქალაქო წყობილება 17-18 სს. საქართველოში“. ლიხთ-იმერეთის რუკას—როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველ-

წყაროს — სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შ. ბურჯანაძემ (საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 177-198).

რუკის ავტორის შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეცნიერ მუშაყმა ირ. მათურელმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ რუკას, მაგრამ ავტორის დადგენა ვერ მოხერხდა. აკად. ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის ელ. მებრველის აზრით, რუკის შესწავლა არცევეს, რომ მისი ავტორია ცნობილი ქართველი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი. ე. მებრველის გამოკვლევით, რუკის წარწერები შესრულებულია ტიმოთე გაბაშვილის ხელით. რუკის ავტორისათვის დამახასიათებელია ხატვის მანერა, რომელიც პარალელს პოულობს ტიმოთე გაბაშვილის ხელით შესრულებულ ივერიის მონასტრის ნახატთან. დასასრულ, ტიმოთე გაბაშვილის ავტორობას მოწმობს მისი ინტერესი ქართული ხუროთმოძღვრული და ფერწერის ნიმუშებისადმი, მის „მიმოსლვაში“ დამოწმებული.

ტიმოთე მოსკოვიდან იმერეთს 1740 წელს გამოემგზავრა, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებს („ურჯლოებს“) ჩაუვარდა ხელი და ექვსი თვე დაჰყო ტყვეობაში. შემდეგში მან ტყვეობის გაქცევით დააღწია თავი. 1742 წელს რუსეთიდან დაბრუნებული ტიმოთე კვლავ განაგებს თავის ეპარქიას 1747 წლამდე. აღექანანდრე V დიპლომატსა და ელსა რუსეთში, რომელმაც უოველი ძალღონე იხმარა, რათა თურქეთის ძალადობისაგან საქართველო დაეხსნა, ცხადია, არ დაეცდომებოდა იმერეთში და ქართლში გადაეიდა, მაგრამ დიდხანს უუპარქოდ იყო. შემდეგში ის განაგებდა ქართლის მთავარეპარქიისის ეპარქიას შემაველ სამთავროს მონასტრის საქმეს, მაგრამ 1755 წელს ტოვებს ქართლს და მიემგზავრება ახლო აღმოსავლეთში — მთაწმიდისა და იერუსალიმის მოსახილველად.

ელ. მებრველის გამოკვლევით, ტიმოთეს მოგზაურობაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ვრეკელ II და თეიმურაზ I (ამრავად, დღემდე ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, რომ ტიმოთე საქართველოდან წაიდა კათალიკოს ანტონ I ვანდენის გამო, არ დასტურდება), მისთვის, მიტყათ „სამოძვარი კმა-

¹ К истории грузинской картографии. Карта имеретинского царя Александра V. «Вопросы географии», сб. 22, М. 1950.

² იხ. ამავე მუზეუმის III სემინარიო სესიის (1955 წ., 20, 21, 23 მაისი) თეზისები, თბ., 1955, გვ. 9.

³ „მიმოსლვა“, გვ. 110.

საყოფელი" და „ქართა“¹ სამგზავრო, ცხადია, ორი მეფის ზრუნვა ტიმოთეს მგზავრობისადმი უბრალო უპრადღებით არ იყო გამოწვეული. მაშინდისავე ქვეყნებთან მედმეივ ბრძოლის პირობებში ერეკლე II მოკავშირეებს ეძებდა არა მარტო ამიერკავკასიასა და რუსეთში, არამედ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთშიც.

დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ თემურჩანში და მეფე ერეკლემ ტიმოთე გაბაშვილი სპეციალური დიპლომატიური მისიით გაგზავნეს. ამ მხრივ ტიმოთეს მოგზაურობა იგივე დანიშნულებისაა, როგორც სულხან საბასი ევროპაში და რაფიელ დანიებგაშვილისა აზიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც სპარსეთისა და ოსმალეთის შედეგი თვალსაჩინოა-აწიოკების გამო გატანული საქართველო ეძებს მოკავშირეებს, და ქართველ მეფეთა სავარყო პოლიტიკის კერძში გარკვეული ადგილი ხედავთ ტიმოთესაც.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ ერეკლე მეფე საგანგებო ელჩებს გარდა კათოლიკე მისიონერებსა საშუალებით ცდლობდა ურთიერთობა დაემყარებინა ევროპის ქვეყნებთან, რაც ინიღბებოდა „წმიდა ადგილების“ მოხილვითა და ქრისტეს საფლავის ძეგლით“. მეფე ერეკლე ცდილობდა არა მარტო თურქთა და სპარსელთა განდევნას საქართველოდან, არამედ მისი ერთობი მთავარი ამოცანა იყო თურქთა შინა შიტაებელი მესხეთის შემოერთება და ამიერკავკასიაში სრული გაბატონება. ამიტომ ეძებდნენ ქართველი მეფეები მოკავშირეებს. ცნობილი ისტორიკოსი შ. პოლიევტოვი სავსებით სამართლიანად წერს, რომ «всякое путешествие в чужие страны и сообщения о таком путешествии почти всегда прямо или косвенно, есть определенный социально-политический заказ в особенности той эпохи, когда всякое такое путешествие превращалось в трудную и рискованную экспедицию»².

უკვე გამოცდილი დიპლომატი, დახელოვნებული კარტიგრაფი, განსწავლული და პოლიტიკაში ღრმად ჩახედული ტიმოთე გაბაშვილი საუკეთესო კანდიდატი იყო ერეკლე II ფართული სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. ტიმოთეს არგად სცოდნია თურქული ენა და ამ ენაზე ესაუბრებოდა განსწავლულ კაცებს ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიურ საკითხებზე. მეტნაკლებად ფლობდა ტიმოთე ბერძნულ, სომხურ და რუსულ ენებსაც: ამიტომ ერეკლესა და თემურჩანის შიერ სანქციონებული მოგზაურობა თურ-

ქეთსა და ახლო აღმოსავლეთის წმიდა ადგილებში ტიმოთეს უბრალო ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით არ იყო გამოწვეული. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ტიმოთე დიდი ინტერესით ათვალერებს და აღწერს არა მარტო ისტორიულ და საკულტო ძეგლებს, არამედ სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის ობიექტებსაც, აგრეთვე ქალაქებს, ნავსადგურებს, გზებს, ციხეებს, ხაზს უსვამს საქართველოს ძველ საზღვრებს, ბუნებრივ სიძლიერებსა და სხვ. ამ ფაქტის სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს წერილობითი ანგარიში, რომელიც ტიმოთემ ერეკლესა და თემურჩანს კონსტანტინეპოლიდან გამოუგზავნა.

ტიმოთემ მოგზაურობაში დაჟყო ოთხი წელიწადი (1755—1759). ქართლში დაბრუნებულს მეტად დამაბული მდგომარეობა დასვდა, ამიტომ ჯერ დაეთ-გარეკის მონასტერს შეაფარა თავი, ხოლო 1761 წლის ბოლოს გაემგზავრა რუსეთს. ღრმად მოხუცებულ ტიმოთესათვის მძიმე გამოდგა ჯერ ყრზღარამდე, ხოლო შემდეგ აბრახანამდე მსვლა. ის დასნეულდა, მოტყუდა და გარდაიცვალა. 1764 წლის ივლისში სინოღში გაგზავნილი ცნობა აღატრებებს ტიმოთეს გარდაცვალების ფაქტს: «Повеже минувшего июля, против двадцать осмого числа, приехавши из Грузии грузинской митрополит Тимофей Кутаинский, будучи здесь в Спасопреображенском монастыре, от приключившие ему по воле божией различной болезни умре, которой много богомольцем со всем осященным собором тогож июля 29 числа в астраханском Успенском соборе и погребен»¹. ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილი გარდაიცვალა ქ. ასტრახანს 1764 წლის 28 ივლისს.

როგორც „მომოსლვის“ ტექსტიდან ჩანს, ტიმოთეს მოგზაურობას ორი მიზანი ჰქონდა: პირველი — საქართველოს მეფეებს დაეაღუბით სამხედრო-პოლიტიკური დახვეწა თურქეთისა, მეორე — ახლო აღმოსავლეთში (ათონისა და იერუსალიმში) ძველი ქართული კულტურის კერების ნახვა.

ტიმოთეს მოგზაურობის მარშრუტი იყო: თბილისი-ახალციხე-მათეში - უნია-იკონია-იზმირი-ევგლისი ზღვაზე მდებარე მცირე აზიის კუნძულები — იერუსალიმ-ტეირისი-სიდონი-ბეირუთი-ტირიპოლი-იოთე ლაზ-კ. კაბრთსი-კ. როდოსი-კორინთი-ათენა-ქალკიდის ნახევარკუნძული ქალიპოლი — კონსტანტინეპოლი-ბოსფორი-სინოპი-კოზანა-მელიტენე-ქალდეა (გუმშიზინა) — არზრუმი-ახალციხე-სურამი.

თვის „მომოსლვის“ შესავალში ტიმოთე წერს: „ამა წიგნაკისა აღმოშობიხველოა გვედ-

¹ ვ. ი. წერეთელი, წიგნი.

² Поливектов, М. Европейские путешествия XIII — XVIII в.в. по Кавказу. Тиф. 1935, стр. 2.

¹ ЦИГАЛ, ფონდი 50.

რებით, რათა მოპყთ ყური სიტყვათა ჩემთა, რამეთუ წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად, სამღვდელოთა მთ წმიდათა ადგილთა, და ეხილუნით და აღმოვიკითხებით ქირშაველობით ნაღოუნი მამათა ჩვენთა ქართველთანი, და ფრად განკვირებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღსწერენ. და აქ მოსრულნი ქართველი ვინმე რასათვის ამათთვის არა გამოეკებდა. და აღსწერებით, რაოდენნი შეეცყენით იერუსალიმისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის და ადგილთათვის საწამებლსა წმიდათა მოწამეთასა და საღვურთათვის ღირთასა და სხვათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი და ანუ სარწმუნოლნი სწენილი აღსწერეთი.¹

მამასადაც, ტიმოთეს თავისი მოგზაურობის აღსანიშნავად გამოუყენებია არა მარტო „ამბავი ხილულნი“ და „სარწმუნოდ სწენილინი“, არამედ ძველი ქართული წყაროებიც, რომელნიც (აღბოთ) მას მოუძებნია. ტიმოთე თანონივე აღნიშნავს, რომ „სხენი მამთა მგერნი სწავლანი, დავარგულნი საქართველოთა შინა, მოვიძიებთ და აღსწერებთ, და ზოგნი რაიმე მე ეოვებლმეტყველენ სწავლანი“.

ტიმოთე ზშირად შედარებას მიჰართავს. მავალითად, ის ათონის მთას ეკავასიას ადარებს. „აქ ვიტყოდეთ მთაწმიდისათვის. ვერკობის, ადგილსა რასმე, ზღვათა შინა, მსგავსად ენბრელისა არს მთაწმიდა, არამედ ზმელითაცა აქეს სავალი. ახლოს არს მკედონია ქალაქი დიღისა აღექსანდრესი და ზედ მთაბია, სტიითა, ადგილი არისტოტელისა... მთაწმიდა არს იმგვარგვლვ ოცდაათობსა ეამისა სავალი მთა და ტყიანი ნივზითა, წმადითა და ხალთა და ვენახთაგან აღესილი; კაცნი ვითა ირემნი ბუდობენ და შუასა ზედა ათონი — მთა მალაღი. მსგავსი ეკავასიასა, ყინვითა აღსავსე, მადინებელი მდინარეთა...“ (გვ. 27), ან კიდევ: „და მთაწმიეთ რა ახლოდ იაფას, ნაბარსა იერუსალიმისასა, ადვიდა წინააღმდეგომი ქარი ესეოდენ ძლიერი, კნინდა დაეინთქვენით, სამ დღე, ვითარცა რა, მთანი იაღბუზისანი, ეგრეთ იხილვებოდა.“ (გვ. 64—65).

ტიმოთეს აინტერესებს რაღი გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობის ისტორიაც. მავალითად, თუ „ვითარ და რისათვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანელთა ქართველი“, ან თუ „რისთვის ფრანგი და მრავალნი ქართლს გიორგინად ეწოდებენ და თურქინიცა, ვითარმედ გურჯი“ და ა. შ.

უკან დაბრუნებისას ტიმოთეს მარშრუტი ჯერ ზღვით ქ. სამსუნამდე აღწევს, შემდეგ კი ზმე-

ლეთით მოგზაურობს, ამასთან ის ღრმად იკრება თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართველოს ძველ საზღვარს, აღწერს ქართველებს, სადაც უწინ ქართველები თურმე სპილენძისა და ვერცხლის დამუშავებას აწარმოებდნენ... „...მივიწიებთ ქალღესასწაულს გუმბინასს... და ვიკითხებთ რა, ივინი მეტყოდენ, ვითარმედ გუმბინასა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლი გამოსავალი აქური საქართველოსა ყოფილაო. ქორახის წყლის სათავე—ეს არისო სამძღვარი საქართველო“ (გვ. 98)..

ტიმოთე გაბაშვილის დამახებრება მდგომარეობს შემდეგეში:

ა) ტიმოთემ ქართველი მეფეების დავალებით მოაზრა ახლო აღმოსავლეთი, აღწერა მრავალი ძველი საერო და ისტორიული ძეგლი, ქალაქი და ამათ საქართველოს მშობრულ წრეებს გააცნო იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის კულტურის კერები, ცალკე შრომის სახით მოგვცა თურქეთის ტერიტორიის შედარებით სრული აღწერა (მარშრუტული); მისი შრომა „მიმოსლვა“ შეიცავს საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის მდიდარ და სანდო მასალებს;

ბ) ტიმოთე არის ავტორი (შესაძლებელია, თანაავტორი) დასავლეთ საქართველოს რუკისა (1737 წ.), რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთი მნიშვნელობა ჰქონდა და რუსეთის მშობრულ წრეებს ერთგვარი წარმოდგენა მისცა იმდროინდელი საქართველოს შესახებ;

გ) ტიმოთე იყო დახელოვებული კარტოგრაფი და მხატვარი, გამოცდილი დიპლომატი, საერო და საეკლესიო საქმეებში ღრმად ჩახედული ადამიანი, მოგზაური და თავისი ერის მხრეველ პატრიოტი, საუკეთესო კალმოსანი და თავისი საქმისადმი ეთილზინდისიერი და ერთგული ადამიანი, ამიტომ საესებოთ სამართლიანი იქნება, თუ ტიმოთე გაბაშვილს, როგორც კარტოგრაფსა და მოგზაურს, XVIII საუკუნის ცნობილ ქართველ გეოგრაფ-მოგზაურთა გვერდში დავაყენებთ.

ტიმოთეს დამახებრება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის თავის „მიმოსლვაში“ ორჯერ იხსენიებს სახელოვან მოღაფუნთა შორის ჯერის მონასტრის კედელზე გამოსახულ შოთა რუსთაველის პორტრეტს. სწორედ ეს პორტრეტი იხილეს და საქართველოში ჩამოიტანეს 1960 წლის ზაფხულში ქართველმა აკადემიკოსებმა: ირ. აბაშიძემ, ვ. წერეთელმა და ა. შანიძემ.

1. „მიმოსლვა“, გვ. 4.
2. ე. უმეცრად ვიმეტყველე.

1. თურქ. ვერცხლის ადგილი (იგულისხმება მისი მოპოვების ადგილი).

მურმან ლებანიძის ლექსები

მურმან ლებანიძე საინტერესო და თავისებური პოეტია. მისი ლექსების თავისებური მიზნულელობის მიზეზი უფრო ზვენი პოეზიისათვის რამდენადმე უჩვეულო საგნებისა და მოვლენებისადმი მიმართებაში გამოიხატა. მ. ლებანიძის პოეზიის ეს თვისება უველაზე მევეთრად გამოვლინდა ლექსების ციკლში „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქეჩი“. ახალი, როგორც ამ, ისე ამ ტიპის სხვა საუვეეთესო ლექსებში არის არა მარტო ყოფითი მოვლენების დრამატიზმი, არამედ ზვენი პოეზიის ჩვეულებრივი ფონიდან სრულიად განსხვავებული კეთხიბი დანახულ: ცხოვერების სურათები და მათდაში მიმართების თავისებურება. ამ ლექსებში ქვერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის ლირიკული გვირის სულოერი საწყარო იყო მარტივი, მაგრამ მყარი; თვალახებედა არ იყო ფართო, მაგრამ ეფექტუნებოდა ადამიანური საწყისის ნათლად ზედვის უნარს. რამდენადმე განსხვავებული სურათთა მ. ლებანიძის ლექსების ორ უკანასკნელ კრებულში. ეს გარემოება აიხსნება არა პოეტური სტილის ახალი თავისებურებით ან შემოქმედებითი საფეხურის გავლით, არამედ კრებულების ლექსთა თვეების ხასიათით, რომლებშიც დიდი ადგალი უპირავს ციკლს სვანეთის შესახებ. პოეტის ტრადიციული სულისკვეთების ლექსებში კი ცვლავ ჩანს მ. ლებანიძის პოეტური სტილის თვისება, როგორც ლტოლვა საგნის თუ მოვლენის შინაგანი არსის წვდომისაკენ, მისი ფარული, ინტიმური აზრის გამოტანა და იმ დრამატიზმის გაცნობიერება, რაც გარეგნულად მშვიდად და მარტივ ყოფით მოვლენებს ახასიათებს.

მ. ლებანიძის ლექსთა პოეტური საწყისი ეპოეირ სტიქიაზება დაფუძუნებულია. ამ სულისკვეთებით იქცევის ურადლებას მ. ლებანიძის ლექსების კრებული (1963). პოეტის

ტრადიციული შემოქმედებითი ინტერესების ცხოველყოფელობა აქ ფგრძნობა არა მარტო ნაცნობ ინტონაციებსა და რიტმში, არამედ ქველ ლექსებთან თვეატურ საახლოვესა და ზოგირთი დეტალის დახვეწაში.

რიტმი და ინტონაცია ადრეც ახსოვს მეთხველს მ. ლებანიძის ლექსებში. აქ იგი თითქოს ახალი ლაიტმოტივის ძალას იქენს და გარეგნული ეგზოტიკის სურათში ცვლავ ცოცხლებედა ერთი შეხებდით უბრალო ყოფაში დამალული სართულე და დრამატიზმი, დღვისათვის უვერ დაფერფლილი ენებები და სულოერი ტკივილები.

ზევერ ლექსში მურმან ლებანიძე ტრადიციონისტია, მავალითად, მის ლექსებში ვხვდებით ასეთ სტრიქონებსაც:

გავმარქოს მწვანე მიწას,
საქართველოს მარადმწვანეს,
იმის წინსვლას, იმის მიზანს,
იმის დღეს და
იმის ზეალეს!

ასეთი სტრიქონები არ ამდიდრებს მეთხველის ეპოეიებს და არც აფაქიზებს მის მხატვრულ გემოვნებას.

პოეზიაში მომხდარ სიახლეთა მიმართ ერთგვარი სექტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მ. ლებანიძე არ აღმოჩნდა მთლად კონსერვატორი და შეეცადა აეთვისებია მხოლოდ ის, რაც უფრო შეესატყვისებოდა მის პოეტურ ბუნებას და შესაბამისად დაეძლია მისთვის არაორგანული და ხელოვნური ფორმები. იგი უფრო მეტ შემოქმედებით თავისუფლებას პოულობს ტრადიციულ განწყობილებებსა და მისი გამოხატვის ქველ ფორმებში. თავის დამოკიდებულებას „სიახლის“ მიმართ მ. ლებანიძე გამოხატავს ლექსში „როცა ახალი დღეები დაგდლის“.

როცა ახალი დღეები დაგდლის
(და დაგდლის, დიდი გულიც რომ გქონდეს),
რადგან არა გაქვს შენ ყბები ძაღლის,

მ. ლებანიძე, „ლექსები“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963.
მ. ლებანიძე, „სვანური რვეული“, „სახპოთა საქართველო“, 1964.



წვევები ძველი მკვანძების ორდენს; ო, განახლების შენ თვით ხარ გაგი; ინაბრი დიდი სიამაღე ჰქარადეს; მაგრამ დასტოვებ ახლებს უყენს, ლიტერატურულ ბლუფსა და მოდერმს.

მ. ლუბანიძეს ვერაიენ უსაყვედურებს ჩვენი სინამდვილისადმი გულგრილობას, პირობით, იგი მისი წინსვლისა და ტყვიანობის სათუთად მგრაპობელია და გამოხატაველი. აქ, იგი უფრო პროფესიონალური ინტერესებითაა შემოფარგლული და მხატვრული ინტერესების სხვადასხვა გზების ძიებით გამძაფრებული, ცდილობს მიაგნოს საკუთარი პოეტური მეს შესასრულებს ფორმებს.

მ. ლუბანიძის ლექსებიდან ყურადღებას იქცევს მისი „ეთამაშობ ნადირობასა“, „ეთამაშობ ნადირობას“ ორბანიანი ლექსია, რომელშიც თეშური წყობილებს დროინდელი ნადირობის ილუზიას უპირისპირდება თანამედროვე ცივილიზაციის ატომფერო. ამ ორი პლანს მონაცვლეობა განაპირობებს აზრს, შეტყვევებისა და ინტონაციის თავისებურებას. ნადირობის თამაშის მსუბუქ ირონიულ ინტონაციას და ილუზიის საბურველი გადაეცლება და ფანტაზიით წარმოდგენილი გარემო შეივსება თანამედროვეობის სულისკეთებითა და სპეციფიკურობით:

მაგრამ ზემოაში
სხვა ათასწლეული
და არა ქვისა და
ბრინჯაოს ცულებით,
ტყვიან გამოდიან
უცებ ტურისტები
სილონის შარვლებით და
პლასტმასის წნულებით.
ზაზრიდან ამ წნულებს
რამე გამოპყვება
და ფრთხილად გარეცხავს
მას თეთრი თითები—
უპირს დედამიწას
ჩვენი გამოყვება,
ამ ათასწლეულში
ფლორით და ფუნით
ვერ ვართ მდიდრები...

ეს ლექსი ახლებურია თავისი სულისკეთებით და რაც მოეპირა, პოეტურობით. ახალი აქ, უპირველეს ყოვლისა, არის თვით პოეტურის თავისებური გაეება, რომელიც გარკვეულ მხატვრულ პირობითობაზეა აყვებული. პოეტურ საგანთან შიშობება ამ ლექსში არაა სწორია. ზოგანი, და ერთიანი პოეტური თვალსაზრისი ვაპრებელია სხვადასხვა ეტობიდან. ნაწარმოებში ამ მომენტზე განაპირობა სხვადასხვა პლანის მონაცვლეობა და შესაბამისად მსუბუქი ქუმორისა და ლირიკულ-ეპიკური ინტონაციების არსებობა. ლექსში წარმოდგენილი ილუზიური სურათებისა და ქუმორის მოდულაციას

ახდენს მასთან დაპირისპირებული ჩვენი სინამდვილე და ყოველგვარი ქუმორის გარეშე გამოთქმული აზრი, რომ

უპირს დედამიწას
ჩვენი გამოყვება,
ამ ათასწლეულში
ფლორით და ფუნით
ვერ ვართ მდიდრები...

ეს ფრაზა მხოლოდ მსუბუქ აზრობრივ დავითვას ანიჭებს ლექსს, და მ. ლუბანიძე სწორად მოიქცა, რომ ნაწარმოების მთლიანი ჭოვილი არ გადატვირთა განყენებული მსჯელობით.

მ. ლუბანიძის ლექსების ახალი კრებელი „სვანური რვეული“ უფრო მსუბუქ პოეტურ განწყობილებებს გამოხატავს. აქ არაა, იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, მ. ლუბანიძის სხვა ლექსებისათვის დამახასიათებელი დრამატუზმი; აქ უფრო მეტია პასტორალური სიმშვიდე, ის ურთიერთობანი და საგნები, რაც ჩანს ზედაპირზე. „სვანურ რვეულში“ პეიზაჟები მონაიყვრია და სტატიკურობით ხასიათდება. ასეთია ლექსი „სვანეთი“ და სხვ.

კრებულში მეთხველის ყურადღებას იქცევს შესანიშნავი ლექსი „კვიცი“. ამ ლექსში აღწერილია ვარგუნულად მარტვი ამბავი, თუ დიდი ზევის დროს როგორ იხსნა დალუვისაგან პატარა კვიცი სვანმა ბიჭუნამ, თუ როგორ გაზარდა იგი, დაუშვებობდა და ბოლოს მოულოდნელად აღმოუჩნდა პატარონი, რომელიც დაესაყურა „ბეშვიანის ბიჭის“ მიერ ვაზარდი ცემს. მაგრამ ყველაფერი მოვარდება იმით, რომ კვიცი არ მიატოვებს თავის მსხნელ მეგობარს და მასვე უბრუნდება. ამ ამბის საცუტესო პოეტუზაციით მ. ლუბანიძის ლექსი იწვევს ცნობილი ფილმების „თეთრი ფაფარის“ და „ქუნულ გლამადორის“ შორეულ ასოციაციას. იქაც ბავშვისა და ცხენის მეგობრობის ამბავია მოთხრობილი. ამ ფილმების ზნეობრივი კონფლიქტი უფრო ღრმად და სხვა პლანში ვითარდება... მ. ლუბანიძის ლექსს მხოლოდ ვარგუნული შეხებას მოიხერხებოდა მათთან.

„სვანურ რვეულში“ სუსტად გამოიყურება „მოთხრობა გერამ ჩეკიანზე“. მისი უპირველესი ნაკლია სათქმელის ელემენტარულობა. ზელმოცარული ნადირობის თავისთავად საინტერესო ამბავი ამ ნაწარმოებში არ შორდება თვით ფაქტის მნიშვნელობის საზღვრებს, და ამდენად, საეჭვო ზეება მისი ემოციური ათვისების გამოსახატავად მაინცდამაინც სალექსო ფორმის იუცილებლობა: უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტმა თვითონაც იგრძნო სათქმელის ელემენტარულობა და მის ვალრამეებას შეეცადა რამდენადმე განზოგადებული ფინლის შექმნით, რომელიც თავისთავად ტოვებს ლიტერატურული ასოციაციების შთაბეჭდილებას.

ჩვენი სინამდვილის მტკიცეველ საკითხებთან უშუალო შეხების სიმკვეთრე მ. ლუბანძის ესმის, როგორც თანამედროვე ადამიანის, ევროპელ, ჭარბადი კაცის იმ ტკივილების გაზიარებათა და მხარში ამოღამის სულისკვეთება, რაც მას ბუნებრივად აყენებს ზოგადად-მიანურ სიმაღლეზე. მ. ლუბანძის მრავალ ლექსს ჰყავს კონკრეტული ადრესატები. ისინი მიმღვნილია პოეტის ახლობელი ადამიანებისადმი. თუ ასეთი ტიპის ლექსებს ჩვეულებრივ პორტრეტულა და მოკარბებული სუბიექტური მიმართება უდევს საფუძვლად, მ. ლუბანძის ლირიკაში ემოციის ძირითად ტონს ქმნის ჩვენი თანამედროვისა და მოქალაქის ობიექტურად ამაღლებული თვისება და დადებითი ადამიანური პოზიცია. ესენია მამულიშვილური სულისკვეთებით ანთებული უბრალო და ცნობილი ადამიანები. მათდამი პოეტის უფრადღების მიზნია მათი ნიჭი და მოქალაქობრივი საქმიანობა, კაცური ღირსება, უბრალოება და სულიერი სიმაღლე. ამიტომაც, რომ ამ ციკლის ლექსების თემა უპირატესად გახსნილია არა თემა ანა თუ იმ ადამიანის ინტეგრირ მდგომარეობის მიხედვით, არამედ მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებით. მ. ლუბანძე იმეტი ლირიკოსთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა სულიერი ტკივილების ობიექტი არაა მერყევი და ცვალებადი. გარე სინამდვილის მოვლენებზე ფაქიზი პოეტური ბუნების რეფლექსიებში, რომლებიც გარკვეული თემებისა და მოტივების სახით სხვადასხვა შრეებად განლაგდება, თანდათან გამოიკვეთება საგნებისა და მოვლენების განსაზღვრული წრე, რომლებთან შეხებაშიც ყველაზე უფრო მძაფრად მოისმის შემოქმედებითი მაგისკემა.

მ. ლუბანძის საუკეთესო ლექსებში ასეთ განწყობას ქმნის სწორედ, ერთი შეხედვით, გარკვეულ ეფექტებსა და რომანტიკას მოკლებული ცხოვრების ყოფითი მხარეების სიმძაფრე. ეს არაა დიდ ისტორიულ კატაკლიზმებთან დაკავშირებული დრამატიზმი. ესაა ყოველდღი-

ურობაში გამოვლენილი ტკივილები. ისინი სინამდვილესთან და ადამიანებთან შეხვედრის პირველად შეგრძნებებს უკავშირდებიან. მ. ლუბანძის პოეტის მეტყველების სტილი, ძირითადად, შორსაა ელასტიკური ამაღლებულობისაგან და პათეტისაგან. მისი მეტყველების უმთავრეს ნაკადს ქმნის უშუალო შთაბეჭდილებების გადმოცემა ლექსითა და უბრალოება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ზუსტი პროპორცებია დაკული შემოქმედებით მარცხსა და შინაგანი პოეტური პრინციპიდან გადახვევებს შორის, რაც უფრო მეტია გადახვევა, იმდენად სუსტდება ლექსის სიცოცხლისუნარიანობა, და პირიქით, რაც უფრო ღრმად იჭრება პოეტი მის მხატვრულ მსაოჯვის ბუნებრივ და ახლობელ თემებსა და მოტივებში, უფრო სისწლასე, დამყარებელი და მართალ ხდება მისი სტრუქტურები. ამ თვისებით მიიჭევა უფრადღება მ. ლუბანძის ლექსების ციკლში „მამა, ბავშვობა, გოგონის ქუჩა“ და სხვ. იმავე თემატურ რეალთან შინაგანი ნათესაობით აღიბეჭდა მისი ბოლოდროინდელი კარგი ლექსებიც, მავალითად, ციკლიდან „ფაქტები“.

ამ კრებულებში იგი კიდევ უფრო კლორიტილია პოეტია. ამავე დროს მისი პოეზია უბრეტელია, როგორც საგნებისა და მოვლენების წედომით, ისე თემატურად. მისი ლექსები სადაა და მისაწვდომი, მისი ტკივილები და ინტერესები ბევრისათვის—საერთო და ვასაგები. ამ ლექსების ღირსებას ზრდის ის გარემოება, რომ პოეტი არასოდეს არ ეჭიდება ისეთ საკითხს ან თემას, რომლის შინაგანი მხატვრული სიმართლის დაკვაც მისი პირადი, თითქმის ბიოგრაფიული გამოცდილებით არ შეიძლებარდეს. ამ მხრივ, იგი უშუალოდ მია ინტერესებსა და შესაძლებლებში რეალიზებული სინამდვილითაა დაინტერესებული და აღწევს უშუალობის, ბუნებრიობისა და გულწრფელობის ეფექტს.

ვიორჯი განაჩილაძე

ჩუვახეთის სახალხო პოეტიის ლექსები ქართულად

ამ ციკლს ხნის წინ გამოცემლობა „ნაკადული“ ქართულ მკითხველს მიჰყოდა ჩუვახეთის სახალხო პოეტის პეტრე ზუნანგის ლექსების კრებული — „გზა მშვიდობისა“. წიგნი 31 ლექსია მოთავსებული და ქართულად ოთარ შალამბერიძის მიერ არის თარგმნილი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩუვახი პოეტებისა და ლტერატურული მოღვაწეების ცალკეული ნაწარმოებების ნიმუშებსა და ასევე სასწავლო-საგანმანათლებლო ცნობებს ჩუვახი ხალხის ისტორიიდან, რომელთა ბეჭედა ქართულ პერიოდულ პრესაში ვერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, პეტრე ზუნანგის ლექსების კრებულის ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემა პირველ შემთხვევად უნდა ჩითვალის.

პეტრე ზუნანგი, „გზა მშვიდობისა“, თარგმნა ოთარ შალამბერიძემ, ნაკადული, 1964.



საქიროა ვიციოდეთ, რომ ცნობა ჩუენებზე იყო გიორგი წერეთლის ხელმოწერულ სარედაქციო სტატიაში— „ერთი ჩუენგული ახალგაზრდა“ („სასოფლო ვახუთი“, 1871 წ. 30 მარტის №6). სტატი-
აში ლაპარაკი იყო ერთ ახალგაზრდა ჩუენზე, რომელმაც თავის პატარა ერის სწავლა-განათ-
ლების წამოწყებაში მისაბამ საქმეს მოჰქიდა ხელი, და მის კეთილმოწყველუ „სიმშობისკის გემ-
ნაზიის დირექტორზე“. ჩუენი აზრით, ეს ანონი-
მური პირები, რომელთა კეთილ საქმიანობას გ. წერეთელი ფრიალ მნიშვნელოვნად და სა-
შაგალითოდ ხდიდა ქართველი საზოგადოებისა-
თვის, იყვნენ ვ. ი. ლენინის მამა — ილია ნიკო-
ლოზის ძე ულიანოვი და ჩუენში ახალგაზრდა ივანე იაკობის ძე იაკოვლევი (1848 — 1930), მოშავალში კარგად ცნობილი მეცნიერი და ჩუ-
ენში ხალხის დიდი განმანათლებელი.

შთარგმნელმა ოთარ შალამბერიძემ და გამო-
მცემლობა „ნაიადელმა“ საბჭოთა კავშირში კარ-
გად ცნობილი, თანამედროვე ჩუენური ლიტე-
რატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგე-
ნლის პეტრე ხუზანგაის მდიდარი პოეტური შე-
მოქმედებიდან ზოგიერთი ლექსების ნიმუშები
ქართველ მკითხველებს გააცნეს.

სარეცენზიო წიგნი — „გზა მშვიდობისა“-
იწყება პოეზიის თემაზე დაწერილი ლექსით.

პოეზიაა საწუაულო აღუცხებელი,
შრომის გენია და უმანკო ღიმილი ჩვილის,
პოეზიაა სიყვარულის დამფუძნებელი
და ვერ აიტანს ვერაერთარ წუწუნს და
ჩივალს.
პოეზიაა განთიადის ნელი-ნელ მოსვლა,
მზე და მუსიკა, მღელვარება, რომ არ აქვს
ზღვარი.
სულმოთქმულად ველოდები მე ასეთ
მგოსანს:
ვიცი: ჩემს ხალხში ამნაირი მგოსანი არის!

კომუნისმის ფუძემდებელ ვ. ი. ლენინზე
ფიქრში პოეტს ასეთი სიტყვები ათქმევინა
ლექსში „მავზოლეუმთან“:

ხუთი ასოა შავი, ვითლილ ქვებზე
გაუხუნარი თოვლში და ქარში...
მარადიული, ვით სილამაზე,
ყოველ ჩვენგანში და ყველა ხალხში
ეს ხუთი ასო იწვის და ფეთქავს,
ეს არის ჩუენი მომავლის არსი;
სიტყვანი: ლენინი! — შეერთდა ქვეყნად
სულყველაფერი წმინდა და ნახი.

ჩუენში მგოსნის პოეზიაში თვით ჩრდილოე-
თის სუსხიანი ზამთრის ყინვაყ კი თავისებურ
სილამაზეს პოულობს:

გაზაფხულდა ყინვის კალო
გაილწა, თოვლიც გალღა.

თბოშველების ყვირილს აწყეა
შშობლიური ვოლგის ტალღა!

პეტრე ხუზანგაის პოეზიაში „საშობლიულებსა“
პათოსით ფეთქავს და მრავალმხრივ ამ პოეტის
ძარღვინი ლექსების ძლიერ ქართველ პოეტების
საუბუეთსო ლექსებს ეხმარებდა:

დაიბერტყავს ფრთებს ბულერა,
ფანტლები ქვევით ცვივა.
მიწას ყინვის ქუდი მხურავს,
ქარი ქრის და ცვივა, ცვივა.
თავს ღრუბელი წამოგავადა —
ბანჯგვლიანი, თეთრი დათვი;
ამგვარ ბუქში ამოგანგვლის
გასართობად ვერვინ ჩათვლის..

ასევე მიმზიდველად და გემოვნებითაა დამე-
რილი ლექსი „შშობლიურ თათრეთს“, რომელ-
შიაც პოეტი მგრძნობიარედ, სიყვარულით უხ-
მობს თავის ყრმობის მეგობრებს და თან უმღე-
რის იმ მიწაწყალს, სადაც პირველად თვლი გა-
ახილა და ბავშვობა გაატარა:

მე, თათრეთში შობილ ჩუენაშს,
მუდამ მახსოვს ჩემი მხარე,
ვაკვირდები ყრმობის სურათს,
მოგონება გულს მიხარებს;
ოკროს ნათელს მინაწილებს
ჩემი ტკბილი სიყმაწვილე!

წიგნში საქართველოსადმი მიძღვნილი ლექ-
სებიც არის დაბეჭდილი: „სამხრეთული მატყეე-
ბი“, „თბილისი“, „საესე თასებში თრითღუნ-
ვარდები“, „სოხუმი“, „პური, ყველი და ლეი-
ნი“, „მტკვარზე“, „სამეგვრლოს გზებზე“ და
„სუფრაზე ყანწი ტრიალებს.“

1927 წ. მოყოლებული დღემდე პეტრე ხუ-
ზანგაი საქართველოს რამდენჯერმე იმოგზაუ-
რა. მას წრფელი გრძნობით უყვარს საქართვე-
ლო, მისი ბუნება, ქართველი ხალხი და ქართუ-
ლი პერ-მარტი. პოეტი საქართველოს თავის
მეორე სამშობლოს უწოდებს, სწავლობს ქარ-
თულ ენას, იცის ქართული წერა-კითხვა. იგი სა-
ქართველოს და მის ღირსეულ შვილებს, სამამუ-
ლო ომის ფრონტზე უცხო მხარეში გმირულად
დაღუბულ ქართველ გოგონას სელიკოს და
ბეერ სხეას მთელი შთაგონებით უმღერის. სა-
ქართველოზე პეტრე ხუზანგაის ლექსების მთე-
ლი ციცი აქვს დაწერილი; მისი ლირიკული
პოემა — „დათვის ბოკეერი ფასანურიდან“,
დასანანია, რომ არ შვეიდა სარეცენზიო
წიგნში.

ჩუენში პოეტი გერ კიდევ 1930 წ. საქართ-
ველოს დედამაღაქ თბილისს „ულღეებში დარწე-
ულ აკვანს“ აღარებდა:

აქ ჩრდილოეთის არ ქრიან ქარნი,
აქ არა სცნობენ სიივეს აშვარს;
თბილისი თბილი ქალაქი არის
და ჰავეს კლდეებში დარჩეულ აყვანს.

ხოლო სხვა ლექსში პეტრე ხუზანგის
თბილისი და მისი ღირსშესანიშნავე ადგილები
ასე აქვს გადმოცემული:

ო, ის საღამო დაუფიქვარი...
ვიღაც უკრავდა,
გზნებით მღეროდა,
და ყოველ ჩვენგანს, როგორც მიზანი,
დიდი ცხოვრების გზები გველოდა.
ქვედა მუსიკა... ხალისის ტაღას
არე-მიდამო სულმთლად აყვო;
თეთრი მთაწმინდა კი იდგა ლაღად,
ეს — პოეზიის წმინდა სამრეკლო!
ვიჭვრეთ გული ლექსით, ღვინის სმით,
ლურჯი სიმღლე, გვეპყრა მკლავებით.
ქვევით კი ზანდა შენი თბილისი
დაყირავებულ ცის ვარსკვლავებით.

ქართული ხალხის სტუმართმოყვარეობას
პოეტი ასეთ ხორბას ასხამს:

ერთი ზმა მახსოვს ქართული,
მუდამ მახსოვდას, — ვცდილობ,
სიმღერასავით განთქმული
„პური, ყველი და ღვინო“...
ეს სამი სიტყვა ფრთიანი
მიწიერ მაღლით სუნთქავს
და ვით მზის ჰიში დადი,
ახლავს თვითიველ სუფრას.
მათ შერჩათ მაღლი სამხრეთის,
ეშბი გავსილი თასის;
მწამს საქართველო და დღემდის
ვერ ვნახე მისა მსგავსი.

მეორე ანალოგიურ ლექსში პეტრე ხუზანგაი
კიდევ უფრო ამაღლებული პოეტური ხმით
და მგზნებარებით უმღერის საქართველოს, მის
ღირსეულ შეილებს და ამით ერთხელ კიდევ
ამუღვანებს თავის გულკეთილ დამოკიდებულე-
ბას. ქართველებისადმი:

მეგობართან ნადიმად
ვარ სტუმარი კაცი,
სუფრის ირგვლივ დაფრინავს
მოვერცხლილი ყანწი...

პეტრე ხუზანგაი თავის შემოქმედებაში

სიყვარულით უმღერის სამშობლოს, საბჭოთა
კავშირის ხალხთა მეგობრობას, ყველგანის
დიად მშენებლობას, ადამიანთა სულიერ სისუბ-
ტავეს, მშვიდობიან შრომას, მთელ მსოფლიოს
ხალხთა შორის მშვიდობიანობას, სილამაზეს,
სიყვარულს, ახალგაზრდობას, ერთ სიტყვით,
ყველაფერს, რასაც კი ადამიანის ბედნიერ ცხოვ-
რებისათვის მხოლოდ კარგის შოტანა შეუძლია.
სამამულო ომის ინვალიდმა პ. ხუზანგაიმ
კარგად იცის გამანადგურებელი ომის შედეგე-
ბი და ამიტომ იგი პოეტური ხმის მთელი სი-
მღაერით „ქვეყნის ოთხი მხარეს მშვიდობის
მზის“ მარადიულ ბრწყინვალეობას უმღერის
და ადამიანთა კეთილ შრომას აღიბებს.

ჩუვამთა სახალხო პოეტი პეტრე ხუზანგაი
ლექსში „მუხა ვოლავაზე“ შრომისმოყვარე,
მრავალ ქირავივლილ ნიჭიერ ჩუვამს ხალხს
ბერძენებს ადარებს.

პოეტმა, საქართველოს გარდა, მთელი რიგი
ლექსების ციკლი მიუძღვნა დიდ რუსეთს, უკ-
რაინას, ბელორუსიას, აზერბაიჯანს, შუა აზიის,
ბალტიისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის რეს-
პუბლიკებს, კუბას, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას,
უნგრეთს. პოეტმა რამდენიმეჯერ შემოიარა საბ-
ჭოთა რესპუბლიკები, ბევრი იმოგზაურა დემო-
კრატიულ ქვეყნებშიც. მისი პოეზია მიმზიდვე-
ლი, შინაარსიანი და ოპტიმისტურია. პოეტი
ლექსებს წერს ჩუვამურად, რუსულად და
თათრულად, თარგმნის ბევრი ენიდან და მათ
შორის ქართულიდანაც. სერს, რომ შოთა რუს-
თაველის უკვდავი პოემა — „ვეფხისტყაოსანი“
ჩუვამურ ენაზე თარგმნოს.

„გზა მშვიდობისა“ — ოთარ შალამბერიძემ გე-
მოვნებით და ძარღვიანი ენით გადმოიღო ქარ-
თულად. რაც მთავარია, შენარჩუნებულია ლექ-
სების ორიგინალის კოლორიტი და ავტორის
გულისა და გრძობების გამოხატველი მაღალი
პოეტური ფიქვა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც
ესა თუ ის ლექსი მთარგმნელმა ქართულ მო-
ტივებზე ააწყო, უფრო მიმზიდველი და სიამოვ-
ნებით საკითხავი გახდა. დასაინათ მხოლოდ ის,
რომ კრებულში შესული ლექსებიდან უმრავლეს-
ობა პოეტის წარსული წლების შემოქმედების
ნიმუშებს შეეკუთვნება. სასურველია, რომ უკ-
ნასკნელ წლებში დაწერილი ლექსებიც ითარგმ-
ნოს. ასევე ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ
სარეცენზიო წიგნს პეტრე ხუზანგაის მოკლე
ბიოგრაფიული ცნობები დართოდა. ცხადია,
ეს ქართველი მკითხველებისთვისაც ბევრად სა-
სარგებლო იქნებოდა.

ა. აბრამიშვილი

ქურნალ „მნათობის“ 1964 წლის ნომრების შინაარსი

დოკუმენტები, სარედაქციო წერილები

ქურნალ „მნათობის“ რედაქციას — საქ. კბ. ცკ-ის მისაღება. № 3

პარტიულულობის და ხალხურობის გზით. № 4

ორი დიდი თარიღის წინ. X 7

უკრაინული ლიტერატურის დეკადა. № 10

მომხრობები, რომანები, ნარკვევები, მოგონებები

- აბტმატოვი ჩინგიზი — დედის ყანა. რომანი. თარგმანი ბაბუღლია შელიასისი. № 3, 4
- ბერიძე ვუკოლი — ნიკო მარი. მოგონება. №№ 1, 2
- ბრედბერი რეი — ფანტასტიკური მოთხრობები. თარგმანი ედიშერ ყიფიანისა. № 11
- გაწერელა აკაკი — ცაბუტა და მისი რაინდი. მოთხრობა. № 9
- გვეგვიძე გურამი — უსახელო მწვერვალი. მოთხრობა. №6, ოცნება, მოთხრობა, № 8
- გელაშვილი გიორგი — სტუმარი. მოთხრობა. № 7
- გენაძე აკაკი — მხოლოდ ერთი ნაბიჯი. მოთხრობა. № 3.
- გოთუა ლევანი — ლეკვი ლომისა. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5.
- ჯეღანიძე ელიზბარი — ჩვენი ქუჩა. მოთხრობა. № 4
- კარბა ბენან — ცნობილი კაცი. რომანი. თარგმანი მამია ასათიანისა. №№ 10, 11, 12
- იოსელიანი ოტია — ოქროსფერი და ქორისფერი ქორა. სეანური ნოველა. № 1
- კაკაბაძე მიხეილი — სახლი. მოთხრობა. № 2
- კაფჯა ფრანცი — მოთხრობები. თარგმანი ზურაბ კაკაბაძისა. № 9.
- კვიციანიძე დავითი — კაცის სიცოცხლე. მოთხრობა. № 5.
- კლდიაშვილი სერგო — შორეული ციალი. მოთხრობა. № 1; ასესორ შტუბეს ენებანი. მოთხრობა. № 6
- ლაბაძე გიორგი — მატარებლები გადადიან ხიდზე. მოთხრობა. №№ 8, 9
- მანი თოშახი — ტრისტანი. მოთხრობა. თარგმანი პავლე ჩარკვიანისა. № 1
- მთვარაძე სიმონი — ლეკთა სარძლო. რომანი. № 7, 8, 9
- მოციმი სომერსეტი — წვიმა. მოთხრობა. თარგმანი ზ. გეგეზაშვილისა. № 7
- მრეკლიშვილი მიხეილი — საბედისწერო მოსახვევი. რომანი. № 10.
- მუშლაძე კარბე — დიდი ქიშის ენტუზიასტები. ნარკვევი. № 7, 8
- რადო დიერდო — თეთრი ღამეებიდან შავ ზღვამდე. ნარკვევი. თარგმანი გიორგი ჩი-მეაქაძისა. № 5
- რჩეულიშვილი გურამი — ნოველები. № 12
- ტაბიძე ნინო — ტიციან ტაბიძის მეგობრები. მოგონება. № 5; ჩვენი ავთანდილი. მოგონება. № 8
- ქარბაძე ჯემალი — ისტორიული რომანი. მოთხრობა. № 5
- ყიფიანი ედიშერი — დროთა კვეთი. მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობა. № 7
- შამანაძე ნოდარი — ორი მოთხრობა. № 8
- შეგინეო ტარასი — ვარნაკი. მოთხრობა. თარგმანი გიორგი ნამორაძისა. № 3
- ჩანდარი კრიშანი — ქორწილი. მოთხრობა. თარგმანი აკაკი კობერიძისა. № 6.
- ჩაჩინაია არჩილი — ცის დღეოფალი. მოთხრობა. № 6
- წიქიჯანი გრიგოლი — შერისგება. ოდიშური მოთხრობებიდან. № 6
- ჩხეიძე ითარი — საღტე რვაღისა. ნაწვევტი რომანიდან. № 3, შრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ. თავი რომანიდან. № 12
- ტიქიშვილი რევაზი — მთვარის ღამით. მოთხრობა. № 5; ორი მოთხრობა. № 11
- ტილაძე თამაზი — მოთხრობები. № 4
- ბერგანი მირონი — აღმართები. მოთხრობა. № 1



ჩაეხიშვილი დავითი — ღამურები სამთავისის ტაძარში. მოთხრობა. X 2; მოთხრობები. №6
 ჩაფარაძე რევაზი — ბუხნეველდის სამრეკლო. ნარკვევი. №№ 9, 10, 11

ლექსები და პოემები

აბაშიძე ირაკლი — ბილიკი მღერის. ლექსი. № 8; ლექსები. № 9
 ანაშუყელი რეზო — ლექსები. № 12.
 ასათიანი ლია — ლექსები. № 12.
 აფხაძე შალვა — ჩემი თაობა. ნაწყვეტები პოემიდან. № 1
 ბერუღავა ზუტა — შეგნენოს ძეგლიდან. ლექსი. № 3; სამი ლექსი. № 8
 ბობოხიძე კალე — ღია წერილი იამონელ მწერალს — ფუკუროს. ლექსი. № 1
ვახეშვილი ვიქტორი — ლექსები. № 10

გაგუა ზუტა — ლექსები. № 4
 გორგანელი ვახტანგი — ლექსები № 1
 გუმლია გიორგი — ორი ვახის ბედი. ბაღადა. თარგმანი შ. აკობიასი. № 5
 ერისთავი თამარი — ლექსები. № 7
 კალაძე კარლო — ტარას შეგნენკო. ლექსი. № 3
 კეშელავა ბონდო — ლექსები. № 4
 ლეონიძე გიორგი — ქუთაისის. ლექსი. № 1. ლექსები. № 6
 ლერმონტოვი მიხეილი — ლექსები. თარგმანი თამაზ ჩხეიძე. № 10
 მარგანი რევაზი — ლექსი თქმული სადღეგრძელო. ლექსი. № 4; წიგნიდან „ცხრაშობის იქით“. ლექსი. № 5; ლექსები № 7; წიგნიდან „ლოლე“, ლექსები. № 9. ლირიული ლექსებიდან. № 11; ლექსების ახალი წიგნიდან № 12.
 მებურიშვილი ტაგო — ქარები. ლექსი. № 4
 ნადირაძე კალე — შეხვედრა. ლექსი. № 8
 ნონეშვილი იოსები — ლექსი. № 2
 თურელი ვარლამი — ლექსები. № 5
 სულაბერიძე ლადო — შავი სათვალე. ლექსი. № 9
 ტყეშელაშვილი ალექსანდრე — შორეთის იქითა შორეთი. თავები პოემიდან. თარგმანი ოთარ ქულიძისა. № 6

ქებურია ნანული — ლექსები. № 11
 ქუთათელი ალექსანდრე — ვარდისუბნის ვარსკვლავები. ლექსი. № 4; ზეპარზე. ლექსი. № 8
 ქურთი პოეტების ლექსები. — თარგმანი შოთა ნიშნიანიძისა. № 7
 შანშიაშვილი სანდრო — ლექსები. № 6
 შატერაშვილი გიორგი. — გვიანი ყვავილები. ლექსები. № 2; ანალო, ლექსი. № 4
 ხაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 6
 ჩიქოვანი სიმონი — განჯის დღიური. ლექსები № 12
 ცეცხლაძე გრიგოლი — პაოლო იაშვილს. ლექსი. № 7; გქონდა გული — ოქროს ჩანგი. ლექსი. № 10

ქილაძე თამაზი — ლექსები. № 12
 ქილაძე ოთარი. — ციციკი. პოემა. № 5
 ჩაფარაძე ვახტანგი — ლექსები. № 2
 ჩანგულაშვილი თეიმურაზი — შეხვედრა პანეისის ხეობაში. ლექსი. № 5

მუხრანულ „მნათობის“ 40 წლისთავი

აბაშიძე ირაკლი — ლეწლმოსილი ქურნალი. № 2
 ანაფარაძე ვერიკო — საერთო ძალით. № 2
 კლდიაშვილი სერგო — დიდი გზა. № 2
 ლეონიძე გიორგი — ჩვენი მწერლობის მოპირნახულე. № 2
 მაჭავარიანი ალექსი — ლიტერატურული ცხოვრების ავანგარდში. № 2
 მირცხულავა ალიო — დე, მარად ნათობდეს ჩვენი „მნათობი“. № 2
 მუსხელიშვილი ნიკოლოზი — მეცნიერებასთან კონტაქტში. № 2
 სულაყაური არჩილი — ახალგაზრდა მწერლებს მოამბე. № 2
 ფლენტი ბესარიონი — ჩვენი ეროვნული მწერლობის დიდი კერა. № 2
 შენგელაია დემან — კულტურის მატთან. № 2
 ძამაშვილი არჩილი — რას ვუსურვებ „მნათობს“. № 2
 ქილაძე სერგი — სახელოვანი 40 წელი. № 2
 ჩაფარაძე უკა — „მნათობი“ გულისხმიერებას იჩენდა ქართულ სახვით ხელოვნებაში. № 2



ტარას შვიძინკოს დაბადების 150 წელი

- ბუაჩიძე თენგიზი — დიდი კობზარი. № 3
- გოზალიშვილი შალვა — ტარას შვიძინკო და ქართული საზოგადოებრიობა. № 3
- ლეონიძე გიორგი — პოეტის გმირობა. № 3

1564 უილიამ შმასირი 1964

- პატარაძე ვუჯური — შექსპირის „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრში. № 4
- უახაშვილი ნიკო — შექსპირის შესწავლის საკითხი თანამედროვე ინგლისში. № 4

1814 მიხეილ ლერმონტოვი 1964

- ენციკლოპედიი ივ. — „ჰაგი-აბრევის“ და „იშვილი-ბეის“ პირველწყაროების შესახებ. № 10
- მარგველაშვილი გიორგი — რისხვის, ქანის და იმედის პოეზია. № 10
- შადური ვანო — ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი. № 9
- ჩიქოვანი სიმონი — ახალი ცხოვრების თანამგზავრი. № 10

უკრაინული ლიტერატურის დეკადი

- ბაქანი მიკოლა — ბიგ-ბენ. ლექსი. თარგმანი გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ი ს ა. № 10
- გონჩარი ოდესი — მეზობლები. მოთხრობა. თარგმანი გრ. ჩიქოვანისა. № 10
- ვორონკო პლატონი — ლექსები. თარგმანი შ. ნიშნიანისა. № 10
- ზხანაცია იური — ავთანდილი. ნამდვილი ამბავი. თარგმანი გ. ნამორაძისა. № 10
- ლორთქიფანიძე ოთარი — ოდეს გონჩარის რომანი „ტროსკა“. № 10
- მლიშკო ანდრეი — ლექსი. თარგმ. რუეაზ მარგიალისა. № 10
- პავლიჩკო დმიტრო — გრანტიის ქალი. ლექსი. თარგ. ალექო შენგელიასი. № 10
- რილსკი მაქსიმ — შუადღე. ლექსი. თარგმ. არჩილ სულაქაურისა. № 10
- სტელმახი მიხაილო — ჩემს სათაყვანო მხარეში. ლექსი. თარგმ. ოთარ შალამბერაძისა. № 10
- ტინინა პავლო — ქარი უკრაინიდან. ლექსი. თარგმ. ალიო მირცხულავასი. № 10
- ქარელიშვილი ცრემია — მიკოლა ბაქანი. № 10

არბიტრაჟი, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიკა, მიწვეობა, პუბლიცისტიკა, ხელოვნება

- ასათიანი გურამი — ბაილო იაშვილი. № 7
- აუხაიძე შალვა — სანდრო შანშიაშვილის პოეტური შემოქმედება. № 5
- ბაქანიძე ოთარი — მიხეილ კოციებინსკი. № 11
- ბაქრაძე შილა — ენ პოლ სარტრის პიესები. № 4
- ბერაძე რუთა — ლეო ქიანელი და რუსეთის პირველი რევოლუცია. № 6
- ბერძენიშვილი ელგუჯა — თამარ აბაკელია. № 6
- ბეუნაშვილი რობტომი — ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები. № 7
- ბულია პლატონი — კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი. № 5
- ვერდულოვი გურამი — შენიშვნები 1963 წლის ზოგიერთ პროზულ ნაწარმოებზე № 8
- გვალა კლიმენტი — კავკასიის დაცვის ეპოპეა. № 2
- გოგიძე შ. — ე. ი. ლენინის ნაშრომები ქართულ ენაზე. № 4
- დუდუჩავა მაშია — მხატვრული სტილი, როგორც ისტორიული მოვლენა. № 2
- ვარდოსანიძე ვიო — ალიო მირცხულავას პოეზია. № 1
- იბრაძე აკაკი — ე. ი. ლენინთან იმ მრისხანე წლებში. № 4
- წამბახიძე ვლადიმერი — პოეტის ლირიული აღსარება. № 2
- თვარაძე რევაზი — რა ენა წახდეს. № 5
- თუხარელი დიმიტრი — ლ. შ. ლეონოვის შემოქმედება. № 8
- გოზალიშვილი შალვა — ქართული სიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარი. № 1
- კაკაბაძე ზურაბი — ფრაკე კაკეა. № 9
- კანკავა გურამი — ანტუან დე სენ-ტეგზიუპერი. № 4, ახალი მოტივები უახლეს ქართულ პოეზიაში. № 9
- კალანდაძე გიორგი — თბილისის განთავადები. № 6
- კენჭოშვილი ირაკლი — ჰემინგუეის ნოველა. № 6
- კულეშვიტი ანტონი — სერგო ორჭონიკიძე ყურნალისტი. № 2



- ლომთათიძე გ. — ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხროელი არქეოლოგი. № 5
 მარი ნეკო — პ. ვ. ჯარაიას შედარებითი ლექსიკონი. № 12
 შერკვილაძე ვიორჯი — რომანისტის სტილური თავისებურებანი. № 3; ოსებ გრენ-
 შაშვილი. № 6
 შიქელაძე ირაკლი — ქიმიური მრეწველობა პირველ პლანზე. № 6
 ნათაძე ნოდარი — „ვეფხისტყაოსანი“ და კულტურის ისტორია. № 1; ორი ახალგაზრდა-
 მწერლის მოთხრობები. № 4
 ნატროშვილი ვიორჯი — მარუხის თეთრი ღამეები. № 2
 ნორაკიძე ვლადიმერი — გონების ცნების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. № 8
 ნაიბაძე გ. — რუსეთის შემადგენლობაში აკრზაიანის შესვლის ისტორიული მნიშ-
 ვნელობა. № 6
 ელენტი ბეზარიანი — აკაკი ბელაშვილი № 5; კონსტანტინე გამსახტურდიას შემოქ-
 მედებითი გზა №№ 10, 11
 რადიანი შალვა — საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ეპირი. № 1
 სულაბერიძე ლადო — პოეზია ქართულ „დროშის“ ფურცლებზე. № 7
 სულაბერიძე შოთა — შალვა ამისულაშვილის რჩეული ლექსების გამო. № 3
 ჭარელიშვილი ერემია — მაქსიმ რილსკი — № 9; მართალი სახეები და ხასიათები. № 12
 ჩხიციური დავითი — ერის ცნებისათვის. № 4
 ციციშვილი ვიორჯი — გზა რეალისტური სიმართლისა და სიკვადისკენ. № 12
 წულუკიძე ვანო — სერგო კლდიაშვილის ნოველების მთავარი თემა. № 4; კორჩაგა-
 ნის ცეცხლზე წრთობილი. № 11
 ჭილაია სერგი — ორი ახალგაზრდა მწერალი, ორი სტილი, ორი მანერა. № 1
 ხუციშვილი სოლომონი — საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის დუცხრომელი მკვლ-
 ვარი. № 12
 ხუბაშვილი ვიორჯი — პოლიყარზე კაკაბაძის სამი პიესა. № 7
 ჭიბლაძე ვიორჯი — ამაღლებულს პრობლემისათვის. № 2

დემკობარის კლინუმიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

ასათიანი ვ.—დიდი და მცირე ჭიშია საქართველოში. № 1

ორი დიდი თარიღის წინ

- კაპანაძე ვახელოდი — ლენინი და ბუნებაომეცნიერება. № 8
 კეშელაძე თენგიზი — ლენინი სპარსულ ლიტერატურაში. № 8
 სიფრაშვილი ვლ.—გ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების
 ორგანიზატორი. № 11

ვეფხისტყაოსნის გარშემო

ჭუმისიშვილი დიმიტრი — ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემო. № 12

წარსულიდან

- ზარდალიშვილი გრიგოლი — გამოჩენილი ქართველი მოგზაურ-კარტოგრაფი. № 12
 შიტრეველი რაინი — დავით აღმაშენებლის ზოგიერთი სახელმწიფოებრივი რეფორმის შესა-
 ხებ. № 10
 შაიშველაშვილი ივ. — კრწანისის ომი. № 7, 8
 შველიძე ნ. — ერთი მომენტი 1905 წლის რევოლუციისთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულ-
 ბის ისტორიიდან. № 5
 შ. ხაჩიაძე, შ. ბადრიძე — საქართველოს წარსულის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. № 12

გამოსათხოვარი

კალანდაძე ლავროსი — ლეო ქიაჩელი. № 1

წინანების მიმოხილვა

- აბრამიშვილი ა. — ჩუვაშეთის სახალხო პოეტის ლექსები ქართულად. № 12
 ამისულაშვილი შალვა — „ნაწიყმარი ჭუჩები“. № 4
 არველიაძე სიმონი — აღამიანი მიდის წინ. № 10
 აფრიდონიძე გ. — ნაწროში სოციალიზმის დიადი იდეების შესახებ. № 6
 ბათიაშვილი გურამი — ოცნების უცვდავება. № 5; პოეტური ფიქრის სიციცხლე. № 9
 ბერიძე ფილიპე — გულწრფელი სტრიქონები. № 7; წიგნი კ. სტანისლავსკიზე. № 10
 ბორჯაძე ნაზი — „პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი“ ქართულად. № 1

- ბოხოხიძე კალე — „მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ“. № 8
- გაჩიჩიძე ვიორგი — პოეტის პირველი წიგნი. № 2; სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე. № 7, შერშან ლებანიძის ლექსები. № 12
- გუწაძე აკაკი — თეთრი სვანეთი. № 2
- გვაბარია ალექსანდრე — საიათნოვას ლექსების საიუბილეო კრებული. № 4
- გვეტაძე ვახილი — „ბროწეულების ცეცხლი“. № 1
- გვრიტიშვილი დავითი — წიგნი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. № 9
- გონალიშვილი შალვა, გონალიშვილი გუდუნარა — ქართული კულტურის დიდი მონაპოვა. № 9
- დოლიძე ვიორგი — ეტა — საბჭოთა მხატვრის თვალთ. № 5
- ჯამბაზიძე ვლადიმერი — მართალი მოთხრობები. № 7
- იმნაიშვილი ვ. — ახალი მონოგრაფია ძველი ქართული ენის სინტაქსის ძირითად საკითხებზე. № 6
- კეკელიძე მიხეილი — სულხან-საბა ორბელიანის III ტომი. № 11
- ლაომიძე ვივი — ზურაბ ლორთქიფანიძის ახალი ლექსები. № 5
- მაკარაძე ვალერიანი — შოლდავეური პოემა ქართულად. № 10
- მირიანაშვილი ანდრო — რევოლუციური ქარიშხლის მომღერლები. № 4
- მშვილდაძე ნ. — მონოგრაფია ვიორგი შვეგულიძეზე. № 2
- ნათაძე ნოდარი — თინა დონეაშვილის ახალი მოთხრობა სამამულს ომზე. № 3; ახალგაზრდა მწერლის პირველი კრებული. № 6
- ნეკაშიძე ნოდარი — ახალი ნაშრომი საქართველო-არსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. № 5
- პაქორია ოტია — შენიშვნები „ეარიაციებით“ № 5
- რადიანი შალვა — რომანი და სინამდვილე. № 4; პოეტის ნახზრევი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. № 5
- რატინი პ. — საინტერესო მოგონებები. № 11
- რუხაძე ნოდარი — „ინა ჟრანკის დღიური“ № 5
- სანადირაძე აღ. — მოთხრობები ომსა და მშვიდობაზე. № 1; მოთხრობები წარსულსა და აწმუროზე № 6; ომის ექო. № 8; იწერებოდა სისხლით № 11
- სულაბერიძე ლადო — პოეტის გული. № 6
- ქუმისიშვილი დიმიტრი — მოძმე რესპუბლიკების პოეტები. № 3, „წყნარი სოფლის აღმოჩენა“. № 7
- ქემერტელიძე იორამი — „მზე და ჩრდილი“ № 8
- ყურაშვილი ს. — ახალი წიგნი საქართველოს ისტორიის წყაროებისათვის. № 2
- ჩხეწყელი თამაზი — მთარგმნელის გამარჯვება. № 2
- ჩიქოვაძე ვიორგი — კალე ბოხოხიძის ახალი წიგნი. № 9
- ჩიტაური ხ. — ქერთი პოეტები ქართულად. № 8
- ცოტნიაშვილი ავთანდილი — დავით ჭიოვეის რომანი „უძლეველი ძალა“. № 6
- ძიძიგური შოთა — ქართული ენის ძეგლთა უახლესი გამოცემები. № 3
- წერეთელი ნიკოლოზი — სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი. № 8
- ჭუმბურიძე ზ. — „ქართული მოთხრობა“ № 1
- ხარანაული ბესარიონი — მართალი მოთხრობები. № 2
- ხუციშვილი სოლომონი — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. № 2
- ჩიხუტი ვლადიმერი — ოთარ კელიძის ლექსები და ბალადები. № 2; პოეტის ახალი ლექსები. № 6

ახალი წიგნები

„ლიბრატურა და ხელშეწყობა“

- სერგო კლდიაშვილი — ფურთლი. რედ. რ. შარგიანი. გვ. 910, ფასი 31 კაბ.
 კოტე უიფიანი — მოგონებები, წერილები. რედ. დ. ჩანელიძე. გვ. 162, ფასი 99 კაბ.
 დემნა შენგელაია — მუდმივი თანამგზავრები. რედ. რ. შარგიანი. გვ. 279, ფასი 81 კაბ.
 გიორგი მარგველაშვილი — რისხვის და ჩანყის პოეზია. რედ. ც. ჩხეიძე. გვ. 47, ფასი 8კაბ.
 კარლო კალაძე — ჩემს ბაღში. რედ. ა. აღამია. გვ. 117, ფასი 21 კაბ.
 ნიკოლოზ ჩაჩავა — ამ ქვეყანაზე. რედ. ო. შალამბერიძე. გვ. 75, ფასი 11 კაბ.
 ბონდო კეშელავა — ნათელი ფიქრები. რედ. ო. შალამბერიძე. გვ. 87, ფასი 15 კაბ.
 ნოდარ შამანძე — სულმა სულში ჩაიხედა. რედ. ა. აღამია. გვ. 63, ფასი 8 კაბ.
 ვაჟეი — ლექსები, ბალადები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 61, ფასი 10 კაბ.
 ვახო პატარაია — სატირა და იუმორი. რედ. ა. აღამია. გვ. 233, ფასი 65 კაბ.
 არლი თაყაიშვილი — მზაარული სარკე. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 113, ფასი 16 კაბ.
 გიორგი ზესთაუთი — გული მართალი. რედ. ა. აღამია. გვ. 65. ფასი 10 კაბ.

„ნაკადული“

- ირაკლი აბაშიძე — მოიარე საქართველო. რედ. ნ. ჩიჩაძე. გვ. 71. ფასი 12 კაბ.
 ვერა ინხერი — შაჟა, თარგ. შანანა გვარამია სი. რედ. ნ. ჩიჩაძე. გვ. 93, ფასი 10 კაბ.
 კარელ ჩაბკი — კატის ზღაპარი. თარგმანი ელენე ერისთავისა. რედ. ც. ჩხეიძე, უ
 ფასი 21 კაბ.
 ლევ კასილი — როგორი იქნება ჩვენი მომავალი. რედ. გ. კიკილაშვილი, ა. ბრეგაძე. გვ. 92,
 ფასი 12 კაბ.
 ნ. აგიაშვილი — სერვანტესი. რედ. შ. ღარაბეულიძე. გვ. 253, ფასი 67 კაბ.
 შარგო თომაძე — თეთრი დედოფალი. რედ. ვ. ქადაგიშვილი. გვ. 50, ფასი 7 კაბ.
 რუფიმ ფრანკმანი — ველური ძალი დინგო. თარგმანი რობერტ თავაუტრისა. რედ.
 ჟ. ბაქრაძე, გვ. 119, ფასი 20 კაბ.
 შერი ბოლქვაძე — ფაფანობი. რედ. გ. კიკილაშვილი. გვ. 65, ფასი 13 კაბ.
 ქემალ ნინუა — ბიონერული ზეიმი. რედ. ნ. ბეზარაშვილი. გვ. 42, ფასი 6 კაბ.
 ლილი გოგოხია — მარიამ დემურია. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 89, ფასი 10 კაბ.
 კეთილი უჩინაჩინები — თარგმანი მ. მრეველიშვილისა და ლ. სულხანიშვილისა.
 რედ. ნ. ჩიჩაძე. გვ. 92. ფასი 24 კაბ.
 ჩესტმირ ბარტა — 129 სამუშაო ხელმარჯვეთათვის. თარგმანი თეიმურაზ მდიენისა,
 რედ. შ. ჩანტლაძე, გვ. 185, ფასი 60 კაბ.

3360 80 333.

ИНДЕКС
76128

СОВЕТСКИЙ
ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКИЙ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“